ივო ანდრიჩი

დრინის ხიდი

თარგმნეს
მედეა კახიძემ
და
ზაქარია მამისაშვილმა

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ნობელის პრემიის ლაურეატები

საგამომცემლო პროექტის ავტორი

კახმეგ კუდავა

ISSN 1512-4568

© თარგმანი, მედეა ჯახიძე, ზაქარია მამისაშვილი, 2009

ხიდი დრო-ჟამზე

ივო ანდრიჩი ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდა თანამედროვე და გარდასულ დრო-ჟამს შორის და უკვირდა, სხვები რატომ გამიჯნავდნენ იმას, რაც განუყოფელი იყო; არადა, სწორედ ეს განუყოფლობა ჰქმნიდა ნუთისოფლის შინაარსსაც და მის კანონებსაც, და მწერალს სხვა არა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ დამორჩილებოდა ამ კანონებს, შეეცნო ადამიანის დანიშნულება სამყაროში და ისე ლაღად და მსუბუქად გადაებიჯებინა ასწლეულთა ზღურბლისათვის, თითქოს სიზმარში ტრიალებსო.

მიჯნას ვერ დასდებდი საუკუნეებს შორის, ანკი რატომ უნდა მოგენდომებინა?!.

თუმც ვის როგორ – დაე ზოგიერთ მწერალს, თავისი მსოფლგანცდისა და მხატვრული მანერის შესაფერისად, გულდინჯად და მუყაითად შეესწავლა ისტორიული და სოციალური ევოლუციის მონაცემები და ასე ჩაწვდომოდა გარდასულ ეპოქათა მატერიასა და აზრს; ივო ანდრიჩს კი მაინც წარმოსახვის ლაღი და უსაზღვრო თამაში ერჩივნა და სასწაულებრივი სიმსუბუქე, რაც ასერიგად ხიბლავდა **ონორე დე ბალზაკის** „ადამიანურ კომედიაში“ და მისი ის შეგონება კი სულაც გზამკვლევად დაესახა თავისი მხატვრული ძიებებისას:

– რა არის ისტორია? მარტოდენ ლურსმანი, რომელზეც ჩემს რომანებს ვკიდებ.

და ეს იმიტომ, რომ წარსულის სურათების აღდგენა უმთავრესად ფონია – და თანაც პირობითი ფონი – თანამედროვე ტკივილთა და საფიქრალთა გამოსახატავადაც და მარადისობის წიაღში ჩასახედადაც. ფონს კი, რაოდენ რელიეფური და ზუსტიც უნდა იყოს (და თუნდ პირობითობასაც მოკლებული), შეუძლებელია გადაჭარბებული მნიშვნელობა მიენიჭოს და მწერლის განცდა და სწრაფვა იქ ჩარჩეს დატყვევებული.

ცხადია, სასწაულებრივი სიმსუბუქე მხოლოდ წარმოსახვის გაქანებითა და ღრმა ინტუიციით არ მიიღწევა და აუცილებლად ესაჭიროება ისტორიულ და სოციალურ მონაცემთა გულდინჯი და მუყაითი შესწავლაც, მაგრამ მხატვრულ ქმნილებაში დოკუმენტურმა იერმა არ უნდა გადაწონოს და თხრობა უმთავრესად იმ კამერტონს უნდა დაეყრდნოს, ალღოთი რომ მიგიგნია საზოგადოებრივ მოვლენათა მამოძრავებელი ძალებისა და სულისათვის – ოღონდ წარმოსახვის სილაღისა და უსაზღვრო თამაშისას უნდა შენარჩუნდეს ისტორიულ-დოკუმენტური პასაჟებისა თუ ზოგადი

ფონის ის ფაქიზი დეტალები და ნიუანსები, რაც საშუალებას მისცემს გარდასული ჟამის მკვლევარებს ესა თუ ის მხატვრული ქმნილება საისტორიო წყაროდაც მოიმარჯვოს.

რა ბედიც ერგო თუნდ „ადამიანურ კომედიას“.

რა ბედიც ერგო თუნდ ივო ანდრიჩის ამ რომანსაც – „დრინის ხიდი“ – რომელიც დამოუკიდებელ არსებობასთან ერთად ტრილოგიის პირველ წიგნადაც გვევლინება, ტრილოგიის, რომლის შექმნაც უთუოდ ბალზაკის გავლენით უნდა მომხდარიყო. ეგაა, სამწიგნეულით შემოიფარგლა და მთლად „ადამიანურ კომედიასავით“ ვერ გადაწვდა ყველასა და ყველაფერს ისე, რომ სამყაროთა შორის მომწყვდეული თავისი პატარა ქვეყნის დრამატული ბედისწერა გაცილებით ვრცელ ციკლში მოექცია.

ბოსნიური ტრილოგია უნდა ეკმარა.

თუმც მისი პირველივე ქმნილება „დრინის ხიდი“ – ვიდრე „ტრავნიცის ქრონიკა“ და „ყმაწვილი ქალი“ გამოქვეყნდებოდა – უკვე მოუხვეჭდა მსოფლიო სახელს და ეს აღზევება ნობელის პრემიის მინიჭებითაც დადასტურდებოდა 1961 წელს.

ამ აღიარებას პოლიტიკური სარჩულიც ხომ არ ედო?

ეს პრემია, მიუხედავად თავისი ავტორიტეტისა, არ არის დაზღვეული პოლიტიკური ჩარევებისა თუ კონიუნქტურისაგან, რამაც XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე განსაკუთრებით იჩინა თავი და სავალალოდაც დააჩნდა მის საუკუნოვან ბიოგრაფიას; და იქნებ ამჯერადაც იმ გარემოებებმა განსაზღვრა კომიტეტის მიკერძოება, რომ ივო ანდრიჩი წარმატებით მოღვაწეობდა დიპლომატიურ სარბიელზეც და, როდესაც სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა გაერთიანებულ სამეფოს იუგოსლავია ეწოდა და ეს ხელოვნური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი კომუნისტურ საყრდენად იქცა საბჭოთა კავშირისათვის ევროპაში, ანდრიჩი-დიპლომატი გახლდათ მისი წარმომადგენელი და 1937-41 წლებში იუგოსლავიის ელჩადაც იმყოფებოდა გერმანიაში.

გერმანელთა მიერ იუგოსლავიის ოკუპაციის შემდგომ ლამის შინაპატიმრობაში მოუწევდა ცხოვრება და ეს გარემოებაც მის სასარგებლოდ იმეტყველებდა და ძალიანაც წაადგებოდა ნაციზმის დამხობის შემდგომ.

იუგოსლავიის კომუნისტური კავშირის წევრიც გახდებოდა და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელიც.

ვერ არის მაინცდამაინც სახარბიელო ცნობები, დამღასავით რომ აჩნია მის ბიოგრაფიას, თუმც – **გაბრიელ გარსია მარკესისა** არ იყოს – ივო ანდრიჩიც სოციალისტური და კომუნისტური იდეალებით უფრო აღტაცებოდა, ვიდრე ამ იდეალთა ხორცშესხმით ყოფით რეალობაში, რაც მხოლოდ ანგრევს და აცამტვერებს იმ სულიერებას, რომლის უწყვეტობის შესანარჩუნებლადაც იღვწის ყოველი მწერალი, და ივო ანდრიჩიც ამ სა-

იდუმლოების ამოხსნას მიელტვოდა – რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა საერთოდაც და ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთშიც.

„დრინის ხიდით“ თავისი სამშობლოს მხატვრული ისტორიის წარმოსახვას შეეცდებოდა, და იქნებ იდუმალად „ადამიანურ კომედიასაც“ გახედავდა მასთან გაჯიბრების სურვილით ატანილი, მერე ტრილოგიას რომ დაჯერდებოდა.

აგებულებით ეს რომანი ისეთ ვეება ექსპოზიციად მოჩანს, სამწიგნეულისათვის რომ გადამეტებულია და ვრცელ ციკლს უფრო გულისხმობს თავის მომდევნოდ. ამიტომაც არა ჰყავს რომანს ერთი მთავარი გმირი, ვის ირგვლივაც გაიშლებოდა სიუჟეტური ქარგა და თანამედროვე და წარსულის სურათები ასე შეენაცვლებოდა ერთმანეთს; და ამის მაგივრად, თანაბრად წარმოდგება პერსონაჟთა მთელი გალერეა... სამნახევარი საუკუნის მანძილზე. მწერალს მოზაიკური სტრუქტურა უმჯობინებია, რათა ქრონოლოგიურად გამოჰყოლოდა ქვეყნის ცხოვრებას და ისტორიული მატიანე ამბებით შეევსო – ძველ ისტორიკოსთა კვალობაზე, თვალსაჩინოებისთვის უამრავ სიუჟეტს რომ ჩართავდნენ თხრობაში, და მათგან ზოგი ნოველას მოგვაგონებდა და ზოგიც მინიატურას, ადამიანური ხასიათები ხომ უხვად წარმოდგებოდა და ისტორიული ქრონიკა სიცინცხალეს, სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ექსპრესიას იძენდა.

„დრინის ხიდშიც“ არაერთია ამგვარი ნოველა თუ მინიატურა, ხასიათები ხომ უხვია და უხვი... და მთავარი გმირი კი – მემატიანეთა მონათხრობისაგან განსხვავებით – ხიდია, რომელზეც და რომლის ირგვლივაც თამაშდება ტრაგიზმითა და დრამატიზმით აღსავსე მოვლენები, იმ ქალაქის, მხარისა და ქვეყნის ცხოვრებას რომ აირეკლავს, ხელიდან ხელში გადასულისაც – ხან თურქთა უღელი რომ ედგა და ხან ავსტრიელთა – და თავისუფლების მაძიებელ სერბთა აჯანყებებით ანთებულისაც.

ხიდი ყოფითი რეალობის ნანილიცაა და ღრმა სიმბოლიკითაც დატვირთულა, რაკიღა იმ მხარის მუსულმანთა და ქრისტიანთა შორის კი არ ჩადგმულა მხოლოდ, არამედ აღმოსავლეთსა და დასავლეთის შორისაც... დამაკავშირებლად?.. მათი გამიჯნვის დამადასტურებლად?.. და კიდევ ებრაელებისაც, რომელნიც არანაკლებ მონაწილეობენ ბოსნიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ხიდი – შეჯახებათა სამუდამო ასპარეზი თუ მომავალი დაზავების საუფლო?..

ხიდის სიმბოლიკა საკმაოდ ნაცნობია ჩვენთვის, რადგანაც კლასობრივ თეორიასა და მის დამლუპველ პერსპექტივას **ილია ჭავჭავაძე** სწორედ ჩატეხილი ხიდის აღდგენის იდეით დაუპირისპირდა.

ერთი შეხედვით ამ იდეის დედააზრი სოციალურია, რაკიღა ორი წოდების, თავადისა და გლეხის, შეთანხმება-დაახლოებისაკენ მიისწრაფის,

მათ შორის გაჩენილი, უფრო სწორად, მოსალოდნელი ნაპრალის ამოვსებას გულისხმობს, გარდუვალი ერთსულოვნების მისაღწევად კი სულიერი ხიდის გადება ეგულება; თუმც სოციალურზე მეტად ეს თეორია ეროვნული მრწამსით განმსჭვალულა – ამ შეთანხმებისა და ერთსულოვნების გარეშე ხომ შეუძლებელი შეიქნება დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

ნაცნობია ნაგებობის დასამთავრებლად აუცილებელი მსხვერპლშეწირვის მოტივიც – დრინის ხიდი რომ ვერ შენდება, თუ ობოლი და-ძმა არ ჩააყოლეს მის ბურჯს, ეს ლეგენდა ძალდაუტანებლად წამოატივტივებს სურამის ციხის აშენების ტრაგიკულ ეპიზოდს – ზურაბის ჩაშენებას მის კედელში.

მფრინავი რაშით გმირის გადაელვება კი თავისთავად გამოიხმობს **ალექსანდრე ბატონიშვილის** მფრინავი ცხენის ლეგენდას, ჩრდილოკავკასიაში გაჩენილს და იმავე სასოებით ნაძერწს, როგორც ბოსნიელები შეჰყურებდნენ ამ საკვირველ სურათს და გულში აქანდაკებდნენ.

ეს და ამგვარი გადმოცემები აღვივებდა და აწრთობდა მწერლის ნარმოსახვას, ენის ამოდგმასთან ერთად ერწყმოდა მის გულსა და გონებას, და თუმც გაელვებით გაიელვებენ რომანის ფურცლებზე, თანაც ზვარაკის მოტივი „დამინებულია“ და იდუმალებისაგან გაძარცული, მაინც თვალნათლივია, რომ თხრობის კამერტონს ეს გადმოცემები განსაზღვრავენ და მოზაიკურ აგებულებასაც იმთავითვე გულისხმობენ.

საერთო სხვაც არაერთი შეიძლება აღმოჩნდეს ივო ანდრიჩის მონათხრობსა და ქართულ ისტორიულ-საზოგადოებრივ სინამდვილეს შორის – ამბებიც, ხასიათებიც, ცალკეული პასაჟებიც და დეტალებიც, და ეს იმიტომ, რომ ბოსნიაც ისევე მოქცეულა აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე, როგორც საქართველო, ორივე კონტინენტის კულტურა რომ შეზავებია ერთმანეთს ერთ ქვეყანაშიც და მეორეშიც; და ბოსნიაც ისევე იხლიჩებოდა სხვადასხვა დამპყრობთა შორის და ეძიებდა გამოსავალს ჩიხიდან, როგორც საქართველო.

ისე კი თავთავისთვის ცხოვრობდნენ სერბებიც და ქართველებიც საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე XXI საუკუნის პირველ ათწლეულში საბედისწეროდ არ გადააჯაჭვავდა ერთიმეორეს დროის ჟინიანი თამაში, ორი ზესახელმწიფოს ჭიდილით გამონვეული.

გაჭიანურებული ომი სერბებსა და ალბანელებს შორის, ალბანელებს, რომელნიც ტერიტორიას ედავებოდნენ სერბებს და მოითხოვდნენ კოსოვოს ცნობას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ნააქეზებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს – ეცნო კოსოვოს დამოუკიდებლობა, რათა მძიმე დარტყმა მიეყენებინა სერბებისათვის, როგორ თუ რუსეთთან თანამშრომლობაზე უარს არ აცხადებთო.

ამ გადაწყვეტილებისას ამერიკელ ხელისუფალთ არ გახსენებიათ ანდა აინუნშიც არ ჩააგდეს რუსეთისაგან მოსალოდნელი სადამსჯელო ოპერაცია – ელიარებინა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი (ჩრდილო ოსეთი მკვიდრად რჩებოდა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში!) და კიდევ უფრო გაერთულებინა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ასე ჩაგვაყოლეს ზვარაკად ლიბერალური დემოკრატიზმის გავრცელება-განმტკიცებას ქართულ და სერბულ გადმოცემათა პერსონაჟებივით!..

რომ არა კოსოვოსათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება, რუსეთი კვლავაც ძველ ტაქტიკაზე იდგებოდა – სიტყვით მაინც სცნობდა საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას... და ახლა კი ამერიკელ ხელისუფალთა გადაწყვეტილებამ ხელ-ფეხი გაუხსნა...

დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, ბედის თანაზიარს ხდის ერთმანეთისაგან სრულიად მოწყვეტილ ქვეყნებსაც – ისე შეიძლება მოხდეს ზეგავლენა, ვერც კი გააცნობიერო, ეს საიდან სად გადმოწვდენიაო.

სერბთა და ქართველთა ხვედრის დამსგავსება იმთავითვე ადვილი ამოსაცნობი გახლდათ, მაგრამ მისი თავიდან არიდება შეუძლებელი შეიქნა.

ეს კიდევ ცალკე რომანის თემაა, რომელიც, გინდა-არ გინდა, „დრინის ხიდის“ თავისებური გაგრძელება აღმოჩნდება – ივო ანდრიჩის რომანის ფინალში გამოხატული მწარე სკეპსისის დამადასტურებელი.

იწყება პირველი მსოფლიო ომი და ხიდსაც აფეთქებენ – თხუთმეტმეტრიანი ნაპრალი ჩნდება იმ სივრცეში, რომელიც სამსაუკუნენახევრის გაუთავებელმა სამხედრო-პოლიტიკურმა გრიგალმა ვერ დააზიანა. და დამაფიქრებელია არა იმდენად ეს ისტორიული ეპიზოდი, არამედ მწერლის მხატვრული კონცეფცია – რომანი მაინცდამაინც აქ დასრულდეს: ხიდის ნგრევითა და იმ ალი-ხოჯას სულთმობრძაობით, ასეთი ჟინით რომ ებღაუჭებოდა ყოველივეს – ტრადიციულს, შეთვისებულს, გასაქრობად განწირულს...

ალი-ხოჯას არ სჯეროდა არც ცვლილებათა სიკეთის და არც ხიდის სიმბოლიკაში ჩათქმული იდეის – აღმოსავლეთსა და დასავლეთს ოდესმე მაინც ეპოვნათ დაახლოების გზები. რაღა იგი და რაღა **რადიარდ კიპლინგი**, რომელიც დაეჭვებით შეჰყურებდა ამ ორი სამყაროს შეერთებით მოსალოდნელ ჰარმონიასა და კეთილდღეობას!..

თუმც ეს „ჩათქმაც“ მოგვიანო ხანის ვარაუდი უნდა იყოს, თორემ სულთნის კარზე გადიდკაცებულ ვიშეგრადელ ყმაწვილს, იანიჩრობით სახელმოხვეჭილს, ნაკლებ საფიქრებელია ამ ორი სამყაროს დაახლოების გზების პოვნა ანუხებდა ანდა დაკარგული სამშობლოს მიმართ გამოეჩინა კეთილგანწყობა – ჩემს ყოფილ თვისტომთ ცხოვრება შევუმსუბუქოო.

სამხედრო ექსპანსიისათვის უფრო სჭირდებოდა ეს ხიდიც და მთელი თავისი ძალ-ღონეც, რათა სულთნის კარზე ეეზირობა არ დაეკარგა.

განა **დაუდ-ხან უნდილაძე** კი ფიქრობდა თავის სამშობლოზე, შაჰის კარზე აღზევებული და დიდებამორჭმული ხიდსაც რომ ააგებდა?.. არავითარ სიმბოლიკას ან ფარულ მინიშნებას არა გულისხმობდა ეს ხიდი, რომელსაც მხოლოდ მისი ავტორიტეტი უნდა დაედასტურებინა კიდეც ერთხელ, ეგაა და ეგ.

თუმც რა განზრახვაც არა ჰქონია ოსმალთა ვაზირად გარდასახულ ბოსნიელ ყმაწვილს, გაუჩნდებოდა ბოსნიელ მწერალს, ვისი ნაღვლიანი კილოც რომანის დასასრულს და გადაწურული იმედიც მკითხველს მაინც არ ტოვებს ამ სკეპსისის ანაბარა, რადგანაც ისეთი ექსპრესია და რომანტიკული სული მობერავს თხრობის რიტმიდანაც და ათასგვარი იდუმალი მინიშნებიდანაც, როგორც მარადახალი დრინას დენაა, და ამიტომაც შევყურებთ ხიდს, ოცნებით მოშარავანდებულს – აღდგენილსა და გამთლიანებულს.

თუმც... აღმოსავლეთი მაინც აღმოსავლეთია და დასავლეთიც დასავლეთი და ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს!..

დაახლოების გზებს მაინც რა უდგას წინ!..

„დრინის ხიდის“ დღევანდელ წამკითხველსა და იმ რომანტიკული სულის შემგრძნობს უთუოდ ჩაესახება სურვილი, მოხვდეს იმ მიდამოებში და საკუთარი თვალით იხილოს, როგორ გადაივლის ხიდსა და მის კაპიაზე ოთხსაუკუნენახევრიანი ისტორია... და იმ ნათელსაც მოკრას მზერა, სვეტად რომ ეშვება ვიშეგრადელი წამებულის სამარეზე. და რა გასაკვირია, რომ ამ რომანის ერთ-ერთი მთარგმნელი (ზაქარია მამისაშვილთან ერთად) **მედეა კახიძე** საგანგებოდ რომ მოინახულებდა იქაურობას და აღტაცებულიც მიაჩერდებოდა ხიდსაც, კლდეებს შორის მოქცეულ მდინარესაც და ფერდობზე გაშენებულ ქალაქსაც, საქართველოს რომ მოაგონებდა და თავისთვის დაიდასტურებდა, თუ რატომ ემშობლიურა იმთავითვე ივო ანდრიჩის მხატვრული სამყაროც და მისი ერთ-ერთი ბურჯიც, სამყარო, რომლის შუაგულშიც დგას ადამიანი თავისი ხვედრითა და ბედისწერით, და მწერალი არამარტო ხედავს ბედისწერის ქროლვაში მოყოლილ ადამიანს, არამედ ღრმად წვდება და კიდეც ენივთება მის ხვედრს, საკუთარ სულს შთაბერავს, საკუთარი სისხლით ათბობს და აქცევს თავისი მონათხრობის ცოცხალ ქსოვილად.

ივო ანდრიჩი მარტოდენ კი არ ქადაგებდა ამ აუცილებლობას, თვითონვე აღასრულებდა და სევდიანი მზერით გაჰყურებდა დრო-ჟამს – ერთიანსა და დაუნაწევრებელს.

როსტომ ჩხეიძე

თავი პირველი

ციცაბო, კლდოვანი მთების ღრმა ვიწროებში, ფლატე ნაპირებიან ხეობაში მოაგელვებს ტალღებს მდინარე დრინა. მხოლოდ რამდენიმე ადგილას იშლება მდინარე. ხან ერთ ხან კი ორივე ნაპირზე მზიანი ველი გაიელვებს, შიგადაშიგ არცთუ მაღალი, ტალღისებური ბორცვებით დასერილი. ეს სახნავ-სათესად თუ ადამიანის საცხოვრებლად გამოსადეგი ფერდობებია.

ერთ-ერთი ასეთი ველი ქალაქ ვიშეგრადსაც აკრავს, იქ, სადაც დრინა მკვეთრად უხვევს და თავს აღწევს იმ ღრმა ვიწროებს, ბუტკოვის კლდეები და უზაენიცკის მთები რომ ქმნიან.

დრინას ეს მოსახვევი იმდენად მკვეთრია და ფრიალო, ქარაფებიც ისე ეკვრიან ერთმანეთს, რომ ერთიანი ქვის მასივი გეგონება. აქედან ისე მოშხუის დრინა, თითქოს შავბნელ კლდეს თავი დააღწიაო.

მერე მთები ერთბაშად სხვადასხვა მიმართულებით გარბიან და უსწორმასწორო ამფითეატრს ქმნიან. ამფითეატრის მწვერვალებს შორის მოქცეული ყველაზე ფართო ადგილი, ისე, თვალით რომ გაზომო, დიდი-დიდი თხუთმეტი კილომეტრი თუ იქნება.

იქ, სადაც დრინა მწვანე და აქაფებული ტალღების ქუხილით თავს აღწევს შავსა და ციცაბო კლდეების ჯებირს, თერთმეტთაღიანი, თლილი ქვისაგან ოსტატურად ნაშენი ხიდი აღმართულა.

ხიდის მახლობლად, რომელიც თავი და თავია, რაც აქ ადამიანის ხელს შეუქმნია, ვეებერთელა მარაოსავით გადაშლილა დიდი, ბორცვებიანი ველი.

სწორედ აქ გაუშენებიათ ქალაქი ვიშეგრადი, მთათა კალთების ნაოჭებში ჩაკარგული სოფლებითა და ახალშენებით.

ქალაქის შემოგარენი ყანებით, საძოვრებით, ქლიავის ბაღებით დაფარულა, მიჯნებითა და მესერებით დასერილა. აქა-იქ ბუჩქნარი და მეჩხერი ნაძვნარია მიმოფანტული.

ამიტომ შორიდან ისე მოგეჩვენებათ, თითქოს თეთრი ხიდის ფართო თაღებიდან უსაზღვროდ იღვრება არა მარტო მწვანე დრინა, არამედ მზით ძუძუნაწოვი გაფუფუნებული მიწა და ყველაფერი, რაც კი მიწაზე არსებობს, თვით მასზე დამხობილი სამხრეთის ზეცაც კი.

მდინარის მარჯვენა მხარეს, ქალაქის შუაგულში, საბაზრო მოედანს ველის ნაწილი და ახლომახლო ფერდობები უკავია. მისი მარცხენა სანაპიროს გასწვრივ, სარაევოში მიმავალ გზაზე ქალაქის გარეუბნის მალუხის მინდვრის პატარ-პატარა სახლები მოჩანს. ასე რომ, ხიდი სარაევოს გზის ორივე ბოლოსაც აერთებს და ქალაქს გარეუბანთანაც აკავშირებს.

ხიდი რომ ამ გზებს აერთებს ისეთივე უტყუარი ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ მზე ამოდის და დილაობით საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ირგვლივ გადაშლილი გარემო და ყოველდღიურ ფერხულში ჩავებათ. საღამოს კი, მზის ჩასვლის შემდეგ, მთელი დღის დაღლილ-დაქანცულმა დავისვენოთ.

— დიახ! ეს ქვის დიდი ხიდი, მართლაც არაჩვეულებრივად ლამაზი და ფასდაუდებელი ნაგებობაა, ვერც ერთ მდიდარი სავაჭრო ქალაქი ვერ დაიკვეხნის ამგვარი ხიდით.

ძველად ამბობდნენ, „სამეფოში ამის მსგავსი კიდევ ორი სხვა ხიდი თუ მოიძებნებაო". მთელ დრინაზე მხოლოდ ეს ერთადერთი ხიდია მგზავრების მუდმივი და საიმედო გადასასვლელი. ეს ხიდია მდინარისაგან ორად გაწყვეტილი გზის დამაკავშირებელი რგოლი — ეს ხიდი ბოსნიას სერბიასთან აკავშირებს, სერბიის გავლით კი გზა თურქეთის სამეფოს დაშორებულ ოლქამდე, თვით სტამბულამდეც კი მიდის. თვითონ ქალაქი თავისი გარეუბნებით არაფრით გამოირჩევა იმ დასახლებებისაგან, რომლებსაც აუცილებლად წარმოშობს ხოლმე სავაჭრო გზებისა და ისეთი დიდი ხიდების სიახლოვე, ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ აქვს.

აქაც ასე იყო. გადიოდა დრო, ხიდის გაღმა-გამოღმა სახლები შენდებოდა, მრავლდებოდა ახალშენები. ხიდი ზრდაში ხელს უწყობდა ქალაქს და უკვდავების ხესავის სასიცოცხლო ძალას ანიჭებდა.

ქალაქის ცხოვრებას ღრმად რომ ჩავწვდეთ და ხიდთან მისი ურთიერთობა უფრო ნათელი გახდეს, ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს მეორე ხიდიც, რომლის ქვეშაც სხვა მდინარე მიედინება. ეს მდინარე რზავია და ზედ ფიცრის ხიდია გადებული. ქალაქის ერთ-ერთ განაპირა უბანში რზავი დრინას ერთვის. პატარა და დიდი მდინარის შესაყარში ქვიშნარ ნახევარკუნძულზე ვიშეგრადის მთავარი უბანია გაშენებული, გარეუბნები ხიდების მიღმა, დრინას მარცხენა და რზავის მარჯვენა ნაპირებზეა გადაშლილი. ქალაქს მარცხნიდან დრინა ჩაუდის, მარჯვნივ კი რზავი, ასე რომ, ქალაქი წყლით არის გარშემორტყმული.

თუმცა ქალაქს ხიდიცა და მდინარეც ორი ჰქონდა, მაგრამ ვინც ხიდს ახსენებდა, არასდროს გულისხმობდა რზავის უბრალო და ულამაზო ხის ხიდს, რომელიც არაფრით იყო სათვალიო და მხოლოდ ქალაქელების სასიარულოდ და ნახირის გადასარეკად თუ გამოდგებოდა. როცა ხიდზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, მხოლოდ და მხოლოდ დრინაზე გადებულ ქვის ხიდს გულისხმობდნენ.

დრინის ხიდის სიგანე ათი, სიგრძე კი ორას ორმოცდაათი ნაბიჯია, თუ არ ჩავთვლით ხიდის შუაგულს, სადაც გვერდებზე მიშენებული ორი ერთნაირი ბაქანი ხიდს ორჯერ უფრო განიერს ხდის. ხიდის ამ ადგილს კაპია* ჰქვია. შუათანა ბურჯზე, რომელიც სიმაღლეში განიერდება, ხიდის სავალ ხაზს თამამად და ლამაზად კვეთს მოხმაურე მდინარის მწვანე ტალღებზე დაკიდებული კედელშემოვლებული ორი შვერილი. შვერილთა სიგრძე-სიგანე ხუთიოდე ნაბიჯია და, ხიდის მსგავსად, ქვის მოაჯირით არის შემორაგული. მარცხენა შვერილს დივანს ეძახიან. დივანი ორი საფეხურით არის ამაღლებული და ჩამოსაჯდომები აქვს, საზურგეებად მოაჯირია გამოყენებული. როგორც საფეხურები, ისე ჩამოსაჯდომები და მოაჯირები ღია ფერის ერთი ქვის ლოდიდან გამოთლილს ჰგავს. დივანის მოპირდაპირე მარჯვენა შვერილი მის ზუსტ ორეულს წარმოადგენს, იმ განსხვავებით, რომ ჩამოსაჯდომები არა აქვს. მოაჯირით შემორკალული ამ ბაქნის შუა ადგილას კაცის სიმაღლე ქვის კედელია აღმართული. კედლის ზემო ნაწილში თეთრი მარმარილოს დაფაა ჩასმული, ზედ თურქული ცამეტბწკარიანი წარწერა — ტარიხია ამოკვეთილი, რომელიც ქვეყნიერებას ხიდის ამშენებლის სახელსა და აშენების თარიღს ამცნობს. კედლის ძირში ქვის ურჩხულის ხახიდან წვრილ ჭავლებად გადმოსჩქეფს წყალი. იქვე მარმარილოს დაფის ქვეშ ყანის მეპატრონე მოკალათებულა. აქვეა პატარა ბიჭი, ერთი ბაქნიდან მეორეზე რომ გარბი-გამორბის და დივანზე ჩამომჯდარ ქალაქელებს ცხელი ყავით უმასპინძლდება.

ასეთი გახლავთ კაპია.

მომავალში დავინახავთ, რომ ხიდი თავისი კაპიით ყველა იმ ცვლილების მუდმივი მოწმეა, რაც ვიშეგრადელების ცხოვრებაში მომხდარა. საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებზე მსჯელობისა თუ პირადი ან ოჯახური ამბების მოყოლისას ყოველთვის გაიგონებთ სიტყვას „ხიდზე“.

---

* კაპია — თურქულად ჭიშკარს ნიშნავს.

ხიდი ბავშვების სასეირნო და გასართობი ადგილიცაა. მარცხენა სანაპიროზე მცხოვრებ ქრისტიან ბავშვებს დაბადების პირველ კვირადღესვე უხდებათ ხიდზე გასვლა, როცა ისინი ეკლესიაში მოსანათლავად მიჰყავთ. მარჯვენა სანაპიროს ბავშვები, მათ შორის მუსულმანთა შვილებიც, რომლებსაც მამა-პაპათა ჩვეულებისამებრ საერთოდ არ ნათლავენ, უმეტეს დროს მაინც ხიდზე ან ხიდის სიახლოვეს ატარებენ. აქვე ხიდთან თევზაობენ ან ხიდის თაღებქვეშ მტრედებს იჭერენ. ბავშვების თვალი პატარაობიდანვე ეჩვევა ღია ფერის, ნასვრეტებიანი ქვისგან მშვენივრად ნაშენები დიდი ნაგებობის მოხდენილ ხაზებს. ბავშვებმა კარგად იციან ყველა შვერილი თუ ნიში და ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა თქმულება და ლეგენდა, სადაც ზღაპარივით ერთმანეთზეა გადახლართული ტყუილი და მართალი, ცხადი და სიზმარი.

ბავშვებს ისე შესისხლხორცებოდათ ეს ლეგენდები, თითქოს მათთან ერთად დაბადებულანო. ლეგენდები ლოცვებივით ზეპირად იციან, ყოველთვის ახსოვთ, მაგრამ არასდროს დაფიქრებულან, როდის ან ვისგან აქვთ ნასწავლი.

ბავშვებმა იცოდნენ, რომ ხიდი დიდმა ვეზირმა, ქალაქის ახლო მთიან სოფელ სოკოლოვიჩში დაბადებულმა, მეჰმედ ფაშამ* ააშენა. მართლაც, მარტო ვეზირს თუ ექნებოდა იმდენი სიმდიდრე, რომ ქვისაგან ასეთი საოცრება შეექმნა. ბავშვებს ვეზირი რაღაც ბრწყინვალე, ვეებერთელა და საშინელ კაცად ესახებოდათ.

ხიდი ხუროთმოძღვარმა რადემ ააგო. ყველა მარადიული და ულამაზესი ნაგებობა, რაც კი სერბიის მიწაზე არსებობს და ამ ხუროთმოძღვრის სახელს უკავშირებენ, მართლა რადეს რომ აეშენებინა, რამდენიმე საუკუნე მაინც უნდა ეცოცხლა. სინამდვილეში რადე მხოლოდ ლეგენდებში ცოცხლობს და გარკვეული სახე არცა აქვს. ხუროთმოძღვარი ხალხის ფანტაზიამ და ნებამ შექმნა, ხალხს არ სურს მეხსიერება დაიტვირთოს და თუნდაც მოგონებით ვინმეს წინაშე თავი ვალდებულად ცნოს.

ბავშვებმა იცოდნენ, რომ ხიდის მშენებლობას ალი უშლიდა ხელს. დღისით აშენებულ ხიდს ალი საღამოობით ანგრევდა. რადგან დასაბამიდან ალი ადამიანს ემტერება და ყველაფერს აფუჭებს, რასაც ადამიანი ქმნის. ასე მეორდებოდა, ვიდრე წყლიდან იდუმალი ხმა არ მოესმათ. ეს

* მეჰმედ ფაშა სოკოლი – თურქეთის დიდი ვეზირი, ცხოვრობდა XVI საუკუნეში. წარმოშობით სერბი – ბოსნიელი იყო, ვიშეგრადის მახლობელი სოფლიდან.

ხმა ხუროთმოძღვარ რადეს აფიცებდა, მოეძებნა ტყუპი და-ძმა სტოია და ოსტოია და მდინარის შუა ბურჯში ჩაეტანებინა.

მაშინ, მთელ ბოსნიაში მოჰყვნენ ბავშვების ძებნას. ვინც ბავშვებს იპოვიდა და ხუროთმოძღვარს მიჰგვრიდა, დიდ ჯილდოსა ჰპირდებოდნენ.

ბოლოს ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში ჩაფრებმა ტყუპებს მიაგნეს და მძლეთამძლე ვეზირის სახელით ძუძუთა ბავშვები დედას გულიდან აგლიჯეს. დედა შვილებს ვერ შეელია, ლანძღვა-გინებისა და ცემა-ტყეპის მიუხედავად, დარდით გულდამძიმებულმა და დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილმა ვიშეგრადამდე ლასლასით სდია ბავშვებს და, როგორც იქნა, ხუროთმოძღვრის ნახვა მოახერხა, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ იყო, ტყუპები კედელში ჩაატანეს. როგორც ამბობენ, ხუროთმოძღვარმა შეიბრალა უბედური დედა და ბრძანა კედელში ხვრელი დაეტანებინათ, რომ ბედკრულ დედას შეძლებოდა მსხვერპლად შეწირული შვილებისათვის ძუძუ ენოვებინა. ამ ოსტატურად გაჭრილ, სათოფურივით ვიწრო ხვრელში ახლა გვიძინები ბუდობენ.

მას შემდეგ ასეული წელი გავიდა და ახლაც, იმ საშინელი ამბის არდასავიწყებლად, ქვებიდან ისევ დედის რძე მოჟონავს. წელიწადის რომელიღაც დროში უზადოდ ნაშენი ხიდის ბურჯები მოთეთრო-რძისფერი წვეთებით იფარება და მისი კვალი წარუშლელად აჩნდება ქვას.

დედის რძე ბავშვებს რაღაც ძალიან ნაცნობ, ისეთივე ბუნდოვან და შეუცნობელ მოგონებებს უღვიძებს, როგორიც თვით ვეზირი და ხუროთმოძღვარია. ქვაზე შემხმარი რძე გარწმუნებთ და გზარავთ. ხალხი კედლებზე შემხმარ რძეს ფხეკს, ფხვნილად აგროვებს და წამლად ყიდულობენ მშობიარობის შემდეგ რძეგამშრალი დედები.

ხიდის შუა ბურჯზე, კაპიის ქვეშ, უსაგდულო კარის მსგავსი დიდი ჩაღრმავებული ადგილია, რომელიც გიგანტურ ამბრაზურას წააგავს. ამბობენ, ეს ჩაღრმავება ფართო და ბნელი ოთახისაკენ მიდის, სადაც შავი ზანგი ცხოვრობსო. ეს ყველა ბავშვმა იცის და მათ სიზმრებსა თუ გართობა-თამაშობებში ზანგს დიდი ადგილი უკავია. ვისაც ზანგი გამოეცხადება, იმას სიკვდილი არ ასცდება, თუმცა აქამდე ჯერ ზანგი არავის უნახავს და ჯერაც არავინ მომკვდარა. თუმცა ერთ ღამეს ლოთბაზარა, თვალებდაწითლებულ და ხმაჩახლეჩილ მებარგულე ჰამიდს ზანგი გამოეცხადა. ჰამიდს იმავე ღამით მართლა კედელთან აღმოხდა სული.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მაგრად გამომთვრალი ჰამიდი დასაძინებლად ღია ცისქვეშ ხიდზე მიწოლილა. იმ ღამით ყინავდა და ტემპერატურა –15 გრადუსამდე დაწეულა.

სანაპიროზე მოთამაშე ბავშვები ხშირად იჭვრიტებიან იმ ბნელ ჭრილში, რომელიც უფსკრულის მსგავსად კაცს კიდეც აშინებს და კიდევაც იზიდავს. ბავშვები დათქვამდნენ ხოლმე, ყველამ თვალმოუშორებლად ვიყუროთ ხვრელში და ვინც პირველი მოჰკრავს თვალს რამეს, იმ წუთშივე დაიყვიროსო. ასე თვალებდაჭყეტილები ცნობისმოყვარეობითა და შიშისაგან აცახცახებულნი თვალის დაუხამხამებლად იყურებიან შავბნელ ხვრელში, ვიდრე რომელიმე მგრძნობიარე ბიჭს არ მოელანდება, რომ შავი ფარდა შეირხა და რაღაც ატორტმანდა ან სულაც რომელიმე კვიმატი და დაუდევარი ბიჭი (ასეთი კი ყოველთვის მოიძებნება თანატოლებში) უეცრად არ წამოიყვირებს „ზანგი" და მაშინვე არ მოკურცხლავს. ამის გამო თამაშობა იშლება და გული სწყდებათ, იმედი უცრუვდებათ იმათ, ვისაც ეჯავრება საღი ირონია, უყვარს ოცნება და სჯერა, რომ შავბნელ ხვრელში დაჟინებული ყურებით შეიძლება მართლაც რაღაც აღმოაჩინონ და ახალ-ახალ განცდებს საკვები მისცენ.

ღამღამობით კი ბევრი მათგანი ძილში წრიალებს და ზანგზე ბოდავს, ვიდრე დედა გონში ჩააგდებს და საშინელი სიზმრის კლანჭებს არ გამოსტაცებს. დედა ბავშვს ცივ წყალს ასმევს და აიძულებს ღმერთი ახსენოს, რათა შიშის ციებ-ცხელებამ გაუაროს. მერე მთელი დღის თამაშით დაღლილი ბიჭი ყინჩი, ბავშვური ძილით იძინებს, რომლის წინაშე შიში უკვე უძლურია.

ხიდის ზევით, რუხი კირქვის ფრიალო ნაპირებზე ახალ-ახალი, მრგვალი ღრმულები მოჩანს. შეწყვილებული ფოსოები ერთმანეთისაგან თანაბარ მანძილზე ისე არიან დაშორებულნი, გეგონებათ კირქვა რომელიღაც ბუმბერაზი რაშის ფლოქვების ნაკვალევისაგან ჩაზნექილაო. ეს ნაკვალევი ზემოდან, ძველი ქალაქის მხრიდან მოემართება, ციცაბოს ჩამოსდევს და თავქვე მდინარისკენ ეშვება. მერე გაღმა ნაპირზეც გადადის და შორს შავ მიწასა და ხასხასა ბალახებში უჩინარდება.

ზაფხულის გრძელ დღეებში კლდოვან ნაპირებთან ბიჭები მთელი დღეობით დგანან და ჭიჭყინებს იჭერენ. მათ კარგად იციან, რომ კლდეზე დაჭდეული ნაფეხურები შორეული დროის მეომართა ნაკვალევია. იმ გარდასულ ჟამს გოლიათი გმირები ცხოვრობდნენ, ცხენ-

ებიც შესაფერისი, ზღაპრულად ბუმბერაზები ჰყავდათ. იმხანად ჯერ კიდევ გაუკაჟებელი, კირქვა თიხასავით რბილი იყო. სერბიელი ბიჭებისთვის რომ გეკითხათ, გეტყოდნენ, რომ ცხენების ფლოქვების ნაკვალევი იმდროინდელია, როცა უფლისწული მარკო* ზევით, ძველი ქალაქის ციხეში იტანჯებოდა, საიდანაც გაიქცა, მთიდან ძირს ჩამოენთო და დრინა გადაცურა, რადგან უწინ მდინარეზე ხიდი ჯერ კიდევ არ იყოო. თურქი ბიჭები კი დარწმუნებულნი არიან, რომ უფლისწული მარკო კი არა (როგორ ექნებოდა ვლახს და ისიც ნაბუშარს ასეთი ძალა და საიდან ეყოლებოდა ასეთი ცხენი) ჯერზელეზ ალია** იყო, თავისი ფრთოსანი არაბული ქურანათი რომ გადაიქროლა. მათი მტკიცებით, რაინდი არაფრად აგდებდა ფონსა თუ გადასასვლელებს, მებორნეები ჭირის დღესავით სძულდა. ისე გადააფრინდებოდა ხოლმე მდინარეებს, თითქოს ნაკადულები ყოფილიყოს.

ორივე მხარე ისე ღრმადაა დარწმუნებული თავის სიმართლეში, რომ ამაზე აღარც კი დავობენ. ჯერაც არავის ახსოვს ვინმეს ნათქვამი გადაეთქვას ანდა სხვა გადაერწმუნებინოს.

ამ მრგვალ, ფართო და ღრმა ფოსოების ქვის ფიალებში დიდხნობით გუბდება წვიმის ნაჟური.

ბავშვები ნაწვიმარი წყლით სავსე ფოსოებს ჭებს ეძახიან. ქრისტიანი და მუსულმანი ბიჭები ამ ჭებში ანკესით დაჭერილ ციმორებსა და ნაფოტა თევზებს ინახავენ.

მარცხენა სანაპიროზე, ზედ გზასთან, დიდი ბორცვია წამოზიდული. გაქვავებული მიწა მაგარი და რუხი ფერისაა და ნემსივით ჩხვლეტია. ჯუჯა ბალახის მეტი ზედ არაფერი იზრდება. ამ ადგილს ოდესღაც რადისავის საფლავს ეძახდნენ. ამბობენ, სერბთა ბელადი რადისავი ძლიერი ვაჟკაცი იყოო. როცა ვეზირმა მეჰმედ ფაშამ დრინაზე ხიდის აშენება გადაწყვიტა და ხალხი გამოგზავნა, ბრძანებას არავინ გაურჩევია და უსიტყვოდ წავიდნენ ყულუხის*** მოსახდელად. მარტო რადისავი არ დაემორჩილა. ხალხი აამხედრა და ვეზირს განზრახვაზე ხელის აღება მოსთხოვა, რადგან ქვეყანას მძიმე ტვირთად დააწვა დრინაზე ხიდის აშენება. რა არ იღონა ვეზირმა რადისავის დასაძლევად. ტყუილად როდი დაიმკვიდრა რადისავმა ხალხში გმირის სახელი. არც ხმალი

---

* უფლისწული მარკო – სერბიული ეპოსის გამორჩენილი გმირი. მისი პროტოტიპია მაკედონელ-სერბიელი მარკო. იგი თურქეთის სულთნის ვასალი იყო, ვასალობის ვოევოდასთან ბრძოლაში დაეცა 1394 წ.

** ჯერზელეზ ალია – სერბი და ალბანელი მუსულმანების დიდი გმირი.

*** ყულუხი – ოტომანის იმპერიაში სახელმწიფო-შრომითი ბეგარის ერთ-ერთი სახე.

ეკარებოდა და არც ტყვია. მთელ ქვეყანაზე ისეთ ჯაჭვსა და თოკს სად იპოვიდი, ძაფივით არ დაეწყვიტა. რადისავი თილისმას ატარებდა. ვინ იცის, საქმე როგორ შეტრიალდებოდა, შეძლებდა კი ვეზირი როდისმე ხიდის აშენებას, მის მხლებლებში გამოცდილი და ჭკვიანი კაცი რომ არ გამორეულიყო, რომელმაც რადისავის მსახური მოისყიდა და ბატონის საიდუმლო გამოსტყუა. მაშინ მოულოდნელად დაეცნენ თავს მძინარე რადისავს, რადისავის თილისმა აბრეშუმის შეხებაზე ძალას კარგავდა, ისიც აბრეშუმის თოკით გაბაწრეს და მოახრჩვეს კიდეც.

ჩვენმა ქალებმა კარგად იციან, რომ წელიწადის ერთ-ერთ ღამეს ყველას შეუძლია დაინახოს როგორ ეშვება ზეციდან ბორცვზე თეთრად მოკაშკაშე შუქი. ეს ზაფხულის მიწურულს, ღვთისმშობლის მიძინებასა და შობის შუალედში ხდება ხოლმე. მაგრამ ამ შუქის დანახვის მოსურნე ვერც ერთი ბავშვი რადისავის საფლავის მხარეს ფანჯრებზე რომ იყვნენ აკრული, მის დანახვას მაინც ვერ ახერხებდა, რადგან შუაღამემდე ბავშვებს ძილი ართმევდა თავს. სამაგიეროდ, მგზავრებს, რომლებიც ძილს არ დაგიდევდნენ, ღამით ქალაქთან მიახლოვებისას ხიდის ახლოს საფლავის ბორცვზე ნათლის სვეტი ეჩვენებოდათ.

ვიშეგრადელი თურქები კი ძველთაგანვე სხვას ამბობდნენ. მათთვის რომ გეკითხათ, იმ ადგილზე სარწმუნოებისათვის ეწამა და მოკვდა ვინმე დავრიში შეიხი ტურხანია. შეიხი გამოჩენილი გმირი იყო და დრინის გადასასვლელს გიაურებისაგან იცავდაო. ბორცვზე რომ არც ძეგლია და არც აკლდამაა შემორჩენილი, ამას იმით ხსნიან, თითქოს დავრიშს ანდერძით ეთხოვოს, საფლავი უნიშნოდ დატოვეთო, რათა გიაურების შემოსევის დროს ხელახლა მკვდრეთით აღმდგარიყო და გზა გადაეღობა ურწმუნოთათვის, დრინას გაღმა ქრისტიანები არ გადაეშვა, როგორც ეს ოდესღაც მოუმოქმედებია. აი, რისთვის ადგებოდა ხოლმე ციდან მის საფლავს ნათლის შუქი.

ხიდის ქვეშ და მის სიახლოვეს უზრუნველ თამაშსა და დაუცხრომელ ოცნებაში ატარებდნენ ქალაქელი ბავშვები დროს, ხოლო მოწიფულობის ჟამს ხიდზე, უფრო სწორად, კაპიაზე მიდიან, სადაც ჭაბუკებს საოცნებო ახალი სამყარო გადაეშლებათ თვალწინ, სადაც შეიცნობენ მღელვარებას, იწყება ბრძოლა და უჩნდებათ ყოველდღიური საზრუნავი.

კაპიაზე ან მის მახლობლად ეზიარებიან ხოლმე ვიშეგრადელები პირველ სიყვარულს. მორცხვად დათქვამენ პაემანის დღეს ან მხოლოდ

ოცნებობენ ამ დღეზე. აქვე ეცნობიან საქმეებს, ეს არის ვაჭრობის, გაცვლის, ანგარიშსწორების, ჩხუბისა თუ შერიგების ადგილი.

ხიდის ქვის მოაჯირებზე გასაყიდად გამოაქვთ ადრეულა ალუბალი და ნესვი. ვაჭრობენ სასმელებითა და ცხელ-ცხელი პურ-ფუნთუშეულით. აქვე იყრიან თავს მათხოვრები, ხეიბრები თუ კეთროვანები. აქვე სეირნობენ ახოვანი ახალგაზრდები, საკუთარი თავის გამოჩენის სურვილი რომ აწვალებთ და სხვათა თვალის გადავლებაც სწადიათ. ერთმანეთს ხვდება ყველა, ვისაც კი ხეირიანი რამა აქვს გასაყიდი, ხილი იქნება, იარაღი თუ ტანსაცმელი. აქ ხშირად ჩამოჯდებიან ხოლმე საქვეყნო საქმეებსა და ხალხის ჭირ-ვარამზე მოსაუბრე ხანდაზმული, დარბაისელი ადამიანები. უფრო ხშირად კი ახალგაზრდებს ნახავთ, მხოლოდ სიმღერებსა და თავშექცევაზე რომ ფიქრობენ.

იმ კედელზე, სადაც თურქულად ნარწერილი მარმარილოს დაფა და შადრევანია, მნიშვნელოვანი ცვლილებების ან ისტორიულ გადატრიალებათა დღეებში განცხადებებს აკრავენ. 1878 წლამდე* აქ დამნაშავეებს ჩამოხრჩობით სჯიდნენ. აქვე იყო დასჯილთა მარგილზე ჩამოცმული თავები. ამ სასაზღვრო ქალაქში ადამიანებს წარამარა სჯიდნენ, განსაკუთრებით არეულობის ხანაში ისე დღე არ გავიდოდა, ვინმე არ დაესაჯათ.

არც ერთი საქორწინო თუ სამგლოვიარო პროცესია ხიდზე ისე არ გაივლის, კაპიაზე რომ არ შეჩერდეს. აქვე იჭერენ თადარიგს, რათა ბაზრის მოედანზე მწყობრად გაიარონ. მაგრამ, როცა ქვეყანაზე მშვიდობა სუფევს, მაჭანკლები, ჩვეულების მიხედვით, უდარდელად წრუპავენ ქლიავის სასმელს, აქვე წამოიწყებენ სიმღერებს ან სულაც კოლოს** ცეკვავენ, ხშირად იმაზე მეტ ხანს რჩებიან ხიდზე, ვიდრე მათი ადათი ითვალისწინებს.

დაკრძალვის დღეს გამცილებლები ცოტა ხნით სწორედ იმ ქვებზე ასვენებენ მიცვალებულს, სადაც გარდაცვლილს თავისი ცხოვრების უმეტესი დრო გაუტარებია.

კაპია ხიდის გულია ისევე, როგორც თავად ხიდია ქალაქის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი. აი, რა ჩაწერა თავის დღიურში ვიშეგრადელების გულუხვი მასპინძლობის შემდეგ ერთმა თურქმა მოგზაურმა: „კაპია ხიდის გულია, ხიდი კი, თავის მხრივ, ქალაქის გულს წარ-

* წელი, როცა თურქეთის ბოსნია ავსტრია-უნგრეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა.

** კოლო – ხალხური ცეკვაა. მოცეკვავენი ხელჩაკიდებულნი ან ხელგადახვეულნი იმეორებენ მოძრაობას, რომლის იმპროვიზაციასაც წამყვანი აკეთებს. ათეულობით ან ასეულობით ადამიანისაგან შეკრული მწკრივი მოძრაობს, ადგილზე იკლაკნება ან წინ მიემართება.

მოადგენს. კაპია ყველას გულის ფიცარზე ახატია. კაპია დასტურია იმისა, რომ უწინდელ ხუროთმოძღვრებს, როგორც თქმულება ამბობს, ალებთან და ყოველგვარ საოცრებებთან ჰქონიათ საქმე და იძულებული ყოფილან კედლებში ცოცხალი ძუძუთა ბავშვები ჩაეტანებინათ. ისინი მარტო ნაგებობათა გამძლეობასა და სილამაზეზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ იმ სარგებლობასა და ხელსაყრელ პირობებზეც ზრუნავდნენ, რასაც ამ ნაგებობისაგან მათი ყველაზე უფრო შორეული შთამომავლები მიიღებდნენ".

გარდასულ დღეთა კარგი მცოდნე და დაკვირვებული ადამიანი უეჭველად დაასკვნის, რომ ბოსნიაში ბევრისთვის როდი არის ხელმისაწვდომი ისეთი პირობები და სიამოვნება, რასაც ქალაქის ყველა მცხოვრებს, თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო მოქალაქესაც კი კაპია ანიჭებს.

რა თქმა უნდა, ზამთარი ანგარიშში არ ითვლება. ზამთარში ხიდზე გადაუდებელი საქმის გამო თუ გაივლიან. მდინარეზე განუწყვეტლივ ცივი ქარი უბერავს და გამვლელი იძულებულია ნაბიჯს მოუჩქაროს, ქარს ზურგი შეაქციოს. რასაკვირველია, არც არავინ ჩერდება კაპიის ღია მოედანზე. სამაგიეროდ წლის ყველა სხვა დროს კაპია, როგორც მოხუცებისთვის, ისე ახალგაზრდებისთვის ნამდვილი ცხონებაა. აქაურებს როგორც დღისით, ისე ღამით შეუძლიათ მოვიდნენ კაპიაზე, მოკალათდნენ დივანზე ან იქვე დადგნენ, იმსჯელონ ამა თუ იმ საქმეზე ან უბრალოდ იმასლაათონ. ეს ქვის დივანი მდინარის აქოჩრილ, მწვანე ტალღებზე თხუთმეტი მეტრით არის ამაღლებული. გეგონებათ, სამივე მხრიდან მობჯენილ, მუქ მწვანე მთებს შორის ჰაერში მიცურავსო, ზემოდან კი ცის უძირო გუმბათი დასცქერის, მზისით ღრუბლები რომ ცურავენ, ხოლო ღამღამობით უთვალავი ვარსკვლავით მოჭედილი ცა კაშკაშებს. ქვევით, დინებას თუ თვალს გააყოლებთ, გეგონებათ, დრინა შორეული ლურჯი მთებით გადაღობილ ამფითეატრში მიედინებაო. განა ქვეყნად ბევრი ვეზირი ან ბობოლა მოიძებნება, ვისაც შეუძლია მხიარული თუ ნაღვლიანი დღეები გაატაროს ან განცხრომას მიეცეს და ისეთ მშვენიერ ადგილზე დაისვენოს, როგორც კაპიაა?

— რასაკვირველია, არა!

ვინ იცის, საუკუნეების მანძილზე, თაობიდან თაობამდე, რამდენი ვიშეგრადელი შეხვედრია აქ ალიონს, საღამო გაუტარებია და დაღამებისას უცქერია, როგორ შეუმჩნევლად მოძრაობს ვარსკვლავებით მოჭედილი უსასრულო ცის თაღი.

ბევრი, ბევრი მათგანი მდგარა აქ თავდახრილი მთებში მონავარდე ღრუბელთა ჩრდილებისაგან უცნაურად ფერშეცვლილ, გლუვ თლილ ქვებს მიყრდნობილი და ფიქრებში ჩაძირულს დინჯად უცდია ქალაქისა და ქალაქელების სხვადასხვაგვარად გადანასკვული ბედის ამოხსნა. ოდესღაც ერთ უცხოელს უთქვამს, კაპიამ გავლენა მოახდინა როგორც ქალაქის ბედზე, ისე მის მცხოვრებთა ბუნებაზეო. თურმე იმასაც ამტკიცებდა, კაპიაზე უქმად ჯდომის ბრალია, რომ აქაურ მცხოვრებლებს ფიქრი და ოცნება უყვართ და მათი უდარდელობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ამაში უნდა ვეძიოთო.

ყოველ შემთხვევაში, არავინ უარყოფს, რომ ვიშეგრადელები ძველთაგანვე უფრო თავქარიანი, მფლანგველი, სიამოვნების მოყვარული ხალხია, ვიდრე სხვა რომელიმე ქალაქის მცხოვრებნი. ქალაქს საამისოდ ხელსაყრელი პირობები აქვს. გარშემო მდებარე სოფლები ხალხმრავალი და მდიდარია. ვიშეგრადში ფული უხვად მოედინება, მაგრამ არც იქ იდებს დვრიტას. და თუ ქალაქში მაინც მოიძებნება ვინმე ხელმომჭირნე, შინიდან გაუსვლელი, ბაიყუში მეპატრონე, იგი უეჭველად ჩამოსული კაცი იქნება. ეტყობა, ჰაერი და წყალია ისეთი, რადგან ვიშეგრადელები ბავშვობიდანვე ვერ ახერხებენ ხელმომჭირნეობას და მთელი ცხოვრების მანძილზე აქაურებს ავლადიდება წყალივით ხელიდან ეღვრებათ. გამფლანგველობისა და უდარდელობის საერთო სენს აყოლილები ერთი ანდაზით ცხოვრობენ: „ხვალემ იკითხოს ხვალისაო".

ამბობენ, როცა ნოვაკს* სიბერემ კარზე მოუკაკუნა, რომანიაში ძარცვა-გლეჯაზე ხელი აიღო და უზრუნველ ცხოვრებას მიეცაო. თავის აღზრდილ გულად გრუიცას კი ასეთი დარიგება მისცა: თუ გზაზე ჩასაფრებულმა, ცხენზე ამაყად მჯდარი, მუხლებამდე თეთრ გამაშებში გამოწყობილი, ვერცხლისფერ ბალთებასხმული, წითელჟილეტიანი კაცი დალანდო, იცოდე, ფოჩის მკვიდრი იქნება, მაშინვე თავს დაესხი, რადგან ჯიბეები და ხურჯინი ფულით ექნება გამოტენილიო. თუ თავჩაქინდრული, საწყლად ჩაცმული მხედარი მოდიოდეს, თანაც ცხენზე ისე იჯდეს, თითქოს მოწყალებას თხოულობსო, იმასაც უშიშრად დაეცი თავს, როგატიცელი იქნება, ისინი ერთმანეთზე უარესი ქვაწვიები არიან, თავს ისაწყლებენ, ფული კი ჩეჩქივით აქვთ, ხოლო თუ უნაგირზე ფეხებგადაჯვარედინებული, თითქოს შეშლილი იერის კაცი შემოგხ-

* ნოვაკი — სერბიული ხალხური სიმღერების ლეგენდარული გმირი.

ვდეს, შარკიას* გატაცებით უკრავდეს და იქაურობას სიმღერით აყრუებდეს, არ მიეკარო, ტყუილად ხელს ნუ გაისვრი, გაუშვი, თავისი გზით იაროს, ეგ ცარიელ-ტარიელი, ჯიბეგამოფხეკილი ვიშეგრადელი იქნებაო.

ეს ყველაფერი თითქოსდა ადასტურებს უცხოელის ნათქვამს. თუმცა ძნელია დაბეჯითებით იმის მტკიცება, რამდენად მართალი იყო მისი შენიშვნა.

აქაც ისევე, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ძნელია დაადგინო, რომელია მიზეზი და რომელი შედეგი: კაპიამ აქცია ისინი ასეთნაირ ადამიანებად თუ პირიქით, ადამიანებმა გახადეს კაპია თავიანთი შეხედულებისა და ჩვევების, მათივე მოთხოვნილებისა და გემოვნების მიხედვით. ეს უსარგებლო და ქარაფშუტული შეკითხვაა.

ქვეყნად არ არსებობს შემთხვევითი ნაგებობა, რომელიც არ ესადაგებოდეს მისი შემქმნელი საზოგადოების მოთხოვნებს, სურვილებს. არქიტექტურა ვერ ითმენს ნებისმიერ ხაზებსა და ჩანაფიქრით გაუმართლებელ ფორმებს.

ხალხისთვის სასარგებლო ყველა უდიდესი და ულამაზესი ნაგებობის შექმნა ისევე, როგორც მისი კავშირი იმ ადამიანებთან, ვისთვისაც ის არსებობს, ხშირად რთულსა და საიდუმლო ამბებს შეიცავს, ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცნობილია: ქალაქის მკვიდრთა ცხოვრებასა და დრინაზე გადებულ ხიდს შორის მუდმივი, საუკუნო კავშირი არსებობს.

ადამიანთა და ხიდის ბედ-იღბალი იმდენად გადაჯაჭვულა ერთმანეთთან, რომ მათი დაშორიშორება და ცალ-ცალკე წარმოდგენა შეუძლებელია.

აი რატომაა, რომ ხიდის აშენებისა და მისი ბედ-იღბლის მოყოლა ერთდროულად ქალაქისა და მის მკვიდრთა ოცი თაობის ცხოვრების ამბის გადმოცემაცაა. ზუსტად ისევე, როგორც ქალაქზე შექმნილ ყველა ამბავს თავისი კვალი დააჩნია თერთმეტთაღიანმა ქვის ხიდმა თავისი კაპიით, მის შუა ნაწილში გვირგვინივით რომ ამაღლებულა.

* შარკია — გიტარის მსგავსი მუსიკალური საკრავი.

თავი მეორე

ახლა მივუბრუნდეთ იმ დროს, როცა ამ ადგილებში ხიდის აგებაზე არავინ ფიქრობდა. ყოველ შემთხვევაში, ისეთი ხიდის აშენება, ახლა რომ დგას ქალაქთან ახლოს, თავში აზრადაც არავის მოსდიოდა.

ვინ იცის, იმ შორეულ ჟამს რამდენი გალუმპული და სიარულისაგან ფეხებდაგრძელებული მგზავრი ოცნებობდა, ამ ფართო და ბობოქარ მდინარეზე რაღაც სასწაულით ხიდი გაკიდულიყო და მის ძნელად სავალ გზას შეღავათი მისცემოდა. არც ის დააეჭვებს ვინმეს, რომ მას აქეთ, რაც დედამიწაზე გაჩნდა ადამიანი და მოგზაურობა დაიწყო, თავს იტეხდა, როგორმე გადაელახა და გაეადვილებინა გზაზე შეხვედრილი დაბრკოლებანი, — ისევე როგორც ყველა მოგზაური ოცნებობს ხეირიან გზაზე, კარგ თანამგზავრზე და მყუდრო ღამის გასათევზე. მაგრამ ადამიანის ყველა სურვილი როდი სრულდება, არც ყველა ოცნებაშია ხორცშესხმის რწმენა და ძალა.

ხიდის პირველი ზმანება, რასაც თურმე ახდენა ეწერა, ჩაისახა ათი წლის სოკოლოვიჩელი ბიჭუნას წარმოდგენაში, მაგრამ იგი ისევე ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, როგორც ყველა ოცნება. ბიჭი მაშინ მშობლიური სოფლიდან შორეულ, დიდებულ და ავბედით სტამბულში მიჰყავდაც. ეს იყო 1516 წლის ერთ მშვენიერ დილით*.

ჭირვეული და ვერაგი, მთის სწრაფი მდინარე დრინა ფრიალო ციცაბო ნაპირებს შუა ამ ლოდებსა და ქვიშიან მეჩეჩებზე მაშინაც ასე გამალებით მოაგორებდა მწვანე ტალღებს.

ქალაქი იმთავითვე არსებობდა, ოღონდ იერი ჰქონდა სხვანაირი და არც სიდიდით იყო ამხელა. მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ციცაბო გორაკის კორწოხზე, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილა ნანგრევები, წამოჭიმული იყო კარგად შენახული, სქელ კედლებში ჩამჯდარი ციხე-გოდოლებიანი ძველი ქალაქი — ბოსნიის სამეფოს აღორძინების ხანის მძლავრი ციხე-სიმაგრე, რომელიც ერთ-ერთმა უძლიერესმა ფეოდალმა პავლოვიჩმა** ააშენა.

ქალაქის გასწვრივ ფერდობების კალთებს ქრისტიანული სოფლები მეიდანი, ბიკოვეცი და გათურქებული ახალშენი დუშჩე შეფარებოდა.

---

* 1516 წელს მომავალი დიდი ვეზირი მეჰმედ ფაშა სოკოლი ათი წლის ასაკში ბოსნიიდან სტამბულში წაიყვანეს.

** პავლოვიჩი — ბოსნიის სამეფოს დამოუკიდებლობის ეპოქის ნახევრად ლეგენდარული სერბი ფეოდალი, XIV საუკუნე.

ქვევით, დრინასა და რზავას ხეობაში, სადაც მოგვიანებით ქალაქი გაშენდა, ქალაქელთა კუთვნილი მინდვრები იყო გადაჭიმული. მინდვრებს ძველი გზა კვეთდა. გზის გასწვრივ კი ძველი სასტუმრო, წისქვილი და ქოხმახები იყო ჩამწკრივებული.

იქ, სადაც გზა ზედ დრინას ებჯინება, ვიშეგრადის განთქმული ბორანი იდგა. ბრაზიან, მოუქნელ მებორნე იამაკს მგზავრები დრო-ჟამისაგან ჩაშავებული ბორნით გადაჰყავ-გადმოჰყავდა. ღრმა ძილში წასულ კაცს უფრო ადვილად ჩააგდებდი გონს, ვიდრე მღვიძარე იამაკს.

გოლიათ მებორნეს ღონეც გოლიათური ჰქონდა. გაუთავებელ ომებში ბევრი გადასატანი გადაიტანა და სახელიც გაითქვა, ომში ცალთვალა დარჩა, ყურიც დაკარგა და ხის ფეხი გაიხადა მუდმივ მეგზურად. მუდამ დაქრუშულსა და გაუცინარს დინჯად მუშაობა უყვარდა და წესებს არ დაგიდევდა. სამაგიეროდ, მასზე მინდობილ ადამიანებსა და საქონელს საფრთხეში არასოდეს ჩააგდებდა.

როცა სიტყვა მებორნეზე ჩამოვარდებოდა, მაშინვე მის უმწიკვლო პატიოსნებას ახსენებდნენ, ყველა იცნობდა როგორც თავისებურს, მიუდგომელსა და უსაზღვროდ სანდო ადამიანს.

იამაკს მგზავრებთან გამოლაპარაკება და დაახლოება არ უყვარდა. საზღაურად მგზავრები შავ ფულს ბორანზევე უყრიდნენ და ხურდა ფული მუდამ წყალსა და ქვიშაში იყო არეული.

საღამოთი კი მებორნე დაუდევრად შეაგროვებდა ხოლმე ფულს იმავე ხის ყოშით, ბორნის ფსკერიდან წყლის ამოსახაპავად რომ ხმარობდა და ნაპირზე თავის ქოხს მიაშურებდა.

ბორანი მხოლოდ მაშინ მუშაობდა, როცა მდინარეში წყალი თავის დონეზე იდგა ანდა ოდნავ მოიმატებდა. როგორც კი დრინა მოდიდდებოდა და წყალი მონიშნულ ადგილამდე ავიდოდა, იამაკი თავის ჯაბახანა ბორანს მდინარის ერთ-ერთ უბეში შეაცურებდა და მაგრად მიაბამდა. მაშინ გაღმა გასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

როცა დრინა ზღვასავით აბობოქრდებოდა, იამაკი საღ ყურსაც იყრუებდა, ანდა სულაც მინდორში მიდიოდა. მაშინ კი შეგეძლოთ დაგენახათ გაღმა ნაპირზე ბოსნიიდან მომდგარი მგზავრები მდინარის პირა ქვებზე დაღვრემილები რომ შედგებოდნენ და მთლად დასველებულები და გათოშილები ამაოდ იყურებოდნენ გაღმა, იქნებ როგორმე ბორანი და მისი პატრონი დავინახოთო. გაცოფებული მდინარის მღვრიე ტალღებზე გაბმული და სასოწარკვეთილი გადაძახილი გადადიოდა:

— ჰე-ჰე-ჰეი! ი-ა-მ-აააკ!

მაგრამ პასუხს არავინ იძლეოდა. ნაპირზე არც არავინ გამოჩნდებოდა, ვიდრე წყალი არ ჩამოიკლებდა. წყლის დონეს კი ისევ პირქუში და სიტყვაძუნწი იამაკი განსაზღვრავდა ხოლმე.

იმ დროისათვის, ჯერ კიდევ პატარა და უსიცოცხლო ქალაქი ზედ ძველი ციხესიმაგრის ციცაბო ბორცვის ფერდობებზე იყო შეყუჟული. მაშინ ქალაქი ისე დიდი როდი იყო, როგორც ხიდის აგების, გზის გაყვანისა და ვაჭრობის გაცხოველების შემდეგ გახდა.

ნოემბრის ერთ დღეს მდინარის მარცხენა ნაპირს დიდი რაზმი მოადგა. გრძელ მწკრივებად დაწალიკებულიყვნენ მაგრად დასაპნული ცხენები. ბორანთან მხედრები ღამის გასათევად დაბანაკდნენ. ეს იანიჩარების წინამძღოლი თურქი აღა იყო, რომელსაც აღმოსავლეთი ბოსნიის სოფლებში „სისხლის ხარკად“ გიაური ბიჭები შეეგროვებინა და შეიარაღებული ამალით ცარგრადში ბრუნდებოდა.

უკვე ექვსი წელი გასულიყო „სისხლის ხარკის“ ბოლო აკრეფის დღიდან. თურქებმა ხარკის შეგროვება ამჯერადაც უმტკივნეულოდ მოახერხეს. იძულებული მშობლები შვილებს ტყეში მალავდნენ, ასწავლიდნენ, როგორ მოეჩვენებინათ თავი ხეიბრებად და ჭკუასუსტებად, ძონძებში გამოხვეულები და ჭუჭყით გაპოხილები დაჰყავდათ. საკუთარ შვილებს ზოგჯერ ხელებზე თითებსაც აჭრიდნენ, თურქებისათვის რომ აეცდინათ. მაგრამ იანიჩრებმა ადვილად შეძლეს ათი-თხუთმეტი წლის გონიერი, ჯანმრთელი და ლამაზი ბიჭების შერჩევა.

დარჩეული ბიჭუნები ბოსნიურ ჯუჯა ცხენებზე შეესხათ და გრძელ ქარავნებად მიდიოდნენ. თითოეულ ცხენს ორ-ორი გოდრულა ეკიდა, გოდრულაში თითო ბიჭუნა იჯდა. ბავშვებს ხელში პატარა ფუთა და ტკბილი ღვეზელი ეჭირათ. ეს იყო უკანასკნელი, რაც მშობლიური სახლიდან რგებოდათ.

გულის გამაწვრილებლად მოჭრიალე გოდრულებიდან მზით გარუჯული, მოტაცებული ბავშვები შეშინებული იმზირებოდნენ. ზოგი მშობლიური მხარის დიდებულ სივრცეს გასცქეროდა, ზოგი ჭამდა და ლუკმას ცრემლს ატანდა, ზოგსაც დატვირთულ უნაგირზე თავი მიედო და ჩასძინებოდა.

ამ უცნაური ქარავნის შორიახლო ილაჯგაწყვეტილი და დარდისაგან გულჩაკლული მშობლები თუ ნათესავები მოჩანჩალებდნენ. მისდევდნენ ბავშვებს, რომლებიც საცაა სამუდამოდ თვალს უნდა მიეფარებოდნენ. უცხო ქვეყანაში კი მათ შვილებს წინადაცვეთას ჩაუტარებდნენ და თურქულ ადათ-წესებზე მოაქცევდნენ. მერე მთელი სიცოცხლე იანი-

ჩარების ლაშქარში იქნებიან. ზოგი დიდ თანამდებობასაც მიაღწევს და თავის რჯულსა და სახელს დაივიწყებს. გამცილებლები, მეტწილად ქალები — მიტაცებული ბავშვების დედები, ბებიები და დები იყვნენ. როცა ქარავანთან ძალზე ახლო მიდიოდნენ, აღას შეიარაღებული ცხენოსნები მუქარით დაერეოდნენ უბედურებს და მათრახების ცემით აწიოკებდნენ. მაშინ ქალები გარბოდნენ და გზისპირა ტყეში იმალებოდნენ, რომ ისევ უკან დასდევნებოდნენ ქარავანს. ყველა ცდილობდა ერთხელ კიდევ დაენახა გოდრულაში ჩამჯდარი წართმეული ბავშვი. ყველაზე მეტ სიჯიუტესა და შეუპოვრობას დედები იჩენდნენ. არაფერს არ აქცევდნენ ყურადღებას, თმაგაჩეჩილები, საკინძე ჩამოგლეჯილები გარბოდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ ქარავანს არ ჩამორჩენოდნენ. ზოგს ყველაფერი დავიწყებოდა და ისე მოსთქვამდა, თითქოს წინ მიცვალებული უსვენიაო, სხვები, როგორც მშობიარე ქალები, სასოწარკვეთით ბღაოდნენ და ტირილით დაოსებულები შოლტსაც არ ეპუებოდნენ. შოლტის ყოველ მოქნევაზე გულდამდუღრულები იმეორებდნენ „სად მიგყავთ, სადა? სად მიგყავთ?“ ზოგი ყვიროდა და ორიოდე სიტყვით ცდილობდა შვილისთვის საბოლოო დარიგება მიეცა, გზა დაელოცა.

— რადე, შვილო, დედა არ დაივიწყო!

— ილია! ილია! ილია! — ყვიროდა მეორე ქალი და სასოწარკვეთილი ეძებდა ძვირფას, ნაცნობ სახეს, ისევ და ისევ უმეორებდა ერთსა და იმავეს, თითქოს უნდოდა ბავშვის ხსოვნაში ღრმად ჩაებეჭდა საკუთარი სახელი, რომელსაც რამდენიმე დღის შემდეგ სამუდამოდ წაართმევდნენ. მაგრამ წინ გრძელი გზა ედოთ, მიწაც ქვასავით მაგარი იყო. დედებს ღონე ელეოდათ, თურქები კი ძლიერნი და ულმობელნი იყვნენ. ნელ-ნელა ქალები უკან რჩებოდნენ, გაშოლტილები და გრძელი გზით არაქათგამოლეულები უიმედო დევნას თავს ანებებდნენ. ყველაზე შეუპოვარი დედებიც კი ვიშეგრადის გადასასვლელთან ფარ-ხმალს ყრიდნენ, რადგან ბორანზე მათ არავინ აუშვებდათ, მდინარეში ფონს გასვლა კი შეუძლებელი იყო. აქ, რიყის ქვებზე, თავისუფლად შეეძლოთ დაეტირათ თავიანთი უბედურება, აქედან აღარავინ ერეკებოდათ. ვერც შიმშილს გრძნობდნენ, ვერც წყურვილს და ვერც სიცივეს. გაქვავებულებივით ისხდნენ ნაპირზე, ვიდრე გაღმით, დობრუნასაკენ მიმავალი მხედრების გრძელი მწკრივი თვალს არ მიეფარებოდა, ვიდრე შეეძლოთ თავიანთი ძვირფასი, სამუდამოდ დაკარგული შვილებისათვის შორიდან ერთხელ კიდევ შეევლოთ თვალი.

იმ ნოემბრის დღეს ერთ-ერთ გოდრულაში ჩუმად იჯდა სოკოლოვიჩელი ათიოდე წლის შავგვრემანი ბიჭუნა და გამშრალი თვალებით იცქირებოდა. სიცივისაგან გაწითლებულ, გათოშილ ხელში პატარა დაბრეცილი დანა ეჭირა და გულის გადასაყოლებლად გოდრულის კიდეზე ნაჭდურებს აკეთებდა, თან ირგვლივ ყველაფერს დაკვირვებით ათვალიერებდა. ხსოვნაში ბიჭს სამუდამოდ ჩარჩა მეჩხერი, მიმჭკნარი, ღია ნაცრისფერი წნორით დაფარული კლდოვანი ნაპირი, მახინჯი მებორნე და ნახევრად დანგრეული, ქარების სათარეშოდ დაგდებული წისქვილი. ღამის სათევად აქ, ზედ დრინის ნაპირზე გაჩერდნენ, სადაც ყვავები ავის მომასწავებელი ყრანტალით თავს დასტრიალებდნენ. ბიჭუნას სამუდამოდ ჩარჩა გონებაში ეს შემოგარენი, სადაც მდინარე გზას ზედ შუაზე წყვეტდა, სადაც უიმედობისა და უბედურების მაუწყებელი წინათგრძნობა შავად დასწოლოდა მდინარის ქვიან ნაპირებს, რომლის გადალახვაც ესოდენ ძნელი და საშიშია. ეს მოგონება, რომელმაც სულში ნარუშლელი ნაკვალევი დაუტოვა, დროდადრო გულის გამგმირავ, მწვავე ტკივილებს გვრიდა. შეუხორცებელ სულიერ ჭრილობად ჩარჩა მეხსიერებაში ღარიბი, მთაგორიანი ქვეყანა, სადაც ასე აშკარად და თვალნათლივ იმონებენ ხალხს. აქ ხომ ადამიანი უძლეველ სტიქიაზეა დამოკიდებული. რადგან საკუთარი უძლურებისა რცხვენიათ, უფრო მწვავედ განიცდიან როგორც საკუთარს, ისე სხვის უმწეობასა და სისუსტეს.

ეს ყველაფერი იმ უილაჯობას შეერწყა, რომელიც ბიჭუნას ნოემბრის ღირსსახსოვარ დღეს დაეუფლა და სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში, თუმცა ცხოვრება, ჩვევები, რჯული და სახელი გამოიცვალა.

ხოლო ის, თუ რა გადახდა ამ ბიჭუნას, მსოფლიოს ყველა ენაზე დაწერილი წიგნები მოგვითხრობენ. მისი ამბავი მსოფლიოს სხვა ქვეყნებში უფრო იციან, ვიდრე ჩვენში. ახალგაზრდობისას სულთნის კარის ერთგული და მამაცი მეაბჯრეთუხუცესი იყო. მერე საზღვაო ფლოტის სარდალი გახდა — კაპუდანფაშა დაირქვა, სულთანს ჩაესიძა, მთელს მსოფლიოში დიდი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე გახდა და ქვეყანას მეჰმედ-ფაშა სოკოლად მოევლინა. მსოფლიოს სამ კონტინენტზე იბრძოდა და უმეტესად გამარჯვებული გამოდიოდა. გააფართოვა და უშიშარი გახადა თურქეთის სახელმწიფოს საზღვრები და ბრძნული მართვა-გამგეობის წყალობით შინაგანი ძლიერებაც განამტკიცა. სამოც წელიწადს გადაცილებულმა სამი სულთნის სამსახური მოასწრო და, როგორც რჩეულთა და ძლევამოსილთა ხვედრია, ბო-

ლომდე იწვნია ბოროტიცა და კეთილიც. ხელისუფლების ისეთ მიუწვდომელ მწვერვალზე ავიდა, იშვიათად თუ ვინმე მიაღწევს, მაგრამ ბოლომდე ვერავინ ახერხებს შენარჩუნებას. ეს ახალი ადამიანი, რომელიც მეორედ დაიბადა უცხო ქვეყანაში და ვის კვალსაც ჩვენ ოცნებითაც კი ვერ გავყვებით, იძულებული გახდა სამუდამოდ ამოერეცხა მეხსიერებიდან ყველაფერი, რაც იმ ქვეყანაში დარჩა, საიდანაც ოდესღაც წაიყვანეს. რა თქმა უნდა, დაივიწყა ვიშეგრადთან დრინის გადასასვლელიც, უკაცრიელი სანაპიროცა და საკუთარი ბედის უცოდინარი, სიცივით აკანკალებული მგზავრებიც. დაივიწყა ბებერი ჯაბახანა ბორანი, მახინჯი მებორნე და აბობოქრებულ მდინარეზე მოფარფატე დამშეული ყვავები.

მაგრამ მაშინდელ შთაბეჭდილებასთან შერწყმული უილაჯობის მტკივნეული შეგრძნება არასოდეს მოშუშებია. პირიქით, რაც წლები გადიოდა და სიბერე ეპარებოდა, მით უფრო ხშირად უმეორდებოდა და იგივე გულშემზარავი, მწვავე ტკივილი ეუფლებოდა, თითქოს მოგონებათა შავბნელ ნაკვალევს ვიღაც განგებ აღიზიანებსო.

ეს ტკივილი განსხვავდებოდა ყველა ტკივილისაგან, რაც კი ცხოვრებაში განეცადა. ვეზირი მაშინვე სცნობდა ამ ტკივილს. უმალვე თვალებს ხუჭავდა და მოთმინებით ელოდა, როდის შეწყვეტდა სულთამხუთავი მის ჯიჯგვნას. ერთხელ, როცა ასეთმა ტკივილმა წამოუარა, აზრად მოუვიდა, იქნებ, იმ შორეული დრინის ბორნის მოსპობამ გამიქარვოსო ეს უკურნებელი შეგრძნებები. დრინის ბორანი კი მეჰმედფაშას ყოველი მინიერი უბედურებისა და ცხოვრებისეული გასაჭირის დასაბამად მიაჩნდა.

მხოლოდ ციცაბო ნაპირებს შორის მოქცეული პირქუში მდინარის მშფოთვარე ტალღებზე ხიდის გადაკიდება და მდინარისაგან შუაზე გაწყვეტილი გზის შეერთება იყო საჭირო, რომ ბოსნია საიმედოდ და საუკუნოდ დაჰკავშირებოდა აღმოსავლეთს. მშობლიური მხარე იმ ქვეყანას შეერთებოდა, სადაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა. ასე რომ, მეჰმედფაშა იყო პირველი ადამიანი, რომელმაც თავის ოცნებაში იმ ადგილზე ააგო მომავალი მყარი და ლამაზი ქვის ხიდი.

ვეზირის ბრძანებითა და საკუთარი სახსრებით, იმავე წელს, დრინაზე დიდი ქვის ხიდის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობა ხუთ წელს გაგრძელდა.

ამ წლებს ქალაქისა და მთელი ოლქის ცხოვრებისათვის განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, იმ ძირეული ცვ-

ლილების დასაბამად უნდა გადაქცეულიყო, რაც უამრავ წვრილმან და მნიშვნელოვან მოვლენებთან იყო დაკავშირებული.

მაგრამ, რაგინდ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ქალაქში, სადაც ხალხი საუკუნეების მანძილზე ინახავდა და თაობიდან თაობას გადასცემდა ყველაზე უმნიშვნელო ამბავსაც კი, რასაც მხოლოდ შორეული კავშირი ჰქონდა ხიდთან, თითქმის არავითარი მოგონება არ შემოუნახავს, თუ როგორ აშენდა ხიდი: ხალხი თავის მეხსიერებაში ინახავს და შთამომავლობას გადასცემს მხოლოდ იმას, რასაც ჩასწვდება და ლეგენდად გადააქცევს. სხვა ყველაფერი უკვალოდ ჩაივლის. ისევე, როგორც გულგრილად უყურებენ ბუნების ყოველდღიურ მოვლენებს, რაც ადამიანის წარმოსახვისა და გრძნობების შეუხებლად ჩაივლის.

ხიდის ხანგრძლივი და მძიმე მშენებლობა ხალხისათვის უცხო და შორეული ამბავი იყო, ხოლო მას შემდეგ კი, როცა დაძაბული მუშაობის შედეგად ხიდი აშენდა, ხალხმა ამ ოსტატურად ნაგები, დიდებული ხიდის დაბადებასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანის გახსენება დაიწყო. ხალხი ფანტასტიკური თქმულებებით ალამაზებდა ყოველივეს და აკი სამუდამოდაც ჩარჩათ მეხსიერებაში.

თავი მესამე

იმ გაზაფხულზე, როცა ვეზირმა ხიდის აშენება გადაწყვიტა, თადარიგის დასაჭერად მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმის თანხლებით ქალაქში თავისი ხალხი გამოგზავნა. მათ ცხენების აღალი და ხელსანყოებითა და კარვებით დაბარგული ურმები მოჰყვა თან, რამაც პატარა ქალაქში და მის ახლომახლო სოფლებში, განსაკუთრებით კი ქრისტიანებში შიში და მღელვარება გამოიწვია.

რაზმს ხიდის მშენებლობის საქმეში ვეზირის მთავარი რწმუნებული აბიდ-აღა და ხუროთმოძღვარი ტუსუნ-ეფენდი მოუძღოდნენ.

ჯერ კიდევ ადრე, აბიდ-აღას ჩამოსვლამდე, ხმა გავარდა უმკაცრესი, ულმობელი და უმოწყალო ადამიანიაო. როგორც კი ჩამოსულებმა მოედნის შორიახლოს გაშალეს კარვები, აბიდ-აღამ მაშინვე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და გამოჩენილი თურქი მოქალაქენი იხმო. თათბირი ხელად დამთავრდა, რადგან მხოლოდ ერთი კაცი, თვითონ აბიდ-აღა ლაპარაკობდა. შეკრებილთ ბრგე მამაკაცი წარუდგა, აბიდ-აღას წითური სახე და მწვანე თვალები ჰქონდა, ამ ძლიერი ადამიანის წარმოთქმულმა სიტყვამ უფრო მეტად განაცვიფრა შეკრებილნი, ვიდრე მისმა გარეგნობამ.

— დარწმუნებული ვარ, ჩემ შესახებ არცთუ ისე კარგმა და სასიამოვნო ხმებმა მოაღწია თქვენამდე, ალბათ გაიგებდით, რომ ყველასაგან მორჩილებასა და გარჯას მოვითხოვ. გავროზგავ და გავანადგურებ, ვინც პატიოსნად არ იმუშავებს და უსიტყვოდ არ დამემორჩილება. იმასაც გაიგებდით, რომ ჩემთვის უცხოა სიტყვები „არა“ და „არ შეიძლება“, სულ მცირედი დაუდევრობისთვისაც კი დამნაშავეს თავს წავაგდებინებ, ერთი სიტყვით, სისხლის მსმელი და შმაგი ადამიანი ვარ. პირდაპირ გეტყვით, ეს გადაჭარბებული ნათქვამი და მოცლილთა მონაჭორი არ გეგონოთ. ჩემს ხელში, ნემსის ყუნწში უნდა გაძვრეთ. ასეთი სახელი გამივარდა, რაც დიდ ვეზირს ერთგულად ვემსახურები. იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით წარმატებით დავამთავრებ იმ საქმესაც, რისთვისაც წარმომგზავნეს. ხოლო, როცა მშენებლობას მოვრჩები, უფრო სასტიკი და ავბედითი ხმები დარჩება ჩემზე, იმაზე უარესი, ვიდრე აქამდე ამბობდნენ.

ამ უცნაური შესავალი სიტყვის შემდეგ, რასაც ყველა თვალდახრილი მდუმარედ უსმენდა, აბიდ-აღამ განმარტა, რომ საქმე ეხება უჩვეუ-

ლო მშენებლობას, რომლის მსგავსი უფრო მდიდარ ქვეყნებსაც კი არ დასიზმრებიათ. მუშაობა უნდა დაამთავრონ ხუთ ან ექვს წელიწადში, ვეზირის ყველა დიდი და მცირე სურვილი განუხრელად უნდა შესრულდეს იმ ვადებში, რომლის დანიშვნაც თვითონ ინება. მერე ჩამოთვალა რა სახის წინასწარი სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო, რას ელოდა ადგილობრივი თურქი მოსახლეობისაგან და რა ვალდებულებები დაეკისრებოდა რაიას*.

აბიდ-აღას გვერდით ტანმომცრო, ფერმკრთალი ტუსუნ-ეფენდი იჯდა. არქიპელაგელ გათურქებულ ბერძენ ხუროთმოძღვარ ტუსუნ-ეფენდის სახეს ყვითელი ფერი გადაჰკრავდა. მან მეჰმედ-ფაშას ნებასურვილით და სახსრებით ცარგრადში ბევრი სახლი ააშენა. მშვიდსა და გულგრილ ხუროთმოძღვარს თითქოს არც კი ესმოდა რას ელაპარაკებოდა აბიდ-აღა, საკუთარ ხელებს ჩაშტერებული ხუროთმოძღვარი იშვიათად თუ ასწევდა მაღლა ქუთუთოებს. მაშინ კი თვალში მოგხვდებოდათ დიდრონი შავი თვალების სათნო ელვარება. ეს იყო ლამაზი, ახლომხედველი თვალები, ცხოვრებაში თავისი საქმის მეტს რომ ვერაფერს ხედავს და გრძნობს.

ვიწრო და დახუთული კარვიდან ხალხი შეშფოთებული და დათრგუნული გამოდიოდა, სადღესასწაულო ტანსაცმლის ქვეშ ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ.

ყველა შიშმა და მღელვარებამ მოიცვა.

ის, რაც ქალაქსა და საერთოდ ამ მხარეს დაატყდა თავს, დიდი და შეუცნობელი უბედურება გახლდათ. ძნელი იყო იმის გაჭვრეტა, თუ როდის და რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი.

მაშინვე ტყის გაჩეხვა და მორების მოზიდვა დაიწყეს, დრინას ორთავე მხარეს იმდენი ხე-ტყე დაახვავეს, ხალხს დიდხანს ეგონა ხის ხიდი უნდა ააგონო. ამას მინის სამუშაოები მოჰყვა, საძირკვლები გაჭრეს და კლდოვანი ნაპირების ბურღვა დაიწყეს.

სამუშაოზე ხალხი მეტწილად იძულებით, ბეგარით გამოჰყავდათ. ასე გაგრძელდა შემოდგომამდე, ვიდრე ხიდის ძირითადი სამუშაოები არ დასრულდა და ფაციფუცი დროებით არ შეჩერდა. სამუშაოს აბიდ-აღას ფხიზელი თვალი მეთვალყურეობდა. იგი გრძელი, მწვანე ხელჯოხით დადიოდა, ამ ხელჯოხს მერე სიმღერებშიც კი იხსენიებდნენ. საკმარისი იყო ვინმესთვის ყალთაბანდობა ან სიზარმაცე შეემჩნია,

* რაია – ზოგადი დამცინავი სახელი, რომლითაც თურქები ადგილობრივ ქრისტიანულ მოსახლეობას იხსენიებდნენ.

მაშინვე ჩაფრებს ხელჯოხით ანიშნებდა, დამნაშავეს უმალვე ხელს სტაცებდნენ და იქამდე ურტყამდნენ, ვიდრე არ მიასიკვდილებდნენ. მერე გაჯოხილს ცივი წყლით მოასულიერებდნენ და ისევ სამუშაოზე უკრავდნენ თავს.

ქალაქიდან წასვლამდე, შემოდგომის მიწურულს, აბიდ-აღამ ისევ შეყარა თავკაცები და მამასახლისები და გამოუცხადა: — ამ ზამთარს აქ არ ვიქნები, მაგრამ ცალი თვალი აქა მრჩება, თუ რამე დამხვდა წამხდარი, ყველანი ერთნაირად აგებთ პასუხს. თუნდაც ერთი ფიცრის წანაჭერიც რომ მოვისაკლისო, მთელ ქალაქს ვაზღვევინებო. როცა გაუბედავად შებედეს, შესაძლოა, წყალდიდობამ დააზარალოსო მშენებლობა, აბიდ-აღამ ცივად მოუჭრა, — რადგან მდინარეცა და ეს ადგილსამყოფელიც თქვენ გეკუთვნით, მდინარისაგან მიყენებულ ზარალსაც თქვენს კისრიდან ამოვიღებო.

ქალაქელები მთელი ზამთარი თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ მასალასაც და ახლად დაწყებულ ნაგებობასაც.

გაზაფხულზე ისევ მობრძანდა აბიდ-აღა ტუსუნ-ეფენდისთან ერთად და, რომაელ ოსტატებად ცნობილი, ოცდაათამდე დალმაციელი ქვის მთლელი ჩამოიყვანა. ქვის მთლელებს ულცინიელი ქრისტიანი ოსტატი ანტონი წინამძღვრობდა. ანტონი მაღალი, ლამაზი კაცი იყო. თამამად მზირალი, ქიჯური დიდრონი თვალები და არწივისებური ცხვირი ჰქონდა: წაბლისფერი თმა მხრებამდე სცემდა ბატონკაცურად, დასავლურ ყაიდაზე იყო ჩაცმული. ერთი ზანგი თანაშემწე ჰყავდა, ნამდვილი ზანგი, მხიარული ჭაბუკი, რომელსაც მთელი ქალაქიცა და მუშებიც მავრს ეძახდნენ.

თუ წინა წელიწადს ბლომად დახვავებულმა მორებმა ხალხს აფიქრებინა, რომ აბიდ-აღა ხის ხიდის აგებას აპირებსო, ახლა ყველას ეგონა, აბიდ-აღა დრინაზე მეორე სტამბულს აშენებსო.

ქალაქიდან ერთი საათის სავალზე მდებარე აბანოს მთიანი ქვის სამტეხლოებიდან ქვის შემოზიდვა დაიწყეს.

წლევანდელი გაზაფხული ჩვეულებრივ გაზაფხულს არ ჰგავდა. იმასთან ერთად, რაც ყოველწლიურად იზრდებოდა და იფურჩქნებოდა, თითქოს ქვესკნელიდან ამოძვრაო, ისე წამოიზარდა დიდი დასახლება. მდინარისკენ გზები და მიწისქვეშა გასასვლელები გაჰყავდათ. ცხენიანი ოთხთვალები და ხარებშებმული ურმები ყოველი მხრივ მიდი-მოდიოდნენ. მეიდნისა და ოკოლოშჩის მცხოვრებნი ხედავდნენ, ქვევით, მდინარის პირას დღითიდღე როგორ მრავლდებოდა მდინარესთან

მოფუსფუსე ხალხი თუ გამწევი საქონელი, როგორ ხვავდებოდა სხვადასხვა საამშენებლო მასალა.

ხრამიან ნაპირზე ქვის მთლელი ოსტატები მუშაობდნენ, იქაურობა მოყვითალო ფერის ქვის მტვერს დაეფარა. ცოტა მოშორებით ქვიშიან დაბლობზე ახლომახლო სოფლებიდან მოსული დღიური მუშები კირსა სწვავდნენ. ჩამოძონძილები, კირის მტვერში მთლად ამოგანგლულები ღუმელებიდან ავარდნილი თეთრი კვამლის ბოლქვებში იყვნენ გახვეულები. დაზურგულ ფორნებს გზები ჩაეხერგათ. ბორანი მთელი დღე განუწყვეტლივ გადი-გამოდიოდა, საამშენებლო მასალა, ზედამხედველები და მუშები გადაჰყავდა.

გაზაფხულის მღვრიე წყალში წელამდე ჩამდგარი ადამიანები ხიმინჯებს სვამდნენ. ფსკერზე თიხით სავსე გოდრებს უშვებდნენ და მდინარის ბობოქარ დინებას ებრძოდნენ.

ეს ყველაფერი დრინის გადასასვლელთან, მომაღლო ფერდობზე გაშენებულ ქალაქში, აქამდე მშვიდად მცხოვრებ ქალაქელთა წინაშე ხდებოდა, მაგრამ მარტო იმისი ყურება, თუ რა ხდებოდა იქ დაბლა, არცთუ დიდი უბედურება იქნებოდა, მაგრამ მუშაობა ისე გახურდა და გაიზარდა, რომ ქალაქშიც და მის გარეთაც სულიერი თუ უსულო ამ ორომტრიალში ჩაება. მომდევნო წელს სამუშაოზე თითქმის ქუდზე კაცი გამოიყვანეს. ვისაც კი ურემი, ცხენი თუ ხარი გააჩნდა ყველა ხიდის მშენებლობაზე გამოჰყავდათ. ვისაც ხელ-ფეხის განძრევა შეეძლო, ან საქონელი, რაც კი ფორნებში შეიბმებოდა ხან საზღაურით, ხანაც უგასამრჯელოდ მშენებლობაზე მიჰყავდათ და ამუშავებდნენ. ფულის მიმოქცევა ადრინდელთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ სიძვირე და სიღატაკეც სწრაფად იზრდებოდა და ფულმა ფასი დაკარგა. ქალაქელებს ფასების ზრდასა და სიღატაკეზე მეტად მშენებლობის აურზაური და ყოველი მხრიდან მოზღვავებული მუშების უწესრიგობა და ალიაქოთი აწუხებდათ. — აბიდ-აღას სიმკაცრის მიუხედავად, გახშირდა მუშებს შორის მიწევ-მოწევა და ეზო-ბაღებში ქურდბაცაცობა. მუსულმანი ქალები თავიანთ ეზოშიც კი ჩადრჩამოფარებულები გამოდიოდნენ, რადგან ირგვლივ მილეთის ხალხი ირეოდა და იქაურსაც და ჩამოსულებსაც ადვილად შეეძლოთ მათი დანახვა. ქალაქელები კი, როგორც ეს ახალ რჯულზე მოქცეულებს სჩვევიათ, თავგამოდებით მისდევენ ისლამის მოძღვრებას, მათ შორის ძნელად თუ ვინმე მოიძებნებოდა მამა ან პაპა, ერთი სიტყვით, ქრისტიანი წინაპარი რომ არ ჰყოლოდა, ან ამ უკანასკნელ ხანს თვითონ არ გათურქებულიყო. მოხუცი

მუსულმანებიც კი, მთელი სიცოცხლე ისლამს რომ აღმერთებდნენ, ახლა აღარ ფარავდნენ თავიანთ აღშფოთებას და თვალს არიდებდნენ თავმოყრილ ადამიანებს, მუშა საქონელს, მორებს, მიწისა და ქვის მოზღვავებას, ერთთავად რომ იზრდებოდა და ფართოვდებოდა მდინარის ორივე ნაპირზე და საცაა მათ ბაღებს, ეზოებსა და ქუჩებსაც წალეკავდა.

თავდაპირველად ადგილობრივი მცხოვრებნი ამაყობდნენ ამ უდიდესი საჩუქრით, რის ბოძებასაც მათი თანამემამულე ვეზირი აპირებდა. მაშინ ჯერ კიდევ არავის შეეძლო იმ სიძნელეთა წინასწარ განჭვრეტა, თანდათანობით რომ წამოყო თავი. ასეთი ხიდის აგება დიდძალი მასალის, ძალისა და სახსრების გაღებას მოითხოვდა. რა ჯობია, ფიქრობდნენ ისინი, ეკუთვნოდე წმინდა სჯულს, რა ჯობია, როცა სტამბულში შენი თანამემამულე ვეზირი გეგულება, იმასაც ხომ არაფერი შეედრება, როცა მკვიდრ და ფასდაუდებელ ხიდზე ოცნებობ. მაგრამ ის, რაც ახლა ხდებოდა, არაფერს არ ჰგავდა. ქალაქი ჯოჯოხეთად იქცა, ირგვლივ არეულ-დარეულობა სუფევდა, კვამლისა და მტვრის კორიანტელი ტრიალებდა. წლები მიდიოდა, სამუშაო იზრდებოდა და მატულობდა, საქმეს კი ბოლო არ უჩანდა, გაუგებარი იყო, რა კეთდებოდა.

ასე ფიქრობდნენ ქალაქის გათურქებული მცხოვრებლები, თუმცა თავის თავს კი უტყდებოდნენ, რომ ვეზირის ბოძებული პატივი, ხიდისგან მინიჭებული სიამაყის გრძნობა და მომავალი დიდება — მათ კისერზე გადადიოდა და წელში წყვეტდა. ალბათ, მოხარული იქნებოდნენ, თავიდან მოეწყვიტათ ხიდიცა და ვეზირიც და მზად იყვნენ შეევედრებოდნენ ღმერთს დაეხსნა ისინი ამ უბედურებისაგან და ბორნის ირგვლივ მდებარე მათი სახლებისათვის ძველებური მშვიდი და წყნარი ცხოვრება დაებრუნებინა.

მშენებლობამ თურქებიც ძალიან გააწამა, თუმცა უფრო მეტად ვიშეგრადის ოლქის ქრისტიანობა იტანჯებოდა.

მაგრამ არავის არაფერი ეკითხებოდა და არც არავის ჰქონდა იმის ძალა უკმაყოფილება ხმამაღლა გამოეთქვა. უკვე მესამე წელი იწურებოდა, რაც ხალხი თავის გამწევ საქონლიანად მშენებლობაზე სავალდებულო ბეგარას იხდიდა. ადგილობრივი რაიას გარდა სამი მომიჯნავე ოლქიდან ქრისტიანები მორეკეს. აბიდ-აღას ცხენოსანი იასაულები ყველგან დაძრწოდნენ, სადაც კი ქრისტიანს წააწყდებოდნენ გლეხი იქნებოდა თუ ქალაქელი, ხიდის მშენებლობაზე ერეკებოდნენ. ხშირად მძინარეთ ესხმოდნენ თავს და ჭუკებივით იჭერდნენ. ბოსნიაში მგზა-

ვრები ერთმანეთს აფრთხილებდნენ, დრინაზე წასვლა სახიფათოაო. ყველა გამვლელს იჭერენო, იმასაც არ გკითხავენ, ვინა ხარ ან რა საქმეზე მიდიხარ, მიგიყვანენ ხიდზე და რამდენიმე დღეს იძულებით გამუშავებენო.

ქალაქის ქრისტიანი მოსახლეობა ქრთამით ახერხებდა ბეგარიდან თავის დაღწევას. სოფლელი ჭაბუკები ტყეში გარბოდნენ, მაგრამ სანაცვლოდ ჩაფრებს მათი სახლებიდან ხშირად მძევლებად ქალებიც კი გამოჰყავდათ ხოლმე.

უკვე მესამე შემოდგომა მიდიოდა, რაც ხალხი თავს აკლავდა ხიდს, მაგრამ ჭაპანწყვეტას ბოლო არ უჩანდა. აი, ახლაც გვიანი შემოდგომა დადგა, ხეებს ფოთლები დასცვივდა. გზები წვიმებისაგან აფუვდა. დრინას მღვრიე ტალღები აზვირთდა, შიშველ ველებზე კი ნავსი ყვავების გუნდი აფარფატდა, მაგრამ აბიდ-აღა მუშაობის შეწყვეტას არ აპირებდა. ნოემბრის ქანცმილეული მზის ქვეშ ადამიანები მორებსა და ქვებს მიათრევდნენ, შიშველ ფეხებზე ქალამანამოცმულები ატალახებულ გზებზე დაშლაპუნებდნენ. სიცივით კანკალებდნენ, დაძაბულობისაგან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, მაგრად იჭერდნენ ქამრებს, საკერებლებით აჭრელებულ თუ გახვრეტილ შარვლებზე. ასევე მაგრად იკრავდნენ წვიმის, ნესტისა და ბოლისაგან ჩაშავებულ ხამი ტილოს დედისერთა ხალათის კალთებსაც. გარეცხვაც ვერ გაებედათ, საწყლებს ეშინოდათ წყალში ჩადებისთანავე ნაკერებზე არ დაიძენძოსო. აბიდ-აღა ყველას მრისხანედ უტრიალებდა მწვანე ხელჯოხს და ბანიის ქვის სამტეხლოებსა და მშენებარე ხიდის ახლომახლო ადგილებს უთვალავჯერ აუვალ-ჩამოუვლიდა ხოლმე. მთელ ქვეყნიერებაზე გაჯავრებული და გაბოროტებული იყო და მხოლოდ იმიტომ, რომ დღე დაპატარავდა და მუშებს იმდენ საქმეს ვეღარ აკეთებინებდა. აბიდ-აღას რუსული ბეწვის მძიმე ქურქი და მაღალი ჩექმები ეცვა. უკვე წყლის ზედაპირს ამოცილებული ხიდის ბურჯების ხარაჩოებზე ადიოდა, წარამარა შედიოდა სამჭედლოებში, საწყობებში, მუშათა კარვებში, განუკითხავად თავს ესხმოდა ზედამხედველებსა და მოიჯარადეებს.

— დღეები დაპატარავდა, თანდათან უფრო კლებულობს, თქვენ კი, ძაღლის შვილებო, მუქთად გინდათ პური გაჭამოთ!

აბიდ-აღა ხალხს ისეთ რისხვას ატეხდა თავს, გეგონებოდათ მათი ბრალი იყო, რომ ადრე ღამდებოდა და გვიან თენდებოდა. შებინდებისას კი, როცა ვიშეგრადის მკაცრი და უსასოო საღამო ჩამოდგებოდა, ციცაბო მთები ყოველი მხრიდან ქალაქს თავზე ისე წამოადგებოდნენ,

ისეთი მძიმე და უკუნი ღამე ჩამოწვებოდა, თითქოს მათი სიცოცხლის უკანასკნელი დღე დადგაო. აბიდ-აღას სიშმაგე საზღვარს გადადიოდა. მარტოდ დარჩენილი, ადგილს ვერ პოულობდა, ძილს უფრთხობდა იმაზე ფიქრი, რომ სამუშაო ყელამდე იყო, ხალხი კი ნებივრობდა და ყალთაბანდობდა. სიბრაზისაგან კბილებს აღრჭიალებდა, ათისთავებს უხმობდა და მითითებას აძლევდა, გეგმებს აწყობდა, როგორ გამოეყენებინათ უფრო ნაყოფიერად ხვალინდელი დღე და როგორ გაეცალათ სიქა მუშებისათვის.

მუშებს ქოხმახებსა და მიწურებში ეძინათ. სახვალიოდ ძალას იკრებდნენ და ისვენებდნენ, მაგრამ ისეთებიც მოიძებნებოდა, ვისაც დასვენების დარდი არ ჰქონდა და ღამეს თავის გუნებაზე ატარებდა. აი, დაბალი მიწურის კერაზე ცეცხლი ანთია, უფრო სწორად, შუაცეცხლი იღვლფება, სანახევროდ განათებულ სადგომში ნაკერჩხალი წითლად ღაღადებს. ჰაერი კვამლით, სველი ტანსაცმელ-ფეხსაცმლის მომჟავო-მომწკლარტო სუნითა და კაცის სხეულიდან ანაორთქლით გაჟღენთილა. ყველანი იძულებით ბეგარას იხდიან. ესენი მეზობელი სოფლებიდან მორეკილი გალუმპული, დაღლილი და ილაჯგაწყვეტილი გლეხები და სხვისი ხიზანი — ღატაკი რაიები არიან. ამ ხალხს ანადგურებს გაუთავებელი ბეგარა. მათი მიმდევრები უკვე მზრალად ხვნას ელიან. ბევრს არა სძინავს. ცეცხლთან წვივსახვევებს აშრობს, ფეხსაცმელს აკერებს; ზოგი ზის და ცეცხლს ჩაშტერებია. და აი, ერთხელ მათ ამქარში, გზაზე ჩაფრების მიერ დაჭერილი, ჩერნოგორიელიც გამოერია. უკვე რამდენიმე დღეა, ჭაბუკი ბეგარას იხდის, მაგრამ ერთთავად სულ იმას ირწმუნება, მუშაობა მიმძიმს, ჩემი შესაფერი არ არის, თავმოყვარეობა ნებას არ მაძლევს ასეთ სამუშაოზე ვიმუშავოო.

გარს მეტწილად ჯეელი ბიჭები და გლეხები შემოხვევიან, ვისთვისაც ძილს ჯერ თავი არ წაურთმევია.

ჩერნოგორიელმა ნაცრისფერი წამოსასხამის ღრმა ჯიბიდან უშნო საკრავი, პატარა ხემიანი გუსლი* ამოიღო. ერთი ყმაწვილი მიწურის კარში გუშაგად ჩადგა, რომ თურქი ყარაული თავზე არ წამოსდგომოდათ. ჩერნოგორიელსა და მის ფართო ხელისგულებში ჩაკარგულ გუსლს ისე დაძაბულად შეჰყურებენ, გეგონებოდათ პირველად ხედავენო. იგი დაბლა დაიხარა, გუსლი მუხლებს დააყრდნო, საკრავის ყელი ნიკაპქვეშ ამოიდო, სიმს ფისი წაუსვა და ხემს შეუბერა. ყველაფერს ობი და ნესტი მოსდებოდა. საკრავთან აუჩქარებლად ჩხირკედელაობს, სა-

* გუსლი — ერთსიმიანი ხემაენი ხალხური საკრავი.

კუთარ თავში ჩაიძირა, ველარაფერს ამჩნევს, თუმცა ყველა თვალებში შეჰყურებს. ბოლოს გაისმის პირველი, მკვეთრი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა. დაძაბულობა იზრდება, ჩერნოგორიელი თანდათან წელში გასწორდა და საკრავს ტუჩგაუპობლად აუწყო ხმა.

საკრავი უკვე აწყობილია და საუცხოო თქმულების მოსმენას ელიან. მართლაც შეუწყვილა თუ არა საკრავს ხმა, უცებ ძალუმად და ამაყად კისერი უკან გადაიგდო, გამხდარ ყელზე ხორხი მკვეთრად გამოუჩნდა და ლიცლიცა შუქმა მოგრძო პროფილიც უფრო გამოკვეთა.

გაისმა ყრუ და გაბმული ხმა: აააა-აააა!

შემდეგ მკაფიოდ, საზეიმოდ წამოიწყო:

სერბიის მეფემ გამართა ლხინი,
მოიხმო ბერი პატრიარქები,
დიდებულები და თავადები,
მხარს უმშვენებენ მეფე სტეფანეს
სამეფო კარის ნაზირ-ვეზირნი,
და მერიქიფე სასახლის კარის
ღვინით სასმისებს ავსებს ზედიზედ
და კანდოსია, მეფის დაიკო,
სუფრაზე გედის ყელს მოიღერებს
თვალმარგალიტის მორევში ცურავს.

მსმენელნი მესაკრავეს მჭიდროდ შემოერტყნენ. ყველა განაბული და სუნთქვაშეკრული უსმენს. ფართოდ გახელილი, გაკვირვებული თვალებიდან აღტაცების ნაპერწკლები სცვივათ. ტანში ჟრუანტელი უვლით, მხრებში იმართებიან, გული ძალუმად უცემთ. თითებს ხან კუმშავენ, ხანაც შლიან. კბილს კბილზე აჭერენ, ჩერნოგორიელი ხემს უფრო გამალებით უსვამს. ხმას მეტი ეშხი, სიმტკიცე და ძალა ეძლევა. სიმღერით გატაცებულ დაღლილ და დასველებულ გლეხებს სულ მთლად მიავიწყდათ ძილი და ყველაფერი ამ ქვეყანაზე, გეგონებოდათ ჩერნოგორიელი მათ საუკეთესო და ნათელ ხვედრზე მღერისო.

მშენებლობაზე მომუშავე გლეხებს შორის ქალაქის მახლობლად პატარა სოფელ უნიშტადან მოყვანილი გლეხი, ვინმე რადისავიც ერია.

რადისავი ტანმომცრო, დაღვრემილი, მხრებში მოხრილი კაცი იყო, მკვირცხლი თვალები ჰქონდა და სწრაფად დადიოდა. სიარულის დროს

ფეხებს სასაცილოდ იქნევდა, მხრებს აქეთ-იქით უცნაურად აქანავებდა, თავსაც ისე არხევდა, გეგონებოდა ხორბალს სთესავსო...

არც ისეთი ღატაკი იყო და არც ისეთი მიამიტი, როგორადაც თავს იკატუნებდა.

რადისავი ჰერაკთა შეძლებული გვარიშვილი იყო, იმათ საუკეთესო მიწები და სახლ-კარი ჰქონდათ, ოჯახში მამაკაცები სჭარბობდნენ. უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე მათი სოფელი მთლიანად გათურქდა. თურქები ჰერაკებს ძალიან ავიწროებდნენ, თანასოფლელებს კი მათგან თავი შორს ეჭირათ.

გულდამძიმებული და დამცირებული, ტანმორჩილი რადისავი შემოდგომის ბნელ საღამოობით ერთი მიწურიდან მიწურში გადადიოდა, მახათივით ყველგან ძვრებოდა და თავისი გამოსვლებით გლეხობაში შფოთს აღვივებდა. მისი წამქეზებლური სიტყვები დაახლოებით ასეთი გახლდათ:

— ძმებო, მეტი აღარ შეიძლება, უნდა ვიბრძოლოთ. თვითონვე ხედავთ, ეს ჭაპანწყვეტა დაღუპვასა და გადასანსლას გვიპირებს. ჩვენს შვილებსაც ეს დღე მოელით. ამ ხიდს ჩვენდა საუბედუროდ ვაშენებთ. ჩვენ არც ჯარები გადაგვყავს ხიდზე და არც აღებ-მიცემობას ვეწევით. ბორნითაც იოლად გავდივართ. ზოგიერთებს უკვე მოველაპარაკე, როცა ღამით ყველაფერი მიწყნარდება, ხიდთან მივიდეთ და რაც აგვიშენებია მივანგრ-მოვანგრიოთ, ყველაფერი მივლეწ-მოვლეწოთ, მერე კი ხმები დავყაროთ, ვითომ ხიდს ალი ანგრევს და მდინარეზე ხიდის გადების ნებას არ გვაძლევს. ვნახოთ, რა გამოვა აქედან. სხვა გამოსავალი არა გვაქვს, რაღაც უნდა ვიღონოთ!

როგორც ყოველთვის, აქაც თავი წამოყვეს უნდო და ლაჩარმა ადამიანებმა. უკმაყოფილოდ გაიძახოდნენ, ეს ფუჭი ცდა იქნება, ძლიერი და ვერაგი თურქები უკან აღარ დაიხევენ, უმჯობესია ღვთის ნებას მივენდოთ, რომ უფრო დიდი რისხვა თავზე არ დაგვატყდესო.

მაგრამ ისეთებიც გამოჩნდნენ, ვისი აზრითაც ასეთ ძაღლუმადურ ცხოვრებასა და ლოდინს ყველაფერი ჯობდა. რაიმე უნდა ვიღონოთ, ვიდრე უკანასკნელი ძონძებიც არ შემოგვხევია და აუტანელი შრომისაგან და აბიდ-აღას მწირი სალაფავისაგან ძალ-ღონე მთლად არ გამოგვცლიაო.

მხარში უნდა ამოუდგეთ იმათ, ვინც რაიმე გამოსავალს მაინც გვიჩვენებსო. ასე მსჯელობდა ახალგაზრდობის უმრავლესობა, მათ ცოლშვილიანები და ოჯახის თავკაცებიც გამოეხმაურნენ, დინჯად და

საქმიანად რომ ამბობდნენ: — ჯანდაბას მაგათი თავი, წავიდეთ ხიდის დასაქცევად, ვიდრე ჩვენ თვითონ არ დავუქცევივართ. თუ არც ეს გვიშველის... და ხელს უიმედოდ ჩაიქნევდნენ.

და აი, შემოდგომის პირველსავე დღეებში ჯერ მუშებს შორის, მერე კი ქალაქში ხმა გავარდა, მშენებლობიდან არაფერი გამოვა, ალი დღისით აშენებულს ღამღამობით ანგრევს, არ სურს მდინარეზე ხიდის აგებაო. მართლაც, დილაობით მშენებლობასა და საგუბრებზე სამუშაოდ მოსულებს ბევრი რამ წამხდარი ხვდებოდათ. ხელსაწყოები ან გაფუჭებული იყო ან სულაც აღარ იყო. მიწის ნაგებობანი ინგრეოდა. ჭორი — ხიდს აშენება არ უწერიაო — ქვეყანას მოედო და ფეხი მოიკიდა.

ყველა გაგანებდა თურქიცა და ქრისტიანიც. ქრისტიანები თუმცა გულში ჩუმ-ჩუმად, ღვარძლიანად ზეიმობდნენ. აქაური თურქები კი ამაყად რომ შეჰყურებდნენ ვეზირის წამოწყებულ ნაგებობას, ახლა ხელს იქნევდნენ და ზიზღით უპაჭუნებდნენ თვალს ერთმანეთს. ბევრი გათურქებული ვიშეგრადელი, სჯულის შეცვლაზე დიდ იმედებს რომ ამყარებდა, მაგრამ მაინც ღარიბულ ვახშამს შეექცეოდა და გამოგლეჯილი სახელოებით დადიოდა, ახლა დიდი გულისყურით უსმენდა და სხვასაც უყვებოდა ხიდის დაქცევის ახალ-ახალ ოინებს. ყველას კმაყოფილებას ანიჭებდა იმისი შეგნება, რომ არც ვეზირებს შეეძლოთ ყოველთვის თავიანთი ჩანაფიქრის შესრულება.

ხმები დაირხა, უცხოელი ოსტატები წასასვლელად ემზადებიანო, არ შეიძლება იქ ხიდის აშენება, სადაც არასოდეს მდგარა და არც იქ დგომა უწერიაო. ხალხი სწრაფად იტაცებდა ჭორს და ელვის სისწრაფით ავრცელებდა.

საერთოდ, ხალხი ადვილად თხზავს და ავრცელებს ზღაპრებს. ნამდვილი ამბავი გაურკვევლად ეხლართება ხოლმე მოგონილს. ის გლეხები, ღამე გუსლაზე დამკვრელს რომ უსმენდნენ, ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ვითომდა ალს, ხიდს რომ ანგრევდა, აბიდ-აღა გაეფრთხილებინოს, ნგრევა არ შეწყდება, ვიდრე ხიდის ბურჯებში ტყუპი და-ძმა სტოიასა და ოსტოიას არ ჩაატანთო. ბევრი კიდევაც იფიცებდა, ჩაფრები უნახავთ სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ბავშვებს ეძებდნენო. ჩაფრები აბიდ-აღას ბრძანებით მართლაც დადიოდნენ სოფლებში, ოღონდ ბავშვებს კი არა, ბოროტმოქმედებს ეძებდნენ.

იმხანად ვიშეგრადის მახლობელ სოფლებში ხელზე მოსამსახურე ენაბლუ და გონებაჩლუნგი გოგონა დაორსულდა. მაცდუნებლის სახელი ან არ უნდოდა გაეთქვა, ან დასახელებას ვერ ახერხებდა.

ამ მხარეში პირველი შემთხვევა იყო, ქალიშვილის, თანაც ასეთი საცოდავის შეცდენისა. ვერ გაეგოთ ვინ იყო ბავშვის მამა.

ეს ამბავი ქვეყანას მოედო. ქალმა ფარდულში უდღეური ტყუპები დაბადა. მძიმე მშობიაროზა ჰქონდა და მისახმარებლად სოფლელი ქალები მოვიდნენ. ქალებმა ტყუპები იქვე, ქლიავის ბაღში დამარხეს. უბედურმა დედამ როგორც კი მოიხედა, მესამე დღესვე ბავშვები მოიკითხა. ამაოდ არწმუნებდნენ, ბავშვები მკვდრები დაიბადნენ და დავმარხეთო. მერე როგორმე თავიდან რომ მოეშორებინათ, უთხრეს, უფრო სწორად, ხელებით ანიშნეს: შენი ბავშვები ქალაქში წაასხეს, სადაც თურქები ხიდს აშენებენო.

სასოწარკვეთილმა ქალმა სისუსტეს სძლია, ქალაქამდე მიაღწია და მდინარის გადასასვლელთან, მშენებლობის შორიახლო მოჰყვა ხეტიალს. ყველას შეშინებული შეჰყურებდა თვალებში და შვილების ამბავს ეკითხებოდა. ხალხი ვერაფერს იგებდა მისი ბლუკუნიდან, გაკვირვებულები უყურებდნენ, ხანდახან აგდებდნენ კიდეც, მუშაობაში ხელს გვიშლისო. მაშინ ყველას დასარწმუნებლად ქალი უხეშ გლეხურ პერანგს გადაიხსნიდა და რძისგან დატიკნილ, თავებდახეთქილ, გასისხლიანებულ ძუძუებს აჩენდა.

არავინ იცოდა, როგორ ეშველათ, როგორ ჩაეგონებინათ, რომ მისი ბავშვები კედელში არავის ჩაუტანებია. ქალი ლანძღვა-გინებასა თუ ტკბილ სიტყვას ერთნაირად, მხოლოდ საცოდავი ლუღლუღით პასუხობდა და შეშინებული უნდობლად აქეთ-იქით იყურებოდა. ბოლოს თავი მიანებეს უბედურ ქალს და ღრმა თანაგრძნობით გამსჭვალულებმა ნება მისცეს დადარდიანებულს მშენებლობაზე ეხეტიალა. მზარეულები, მუშებისთვის პურას* რომ ამზადებდნენ, ქვაბის ძირზე მიმწვარი ნარჩენებით კვებავდნენ, მუშებმა სულელი ილინკა შეარქვეს, ამ სახელით მონათლეს იგი ქალაქელებმაც.

ცრუმორწმუნე აბიდ-აღა შიშით თვალს არიდებდა, მდუმარედ ჩაუვლიდა ხოლმე გვერდზე და ბრძანებას იძლეოდა, საჭმელი მიეციოთო!

ასე მიეკედლა მშენებლობას საცოდავი ილინკა. სწორედ მაშინ გაჩნდა ლეგენდა, თითქოს თურქებს ხიდის კედლებში ბავშვები ჩაეტანებინოთ. ზოგს სჯეროდა, ზოგს არა, მაგრამ ყველას ახსოვდა ილინკა და ხალისით ავრცელებდნენ ამ ჭორს.

---

* პურა — სიმინდისაგან დამზადებული საჭმელი.

ხიდს ჩუმ-ჩუმად ისევ ანგრევდნენ. უფრო და უფრო ფეხს იკიდებდა ხმები — დაჟინებით გაიძახოდნენ, ალი მდინარეზე ხიდის აშენების ნებას არ იძლევაო.

აბიდ-აღას ჭკუაზე შლიდა იმის გაფიქრებაც კი, რომ მისი საარაკო სისასტიკის მიუხედავად, რითაც ასე ყოყოჩობდა, მაინც გამოჩნდა კაცი, ვინც მისი სურვილისა და წამოწყების ხელის შეშლა გაბედა. განრისხებული იყო ყველაზე, ქრისტიანებზეც და მუსლიმანებზეც, მუშაობაში ასე ზანტები და გამოუცდელები რომ იყვნენ. მათ მხოლოდ სხვისი დაცინვა და აბუჩად აგდება ეხერხებოდათ, ყველაფერს გამკილავ, ზედმეტ სახელს მიაწერდნენ, რისი გაგება ან გაკეთება თავად უჭირდათ თუ არ შეეძლოთ.

როცა აბიდ-აღამ მდინარის გაღმა-გამოღმა დარაჯები ჩააყენა, მიწის სამუშაოების დანგრევაც შეწყდა. მდინარეზე კი, სადაც ხიდის ბურჯები ხარაჩოებში იყო ჩასმული, ნგრევა გრძელდებოდა.

მარტო მთვარიან ღამეს მეფობდა სრული სიწყნარე. აბიდ-აღას არაფერი სწამდა ალებისა და სწორედ ეს აფიქრებინებდა, რომ ხიდის მშენებლობას შემოჩვეული ალი სულაც არ იყო ზეციდან მოფრენილი უხორცო არსება, მაგრამ დიდხანს მაინც არ სჯეროდა, რომ ეს საქმე გლეხების ოინი იყო, მერე კი თანდათან დარწმუნდა, რომ ნამდვილად ასე იყო და უფრო მეტად ეკიდებოდა ცეცხლი. თუმცა ისიც კარგად იცოდა, რისხვა რომ უნდა დაეოკებინა, თავი არ უნდა გაეცა, თუ სურდა ნგრევას ბოლო მოღებოდა, რადგან მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავეთა შეპყრობით გააბათილებდა ალსა და ხიდის მშენებლობის შეწყვეტაზე გავრცელებულ ჭორს.

აბიდ-აღამ დაცვის უფროსი გამოიძახა. ეს ფერმკრთალი და ავადმყოფური იერის კაცი ცარგრადში იყო გაზრდილი, მაგრამ წარმოშობით პლევლიელი* გახლდათ. მათ უსაზღვროდ სძულდათ ერთმანეთი, მაგრამ, ამავე დროს, რაღაც იზიდავდათ ერთიმეორისკენ და მუდამ ერთად უხდებოდათ ყოფნა. მათ დამოკიდებულებაში ურთიერთღვარძლი, შიში და უნდობლობა იყო ჩაქსოვილი. საერთოდ აბიდ-აღა არავის მიმართ არ იყო თბილი და ალერსიანი, მაგრამ ეს ფერმკრთალი, გათურქებული კაცი მართლაც ძალიან ეზიზღებოდა. ამ კაცს რაც უნდა ეკეთებინა და ელაპარაკა, აბიდ-აღას ყველაფერი აღიზიანებდა, აღშფოთებას ჰგვრიდა. აკი არც აკლებდა ლანძღვა-გინებას. რაც უფრო

* პლევლი — ქალაქი პერცოგოვინაში.

მეტად იმცირებდა თავს პლევლიელი, მით უფრო იზრდებოდა აბიდ-აღას ზიზღი.

ყარაულის უფროსმა აბიდ-აღას მიმართ პირველი დღიდანვე იგრძნო ცრუმორწმუნე კაცის შიში. ეს შიში თანდათანობით მტანჯავ მაჯლაჯუნასავით დაანვა გულზე. ყოველ ნაბიჯზე, სიზმარშიც კი იმას ფიქრობდა, აბიდ-აღა ამაზე რას იტყვისო. ამაოდ ცდილობდა თავგადაკლული სამსახურითა და გულმოდგინებით უფროსის გულის მოგებას. ამ კაცის ყოველი ნამოქმედარი აბიდ-აღას მხოლოდ გულისწყრომას ჰგვრიდა. ყველაფერს გულისწყრომით ღებულობდა. უფროსის ასეთი უცნაური სიძულვილი პლევლიელს ბოჭავდა, საქციელს უკარგავდა და უფრო მოუხერხებელსა და ხელფეხშეკრულსა ხდიდა.

ყარაულის უფროსი გრძნობდა, რომ ოდესმე აბიდ-აღას წყალობით მარტო ლუკმა-პურსა და მდგომარეობას კი არა, თავსაც დაკარგავდა. ამიტომ მუდამ აღგზნებული იყო. ხან უკიდურესად დათრგუნვილი, უცებ საქმიანი და სასტიკად თავგამოდებული ხდებოდა.

ახლაც გადაფითრებული და დაძაბული იდგა აბიდ-აღას წინაშე, რომელსაც სიშმაგისაგან ხმა ეხლიჩებოდა.

— ყური მიგდე, თავქარქაშავ, შენ იცნობ ამ ღორებს, მათი ენაც იცი და ხრიკებიც, მაგრამ ვერ მოგიხერხებია იმ არამზადის გამოჭერა, რომელიც ვეზირის წამოწყებულ საქმეს ასეთ ზიანს აყენებს. ეს იმიტომ, რომ თავადაც იმათნაირი არამზადა ბრძანდები. ნეტავ, ვინ ოხერმა დაგაყენა უფროსად. დღემდე კაციშვილი არ გამოჩნდა, რომ შენი დამსახურების საზღაური მოგაგოს. ჰოდა, რაკი ასეთი კაცი ჯერაც არსადა ჩანს, მე თავად ვიკისრებ ამ საქმეს, იცოდე, ისე ღრმად ჩავაფლობინებ შენს თავს მიწაში, მზიან ამინდში შენი ჩრდილი პაწაწკინტელა ბალახის ჩრდილზე უმცირესი ჩანდეს. თუ სამ დღეში ხიდის ნგრევა-ზარალი არ შეწყვეტილა, თუ არ გაგიკოჭავს ბოროტმოქმედი, ხმა არ ჩაგიწყვეტინებია ყველასთვის, ვინც ალსა და ხიდის მშენებლობის ჩაშლაზე ხმებს ავრცელებს, ცოცხლად აგაცვამ მარგილზე. ისეთ სასეირო ადგილზე გამოგკიდებ, რომ შენი შემხედვარე ხალხი შიშით ძრწოდეს და სამუდამოდ დაგიმახსოვრონ. ვფიცავ სიცოცხლესა და სჯულს, ჩემს სიტყვას ავასრულებ. დღეს ხუთშაბათია, კვირამდე გაძლევ ვადას, ახლა კი წაეთრიე, ეშმაკამდეც გქონია გზა.

— გასწი-მეთქი აქედან!

პლევლიელი ფიცის გარეშეც დაიჯერებდა აბიდ-აღას მუქარას, სიზმარშიც კი ურჟოლას ჰგვრიდა მისი ხმის გაგონება და შეხედვა. აბიდ-

აღას ოთახიდან შიშით შეპყრობილი გამოვარდა და განწირული კაცის სიმძაფრით მაშინვე საქმეს შეუდგა. ხელად შეკრიბა თავისი ხალხი, თავზარდამცემი შიშისაგან გამოერკვა, უეცრად საშინლად გაშმაგდა და ლანძღვა-გინებას მოჰყვა.

— აბუეტებო, მუქთახორებო! — პლევლიელი თითოეულთან ახლოს მიდიოდა და ისეთი გამწარებით გაჰყვიროდა, თითქოს უკვე მარგილზე სვამენო — განა ასე დარაჯობენ და უფრთხილდებიან ვეზირის ქონებას, ქვაბისკენ კარგად გარბიხართ კისრისტეხით, როგორც კი მუშაობაზე მიდგება ჯერი, ისე დადიხართ, გეგონებათ ხელფეხი გქონდეთ შეკრული. მე კი თქვენი გულისთვის უნდა ვწითლდებოდე. არა, ჩემთან მუქთახორობა არ გაგივათ. ჩაფრებს ძელებისგან საჯალათო კუნძს დავადგმევინებ. ჰოდა, იცოდეთ, არც ერთს მხრებზე თავი არ შეგრჩებათ, თუ ორ დღეში ამ საქმეს ბოლოს არ მოუღებთ, ავაზაკებს არ დაიჭერთ ან არ ამოხოცავთ. თქვენ მხოლოდ ორი დღის სიცოცხლეღა დაგრჩენიათ ჩემი სჯულისა და ყურანის მზემ.

კარგა ხანს ყვიროდა ასე. მერე, როცა სათქმელი შემოელია და აღარ იცოდა ჩაფრებს რითი დამუქრებოდა, სათითაოდ ჩამოუარა და სახეში აფურთხებდა. ყვირილით გული რომ იჯერა და ცოტა შიშს სძლია, თავგამოდებით შეუდგა საქმეს.

ღამით ჩაფრებთან ერთად გარშემო უვლიდა მშენებლობას. უეცრად ხიდის იმ მხრიდან, რომელიც სხვებზე მეტად იყო მდინარეში შეჭრილი, ჭახაჭუხი შემოესმათ. მაშინვე იქითკენ გაცვივდნენ. მიახლოებისთანავე გარკვევით გაიგონეს როგორ აძრობდნენ ფიცრებს და როგორც ცვიოდა ქვები მდინარეში. როცა ადგილზე მიირბინეს, ძირს ჩამოყრილი ხარაჩოები და დანგრეული კედელი დაინახეს. ბოროტმოქმედნი კი თვალსა და ხელს შუა გამქრალიყვნენ.

ჩაფრებს თავზარს სცემდა საზარელი წყვდიადი და ცრუმორწმუნის შიშითა თუ ღამის სინესტისაგან კანკალებდნენ. სიბნელეში მაინც გაჰყვიროდნენ, თვალებს აჭყეტდნენ, ანთებულ ჩირაღდნებს აქნევდნენ, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა, ზარალი ისევ მიაყენეს, მაგრამ დამნაშავენი ვერც შეიპყრეს და ვერც მოკლეს, თითქოს მართლაცდა უჩინარის ხელი მოქმედებდა.

მეორე დღეს პლევლიანელმა მდინარის მეორე მხარეს რამდენიმე კაცი გადაიყვანა და საგულდაგულოდ დამალა საფარში. როცა შებინდდა, ჩუმად ჩამოარიგა ჩაფრები ხარაჩოებზე. თვითონ კი ორ ჩაფართან ერთად ნავში ჩაჯდა და ბნელ ღამეში შეუმჩნევლად გადაიპარა მარცხ-

ენა ნაპირზე. აქედან ერთი ნიჩბის მოსმით შეეძლო ბურჯებთან მისვლა. როგორც კი ბოროტმოქმედი გამოჩნდებოდა, ორივე მხრიდან თავს დაესხმოდნენ და გასაქცევ გზას მოუჭრიდნენ, თუკი მართლა ფრთოსანი არსება ან ალი არ იყო.

ტყაპუჭებში გახვეულმა პლევლიელმა იმღამინდელი გრძელი და ცივი ღამე ნავში გაატარა. თავში შავბნელი აზრები უტრიალებდა, მართლა შეასრულებს მუქარას და მართლა მოუსწრაფებს აბიდ-აღა სიცოცხლეს. თუმცა სხვა უფროსების სიცოცხლესთან შედარებით მისი სიცოცხლე მხოლოდ მუდმივი შიში და ტანჯვა-წვალება იყო. ხარაჩოებზე გამეფებულ სიწყნარეში მხოლოდ უხილავი წყლის ჩქაფუნი და ჩხრიალი ისმოდა. ამასობაში გათენდა კიდეც. ვიწრო ნავში წოლისაგან მთელი სხეული სტეხდა და ასე ეგონა, საცაა სული ამომხდებაო. მესამე და უკანასკნელ ღამეს ყარაულები ისევ ფხიზლობდნენ. სიჩუმეში ჩასაფრებულები ყურდაცქვეტილები ისხდნენ. შუაღამე გადავიდა. პლევლიელი მომაკვდინებელმა გულგრილობამ შეიპყრო, უცბად ოდნავ გასაგონი ტლაშუნის ხმა გაისმა. მერე ჩქამის ხმა უფრო ძლიერად განმეორდა და მდინარის ფსკერზე ჩასმული მუხის ხიმინჯებზე, რომელზეც ხარაჩოები იყო ამოყვანილი, ყრუ დარტყმის ხმა გაისმა, სადღაც ძლიერად დაუსტვინეს. პლევლიელის ნავი გაქანდა, ფეხზე წამომდგარი ჩაშტერებოდა სიბნელეს, ხელებს იქნევდა და ჩახლეჩილი ხმით გაჰკიოდა:

— ნიჩბებს მოუსვით! მოუსვით! შეიპყარით!

მენავეები მთელი ძალით უსვამდნენ ნიჩბებს, მაგრამ დინების საწინააღმდეგოდ სვლა გაუძნელდათ, დინებამ ნავი წაიღო და ხარაჩოებთან მისვლის მაგივრად შორს გაიტაცა, უეცრად ნავი რაღაცას წამოედო.

ჩქერის შუაგულში ნავი ხის საგანს ყრუდ დაეჯახა. მხოლოდ მაშინ მიხვდნენ ნავში მსხდომნი, რომ ხარაჩოებზე ბრძოლა იყო გამართული. აქაური გათურქებული ჩაფრები სიბნელეებში რაღაცას გაჰყვიროდნენ, კანტიკუნტად ისმოდა გაურკვეველი წამოძახილები:

— დაიჭი, არ გაუშვა!

— ქარიმან, აქეთ!

— აქა ვარ, აქ!

ხმაურისა და ალიაქოთის მიუხედავად, კარგად გაიგონეს რაღაც მძიმე საგანმა თუ ადამიანის სხეულმა როგორც მოადინა წყალში ტყაპანი.

რამდენიმე ხანს პლევლიელი გაოგნებული იდგა, ვერ მიმხვდარიყო ირგვლივ რა ხდებოდა. როგორც იყო გონს მოეგო და ბარჯს დასწვდა,

რომ ხიმინჯებისაკენ წასულიყო და ბურჯს მისდგომოდა. როგორც კი ბურჯს მიაღწია, გაგულადებულმა მთელი ხმით დაიყვირა:

— სინათლე! სინათლე ჩქარა! ბაგირი მომაწოდეთ!

მაშინვე არავინ გამოეპასუხა ამ არეულ-დარეულობაში, არც არავინ უსმენდა და თვითონაც ვერაფერი გაეგო. ბოლოს გაუბედავად აინთო მბჟუტავი შუქი, რომელმაც მკრთალად გაანათა ხალხი, მახლობელი საგნები და წყალზე წითელი ანარეკლები ისროლა. ვიღაცის ხელში ჩირაღდანმა იელვა. გონს მოეგნენ და ერთმანეთის გარჩევა იწყეს. მალე ყველაფერი აშკარა და ნათელი გახდა.

პლევლიელის ნავსა და ბურჯს შორის სამი მორისაგან შეკრული პატარა ტივი დაინახეს, რომელსაც წინა, ცხვირის მხარეს ჩვეულებრივი ტივის ნიჩაბზე უფრო პატარა ნიჩაბი ჰქონდა მიმაგრებული და მუხის ხიმინჯებზე თხილის მოქნილი წნელებით იყო მიბმული. ტივი, თუმცა წყლის ნაკადი ზედ ევლებოდა და ქვევით ეწეოდა, მაინც არ იძირებოდა. ხარაჩოებზე მდგომმა ჩაფრებმა უფროსს ხელი წააშველეს, რომ ტივზე გაევლო და მათთან ასულიყო. ჩაფრები მძიმედ სუნთქავდნენ და პირქუშად იყურებოდნენ. ფიცრებზე გაკოჭილი გლეხი იწვა. აჩქარებით სუნთქავდა, მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, ფართოდ გახელილ თვალებში კი ჩირაღდნების შუქი ირეკლებოდა.

ჩაფართა ოთხეულის უფროსმა აღელვებით მოახსენა თუ როგორ დარაჯობდნენ სხვადასხვა ადგილას ხარაჩოებში მიმალულები. როცა სიბნელეში ნიჩბების დგაფუნი მოესმათ, ჯერ უფროსის ნავი ეგონათ, მაგრამ იმდენი წინდახედულება გამოიჩინეს, თავი არ გამოამჟღავნეს და ნავის მოახლოებას დაელოდნენ. შემდეგ შეამჩნიეს, ორნი როგორ მიცურდნენ განაპირა ხიმინჯთან და ტივის მიბმაზე როგორ იწვალეს. ჩაფრებმა ნავიდან გადმოსვლა აცალეს და როცა ხაფანგში მოიმწყვდიეს, შეიარაღებულნი დაესხნენ თავს, ნააქციეს და გაკოჭეს. ერთი თავში ჩარტყმისაგან დარეტიანდა და ადვილად მოუარეს, მაგრამ მეორემ თავი გულშელონებულად მოაჩვენა, ფიცრებზე ჩაცურდა და წყალში გაუჩინარდა.

ჩაფარი შეშინებული დადუმდა, პლევლიელი კი ყვირილს მოჰყვა:

— ვინ გაუშვა? ვინ გაუშვა? თქვით, თორემ აგკუწავთ ყველას.

ჩაფრები დუმდნენ და თვალებს ახამხამებდნენ, პლევლიელი კი მოუსვენრად აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს გაქცეულს სიბნელეში ეძებდა და გაუგონარი სიტყვებით იგინებოდა. მერე გონს მოეგო, გა-

კოჭილ გლეხს ნაპოვნ საუნჯესავით დააშტერდა და თავფეხიანად აცახცახებულმა ტირილნარევი ხმით კბილებში გამოსცრა:

— ამას მოუარეთ, თვალისჩინივით გაუფრთხილდით! თორემ თუ ესეც გაგისხლტათ, ძაღლის შვილებო, იცოდეთ, თავები არ შეგრჩებათ!

ხელქვეითები გაბაწრულის გარშემო აწრიალდნენ. ნაპირიდან კიდევ ორმა ჩაფარმა გადმოირბინა ხარაჩოებზე. პლევლიელმა უბრძანა, ტყვე მაგრად გაეთოკათ და თვალი ფხიზლად ედევნებინათ. მერე გათოკილი მიცვალებულივით ფრთხილად ასწიეს და მსუბუქად წაიღეს ნაპირისაკენ, პლევლიელი გვერდით მისდევდა, ცდილობდა, ერთი ნაბიჯითაც არ ჩამორჩენოდა. გრძნობდა წუთი წუთს როგორ უბრუნდებოდა სიცოცხლე.

ნაპირზე ზედიზედ ინთებოდა სინათლე. გათოკილი გლეხი ერთ-ერთ განათებულ მიწურში შეიყვანეს. თოკებითა და ჯაჭვით შუაცეცხლის საკიდს მიაბეს.

ასე გაკოჭეს უნიშტელი რადისავი.

პლევლიელი ცოტა დაშოშმინდა. გინებასა და ლანძღვას თავი მიანება, მაგრამ ერთ ადგილას დაჯდომა მაინც ვერ შეძლო. ჩაფრებს ნარამარა აგზავნიდა წყალში გადამხტარი ბოროტმოქმედის მოსაძებნად. თუმცა აშკარა იყო, ამ უკუნეთში ვერც ვერავის დაეწეოდნენ და ვერც ვერავის დაიჭერდნენ. ხან რა განკარგულებას იძლეოდა და ხან რას, ხან გავიდოდა, ხან ისევ უკან შემოვიდოდა, მღელვარებისაგან მთლად დაკარგა ჭკუა. ერთხანს შეპყრობილის დაკითხვა დააპირა, მაგრამ ისევ გადაიფიქრა. ერთი სიტყვით, ყველაფერს მღელვარების დასაფარავად აკეთებდა და მხოლოდ ერთ რამეზე, აბიდ-აღას მოსვლაზე ფიქრობდა. თუმცა ცდა დიდხანს არც დასჭირვებია.

აბიდ-აღას ჩვეულებისამებრ, ნაშუაღამევს გამოეღვიძა. ერთი პირი უკვე გამოძინებული იყო. ძილი რაკი აღარ ეკარებოდა, ფანჯარასთან მივიდა და წყვდიადს მიაშტერდა. ბიკოვიცის ამ ადგილიდან, სადაც იგი ცხოვრობდა, დღისით მშვენივრად ჩანდა მდინარის დაბლობი, ხიდის ხარაჩოები, წისქვილები, მიწურები, მიწისა თუ ქვის ყორეები და დახროვებული საამშენებლო მასალა. ახლა კი, ამ უკუნეთში ყველაფერი ნათლად წარმოუდგა და მწარედ გაიფიქრა, თუ რა ძნელად და ზოზინით მიდიოდა საქმე. ერთხელაც იქნება ყველაფერი ვეზირის ყურამდე მიაღწევს. გამოჩნდება ისეთი ვინმეც, რომელიც არ დამზოგავს, უფრო სწორად, ცნობილი ჩუმჩუმელა, არხეინა და გაქნილი ტოსუნ-ეფენდი

მიჩივლებს ვეზირთან. მაშინ აბიდ-აღა რისხვას ველარ ასცდება. ეს აკვიატებული ფიქრი ძილს უფრთხობდა და სიზმარშიაც კი ციებ-ცხელებასავით სტანჯავდა. ჭამის მადა დაეკარგა, ადამიანი შესძაგდა და ცხოვრებაც აუტანელი ეჩვენებოდა. თუ ვეზირის გულისწყრომას დაიმსახურებ, გაგინაპირებს და მტრის დასაცინი გახდები: და არა მარტო სხვათა დასაცინი, საკუთარ თვალშიაც არარაობად და გლახაკად გადაიქცევი. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ვაი-ვაგლახით ნაშოვნი სიმდიდრე დაკარგო; თუ როგორმე სიმდიდრეს მაინც შეინარჩუნებ, განდევნილმა უნდა მალულად ისარგებლო შენი ქონებით სტამბოლიდან სადღაც შორს, მიყრუებულ პროვინციაში. დიახ, საცოდავი, სასაცილო კაცი გახდები, არც თავისთვის ივარგებ და არც სხვისთვის. არა, მიჯობს სამზეოს აღარ ვუყურებდე! არარაობად ვიქცე და არც არაფერი მებადოს, ვიდრე ამ დღეს შევესწრო.

ასეთი აზრები ხშირად უტრიალებდა გონებაში. ამაზე ისეთი დაჟინებით ფიქრობდა, რომ სისხლი თავში უვარდებოდა და საფეთქლებს უხეთქდა. ვერ ახერხებდა ამ ფიქრებიდან თავის დაღწევას, მის სულს წყვდიადით რომ ავსებდა. ვეზირის რისხვა ყველაფრის დამთავრებას ნიშნავდა, მაგრამ აბიდ-აღას მისი რისხვა ყოველ დღესა და საათს ემუქრებოდა, რადგან ყველაფერი ისე არის არეულ-დარეული. ყველა და ყველაფრის წინააღმდეგ მარტოდმარტო იბრძვის. უკვე თხუთმეტი წელია ეს ბრძოლა გრძელდება, მას შემდეგ, რაც გავლენიანი კაცი გახდა და ვეზირმა დიდზე დიდი საქმეები ანდო, მაგრამ, აბა, ვის ძალუძს ამის გაძლება? ვის შეუძლია ასეთ პირობებში უზრუნველად მიიყურთბალიშოს?

თუმცა ცივი და ნესტიანი შემოდგომის ღამე იყო, აბიდ-აღას სული ეხუთებოდა, ფანჯარა გამოაღო და სიბნელეს მიაყურადა. უცებ თვალი მოჰკრა ხარაჩოებსა და სანაპიროზე როგორ აინთო და ალიცლიცდა ცეცხლი. შუქი სულ უფრო მრავლდებოდა. აბიდ-აღა მიხვდა, რომ რაღაც მოხდა, ტანთ ჩაიცვა და მსახური გააღვიძა. დაბნეულმა დაცვის უფროსმა აღარ იცოდა, ვინ გაელანძღა, ვისთვის მიეცა ბრძანება და რა ეღონა, როგორმე დრო რომ გაეყვანა, ამ დროს მინურში აბიდ-აღაც შევიდა.

აბიდ-აღას მოსვლამ სულ მთლად თავ-გზა აუბნია პლევლიელს. დიდი ხანია ამ წუთს ელოდა, მაგრამ, როცა ეს დრო დადგა, ვერ გამოიყენა ეს წუთი, მღელვარებისგან ენა დაება და აღარ იცოდა რა ეთქვა. აბიდ-აღამ ზიზღით შეაქცია ზურგი და ტყვესთან მივიდა.

მიწურში ისეთი კაშკაშა ცეცხლი ენთო, შუქი ყველაზე შორეულ კუთხეებსაც კი სწვდებოდა, თუმცა ჩაფრები მაინც შეშას შეშაზე უმატებდნენ.

ჩაფიქრებული აბიდ-აღა მშვიდად ათვალიერებდა მის წინ მდგარ გაკოჭილ გლეხს. გლეხი მასზე გაცილებით დაბალი იყო. ყველა ელოდა, რას იტყოდა აბიდ-აღა, მაგრამ იგი ფიქრებმა წაიღო. „მაშ ასე, — აი, ვისთან მიხდება ბრძოლა, ამ საზიზღარ, ჭკუათხელ პლევლიელსა და ღვარძლიან, ტილიან გლეხზეა დამოკიდებული ჩემი ბედი და მომავალი".

აბიდ-აღამ ფიქრები გადაიყარა, განკარგულებები გასცა და ტყვეს დაკითხვა დაუწყო.

მიწურიჩაფრებითგაივსო,ეზოშიგამოღვიძებული ზედამხედველებისა და მუშების ყაყანი ისმოდა. აბიდ-აღას შეკითხვებს პლევლიელი თარგმნიდა.

რადისავმა ჯერ ისა თქვა, მე და ერთ ჭაბუკს გაქცევა გვქონდა გადაწყვეტილი, პატარა ტივი შევკარით და მდინარეზე გავცურეთო, მაგრამ, როცა უთხრეს, ასეთი ლაპარაკი მხოლოდ წყლის ნაყვაა, ან როგორ შეიძლება ასეთ უკუნეთში აყეფებული მდინარის გაცურვა, სადაც უამრავი მორევი, მეჩეჩი და ჭორომია, ვისაც გაქცევა სწადია, საყრდენებზე აძრომა და მშენებლობის დაზიანება რაში სჭირდებაო, მაშინ რადისავი დადუმდა და გაბრაზებულმა ჩაილაპარაკა:

— თქვენს ხელში ვარ, რაც გინდათ ის მიყავით.

— ეგრე იყოს, ახლავე დაგანახებ, რაც გვინდა, — უპასუხა აბიდ-აღამ.

ჩაფრებმა ჯაჭვი ახსნეს და ტყვე საქამრემდე გააშიშვლეს. ჯაჭვი კი ცეცხლში გადაუძახეს გასაცხელებლად. ჯაჭვი მურში ამოიგანგლა, ჩაფრებს ხელები და ტანსაცმელი მთლად დაესვარათ და რადისავის შიშველ ტანსაც შავი ლაქები დააჩნია. როცა ჯაჭვი საკმაოდ გავარვარდა, მოვიდა ბოშა მერჯანი და ჯაჭვის ერთ ბოლოს მაშა ჩაავლო, ჯაჭვის მეორე ბოლოს კი ჩაფარს დააჭერინა.

პლევლიელი აბიდ-აღას სიტყვებს თარგმნიდა.

— აბა, ახლა სიმართლე გვითხარი!

— რა უნდა გითხრათ! თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ და ყველაფერი იცით!

მაშინ გლეხის ფართო, ბანჯგვლიან მკერდს გავარვარებული ჯაჭვი შემოაგრაგნეს. ისმოდა, როგორ შიშინებდა შეტრუსული ბალანი. ტყვეს

ტკივილისაგან სახე მოეღრიცა, კისრის ძარღვები დაებერა. ნეკნები ამოებურცა, მუცელი ისე დაეძაბა, გეგონებოდა გული ერევაო. რადისავი ტკივილებისაგან კვნესოდა, ცდილობდა თოკები დაეწყვიტა, რომ გავარვარებული რკინისათვის სხეული მოერიდებინა. თვალები ავად-მყოფურად ეჭუტებოდა და ცრემლებით ევსებოდა. ბოლოს ჯაჭვი მოხსნეს.

— ჯერჯერობით ესეც გეყოფა, არ გერჩივნა უამისოდ ალაპარაკებულიყავი?

ტყვე მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ ხმას არ იღებდა.

— თქვი, შენთან ერთად ვინ იყო?

— იოვანს ეძახიან, ოღონდ სახელი არ ვიცი, და არც ის ვიცი, საიდან არის.

ისევ მოიტანეს ჯაჭვი და ისევ ავარდა შეტრუსული ბალნის სუნი.

გლეხს ბოლისაგან ხველება აუტყდა, ტკივილებისაგან მთლად დაკრუნჩხულმა დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოყოლა.

— მხოლოდ ორნი ვიყავით. მოვილაპარაკეთ ხიდის აშენებისათვის ხელი შეგვეშალა. როგორც ჩავიფიქრეთ, ისე მოვიქეცით. სხვებმა არაფერი იცოდნენ და ამ საქმეში არავის ხელი არ ურევია. ნაპირიდან მივცურდებოდით ხიდამდე, პირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა. როცა ბურჯებზე და ნაპირებზე ყარაულები დააყენეს, მაშინ გადავწყვიტეთ სამი ძელისაგან ტივი შეგვეკრა და ხიდთან შეუმჩნეველად მივცურებულიყავით. ეს იყო სამი დღის წინათ. პირველ ღამეს ძლივს გავასწარით, წინა ღამით სულ არ გამოვსულვართ. დღეს კი ისევ წავედით ტივით და კიდეც გავებით.

— ეს არის და ეს. ასე იყო, როგორც გიამბეთ. ახლა თქვენ იცით თქვენი საქმისა.

— არა, ჯერ ის გვითხარი, ვინ წაგაქეზა? იცოდე, ეს წამება არაფერია იმასთან შედარებით, რაც მოგელის.

— რაც გინდათ ის ქენით!

მაშინ ისევ მიუახლოვდა მჭედელი მერჯანი, დაიხარა და ხელფეხშეკრულს ფეხის თითებიდან ფრჩხილების დაძრობა დაუწყო. გლეხმა კბილი-კბილს დააჭირა და დამუნჯდა, მაგრამ სხეულის ცახცახზე ეტყობოდა, რა ჯოჯოხეთურ ტკივილებს იტანდა. უცებ კბილებში რაღაც გამოსცრა. პლევლიელი ხარბად ადევნებდა თვალს მის ყოველ მოძრაობას, ელოდა აღსარებას, ბოშას ანიშნა წამება შეწყვიტეო და რადისავს მივარდა:

— რაო? რა თქვი?

— არაფერი. იმას ვამბობ, რომ ტყუილად კარგავთ დროს და მაწამებთ.

— ვინ წაგაქეზა, გვითხარი!

— ვინა და შეითანმა!

— შეითანმა?

— დიახ, სწორედ იმ შეითანმა, ვინაც ხიდის ასაშენებლად აქ მოგიყვანათ.

გლეხი ჩუმად, მაგრამ მტკიცედ და შეუპოვრად ლაპარაკობდა.

შეითანი! ასეთ უჩვეულო გარემოში ეს სიტყვა უცნაურად აჟღერდა. „მართლა შეითანია!“ გაუელვა პლევლიელს, დამნაშავის წინ თავჩაქინდრული რომ იჯდა, თითქოს პლევლიელი კი არა, პირიქით, თვითონ ტყვე უწყობდა დაკითხვას. ამ სიტყვამ განაცვიფრა და ხელახლა გაუღვიძა ყველა შიში და წუხილი. თითქოს ბოროტგანმზრახველის დაჭერას არაფერი შეუცვლიაო. ვინ იცის, იქნებ, ეს ყველაფერი: აბიდ-აღაც, ხიდის მშენებლობაც და ჭკუაზე შეშლილი გლეხიც ეშმაკის ნახელავია? შეითანიო! ეგება, სწორედ ეს არის ის ერთადერთი, ვისიც უნდა ეშინოდეს? პლევლიელი ვერ ამჩნევდა როგორ აიტანა კანკალმა. სინამდვილესთან აბიდ-აღას მრისხანე ყვირილმა დააბრუნა.

— რაო! არამზადავ, ჩაგეძინა? — ყვიროდა აბიდ-აღა და მოკლე ტყავის მათრახს მუხლზე იტყაპუნებდა.

მაშამომარჯვებული ბოშა მუხლებზე ჩაჩოქილიყო და შავი ელვარე თვალები შიშითა და ერთგულებით აბიდ-აღასთვის მიეპყრო. ისედაც ბდღვიალა ცეცხლს ჩაფრები შეშას უმატებდნენ, განათებულ და გამთბარ სადგომს საზეიმო ელფერი ჰქონდა. უშნო, ულამაზო და უბადრუკი მიწური თითქოს უეცრად გაიზარდა, გახალვათდა და გამოიცვალა. შინ თუ გარეთ ისეთი დაძაბული სიწყნარე გამეფდა, როგორიც იქ ისადგურებს, საიდანაც სიმართლეს აძევებენ, ადამიანს აწამებენ, ან რაიმე საბედისწერო ამბავი ხდება. აბიდ-აღა, პლევლიელი და ტყვე ისე იქცეოდნენ და ლაპარაკობდნენ, გეგონებოდათ სცენაზე არიანო. დანარჩენები კი ფრთხილად, თვალებდახრილი დადიოდნენ, მხოლოდ აუცილებელ სათქმელს თუ იტყოდნენ, იმასაც ჩურჩულით. ყველას შორს ყოფნა ერჩივნა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. ცდილობდნენ ხმადაბლა ელაპარაკნათ და წამების ადგილიდან ცოტა მოშორებით მდგარიყვნენ.

დრო გადიოდა, მაგრამ რადისავს წამებით ვერაფერი დააცდენინეს. განრისხებულმა აბიდ-აღამ ლანძღვა-გინებით დატოვა მიწური, პლევლიელიც მაშინვე აჩქარებული ბორძიკით უკან დაედევნა, შემდეგ ჩაფრებიც გამოვიდნენ.

გარეთ რიყრაჟი ჩამდგარიყო. მზეს ჯერ არ ამოეწვერა, მაგრამ შორს, მთების მწვერვალებზე მუქი ლურჯი ფერის ღრუბლების ზოლი გაჭიმულიყო, მათ შორის კი მომწვანო ცა მოჩანდა. სქელი ბურუსის საბურველიდან, ნესტიან დედამიწას რომ შემოჰკროდა, ფოთოლგაცვენილი ხეების კენწეროები აზიდულიყო. აბიდ-აღა ისევ ისე იტყაპუნებდა მათრახს ჩექმებზე და ბრძანებას იძლეოდა რადისავისათვის თანაგანმზრახველთა სახელები ეთქმევინებინათ, თან ისე ეწამებინათ, რომ უკანასკნელი ძალ-ღონე მთლად არ გამოლეოდა. მერე ბრძანა ყველაფერი მოემზადებინათ, რომ შუადღისას ხიდის განაპირა ბურჯის ყველაზე შემაღლებულ ადგილზე დამნაშავე მარგილზე გაესვათ, რათა მისი დანახვა ქალაქის მცხოვრებლებსაც შეძლებოდათ და ხიდის გაღმა-გამოღმა მომუშავე მუშებსაც.

ეს საქმე მერჯანს მიანდო, მაცნეს კი დაავალა სამუშაო უბნები დაევლო და გამოეცხადებინა, რომ ნაშუადღევს ხალხი თავისი თვალით ნახავდა, თუ რა ბედი ეწეოდა ყველას, ვინც ხიდის მშენებლობას ხელყოფდა. ყველა მამაკაცი, თურქი თუ ქრისტიანი, დიდიან პატარიანად ვალდებული იყო ამ დროისათვის სანაპიროზე მისულიყო.

ეს ამბავი კვირა დილას მოხდა. კვირაობითაც ისევე მუშაობდნენ, როგორც სხვა დღეებში, თუმცა დღეს ზედამხედველებიც კი ნაკლებად შარიანობდნენ. მზის ამოსვლისთანავე ყველამ იცოდა, რომ დამნაშავე გაბაწრეს, უკვე აწამეს კიდეც და ნაშუადღევს უნდა დაესაჯათ. სოფლელები ამ ამბით გულდამძიმებულნი იყვნენ. ბეგარაზე მომუშავენი ერთმანეთს თვალს არიდებდნენ და თავი ისე ეჭირათ, თითქოს ძალზე დაკავებული იყვნენ საქმით და სხვა არაფერი აწუხებდათ. ჯერ კიდევ ნაშუადღევამდე, ერთი საათით ადრე, ხიდის ახლო პატარა მოედანზე, მეტწილად ქალაქის თურქი მცხოვრებლები შეჯარდნენ, ბიჭბუჭები იქვე ყორეზე ძვრებოდნენ. მუშები ქვაბების ირგვლივ შეგროვილიყვნენ, სადაც მათ ყოველდღიურ საკვებს ყვითელ, ცხელ და გამაგრებულ პურას ოხშივარი ასდიოდა. მზარეული ფიცრის მონაჭერზე დაწყობილ თიხის ჯამებში ან პირდაპირ მუშების გაწვდილ ქუდებში მარჯვედ არიგებდა კუთვნილ ულუფას. ხალხი ჭამდა, თან მდუმარედ და მოუსვენრად აქეთ-იქით იხედებოდა. მალე აბიდ-აღაც გამოჩნდა, რომელსაც ოსტა-

ტი ანტონი და რამდენიმე გამოჩენილი თურქი მოქალაქე მოჰყვებოდა. ყველანი მიწურსა და ხიდის შუა ფერდობზე ჩამოლაგდნენ. აბიდ-აღას მაშინვე მოახსენეს, ყველაფერი მზად გახლავთო. უკვე გაემზადებინათ დაახლოებით ოთხარშინიანი წაწვეტებული მუხის მარგილი, ზედ წვეტიანი რკინა ჰქონდა წამოცმული და ქონით სქლად იყო გაპოხილი. ხიდის ბურჯზე კი მარგილის დასაყენებელი კოჭები, ხის ჩაქუჩი, თოკები და დასჯისათვის საჭირო ნივთები ელაგა.

პლევლიელი აღელვებული იყო. სახეზე მიწისფერი ედო. თვალები დასწითლებოდა, აბიდ-აღას მსუსხავ მზერას ვერც ახლა უსწორებდა თვალს.

— შენ ეი, გესმის, თუ ყველაფერს ისე არ გააკეთებ, როგორც საჭიროა და ყველას წინაშე შემარცხვენ, გიჯობს, თვალით არ დამენახოთ არც შენა და არც ის ბოშას ნაშიერი. თვალაუხილავი ლეკვებივით დაგაბრჩობთ დრინაში. მერე შიშით აცახცახებულ ბოშას მიუბრუნდა და დაუტკბა:

— ექვს პიასტს გაძლევ, ექვსსაც მოგიმატებ, თუ შებინდებამდე ცოცხალს გააძლებინებ, აბა, ახლა შენ იცი.

ბაზარში აღმართული მეჩეთის მთავარი მინარეთიდან მოლას მჭახე და მკაფიო ხმა გაისმა. ხალხი აჩოჩქოლდა. მიწურიდან ფეხშიშველა და უქუდო რადისავი გამოიყვანეს. აქეთ-იქიდან ხუთ-ხუთი ჩაფარი ამოსდგომოდა. როგორც იცოდა, ახლაც წელში მოხრილი, სწრაფად მოდიოდა, მაგრამ სიარული შევცლოდა, ის უკვე აღარ „სთესავდა“, დასახიჩრებული ფეხებით პატარ-პატარა ნაბიჯებს არეულად ადგამდა. მხარზე წაწვეტებული მუხის თეთრი მარგილი ედო. უკან ჯალათი მერჯანი მოჰყვებოდა ორი ბოშას თანხლებით. წინ, ყორნისფერ ცხენზე შემჯდარი პლევლიელი მიუძღოდათ, ნაპირა ბურჯებამდე სულ ასიოდე ნაბიჯი იყო გასავლელი.

ხალხი თითის წვერებზე დგებოდა და კისერწაგრძელებული ცდილობდა ტყვე მეამბოხის დანახვას. არავინ ელოდა ასეთი შეუხედავი და საწყალი კაცის დანახვას. რადისავი სულ სხვანაირად ჰყავდათ წარმოდგენილი. არავინ იცოდა რად მოდიოდა ასე შეხტომით, გეგონებოდა ეკლებზე მოაბიჯებსო. ვერავინ ხედავდა ტანსაცმლის ქვეშ ბრტყელ აპეურების მსგავს დამღას, გავარვარებული ჯაჭვის ნაკვალევს. ამიტომაც ჩანდა ასე საცოდავი და იმ საქმისათვის შეუფერებელი, რისთვისაც ახლა გოლგოთაზე აჰყავდათ. ამ სანახაობას მხოლოდ თეთრი მუხის მარგილი აძლევდა ავბედით სახეს და ბრბოს ყურადღებას

იზიდავდა. მინაყრილთან პლევლიელი ცხენიდან ჩამოქვეითდა და წამით შეყოვნდა, აღვირი მსახურს მიუგდო და პროცესიას შეუერთდა, ტალახიანი და დამრეცი გზით უკვე მდინარისაკენ რომ ჩადიოდა. რამდენიმე წამში ყველამ დაინახა მწკრივად მიმავალმა პროცესიამ ხიდის ბურჯებსა და ხარაჩოებზე ფრთხილად და ნელ-ნელა რომ დაიწყო ასვლა. მდინარეში არ გადახტესო. ჩაფრები გარს შემოერტყნენ რადისავს, ბოლოს ყველაზე მაღალ ადგილს მიაღწიეს. წყლის ზემოთ კარგა მოზრდილი ფიცარნაგი დაეგოთ. ფიცარნაგზე რადისავი, პლევლიელი და სამი ბოშა ავიდა. ჩაფრები იმ ხარაჩოზე დადგნენ, სადაც რადისავი უნდა ეწამებინათ.

ნაპირს მომდგარი ხალხი აჩოჩქოლდა. ყველა ცდილობდა უკეთესად დაენახა სანახაობა. აქედან კარგად მოჩანდა, რაც ფიცარნაგზე ხდებოდა, მხოლოდ ნვრილმანის დანახვა და ხმის გაგონება უჭირდათ. მარცხენა ნაპირზე მდგარი მოქალაქეები და მუშები სამჯერ უფრო მოშორებით იდგნენ. იქ უფრო მეტი ღელვა დასადგურებულიყო. ყველას უნდოდა ისე მდგარიყო, არაფერი გამოპარვოდა. მდინარის ხმაური ყველაფერს ახშობდა. თავიდან საყურებელი არაფერი იყო. მერე კი ისეთი თავზარდამცემი სანახაობა გადაიშალა, რომ ბევრმა ზურგი შეაქცია და შინისკენ იბრუნა პირი, მოსვლას ნანობდნენ. როცა რადისავს დაწოლა უბრძანეს, წუთით შეყოვნდა, მერე ჩაფრებისა და ბოშებისათვის არ შეუხედავს, ისე მივიდა პლევლიელთან და ნდობით, როგორც მახლობელს ხმადაბლა, ყრუდ ჩაულაპარაკა:

— სიკვდილ-სიცოცხლის მადლს გაფიცებ: სიკეთე მიყავი, დამკარი მახვილი, რომ ძაღლივით არ ვეწამო.

პლევლიელმა ხელი აუქნია, თითქოს გულმინდობილ მსჯავრდადებულისაგან თავს იცავსო და დაიყვირა:

— მომშორდი ვლახო! როცა ვეზირის ქონებას აფუჭებდი, მაშინ ვაუკაცი იყავი, ახლა კი დედაკაცივით წუწუნებ! ისე ვიქმ, როგორც ნაბრძანები მაქვს. იმას მოგიზღავ, რაც დაიმსახურე!

რადისავმა თავი უფრო ჩაქინდრა, ბოშები მისცვივდნენ, ტანთ გახადეს. ჯაჭვებისაგან აბებრებული, საშინლად დამწვარი სხეული გამოუჩნდა. როგორც ნაბრძანები ჰქონდა, გლეხი უსიტყვოდ დაწვა გულდალმა, ჯალათებმა ხელები ზურგზე გადაუგრიხეს, ფეხებზე სათითაოდ თოკი გამოაბეს და აქეთ-იქით გაუჭიმეს. ამასობაში მერჯანმა მარგილი ორ პატარა ფიცრის მონაჭერზე ისე დადო, რომ მისი წანვეტებული თავი რადისავს ფეხებს შორის მოქცეოდა. მერე, მოკლე, ფართოპირიან და-

ნას ხელი დაავლო და იქვე ჩაცუცქდა, სწრაფად გაუჭრა შარვალი და უკანალი გაუფართოვა, საიდანაც მარგილზე აცმას უპირებდნენ. საბედნიეროდ, სეირის მაყურებლებს არ შეეძლოთ ამ საშინელი სისხლიანი ანგარიშსწორების დანახვა. ოღონდ, ის კი დაინახეს, როგორ ამოძრავდა რადისავის შებოჭილი ტანი, როცა წაწვეტებული მარგილი მის ტანს შეეხო, როგორ აიწია, თითქოს წამოდგომას ლამობსო და ისევ ძალაგამოლეული ფიცრებზე ყრუდ დაენარცხა. მერჯანი წამოხტა, ხის ჩაქუჩი აიღო და მარგილს ბლაგვი მხრიდან ნელ-ნელა მოზომილად დაუწყო დარტყმა. ყოველი დარტყმის მერე ჩერდებოდა, ამოწმებდა, თან თავის თანაშემწეს ახსენებდა, რომ თოკი ნელ-ნელა, თანდათანობით გაეწიათ. გლეხის სხეული ნერვულად იკრუნჩხებოდა, ჩაქუჩის ყოველ დარტყმაზე წელი ეღუნებოდა, იკუნტებოდა, მაგრამ თოკები ტანს ისევ სჭიმავდნენ და ასწორებდნენ. გაღმა-გამოღმა სიჩუმე გამეფდა, მხოლოდ წამების ადგილიდან ისმოდა ჯალათის ჩაქუჩის ყრუ ხმა, სადღაც სანაპიროს კლდეებში ექოს რომ გამოსცემდა. ახლო მდგომთ ესმოდათ, როგორ უხათქუნებდა დასჯილი ფიცარნაგზე შუბლს. რაღაც ტირილისა თუ გოდებისმაგვარი ხმაც ისმოდა, იგი არც მომაკვდავის ხროტინს ჰგავდა და არც მომაკვდავის ხმას. გაჭიმულ და განაწამებ სხეულს ისეთი ჭრიალი და ჭახჭახი გაჰქონდა, გეგონებოდათ ღობეზე ფეხით დგებიანო, ან სულაც ხეს ამტვრევენო. ბოშა ხამუშ-ხამუშ თავის მსხვერპლს დახედავდა, ამოწმებდა, როგორც შედიოდა მარგილი სხეულში. როცა დარწმუნდებოდა, არც ერთ სასიცოცხლო ორგანოს არ აზიანებსო, ისევ თავის საქმეს განაგრძობდა.

სანაპიროდან თუმცა ცუდად ჩანდა ყველაფერი და სმენითაც უფრო ცუდად ისმოდა, მაინც ყველას მუხლები უკანკალებდა, ხელ-ფეხი ეყინებოდა და სახეზე ფერი აღარ ედოთ.

უეცრად დარტყმის ხმა შეწყდა. ბოშამ შეამჩნია, რომ მარჯვენა მხართან კუნთები დაიჭიმა და ტყავი ამოიბურცა. მერჯანმა დანით ორჯერ ჯვარედინად გადასერა კანი. ჭრილობიდან ჯერ ოდნავ, მერე კი ძლიერ ნაკადად მოსკდა სისხლი. ერთი-ორჯერ მსუბუქად დაარტყა, მერე გადასერილში მარგილის რკინით მოჭედილი მახვილი წვერი გამოჩნდა. ჯალათმა კიდევ რამდენჯერმე დაარტყა და მარგილმა წვერი მარჯვენა ყურთან ამოყო. ადამიანი ისე იყო მარგილზე წამოცმული, როგორც ბატკანი შამფურზე, ოღონდ მარგილის წვერი ხახაში კი არა, ზურგში იყო ამოსული. თანაც ისე, რომ თითქმის შიგნეული არ დაუზიანებია. მერჯანმა ჩაქუჩი დააგდო, სისხლის გუბეში გატოპა და წამებულთან

მივიდა. თანაშემწეებმა სხეული გულაღმა გადმოაბრუნეს და ფეხები მარგილის ბოლოს მიუმაგრეს. მერჯანი რადისავს ყურადღებით დააკვირდა ცოცხალია თუ არაო. რადისავს სახე შეშუპებოდა. ქუთუთოებს აღარ ახამხამებდა, დიდი შავი თვალები ფართოდ გაეხილა. საშინელი ტკივილებისაგან მომანჭულ ტუჩებს შორის მაგრად დაკრეჭილი თეთრი კბილები მოუჩანდა. სახის კუნთები გაუშეშდა, სახე ნიღაბს დაემსგავსა. წამებულს გული უფრიალებდა. ხშირ-ხშირად, ნერვულად სუნთქავდა. მერჯანმა და ორმა ბოშამ ფრთხილად და ნელ-ნელა წამოაყენეს ჭოკზე აცმული ტახივით.

მარგილის ქვედა, მსხვილი ტარი ორ გადაჯვარედინებულ ნაწნავს შორის დიდი ლურსმნებით დაამაგრეს. მერე უკანა მხრიდან იმავე სიმაღლეზე პატარა ფიცარი დაუბიჯგეს და მარგილსა და ფიცარნაგს მიაჭედეს.

როცა ყველაფერი დამთავრდა, ჯალათები ფიცარნაგიდან ჩამოვიდნენ და ჩაფრებს შეერივნენ. ზევით კი მარგილზე წამოგებული წელამდე გაშიშვლებული ადამიანი დარჩა. შორიდან ძნელად მიხვდებოდა კაცი, რომ მარგილი, რომელზედაც ფეხები ჰქონდა მიმაგრებული, მისსავე სხეულში გადიოდა. წამებული ქანდაკებას ჰგავდა, მდინარის ზემოთ, ხიდის ბურჯის კიდეზე სივრცეში რომ აზიდულიყო.

მდინარის ნაპირებზე მომდგარ ხალხს ხმაურისა და შფოთის ტალღამ გადაუარა. ზოგი თავჩაქინდრული იდგა, ზოგიც უკანმოუხედავად გარბოდა. უმეტესობა კი ერთ ადგილზე იდგა და მდუმარედ უყურებდა ადამიანის გახევებულ, ასვეტილ სხეულს. შიშმა მათში ყველაფერი ჩაკლა, ფეხები ეკვეთებოდათ, მაგრამ თითქოს რაღაც ძალამ ადგილზე მიაჯაჭვაო, ვეღარ ახერხებდნენ საზარელი სანახაობისათვის თვალის მოშორებას. ბრბოში მხოლოდ შეშლილი ილინკა დარბოდა, ყველას თვალებში შესციცინებდა და ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: სად არიან ჩემი შეწირული ბავშვები, სად არის ჩემი შვილების საფლავი?

რამდენიმე ხნის შემდეგ პლევლიელი, მერჯანი და ორი ჩაფარი ისევ ავიდნენ წამებულთან. მარგილზე სისხლის წვრილი ნაკადი მოწანწკარებდა. რადისავი ჯერ ისევ გონზე იყო, მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, შეამჩნევდი როგორ ფეთქავდა კისერზე ძარღვები, როგორ მძიმედ, მაგრამ დაუინებით აცეცებდა თვალებს, თითქოს აბოდებსო, კრიჭაშეკრული კბილებში ოდნავ გასაგონად სცრიდა.

— თურქები... ხიდზე თურქები მოდიან. ძაღლებივით ამოწყდებით... ძაღლებივით ამოგძვრებათ სული...

ბოშებმა საწამებელი იარაღი წამოკრიფეს და პლევლიელთან და ჩაფრებთან ერთად ხარაჩოებიდან ჩამოვიდნენ. ბრბომ მაშინვე უკან დაიხია და მიიფანტ-მოიფანტა. ხის ტოტებსა და ყორეებზე მხოლოდ ბავშვებიღა ისხდნენ და ელოდნენ, არ იცოდნენ ყველაფერი დამთავრდა თუ კიდევ რაღაც უნდა მომხდარიყო. უნდოდათ გაეგოთ, რა მოუვიდა ამ საოცარ ადამიანს, რომელიც წყლის თავზე ისე მოჩანდა, თითქოს მაღლა შემხტარა და ჰაერშივე გაქვავებულაო.

პლევლიელმა აბიდ-აღას მოახსენა, ყველაფერი ზუსტად შესრულდა, წამებული ჯერ კიდევ ცოცხალია და ეტყობა, ჯერ არ მოკვდება, რადგან შიგნეული არ დაზიანებიაო.

აბიდ-აღას ხმაც არ გაუცია, არც კი შეუხედავს. ხელი დაუქნია, ცხენი მომიყვანეო.

მერე ტოსუნ-ეფენდისა და ოსტატ ანტონს გამოემშვიდობა.

ბრბო თხელდებოდა, ისმოდა როგორ გაჰყვიროდა ბაზრის მოედანზე მდგარი ქადაგი. — უფრო სასტიკი სასჯელი დაედება იმას, ვინც წამებულს მიბაძავსო.

პლევლიელი დაცარიელებულ ნაპირზე ისევ ჩაფიქრებული იდგა. მსახურს ცხენი აღვირით ეჭირა.

ჩაფრები უფროსის განკარგულებას ელოდნენ.

პლევლიელი გრძნობდა, რაღაცის თქმა რომ იყო საჭირო, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ისეთი შინაგანი მღელვარება დაეუფლა, ეგონა, საცაა მიწას მოვწყდები და ჰაერში ავქანდებიო.

აქამდე ფიქრის დრო არ ჰქონდა, რადისავის წამებით იყო შთანთქმული. მხოლოდ ახლაღა მიხვდა, თუ რას ნიშნავდა აბიდ-აღას მუქარა? ცოცხალს მარგილზე ნამოგაგებ, თუ დამნაშავეს ვერ დაიჭერო.

ბენვზე გადარჩა ამ საშინელებას, მხოლოდ ბოლო დღეს მოახერხა თავის დაძვრენა.

განა ღამღამობით ხიდის ბურჯზე ასული დამნაშავე, თავის მუხანათური საქციელით, იმას არ ცდილობდა, რომ სწორედ ყარაულის უფროსი ჩავარდნილიყო აბიდ-აღას კლანჭებში.

მაგრამ საქმე სხვანაირად შეტრიალდა.

საკმარისი იყო პლევლიელს თვალი შეევლო მდინარეზე გამოკიდული კაცისთვის, რომ გული შიშითა და ავადმყოფური სიხარულით ავსებოდა. უხაროდა, რომ ასეთ საშინელ ხვედრს თავი დააღწია და თვითონ საღ-სალამათი დარჩა.

ამის გაფიქრებაზე სიხარული ცეცხლის ნემსებივით ჩხვლეტდა მის გულსა და ხელ-ფეხს. უცებ მოძრაობა, ლაპარაკი, სიცილი მოუნდა, უნდოდა თავი დაერწმუნებინა, რომ ჯანმრთელი იყო და თავისუფლად შეეძლო გავლა-გამოვლა, საუბარი, ხმამაღალი სიცილი, სიმღერა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც მოიგუნებებდა.

რადგან თვითონ არ იყო მარგილზე აცმული და განაწამები, უილა-ჯოდ არ იწყევლებოდა და არც სიკვდილს ელოდა, როგორც ერთადერთ ხსნას.

პლევლიელს ხელები აუთამაშდა, ფეხები აუცეკვდა და უნებლი-ეთ გაღებული პირიდან სიტყვები ნაკადად გადმოსკდა, შიგადაშიგ ტირილნარევ ხარხარსაც ურევდა.

— ხა, ხა, ხა, რადისავო! შე ქაჯო შენა! როგორ მოკრუნჩხულხარ! რატომ ხიდს აღარ ანგრევ?! ეს რანაირად ღრუტუნებ და იკრუნჩხები?! იმღერე! იცეკვე, წყლის ფერიავ!

შეცბუნებული ჩაფრები შეშინებული შეჰყურებდნენ უფროსის როკვას, ხელებგაშლილი რომ მღეროდა, იმანჭებოდა და ტუჩებზე ქაფმორეული სიცილისაგან იგუდებოდა. ყორანა ცხენი კი იდგა და პა-ტრონს შიშნარევი თვალებით ალმაცერად უყურებდა.

თავი მეოთხე

საშინელი წამების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქსა და ოლქს. ენით აუწერელმა შიშმა მოიცვა ყველა. თანდათან მკვიდრდებოდა ხალხის შეგნებაში ნოემბრის იმ მოკლე დღეს მომხდარი ამბავი. ყველგან მხოლოდ მარგილზე აცმულ კაცზე ლაპარაკობდნენ, რომელიც იქ, ხიდზე ჯერ კიდევ სუნთქავდა. ამაზე ლაპარაკს თითქოს ყველა გაურბოდა, მაგრამ დუმილი რას უშველიდათ, როცა გონება სულ ამ ამბავს დასტრიალებდა და მზერაც უნებლიეთ ხიდისკენ ეპარებოდათ.

მეურმე გლეხები, ბანიიდან მშენებლობაზე ქვას რომ ეზიდებოდნენ, როგორც კი წამების ადგილს მიუახლოვდებოდნენ, შეტრიალდებოდნენ და ხარებს ხმადაბლა შეუძახებდნენ, ფეხი აუჩქარეთო.

სანაპიროზე თუ თვით ხიდის ხარაჩოებზე მომუშავე ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ ჩუმად და ისიც სამუშაოს გამო ელაპარაკებოდნენ. კაკლის ხელკეტიანი ზედამხედველებიც როგორღაც მდუმარენი და თავშეკავებულები იყვნენ. დალმათელ ქვის მთლელებს ხიდისთვის ზურგი ექციათ და ისე მუშაობდნენ. ეს კრიჭაშეკრული და გაფითრებული ადამიანები გაბოროტებით ურტყამდნენ ქვას თავიანთ თეგებს, კოდალების კაკუნის მაგვარ ხმას რომ გამოსცემდა.

მწუხრი მალე დაეშვა და მუშები ღამის სათევად წასვლას დაეშურნენ, უნდოდათ მალე გასცლოდნენ იქაურობას.

შებინდებამდე მერჯანი და აბიდ-აღას ერთგული მსახური ისევ ხიდზე ავიდნენ. აღმოჩნდა, რომ რადისავი ოთხი საათის გასვლის შემდეგაც კი სუნთქავდა, თითქოს გონებაზეც იყო. მთლად აკანკალებულმა ძლივძლივობით ასწია ქუთუთოები და როცა ბოშა დალანდა, ხმამაღლა აკვნესდა. ამ კვნესასა და სასიკვდილო ხროტინში ძლივს ისმოდა მისი სიტყვები.

— თურქები... თურქები... ხიდი...

უკან კმაყოფილები ბრუნდებოდნენ, ბიკოვიცეში, აბიდ-აღას სახლისკენ მიმავალნი გზადაგზა ყველა შემხვედრს უყვებოდნენ, წამებული კიდევ ცოცხალია, კბილებს აკრაჭუნებს, მკაფიოდ და გარკვევით ლაპარაკობს და, ალბათ, ასე მარგილზე წამოცმული ხვალ სადილობამდეც გაძლებსო. აბიდ-აღაც კმაყოფილი დარჩა და განკარგულება გასცა, დანაპირები საჩუქარი მიეცათ მერჯნისათვის.

იმ ღამით ქალაქში თუ ხიდის მახლობლად შიშის კანკალით დაწვა ხალხი, მაგრამ ძნელად თუ ვინმემ შეძლო დაძინება. უმრავლესობას თვალზე რულიც არ მოჰკიდებია.

დადგა ორშაბათი, არც ქალაქში და არც მშენებლობაზე არავინ დარჩენილა, რომ დრინის თავზე აღმართული ძელებისა და კადონებისაგან გადახლართულ ფიცარნაგისაკენ არ გაეხედა. მის კიდეზე, როგორც გემის ცხვირზე, ისე გამოკვეთილიყო მარგილზე აცმული ადამიანის გაშეშებული სხეული.

ბევრმა ისიც კი გაიფიქრა, გუშინ ხიდზე მომხდარი ამბავი ალბათ მესიზმრაო, მაგრამ ეს ყველაფერი ცხადი ამბავი, ნაღდი სინამდვილე იყო.

მაშვრალი ხალხი გუშინდელივით მდუმარე და გულჩაკლული ჩანდა. ქალაქში ისევ მითქმა-მოთქმა და განგაში სუფევდა. მერჯანი და აბიდაღას ერთგული მსახური ისევ ავიდნენ ფიცარნაგზე, ერთმანეთს ორიოდე სიტყვა გადაულაპარაკეს და კისერნაგრძელებულები დიდხანს ჩაჰყურებდნენ წამებულს სახეში. მერჯანმა რადისავს შარვალი ჩამოქაჩა. მერჯანი და მსახური მდუმარედ გამობრუნდნენ და ხმაამოუღებლად ჩაუარეს მუშებს. ყველა მიხვდა, რომ რადისავს უკვე სული დაელია. სერბიელებმა შვება იგრძნეს, თითქოს უხილავი გამარჯვება მოიპოვესო.

ახლა უკვე გაბედულად იყურებოდნენ ზევით, ფიცარნაგისაკენ, სადაც წამებული ეგულებოდათ. ყველა გრძნობდა, რომ თურქებთან გამუდმებულ ბრძოლასა და ქიშპობაში უპირატესობა მათ მხარეს დარჩა. სიკვდილი — ამ ბრძოლის ყველაზე მძიმე ხვედრი იყო.

უნებურად გახსნეს აქამდე შიშისაგან კრიჭაშეკრული ბაგეები. სველი, ტალახში ამოსვრილი, გაუპარსავი და გამხდარი მუშები ფიჭვის ხის აზარმაცებით ეწეოდნენ ბანიის ქვის ვეებერთელა ფილებს. წუთით შემდგარნი წელში სწორდებოდნენ და დაბალი ხმით ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— ღმერთმა შეუნდოს და შეიწყალოს!

— ტანჯული! ჩვენი მოსარჩლე!

— განა ვერა ხედავ, წმინდანთა თანა რომ შეირაცხა?

— წმინდა წამებული!

— მარტვილი!

ყველა შეპარვით გასცქეროდა წამებულს, რომელიც ისე გაჯგიმული იდგა, გეგონებოდა, ლაშქარს მიუძღვისო.

მაღლობზე აზიდული რადისავი აღარც შიშის გრძნობას იწვევდა და აღარც სიბრალულისას. პირიქით, ყველასათვის ცხადი გახდა, როგორ გამოცალკევდა იგი ხალხისგან და რაოდენ მაღლა დადგა — მიწიერი ხუნდებისა და ტვირთისგან გათავისუფლებული უკვე აღარ განიცდიდა ტანჯვა-წამებას, ახლა აღარაფერს, არც ტყვიას, არც ხმალს, არც ბოროტ განზრახვას, არც სიტყვას, არც თურქულ სამსჯავროს, დიახ, აღარავისა და არაფერს აღარ შეეძლო მისთვის ვნების მიყენება.

ეს ნელამდე გაშიშვლებული, ხელფეხშეკრული, გაშეშებული, ყელგადაგდებული კაცის გვამი, ადამიანის ტანი კი არ გეგონებოდა, რომელსაც გახრწნა და დაშლა ელოდა, არამედ მაღლა აღმართული ხელშეუხები ქანდაკება, აქაურობას საუკუნეების მანძილზე რომ შერჩებოდა.

პირშექცეული მუშები მალულად იწერდნენ პირჯვარს. მეიდანზე მეზობელი ქალები ერთმანეთთან გადად-გადმოდიოდნენ. ერთ-ერთ წუთს ჩურჩულებდნენ, ცოტას მოიტირებდნენ კიდევ და მაშინვე სირბილით უკანვე გამორბოდნენ, სადილი არ დაგვეხრაკოსო. ერთმა დედაკაცმა კანდელი აანთო, მალე ყველა სახლში სანთლები აციმციმდა და ოთახის ბნელი კუნჭულები გააცისკროვნა. ბავშვები სადღესასწაულო გუნებაგანწყობით მიჩერებოდნენ კამკამა სინათლეებს და ხარბი ცნობისმოყვარეობით იმახსოვრებდნენ უფროსების მიერ ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმულ გაუგებარ სიტყვებს:

— ღმერთო, დაგვიფარე, უფალო შეგვიწყალე!

— ოი, წამებულო, უფალმა მიგიღოს, ვითარცა წმინდა ტაძრის ამშენებლი.

— ო, ღმერთო ერთო, გვიშველე, გაანადგურე მტერი და დიდხანს ნუ აფარფაშებ ჩვენზე.

ამ სიტყვების გამგონე ბავშვები უფროსებს ეკითხებოდნენ: რა არის „წამებული“, „ვინ უნდა ააშენოს, ან სად უნდა ააშენოს ტაძარი?“ განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობას ბიჭები იჩენდნენ. დედები ბავშვებს უყვავებდნენ:

— იყურე, ჩემო სულიკო! იყურე, დედას გაუგონე, და სანამ სული გიდგას, წყეულ თურქებს ერიდე!

დაბინდებამდე აბიდ-აღამ მშენებლობას შემოუარა, საზარელი გაკვეთილის შთაბეჭდილებით კმაყოფილმა ხიდის ბურჯიდან წამებულის ჩამოხსნა ბრძანა:

— ძაღლი ძაღლებსავე გადაუგდეთ!

მალე ჩამობინდდა. გაზაფხულის ღამესავით ამ ნოტიო და თბილ ღამეს ხალხს საიდუმლო, მღელვარე საუბრები გაუჩაღებია. ვისაც უწინ წინააღმდეგობის გაწევასა თუ ხიდის დანგრევაზე სიტყვის გაგონებაც არ სურდათ, ახლა მზად იყო უდიდესი მსხვერპლი გაეღო. ყველაფერი გაეკეთებინა, რასაც საჭიროება მოითხოვდა. მარგილზე აცმული ადამიანი საერთო ფიქრის საგანი გახდა, იგი წმინდანაც იქცა. ბობოქრობდნენ თავად გატანჯული და ასეთი ძალადობით გაოცებული ადამიანები. სიბრალულით აღვსილი და ძველი ჩვეულებების ერთგული ხალხი უნებლიეთ, ერთი ფიქრით აღივსო, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ნამებულის ცხედარი ხელში ჩაეგდოთ, შეურაცხყოფისაგან გადაერჩინათ და ქრისტიანულ წესზე მიწას მიებარებინათ. მუშები ერთმანეთს ფრთხილად ეჩურჩულებოდნენ, ფარულად დადიოდნენ ქოხებსა და მიწურებში და მერჯანის მოსასყიდად შვიდ პიასტრს აგროვებდნენ. ეს საქმე მათივე წრის სამ ყველაზე მარჯვე კაცს მიანდვეს. და აი, არჩეულები, ეს მუშაობით დაღლილი, გალუმპული ადამიანები მერჯანს ეახლნენ. და საუბარი გაუბეს.

ლაპარაკი უფროსმა წამოიწყო, კოპები შეიკრა, კეფა მოიფხანა, განგებ მოიბლუა ენა და თქვა:

— ესეც აღსრულდა, მოსახდენი მოხდა, მაგრამ, აი, მაგალითად, ადამიანი ხომ მაინც ღვთისაგან გაჩენილი არსებაა:ლამაზი არ იქნება, რომ, მაგალითად, ძაღლების შესაჭმელი გახდეს.

მერჯანმა მაშინვე იაზრა, საითაც უმიზნებდნენ, ლაპარაკისაგან თავის არიდება არ უცდია, მაგრამ შეწუხებული იერი კი მიიღო:

— ოჰ, არა-მეთქი, ამაზე ერთი სიტყვაც არ გამაგონოთ. თქვენ ცეცხლში ჩაგდებას მიპირებთ. არ იცით, რა მხეცია აბიდ-აღა?

ვითომ შეშინებულმა გლეხმა შუბლი შეიჭმუხნა, გუნებაში კი გაიფიქრა: „ბოშა მოუნათლავი პირუტყვია, სული არა აქვს. ის ხომ შენი არც ნათლიმამაა და არც მოყვარე. მაგაზე არც ჯვრის მადლი ჭრის და არც როდინის ქვა".

თვითონ კი შარვლის ჯიბეში მაგრად უჭერდა მარჯვენა მუშტში მომწყვდეულ შვიდ პიასტრს.

— რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ვიცით, ვინც არის აბიდ-აღა. ისიც ვიცით, რომ არც შენთვის არის ადვილი ამისი გაკეთება. მაგრამ ის შენ არ დაგადანაშაულებს. ოთხი პიასტრი მოგიტანეთ, ძლივს შევაქუჩეთ, ალბათ, გეყოფა!

— არა, არა, ჩემთვის ყოველგვარ ამქვეყნიურ საუნჯეზე უფრო ძვირფასი სიცოცხლეა, აბიდ-აღას ცოცხალი ვერ გადავურჩები! ის ხომ ძილშიაც კი ყველაფერს ხედავს! ოჰ, არა, ამის გაფიქრებაც კი მზარავს.

— აბა ხუთი პიასტრი რომ მოგვეხერხებინა? ეგება ხუთი გიშოვოთ! — თავისას გაიძახოდა გლეხი და ბოშას უარს არაფრად აგდებდა.

— არ შემიძლია, ვერ გავბედავ, ვერა!

— კი მაგრამ, შენ ხომ ნაბრძანები გაქვს... მისი სხეული ძაღლებს მიუგდო,შენც აიღე და მიუგდე, შემდეგ რა მოუვა, რა შენი საქმეა, შენ არავინ აღარაფერს შეგეკითხება. ჩვენ კი წავიღებთ გვამს და ჩვენი წესისამებრ მალულად ისე დავმარხავთ, ძეხორციელიც ვერაფერს გაიგებს. შენ კი ხვალ იტყვი, ძაღლებმა გაგლიჯესო... არავის არაფერი დაუშავდება და შენც შენსას მიიღებ.

გლეხი წინდახედულად და აჩქარებით ლაპარაკობდა. ოღონდ, რაღაც საოცრად ებმებოდა ენა, როცა სიტყვა „გვამს“ ახსენებდა.

— ხუთი პიასტრისათვის თავი დავკარგო? არა და არა, არ შემიძლია!

— ექვსი იყოს! — მშვიდად მოუმატა გლეხმა.

ბოშამ ორივე ხელი წინ გაიშვირა. წელში გაიმართა, იმ გულისმომგები გულწრფელი გამომეტყველებით, როგორიც სიცრუის ჭეშმარიტებისაგან განურჩეველ ადამიანებს სჩვევიათ და სკამიდან წამოდგა. ბოშა გლეხის წინ ისეთნაირად გაჩერდა, თითქოს სიკვდილი მიუსჯიათ და ჯალათის წინაშე წარმდგარაო.

— დაე, ჩემმა კისერმა ზღოს, რაკი ბედმა ასე ისურვა, გაუშვი ჩემი ცოლი დაქვრივდეს, ჩემი ბავშვები დაობლდეს. მომეცით შვიდი პიასტრი და თქვენი მკვდარი წაიღეთ, ოღონდ ისე, რომ არავინ დაინახოს და შეიტყოს.

გლეხმა თავი გააქნია, ძალიან დაენანა, რომ ამ ნამუსგარეცხილისათვის შვიდივე პიასტრი უნდა მიეცა, თითქოსდა ბოშამ მის ხელში ჩაბღუჯული ფულები დაითვალაო.

მერე დაწვრილებით მოილაპარაკეს, მერჯანი მიცვალებულს როგორ გადაიტანდა ფიცარნაგიდან მდინარის მარცხენა ნაპირზე. როგორ გადააგდებდა გზის პირას ქვიან ფერდობზე, რათა აბიდ-აღას ხალხსა და გამვლელებს დაენახათ. გაგზავნილები ცოტა მოშორებით, ბუჩქნარში დაიმალებიან. როგორც კი დაბნელდება, გადაიტანენ და ისე დაკრძალავენ, რომ კვალს არ დატოვებენ. ასე რომ, ყველა დაიჯერებს,

გვამი ძაღლებმა დაფლითეს და შესანსლესო. მერჯანს სამ პიასტრს ახლავე მისცემენ, დანარჩენ ოთხს კი ხვალვე საქმის დამთავრების შემდეგ ჩაუთვლიან.

იმავე საღამოს ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოილაპარაკეს.

შებინდებისას მერჯანმა ფიცარნაგიდან გვამი ჩამოიღო და სანაპიროზე, გზის პირას დააგდო. ჩამოხსნილი გვამი აღარ ჰგავდა იმ გაჯგიმულ კაცს, როგორსაც ორი დღის განმავლობაში ხედავდნენ. ისევ იმ პატარა და მოხრილ რადისავად ქცეულიყო, ოღონდ უსულოდ იდო და აღარც სისხლი სდიოდა.

ჯალათმა და მისმა მხლებლებმა ხარაჩოები გადაიარეს, მდინარის გაღმა გავიდნენ და მაშინვე ქალაქს მიაშურეს.

გლეხები ბუჩქნარებში ელოდებოდნენ. გზაზე რომელიღაც ნაგვიანევი მგზავრი გამოჩნდა. მაგრამ, აი, ყველაფერი მიწყნარდა. ირგვლივ ღამის წყვდიადი ჩამოწვა. საიდანღაც ვეებერთელა, უპატრონო, მშიერი და გაქუცული მხდალი ქოფაკები გამოჩნდნენ. ბუჩქებში მიმალულმა გლეხებმა ქვები დაუშინეს და გარეკეს. ძაღლებმა კუდები ამოიძუეს, მაგრამ იქვე შორიახლო დაყუნტდნენ, ელოდნენ რა მოხდებაო. სიბნელეში თვალებს აელვარებდნენ.

გლეხებმა ერთხანს კიდევ შეიცადეს, რაკი დარწმუნდნენ ხალხის გამოჩენის შიში აღარ არისო, საფრიდან გამოვიდნენ, თან ნიჩაბი, წერაქვი და ორი ფიცარი გამოიტანეს. ფიცრები შეაერთეს, ცხედარი დაასვენეს და გზის გაღმა გადაიტანეს. იქ, დამშრალი შენაკადის კალაპოტში, გაზაფხულზე და შემოდგომით დრინისკენ მშფოთვარედ რომ ჩაიქროლებს ხოლმე, გლეხებმა ხრეში გადახვეტეს და ხმის ამოუღებლად მიწა სახელდახელოდ გაჭრეს. შიგ მოკრუნჩხული, გაშეშებული და გაყინული გვამი ჩაასვენეს. უეცრად ყველაზე ხანდაზმული გლეხი სამარეში ჩახტა. ტალკვესი ამოიღო, ფრთხილად დააკვესა, გააღვივა და წვრილი თაფლის სანთელი დაანთო, ალს ხელისგულებით მოუყუდროვა და თავთან მოწიწებით დაუდგა, მერე სამჯერ გადაიწერა პირჯვარი. ზევით მდგომმა ორმა გლეხმაც მას მიბაძა და პირჯვარი გადაიწერა. მერე გლეხმა ორჯერ გადაუსვა გვამს ხელი და წყნარად, მწუხარედ ჩაილაპარაკა:

— წმინდანებთან მოიხსენიებდე, უფალო, შენი მონის სულს! კიდევ რაღაც წარმოთქვა ერთმანეთთან დაუკავშირებელი საზეიმო ლოცვისმაგვარი სიტყვები. მაღლა მდგარნი პირჯვარს იწერდნენ. მერე ორი ფიცარი მიაწოდეს, ფიცრები ცხედარს ისე დაადო, კუბოს სახურავი გე-

გონებოდა. გლეხმა კიდევ გადაიწერა პირჯვარი, სანთელი ჩააქრო და სამარიდან ამოფოფხდა. სამივე ფრთხილად და სწრაფად აყრიდა მიწას, თან გულმოდგინედ ტკეპნიდნენ. ბორცვად არ დარჩეს, არ შეამჩნიონო. როცა ყველაფერს მორჩნენ, შავად მზირალ მიწას ხრეში მოაყარეს, საფლავის წინ მუხლი მოიდრიკეს და უკან გამობრუნდნენ. შორიდან მოუარეს, რათა ამ ადგილიდან რაც შეიძლება შორს წასულიყვნენ.

წყნარი და უქარო ღამე იდგა, მოწვიმა. გათენებისას კი მდინარის ხეობა რძისფერი ჯანღითა და მძიმე, თბილი სინოტივით გაიჟღინთა. ცაზე ხან იძალებდა შუქი, ხან მთლად მისუსტდებოდა. მზე ბურუსს ებრძოდა და ნისლებიდან თავი ვერ დაეღწია. ყუჩი ხმები ისმოდა შორიდან. ირგვლივ ყოველივე რაღაც უჩვეულოსა და მოჩვენებითს ჰგავდა. ადამიანები ხან გამოჩნდებოდნენ, ხანაც ისევ ბურუსში უჩინარდებოდნენ. დანისლულ მოედანზე საზიდარმა გადაიარა, შიგ ორი ჩაფარი ჩამჯდარიყო, რომელთაც გაკოჭილი პლევლიელი, თავიანთი გუშინდელი უფროსი მიჰყავდათ.

მას შემდეგ, რაც უეცრად აგზნებული პლევლიელი საჯაროდ ცეკვას მოჰყვა, იმით გახარებული, ისევ ცოცხალი ვარ და მარგილზე არავის წამოუცვივარო, ადგილს ვეღარ პოულობდა. ძარღვები სიმებივით დასჭიმოდა და მშვიდად გაჩერება აღარ შეეძლო. დაუძლეველი სურვილი ჰქონდა, წამდაუწუმ ერნმუნებინა სხვებიცა და საკუთარი თავიც, რომ ცოცხალია, ჯანმრთელია და ხელ-ფეხის მოძრაობა შეუძლია. მერე უცებ აბიდ-აღა მოაგონდა, ერთადერთი, რაც სიხარულს უჩრდილავდა და მაშინვე ფიქრებმა წაიღო, მაგრამ ისევ სწრაფად მოერია მოძრაობისა და მანჭვა-გრეხვის სურვილი... თავი ვეღარ მოთოკა, ისევ აცეკვდა. ხელები გაშალა, თითებს ატკაცუნებდა მოცეკვავესავით. წამდაუწუმ ცმუკავდა, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ის მარგილზე არ იყო აცმული. ფეხების ბარტყა-ბურტყით ბუქნას უვლიდა და გაიძახოდა:

— აი ასე, აი ასე... ასეც შემიძლია და ისეც შემიძლია, ისეც და ასეც.

— ჭამა აკრძალა, საუბარს უეცრად წყვეტდა, აცეკვდებოდა, იგრიხებოდა და ხელის ყოველ განძრევაზე ბავშვივით ირწმუნებოდა:

— აი ასე, მიყურეთ, აი ასე... ასეც შემიძლია და ისეც!

როცა საღამოხანს გაბედეს და აბიდ-აღას მოახსენეს, პლევლიელს ასე და ასე დაემართაო, მან ცივად და მოკლედ მოჭრა:

— შეშლილა და ეგ არის. პლევლაში წაიყვანეთ, შინ გათოკილი იყოლიონ, სისულელე არაფერი ჩაიდინოს. ეს სამუშაო მაგის შესაფერისი არ იყო.

ასეც მოიქცნენ, პლევლიელი ოთხთვალაში ჩასვეს, მაგრამ რაკი არც იქ დაწყნარდა, ჩაფრები იძულებული გახდნენ, გაეკოჭათ. ტიროდა, იგინებოდა და ვიდრე თითის გატოკება მაინც შეეძლო, გასხლტომას ცდილობდა. თავისას გაჰყვიროდა: „აი, ასე! აი ასე!“ ბოლოს და ბოლოს ხელ-ფეხი გადაუგრიხეს და ახლა, თოკებით გადასალტული ოთხთვალაში ჩაგდებულ ჭვავის ტომარას ჰგავდა. რაკი იგრძნო, განძრევა აღარ შემიძლიაო, უეცრად მოეჩვენა, მარგილზე მსვამენო და კრუნჩხვასა და განწირულ გოდებას მოჰყვა:

— მე არა, მე არა! ალი შეიპყარით, აბიდ-აღა შეიპყარით.

მისი ღრიალით შეშინებული ხალხი სახლებიდან გამორბოდა. დილის სქელ ჯანლში მზის სხივი ჭიატად ატანდა და დობრუნას გზაზე სწრაფად მიმავალი ოთხთვალაც ამ ჯანლში ინთქმებოდა.

ყარაულის უფროსის მოულოდნელმა და სავალალო გამგზავრებამ ხალხს შიშის ზარი გაუძლიერა: ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, წამებული დამნაშავე არ იყო და პლევლიელმა ტყუილუბრალოდ დაიდო იმისი ცოდოო.

მეიდანზე სერბიელი ქალები ჰყვებოდნენ, ალებმა რადისავეს ბუტკოვს კლდის ძირას მიუჩინეს სამარე და ღამღამობით საფლავზე ნათლის სვეტი დგასო. უთვალავი კანდელი ციდან გრძელ კაშკაშა ზოლებად ეშვება, სიბნელეში გიზგიზებს და ციმციმებსო. ამ ცეცხლს მათი ცრემლნარევი თვალები ხედავდა.

ხალხს ყველაფრის სჯეროდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, შიშს დიდი თვალები აქვსო. ხიდის მშენებლობა ყოველგვარი დაბრკოლების, შესვენებისა და შეჩერების გარეშე სწრაფად მიიწევდა წინ. არავინ იცოდა, როდემდე გაგრძელდებოდა, დეკემბრის დამდეგს ძლიერი ყინვები რომ არ დაეჭირა, რომლის წინაშეც თვით მბრძანებელი აბიდ-აღაც უძლური იყო.

დეკემბრის პირველ ნახევარში ასეთი დიდი ყინვები და ქარბუქი არასოდეს ყოფილა. ქვები მიწას ეყინებოდა, ხეები სკდებოდა, ყველაფერი თოვლში ჩაიჩუმქრა. მძვირვარე ქარი ხარაჩოებსა და ნაგებობებს ნამქერს აყრიდა. მუშაობა თავისთავად შეჩერდა, აბიდ-აღას რისხვაც კი აღარ აშინებდა ხალხს. აბიდ-აღა რამდენიმე დღეს ჯიუტობდა, მერე კი დათმო: იძულებული გახდა ხალხი დაეთხოვა და მუშაობა შეეჩერებინა. ერთ ძლიერ ქარიშხლიან დღეს თავისი ამალით იქაურობა დატოვა. ტოსუნ-ეფენდიც მარხილში ჩაჯდა, ჩალა შემოიწყო, საბნები შემოიხვია და იმავე დღეს გაემგზავრა. წავიდა ოსტატი ანტონიც. მუშებიც თა-

ვიანთ სოფლებში ისე შეუმჩნევლად გაიკრიფნენ, გეგონებოდა მიწამ პირი უყოო. მიტოვებული მშენებლობა კი მობეზრებულ სათამაშოსა ჰგავდა. წასვლის წინ აბიდ-აღამ ისევ მოუხმო წარჩინებულ თურქებს. გაბოროტებულმა და უძლურებისაგან ნირწამხდარმა განაცხადა, შარშანდელივით მშენებლობას თქვენი ზედამხედველობის ქვეშ ვტოვებ, პასუხისმგებელი თქვენ იქნებითო.

— მივდივარ, მაგრამ თვალი და ყური აქა მრჩება. თვალისჩინივით გაუფრთხილდით, ერთი ლურსმნის სანაცვლოდ ოცი ურჩი კაცის თავის მოკვეთაც რომ დაგჭირდეთ, არ მოერიდოთ. გაზაფხულის დადგომისთანავე დავბრუნდები და ანგარიშს მოგთხოვთ.

წარჩინებული მოქალაქენი შარშანდელივით შეფიქრიანებულები დაბრუნდნენ შინ, ქურქებში და შალებში ჩათბუნებულები ღმერთს მადლობას სწირავდნენ ასეთი სასტიკი ზამთრისათვის, ძლიერთა ძალაც არარაობად რომ აქცია.

მაგრამ გაზაფხულზე აბიდ-აღა უკან აღარ მობრუნებულა, მის ნაცვლად ტოსუნ-ეფენდის თანხლებით ვეზირის ახალი რწმუნებული, არიფ-ბეგი ჩამოვიდა.

აბიდ-აღას რისიც ეშინოდა, ის არ ასცდა. საქმეში კარგად ჩახედულმა ერთმა კაცმა დიდ ვეზირს აბიდ-აღაზე ყველაფერი წვრილად ჩაუკაკლა. ვეზირის ყურამდე მივიდა, რომ ორი წლის განმავლობაში მშენებლობაზე ყოველდღე ბეგარით გამოყვანილი ასეულობით გლეხი მუშაობდა, ვისაც გროში რა იყო, გროშიც არ მიუღიათ და ხშირად თვითონვე უხდებოდათ სმა-ჭამაზე ფიქრი. ვეზირის ფულებს კი აბიდ-აღა იჯიბავდა. მითვისებული ფულის რაოდენობაც უანგარიშეს. საკუთარ უნამუსობას, როგორც ცხოვრებაში ხშირად ხდება, აბიდ-აღა საქმის მოჩვენებითი თავდადებითა და ულმობელი სიმკაცრით ნიღბავდა. აქაური ხალხი და არა მარტო ქრისტიანები, თვითონ თურქები, იმის ნაცვლად, რომ ვეზირის დიდი საჩუქრის გამო მადლიერებით გამსჭვალულიყვნენ, მშენებლობის დაწყების დღესა და საათს სწყევლიდნენ. მეჰმედფაშამ, მთელი სიცოცხლე ხელქვეითების ქურდობასა და გამყიდველობას რომ ებრძოდა, ახლაც თავის უსინდისო რწმუნებულს უბრძანა, სასწრაფოდ უკან დაებრუნებინა მითვისებული თანხა. დარჩენილი ქონებითა და ჰარამხანით დაუყოვნებლივ ანატოლიის პატარა ქალაქში გადახვეწილიყო, თან ისე უნდა გაეტარებინა სიცოცხლე, მეტი არაფერი სმენოდა მასზე, თუ სურდა უფრო მკაცრად არ დასჯილიყო.

არიფ-ბეგი ორი დღის ჩამოსული იყო, რომ ოსტატი ანტონიც ჩამოვიდა და თან დალმაციიდან გამოცდილი მუშები ჩამოიყვანა. ტოსუნ-ეფენდიმ ვეზირის ახალ რწმუნებულს ოსტატი წარუდგინა. აპრილის ერთ კაშკაშა და თბილ დღეს მშენებლობა შემოიარეს. დაადგინეს, უწინარეს ყოვლისა, რა სამუშაოები უნდა შესრულებულიყო. როცა არიფ-ბეგი წავიდა, ოსტატი ანტონი დაჟინებით ჩააცქერდა თვალებში ტოსუნ-ეფენდის, რომელიც თვით ამ მზიან ამინდშიაც კი ფართო ლაბადაში გამოხვეულიყო და უცნაურად იბუზებოდა.

— მადლობა ღმერთს, ეს სულ სხვანაირი კაცი ჩანს! მაგრამ ჩემს თავს ვეკითხები: ვინ იყო ის ბრძენი და მამაცი ადამიანი დიდი ვეზირისათვის თვალის ახელას რომ არ შეუშინდა და პირუტყვი აბიდ-აღა თავიდან მოგვაშორა: ტოსუნ-ეფენდიმ თვალები ძირს დახარა და წყნარად თქვა:

— რაღა თქმა უნდა, ესა სჯობია!

— ეტყობა, იმ დალოცვილმა უშიშარმა კაცმა კარგად იცოდა აბიდ-აღას ასავალ-დასავალი. ჩანს, ვეზირის ნდობით სარგებლობს და მასთან თავისუფლად შესვლაც შეუძლია.

— რასაკვირველია, რასაკვირველია. ყოველ შემთხვევაში, ეს უკეთესი კაცი ჩანს, თავაუღებლად წარმოთქვა ტოსუნ-ეფენდიმ და ლაბადა მჭიდროდ შემოიხვია.

ასე განახლდა მუშაობა, რომელსაც უკვე არიფ-ბეგი ხელმძღვანელობდა. თავისი წინამორბედისაგან არიფ-ბეგი მართლაც ყოველმხრივ განსხვავდებოდა. ეს იყო წელში ოდნავ მოხრილი, საოცრად მაღალი კაცი. შეხედვისთანავე თვალში მოგხვდებოდათ მისი უწვერო, მრგვალი ლოყები და შავი ელამი თვალები, მოსაუბრეს დამცინავად რომ უცქერდნენ.

ხალხმა მაშინვე მეტსახელად მისირ-ბაბა* შეარქვა. ბრძანებისა თუ დავალების გაცემისას ოდნავ იღიმებოდა. ყვირილი, გინება და ჯოხის ხმარება არ უყვარდა. თითქოს ყურწაგდებულად და ზემოდან გადმოგვცქეროდა, მაგრამ, ამავე დროს, არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი და არც არაფერი გამოეპარებოდა.

ხალხს გულმოდგინება ჩაუნერგა, რასაც ვეზირი ასე ითხოვდა და ესწრაფოდა.

---

* მისირ-ბაბა — მისირიელი, ანუ ეგვიპტელი მამა (თურქ.).

წყნარი, ძლიერი და პატიოსანი კაცი იყო. არაფრის შიში არა ჰქონდა, სხვისგან არაფერს მალავდა და თვითონაც არ სჭირდებოდა ხელქვეითების დაშინება და დევნა.

დაუდევრობა ძველებურადვე მკაცრად ისჯებოდა, მაგრამ ბეგარაზე მუშაობა მოსვლისთანავე გააუქმა. მუშები შრომის საფასურსაც იღებდნენ და იკვებებოდნენ კიდეც.

ყველაფერი უკეთესად და სწრაფად კეთდებოდა, ვიდრე აბიდაღას დროს, აღარც შეშლილი ილინკა ჩანდა. ზამთარშივე რომელიღაც სოფელში გადაიკარგა.

მშენებლობა იზრდებოდა და მხრებს შლიდა.

გამოირკვა, რომ ვეზირი ხალხს მარტო ხიდით კი არა, სასტუმროქარვასლითაც ასაჩუქრებდა, რათა ხიდთან შემოღამებულ შორიდან მომავალ მგზავრებს სასტუმროში გაეთიათ და ცხენები თუ სავაჭრო საქონელი რიგიანად დაებინავებინათ.

არიფ-ბეგმა ქარვასლის მშენებლობის დაწყება ქალაქის მოედანთან ბრძანა. იქ, სადაც გზა ციცაბო გორაზე ადიოდა. ხიდიდან ორასი ნაბიჯის მოშორებით პატარა ვაკე ადგილი იყო. ოთხშაბათობით ამ ადგილას ბაზრობა იმართებოდა, ცოცხალი პირუტყვით ვაჭრობდნენ.

სწორედ ამ მოედანზე დაიწყეს სასტუმროს აშენება. მშენებლობა ნელა მიიწევდა, მაგრამ თავიდანვე ეტყობოდა, რომ მკვიდრი და მდიდრული შენობის აგებას აპირებდნენ.

იქაურები ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ შეუმჩნევლად და შეუფერხებლად იზრდებოდა დიდი სასტუმროს ქვითკირის კედელი. მთელი მათი გულისყური ხიდის მშენებლობისაკენ იყო მიპყრობილი.

დრინაზე გაჩაღებული ახლანდელი საქმიანობა არეულ-დარეული გეგონებოდათ. თითქოს ხიდთან არც არაფერი ჰქონდა საერთო. ქალაქელებიც, მოცლით ყოფნისას გაღმიდან რომ იყურებოდნენ, ვერაფერს მიმხვდარიყვნენ. აქამდე ყველაფერი ბუნებრივად და კარგად ეჩვენებოდათ, ახლა კი ვერაფერი გაერკვიათ, სულ სხვადასხვა მხარეს იზრდებოდა ახალ-ახალი მიწაყრილები და გოდორყურეები.

მდინარე ორ ტოტად გაყვეს, ნაწილი საგუბარში, პატარ-პატარა ტოტებში გადაუშვეს, ნაწილსაც ახალი კალაპოტი მისცეს.

ანტონმა დალმაციიდან საბაგირო საქმის ოსტატები მოიყვანა და როგორც ადგილობრივი, ისე მომიჯნავე მაზრების კანაფი სულ ერთიანად შეისყიდა. ოსტატები მათთვის განკუთვნილ შენობებში მოთ-

ავსდნენ და უჩვეულო სისქისა და სიმტკიცის ბაგირების დაწვნა დაიწყეს.

ბერძენმა ხუროებმა ანტონისა და ტოსუნ-ეფენდის მითითებით ბლოკებიანი ამწეები დაამზადეს და ტივებზე დააყენეს.

ამ ამწეების მეშვეობით ყველაზე უფრო მძიმე ქვის ფილები აჰქონდათ და ბურჯებზე აწყობდნენ, მდინარეზე ერთიმეორის მიყოლებით რომ იზრდებოდნენ. ოთხი დღე სჭირდებოდა ამ ვეებერთელა ქვის ფილის ნაპირიდან გადატანას და ხიდის საყრდენის საძირკველში ჩაშვებას.

ყოველდღე ამის მაცქერალ ხალხს დროის სათვალავი აერია და ვეღარც მშენებლობის საბოლოო მიზანს მიმხვდარიყო. ეჩვენებოდათ, რომ მშენებლობა არათუ ადგილიდან არ იძვროდა, პირიქით, უფრო მეტად იბლანდებოდა, რომ ძალას ალევდნენ ისეთ უმნიშვნელო სამუშაოებს, რასაც უშუალოდ ხიდის მშენებლობასთან საერთო არაფერი ჰქონდა და რაც უფრო ხანგრძლივდებოდა მშენებლობა, მით უფრო შორდებოდა თავდაპირველ ჩანაფიქრს. ვინც არ მუშაობდა, ადვილად ეკარგებოდა მოთმინება და სხვათა სამუშაოს შეფასებაშიაც ცდებოდა. როცა ლაპარაკი ხიდზე ჩამოვარდებოდა, ვიშეგრადელი თურქები კვლავ მხრების აწურვით იქნევდნენ ხელს. ქრისტიანები დუმდნენ, მაგრამ მშენებლობის ცქერისას გულში ნიშას უგებდნენ თურქებს და, როგორც მათ ყოველგვარ წამოწყებას, ხიდის მშენებლობის ჩაშლასაც შესთხოვდნენ ღმერთს. დაახლოებით ამ დროს მონასტრის წინამძღვარმა ღვთისმსახურების წიგნის ბოლოს სუფთა ფურცელს მიანერა: „დაე, ცნობილი იყოს, რომ ვიშეგრადთან მეჰმედ ფაშა დრინაზე ხიდს აშენებდა. ქრისტიანებმა იწვნიეს უსაზღვრო ძალადობა და მძიმე მონური შრომა. ოსტატები ზღვის გაღმიდან მოვიდნენ, სამ წელიწადს აშენეს და ბევრი ფულიც დახარჯეს, წყალი ორად გაყვეს და სამ ნაკადად მიუშვეს, მაგრამ ხიდი მაინც ვერ ააშენეს“.

გადიოდა წლები, ზაფხულს შემოდგომა ცვლიდა, ზამთარს — გაზაფხული. მუშები და ოსტატები მიდიოდნენ და ისევ ბრუნდებოდნენ. დრინას ორივე ნაპირი ჯერჯერობით ხიდის ნაცვლად ხარაჩოებით იყო შეერთებული, ნაძვის ფიცრებისა და კოჭების უაზრო წნულს რომ წააგავდა. ხიდის ორივე მხარეს მტკიცედ შეკრულ ტივებზე მაღლა ამწეები ირწეოდნენ, ორივე ნაპირზე კოცონები ხრჩოლავდა, სადაც ფილებს შორის ჩასასხმელ კალას ადნობდნენ. მესამე წლის დამლევს დიდი უბე-

დურება მოხდა, ურომლისოდაც არც ერთი დიდი ნაგებობის მშენებლობა არ დამთავრებულა.

მთავრდებოდა შუათანა, ყველაზე ფართო და მაღალი ბურჯი. სწორედ ამ ბურჯზე უნდა გაემართათ კაპია. და აი, ერთ-ერთი ვეებერთელა ფილის დადებისას მოხდა საშინელი ამბავი.

მსხვილი ბაგირებით შემოსალტული, ოთხკუთხა მძიმე ლოდი მუშების თავზე აღმოჩნდა გაჩხერილი, ვერასგზით ვერ მოახერხეს ამწეთი ამ ლოდის დაბლა, თავის ადგილზე დაშვება.

უეცრად ოსტატი ანტონის თანაშემწე ზანგი მოვარდა და ამწეზე მომუშავე მუშებს გაჯავრებით დაუწყო ჭკუის სწავლება.

ზანგი იმ საოცრად შერეულ ენაზე ლაპარაკობდა, რომელზედაც აგერ მეორე წელია სხვადასხვა კუთხიდან ხიდის მშენებლობაზე თავმოყრილი ხალხი ესაუბრება ერთმანეთს. უეცრად რაღაც მიზეზით ბაგირები მოეშვა და ლოდი მოწყდა. იგი ბურჯს ჯერ ერთი კიდეთი შეეხო, მეორეთი კი მთლიანად დაენარცხა.

ბედად, სწორედ თავის ადგილზე დაეცა, მაგრამ დავარდნისას ზანგი წააქცია და წელს ქვევით მოიყოლა. ხალხი დაფაცურდა, ატყდა ერთი რია-რია, ყვიროდნენ, შველას ითხოვდნენ. მოირბინა ოსტატმა ანტონმაც. ახალგაზრდა ზანგი ოხრავდა. ნაღვლიან და შეშინებულ თვალებს ოსტატს არ აშორებდა. გაფითრებულმა ანტონმა კოპები შეიკრა, ბრძანა მუშები მოეყვანათ, იქნებ როგორმე იარაღებით ქვის ფილა აეწიათ, მაგრამ ვერა გააწყეს რა.

ჭაბუკი სისხლისაგან სწრაფად იცლებოდა, სუნთქვა ეკვროდა, თვალები ებინდებოდა, გამწარებული უჭერდა ხელებს ოსტატ ანტონს და ნახევარი საათის შემდეგ სული განუტევა.

ზანგის ზარ-ზეიმით დაკრძალვა დიდხანს არ წაშლილა ხალხის მეხსიერებაში.

დაკრძალვას ყველა მუსულმანი დაესწრო, კუბოს რიგრიგობით ენაცვლებოდნენ, რომელშიც მხოლოდ გარდაცვლილის ზედა ტანი ესვენა, რადგან წელის ქვედა ნაწილი ლოდის ქვეშ დარჩა. ოსტატმა ანტონმა საფლავს ქვის ლამაზი ძეგლი დაადგა. დალმაციელი შეაძრწუნა ჭაბუკის სიკვდილმა. ოსტატმა ზანგი უკიდურეს გაჭირვებას ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოსტაცა. ეს მოხდა ულცინაში, სადაც რამდენიმე ზანგის ოჯახი ცხოვრობდა, არავინ იცოდა საიდან მოხვდნენ ისინი იმ მხარეში. ზანგის სიკვდილს ხიდის მშენებლობა ერთი წუთითაც არ დაუბრკოლებია. იმ წელსა და მომდევნო წელიწადსაც თბილი ზამთარი

იდგა და მუშაობამ დეკემბრის ნახევრამდე გასტანა. აი, უკვე მეხუთე წელიც დადგა. ხე-ტყე, ქვა და სხვა მასალა თანდათან შემცირდა.

მოედნისკენ მიმავალ გზასთან აგებულ ქარვასლას ხარაჩოები შემოხსნეს. სასტუმრო ისეთივე ქვისაგან იყო ნაშენი, რითაც ხიდი. შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო, მაგრამ უკვე შეამჩნევდით, რომ ახალი სასტუმრო თავისი სიდიდით, ხუროთმოძღვრებითა და გამძლეობით განსხვავდებოდა ყველა იმ ნაგებობისაგან, როგორიც კი ოდესმე შეიძლებოდა წარმოედგინათ ქალაქის მცხოვრებთ. ეს ღია ფერის, ფორებიანი ქვისაგან ნაშენი, მუქი წითელი კრამიტით გადახურული, ლამაზფანჯრებიანი შენობა ქალაქელებს დიდებულ და არაჩვეულებრივ ქმნილებად ეჩვენებოდათ, იგი ამიერიდან მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში უნდა შეჭრილიყო.

ვეზირის აშენებულ ქარვასლას ისეთი დიდებული შესახედაობა ჰქონდა, თითქოს მხოლოდ ვეზირების მისაღებად იყო განკუთვნილი. ყველაფერს დიდებულების, გემოვნებისა და ფუფუნების კვალი აჩნდა, ეს კი ძალზე აღელვებდათ ქალაქელებს.

ბოლოს თანდათანობით ხიდიდანაც დაიწყეს ხარაჩოების ჩამოხსნა. ახლა უფრო კარგად და ნათლად გამოჩნდა ლამაზი, ქვით ნაშენი ნაგებობა.

მართალია, ზოგიერთი ოსტატი და მშენებელთა ჯგუფი კიდევ ჩაჰკირკიტებდნენ ისეთ სამუშაოს, ხალხს რომ უაზროდ ეჩვენებოდა და თითქოს ხიდის მშენებლობასთან საერთო არაფერი აქვსო. მაინც ყველაზე ურწმუნო ქალაქელისათვის ცხადი გახდა, რომ მშენებლობა ერთიანი გეგმით მიმდინარეობდა, რომ ყოველი მისი შემადგენელი ნაწილი უშეცდომოდ იყო გაანგარიშებული.

პირველად სიმაღლითა და სიგანით ყველაზე უმნიშვნელო ნაპირა თაღები გამოჩნდა. ამას სხვა თაღებიც მიჰყვა, ვიდრე ბოლოს უკანასკნელ თაღს არ ჩამოხსნეს ხარაჩოები.

და აი, მთლიანად გამოჩნდა თერთმეტი მძლავრთაღიანი, წარმოუდგენელი სილამაზის ხიდი. ვიშეგრადელები განაცვიფრა ხიდის დიდებულებამ. განუსჯელი ქება-დიდებისა თუ ლანძღვა-გინების ტრფიალ ადამიანებს ახლა უკვე რცხვენოდათ ადრინდელი ეჭვებისა და ურწმუნოებისა. აღარავინ ცდილობდა განცვიფრებისა და აღტაცების დაფარვას. ხიდზე სიარული ჯერ კიდევ არ იყო ნებადართული, მაგრამ ხალხი ერთბაშად აწყდებოდა ორივე ნაპირს, განსაკუთრებით მარჯვენა სანაპიროს, სადაც მოედანი და ქალაქის დიდი ნაწილი იყო მოქ-

ცეული. იდგნენ და შესცქეროდნენ, როგორ დადიოდნენ ხიდზე მუშები, როგორ ხეხავდნენ ქვის მოაჯირებსა და კაპიის მაღალ საჯდომებს. ვიშეგრადელი თურქები მდუმარედ უყურებდნენ ხიდს, არც ერთ წვეთ ოფლად რომ არ უღირდათ, მთელი ხუთი წლის მანძილზე ყბად რომ ჰქონდათ აღებული და ყველაზე უფრო სამარცხვინო დასასრულს უწინასწარმეტყველებდნენ.

— ხომ გეუბნებოდით, — ხმამაღლა როხროხებდა სიხარულით აღგზნებული ერთი დუშჩელი ხოჯა, — დიდი ვეზირისათვის შეუძლებელი არაფერია, ეს ღირსეული, ბრძენი ადამიანები უეჭველად ააშენებენ იმას, რაც განიზრახეს-მეთქი. თქვენ კი დღედაღამ გაიძახოდით: ვერ ააშენებენ, ვერა და ვერაო. აი, ხომ ააშენეს, თანაც როგორი ლამაზი და მარჯვე ხიდია.

ყველანი კვერს უკრავდნენ, თუმცა ვერც ერთი მათგანი ვერ გეტყოდათ, ხოჯასაგან ოდესმე ამის მსგავსი რამ გავიგონეო, პირიქით, ყველას კარგად ახსოვდა, მათთან ერთად როგორ ლანძღავდა ხოჯა მშენებლობასაც და მის მოთავეებსაც. მაგრამ ყველა გულწრფელად იყო გრძნობამორეული და განცვიფრებას არ მალავდა.

— აი, ხალხიც ამას ჰქვია! შეხედეთ, რისი აშენება შეძლეს, როგორ დაგვიმშვენეს ქალაქი!

— ხედავ რას ნიშნავს ვეზირის ჭკუა და ძლიერება, საითაც გაიხედავს, ყველგან სიკეთე და ბედნიერება მოაქვს.

— ჯერ სადა ხართ, მთლად დასრულებულიც არ არის, — ამბობდა ისევ ის მხიარული და ხალისიანი ხოჯა, — ხიდი გაცილებით უფრო ლამაზი იქნება, ხომ ხედავთ, ბაზარზე გასაყვანი ცხენივით როგორ აკრიალებენ და უურვებენ!

ასე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს აღფრთოვანების გამოხატვაში და სულ ახალ-ახალ ლამაზ და მაღალფარდოვან სახოტბო სიტყვებს ეძებდნენ. მხოლოდ ხორბლის ვაჭარი, მდიდარი, პირქუში და ძუნწი აჰმედ-აღა შეთა უცქეროდა ზიზღით ნაგებობასაც და მეხოტბეებსაც. ამ მაღალ, ხმელ-ხმელ, სახეყვითელ, შავთვალა შეთას მახვილი მზერა და ისეთი წვრილი ულვაშები ჰქონდა, გეგონებოდათ, მიწებებულიაო. ახლა კი სექტემბრის ამ მხიარულ დღეს მზეზე თვალებსა ჭუტავდა და თავისას გაიძახოდა. მხოლოდ ეს ერთი კაცი იდგა თავისაზე.

დიახ, ზოგჯერ სხვისი საქმე და საქციელი უმიზეზო შურსა და ღვარძლს იწვევს.

აღფრთოვანებით მეხოტბეთ, ხიდს სიდიდესა და ციხესიმაგრის სადარ გამძლეობას რომ უქებდნენ, შეთა ზიზღით პასუხობდა:

— მაგას ჯერ წყალდიდობა არ უწვნევია. აი, ჩვენებურ, ნამდვილ ვიშეგრადულ წყალდიდობას რომ იგემებს, მერე ვნახოთ, რა დარჩება მისგან.

გაღიზიანებული ადამიანები ეკამათებოდნენ, აქებდნენ ხიდის მშენებლობას, განსაკუთრებით არიფ-ბეგს ასხამდნენ ხოტბას, ვინც, თითქოს თამაშ-თამაშ, სახემღიმარი აგებდა ასეთ ნაგებობას.

მაგრამ შეთამ მტკიცედ გადაწყვიტა, არავინ და არაფერი ეცნო.

— თქვენ გეკითხებით: რომ არ ყოფილიყო აბიდ-აღა თავისი მწვანე ჯოხით, უმკაცრესი წესრიგითა და ულმობლობით, განა მისირ-ბაბა შეძლებდა მარტო ღიმილითა და ზურგზე დაწყობილი ხელებით ხიდის დამთავრებას?

ხალხის საყოველთაო აღფრთოვანება შეთამ პირად შეურაცხყოფად ჩათვალა. იქაურობას გაბრაზებული გაეცალა და ჩვეულ ადგილას მოიკალათა. დიახ, განშორდა ხიდს, მზეს, ხალხის ლაპარაკსა და გრძნობამორეული ადამიანების ღელვას.

მაგრამ, შეთა გამონაკლისი გახლდათ.

ქალაქელთა სიხარული და აღფრთოვანება სულ უფრო იზრდებოდა და ახლომახლო სოფლებსაც ედებოდა.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ხიდის დამთავრების აღსანიშნავად არიფ-ბეგმა დიდი ზეიმი მოაწყო. არიფ-ბეგი საკუთარი თავისადმი მომთხოვნი, გულუხვი და უმნიკვლო ადამიანი იყო, სხვისი ნაშრომით ჯიბის გასქელება არ უყვარდა და ხალხის კუთვნილს არ ითვისებდა.

ხალხის თვალში არიფ-ბეგი ხიდის უპირველესი და მთავარი მშენებელი იყო.

მასზე უფრო ბევრს ლაპარაკობდნენ, ვიდრე ვეზირზე.

ზეიმი დიდებული და მდიდრული იყო.

ზედამხედველები და მუშები ფულითა და ტანსაცმლით დააფეშქაშეს.

ქეიფმა ორ დღეს გასტანა.

ვეზირს ადღეგრძელებდნენ, ცეკვავდნენ და საკრავებზე მის ქებადიდებას ამღერებდნენ. მერე დოღი გამართეს და სირბილშიაც გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ღარიბები ხორცითა და ტკბილეულით მოყირჭდნენ.

ბაზრის მოედანზე ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბებში ჰალვა იხარშებოდა, ცხელ-ცხელ ჰალვას იქვე არიგებდნენ. ისინიც კი დაძღნენ, ვისაც ბაირამობის დღესაც კი არ ღირსებიათ ტკბილეული.

მეზობელ სოფლებსაც გაუმასპინძლდნენ. ყველა, ვინც ჰალვით პირს იტკბარუნებდა, ვეზირს ლოცავდა, კარგად ყოფნასა და ჯანმრთელობას უსურვებდა, ხიდს კი გამძლეობასა და სიმტკიცეს. ზოგიერთები ქვაბს ოთხჯერაც კი მიადგნენ, ვიდრე მზარეულებმა არ შეამჩნიეს და ჰალვის კოვზით არ დაიფრინეს.

ბოშას ერთმა ღორმუცელა ბიჭუნამ იმდენი ცხელი ჰალვა ჭამა, რომ ველარ მოინელა და მოკვდა. ეს ამბავი ყველას სამუდამოდ დაამახსოვრდა.

ხალხი თაობიდან თაობას გადასცემდა ზეიმის ყველა წვრილმანს და ხიდთან დაკავშირებულ ამბებს, მით უმეტეს, რომ შემდეგ ესოდენ გულუხვი ვეზირები და პატიოსანი რწმუნებულები, ეტყობა, გადაშენდნენ. ასეთი პატიოსნებით ველარავინ დაიტრაბახებდა. ეს ამბები ბოლოს და ბოლოს ისეთივე ლეგენდებად ჩამოყალიბდა, როგორც ალის, სტოიასა და ოსტოიას მაგვარი სხვა მითები.

ზეიმის დროს, ისევე როგორც ხიდის გახსნის პირველ დღეებში, ხალხი ხიდზე უთვალავჯერ გადი-გამოდიოდა.

ბავშვები წინ და უკან დარბოდნენ, მოხუცები ნელა მიაბიჯებდნენ, დარბაისლურად საუბრობდნენ, ხანდახან ჩერდებოდნენ კიდეც, რათა ხიდიდან გადაშლილი სანახაობით დამტკბარიყვნენ.

ავადმყოფები, ხეიბრები, დამბლადაცემულები საკაცეებით მოჰყავდათ.

ყველას უნდოდა ეზეიმა, სხვას არ ჩამორჩენოდა.

თითოეულ მათგანს, თვით უბრალო მოქალაქესაც კი, გული სიხარულით უფრთხიალებდა, თითქოს ხიდმა ერთბაშად გააასკეცა მათი ძალ-ღონე, მათი უნარი და ამ მშვენიერი ზეადამიანური გმირობის თანაზიარი გახადა.

ხიდი მათი ცხოვრების ნაწილი გახდა, ისევე როგორც ამ დრომდე წყალი, ცა და დედამიწა ერწყმოდა მათ ცხოვრებას.

მაღლიანმა ხელებმა ფრთები შეასხეს ადამიანთა ყველაზე ნანატრ სურვილს და დიდი ხნის ნაოცნებარს — შესაძლებელი გახდა წყალზე გადასვლა და მანძილის მოთოკვა. ჰალვის ქვაბებთან თურქმა მოზარდებმა კოლო წამოიწყეს და ცეკვა-ცეკვით ხიდზე ავიდნენ. ასე ეგონათ, ქვის ფილებზე კი არ ვადგამთ ფეხს, მივფრინავთო. მერე კაპიაზე წრე

შეკრეს, შეითამაშეს და ფილებზე ფეხების ბრაგუნს მოჰყვნენ, თითქოს ხიდის სიმაგრეს ამოწმებენო. ცეკვაში გართულ ახალგაზრდებს ბავშვები მიეტმასნენ, მოცეკვავეებს ფეხებში ისე უძვრებოდნენ, თითქოს ფეხადგმულ ტყრუშულ ღობეში ძვრებიანო. მოცეკვავეთა მწკრივში ჩამდგარი ბავშვები იმ ხიდზე ცეკვავდნენ, რომლის სათავგადასავლო ამბებიც აკვნიდანვე ესმოდათ. ზედ კაპიის შუაგულში ტრიალებდნენ, იქ, სადაც, როგორც ამბობდნენ, ბედშავი ზანგი იტანჯებოდა, და ღამღამობით ბავშვებს აშინებდა. პატარები თუმცა მოზრდილთა წრეში მხიარულობდნენ, მაგრამ ზანგის შიშით გული მაინც უფანცქალებდათ.

ჯერ კიდევ ზანგის სიცოცხლეშივე, როცა ხიდზე მუშაობდა, მისი სახელი ქალაქის ბავშვებს შიშის ზარსა სცემდა.

ამ მაღალ და ახალ ხიდზე, რაც ქალაქის არც ერთ ნაგებობას არა ჰგავდა, ბავშვებს ისეთი გრძნობა ეუფლებოდათ, თითქოს რა ხანია დედა თუ მშობლიური კერა მიატოვეს და შავკანიანთა ჯადოსნურ ციხეებსა და უჩვეულო ცეკვებში გზა აებნათ.

შიშით აკანკალებდათ, მაგრამ ვერც ზანგის დავიწყებას ახერხებდნენ და ვერც კოლოს ანებებდნენ თავს, გასაოცარ კაპიაზე მწყობრად რომ მოძრაობდა და ალბათ, რაღაც დიდ საოცრებას თუ შეეძლო ახლა მათი ყურადღების დაპყრობა.

ტირტკოვიჩის ვაჟი, ნეზუკელი ჭკუანაკლული მურატი, რომელსაც ქალაქში დაცინვით მუტას* ეძახდნენ, უეცრად ქვედა მოაჯირზე შეხტა. ბავშვებმა წივილ-კივილი ატეხეს, მოზრდილებს გაკვირვებისა და შიშის ნამოძახილები აღმოხდათ. სულელს კი ხელები ფართოდ გაეშალა, თავი აეწია და ვიწრო მოაჯირზე მოჯადოებულივით ისე მსუბუქად მიდიოდა, თითქოს უფსკრულის პირას ცეკვავსო.

ბავშვებისა და უსაქმურების ბრბო გვერდზე მიჰყვებოდა და აქეზებდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მურატის ძმამ ალი-აღამ ხიდის მეორე ბოლოში ხელი არა სტაცა და ბავშვივით არ მიტყიპა.

ზოგი შორს, მდინარის დაყოლებით, თითქმის ნახევარი საათის სავალზე, კალატამდე ან მეზალინამდე ჩადიოდა და იქიდან ტკბებოდა ხიდის ცქერით.

შავ კლდეთა შორის მოქცეული თერთმეტი სხვადასხვა ზომის თაღიანი თეთრი და ნატიფი ხიდი სასწაულებრივ არაბესკას მოგაგონებდათ.

იმ დღეებში ხიდზე დიდი მარმარილოს დაფა მოიტანეს, ზედ რაღაც სიტყვები იყო ამოკვეთილი. წითელი ქვით ნაშენებ კაპიის კედელს მი-

* მუტა – ენაბლუ (სერბოულად).

ამაგრეს, ხიდის მოაჯირიდან სამი არშინით რომ იყო ამაღლებული. დაფასთან მდგარი ადამიანები კარგახნობით ელოდნენ, ვიდრე რომელიმე სოფტა* ან ახალგამომცხვარი ჰაფიზი** არ გამოივლიდა და ჭიქა ყავისა თუ ერთი ნაჭერი საზამთროსათვის ან უბრალოდ მადლობის საფასურად, ავად თუ კარგად, წარწერას ნაიკითხავდა.

იმ საზეიმო დღეებში უთვალავჯერ წაიკითხეს ვინმე ბადის მიერ შეთხზული ტარიხის ლექსები. იგი გვამცნობდა ხიდის ამშენებლის სახელს, წარმოშობასა და წოდებას. ხიდის მშენებლობის დამთავრების ეს ბედნიერი წელი ჰიჯრით*** 979, ხოლო ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1571 წელი გახლდათ. ბადი კარგი გასამრჯელოს ფასად მსუბუქ და ხმიერ ლექსებს უძღვნიდა დიდ ნაგებობათა აღმშენებელ და აღმდგენელ დიდებულებს.

ბადის ნაცნობები თუ მოშურნენი დაცინვით ამბობდნენ: — მხოლოდ ზეცის თაღია ის ნაგებობა, რომელზეც ბადის ლექსი არ დაუწერიაო.

თუმცა კარგ გასამრჯელოს აძლევდნენ, ბადი მაინც სიღატაკეში ცხოვრობდა, მუდამ გაჭირვებას ებრძოდა, ასე ხშირად რომ სჯაბნის ხოლმე პოეტებს. ვერც ჯილდოებითა და ვერც საჩუქრებით თავი რომ ვერ დაუღწევიათ წყეული სიღარიბისათვის. წერა-კითხვის მცოდნე ქალაქელთა უმეცრებას მათი ცოცხალი წარმოსახვა ავსებდა. ამიტომ ბადის ტარიხებს ყველა თავისებურად ხსნიდა და კითხულობდა.

ამ ტარიხსაც, როგორც სხვა მარადიულ ქვებზე აღბეჭდილ, უცვლელ და სამარადისო ტექსტებს, სხვადასხვანაირი ადამიანები კითხულობდნენ. ჭკვიანები და სულელები, კეთილები და ავისმოსურნენი — თითოეული მათგანი იმ ლექსებს იმახსოვრებდა, რაც მის სმენას ესალბუნებოდა, რაც მის გემოვნებას შეეფერებოდა. ლექსები, ზეპირად გადაცემისას, პირვანდელ სახეს კარგავდნენ, ახალ ყაიდაზე სხვაფერდებოდნენ, ზოგჯერ თითქმის უაზრობამდე იცვლებოდნენ და მახინჯდებოდნენ.

ქვაზე ამოკვეთილი იყო:

„უპირველესი ბრძენია იგი
ვეზირთ ვეზირი, პატრონი დიდი,
ვინც აგვიშენა ლამაზი ხიდი,
შორს გავარდნილა საქმენი ვისიც,
ვინც აგვისრულა ოცნება დიდი,

---

* სოფტა — მუსულმანთა სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე.
** ჰაფიზი — ახალგაზრდა ღვთისმეტყველი.
*** ჰიჯრა — არაბულ-მუსულმანური წელთაღრიცხვა.

დღეგრძელი იყოს სახელი მისი.
ო, მეჰმედ ფაშავ, ვეზირო დიდო!
შენს ნამოღვაწარს წლები ვერ შეცვლის,
ღირსი ხარ მრავალ ქებათა შესხმის,
არ დაინანე ოქრო და ვერცხლი,
შენ აგვისრულე ნაოცნებარი,
რაზეც ფიქრსაც კი ვერა ვბედავდით,
შენზე მლოცველნი, შენს საქმეს ვაქებთ
ო, მეჰმედ ფაშავ, ვეზირო დიდო!
დიდია შენი სიტყვა და საქმე!
საუკუნეთა და ჟამთა ცვლაში
მარად მოქუხდა ამაყი დრინი,
მაგრამ ბოძები ლამაზი ხიდის
არ უფიქრია არავის წინათ.
შენ საუკუნოდ დიდება გელის,
რადგან შენს საქმეს სიკეთე შვენის,
ხარ კაცთა შორის ბრძენი და ქველი,
იყოს დღეგრძელი სიცოცხლე შენი!"

როგორც იქნა, ხალხის გაოცება დაცხრა, თვალი შეაჩვიეს ხიდს, მოყირჭდათ წარწერის კითხვა.

რაც პირველ დღეებში საოცრებად ეჩვენებოდათ, ახლა უკვე მათი ყოველდღიური ცხოვრების თანამგზავრად იქცა.

თავიანთი საზრუნავით დაფიქრებული და დაბნეული ხალხი გულგრილად და აჩქარებით გადადიოდა ხიდზე, თითქოს მდინარის ხმაური არც კი ეყურებათო, თითქოს ეს ხიდიც ერთ-ერთი იმ ურიცხვ გზათაგანი იყო, თავიანთ ნახირთან ერთად ყოველდღე რომ მიმოდიოდნენ. წარწერიანი ფილა კი კვლავ მდუმარებდა ყველა სხვა ქვათა მსგავსად.

ახლა მარცხენა ნაპირის გზა უშუალოდ უერთდებოდა მდინარის გაღმა დაბლობზე გაწოლილ გზას.

აღარც ჭიებისგან გამოხრული შავი ბორანი ჩანდა და აღარც მახინჯი მებორნე.

ქვევით ხიდის განაპირა თაღებქვეშ ქვიშიანი ციცაბო დაღმართი მოჩანდა, საიდანაც უწინ მდინარემდე ჩასვლა და ამოსვლა ერთნაირად ძნელი იყო.

ოდესღაც აქ ბორნის მოლოდინში მგზავრებს გული უწყალდებოდათ. უიმედოდ და გაბმით გასძახოდნენ ხოლმე გაღმა მყოფ მებორნეს.

ყველაფერი ეს, ისევე როგორც ბობოქარი მდინარის ჭირვეულობა, ჯადოქრულად, სამუდამოდ გაქრა, ისე როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე.

ახლა ადამიანები ფრთებშესხმულებივით გადადიოდნენ ერთი მაღალი ნაპირიდან მეორეზე ამ გრძელი, ფართო და მკვიდრი ხიდით. დიახ, მთასავით უკვდავი ხიდით, ისეთი ზათქით რომ ეხმაურება ფლოქვების თქარათქურს, თითქოს ერთიანი თხელი ქვის ფილასაგან არისო გაკეთებული.

მგზავრებს უკვე აღარ უხდებათ წისქვილებსა და ქოხმახებში ღამის გასათევის ძებნა. მდინარის მახლობლად მხარგაშლილი ქვის ქარვასლა დგას, სადაც ყველასათვის მოიძებნება ადგილი.

თუმცაღა მგზავრთა რიცხვი დღითი დღე მატულობს.

ფართოთაღიან შესასვლელს ორივე მხრიდან ორი დიდი გისოსებიანი ფანჯარა აქვს დატანებული.

ფართო, ოთხკუთხა ეზოში, სადაც ყველა ოცდათექვსმეტივე ოთახის კარი გამოდიოდა, განძეულისა და საქონლის შესანახავად საგანგებო საწყობი ჰქონდათ.

ყველას გასაოცრად საჯინიბოც კი ქვიტკირით იყო ნაშენი, გეგონებოდათ, სულთნის ცხენებისთვის არის განკუთვნილიო. სარაევოდან ადრიანოპოლამდე ამისთანა სასტუმრო მეორე არ მოიძებნებოდა. აქ ყველას შეეძლო დაბინავება. პირველ ღამეს უფასო იყო საწოლი, ცეცხლი, წყალი და თავლა. დიახ, ყველაფერი ეს, ხიდიცა და ქარვასლაც დიდი ვეზირის ნაჩუქარი იყო.

მეჰმედფაშა სამოც წელიწადზე უფრო მეტი ხნის წინათ მაღალმთიან სოფელ სოკოლოვიჩში დაიბადა.

ჯერ კიდევ ყმაწვილი სერბიელ ბავშვებთან ერთად „სისხლის ხარკად" სტამბოლს გაიგდეს.

ქარვასლის შესანახ ხარჯებს ვაკუფი-ს* სახსრებიდან ისტუმრებდნენ, რომელიც მეჰმედფაშამ უნგრეთში ახლახან დაპყრობილი დიდი მამულებისაგან შექმნა.

ამგვარად, ხიდისა და სასტუმროს აშენების შემდეგ ბევრ ტანჯვასა და გაჭირვებას მოეღო ბოლო.

ალბათ, გაქრებოდა ის საშინელი გულისტკივილიც, რაც ვეზირს ბავშვობიდანვე სტანჯავდა, იმ დროიდან, როცა იანიჩარებმა ვიშეგრადთან ბობოქარ დრინაზე გადაიყვანეს. გაქრებოდა ტკივილი გულს

* ვაკუფი — ნაანდერძევი მამული ან უძრავი ქონება, რომელსაც მუსულმანური რელიგიის მსახურნი სარწმუნოებრივი თუ საქველმოქმედო მიზნებისათვის იყენებდნენ.

დროდადრო ავბედითი ისარივით რომ ესობოდა, მაგრამ მეჰმედფაშას თურმე არც უამტკივილოდ ეწერა სიცოცხლე და არც თავისი აგებული შენობებით დატკბობა. როგორც კი ბოლო სამუშაოები ჩაათავეს, ქარვასლა გახსნეს და ხიდმა შორს გაითქვა სახელი. მეჰმედფაშამ გულში უკანასკნელად იგრძნო მწვავე ტკივილი, მაგრამ ეს ტკივილი უკვე ფოლადის მახვილმა აგრძნობინა.

ერთ ხუთშაბათს, თავისი ამალით მეჩეთში შემავალ ვეზირს სამათხოვროდ ხელგაწვდილი, ნახევრად შეშლილი და ჩამოძენძილი დავრიში მიუახლოვდა. როცა ვეზირი ერთ-ერთ მხლებელს მიუბრუნდა მოწყალება გაიღეთო, დავრიშმა მარჯვენა სახელოდან მძიმე დიდი დანა იძრო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ვეზირს ფერდში ჩასცა.

მხლებლებმა დავრიში აჩეხეს.

მკვლელმა და ვეზირმა ერთდროულად დალიეს სული.

მეჩეთის წინ, ნაცრისფერ ფილებზე, ერთხანს გვერდიგვერდ ესვენნენ. მკვლელი, ბრგე და ახოვანი კაცი, ხელფეხგაფარჩხული ინვა, გეგონებოდა უაზრო რისხვა ჯერაც არ დასცხრომიაო. მის გვერდით კი — მკერდგაღეღილი, სისხლში მოსვრილი დიდი ვეზირი ინვა, მოშორებით ეგდო ვეზირის ჩალმაც.

ბოლო წლებში ვეზირი გახდა და წელში მოიხარა, სახე დაუნაოჭდა და ჩაუყვითლდა. მტვრიან ფილებზე გაშოტილი გამხდარი, გულგანგმირული და თავშიშველი ვეზირი დაბერებულ, დაძაბუნებულ სოკოლოვიჩელ გლეხს უფრო ჰგავდა, ვიდრე დამხობილ დიდებულს, სრულიად თურქეთის სამეფოს მმართველს.

ბევრმა წყალმა ჩაიარა, ვიდრე ქალაქამდე ვეზირის დაღუპვის ხმები მოაღწევდა.

თავდაპირველად აშკარად და გარკვევით ვერას ამბობდნენ, ფარულად ჩურჩულებდნენ, ისე როგორც ყურმოკრულ ამბავს გადასცემენ ხოლმე.

სულთნის სამფლობელოში აკრძალული იყო უსიამო ხმების გავრცელება, მაშინაც კი, როცა საქმე მეზობელ სახელმწიფოს შეეხებოდა, აბა, საკუთარ ქვეყანაზე ხომ მით უმეტეს, იკრძალებოდა. თუმცა არც არავინ აპირებდა ვეზირის სიკვდილზე ლაპარკს, რადგან მისმა მტრებმა, რაკი ვეზირის დამხობა შეძლეს, იმაზეც იზრუნეს, ვეზირთან ერთად მასზე ყოველგვარი მოგონებებიც დაემარხათ.

მეჰმედფაშას სტამბოლელი ნათესავები, მახლობლები და მომხრეებიც უმეტესწილად ამასვე ცდილობდნენ, რადგან ახალ მმართველთა მონყალების მოსაპოვებლად იღვწოდნენ.

და მაინც ვეზირის ბრძანებით აშენებულმა ორმა ლამაზმა ნაგებობამ ამ კუთხის ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა, გავლენა მოახდინა ვიშეგრადისა და მისი ახლომახლო სოფლების ვაჭრობასა და მიმოსვლაზე.

ხიდი და ქარვასლა თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მათ არც ცოცხლებთან, არც მკვდრებთან, არც აღზევებულებთან და არც დამხობილებთან საერთო არაფერი ჰქონდათ.

ქალაქი შენდებოდა და ვითარდებოდა. მდინარის ნაპირის გაყოლებაზე, ხიდისა და ქვის სასტუმროდ წოდებული, ქარვასლის მახლობლად სულ ახალ-ახალ სახლებს აგებდნენ.

ასე გაჩნდა ხიდი, ასე გაშენდა მის ირგვლივ ქალაქი.

მომდევნო სამი ასეული წლის განმავლობაში, ქალაქის განვითარებასა და მოქალაქეთა ცხოვრებაში ხიდის როლი და მნიშვნელობა ისეთივე იყო, როგორც ზევით აღვნერეთ. ხიდის არსებობის აზრი კი მის უცვლელობაში მდგომარეობდა. ხიდი ერთხელ და სამუდამოდ შეერწყა ქალაქის საერთო ხედს და აღარც შეცვლილა, ისევე, როგორც უცვლელი იყო ცის ფონზე გამოხატული მთების მოხაზულობა.

სწრაფად იფურჩქნებოდა და ასევე სწრაფად ქრებოდა ადამიანთა თაობები, ხიდი კი ისევ იდგა, მის ქვეშ კვლავ ძველებურად მიადგაფუნებდა ზვირთებს დრინა. რასაკვირველია, ხიდი ძველდებოდა, მაგრამ მისი ცხოვრების საზომი ისე ძლიერად განსხვავდებოდა არა მარტო ერთი თაობის, არამედ მთელ თაობათა ცხოვრებისაგან, რომ ადამიანის თვალი ვერ ამჩნევდა მის დაძველებას. მისი ცხოვრება, ოდესმე, რა თქმა უნდა, დასრულდებოდა, მაგრამ ახლა მარადიულს ჰგავდა, რადგან დასასრული ჯერ არა ჩანდა.

თავი მეხუთე

გაიარა პირველმა ასმა წელმა. ამ ხნის მანძილზე სიკვდილმა ბევრის სიცოცხლე შეიწირა და ადამიანთა ბევრი ნახელავი გააცამტვერა, მაგრამ ბრძნულად ჩაფიქრებული და მკვიდრად ნაშენი დიადი ნაგებობისათვის ასი წელი სათვალავში არ ჩაითვლება. დიახ, ისევ ისე იდგა ხიდი დრინაზე, ქარვასლაც ისევ ისე მასპინძლობდა მგზავრებს, როგორც გახსნის პირველ დღეებში.

და აი, კიდევ გაირბინა ასმა წელმა. დროება შეიცვალა, მოდიოდნენ ახალ-ახალი თაობები, ნაგებობები კი ისევ ურყევად იდგნენ. მაგრამ ის, რის წინაშეც დრო უძლური იყო, ამ ადგილებიდან დაშორებით წარმოშობილ გაუთვალისწინებელ გარემოების შედეგად შეიცვალა.

მაშინ, მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს, ბოსნიაში ბევრ სიმღერას მღეროდნენ უნგრეთზე. ცხადლივ და მალვით ლაპარაკობდნენ ამ ქვეყანაზე, რომელსაც თურქეთის ჯარები ასი წლის ბატონობის შემდეგ ტოვებდნენ.

თურქების ჯარების უკან დახევის დროს, ბევრმა ბოსნიელმა მემამულემ შესწირა თავი უნგრეთის მიწაზე თავისი მამულების დაცვას.

ამ მემამულეებს იმათთან შედარებით ბედი სწყალობდა, ვინც უნგრეთიდან, ყოფილ სამშობლოში, ბოსნიაში მთლად ულუკმაპუროდ დაბრუნდა. უნგრეთში ლაღ ცხოვრებას, დიდ სამფლობელოებში განცხრომასა და ბატონობას მიჩვეულებს აქ მწირი მიწა და ხელმოკლე ცხოვრება ელოდათ. ამ შორეული მოვლენების გამოძახილმა ვიშეგრადმდეც მოაღწია, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, რომ ყურმოკრულ და მხოლოდ სიმღერებში გაგონილ უნგრეთს, რაიმე დამოკიდებულება ექნებოდა მათი ქალაქის საქმიან ცხოვრებასთან. მაგრამ ეს ასე იყო.

უნგრეთიდან თურქეთის ჯარის წასვლის შემდეგ თურქეთის სახელმწიფომ, სხვა მიწების გარდა, სწორედ იმ ვაკუფის მიწებიც დაკარგა, რომელთა შემოსავალიც ქარვასლის შენახვაზე იხარჯებოდა.

არც ქალაქელებს და არც მგზავრებს აგერ უკვე ას წელზე მეტია, ქვიტკირის სასტუმროთი რომ სარგებლობდნენ, არ უფიქრიათ, თუ რითი არსებობდა ან საიდან ჰქონდა სასტუმროს შემოსავლის წყარო. სასტუმრო ყველას ემსახურებოდა და ყველა სარგებლობდა მისით ისევე, როგორც სარგებლობენ გზისპირას მდგარი ხით, რომელსაც მადლიანი უზარმაზარი ტოტები ლაღად გადაუშლია და ერთნაირად ეკუთვნის როგორც ყველას, ისე არავის. მგზავრები ჩვეულების მიხედ-

ვით ისევ ლოცულობდნენ ვეზირის დღეგრძელობაზე და ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ ვეზირმა ჯერ კიდევ ასი წლის წინათ დალია სული. დიდად არც იმაზე წუხდნენ, ვინ იცავდა ამჟამად სულთნის მიწებსა და ვაკუფებს. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ სამყაროში საქმეები ასე იქნებოდა ერთმანეთზე დამოკიდებული და გადახლართული. ამიტომაც ქალაქში უცბად ვერ შეამჩნიეს, ფულადი სახსრების ნაკადის შეწყვეტა. მდგმურებს ჩვეულებრივად ემსახურებოდნენ და მგზავრებსაც ძველებური სტუმართმოყვარეობით ღებულობდნენ. ჯერ ეგონათ, სასტუმროს შესანახი ფულის გამოგზავნა, როგორც სხვა დროსაც არაერთხელ მომხდარა, დროებით ბრკოლდებაო. მაგრამ გადიოდა თვეები, წლები, ფული კი არ ჩანდა. სასტუმროს მსახურმა სამუშაო მიატოვა. ვაკუფის მაშინდელი მმართველი დაუდ-ხოჯა მეტეველიჩი (ხალხმა ასე მონათლა ვაკუფის მმართველები და ეს მეტსახელი თანდათან მათივე გვარად გადაიქცა) ვის არ მიმართავდა, როგორ არ ცდილობდა რაიმე გაერკვია, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. მგზავრები საკუთარ თავს თვითონვე ემსახურებოდნენ, სისუფთავესაც იმდენად იცავდნენ, რამდენადაც თვითონ და მათ საქონელს სჭირდებოდა, მაგრამ წასვლისას თითოეული მათგანი ნაგავსა და მირეულ-მორეულ სადგომს სხვებს უტოვებდა თავში სახლელად. ასე რომ, ყოველი მგზავრის წასვლის შემდეგ უფრო მეტი ნაგავი რჩებოდა, ვიდრე მის მოსვლამდე იყო.

დაუდ-ხოჯა ყოველ ღონეს ხმარობდა, როგორმე სასტუმრო გადაერჩინა და მისი არსებობა გაეხანგრძლივებინა. პირველად საკუთარ სახსრებს ხარჯავდა, მერე ნათესავებსაც კი ართმევდა ფულს. რამდენადაც შეეძლო, წლიდან წლამდე ზრუნავდა შენობის შეკეთებაზე და მინდობილ საქმეს არ ღალატობდა.

დაუდ-ხოჯას საყვედურობდნენ, ეუბნებოდნენ — თავს იღუპავ, სისულელეა იმას მოუარო, რის შენარჩუნებაც აღარ შეიძლებაო. საყვედურებზე დაუდ-ხოჯა ასე პასუხობდა: — ფულს ძალიანაც კარგად ვხარჯავ, რადგან ღმერთს ვაძლევ სესხად და ეტყობა, თვითონ მე ვიქნები უკანასკნელი მმართველი, რომელიც ბედის ანაბარა მიატოვებს ვეზირის ნაბოძვარს, რაზეც, როგორც ჩანს, ყველამ ხელი აიღოო.

ეს ღვთისმოსავი, ბრძენი, საქმის ერთგული და შეუპოვარი ადამიანი, ვისი ხსოვნაც დიდხანს შემორჩა ქალაქს, ვერავინ შეძლო დაერწმუნებინა ამ საქმის უსარგებლობაში. სულით და გულით ემსახურებოდა თავის საქმეს. სწამდა, რომ დედამიწაზე ადამიანის ხვედრი სწორედ ნგრევასთან, დაცემასა და სიკვდილთან განუწყვეტელი ბრძოლა იყო,

რომ ადამიანმა უნდა იბრძოლოს, თუნდაც ეს ბრძოლა უიმედო ეჩვენებოდეს. შენობა მის თვალწინ ძველდებოდა და ინგრეოდა, მაგრამ ვინც ცდილობდა მის გადარწმუნებას ანდა მისდამი სინანულს გამოთქვამდნენ, დაუდ-ხოჯა ასე პასუხობდა:

— მე ნუ მიბრალებთ. ჩვენ ყველანი ერთხელ ვკვდებით, დიდი ადამიანები კი ორჯერ კვდებიან; პირველად, როცა ისინი ამ ქვეყანას ემშვიდობებიან და მეორედ, როცა მათი საქმე იღუპება. როცა დაუდ-ხოჯას უკვე აღარ შეეძლო დღიური მუშების გასტუმრება, ეს ღრმად მოხუცი, თავისი ხელით გლეჯდა სასტუმროს გარშემო აბურახებულ სარეველა ბალახებს, თვითონვე აკეთებდა წვრილმან საქმეებს, განა, სწორედ მაშინ არ ნამოადგა თავზე უფალი, როცა სახურავზე აძვრა კრამიტის გასასწორებლად. ვიშეგრადელ ხოჯას, რაღა თქმა უნდა, აღარ შეეძლო დიდი ვეზირის ნაბოძვარის გადარჩენა, რომელსაც განაჩენი თვითონ ისტორიამ გამოუტანა.

დაუდ-ხოჯას სიკვდილის შემდეგ სასტუმროს გაპარტახება დაჩქარდა, უპატრონობა ყველაფერს დაეტყო. დანაგვიანებული ჭები ყარდა, ჭერიდან წვიმა ჩამოდიოდა, კარ-ფანჯრებში ქარი დათარეშობდა. გაუწმენდელ თავლებში ბალახი ბიბინებდა. მშვენიერი ქვიტკირის შენობა შორიდან მაინც მარადიულსა ჰგავდა. გეგონებოდათ, მისი უჭკნობი სილამაზე საუკუნეობით უცვლელი დარჩებოდა. ქვემო სართულის დიდი ფანჯრები, საერთო თაღთან მაქმანივით წვრილი, ფაქიზი გისოსით რომ იყო შეერთებული, სამყაროს მშვიდად უმზერდნენ. ზედა ფანჯრებს კი, შიგნით გამეფებული ნგრევის, სიცარიელისა და უწესრიგობის კვალი დასტყობოდათ. თანდათანობით ხალხმა იქ ღამისთევას თავი მიანება, უსტამუიჩის ფასიან სასტუმროში დარჩენას ამჯობინებდნენ. თუმცა, ბოლო დროს, გადასახადის ნაცვლად, მხოლოდ დიდი ვეზირის სულის მოხსენიება კმაროდა, უკვე იშვიათად ნახავდით ქარვასლაში შემოსულ მგზავრებს. მერე, როცა ფულის იმედი აღარსაიდან იყო და არც ვეზირის ნაბოძვარზე მზრუნველობას კისრულობდა ვინმე, ყველამ და მათ შორის ახალმა მმართველმაც სასტუმროს მოვლას თავი მიანება. ქარვასლა გაპარტახდა და შიგ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. თანდათან უვარგისი გახდა და, როგორც ყველა ნაგებობა, სადაც არავინ ცხოვრობს და არავინ პატრონობს — ნგრევა იწყო. ირგელივ ყველაფერი სარეველა და ეკალა ბალახებით დაიფარა. გუნდ-გუნდად იყრიდნენ თავს მჩხავანა ყვავები, ქარვასლის სახურავზე ჩიტებმა ბუდეები გაიკეთეს.

ასე ნაადრევად და მოულოდნელად (ასეთი საქმეები, ერთი შეხედვით, მოულოდნელად ხდება ხოლმე) იწყო ჩამოქცევა უპატრონოდ დაგდებულმა ვეზირის სასტუმრომ. მომხდარი ცვლილების მიზეზით ქარვასლამ ვეღარ შეძლო თავისი მოვალეობის შესრულება და ნანგრევებად იქცა. ხიდი, რომელსაც მუდმივი ზრუნვა და ფულადი ხარჯები არა სჭირდებოდა, ისევ უცვლელი და უზადო დარჩა. უწინდებურად აერთებდა ერთმანეთთან ორივე ნაპირს და კაცი თუ საპალნე მის ზურგზე გადადიოდა.

ხიდის თაღებქვეშ ფრინველებმა დაიბუდეს, უჩინარი ნაპრალებიდან კი, დროთა განმავლობაში ქვის წყობა რომ დასერა, ბალახის წვრილი ღეროები ამოიწვერა, მუდმივი ნესტისა და სითბოს წყალობით ღია ფერის ფორებიანი ქვა გამკვრივდა და უფრო მაგარი გახადა. ქვებზე ქარები დათარეშობდნენ, დაბლობს ყველა მხრიდან რომ უბერავდა. წვიმის წყალი რეცხავდა და მზის თაკარა სხივები ახურებდა, ამიტომ დროთა განმავლობაში ქვამ პერგამენტისებური მოყვითალო იერი მიიღო და სიბნელეში ისე მოჩანდა, გეგონებოდათ შიგნიდან ასხივებსო. ვიშეგრადის მუდმივი მტერი — ძლიერი და ხშირი წყალდიდობა ხიდს ვერაფერს აკლებდა. წყალი წლის სხვადასხვა დროს მოდიდდებოდა ხოლმე სხვადასხვა სიძლიერით და ხიდის სიახლოვეს გაშენებული ქალაქიც მეტ-ნაკლებად ზარალდებოდა. წელიწადში ერთხელ ან ორჯერ დრინა ადიდდებოდა, აიმღვრეოდა და ხიდის თაღებქვეშ ყეფით მიქროდა. ბაღებიდან მოგლეჯილი მესრები, ძირფესვიანად ამოგლეჯილი ხეები, მოყვითალო-მოწაბლისფრო ფოთლები და მდინარისპირა ტყეებიდან წამოღებული ტოტები მოჰქონდა, ქალაქში წყალდიდობა ეზოებს, ბაღებს, მდინარისპირა ბეღლებს აზიანებდა და ყველაფერი ამით მთავრდებოდა. მაგრამ ყოველ ოც ან ოცდაათ წელიწადში ერთხელ, ხალხი დიდი წყალდიდობის მოწმე ხდებოდა, რაც მათ ხსოვნაში ისეთივე ღრმა კვალსა ტოვებდა, როგორსაც დიდი აჯანყებები და ომები ტოვებენ ხოლმე. ქვეყანაში ასეთი მოვლენები სამახსოვრო თარიღებად რჩება. ამ დღიდან ითვლიან დროთა სრბოლას, ანგარიშობას („დიდ წყალდიდობამდე ხუთი წლით ადრე", „დიდი წყალდიდობის წელს").

ასეთი წყალდიდობები დრინასა და რზავას შუა, ქვიშნარ ნახევარკუნძულზე მცხოვრებთა მთელ მოძრავ თუ უძრავ ქონებას პირნმინდად ანადგურებდა. დიდი წყალდიდობის მომსწრე თაობა ხშირად სიკვდილამდეც ვეღარ ახერხებდა წელში გასწორებას. აბა, რა დაავიწყებდათ შემოდგომის იმ ღამეს, როცა სეტყვაში, წვიმაში, საშინელ

ქარში, კანტიკუნტად მბჟუტავ შუქზე სახლებიდან თუ დუქნებიდან ნივთები და სხვა საქონელი როგორ გამოჰქონდათ და ქალაქის ზემოთა მოედანზე სხვის სახლებსა და დუქნებში ეზიდებოდნენ. მერე, როგორც კი გაცრეცილი, პირქუში დილა ოდნავ ირიჟრაჟებდა, წყლით დაფარულ იმ ქუჩებს გასცქეროდნენ, ასე გულმხურვალედ რომ უყვარდათ.

გულშემოყრილი ხალხი ქუჩაბანდებში შევარდნილ ამღვრეულ წყალს აკვირდებოდა, მათ სახლებს სახურავებამდე რომ სწვდებოდა და ფიცრებს ერთიმეორის მოყოლებით აძრობდა. ცდილობდნენ მიმხვდარიყვნენ, ვის სახლს უფრო ნაკლები ზიანი მოელოდა. სადღესასწაულო დღეების, შობის ან რამაზანის ღამეებში ოჯახზე ზრუნვით დაღლილი, დარბაისელი და ხანში შესული კაცები გამოცოცხლდებოდნენ და ლაპარაკის საღერღელი აეშლებოდათ, როცა სიტყვა მათი ცხოვრების ყველაზე უფრო საშინელ ღვთის რისხვაზე — წყალდიდობაზე ჩამოვარდებოდა.

გავიდოდა თხუთმეტი-ოცი წელი, კვლავ აშენებდნენ სახლებს, იძენდნენ ქონებას და ეს საშინელი, სასტიკი წყალდიდობა ყველაზე თავშესაქცევი მოსაგონარი ხდებოდა. წყალდიდობის გახსენება ძალზე აახლოებდა ძველი თაობის თითო-ოროლად დარჩენილ ადამიანებს, ვისაც ეს უბედურება ერთად ჰქონდათ ნაწვნევი, რადგან ადამიანებს ისე არაფერი აახლოებთ, როგორც ერთად გადატანილი უბედურება. ისინი გრძნობდნენ, როგორ აკავშირებდათ ერთმანეთთან გაჭირვების მოგონება. ძალზე ძვირფასი იყო მათ ცხოვრებაში ყველაზე უფრო დიდი ელდის გახსენება, გულში კმაყოფილების გრძნობას უღვიძებდათ, რაც ახალგაზრდობისათვის გაუგებარი იყო.

დროულ ხალხს ასეთი მოსაგონარი გამოულეველი ჰქონდა, დაუღალავად აცოცხლებდნენ მეხსიერებაში სულ ახალ-ახალ წვრილმანებს და სხვის მონაყოლს თავისას უმატებდნენ.

საკმარისი იყო ერთმანეთისათვის შეეხედათ, დაენახათ ბებრული, ნითლად დაძარღვული ჩაყვითლებული თვალები, რომ ხსოვნაში ისეთი რამ წამოტივტივდებოდა, რასაც ახალგაზრდობა ვერც კი წარმოიდგენდა.

წარსულის ზმანებით გართულ მოხუცებს ყოველდღიური საზრუნავი ავიწყდებოდათ, რადგან იმ ძველ, უკვე ბედნიერად ჩავლილ დიდ ამბებთან შედარებით ყველაფერი უმნიშვნელოდ ეჩვენებოდათ.

მოხუცები ისხდნენ დიდწყალდიდობა გამოვლილ თბილ ოთახებში და ერთსა და იმავე ამაღელვებელ, მძიმე ამბებს მეასეჯერ ჰყვებოდნენ.

რაც უფრო მწუხარე და მძიმე იყო მოგონებები, მით უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებდათ მათი მოყოლა.

თითო ჭიქა სუსტი არყისა და თამბაქოს კვამლის ბურუსში ძველი ამბები სულ სხვანაირად ცოცხლდებოდა.

მონაყოლს აზვიადებდნენ და ალამაზებდნენ, თუმცა ვერც ერთი მოსაუბრე ამას ვერ ამჩნევდა. ალბათ. დაიფიცებდნენ კიდეც, რომ სინამდვილეში სწორედ ასე იყოო.

ამ წინასწარ შეუცნობელ შემოქმედებაში ხომ ძალაუნებურად ყველა მონაწილეობდა.

ცოცხლებში ყოველთვის მოიძებნებოდნენ ბოლოდროინდელი დიდი წყალდიდობის მომსწრენი, გაუთავებლად რომ მასლაათობდნენ ამ წყალდიდობაზე და თან ახალგაზრდებს ეჩიჩინებოდნენ: მართალია, მაშინდელი უბედურება აღარ მობრუნდება, მაგრამ ძველებური სიკეთე და უწინდელი ბარაქაც გაქრაო.

განსაკუთრებით დიდხანს იხსენებდნენ და გაუთავებლად მსჯელობდნენ ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ წყალდიდობაზე, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ბოლო წელს მოხდა.

როგორც მოხუცები ჰყვებოდნენ, ბოლოდროინდელი წყალდიდობის მომსწრეთაგან თითქმის აღარავინ იყო ცოცხალი, მაგრამ როცა ახალი წყალდიდობის საფრთხე მოახლოვდა, ყველა ფეხზე დადგა.

იცოდნენ, რა შვილიცა ბრძანდებოდა დრინა და წყლისპირა საწყობებიდან ყველაფერი გამოზიდეს. ქალაქელები სიბნელეში ჩირაღდნებით მიდი-მოდიოდნენ და სანაპიროზე მდინარის ხმაურს აყურადებდნენ.

გამოცდილები ამტკიცებდნენ, რომ მდინარის დინების თავისებურ ხმაურზე, შეიძლება იმის გამოცნობა, ქალაქელებისათვის არცთუ ისე საზიანო ყოველწლიური წყალდიდობაა მოსალოდნელი, თუ იმ იშვიათი წყალდიდობის ჟამი დგება, როცა წყლით იფარება ხიდი, ინგრევა ქალაქიცა და ზერელე საძირკველზე აშენებული ნაგებობანიც.

იმ საბედისწერო ღამის წინ, ყველას მოეჩვენა, რომ წყალმა დაიკლო და რაკი ხალხი წინა შფოთიანი ღამით მოქანცული და უძილო იყო, მთელმა ქალაქმა ღრმა ძილით ჩაიძინა, მაგრამ მდინარემ უმუხთლათ. მოხდა ის, რაც არასოდეს არ მომხდარა. იმ ღამეს რზავა უცებ ადიდდა და შლამისაგან გადაწითლებულმა წყალმა დრინა შესართავთან გადაკეტა. ასე რომ, ნაპირებიდან გადმოხეთქილი ორი მდინარე ქალაქში შეგუბდა.

ერთ ყველაზე მდიდარ ვიშეგრადელ თურქ სულ-აღა ოსმანოვიჩს იშვიათი სილამაზის, არაბული ჯიშის ფასდაუდებელი ცხენი ჰყავდა. როგორც კი დრინა გადაიკეტა და წყალმა ადიდება დაიწყო, ანუ ორი საათით ადრე, ვიდრე წყალი ქალაქის ქუჩებს მოაწყდებოდა, ცხენი ჭიხვინს მოჰყვა და ვიდრე პატრონი და მსახურები არ დააფეთა, აღარ დაცხრა.

ცხენი მდინარის პირას მდგარი თავლიდან გამოიყვანეს.

მალე მთელი ქალაქი ფეხზე დადგა.

და აი, ოქტომბრის ბნელსა და ცივ, ქარიან ღამით ხალხი კოკისპირულ წვიმაში დაწიოკდა.

ნახევრად შიშველი ხალხი წყალში მუხლამდე დააბოტებდა. ზოგი დარჩენილი ქონების გადარჩენას ლამობდა, ზოგს შუაღამისას, უცებ გაღვიძებული, ატირებული ბალღები ზურგზე აეკუდალავებინა და ისე მიჰყავდა.

თავზარდაცემული საქონელი ბღაოდა.

მდინარის მხრიდან განუწყვეტლივ მოისმოდა ყრუ რაკუნი. წალეკილი ტყეებიდან წამოღებული ხეების ძირები და ნატეხები ხიდის ქვიტკირის საყრდენებს ეხეთქებოდა.

ზევით, მოედანზე, სადაც წყალი ვერ აღწევდა, ფანჯრებში სინათლე ენთო.

ღამის წყვდიადში სანათურები ბჟუტავდა.

გალუმპულ, თავგზადაკარგულ, დაზარალებულ ხალხისთვის, ხელში ბავშვები რომ აეტატებინათ და სახლიდან თათარიახნად შეკრული ნაკრაულები წამოელოთ, ყველა სახლის კარი ფართოდ იყო გაღებული.

შეხიზნულები სახლებში რომ ვეღარ მოთავსდნენ, სარდაფებში დანთებულ კოცონზე შრებოდნენ.

როცა ქალაქის თავკაცებმა დაზარალებულები სახლებში ჩამოარიგეს (თურქები-თურქებთან, ქრისტიანები და ებრაელები, ქრისტიანებთან), თვითონ თავკაცები ხოჯა რისტანის სახლის ქვედა სართულის მოზრდილ ოთახში შეიყარნენ.

იქვე ისხდნენ დაღლილი და გალუმპული მამასახლისები, უბნის წარმომადგენლები. ამ ადამიანებმა სახლები სათითაოდ ჩამოიარეს, მცხოვრებლები გააღვიძეს და თავზე დატეხილი უბედურება ამცნეს.

თურქები, ქრისტიანები და ებრაელები ერთმანეთში არეულიყვნენ. საერთო უბედურებამ და მძვინვარე სტიქიამ ეს ხალხი დააახლოვა და

წაშალა ის ზღუდე, რაც ჯერ კიდევ გუშინ ქრისტიანებსა და მუსულმანებს ერთმანეთისაგან აშორებდათ.

აქ იყო სულ-აღარ ოსმანოვიჩი, ბობოლა პეტრე ბოგდანოვიჩი, მორდო პაპო, ჩაფსკვნილი და სიტყვაძვირი მღვდელი მიხაილო. ვიშეგრადის ხოჯა, თავმომწონე, კარგად ნაპატივები მოლა ისმეთი და ხოჯა ლიაჩოდ* წოდებული, ებრაელი რაბინი ელიას ლევი, ვისი სახელიც სიბრძნისა და გულახდილობის გამო შორს იყო გავარდნილი.

სამივე სარწმუნოების მდიდრებმა ერთად მოიყარეს თავი.

ისხდნენ გალუმპულები და გადაფითრებულები, ცდილობდნენ შინაგანი მღელვარების დაოკებას და გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნებას, თუთუნს აბოლებდნენ და იმაზე ბჭობდნენ თუ რა გაკეთდა დაზარალებულთა გადასარჩენად, ან კიდევ რა უნდა ეღონათ.

ოთახში წამდაუწუმ შემოდიოდნენ ვიშეგრადელი ჭაბუკები, რომელთაც წყალი წურწურით ჩამოსდიოდათ, ატყობინებდნენ, რომ ხალხი მოედანზე და გრადაში** ქრისტიანებთან და მუსულმანებთან დავაბინავეთო.

მდინარე უფრო დიდდებოდა და ქუჩებს ერთიმეორეზე ფარავდა.

როცა უსასრულო ღამე ხეობაში ჩამდგარი წყალივით დაუსრულებელი ჩანდა და მაინც ბოლოს, როგორც იქნა, ჩათავდა, მდიდარი მეპატრონეები და წარჩინებული მოქალაქეები შესახურებლად ცხელი ყავისა და რაყიის სმას მოჰყვნენ.

პატარა, მეგობრული წრე შეკრეს, თუმცაღა მათი კავშირი დასაჯერებელი არ იყო.

ეს დღემდე გაუგონარი და მომავლისათვის წარმოუდგენელი რამ გახლდათ.

თითქოს წყალდიდობამ დროებით ყველა ერთ კუნძულზე დაასახლაო.

ლაპარაკი თანდათანობით გაცხოველდა, მაგრამ ქალაქის თავს დატეხილ უბედურებაზე კრინტს არა ძრავდნენ.

არც ძველი წყალდიდობის ამბებს იხსენებდნენ, რაც გადმოცემით იცოდნენ. ისეთ რამეებზე საუბრობდნენ, რასაც არც მდინარესთან, არც ამ ღამინდელ უბედურებასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

სასონარკვეთილი ადამიანები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ თავი გულგრილად, მშვიდად და უდარდელად მოეჩვენებინათ.

---

* ლიაჩო – ეშმაკი (სერბო-ხორვატული).

** გრადა – ციტადელი – ქალაქის გამაგრებული ნაწილი.

ამ უსიტყვო ზავისა თუ რაღაც დაუწერელი თავაზიანობის წყალობით, რაც მდიდარ მეპატრონეებსა და ვაჭრებს სჩვევიათ, თითოეული მათგანი ამ უდიდესი შიშისა და აღელვების დაფარვას ცდილობდა.

როგორც კი გულისჯავრი გაიქარვეს, ოდნავ დამშვიდდნენ, ლაპარაკსა და ოხუნჯობაში დაისვენეს, ღონეც მოიკრიფეს სახვალიოდ.

ოთახში ახალგაზრდა მდიდარი ვაჭარი, მთლად გალუმპული, მუხლებამდე ტალახში ამოგანგლული, უქამრო კოსტა ბარანცა შემოიყვანეს. როცა კოსტა ხალხით გაჭედილ, გაჩახჩახებულ ოთახში შემოვიდა, დაიბნა, მინას დარცხვენილი ჩააჩერდა და სახიდან წყლის წვეთები ხელისგულით ჩამოიწმინდა.

კოსტა დასვეს და არაყი მიაწოდეს, მაგრამ ჭაბუკი ისე კანკალებდა, რომ პირთან ჭიქის მიტანა ვერ შეძლო.

ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: კინაღამ იმ მღვრიე ნიაღვარში არ გადაეშვა, რომელმაც ქვიშიანი ნახევარკუნძული დატბორა და ახლა პირდაპირ კოსტას სანყობებსა და ბეღლებზე გადადისო.

კოსტა არ იყო მკვიდრი ვიშეგრადელი: ოცი წლის წინათ ქალაქში ჩამოიყვანეს, რათა ქვეოსტატად მიებარებინათ.

მდიდარი ოჯახის ქალი ითხოვა და უცებ გამდიდრდა, ბევრ გამოჩენილ მეპატრონეს თავზე გადაახტა.

გაბედული, რისკიანი გარიგებებით რამდენიმე წლის განმავლობაში დიდი ქონება შეიძინა, ეს უცებ გამდიდრებული გლეხი წაგებას მიჩვეული არ იყო და ასეთი უბედურების გადატანა მისთვის მძიმე გამოდგა.

იმ შემოდგომაზე კოსტამ იმაზე უფრო გაცილებით მეტი კაკალი და შავი ქლიავი შეისყიდა, რის ნებასაც ჯიბე აძლევდა. იმედოვნებდა, საქონელს ზამთარში რაც შეიძლება ძვირად გავყიდი, დიდ მოგებას ვნახავ და შარშანდელ ვალსაც გავისტუმრებო. წყალდიდობამ კოსტა გააკოტრა, კარგა ხანი დასჭირდა იმ შთაბეჭდილების გაქარწყლებას, რაც ამ სასონარკვეთილი კაცის დანახვამ მოახდინა, მართალია, ხალხი მეტნაკლებად დაზარალდა, მაგრამ ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული ზრდილობა აიძულებდათ ამ მეტიჩარა კაცზე უფრო თავშეკავებულნი ყოფილიყვნენ.

ხანდაზმულმა და დარბაისელმა ადამიანებმა საუბრის თემა შეცვალეს, მოიგონეს ძველი დრო. მაგრამ, არც ერთს არ უხსენებია ის უბედურება, რამაც ისინი აქ შეკრიბა და რაც ყველას ფიქრის საგანი იყო.

შემთბარ არაყს სვამდნენ.

იხსენებდნენ ძველისძველ უცნაურობებს, იგონებდნენ ქალაქელ ობროდებსა და ათასნაირ სასაცილო და არაჩვეულებრივ შემთხვევებს.

ყველაზე უფრო გერგილიანი მთხრობელნი მამაო მიხეილი და ხოჯა ლიაჩო გამოდგნენ. როცა უნებურად სიტყვა წყალდიდობაზე ჩამოვარდებოდა, მხოლოდ სახუმარო ამბებს იგონებდნენ, ახლა, განვლილ ჟამთა ბურუსში სასაცილოდ რომ ეჩვენებოდათ. ასეთი ლაპარაკით ხალხს თითქოს ჯადოთი სურდა შეეკრა მდინარე, ანდა სიტყვებით მაინც წინ აღდგომოდა.

გაიხსენეს ყოფილი იოანე მღვდელი, რომელზეც ამბობდნენ, — ისეთი გულკეთილი და უდარდელი ვინმეა, მის ლოცვა-კურთხევას ღმერთთან გასავალი არა აქვსო.

გვალვიან ზაფხულში მამაო იოანე ამაოდ იხდიდა პარაკლისს ნათესების გადასარჩენად. მისი ლოცვა-კურთხევის მერე უფრო დიდი გვალვა და სიცხე დგებოდა. ერთი ასეთი გვალვიანი ზაფხულის შემდეგ, შემოდგომაზე დრინა ადიდდა და ქალაქს დიდი წყალდიდობით დაემუქრა. მამა იოანემ მდინარის პირზე მრევლი შეყარა და ლოცვანის კითხვას მოჰყვა, ღმერთს გამოდარებასა და წყლის ჩამოწყვეტას შესთხოვდა. მაშინ ლოთბაზარა და უსაქმურმა ვინმე იოვიჩმა, რომელსაც სჯეროდა, რომ ღმერთი მაშინდელივით მამა იოანეს უკუღმა შეუსრულებდა თხოვნას, ხმამაღლა დაუყვირა:

— მაგას ნუ შესთხოვ, მამაო! გვალვიანობაში წვიმის მოსვლას რომ იხვეწებოდა, ისევ ის ლოცვა წაიკითხე, იქნებ წყალდიდობა შეაჩეროსო.

ახოვანი ისმეთ-ეფენდი თავის წინაპრებზე ჰყვებოდა თუ როგორ ებრძოდნენ ბუნების სტიქიონს.

ერთხელ, წყალდიდობის დროს ორი ვიშეგრადელი ხოჯა ლოცვანის ნასაკითხად გამოვიდა, სურდათ ღმერთს შევედრებოდნენ, როგორმე ამ უბედურებას ბოლო მოღებოდა. ერთი ხოჯას სახლი ქალაქის ქვემოთ უბანში იდგა და წყალდიდობა საფრთხეს უქადდა და მეორე სახლი კი მაღლობზე იყო შემდგარი, სადაც წყალი ვერ მიწვდებოდა.

პირველად ლოცვა იმ ხოჯამ დაიწყო, ვისი სახლიც მაღლობზე იდგა, მაგრამ წყალმა მაინც არ ჩამოიარა, მაშინ ვიღაც ბოშამ, რომლის სახლსაც უკვე მდინარე ფარავდა, დაიყვირა:

— ეი, ძმებო, წავიდეთ, მოედანზე მცხოვრები ხოჯა მოვიყვანოთ, მისი სახლი ჩვენი სახლებივით წყალმა დაიტანა, განა ვერ ხედავთ, რომ ეს ხოჯა ცალყბად ლოცულობსო.

წამოჭარხლებული და სასაცილო ხოჯა-ლიაჩო, რომელსაც მეტის-მეტად პატარა ფესიდან აჯაგრული თეთრი ხვეული თმა გამოსჩროდა, ყურს უგდებდა მღვდელსა და ხოჯას და ხმამაღლა იხვეწებოდა: — გვიჯობს წყალდიდობისდროინდელ ლოცვას ნუღა მოვიგონებთ, ხალხს გულისხმაში ნუ ჩავაგდებთ, თორემ სამივეს წვიმისა და წყალდიდობის შესალოცად გაგვრეკავენ!

ასე ენაცვლებოდა ერთმანეთს, უმნიშვნელო და ზოგჯერ სრულიად გაუგებარი ამბები, რომლებიც მხოლოდ მთხრობელის და მათი კბილა ხალხისთვის თუღა იყო საინტერესო.

ეს იყო გულუბრყვილო, მაგრამ მოსაუბრეთათვის გასაგები და მახლობელი მოგონებები, მათი ქალაქის ერთფეროვანი ცხოვრების ავი და კარგი. ერთი სიტყვით, მათივე ცხოვრებისეული ამბები.

ეს ყველაფერი, რაც უკვე წარსულს ჩაბარებოდა, მჭიდროდ იყო მათთან გადაჯაჭვული, მაგრამ მაინც ავიწყებდათ იმღამინდელ საშინელებას, რამაც ისინი ამ ჭრელ საზოგადოებაში ერთად შეყარა. ასე ატარებდნენ დიდი წყალდიდობის ღამეს, ბავშვობიდანვე მარცხს შეჩვეული, გამობრძმედილი ადამიანები. კარზე მომდგარი უბედურების მიუხედავად, მაინც შესწევდათ ოხუნჯობის ძალა. თვალს უხვევდნენ კარზე მომდგარ იმ ჭირბორბალას, რომლის თავიდან არიდებაც არ შეეძლოთ.

გულის სიღრმეში ყველანი შეძრულები იყვნენ. ხუმრობისა და სიცილის მიღმა მოუსვენარი ფიქრები უფუტფუტებდათ. ქალაქის ქვემო უბანში წყალდიდობის ხმაურს წამდაუწუმ აყურადებდნენ, სადაც მთელი მათი ავლადიდება დარჩენილიყო.

ვაითა და ვიშით გატარებული ღამის შემდეგ მოედნიდან უთენია თავიანთი სახლები დაინახეს, წყალს რომ ზოგი სანახევროდ, ზოგიც სახურავიანად დაეფარა. მათ თვალებს პირველად და უკანასკნელად წარმოუდგა მშობლიური ქალაქი უხიდოდ, მდინარემ თითქმის ათი მეტრით მაღლა აიწია და ხიდის მაღალმა თაღებმა წყალში ჩაყვინთეს.

ხიდის თავზე წყალი მდორედ გადადიოდა, მარტო კაპია მოჩანდა, რომელზედაც მღვრიე და მშვიდი ტალღები, როგორც ზღურბლზე, ისე მიგორავდნენ.

ორი დღის შემდეგ წყალი ჩამოწყდა, ცამ ღრუბლები გადიყარა და ისეთი კაშკაშა, მცხუნვარე მზე ამობრწყინდა, როგორიც მხოლოდ ოქტომბრის დამდეგს იცის ასეთ თბილ ქვეყანაში.

ამ საუცხოო დღესაც კი ქალაქი საშინელი შესახედავი იყო და ყველას სიბრალულს ჰგვრიდა. ბოშებისა და ღარიბ-ღატაკთა სახლები ზვირთებს ადგილიდან დაეძრა. ზოგი სახურავმოგლეჯილი იდგა, თიხა და კირი წყალს ჩამოერეცხა, მხოლოდ წნორისაგან დაწნული ჩაჟამებული კედლებიღა იდგნენ. წყალს მესერი მოეგლიჯა, სახლის ფანჯრები ჩაელენა და ჩაეშავებინა. კედლებს წყლის მოწითალო შლამიანი ზოლის ნაკვალევი აჩნდა, ბევრი ფარდული წყალს წაეღო, პატარ-პატარა ბეღლები აეყირავებინა, მინისპირა დუქნებში იატაკი არშინზე იყო შლამით დაფარული, ლამში კი საქონელი ეყარა, გატანაც ვეღარ მოესწროთ.

ქუჩებში ჩაჩეხილი ხეები, აქა-იქ წყლით გაგუდული ცხოველები ეყარა, მაგრამ ეს მათი ქალაქი იყო, რომელიც ხელახლა უნდა აეშენებინათ და სიცოცხლე შთაებერათ. წყლით დაფარულ ნაპირებს შორის, ჯერ კიდევ მღვრიე და გაავებულ ტალღებზე, მზის სხივებში ამოვლებული თეთრი ხიდი იდგა, ისეთივე, როგორიც წყალდიდობამდე იყო. წყალი ახლა ბურჯებს შუამდე სწვდებოდა, გეგონებოდათ, ხიდი დრინაზე კი არა, რომელიღაც სხვა, უფრო ღრმა მდინარეზე გაუდვიათო.

დალექილი შლამი გამოშრა და დასკდა. კაპიაზე პატარ-პატარა ტოტების ნამტვრევები და ათასნაირი ხარახურა ეყარა, მაგრამ წყალდიდობისაგან ნირშეუცვლელ ხიდს სილაზათეს ვერ აკლებდა.

ქალაქში ყველამ მაშინვე წმენდასა და შეკეთებას მიჰყო ხელი. არავის ეცალა სტიქიასთან ხიდის გამარჯვებაზე საფიქრებლად, მაგრამ მაინც, როცა ქალაქში დადიოდნენ, სადაც წყალს ყველაფერი ნაეხდინა და გადაესხვაფერებინა, ადამიანები მიხვდნენ, რომ მათ ცხოვრებაში იყო ისეთი, რასაც ვერავითარი სტიქია ვერ დაჯაბნიდა, რომ მათთვის გაუგებელი ფორმების, ჰარმონიისა და მათი გონებისთვის მიუწვდომელი მშენებელთა ბრძნული გაანგარიშების მეშვეობით, ხიდმა ყველანაირ გამოცდას გაუძლო და ისევ უვნებელი დარჩა.

წყალდიდობის მერე მძიმე ზამთარი ჩამოდგა. ყველაფერი: შეშა, მარცვლეული თუ თივა, რაც ბეღლებსა და ეზოებში ჰქონდათ მომარაგებული, წყალმა წაიღო.

ხელახლა მოუხდათ სახლების შეკეთება, ეზო-ყურის შემოღობვა.

საწყობებსა და დუქნებში დაკარგული საქონლის ნაცვლად ნისიად ახალი საქონელი შეიძინეს.

შავი ქლიავის ვაჭრობით მოგებას დახარბებულმა კოსტა ბარანეცმა, ყველაზე დიდი ზარალი ნახა და იმ ზამთარს ვეღარც გააღწია, ბოღმამ და დარდმა დაახრჩო. კოსტას სოფლებში გასესხებული ცოტაოდენი ფული და წვრილშვილი დარჩა. მერე კი იგონებდნენ, როგორც ისეთ კაცს, რომელმაც იმდენი ტვირთი იკისრა, რისი აწევაც არ შეეძლო.

მომავალ ზაფხულს დიდი წყალდიდობა ყველას ნელ-ნელა მიავიწყდა, გარდა ხაზგასმული ხალხისა, რომელთა მეხსიერებაში წყალდიდობას კიდევ დიდხანს ეწერა სიცოცხლე.

კაპიაზე ახალგაზრდობა სიმღერებსა და სიცილ-ხარხარში ატარებდა დღეებს. ქვევით კი ისევ მოედინებოდა მდინარე და ზვირთების ჩქაფუნით ახალგაზრდების მხიარულ სიმღერებს ბანს ეუბნებოდა.

დრო ყველაფერს კურნავს, სიმღერა კი დავიწყების ყველაზე კარგი მკურნალია, რადგან, როდესაც ადამიანი მღერის, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რაც უყვარს.

ამგვარად, ცის, მდინარისა და მთების შუა გამოკიდულ კაპიაზე თაობები სწავლობდნენ ბევრი არ ედარდათ იმაზე, რასაც აყეფებული მდინარე ნაიღებდა. აქვე შეუცნობლად მწიფდებოდა ქალაქის ფილოსოფია:

— ცხოვრება შეუცნობელი საოცრებაა, ყველაფერი გარდუვალად იშლება და ირღვევა, თან იმავე დროს მაინც განაგრძობს არსებობას და ისევე ურყევად დგას, როგორც ეს ხიდი დრინაზე.

თავი მეექვსე

ხიდი და კაპია, წყალდიდობის გარდა, ბევრი სხვა ისტორიული ქარბორბალისა თუ ადამიანთა შეხლა-შემოხლის მოწმე ყოფილა. მაგრამ ამ ქარიშხლიან დღეებს არ შეეძლოთ მისი შეცვლა და წყალდიდობაზე უფრო მეტი ზიანის მიყენება.

— გასული საუკუნის დამდეგს, სერბიაში მღელვარება დაიწყო*. სერბიისა და ბოსნიის საზღვრისპირა ქალაქი ვიშეგრადი კი უშუალოდ იყო დაკავშირებული იმ ამბებთან, რაც სერბიაში ხდებოდა. ქალაქი სერბიას ისე შეეზარდა, როგორც ფრჩხილი თითს.

ის, რაც ვიშეგრადსა და მის შემოგარენში ხდებოდა — მოუსავლიანობა იყო, მოარული სენი, დევნა თუ ჯანყი, არ შეიძლებოდა მეზობელი უჟიცკის ნახიის** მკვიდრთათვის სულერთი ყოფილიყო, ანდა პირიქით.

მართალია, პირველად ეს ყველაფერი შორეულ და უმნიშვნელო ამბებად ეჩვენებოდათ, შორეულად — რადგან ეს ამბავი ბელგრადის საფაშოს გადაღმა ხდებოდა, უმნიშვნელოდ კი იმიტომ, რომ აჯანყების დაწყებაზე გავრცელებული ხმები მათთვის დიდს არაფერს ნიშნავდა, რადგან ქვეყნიერებაზე სახელმწიფოების გაჩენის დღიდან, ასეთი მოარული ხმებიც დადის, რადგან არ არსებობს არც ერთი ხელისუფლება, სადაც ამბოხება და შეთქმულება არ მომხდარიყო, ისევე როგორც მამული არ არსებობს ზარალისა და დავიდარაბის გარეშე.

მაგრამ სულ მალე სერბიაში მომხდარმა მღელვარებამ ბოსნიის საფაშოს,*** განსაკუთრებით კი ვიშეგრადს უნია, რომელიც საზღვრიდან სულ ერთი საათის სავალზე იყო.

როცა სერბიაში აჯანყება მომძლავრდა, ბოსნიელ თურქებს წვევამდელები მოსთხოვეს, თანაც თურქებს არმიელები სურსათითა და აღჭურვილობით თვითონვე უნდა მოემარაგებინათ.

სერბიაში გაგზავნილ ჯარსა და აღალს მეტწილად ვიშეგრადზე უნდა გაევლო, რაც თურქებისთვის უხერხული, საზარალო და უსიამოვნო ამბავი იყო.

აბა, სერბიელებისთვის ხომ მთლად აუტანელი რამ იყო, იმ წლებში სერბიელებს ეჭვის თვალით უყურებდნენ, წინანდელზე უფრო მეტად დევნიდნენ და დიდ ფულად ჯარიმებსაც ახდევინებდნენ.

---

* ლაპარაკია იმ ამბებზე, რომლებიც ყარაჯ გიორგის აჯანყებას უძღოდა წინ 1804-1806 წწ.

** ნახია — ოლქი.

*** საფაშო — პროვინცია, რომელსაც ფაშა განაგებს.

ბოლოს, ზაფხულში აჯანყებამ ვიშეგრადამდე მოაღწია.

აჯანყებულებმა უჟიცეს გვერდი აუქციეს და ქალაქს სულ ორი საათის სავალზე მიუახლოვდნენ. ველეტოვში ლუთლი-ბეგის ქვიტკირის სიმაგრეები ზარბაზნებით შემუსრეს და ცირნჩიჩაში თურქების სახლკარი ცეცხლს მისცეს.

ბევრი თურქი და სერბი იფიცებოდა „ყარაჩ-გიორგის" ზარბაზნის ხმა ჩვენი ყურით გავიგონეთო, თუმცა ძნელი დასაჯერებელი იყო, ამ სიშორეზე სერბიელთა ზარბაზნების ექოს მოეღწია (ადამიანებს ხშირად ეჩვენებათ, რისიც ეშინიათ და რისი იმედიც აქვთ), მაგრამ ეს კი საეჭვო აღარ იყო, რომ მათი მოზრდილი კოცონები შეამჩნიეს, აჯანყებულებმა ღამით ველეტოვსა და გოსტილს შუა ციცაბო მოტიტვლებული მთის მწვერვალ პანოსაზე რომ გააჩაღეს, სადაც შორიდანვე მოჩანდა ვეებერთელა, განმარტოებით მდგარი ფიჭვის ხეები.

კოცონებს თურქებიცა და სერბიელებიც მშვენივრად ხედავდნენ: ერთნიცა და მეორენიც დიდხანს შესცქეროდნენ, მაგრამ თავს იკატუნებდნენ, ვითომცდა ვერაფერსაც ვერ ვამჩნევთო.

საჩიხე ჩამოშვებული ფანჯრებიდან, თუ ბაღის ჩაბნელებული ტევრებიდან გასცქეროდნენ, როგორ გიზგიზით ინთებოდა და ქრებოდა კოცონები.

ქალები სიბნელეში პირჯვარს იწერდნენ და გამოუცნობი მღელვარებისაგან იცრემლებოდნენ.

იმავე მოედნიდან კოცონებსაც ისევე შეჰყურებდნენ, როგორც სამი საუკუნის წინათ მათი დიდედების დიდედები უყურებდნენ რადისავის საფლავზე ჩამოშვებულ ნათლის სვეტს. ეს ხან მობდღვიალე, ხანაც მიმქრალი ციმციმა ცეცხლის ენები, ზაფხულის ღამის ცისა და მთების შავ ფონზე სერბიელებს ახალ თანავარსკვლავედად ეჩვენებოდათ და რაშიც საკუთარი ბედისა და მოახლოებული ამბების თამამ მოწოდებას ხარბად და გულისფანცქალით კითხულობდნენ.

თურქებისათვის ეს იმ საშინელი ხანძრის პირველ აბრიალებას მოასწავებდა, რომელიც დიდი ხანია სერბიაში მძვინვარებდა, და მზად იყო ახლა ქალაქის შემოგარენსა და მთების მწვერვალებსაც მოსდებოდა. ზაფხულის ღამეებში მათი გულისყური და ვედრების თვალი კოცონებისაკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ სურვილები კი ერთმანეთის საპირისპირო ჰქონდათ.

სერბიელები ღმერთს შესთხოვდნენ: თავისუფლების მომტანი ცეცხლი, გულში რომ ასე ნატრობდნენ და ოცნებობდნენ, მათ კლდეებზეც აბრიალებულიყო.

თურქები კი ლოცულობდნენ: ალაჰს დაეთრგუნა, მოესრა და ჩაექრო, ქარს ნაელო გიაურთა, აჯანყებულთა ზრახვები, ძველ წყობილებას გაემარჯვა და ნამდვილ რწმენას ეზეიმა.

ამ ჩურჩულში, ისე როგორც ტალღებში, უხილავად ირეკლებოდა ყველაზე თამამი სურვილები და ოცნებები, ყველაზე დაუჯერებელი ჩანაფიქრი და გეგმები, ისინი, ერთმანეთში იხლართებოდნენ და ცის ლაჟვარს ერწყმოდნენ.

ფრთხილი და აგზნებული ჩურჩულით ივსებოდა მხურვალე ღამეები.

დილით კი თურქებიცა და სერბიელებიც თავ-თავიანთ საქმეებზე მიეშურებოდნენ, გულგრილად უკრავდნენ თავს ერთმანეთს და ისე თავაზიანად მიმართავდნენ, როგორც ოდითგანვე ბაზარზე შეხვედრისას იცოდნენ ხოლმე. ქალაქელები ამ სიტყვებს ერთთავად ხელიდან ხელში გადამავალი ყალბი ფულივით უცვლიდნენ ერთმანეთს. ასე იყო თუ ისე, ეს მათ ურთიერთობას ცოტათი მაინც ამსუბუქებდა.

ილიას დღესასწაულის შემდეგ, როცა პანოსზე კოცონები დაცხრა, უჟიცკის ოლქიდან აჯანყებულები უკუიქცნენ, არც ერთ მათგანს არც შიში გამოუმჟღავნებია და არც სიხარული, ძნელი იყო იმის თქმა, რას განიცდიდნენ სინამდვილეში.

თურქები კმაყოფილები იყვნენ, რომ აჯანყებამ შორს გადაინაცვლა და იმედი ჰქონდათ, როგორც ყველა ღვთის საწინააღმდეგო ბოროტებას, აჯანყებასაც უცილობლად დათრგუნავდნენ, მაგრამ მათ სიხარულს ამას წინათ გადატანილი საფრთხის მოგონება აფენდა ჩრდილს, რისი დავიწყება არცთუ ისე ადვილი იყო.

ბევრს სიზმარში დიდხანს ელანდებოდა მეამბოხეთა შორეული კოცონების შუქი, რომელიც მთაზე ცეცხლის ნაპერწკლების ნაყარს ჰგავდა და ქალაქს გარს ერტყმოდა. ყარაჩ-გიორგის მიყრუებული და შორეული ზარბაზნის ხმის ნაცვლად, ყურში გამაყრუებელი ბათქაბუთქი და გრიალის ხმა ჩაესმოდათ, ირგვლივ ყველაფერს რომ ანგრევდა.

მას შემდეგ, რაც პანოსზე კოცონები ჩაქრა, ბუნებრივია, სერბიელებს იმედი გაუცრუვდათ და დანაღვლიანდნენ, მაგრამ გულის სიღრმეში, მის იდუმალ კუნჭულში ეს ამბები ისევ ახსოვდათ და იმ-

ედოვნებდნენ, ერთხელ მომხდარი იქნებ კიდევ განმეორდესო. დიახ, დარჩათ იმედი, დაჩაგრულთა ეს ყველაზე დიდი უპირატესობა.

მას, ვინც ბატონობს და ძალადობით იღებს ხელში ხელისუფლებას, გონიერება მართებს, თორემ, როცა ზედმეტად შეტოპავს, ან გარემოება აიძულებს გონიერების საზღვარს გადავიდეს, მოლიპულ გზას ადგება, რაც უცილობელ დაღუპვას უქადის, ხოლო დაჩაგრული და ძალმომრეობის მსხვერპლი, ერთნაირად იჩენს როგორც გონიერებას, ისე უგუნურებას, რადგან ერთიცა და მეორეც მჩაგვრელთა წინააღმდეგ ხან ფარული და ხანაც აშკარა მუდმივი ბრძოლის იარაღია.

ამ ხანებში ხიდის მნიშვნელობა ერთიორად გაიზარდა, რადგან სერბიას ბოსნიის საფაშოსთან ხიდი აკავშირებდა. ხიდის დასაცავად ქალაქში ახლა სამხედრო რაზმი იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მყუდროება სუფევდა, რაზმი მაინც ხიდზე გუშაგობდა. მოხერხებულად და მარჯვედ რომ ეთვალთვალათ, ხიდის შუაგულში სადარაჯო ჯაბახანა ხის კოშკი ააყუდეს. ეს თათარიახნად მოხლაფორთებული უშნო კოშკი მდინარეზე უცნაურად იყო გადმოკიდებული. ასეთ დროებით შენობებს საგანგებო მიზნებისათვის მსოფლიოს ყველა არმია აგებს, მაგრამ, თუ მათ მშვიდობიანი ცხოვრების მოთხოვნების თვალსაზრისით შეხედავთ, მაშინ ისინი უაზროდ და უვარგისად მოგეჩვენებათ.

ეს იყო მორებისა და გაუჩორკნავი ფიცრებისაგან ახორიხებული ორსართულიანი უგერგილო სახლი.

მაგარი ქვედა კოჭებით კაპიის მარცხენა და მარჯვენა ბაქნებს დაყრდნობილი სადარაჯო კოშკი ხიდს უნაგირივით დაადგეს. ქვეშ მხედრიონისა და საზიდრების გასავლელი გზა დატოვეს, ზედა სართულიდან კი, სადაც, აჩოლხილი კიბე ადიოდა, გამვლელებს უთვალთვალებდნენ, რომ დროზე შეეჩერებინათ, საბუთები და ტვირთი გაეჩხრიკათ და თუ საჭირო გახდებოდა, გასასვლელიც ჩაეკეტათ.

კოშკმა ხიდი მთლად გამოცვალა.

მოხდენილი კაპია ერთიანად ჩაიკარგა უშნო, ვეებერთელა ფრინველივით გაჩაჩხული ხის ნაგებობის ქვეშ.

როგორც კი სადარაჯო კოშკის მშენებლობას დამთავრდა, შიგ მაშინვე ყარაული ჩააყენეს. დილით, როგორც კი პირველი სხივი გამოკრთა, კოშკმა სათაგურივით პირველი მსხვერპლი დაიჭირა.

ალიონზე, მზის ამოსვლის წინ კოშკთან ჯარისკაცები და შეიარაღებული თურქები შეგროვდნენ (ღამღამობით ქალაქის დაცვაში რომ ეხმარებოდნენ).

ყარაულის უფროსი კოჭზე ჩამომჯდარიყო, მის წინ კი მოხუცი ღვთისმოსავი იდგა.

ვერ გაარჩევდით, მწირი იყო თუ მათხოვარი, თეთრი თმა და დანაოჭებული სახე ჰქონდა, ძალზე მოკრძალებული ჩანდა, სალუქს, მომღიმარსა და კეთილს, თავისი სიღარიბე უფრო მეტ მიმზიდველობას ანიჭებდა.

ეს იყო ჩაილიჩელი ელისეი, მუდამ ალერსიანი, მხნე და ღიმილით სახეგაცისკროვნებული კაცი, წლიდან წლამდე ეკლესიებსა და მონასტრებს რომ უვლიდა. არც ერთ დღესასწაულს არ აკლდებოდა, მუდამ მუხლმოდრეკილი ლოცულობდა და მარხვას ინახავდა.

მოხუცს თურქი ხელისუფალნი ადრე ყურადღებას არ აქცევდნენ, როგორც გონებაჩლუნგსა და „ღვთის მოსავ ადამიანს“, არ უშლიდნენ თავის ნებაზე ეხეტიალა და რაც ენაზე მოადგებოდა, ის ელაპარაკა.

მაგრამ სერბიაში მომხდარი აჯანყების შემდეგ დრო გამოიცვალა და მკაცრი წესები შემოიღეს.

სერბიიდან ქალაქში რამდენიმე თურქის ოჯახი ჩამოვიდა, ვისი ავლადიდებაც აჯანყებულებმა ცეცხლს მისცეს, ამ გაბოროტებულ ადამიანებს შურისძიება სწყუროდათ.

ყველგან ყარაულები ეყენათ და ფხიზლად მეთვალყურეობდნენ.

ადგილობრივი თურქებიც ჩახმახივით იყვნენ შემართულები, მოქურუხებულნი დაალაჯებდნენ და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდნენ.

მოხუცი როგატაციდან მოდიოდა და საუბედუროდ, რაც კოშკურა აშენდა და ყარაული დააყენეს, ის იყო პირველი მგზავრი. მართლაც, უდრო-დროს, სისხამ დილით მოაბიჯებდა, ანთებული სანთელივით ნინ უცნაური სიტყვებითა და ნიშნებით აჭრელებულ მსხვილ კვერთხს მოიმძღვარებდა.

სადარაჯო კოშკმა ისე გამოიჭირა მოხუცი, როგორც ბუზს გააბამს ხოლმე ობობა ქსელში.

იქვე დაუწყეს დაკითხვა, უნდოდათ გაეგოთ ვინ იყო, საიდანც მოდიოდა, კვერთხზე ამოჭრილი წარწერისა და ნიშნების განმარტებაც მოსთხოვეს.

მოხუცი არა მარტო შეკითხვებს პასუხობდა, იმაზედაც კი ლაპარაკობდა, რასაც არ ეკითხებოდნენ, ისე თავისუფლად და გულწრფელად ჭიკჭიკებდა, გეგონებოდათ ღვარძლიანი თურქების კი არა, ღვთის უმნიკვლო სამსჯავროს წინაშე დგასო.

ამბობდა, რომ ის ერთი უბრალო მოგზაურია ამ ქვეყანაზე, უბრალო გამვლელია დედამიწაზე, უეცრად გაელვებული ჩრდილია წუთისოფელში, რომ წარმავალ დღეებს ლოცვაში ატარებს, მონასტრიდან მონასტერში დადის და იქამდე ივლის, ვიდრე წმინდა ადგილებს, ეკლესიებს, სავანეებსა და სერბ მეფეთა და დიდებულთა სამარხებს არ მოინახულებს.

კვერთხზე გაკეთებული ნაჭდეურები და სიტყვები კი სერბთა თავისუფლებას, მათ წარსულსა და მომავალ დიდებაზე ღაღადებდა, უკვე აღორძინების დღე ახლოვდება, მორცხვი ღიმილით ამბობდა მოხუცი, თანაც, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც წიგნებშია ჩაწერილი და რისი დანახვაც დედამიწაზე და ზეცაში შეიძლება, იმ დღემდე დიდი დრო აღარ დარჩა. აღდგება ტანჯვის ფასად გამოსყიდული და სამართლიანობაზე დამყარებული სამეფო.

— ვიცი, ბატონებო! ჩემი ლაპარაკი არ მოგწონთ, არც იყო საჭირო თქვენთან ამაზე მელაპარაკა, მაგრამ, რაკი დამაკავეთ და სიმართლის თქმასა მთხოვთ, მეტი რაღა დამრჩენია, ღმერთი ჭეშმარიტია და ერთადერთი!

ახლა კი გთხოვთ, გამიშვათ, დღესვე უნდა ავიდე აბანოსა და წმინდა სამების მონასტერში.

შეფკო თარჯიმანმა ხეირიანად არ იცოდა თურქული და ძლივს ახლაფორთებდა მოხუცის განყენებული ცნებების გადათარგმნას. ანატოლიელი, ავადმყოფური სახის ყარაული, აღელვებული უსმენდა თარჯიმნის დაბნეულ ლაპარაკს და დროდადრო მოხუცს გადახედავდა ხოლმე.

მოხუცი უშიშრად შეჰყურებდა და თუმცა თურქულისა ინჩიბინჩი არ გაეგებოდა, თვალებით უდასტურებდა, სწორია, რასაც მთარგმნელი გეუბნებათო.

უფროსისათვის ცხადი იყო, მის წინაშე გიაურთა მოსულელო დავრიში, ობროდი უწყინარი ჩერჩეტი იდგა.

უცნაურ კვერთხი, რომელიც მაშინვე გატეხეს, წერილებს ეძებდნენ, მაგრამ ვერა იპოვეს რა. შეფკო ისე საეჭვოდ თარგმნიდა მის სიტყვებს, რომ მოხუცის ნალაპარაკევს პოლიტიკისა და სახიფათო ჩანაფიქრის სუნი უდიოდა.

უფროსის ნება რომ ყოფილიყო, ამ ჭკუანაკლულ მოხუც მათხოვარს თავის გზაზე გაუშვებდა, მაგრამ იგი მარტო არ იყო, გარს ხალხი ერტყა და დაკითხვას უსმენდნენ. აქვე იყო მისი ადიუტანტი თაჰირი,

თვალებაგზნებული, გაქნილი და ბოროტი კაცი, რომელმაც უკვე რამდენჯერმე მოასწრო მისი დაბეზღება, ნაკლებ სიფრთხილესა და სიმკაცრეს იჩენსო.

გარდა ამისა, შეფკოც მოხუცის ნაუბარს ისე დამახინჯებულად თარგმნიდა, რომ, რაც შეიძლებოდა, მისთვის მეტი ზიანი მიეყენებინა.

შეფკოს ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა და დასმენა უყვარდა, თუ გამორჩენის იმედიც ჰქონდა, მზად იყო ტყუილი ეთქვა და ყოველგვარი სიცრუისთვის კვერი დაეკრა.

აქვე იყვნენ თურქი მოხალისენიც, პირქუშად და მედიდურად რომ დააბიჯებდნენ: ქალაქს უვლიდნენ და იყო თუ არ საჭირო, საეჭვო გამვლელებს აკავებდნენ. ყარაულის უფროსის საქმეში ერეოდნენ, ერთი სიტყვით, ყველაფერი ერთიმეორეზე გადაიხლართა.

იმ დღეებში თურქები მეტისმეტად აგზნებული და შურისძიების ცეცხლით იყვნენ გაბრუებულნი, რადგან ვისი ჯავრიცა ჰქონდათ, ვერ ამოიყარეს, ახლა მზად იყვნენ, პირველივე მსხვერპლი ჯვარზე გაეკრათ.

უფროსი არ თანაუგრძნობდა მათ, მაგრამ რაკი ხედავდა, ყველას ერთი სული ჰქონდა, როდის შეიწირავდა სადარაჯო ჯიხური, პირველსავე დილას თავის შესანირავს, ეშინოდა, თვითონვე არ გამხდარიყო მათი მსხვერპლი, თავაღებულ ადამიანებს თუ წინ გადაუდგებოდა.

სისულელე იქნებოდა ამ ჩერჩეტი მოხუცის გულისთვის უსიამოვნებას გადასწყდომოდა, ამ ქვეყანაში, სადაც თურქები შეშფოთებულ სკასავით ზუზუნებდნენ, სერბიის სამეფოს ხოტბით მოხუცი შორს მაინც ვერ წავიდოდა. ჰოდა, რაკი აბობოქრებულ მდინარეში ჩავარდა, დაე, კიდევაც დაიხრჩოს.

მოხუცი გათოკეს და ის იყო, უფროსი ქალაქში წასასვლელად ემზადებოდა, რომ დასჯისათვის თავი გაერიდებინა, მოულოდნელად ორ-სამ თურქთან ერთად ჩაფრები შემოლაგდნენ და ღარიბულად ჩაცმული სერბიელი ჭაბუკი მოიყვანეს. ჭაბუკს ტანსაცმელი შემოფლეთოდა და ხელ-ფეხი მთლად დაკაწრული ჰქონდა. ეს ლიესკელი მარტოხელა, ღარიბი მილე მეწისქვილე იყო. ასე ცხრამეტი წლისა იქნებოდა, ახოვანსა და ჯანსაღს, ლოყები წითლად უღაჟღაჟებდა.

დილით, მზის ამოწვერამდე, დააყარა მილემ ქერი, წყალი მიუშვა. თვითონ კი წისქვილის მახლობლად ჭალაში გავარდა ლატნების მოსაჭრელად. რბილ მურყანს ერთი ცულის მოქნევით ჩალასავით ჭრიდა,

ჭაბუკს ელამუნებოდა დილის სიგრილე, უხაროდა, რომ საქმე კარგად მიდიოდა და ხეებს ერთი შემოკვრით ზედიზედ ანვენდა.

სათავისო სამუშაო ართობდა და ხალისსა ჰგვრიდა. ცული ალესილი იყო და იმ ძალ-ღონის დასაკებლად, რაც მილეს ერჩოდა, ეს ხეები ძალზე წვრილები და სუსტები აღმოჩნდნენ. ჭაბუკს რაღაც ძალა აბორგებდა და ყოველი ცულის მოქნევაზე სურვილი ეძალებოდა საკუთარი თავისთვის ხმამაღლა შეეძახნა.

ეს წამოძახილები თანდათან გახშირდა, ერთმანეთს გადაეჯაჭვა.

მართალია, მილე სხვა ლიესკელივით სმენაზე მწყრალად იყო და არც სიმღერა იცოდა, მაგრამ უეცრად ისე ამღერდა და აღრიალდა, რომ მისი ხმა მთელ არყნარს მოედო. დაუფიქრებლად, თავდავიწყებით გაჰყვიროდა, რაც სხვებისაგან გაეგონა. იმ ხანებში, როცა სერბია აღდგა, ხალხმა ძველებური სიმღერა სათავისოდ გადააკეთა:

„როგორი გმირიც არის ალი-ბეგი
ამქვეყნად არ არის არავინ,
მასავით ქედუხრელ ქალიშვილს
მოჰქონდა მძლეთამძლე ალამი".

ახლა სიმღერა ახლებურად ჟღერდა:

„როგორი გმირიც არის გიორგი
ამქვეყნად არ არის არავინ,
მასავით ქედუხრელ ქალიშვილს
მოჰქონდა მძლეთამძლე ალამი".

საუკუნეთა მანძილზე ბოსნიაში ორი სარწმუნოების უმაგალითო ბრძოლაში, რომლის მიღმაც მიწისთვის, ხელისუფლებისა და ცხოვრების გაუმჯობესებისთვის ბრძოლა იჩქმალებოდა, მოწინააღმდეგეები ერთმანეთს სტაცებდნენ არა მარტო ქალებს, ცხენებსა და იარაღს, არამედ სიმღერებსაც. ბევრი ლექსი ძვირფასი ნადავლივით ხელიდან ხელში გადადიოდა. სერბიელები ბოლო ხანებში ამ სიმღერებს ოჯახური დღესასწაულის დროს მღეროდნენ, მაგრამ თურქები ყურს არიდებდნენ და მაგრად დაგმანულ კარს შიგნით ან შორეულ მთებში გასძახოდნენ, სადაც წლების მანძილზე თურქებს ფეხი არ მიუწვდებოდათ იქ, სადაც ადამიანი განმარტოებისა და ძაღლუმადური ყოფის ფასად ისე ცხოვ-

რობდა, როგორც ესიამოვნებოდა და იმას მღეროდა, რაც ემღერებოდა: სწორედ ასეთი სიმღერა წამოიწყო მეწისქვილე მილემ გზისპირა ჭალაში, სადაც ბაზარში მიმავალი ოლუაცკელი და ორახოვცკელი თურქები დადიოდნენ.

განთიადს მხოლოდ ბორცვების კენწეროები გაენათებინა, ირგვლივ ისევ ბინდ-ბუნდი იწვა. თავიდან ფეხებამდე ნამით გალუმპულ, მაგრად გამოძინებულსა და ხმელა პურის ნატეხით გამძღარ მილეს ფიცხელ მუშაობაში დასცხა კიდეც, მოქნეულ ცულს ძირში უსწორებდა ხოლმე წვრილ მურყანს, ხე შეტორტმანდებოდა, გვერდზე გადაიხრებოდა, როგორც პატარძალი მამობილისკენ, ცივ ნამს ჟუჟუნა წვიმასავით ჩამოიბერტყავდა და ისე გაყუჩდებოდა.

ამ ხშირ ტყეში მზე მიწამდე ვერ აღწევდა — მილე მწვანე ტოტებს ცალი ხელით მსუბუქად, თამაშ-თამაშით სხეპდა და მთელი ხმით გასძახოდა, გარკვევით მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვას ამბობდა, „გიორგი", რაღაც გაურკვევლად, მაგრამ ძლიერად ჟღერდა, „ქალიშვილიც", და ეს „ალამიც" გაუგებარი იყო, მაგრამ ეს სიტყვები მილეს ყველაზე ძლიერ სურვილებს ეპასუხებოდა: ჰყოლოდა გოგო და დროშა ეტარებინა. ყოველ შემთხვევაში, ეს სიტყვები განუზომელ ნეტარებას ანიჭებდა, ჭაბუკური შემართება აიძულებდა სიტყვები უთვალავჯერ ხმამაღლა წამოეძახა და რაც უფრო ბევრჯერ იმეორებდა, მით უფრო ეძალებოდა სურვილი, კიდევ უფრო ხმამაღლა ეყვირა. ასე მღეროდა მილე განთიადისას ლატანების ჭრაში გართული. მერე ნამიანი ციცაბოდან ლატანების კონა წამოკიდებული ციცაბოდან დაბლა დაეშვა. წისქვილის წინ ვიღაც თურქები იდგნენ, ცხენები მიებათ და რაღაცას ელოდნენ.

ასე ათამდე იქნებოდნენ.

მილე მაშინათვე ისევ იმ მილედ იქცა, როგორიც ტყეში წასვლამდე იყო. მოუქნელი, ჩამოგლეჯილი, დარცხვენილი. ბიჭის თვალწინ აღარც „გიორგი" იდგა, აღარა „ქალიშვილი" და აღარც ალამი. თურქებმა ცულის მიყუდება აცალეს, მერე კი ყოველი მხრიდან შემოერტყნენ, ცოტა ხანს იძიძგილავეს, მერე ხელები სადავეებით შეუკრეს და ქალაქში გაიგდეს.

გზაში ბეჭებში წკეპლას ურტყამდნენ, პანღურის ცემით მიჰყავდათ, თან იმას ეკითხებოდნენ, ახლა სად არის შენი გიორგიო, ლანძღვა-გინებით ავსებდნენ ალამსა და ქალიშვილს, თუმცა, ჯერ კიდევ ადრე იყო, კაპიაზე საგუშაგო კოშკთან, სადაც ახლახან მოხუცი გაკოჭეს,

ჯარისკაცების გარდა, რამდენიმე უსაქმური ქალაქელიც იდგა. მათ შორის სერბიიდან გამოქცეული სახლ-კარგადამწვარი თურქებიც ერივნენ. შეიარაღებულებს თავი რაღაც გამარჯვებულად ეჭირათ. გეგონებოდათ, რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის ან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებიანო.

მათი აღტყინება მზის ამოსვლის შემდეგ უფრო გაძლიერდა.

გოლეშას თავზე ღია წითელი ფერის ბურუსიდან მზე სწრაფად გამოდიოდა.

თუმცა, მილე მთლიანად ჩამობღრენძილი და გასაცოდავებული იყო, თანაც დრინის მარცხენა მხრიდან მოიყვანეს, სადაც აჯანყება არ იყო მოდებული, გაოგნებულ ჭაბუკს ისე დარაჯობდნენ, თითქოს მილე კი არა, თავად მეამბოხეთა რაზმის მეთაური ჩაუგდიათო ხელში.

მილეს თავხედობით გაგულისებულ თურქებს სჯეროდათ, რომ ჭაბუკი ასე მათ გულზე გასახეთქად იქცეოდა, უფროსს მოახსენეს: — ყარაჩ-გიორგისა და გიაური მეომრების სიმღერას ზედ გზის პირზე გამომწვევად მღეროდაო!

ის კი, შეშინებული, სველ ძველმანებში გამოხვეული, ნაცემი და სახეჩამოკაწრული, გადაფითრებული, მღელვარებისაგან დაელმებული თვალებით უყურებდა უფროსს, თითქოს მისგან ხსნას ელისო.

მილე ქალაქის ძვირი სტუმარი იყო და არც კი იცოდა, რომ კაპიაზე სადარაჯო კოშკი იდგა. ამიტომაც ყველაფერი უცნაურად და გაუგებრად ეჩვენეგებოდა, თითქოს სიზმარშიაო, უცხო ქალაქში გზა აებნა და ბოროტ და სახიფათო ადამიანებს გადაეყარაო!

ჭაბუკი მიწას ჩასცქეროდა და ენის ბორძიკით ირწმუნებოდა, არც არაფერი მიმღერია და არც თურქებისთვის მომიკრავს თვალიო, ერთი ღარიბი ბიჭი ვარ, წისქვილში ვმუშაობ, ტყეში ლატანებს ვჭრიდი და ახლაც არ ვიცი, რისთვის შემიპყრეს და წამომიყვანესო.

ჭაბუკი შიშისაგან კანკალებდა და ვერ მომხვდარიყო, როგორ მოხდა, რომ ტევრში გატარებული მხიარული დილის მერე, უეცრად გაკოჭილი და ნაცემი, აქ კაპიაზე ხალხის სასეირო გახდა და მათ წინაშე თავი უნდა ემართლებინა. მილემ იმის გახსენებაც კი ვერ შეძლო, უმღერია თუ არა როდესმე, თუნდაც, რაიმე უბრალო სიმღერა.

მაგრამ თურქები ისევ თავისაზე იდგნენ: — როცა გამოვიარეთ, ჭაბუკი აჯანყებულების სიმღერას დასძახოდა და როცა გათოკვა დავუპირეთ, ხელიც კი შემოგვბედაო.

ყარაულის უფროსს, დაკითხვის დროს, ყველამ ფიცით დაუდასტურა, მართალს მოგახსენებთო.

— აბა, ღმერთი დაიფიცეთ!

— ვფიცათ ღვთის სახელს!

— ადასტურებთ ფიცს ღვთის სახელით?

— დიახ, უფლის სახელით ვადასტურებთ!

ასე გაიმეორეს სამჯერ.

მაშინ ჭაბუკი ელისეს გვერდით ამოუყენეს და არხეინად მძინარე ჯალათის გასაღვიძებლად წავიდნენ. მოხუცმა შეხედა ჭაბუკს, თვალებს ხშირ-ხშირად რომ ახამხამებდა, რადგან დღისით-მზისით ასე ხიდზე დგომა და სეირის შემყურე ხალხისა რცხვენოდა.

— რა გქვია? — ჰკითხა მოხუცმა.

— მილე, — ისევე მორჩილად მიუგო ჭაბუკმა, როგორც თურქებს პასუხობდა.

— მილე, შვილო, მოდი, ერთმანეთი გადავკოცნოთ! — და მოხუცმა მხარზე დაადო მილეს ჭარალა თავი.

— ვეამბოროთ და პირჯვარი გადავიწეროთ!

— „სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!“.

რაკი ხელები ორივეს შეკრული ჰქონდა, მოხუცმა ორივეს მაგივრად გონებაში გადაიწერა პირჯვარი და აჩქარებით დაიწყო ლოცვა, რადგან ჯარისკაცი, რომელსაც ჯალათის მოვალეობა უნდა შეესრულებინა, უკვე ახლოვდებოდა. ჯალათმა სწრაფად შეასრულა თავისი საქმე და ხიდზე გამვლელებმა სადარაჯო კოშკთან აღმართულ ნუჟრებიან მარგილებზე წამოცმული ორი კაცის თავი და შლამით მოფენილი წამების ადგილი დაინახეს.

ასე დაიწყო სადარაჯო კოშკმა მუშაობა.

ამ დღიდან მოყოლებული, ვისაც ხიდზე ან სადმე საზღვარზე ხელსა სტაცებდნენ და ეჭვს მიიტანდნენ, აჯანყებულებს თანაუგრძნობსო, ყველას აქეთ მოერეკებოდნენ. ვისაც უკან გადაგრეხილი ხელებით კოშკის ქვეშ დასაკითხად შელალავდნენ, უკან ცოცხალი იშვიათად გამოაღწევდა.

ბედისაგან გალაღებულ თუ უბედურ კაცთა მოკვეთილ თავებს მარგილზე აგებდნენ და კოშკის გვერდზე ამწკრივებდნენ, გვამებს თუ არ გამოისყიდიდნენ, პირდაპირ დრინაში ყრიდნენ.

აჯანყება ხან მინელდებოდა, ხან ახალი ძალით იფეთქებდა ხოლმე. ამიტომაც დიდხანს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე წყალში გადაყრილთა რიცხვმაც იმატა (დაე, იცურონ, იქნებ, უფრო ჭკვიანი თავი იპოვნონო სადმე). ამ შემთხვევის წყალობით, გაუფრთხილებელ და სუსტ ადამიანებს დედამიწის პირიდან რომ აღგვის ხოლმე, ხიდზე დასჯილ ზვარაკთა გრძელი რიგის წინამძღოლობა ბედმა მდაბიოთა წრიდან გამოსულ ორ უსწავლელ და უბრალო ადამიანს არგუნა.

სწორედ ისეთი ადამიანები, როგორიც მილე და მოხუცი იყვნენ, ხშირად პირველები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, დიდ მოვლენათა მორევის წინ გონება რომ ერევათ და დაუფიქრებლად შიგ ვარდებიან. გლეხის ბიჭი მილე და მამა ელისე ძმებივით ხელგადახვეულები ერთსა და იმავე საათს დასაჯეს და მათი თავები კაპიაზე, საგუშაგო კოშკთან გამოკიდეს, რომელსაც ამ დღიდან მოყოლებული აჯანყების დამთავრებამდე აღარ მოუსაკლისებია ასეთი „სამკაულები". ასე და ამრიგად, ამ ხალხის ხსოვნა, ვისი სახელიც დასჯამდე არავის სმენოდა, უფრო დიდხანს შემორჩა, ვიდრე სხვა მსხვერპლთა სახელი, რომელნიც, შესაძლოა, სიცოცხლეში უფრო სახელიანიც კი იყვნენ.

ასე გაქრა კაპია ავბედითი და სისხლით გაუმაძღარი კოშკის ქვეშ, მასთან ერთად გაქრა შეხვედრები, საუბრები, სიმღერები და ლაღობა. ხიდზე თურქებიც კი დათრგუნვილები მიმოდიოდნენ, სერბიელები კი იშვიათად თუ გაბედავდნენ ხიდზე გადასვლას და ისიც მაშინ, როცა მეტი გამოსავალი აღარ ჰქონდათ და მაშინაც აჩქარებულები და თავჩაქინდრულები გარბოდნენ.

საგუშაგო კოშკის გარშემო ფიცრები თანდათანობით ჩაჟამდა, გაშავდა, ყველაფერი ისევე გავერანდა და გაბინძურდა, როგორც ჯარისკაცების მუდმივ ადგილსამყოფელში ხდება ხოლმე.

თეთრეულს ძელებზე აშრობდნენ, ჭურჭლის ნარეცხსა და ნაგავს ფანჯრებიდან პირდაპირ დრინაში ისროდნენ, ამიტომ ხიდის ბურჯებზე, შორიდან დიდხანს მოჩანდა გრძელი, ჭუჭყიანი ზოლები. ჯალათი სქელ-სქელი, სიტყვაძვირი ანატოლიელი ჯარისკაცი იყო, ყვითელი ამღვრეული თვალები და გამობურცული ტუჩები ჰქონდა, მსუქანი გულკეთილი კაცის მსგავსად, მიწისფერი, შეშუპებული სახიდან ღიმი არ შორდებოდა. ჰაირუდინი ერქვა სახელად.

მალე მთელ ქალაქშიც და ქალაქგარეთაც გავარდა ჰაირუდინის სახელი.

თავის საქმეს მშვიდად და სიამაყით ასრულებდა, ჰაირუდინი მეტისმეტად მკვირცხლი და თავის ხელობაში დიდად გაწაფული გახლდათ.

ქალაქელები ამბობდნენ, ვიშეგრადელ დალაქ მუშანზე უფრო მსუბუქი ხელი აქვსო.

სახით თუ არა, სახელით მაინც ყველა იცნობდა ჰაირუდინს. ეს სახელი ხალხს შიშის ზარსაც ჰგვრიდა და ცნობისმოყვარეობასაც უღვიძებდა. მშვიდი, ჩაკურატებული, თვალებჩანირპლული ჯალათი მზიან დღეებში კოშკის ჩრდილში იჯდა ან იწვა, ზოგჯერ წამოდგებოდა მარგილებზე წამოცმულ თავებს ჩამოათვალიერებდა, თითქოს მებაღე ნესვებს სინჯავსო, მერე ისევ მთქნარებითა და ზმორებით ჯაჭვგამობმული ძაღლივით ჩრდილში თავის ადგილზე მიეგდებოდა.

ხიდის ბოლოს ბავშვები შეჩქვიფდებოდნენ და მოაჯირიდან ცნობისმოყვარე თვალებითა და შიშით უყურებდნენ ჰაირუდინს. მაგრამ, როცა საქმე საჯალათო საქმეზე მიდგებოდა, ჰაირუდინი მარჯვე და ზუსტი ხდებოდა, არ უყვარდა თავის „საქმეში" სხვისი ცხვირის ჩაყოფა, „საქმე" კი დღითი დღე მატულობდა, რადგან აჯანყება, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, როცა, მეამბოხეებმა ქალაქის ახლომახლო სოფლები გადაწვეს, თურქების გაბოროტებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია.

შურისძიების წყურვილით შეპყრობილები, არა მარტო იჭერდნენ მეამბოხეებს, ჯაშუშებსა და იმათ, ვისზედაც ეჭვი შეჰქონდათ, არამედ თვითონვე ცდილობდნენ მათ დასჯაში მიეღოთ მონაწილეობა.

ერთხელ ვიშეგრადელი მღვდელიც აწამეს, სწორედ ის მამაო მიხეილი, რომელსაც წყალდიდობის დროს ხალისიც კი ეყო ხოჯასა და რაბინს გამასხრებოდა.

მამაო მიხეილი თურქების გულისწყრომის უდანაშაულო მსხვერპლი გახდა.

ბოშათა ბავშვებმა უსიცოცხლო ტუჩებში პაპიროსის ნამწვავი ჩასჩარეს.

ასეთი გამოხდომები ჰაირუდინს არ მოსწონდა და შეძლებისდაგვარად კიდევაც ეწინააღმდეგებოდა. როცა ჩატროყებულ ჰაირუდინს მოულოდნელად შავმა ყვავილმა წირვა გამოუყვანა, ჯალათი გამოუცდელმა ოსტატმა შეცვალა. ვიდრე სერბიაში აჯანყება არ მინელდა, კაპიაზე მუდამ იყო გამოკიდებული ორი-სამი მოკვეთილი თავი.

ასეთ დროს ადამიანი ადვილად ხდება სასტიკი და უხეში. ვიშეგრადელები იმდენად მიეჩვივნენ ამ სისხლიან სანახაობას, რომ გვერდს გულგრილად უვლიდნენ.

როცა მოკვეთილი თავების გამოკიდება შეწყდა, წარმოიდგინეთ, ეს ამბავი მაშინვე ვერც შეამჩნიეს.

როგორც კი სერბიაში და საზღვარზე სიწყნარე ჩამოვარდა, სადარაჯო კოშკსაც ყავლი გაუვიდა.

კოშკში ჩაფრები ისევ ცხოვრობდნენ, მაგრამ ხიდზე გავლა-გამოვლა უკვე თავისუფლად შეიძლებოდა. ჩვეულებრივ, არმიაში წესები ნელ-ნელა იცვლება, თურქეთის არმიაში კი ყველაზე უფრო ნელა ხდებოდა ეს ცვლილებები.

ღმერთმა იცის, კიდევ რამდენ ხანს იბოგინებდა ეს კოშკი, ერთ ღამეს შემთხვევით უყურადღებოდ მიტოვებული სანთლებისგან ხანძარი რომ არ გაჩაღებულიყო.

გამხმარი ფიცრული კოშკი, ჯერ კიდევ მზის სიმხურვალე რომ შემორჩენოდა, ერთიანად ჩაიფერფლა.

ქალაქელები მღელვარედ უყურებდნენ ცაში ავარდნილ ალს, რომელიც მარტო თეთრ ხიდს კი არა, მახლობელ მთებსაც აკაშკაშებდა და წყალზე წითელ ათინათებად ირეკლებოდა. როცა გათენდა, ყველას თვალწინ ისეთივე ხიდი წარმოუდგა, როგორიც მანამდე ახსოვდათ, გამქრალიყო ის უბადრუკი კოშკურა, წლების მანძილზე კაპიას რომ გადაფარებოდა. თუმცა თეთრი ფილები შემჭვარტლული და ჩაშავებული ჩანდა, მაგრამ თოვლჭყაპმა ეს კვალიც მალე გააქრო.

სადარაჯო კოშკურისა და მისი სისხლიანი საქმეებისგან აღარაფერი დარჩენილა, მძიმე მოგონებების გარდა. ეს მოგონებებიც თანდათანობით ფერმკრთალდებოდა და ძველ თაობასთან ერთად ქრებოდა, დაწვას მხოლოდ ქვის ორ ფილას შუა მოქცეული მუხის კოჭი გადაურჩა.

კაპიამ კვლავ ძველებური სახე დაიბრუნა.

მარცხნივ მოედანზე ყავახანის პატრონმა ისევ შემოდგა მაყალი და ყავის ჭურჭელი.

მარტო შადრევანი დაზიანდა. ურჩხულის თავი, საიდანაც წყალი მოჩქეფდა, გატეხილიყო.

ხალხი ისევ იყრიდა თავს ხიდზე, მასლაათში, საქმიან ლაპარაკსა თუ უსაქმურ თვლემაში ატარებდა დროს.

ზაფხულის ღამეებში ახალგაზრდები გუნდ-გუნდად მღეროდნენ. ზოგი განმარტოებით იჯდა სიყვარულის სახმილით გატანჯული, ზოგიერთიც სევდიანად ოცნებობდა წასულიყო სადმე შორს, დიდი საქმეებისა და საოცარი ფათერაკების საძებნელად.

ოცი წლის მერე ხიდზე სულ სხვა ახალგაზრდობა მღეროდა და იცინოდა, რომელთაც არ ენახათ, არც ხის პირქუში საგუშაგო კოშკი, არც ყარაულის ჩახლეჩილი ხმით შეძახილი გაუგონიათ, ღამღამობით მგზავრებს რომ აჩერებდა.

აღარც ჰაირუდინი იცოდნენ და არც მისი ხელით წაცლილი თავები ენახათ, რასაც ჯალათი ასე ოსტატურად ასრულებდა. მხოლოდ დედაბრებიღა ახსენებდნენ მის სახელს, როცა ბაღში ატმის მოსაპარავად გადასულ ბიჭებს გამოენთებოდნენ და უკან ბოროტ წყევლასაც მოაყოლებდნენ.

— ჰაირუდინმა გაგიწეწოს ქოჩორი, შე ხიდზე დაგდებულო, შენაო! მაგრამ ღობეზე გადამხტარ ბიჭებს ამ წყევლის მნიშვნელობა არ ესმოდათ. მარტო ის იცოდნენ, რომ ეს სიტყვები კარგსა და სასიკეთოს არაფერს ნიშნავდა.

ასე იცვლებოდა ხიდის ირგვლივ თაობები.

ხიდი კი მტვერივით იშორებდა ყოველგვარ კვალს, რასაც ცხოვრება და ნარმავალი ვნებათაღელვა ტოვებდა და ისევ ისეთი ნირშეუცვლელი რჩებოდა!

თავი მეშვიდე

ხიდისა და ქალაქის თავზე მრავალმა წელმა გადაიქროლა. დადგა მეცხრამეტე საუკუნის ნახევარი, თურქეთის სამეფოს სულის ღაფვის ხანა.

თუ თანამედროვეთ დავუჯერებთ, ეს წლები შედარებით მშვიდობიანი და ბედნიერი წლები იყო, თუმცა შიშისა და მღელვარების ნაკლები საბაბი არც მაშინ ჰქონდათ. სახადები, გვალვა თუ სხვა უბედურება მათი ხშირი სტუმარი იყო. მაგრამ ეს ყველაფერი ერთდროულად კი არა ხდებოდა. ხანგრძლივ მყუდროებაში, უმნიშვნელო მიწისძვრასავით გამოერეოდა ხოლმე.

ბოსნიისა და ბელგრადის საფაშოთა საზღვარი, ზედ ვიშეგრადთან რომ გადიოდა, სულ უფრო გამოიკვეთა და სახელმწიფო მნიშვნელობა შეიძინა. ეს ამბავი ქალაქის, მთელი ამ მხარის ცხოვრების პირობებს ძირფესვიანად ცვლიდა. გავლენას ახდენდა თურქთა და სერბიელთა ურთიერთობაზე, ვაჭრობაზე, სამიმოსვლო გზებსა და ადამიანთა სულიერ განწყობილებაზე.

ხანდაზმული თურქები შუბლშეკრულნი უნდობლად ჭუტავდნენ თვალებს, თითქოს უსიამოვნო ბურანიდან თავის დაღწევას ცდილობენო, ბრაზობდნენ, იმუქრებოდნენ, ბაასობდნენ, ხან კი ყველაფერს თვეობით ივიწყებდნენ, ვიდრე მკაცრი სინამდვილე ისევ თავს არ გაახსენებდათ და სულსა და გულს არ აუფორიაქებდათ.

გაზაფხულის ერთ მზიან დღეს, ვიშეგრადში, საზღვრისპირიდან მოსული ველეტოველი თურქი კაპიაზე ჩამომჯდარიყო და ქალაქელ თურქებს აღელვებული უამბობდა იმ დღეებში ველეტოვში მომხდარ ამბებს.

— ამ ზამთარს, — ჰყვებოდა ველეტოველი, — ჩვენი სოფლის მახლობლად დაბანაკდა შორეული არილიდან, შეიარაღებული ამალით მოსული, ავკაცობით სახელგანთქმული, რუიანელი სარდალი იოვანე მიჩიჩი. მოსვლისთანავე საზღვრის დათვალიერება და აზომვა დაიწყო.

როცა ჰკითხეს, რისთვის მობრძანებულხარ და აქ რას აკეთებო, უტიფრად განაცხადა:

— ვალდებული არ ვარ ვინმეს, მით უმეტეს, გათათრებულ ბოსნიელებს ანგარიში ჩავაბარო, მაგრამ, თუ მაინცდამაინც გნებავთ გაიგოთ

სიმართლე, დაე, იცოდეთ, რომ ხოჯა-მილოშმა* გამომგზავნა, რათა დავათვალიერო, თუ სად უნდა გაიაროს სერბიის საზღვარმა.

ჩვენ გვეგონა, ვლახიელი მთვრალი იყო და არ იცოდა რას ბოდავდა.

ამ სახელგავარდნილ ყაჩაღს კუდით ქვა ვასროლინეთ და ეს ამბავი დავიწყებას მივეცით, მაგრამ არ გასულა ორი თვეც, რომ ისევ გამოგვეცხადა, თან მილოშის ჩაფრები და სულთნის რწმუნებული ბებრუხანა და თვალებმიბლეტილი სტამბოლელი მოიყოლა. თვალს არ ვუჯერებდით, მაგრამ რწმუნებულმა ყველაფერი დაადასტურა, სირცხვილით სახეში ვერ გვიყურებდა, თუმცა მის ნათქვამს კვერი მაინც დაუკრა. „დიახ, მეფემ** ინება, სულთნის წყალობით მილოშმა სერბია მართოსო და მისი სამფლობელოს საზღვარი დაადგინოსო". როცა რწმუნებულის კაცებმა ტეტრებიცასთან მარგილების ჩარჭობა და ნიშნების გაკეთება დაიწყეს, მიჩიჩი მივარდა და ყველაფერი მირივ-მორია, გაცოფებული ვლახიელი (ის ეშმაკის კერძი ისა) ეცა რწმუნებულს, ბავშივით ტუქსავდა და ემუქრებოდა: — „ეს ის საზღვარი არ არის, სულთანმა და რუსთ ხელმწიფემ რომ დაადგინეს და თავად მილოშს ფირმანი*** უბოძეს, ახლა საზღვარი ლიმადან პირდაპირ ვიშეგრადის ხიდზე გადადის და იქიდან დრინას გასდევს. ასე რომ, ირგვლივ სულ სერბიაა, ეს საზღვარიც დროებითაა, — ამბობდა მიჩიჩი, — ცოტა ხანში საზღვრის უფრო შორს გადატანა მოგვიხდება".

სულთნის წარმომადგენელმა ძლივძლივობით დაითანხმა და საზღვარი მონიშნა.

ჯერჯერობით ასეა. ოღონდ შიშით გვაციებს და ვმკითხაობთ, რა მოჰყვება ამას, არ ვიცით, რა ვქნათ რა გზას დავადგეთ.

რჩევა უყიჩელებს ვკითხეთ, მაგრამ არც მათ იციან, სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი.

ოთხმოცდაათ წელს გადაცილებულმა ხოჯა ზუკომ, რომელიც ორჯერ იყო მექაში, თქვა, რომ ერთი თაობის მერე თურქეთის საზღვარი აქედან თხუთმეტი დღის სავალზე, თვით შავ ზღვამდე გადაიჭიმებაო.

დარბაისელი ვიშეგრადელი თურქები თითქოს მშვიდად უსმენდნენ ველეტოველს, მაგრამ სულის სიღრმეში შეძრწუნებული და აღელვებული იყვნენ.

---

* ხოჯა-მილოში — სერბიის მმართველი, რუსეთ-თურქეთის ომის მერე ცნობილ იქნა როგორც სერბიის მემკვიდრე და რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

** იგულისხმება რუსეთის მეფე ნიკოლოზ I.

*** ფირმანი — სულთანის ბრძანებულება.

ნეტავი არ გაეგონათ მისი სიტყვები, წამოდგომა ეწადათ, ხიდზე ქვის საჯდომებს ეჭიდებოდნენ, მაგრამ თითქოს რაღაც ძლიერი და უხილავი ძალა ადგილზე ბოჭავდა და ფეხქვეშ ხიდს აცლიდა.

როცა თავს მოერივნენ, ველეტოველს სიტყვა ბანზე აუგდეს, სურდათ სინამდვილე გაექარწყლებინათ. სერიოზულ და სახიფათო ამბებზე საუბარს ყოველთვის თავს არიდებდნენ, სულ მუდამ იმას ცდილობდნენ, ისე ეცხოვრათ, უსიამო და ამაზრზენ ამბებზე არ ეფიქრათ.

ახლა კი ცხადი იყო, რომ საქმე ვერ იყო რიგზე.

არ იცოდნენ მისი ნათქვამი როგორ გაექარწყლებინათ, ველეტოველს გულის მომცემი და გასამხნევებელი ერთი სიტყვაც კი ვერ უთხრეს. ერთი სული ჰქონდათ, როდის წამოიკიდებდა გლეხი ამ გულის გასახეთქი ამბების გუდას და მაღალმთიან სოფელ ველეტოვისკენ გაუტევდა.

რა თქმა უნდა, მისი წასვლით საფიქრალი არ მოაკლდებოდათ, მაგრამ სულს ცოტა ხნით მაინც მოითქვამდნენ.

სტუმარი წავიდა, ისინი კი ისევ ისხდნენ კაპიაზე, უსიამოვნო ამბებზე ლაპარაკი აღარ განუახლებიათ. ასეთი ამბების მოსმენა სიცოცხლეს ძაღლუმადურს ხდის და კაცს მომავლის შიშით სთანგავს.

დაე, დროს მიენდოს ყველაფერი, მან დაამშვიდოს აფორიაქებული ადამიანები და დაავიწყოს იმ მოვლენათა სიმძაფრე, რაც იმ მთების გადაღმა ხდებოდა.

მართლაც დროს თავისი გაჰქონდა.

ცხოვრება ჩვეულებრივად მიედინებოდა.

კაპიაზე მაშინდელი საუბრის მერე, ბარე ოცდაათი წელი გავიდა.

საზღვარზე სარდლისა და სულთნის რწმუნებულის მიერ ჩასმულმა მარგილებმა, ბორჯი გაიდგეს და თანდათანობით ნაყოფიც გამოიღეს. ეს ნაყოფი მწარე იყო თურქებისათვის, რადგან სერბიის უკანასკნელი ქალაქებიც უნდა დაეტოვებინათ.

და აი ერთხელ, ზაფხულში, ვიშეგრადის ხიდზე, უჟიცედან გამოქცეულ ლტოლვილთა დამწუხრებული ბრბო გამოჩნდა.

თბილი დღეები იდგა. სწორედ ისეთი, გრძელი და სასიამოვნო საღამოები რომ მოჰყვება ხოლმე.

ასეთ დროს თავს იყრიდნენ ქალაქელი თურქი ვაჭრები დრინის თავზე ხიდის ორთავე მხარეს. კალათებით მოჰქონდათ ნესვი თუ საზამთრო, სიგრილეში დაალაგებდნენ და საღამოობით მოცლილ ხალხზე ასაღებდნენ. ქალაქელები ერთმანეთს ენაძლევებოდნენ გაჭრილ საზამთროს

წითელი გული გამოადგებოდა თუ თეთრი. ვინც წააგებდა, ფულს ის გადაიხდიდა. მერე ყველანი ერთად შეექცეოდნენ, ხმამაღლა ყაყანებდნენ და მასხრობდნენ. ხიდის ფილებს დღის სითბო ისევ შემორჩენოდათ, ქვემოდან კი მწუხრთან ერთად მდინარის გრილი სიო ელამუნებოდათ.

დრინის შუაგული მზის სხივებზე ლაპლაპებდა. ნაპირებზე კი ტირიფებისა და წნორების მუქმწვანე ჩრდილები წვებოდა.

ჩამავალი მზის სხივები ნაპირებს ზოგან მკრთალად, ზოგან კი წითლად აკაშკაშებდა.

კაპიიდან ხელისგულივით გადაშლილ მთიანი ამფითეატრის სამხრეთ დასავლეთით, მსუბუქი ცვალებადი ღრუბლები ირეოდა.

ზაფხულში აქედან მთელ დღეს შეგეძლოთ დამტკბარიყავით მათი ყურებით. როგორც კი დღე გადიდებას დაიწყებს, მზის ამოსვლის წინ ღრუბლები მთების გადაღმა სქელ მოვერცხლისფრო-მონაცრისფრო ტალღებად გამოჩნდებიან, თვალდათვალ გაიზრდებიან და ადამიანის თვალს უთვალავი საზღაპრო გუმბათიანი სასახლეების ფანტასტიკური სამყარო გადაეშლება.

დღისით, მზის მცხუნვარე სხივებით გავსებული ქალაქის თავზე, ზანტი და გარინდებული ღრუბლები წვანან. საღამო ჟამს კი კაპიაზე სალაღობოდ ჩამომსხდარი თურქები ყოველთვის ხედავენ აბრეშუმის ვეებერთელა კარვებივით გადაშლილ ღრუბლებს და გონებაში ბუნდოვანი მოჩვენებები, ომებისა და ლაშქრობების, უჩვეულო სილამაზისა და ფუფუნების საარაკო სურათები ესახებათ. როცა საღამო ცას გაცრეცს და ღრუბლებს გადარეკავს, მთვარისა და ვარსკლავების ახალი, მომხიბლავი სურათი იხატება.

კაპიაზე ყოფნა არასდროს არ არის ისე მომხიბლავი, როგორც ზაფხულის დარიან საღამოს.

ადამიანი დგას კაპიაზე, როგორც ჯადოსნურ საქანელაზე, ერთდროულად დედამიწაზეც რომ ქანაობს, მდინარეზეც მიცურავს და სივრცეშიც მიფრინავს და ამავე დროს ქალაქთან, თავის თეთრ სახლთან, ხეხილის ბაღთან და ბაღჩასთან მაგრად და საიმედოდ მიჯაჭვულა.

ბევრ მოკრძალებულ ვიშეგრადელს, კაპიაზე ერთი ჭიქა ყავას რომ წრუპავდა და ჩიბუხს აბოლებდა, თუნდაც არაფერი ჰქონოდა სახლისა და დუქნის მეტი, იმ საღამოს მთელი ქვეყნის სიმდიდრე და ღვთის წყალობა მხოლოდ თავისი ეგონა.

ასეული წლების მანძილზე ვინ იცის რა გრძნობებს არ აღუძრავდათ ეს ლამაზი, მკვიდრი, სიკეთის დროს ჩაფიქრებული, თავის ადგილას მორგებული, ბედნიერ ფეხზე დამთავრებული ნაგებობა.

ერთხელ, შებინდებულზე, ხიდზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ხორხოცობდნენ და გამვლელ-გამომვლელთან ოხუნჯობდნენ. განსაკუთრებით ერთი ტანმორჩილი, მაგრამ ჩასხმული და უცნაური გარეგნობის ჭაბუკის ირგვლივ ქოთქოთებდნენ, რომელსაც სალკო ჩორკანი* ერქვა.

ჩორკანი ბოშა ქალისა და ანატოლიელი ჯარისკაცისა თუ ოფიცრის ვაჟი იყო.

მამამისს ერთხანს ამ ქალაქში უცხოვრია და ჯერ კიდევ არამკითხე ბავშვის დაბადებამდე წასულა...

მალე დედაც გარდაცვლილა და სალკო ღვთის ანაბარა დარჩენილა. სამადლოდ ასმევ-აჭმევდნენ, ბიჭს ყველა ეპატრონებოდა და მაინც პატრონი არ ჰყავდა.

ყველას ემსახურებოდა, დუქნებში ისეთ საქმეს აკეთებინებდნენ, რის გაკეთებასაც სხვები თაკილობდნენ, არხებსა და ჭებს ასუფთავებდა, მიწაში ფლავდა მძორსა და ყველაფერს, რასაც მდინარე გამორიყავდა, ბიჭს არც გვარი გააჩნდა, არც მუდმივი სამუშაო ჰქონდა. გზადაგზა, სადაც მოხვდებოდა, იქ ილუკმებოდა.

სხვენში იძინებდა და ქალაქელების ნაწყალობევი ძველმანებით დადიოდა.

მარცხენა თვალი ჯერ კიდევ ბავშვობაში დაკარგა.

უწყინარი, ლოთი და ხუმარა ობროდი ქალაქელებს ამოჩემებული ჰყავდათ და მუქთად ამუშავებდნენ.

ახლაც ვაჭრის შვილები ჩორკანს გარს შემოხვეოდნენ, დასცინოდნენ და ამასხარავებდნენ.

ჰაერში მწიფე ნესვისა და მოხალული ყავის სურნელი ტრიალებდა. ჯერ კიდევ პაპანაქება სიცხისაგან გახურებულ, მორწყულსა და დაკრიალებულ დიდი ქვის ფილებს, კაპიისთვის დამახასიათებელი მზის მძაფრი სიმხურვალე და სუნი უდიოდა, რომელიც კაცს სიზარმაცისა და ოცნებისაკენ ეწეოდა. მწუხრი ჩამოდგა, მზე ჩავიდა, მაგრამ მოლევნიკის** თავზე დიდი ვარსკვლავი ჯერ კიდევ არ ჩანდა. იმ დროს,

---

* ჩორკანი — სერბული მეტსახელი, სიტყვიდან „ჩორაკ", რაც მრუდეს ნიშნავს.

** მოლევნიკი — მთაა ვიშეგრადის მახლობლად.

როცა ყველაზე ჩვეულებრივმა საგნებმაც კი ზვიადი და უცნაური იერი მიიღო, ხიდზე პირველი უჟიცკელი ლტოლვილები გამოჩნდნენ.

თავჩაქინდრული და მტვერში ამოგანგლული მამაკაცები მეტწილად ფეხით მოდიოდნენ. კოჭდაბალ ცხენებზე, ფუთებსა და სკივრებს შორის თავიდან-ფეხებამდე შეფუთული ქალები და ღონემიხდილი გაკნაჭული ბავშვები ისხდნენ.

ჯიშიან ცხენზე ვიღაც დიდგვაროვანი კაცი ამხედრებულიყო. ქანცგაწყვეტილი ცხენის სიფათი და ცხვირჩამოშვებული მხედრის სახე ცხადად მეტყველებდა თავსგადახდენილ უბედურებაზე.

ზოგი საბელჩაბმულ თხას მოერეკებოდა, ზოგს ხელში ატატებული ბატკანი მოჰყავდა.

ყველას კრიჭა შეჰკვროდა. ბავშვებიც კი არ ტიროდნენ.

მხოლოდ ცხენის ფლოქვების თქარათქური და ცხენებზე აკიდებული სპილენძისა და ხის ჭურჭლის ჩხარაჩხური ისმოდა.

უსახლკარო და ქანცგაწყვეტილი ხალხის გამოჩენამ კაპიაზე სიცოცხლე ჩაკლა. მოხუცები ქვის სკამებზე გაშეშდნენ, ჯეელები ადგილებიდან ნამოცვივდნენ და ხიდის ორთავე მხარეს ცოცხალ კედლად აღიმართნენ.

ლტოლვილები მათ შუა დანალიკებულნი მიდიოდნენ, ზოგიერთი ქალაქელი გრძნობამორეული უცქეროდა, ესალმებოდნენ, აჩერებდნენ, უნდოდათ რაიმე მიეცათ. მაგრამ ისინი უკან არც კი იხედებოდნენ და სალამზეც თავს ძლივს აკანტურებდნენ. მხოლოდ ერთი ფიქრი ამოძრავებდათ, დაღამებამდე ჩაელწიათ ოკოლიშამდე, სადაც ღამე უნდა გაეთიათ. დაახლოებით, ას ოც ოჯახამდე იქნებოდნენ.

ასზე მეტი ოჯახი სარაევოში აპირებდა გადასვლას, დანარჩენები კი, ვისაც ნოყიერები ჰყავდათ, აქვე ფიქრობდნენ დარჩენას.

ამ გაბაბანებ ხალხს მხოლოდ ერთი კაცი გამოეყო, კაპიაზე შეჩერდა. წყალი დალია და არც პაპიროსი იუარა. ეტყობოდა, მარტოხელა ლატაკი იყო. ხანდ მჭერიანი ჰქონდა და აგზნებულ თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა. პაპიროსის კვამლს ხარბად ყლაპავდა, ყველას აღელვებული და მჭრელი თვალებით ათვალიერებდა, მოკრძალებულ და თანაგრძნობით სავსე შეკითხვებზე პასუხს არ იძლეოდა. ბოლოს გრძელ ულუფაზე ხელი ჩაიქნია, პაღლაბა თქვა და როგორც ღონეპიხდილ და ცხოვრებით აღელვებულ ადამიანებს არცვიათ, გაპირიბებულმა ამოიკრიალა:

— თქვენ აქ არხეინად სხედხართ და წარმოდგენაც კი არა გაქვთ, რა ხდება სტანიშევცის* იქით. ჩვენ თურქეთის სამფლობელოებისაკენ მოვისწრაფვით, მაგრამ თქვენ სადღა გაიქცევით, როცა განკითხვის ჟამი დაგიდგებათ? თქვენ არც კი გინდათ ამაზე დაფიქრდეთ.

ეს რამდენიმეც სიტყვა ძალზე ბევრის მთქმელი იყო უდარდელად მჯდომი ხალხისათვის.

მაგრამ არც ეს კმაროდა ამ კაცის პირთამდე მწარე სამსალით ავსებული გულისთვის, რაღაც რომ წამოსცდა, მაგრამ ბოლომდე მაინც რომ ვერა თქვა თავისი სათქმელი.

ლტოლვილმა თვითონვე დაარღვია უხერხული დუმილი. ყველას აჩქარებით დაემშვიდობა, ერთხელ კიდევ თქვა სამადლობელი და წინ წასულებს უკან გამოედევნა.

მიდიოდა და უკან მისდევდა დარჩენილთა ლოცვა-კურთხევა. ამ ამბავმა ძალიან დაუმძიმა ხალხს გუნება, კაპიაზე ყველა მოღუშული დუმდა.

ჩორკინიც კი ქვის საფეხურზე გაუნძრევლად მუნჯივით იჯდა. მის ირგვლივ სანაძლეოზე შეჭმული საზამთროების ქერქი ეყარა. ხელებზე თავდაყრდნობილი, დაღვრემილი და ჩაფიქრებული ძირს იყურებოდა, თითქოს ხიდის ფილებს კი არა, უკიდეგანო უსასრულობს ჩასცქერისო.

ამჯერად კაპიაზე ჩვეულებრივზე ადრე დაიშალნენ.

დილით ცხოვრება ისევ ძველ კალაპოტში ჩადგა. რადგან ქალაქელები ხვალინდელ დღეზე ზრუნვას მიჩვეულები არ იყვნენ და დარდი არ უყვარდათ, რამე თუ ღრმად სწამდათ, რომ ცხოვრება იშვიათად იძლევა სულის მოთქმის საშუალებას, ამიტომ რაღაც არარსებული, ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ დაწერილი და უცვლელი ცხოვრებისეული კანონის ძიება — სისულელე იყო და დროის უნაყოფოდ დაკარგვას ნიშნავდა.

მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში, ოცდახუთი წლის მანძილზე, სარაევოში ორჯერ შავმა ჭირმა და ერთხელ ქოლერამ იფეთქა, ამ მოარული სენის დროს ქალაქელები მუჰამედის ანდერძის კვალობაზე იქცეოდნენ.

მუჰამედი თავის მიმდევართ ასწავლიდა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მოარული სენის დროს. „იქ ნუ წახვალ, სადაც ავადმყოფობა მძვინვარებს, რადგან შეიძლება თავადაც დაავადდე, ხოლო თუ სნეულებთან მოხვდი, უკან აღარ გამობრუნდე, რადგან შეიძლება სნება სხვებსაც

* სტანიშევცი — სოფელი ვიშეგრადთან ახლოს.

შეჰყარო". ადამიანებს თუ ძალას არ დაატან, არც ერთი მათგანი თავის სასარგებლო მოძღვრების აღსრულებაზე ყურსაც არ შეიბერტყავს. თუნდაც ამ მოძღვრებას თვით ღმერთის მოციქული ქადაგებდეს. ამიტომ იმ ქვეყანაში, სადაც მოარული სენი იფეთქებდა, ხელისუფლება საგზაო და საფოსტო მიმოსვლას ზღუდავდა ან მთლიანად კრძალავდა.

მაშინ ცხოვრება სრულიად გამოიცვლებოდა ხოლმე და ხიდზე აღარც საქმიანი ხალხი იკრიბებოდა და აღარც სიმღერებისა და ლაზღანდარობის მოყვარული, მოყიალე ქალაქელები იყრიდნენ თავს.

როგორც წინათ, აჯანყებისა და ომიანობის დროს იცოდნენ, ქვის სოფაზე ისევ ჩაფრებმა მოიკალათეს.

სარაევოდან მომავალ მგზავრებს კონდახებს უღერებდნენ, ხმამაღლა უყვიროდნენ, აჩერებდნენ და უკანვე ერეკებოდნენ.

როცა შიკრიკები ფოსტას მოიტანდნენ, ძალიან ფრთხილობდნენ, წესრიგს იცავდნენ.

კაპიაზე ცეცხლი ხრჩოლავდა, ჩაფრები ბარათებს დიდრონ მაშებს ჩაავლებდნენ და სათითაოდ თეთრ ბოლქვა-ბოლქვა კვამლს გულმოდგინედ უბოლებდნენ. მერე კი განწმენდილ კონვერტებს ისევ გზას გაუყენებდნენ.

საქონლის გადაზიდვა აკრძალული იყო, მაგრამ ყველაზე სადავიდარაბო, წერილების გადატანა კი არა, თვითონ ადამიანები იყვნენ.

ხიდს ყოველდღე მილეთის ხალხი: მწირი, ვაჭარი, შიკრიკი თუ მაწანწალა, ანყდებოდა.

ჩაფარი ხიდის ყურშივე უხვდებოდა და შორიდანვე ანიშნებდა, — ახლოს არ მოხვიდეთო.

მგზავრები ჯერ შედგებოდნენ, მერე მოჰყვებოდნენ წუწუნს, — ქალაქში გადაუდებელი საქმე გვაქვს, მთლად საღ-სალამათები ვართ, მიწამ გვიყოს პირი, თუ ქოლერაზე რამე გაგვეგონოსო, ისე კი ყური მოვკარით, სადღაც სარაევოში ჭირი გაჩენილაო. ასე კამათ-კამათით მგზავრები ხიდის შუაგულამდე მიჩოჩდებოდნენ და კაპიამდე შემოაღწევდნენ ხოლმე.

კამათში ყველა ჩაფარი ერეოდა. მოკამათეებს ერთმანეთისგან რამდენიმე ნაბიჯი აშორებდათ, ხელებს იქნევდნენ და ხმას უმაღლებდნენ. ჩაფრებს უფრო მეტად ის აყვირებდათ, რომ ხიდზე მთელი დღე ნივრის ჭამითა და არყის სმით თავში ქარი ჰქონდათ შემძვრალი. ამით სამსახურებრივ მოვალეობასაც იხდიდნენ, რადგან არაყიცა და ნიორიც გა-

დამდები სენის საწინააღმდეგო საშუალებად ითვლებოდა, ამიტომაც მალიმალ იტენებოდნენ.

ბევრი მგზავრი იმედგადაწურული, შეწუხებული და გულდამძიმებული უკან, ოკოლიშჩეში, ბრუნდებოდა.

მაგრამ იყვნენ ჯიუტი და გამბედავი ადამიანებიც, საათობით რომ იდგნენ კაპიაზე, ჩაფრების გაცურებასა და ქალაქში გაძრომას ცდილობდნენ, ანდა მოულოდნელი და რაიმე ბედნიერი შემთხვევის იმედი ჰქონდათ.

მაგრამ, თუ ხიდზე ქალაქის ყარაულის უფროსი ზემდეგი სალკო ჰედო მორიგეობდა, მგზავრს არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. ჰედო ნამდვილი მოხელე იყო, თითქოს მოსულთ ვერც ამჩნევდა, — ზერელედ უსმენდა, ყველა მთხოვნელს მხოლოდ იმდენ ხანს ელაპარაკებოდა, რამდენიც ყველაზე უფრო აბეზარი მთხოვნელის უკან გაბრუნებას დასჭირდებოდა. ამ დროს სალკო ჰედო ბრმაც იყო და ყრუც. ხოლო, როცა საქმეს მორჩებოდა, პირში წყალს ჩაიგუბებდა.

ამაოდ ევედრებოდა მგზავრი და ეპირფერებოდა.

— სალიჰ-აღა, მე ჯანმრთელი ვარ...

— საიდანაც მობრძანებულხარ, იქითკენ შეაყოლე შენი ჯანმრთელობიანად.

— წადი, გაეთრიე. მოშორდი აქედან!

სალკო ჰედოს ლაილაი არ უყვარდა, მაგრამ, როცა ყარაულებად ჩაფრები რჩებოდნენ, მაშინ კი შეიძლებოდა რაღაცის იმედი გქონოდა.

რაც უფრო დიდხანს დგას ხიდზე მგზავრი, რაც უფრო ბევრს ეკამათება ჩაფრებს და ცდილობს მათ გადმობირებას, შესჩივის თავის სატკივარს, ცხოვრებისეულ ვარამს და უყვება, თუ რამ აიძულა ქალაქის გზაზე დადგომა, მით უფრო მახლობელი და ნაცნობი ხდება მისთვის, თან უფრო ნაკლებად ემსგავსება იმ ავადმყოფს, ვისაც ქოლერის გავრცელება შეუძლია.

ბოლოს ერთ-ერთი ჩაფართაგანი მგზავრს ქალაქში ეგზავნება.

ასე ტყდებოდა ნავსი, მაგრამ მგზავრმა იცოდა, რომ დავალებას შესრულება არ ეწერა, რადგან ჩაფრები თავს არყით ირჩენდნენ და მუდამ გადაკრულში იყვნენ, დავალების შესრულების თავი არცა ჰქონდათ.

მგზავრი იხვეწება, ჰპირდება, ღმერთს იმოწმებს, სულს იფიცება და იმდენ ხანს ელაქლაქება, ვიდრე იმ ჩაფარს, რომელსაც თვალი დაადგა და ადვილად დაყოლიების იმედი აქვს, არ დაიმარტოხელებს.

მაშინ საქმე თავისით იჩარხება. კეთილი ჩაფარი მარმარილოს დაფისაკენ მიბრუნდება, ხელებს ზურგს უკან დაიწყობს და თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს ძველებურ წარწერას აბულბულებსო.

ჯიუტი მგზავრი შეპირებულ ქრთამს ჩაუჯიბავს, აქეთ-იქით გაიხედგამოიხედავს, თავქუდმოგლეჯილი გადაირბეს ქუჩას და ქალაქში უჩინარდება.

ჩაფარი ისევ საყარაულოს უბრუნდება, ნიორს ღეჭავს და ზედ არაყს აყოლებს.

სიმთვრალე უდარდელობასა და გამბედაობას ანიჭებს, ძალას მატებს იფხიზლოს და ქალაქი ქოლერისაგან დაიცვას.

მაგრამ მძიმე დროება უსასრულოდ როდი გრძელდება, ისიც წარმავალია და მხიარულ დღეებს ენაცვლება.

კაპიაზე კი ცხოვრება ისევ და ისევ ახლდებოდა. წლები და საუკუნეები ხიდს ნირს ვერ უცვლიდა, თვით მოვლენებიც კი ვერ აჩენდა ვერავითარ დაღს. და ხიდზე ყველაფერი ისე გადაივლიდა, როგორც მდინარე გარბის ხიდის მაღალ მოხდენილ თაღებქვეშ.

თავი მერვე

განა მარტო ომები, მოარული სენი და გადასახლებები არღვევდა იმ არაჩვეულებრივ ამბებს, რაც ხიდთან იყო დაკავშირებული და დროთა განმავლობაში ღირსსახსოვარი ხდებოდა.

ხიდის ორთავე მოაჯირი დიდი ხანია ჩამუქდა და ისე ლაპლაპებდა, გეგონებოდა, ვიღაცას გულმოდგინედ გაუპრიალებიაო.

ასეული წლების მანძილზე გლეხები ზურგიდან ტვირთს აქ იხსნიდნენ და სულის მოსათქმელად მოაჯირს ეყუდებოდნენ, უსაქმურად გამოშლილი ხალხიც სწორფერების მოლოდინში მოაჯირს იყვნენ გადაყუდებულები და მასლაათით იქცევდნენ თავს.

აქ დიდხანს იდგნენ განმარტოებით მოაჯირზე იდაყვდაყრდნობილი და თავდახრილი მეოცნებე ჭაბუკები, თავქვე კისრისტეხით მიმავალ ქაფმორეულ, მარად ახალსა და მარად უცვლელ მდინარის ტალღებს რომ ჩაჰკირკიტებდნენ.

ხიდს ჯერ არ ახსოვდა ამდენი ხალხი, რამდენიც იმ წლის აგვისტოს მიწურულში ეწვია. ქვის მოაჯირზე გადაკიდებულები, ასე დაჟინებით არასოდეს ჩასციებიან მდინარის ტალღებს, თითქოს საიდუმლოს ამოკითხვას იქ, მდინარის ზედაპირზე ლამობენო.

თუმცა, ჯერ კიდევ ზაფხული იყო, წვიმამ მდინარე აამღვრია, ხიდის თაღქვეშ თეთრი ქაფი ტრიალებდა, წყალს ნაფოტები, ხის ჩინჩხვარი და ათასნაირი ნარიყი მოჰქონდა, მაგრამ უქმად მდგარ ხალხს სულაც არა ჰქონდა მდინარის ჯავრი, მშვენივრად იცნობდნენ დრინას და კარგად იცოდნენ, შიგ ახალს ვერაფერს აღმოაჩენდნენ. ყველანი წყალს ჩაჰყურებდნენ და რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ცდილობდნენ, გაეგოთ იმ უცნაური და თავზარდამცემი შემთხვევის მიზეზი, რამაც მთელი მხარე გააოცა და ააღელვა.

იმ დღეებში კაპიაზე ისეთი გაუგონარი და უჩვეულო ამბავი მოხდა, რომლის მსგავსიც ქალაქისა და ხიდის არსებობის მანძილზე, ჯერაც არავის გაეგონა.

ამ ამბავმა ყველა შეაძრწუნა, ხმა შორს გავარდა და მოარულ ლეგენდად იქცა. საქმე ეხებოდა ვიშეგრადის ორ ახალშენს: — ბოლშაია ლუგასა და ნუზუკს, ქალაქის გარშემო, ჩამუქებული მთებისა და ხასხასა გორაკების ამფითეატრის ორ სხვადასხვა მხარეს რომ მდებარეობენ.

ქალაქის შორიახლო დაბლობის, ჩრდილო-აღმოსავლეთით მოჩანს კარგა მოზრდილი სოფელი სტრაჟიშე.

სახლები, მინდვრები და ბაღები ბორცვებსა და ხევხუვებს შორის არის მიმოფანტული.

ერთ ასეთ დამრეც ფერდობზე ქლიავის ბაღებში ჩაფლული და მინდვრებით შემოჯარული თხუთმეტიოდე სახლი დგას. ეს გახლავთ ბოლშაია ლუგა. — მყუდრო, ლამაზი და მდიდარი თურქული სოფელი. ეს სოფელი სტრაჟიშეს სასოფლო თემს ეკუთვნის, მაგრამ უფრო მეტად ქალაქთან არის დაკავშირებული.

ბოლშაია-ლუგადან ქალაქის ბაზრამდე ნახევარი საათის სავალია, ამიტომ სოფლელები ქალაქის ხშირი სტუმრები არიან. იქ ქალაქელებივით კიდეც მუშაობენ და კიდეც ვაჭრობენ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სოფლელების დოვლათი უფრო საიმედო და უჭოჭმანოა, სოფელი ფერდობზეა გაშენებული და წყალდიდობის შიში არა აქვთ. თვითონაც თავმდაბალი და მშვიდი ბუნების ხალხია, ქალაქალების უხეირო ჩვევები მათთვის უცხოა. ბოლშაია-ლუგაში კარგი და თავზე საყრელი სარწყავი მინებია, მცხოვრებლები კი ჯანღონით სავსენი და ლამაზები არიან.

აქაც ცხოვრობდა ოსმანაღიჩების ცნობილი გვარი, მართალია, ქალაქელი ოსმანაღიჩები, უფრო მრავლად იყვნენ და შეძლებულადაც ცხოვრობდნენ, მაგრამ ხალხში ამბობდნენ: მათი „მდგომარეობა შეირყა" და ნამდვილი ოსმანაღიჩები სწორედ ბოლშოი-ლუგაში ცხოვრობენო.

გვარით გაამაყებული, ძალზე თავმოყვარე ოსმანაღიჩები თავგამოდებით იცავდნენ ოჯახის ღირსებას.

ახალშენში ყველაზე დიდი სახლი ზედ ბორცვის თავზე განცალკევებით ედგათ. შენობას ჩაშავებული ყავარი ეხურა და თოთხმეტფანჯრიანი ფასადი სამხრეთ-დასავლეთისკენ ჰქონდა მიქცეული.

მუდამ თეთრად შეფეთქილი სახლი შორიდანვე თვალში გეცემოდათ. ქალაქიდან გასული ან შემოსული მგზავრი პირველად ამ სახლს დაინახავდა.

ლიეშტანის მწვერვალზე ჩამავალი მზის სხივები მუდამ ამ სახლის თეთრ კედლებს დასთამაშებდა. ქალაქელები დიდი ხანია მიეჩვივნენ კაპიიდან ცქერას, თუ როგორ ენთო მათი სახლის ფანჯრებში ჩამავალი მზის ათინათი. ერთიმეორის მიყოლებით ფანჯრები თვალებს ნელ-ნელა ხუჭავდნენ და ქრებოდნენ. ხანდახან ისეც ხდება, რომ მზე უკვე ჩასულია, ქალაქს საღამოს მიმწუხრი ეპარება, სახლის ერთ-ერთ ფანჯარაზე კი, სადღაც ღრუბლებიდან გამომკრთალი შუქის ათინათი ვარსკვლავივით წითლად კაშკაშებს.

სახლის პატრონი ქალაქში დიდად ცნობილი თავკაცი აბდ-აღა ოსმანაღიჩი, ცხოვრებაშიც და საქმეშიც ძალზე ფიცხი კაცი იყო.

ბაზარში საკუთარი, ბნელი და დაბალჭერიანი დუქანი ჰქონდა, დუქნის თაროებსა და ჩელტებზე სიმინდის, შავი ქლიავისა და ნაძვის გირჩების გორები ეყარა.

აბდ-აღა ბითუმად ვაჭრობდა. ამიტომაც დუქანს მხოლოდ ბაზრობის დღეს, ანდა განსაკუთრებული შემთხვევის გამო თუ გააღებდა.

დუქანში შემოსულ მუშტრებს მისი ერთ-ერთი ვაჟი ისტუმრებდა, თვითონ კი, როგორც ყოველთვის, დუქნის წინ სკამზე იყო ჩამომჯდარი და მყიდველს თუ ნაცნობებს ემასლაათებოდა.

ტანადი და ლოყებღაჟღაჟა მოხუცი იყო, თმა-წვერ-ულვაში თეთრად გადაპენტოდა, ჩახრინწული ხმით ლაპარაკობდა. აბდ-აღა კარგა ხანია მძიმედ ავადმყოფობდა. ხშირად, როცა გაცხარდებოდა და თავს ვეღარ იკავებდა, იმ წუთშივე მაგარი ხველება აუტყდებოდა, კისრის ძარღვები დაებერებოდა, სახე უწითლდებოდა, თვალებიდან ცრემლი სდიოდა და მკერდიდან ისეთი სტვენის, ხროტინისა და რაღაც სხვაგვარი უცნაური ხმები ამოსდიოდა, გეგონებოდათ ქარი ამოვარდაო. როგორც კი შეტევა გაუვლიდა, აბდ-აღა მაშინვე თავს მოერეოდა, ღრმად ამოიოხრებდა, შეწყვეტილ საუბარს უკვე დასუსტებული და ჩახლეჩილი ხმით განაგრძობდა.

ქალაქსა და მის შემოგარენ სოფლებში აბდ-აღას ენამახვილი, გულუხვი და მამაცი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი, ასეთივე იყო ვაჭრობაშიც, რის გამოც ხშირად წაუგია კიდეც. მისი ერთი გაბედული სიტყვა კმაროდა, რომ შავი ქლიავისა და სიმინდის ფასები აწეულ-დაწეულიყო. ამას ხშირად თავისი გამორჩენისთვის კი არ სჩადიოდა, უნდოდა რომელიმე სოფლელ ღატაკს დახმარებოდა, ან წუწურაქი ვაჭარი გულზე გაეხეთქა.

ბაზარზე მის სიტყვას ხალხი გულისყურით უსმენდა, თუმცა იცოდნენ, საქმეში ხანდახან აჩქარება სჩვეოდა და თავისებურად სჯიდა, როცა აბდ-აღა ბოლშაია ლუგიდან გადმოვიდოდა, დუქნის წინ ჩამოჯდებოდა, მარტოს იშვითაად დაინახავდით, ხალხს უყვარდა მასთან საუბარი და მისი გულის პასუხის გაგება. გულღია და ხალისიანი აბდ-აღა ყოველთვის ისეთ ამბებზე დავობდა და მსჯელობდა, რაზედაც სხვები პირში წყალს იგუბებდნენ.

თუმცა ქოშინი და ხველება ლაპარკს ხშირად აწყვეტინებდა, მაგრამ მის საუბარს დამაჯერებლობა მაინც არ აკლდა. პირიქით, ეს სუ-

ლისმოსათქმელი შესვენებები მის ნათქვამ სიტყვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და მსმენელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ.

აბდ-აღას ხუთი დაცოლშვილებული ვაჟიშვილი და ერთადერთი ნაბოლარა მონიფული გოგო ჰყავდა.

ფატა ძალიან ლამაზი იყო და ყველაფრით მამას ჩამოჰგავდა. მის გათხოვებაზე მთელი ქალაქი და ახლომახლო სოფლები იყვნენ დამზერილები.

ყოველთვის, ყველა თაობას ჰყავს რომელიმე ქალიშვილი გაღმერთებული, რომლის სილამაზე, მომხიბვლელობა და გონიერება ხალხში ლეგენდებად და სიმღერებად დადის.

იმხანად, მხოლოდ ის ერთია ყველას გულის რჩეული და მიუწვდომელი ოცნება, ვისი სახელიც ვაჟებს გულზე ცეცხლს უკიდებს, ქალები შურით ივსებიან, მისი შემხედვარე ვაჟკაცები კი აღტაცებას ვერა მალავენ. ეს არის ბუნების რჩეული ადამიანი, რომელიც თვითონ მასვე აჰყავს ძალზე სახიფათო მწვერვალზე.

აბდ-აღას ქალიშვილი მამას მარტო იერით კი არ ჩამოჰგავდა, მამასავით საღი გონებისა და მახვილი ენის პატრონიც იყო. ყველაზე მეტად ეს ჭაბუკებმა იცოდნენ, გაცვეთილი პირფერობითა და უტიფარი მასხრობით ქორწილებზე თუ უქმეებზე მის მოჯადოებასა და შეცბუნებას ლამობდნენ. ამიტომ იყო, რომ აბდ-აღას ფატას ასეთი სიმღერა გამოუთქვეს (სიმღერა ხომ თავისით იქმნება):

ლამაზო და სიბრძნით სავსე
მშვენიერო ფატა,
აბიდ-აღას ქალიშვილო,
ასე ვინ დაგხატა.

ასე მღეროდნენ ფატაზე ქალაქსა და მის შემოგარენში.

მხოლოდ ერთმა-ორმა გაუბედა მაჭანკლის მიგზავნა, მაგრამ, როცა ყველას სათითაოდ ცივი უარი სტკიცეს, ფატაც დაწუნებული სასიძოების განცვიფრების, შურისა და ღვარძლის მორევში მოჰყვა, სწორედ ისე, როგორც განსაკუთრებული ნიჭისა და გამორჩეული ბედის ადამიანებს ემართებათ ხოლმე.

ის, ვისზედაც სიმღერებს მღერიან და გაუთავებელი ლაპარაკის საგნად იქცევა, ადრე და მალე უქრება ბედის ვარსკვლავი, მასზე გამოთქმული ლექსები და ლეგენდები კი ხალხში ცოცხლობს.

ჩვენში არცთუ იშვიათია, როცა ულამაზესი და ჭკვიანი გოგოები შინაბერებად რჩებიან, სხვები კი, მათთან კოჭიც რომ არ მიუხტებათ, ქმრებს ერთი ხელის დაკვრით შოულობენ.

ფატას ბედის ჩარხი სულ სხვანაირად დატრიალდა: გამოჩნდა ისეთი მამაცი, ვინც მაჭანკლის მიგზავნა გაბედა, ჭაბუკმა საკმაო გონიერება და ჯიუტობა გამოიჩინა მიზნის მისაღწევად.

ვიშეგრადის ქვაბულში ბოლშაია-ლუგას საპირისპირო მხარეს სოფელი ნეზუკი მდებარეობდა.

ხიდის ზემოთ, ერთი საათის სავალზე, სწორედ იმ ფრიალო მწვანე კედელივით აღმართულ კლდეებთან, საიდანაც დრინა გადმოქუხს, ზედ წყლის პირას ნაყოფიერი მიწის ვიწრო ზოლია გადაჭიმული, რომელიც ბუტკოვოს კლდეებიდან მოვარდნილი გიჟმაჟი ნიაღვრების შლამითა და მდინარის ჩამოტანილი ნარიყით არის წარმოქმნილი.

აქაურობა მინდვრებითა და ბაღებით არის მოფენილი, ზემოთ კი, მთების კალთებზე აბიბინებული საძოვრებია გადაშლილი, საძოვრები ზევ-ზევით მიიწევს და ფრიალო კლდეებსა და ჩირგვნარებში იკარგება, მთელი ახალშენი ბეგ ხამზიჩების სამფლობელოა.

ხამზიჩებს ზედმეტ სახელად „ტურკოვიჩებიც“ შეარქვეს. ახალშენის ბოლოში იჯარადართა ხუთი-ექვსი სახლი იდგა, თავში კი ძმები ხიმზიჩების სახლი წამოჭიმულიყო, რომელსაც მუსტაი ბეგი თავკაცობდა. მყუდრო სოფელზე მთები ზედ იყო წამოფარებული და ჩრდილავდა, მაგრამ სამაგიეროდ, ქარებისაგან იცავდა.

სოფელში სახნავ-სათესზე მეტად ხილის ბაღები და საძოვრები ჭარბობდა.

ირგვლივ გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეს საბალახოდ გამოსული საქონლის ეჟვნების ჟღარუნი და მწყემსების შეძახილი თუ დაარღვევდა, შორს მთებში მრავალხმიან ექოს რომ გამოსცემდა.

ვიშეგრადიდან ახალშენისაკენ ერთადერთი გზა მიდიოდა და როცა ხიდს გასცდები, ხელმარჯვნივ მიმავალ გზას ჩამოიტოვებ, მდინარის ნაპირს გაჰყვები და ვიწრო მოკირწყლულ ბილიკზე გახვალ, ეს ბილიკი ხელმარცხნივ უხვევს და ზედ მდინარეს თავზე შიშველ კლდეებს მიჰყვება, ხიდიდან ბილიკზე ქვეითად მიმავალ მგზავრს ან მხედარს რომ დააკვირდე, გეგონება, მგზავრი კლდის ძირში, ზედ მდინარის პირას

ვიწრო ხარიხაზე გადისო და მდინარის მომწვანო ზედაპირზე ირეკლებაო.

ასეთი იყო ქალაქიდან ნუზუკში მიმავალი გზა, იმის იქით გზა აღარ გრძელდებოდა, რადგან არავინ ცხოვრობდა. მეჩხერი ტყით დაფარული ფლატის პირა სახლებთან თეთრად ანათებდა წყალდიდობისაგან დარჩენილი, ორი ღრმა ნაღვარევი, რომლებსაც მწყემსები გზად იყენებდნენ, როცა საქონელს მთებში მიერეკებოდნენ. აქ იდგა უფროსი ხამზიჩის, მუსტარ-ბეგის სახლი, სიდიდით ოსმანაღიჩების სახლს არ ჩამოუვარდებოდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ხამზიჩების სახლს დრინას დაბლობიან ნაპირზე ატეხილი ტყე ერთნაირად ფარავდა. სახლის წინ თერთმეტი აშოლტილი ვაშლის ხე იდგა. ამ ყრუ და განმარტოებულ კუთხეს ცოტაოდენ ეშხს ფოთლების შარიშური და რტოთა რონინი მატებდა. გვერდით მდგარი ორი უმცროსი ძმის სახლი შედარებით უფრო უბრალოდ გამოიყურებოდა და მომცროც იყო.

ხამზიჩებს ბავშვები ბლომადა ჰყავდათ, ყველა მათგანი გამხდარი, ფერმკრთალი, გულჩათხრობილი და კარჩაკეტილი იყო.

მუშაობაში ერთი პირი ჰქონდათ, თავიანთ ავლა-დიდებას მოვლა-პატრონობას არ აკლებდნენ და მისი ფასიც კარგად იცოდნენ. როგორც ბოლშაია-ლუგას შეძლებულ ოჯახებს, მათაც საკუთარი დუქანი ჰქონდათ ქალაქში და რასაც ნეზუკის მადლიანი მიწა იძლეოდა, ყველაფერს ბაზარზე ეზიდებოდნენ გასაყიდად.

წელიწადის რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ხამზიჩები თუ მათი მუშები დრინას სანაპიროს გაყოლებით კლდეზე დაკიდულ თოკივით წვრილ ბილიკზე ჭიანჭველებივით გადი-გამოდიოდნენ, როგორც კი ქალაქში საქონელს გაასაღებდნენ, სარტყელში ფულგამოკრულები, თავიანთ მთიან მყუდრო სოფელში გამორბოდნენ.

მუსტაი-ბეგის თეთრი სახლი კლდოვანი ბილიკის ბოლოს სწორედ მაშინ ნამოეჭიმებოდა ხოლმე მგზავრს, როგორც იშვიათი სანახაობა, როცა იფიქრებდა, სადღაც ჩიხში მოვემწყვდიეო. ამ სახლის პატრონს ოთხი ქალი და ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა, ვაჟს ნაილი ერქვა.

ნეზუკელმა ნაილ-ბეგმა, მუსტაი-ბეგის ერთადერთმა ვაჟიშვილმა, ფატას თვალი დაადგა. ერთხელ ვიღაცის ქორწილზე ყმაწვილი ცნობისმოყვარე ჭაბუკებთან ერთად მოღიავებულ ჭიშკართან იდგა და ფატას სილამაზით მოიხიბლა.

როცა ნაილ-ბეგმა ფატა მეორედ ნახა გოგონებში ჩამდგარი, კადნიერი ხუმრობა გაუბედა:

— ღმერთმა ქნას, ნეზუკელმა მუსტაი-ბეგმა რძლად დაგიგულოს!

ფატამ ჩუმად ჩაიცინა.

— რას იცინი? — გულფიცხად გამოსძახა ჭაბუკმა კარების ღრიჭოდან. — ეს სასწაული ოდესღაც ახდება.

— ნამდვილად ახდება. მხოლოდ მაშინ, როცა ბოლშაია-ლუგა თავისი ფეხით ავა ნეზუკში! ისევ ჩაიცინა ფატამ და ისეთი მედიდური სახე მიიღო, როგორც ასეთ ლამაზმანებსა და ამ ასაკის გოგონებს სჩვევიათ. ბუნებისაგან ასე გულუხვად მომადლებული ადამიანები ხშირად დაუფიქრებლად და გამომწვევად იწყებენ ბედთან თამაშს. რასაც ფატა იტყოდა ან მოიმოქმედებდა, მთელ ქალაქს უნდა სცოდნოდა. დღევანდელი მისი პასუხიც მილეთს მოსდეს და პირზე დაიკერეს.

ხამზიჩები ისეთები როდი გახლდნენ, რომ პირველივე დაბრკოლებაზე ფარ-ხმალი დაეყარათ, ასე ჰაიჰარად ისინი არაფერს აკეთებდნენ, მით უმეტეს, ისეთ ამბავს, როგორიც ცოლის თხოვა იყო, შორიდან მოვლა უნდოდა. როცა ქალაქელი ნათესავების შუამავლობამ ვერ გასჭრა, შვილის დაქორწინება მოხუცმა ხამზიჩმა ითავა.

მუსტაი-ბეგს აბდ-აღასთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა.

მკაცრმა და ამაყმა ხასიათმა აბდ-აღა ბოლო დროს გაკოტრებამდე მიიყვანა. მოხუცმა დიდი ზარალი იწვნია და იძულებული გახდა ვექსილები გაეცა, რომლებსაც საცაა ყავლი უნდა გასვლოდათ. როგორც საქმოსნების წესია, მუსტაი-ბეგმა ხელად, სულ უბრალოდ, ულაპარაკოდ გაუწოდა ხელი დაღუპვის კარზე მიმდგარ აბდ-აღას.

სანახევროდ ბნელ და ცივ დუქნებში, ფულადი და სავაჭრო საქმეების გარდა, ადამიანთა ბედ-იღბალიც წყდება ხოლმე.

რა მოხდა აბდ-აღა ოსმანიღიჩსა და ხამზიჩს შორის, როგორც გამოითხოვდა მუსტაი-ბეგმა ფატას ხელი ერთადერთი ვაჟიშვილისთვის და როგორ დაიყაბულა პატივმოყვარე და უკმეხი აბდ-აღა, ვერავინ გაიგო. არც ის იცის ვინმემ, რა მოხდა ბოლშაია-ლუგაში მოხუც მამასა და მზეთუნახავ ქალიშვილს შორის.

ცხადია, ფატა მამას უარს ვერ გაუბედავდა, ვინ იცის, ერთი გაცბუნებული და გაწამებული გამოხედვით ან იქნებ მისთვის ჩვეული ჯიუტი თავის გაქნევითაც გაუწია წინააღმდეგობა, მერე კი მდუმარედ და უდრტვინველად დამორჩილდა მამას, როგორც იცოდნენ ჩვენში წინათ და ახლაც.

ფატა თითქოს სიზმარშიაო, ისე შეუდგა მზითვის მომზადებას, შეესებასა და ჩალაგებას.

წინდახედულ ხამზიჩებს სიტყვაც არ დასცდენიათ მომავალ ქორწინებაზე, არ უნდოდათ კეთილად დაგვირგვინებულ საქმეზე მოცლილებს ეყბედათ.

ისინი სანადელს ეწივნენ და მეტი არც არაფერი უნდოდათ, არც მარცხის დროს უძებნიათ თანამგრძნობი და არც ახლა ეწადათ, მათი სიხარულის მონაწილე სხვა ვინმე ყოფილიყო.

მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ხალხი ამ ამბებზეც ბევრს ღაღანებდა, გაცხარებით მსჯელობდა და ყველა წვრილმანს საგულდაგულოდ სწონიდა. ქალაქსა და მის შემოგარენში, მხოლოდ იმაზე ბჭობდნენ, როგორ მიაღწიეს სანადელს ხამზიჩებმა, როგორ მოთოკეს და დაიმორჩილეს აბდ-აღას ჭკვიანი და გულამაყი ქალიშვილი, ვისთვისაც მთელ ბოსნიაშიც ვერ მოეძებნათ ტოლფერი საქმრო. უკვირდათ, „ბოლშაია-ლუგა" რომ ავიდა „ნეზუკში" თავისი ფეხით, თუმცა ფატამ ყველას გასაგონად თქვა, ეს არამც და არამც არ მოხდებაო.

ადამიანებს ხომ ძალიან ახარებთ განდიდებულთა დამხობა და დამცირება.

ხალხი მთელი თვე მიეთმოეთობდა ფატას ქორწინებაზე და მის მომავალ დამცირებაზე ყბედობით წინასწარ ტკბებოდა.

ორივე სოფელი საქორწილოდ მთელი თვე ემზადებოდა.

ამ ხნის მანძილზე ფატა მეზობლების, ნათესავებისა და მოსამსახურეების დახმარებით მზითევს იმზადებდა და გამგზავრების თადარიგს იჭერდა. გოგონები მღეროდნენ, ფატაც მღეროდა, ყურს უგდებდა საკუთარ ხმას და თავის საფიქრალს ფიქრობდა. ნემსის ყოველ ამოგებაზე უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ვერც თვითონ და ვერც მისი ხელსაქმე ნეზუკს ვერასოდეს იხილავდა. ეს ფიქრი თავიდან არ შორდებოდა და სულ ერთთავად ამას ჩასჩიჩინებდა საკუთარ თავს.

ხელსაქმესა და სიმღერაში გართულს ეჩვენებოდა, რომ აქედან ნეზუკამდე, შორზე შორი მანძილი იყო და ერთი თვე კარგა დიდ დროდ მიაჩნდა. ღამითაც რაღაც გადაუდებელ საქმეს მოიმიზეზებდა და ოთახში განმარტოვდებოდა და მის წინაშე მდიდრული სიამითა და ბედნიერებით აღვსილ თვალუწვდენელ სამყაროს ცქერაში ათენებდა.

ბოლშაია-ლუგაში თბილი, სასიამოვნო ღამეები იცის.

ვარსკვლავები თითქოს დედამიწას უახლოვდებიანო, მოუსვენრად ციმციმებენ და თეთრი უცნაური ფერითა ბრწყინავენ.

ფატა ფანჯარასთან იდგა და ცქერით ტკბებოდა. ძარღვებში სასიამოვნო მოთენთილობა უვლიდა. სხეულის ცალკეულ ნაწილს, ფეხები

იყო, თეძოები, ხელები თუ კისერი განსაკუთრებით კი გულმკერდს, როგორც ძალისა და სიხარულის მომნიჭებელ წყაროებს — ცალ-ცალკე შეიგრძნობდა.

სავსე და მაღალი მკერდით ფანჯრის ხის ალათას დაყრდნობოდა. ეჩვენებოდა, რომ, ეს ბორცვი თავის სახლებით, ჯეჯილებითა და ბაღებით ღრმად და თანაბრად სუნთქავდა და უღრუბლო ცასა და ღამის უსასრულობასთან ერთად ადიოდ-ჩამოდიოდა.

ყოველ ამოსუნთქვაზე ხის ალათა დაბლა იწევდა, მერე ისევ მაღლა ადიოდა, ფატას მკერდს ეხებოდა, კვლავ შორდებოდა, ისევ მობრუნდებოდა, კვლავ მკერდზე მიესალბუნებოდა და ასე გრძელდებოდა განუწყვეტლივ.

— დიახ, ქვეყანა დიდია, დღისითაც ასე გვეჩვენება, როცა ვიშეგრადის დაბლობს სიცხე-პაპანაქება ხრუკავს, მწვანე მდინარის ნაპირზე თეთრად გამოკრთის ხიდისა და შავი მთების არშიით შემოქობილი ქალაქი, როცა თითქოს იმასაც კი შევიგრძნობთ, როგორ იზრდება ნიავისაგან დარხეული ჯეჯილი.

მაგრამ ღამით, მხოლოდ ღამით, როცა ცა გამოცოცხლდება და ამოძრავდება, თვალწინ გადაგეშლება სამყაროს უსაზღვროება და ყოვლისშემძლეობა, რომლის წინაშეც ადამიანი უძლურია და არ უწყის, საით ისწრაფვის, რა სწადია და რა უნდა მოიმოქმედოს. ნამდვილი, ნათელი და მარადიული ცხოვრება მხოლოდ მაშინ იღვიძებს. იქ არც სიტყვებია, მთელი სიცოცხლე მძიმე უღლად რომ დაგანაწევება, არც დაპირებაა, რომელმაც შეიძლება სიცოცხლე მოგისწრაფოს და არც მძიმე გამოუვალი მდგომარეობა.

თუმცაღა ფრთამალი და უმოწყალო ბედი ადამიანებს სიკვდილისა და სირცხვილის გარდა სხვა გზას არ უტოვებს, მაგრამ მას არ შესწევს ძალა, რომ სამყაროზე იბატონოს. დიახ, აქ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ცხოვრებაშია, სადაც სიტყვის გატეხა არ შეგიძლია და დაპირებასაც ვერსად გაექცევი.

აქ თავისუფლების უსასრულო, უსახელო და იდუმალი სამყარო იშლება...

უეცრად, სადღაც ქვემოდან, თითქოს შორიდან ისმისო, ყრუ და მძიმე ხროტინის ხმა ამოვარდა.

ეს აბდ-აღა გახლდათ, შუაღამისას ატეხილ ხველებას ებრძოდა. ფატა არათუ იცნობს ამ ხმას, თვალნათლივ ხედავს ლოგინზე წამომჯ-

დარ ხველებისაგან გატანჯულ მამას, თუთუნს რომ ექაჩება და ძილს ვერ ახერხებს.

ფატას მოეჩვენა, რომ მამის ნაცნობი, ყავისფერი დიდი თვალები შესცქერიან, ასე საოცრად რომ ჰგვანან მის თვალებს, ეს კია, რომ მამას ერთთავად თვალები ეცრემლება და მუდამ დამცინავი ღიმილი უკრთის.

იმ დღეს, როცა მამამ გამოუცხადა ხამზიჩთან დაგწინდეთ, ერთ თვეში უნდა მოემზადოო, მამის თვალებში საკუთარი ბედის უმწეობა ამოიკითხა.

— აჰ, აჰ, აჰ!

ღამის სილამაზე და სამყაროს სიდიადე დიდი ხნით როდი იმორჩილებს ადამიანის შთაგონებას, დედამიწას სუნთქვა უჩერდება, ფატას სული ეხუთება.

სამყაროს უსასრულო სივრცეში ვარსკვლავები ქრებიან. ბედი, მისი მკაცრი ბედი კი ისევ ზღურბლზე მომდგარა, ირგვლივ გამეფებულ სიწყნარეში, სიცარიელესა და გახევებულ სამყაროში ფეხაკრეფით მოიპარება.

ოთახიდან ყრუ ხველა მოისმის, დიახ, ესმის და ხედავს, თითქოს მამა მის წინაშე იდგეს. ეს მისი ძლიერი და საყვარელი მამაა, ვისაც ბავშვობიდანვე შეესისხლხორცა და შეეზარდა.

მახრჩობელა ხველამ მამის ჯანმრთელობა შეარყია და ფატას გულსაც გაჰკრა.

მართალია, სწორედ მამამ თქვა „ჰო“, როცა თვითონ უარით უპასუხა, მაინც ყველაფერზე თანახმაა, მამის „ჰოცა“ და ფატას „არაც“ ორივე ფატას პასუხია.

განკითხვის ჟამი ახლოვდება, საცაა კარზეც მოუკაკუნებს, მაგრამ ფატა გამოსავალს ვერ პოულობს, რადგან ხსნა არსაით არის, ერთი რამ კი მტკიცედ სჯერა: ეს მამისეული „ჰო“ მისთვის ისევე სავალდებულოა, როგორც საკუთარი „არა“.

მამის თანხმობა ავალებს მუსტაი-ბეგის შვილთან ერთად წარდგეს ყადის* წინაშე, რადგან იმის გაფიქრებაც კი არ შეიძლება, რომ აბდალა-ოსმანიღიჩმა სიტყვა გატეხოს. მაგრამ ასევე მტკიცედ სჯერა, რომ ფატა თავისი ფეხით ნეზუკში არ ჩავა, რადგან, მაშინ თავისი სიტყვის

* ყადი — მაჰმადიანების სასულიერო მოსამართლე, რომელიც ქორწინებას აუცილებლად ესწრება.

გამტეხი გახდება. ესეც შეუძლებელია, — ესეც ოსმანაღიჩების სიტყვის გატეხვა გამოვა.

აქ, ამ მკვდარ შუალედში, თავის „უარსა“ და მამის „ჰოს“ შუა, თავის სოფელსა და ნეზუკს შორის უნდა ეძებოს გამოსავალი; ეს აზრი მთელ მის გონებას იპყრობდა, მისი ფიქრები აღარ დაჰფოფინებდა უსაზღვრო და ზღაპრულ სამყაროში.

ახლა ეს ფიქრები იმ მოკლე და სევდიან გზას დასტრიალებდა, სასამართლოდან (სადაც ყადის ჯვარი უნდა დაეწერა) ხიდის ბოლომდე რომ მიიყვანდა. აქედან კლდოვან ციცაბოზე წვრილი ბილიკი იწყება, ფატამ იცის, ცოცხალი თავით ბილიკზე ფეხს არ შედგამს, მისი გონება, როგორც მაქო საქსოვ ჯარას, სულერთთავად გზის ამ მონაკვეთს დასტრიალებდა.

ჯერ სასამართლო შენობას, მერე მოედანს გაუვლიდა, ხიდის ბოლომდე მივიდოდა... აქ კი... თითქოს ფიქრები გაუვალ კედელს წააწყდაო, ისევ თავიდან იწყებდა ფიქრს — ჯერ ხიდი, მერე მოედანი, ბაზარი — სასამართლოს შენობა, მერე ისევ თავიდან იწყებდა... ასე ეხვეოდა მისი ბედისწერის ძაფი.

ფატას ფიქრები, ამაოდ რომ ეძებდა გამოსავალს, წამდაუწუმ კაპიის ღია ქვისგან გამოთლილ ლამაზ დივანს დასტრიალებდა თავს და უფსკრულის წინ ირინდებოდა, სადაც თავშეყრილი ხალხი მღეროდა და მასლაათობდა, რომლის ქვეშ მწვანე მდინარის სწრაფი და ღრმა ტალღები ბობოქრობდა.

ფატას შეშფოთებული ფიქრები უკვე ტოვებდა კაპიას, თითქოს უკან წყევლა-კრულვა მისდევსო, აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ სხვა გამოსავალს მაინც ვეღარ პოულობდა და ისევ კაპიას უბრუნდებოდა. და ყოველ ღამე უფრო და უფრო მეტად ფიქრობდა კაპიაზე.

იმის შეგრძნება, რომ დადგება ის დღეც, როცა ოცნებით კი არა, ცხადლივ გაივლიდა ამ გზას, მანამდე კი, ვიდრე ხიდს გაივლიდა და გადაწყვეტილებას მიიღებდა, სიკვდილისა და შერცხვენილი სიცოცხლის შიში ზარავდა.

ასეთ სუსტსა და მარტოსულს ეჩვენებოდა, იქნებ, ამ საშინელმა ფიქრებმა მოსპოს ან გაახანგრძლივოს ამ დღის მოახლოებაო.

დრო კი თავისი წესით და რიგით მიდიოდა, არცა ჩქარობდა, არც ნელიაობდა, მძიმედ და უმოწყალოდ ახლოვდებოდა, დაბოლოს, ქორწილის დღეც, დადგა.

აგვისტოს ბოლო ხუთშაბათს (ეს იყო გადამწყვეტი დღე) ქალის წასაყვანად ბოლშაია-ლუგაში, ხამზიჩებმა ცხენები მოაგელვეს. ქალს ახალი მძიმე ფერეჯა ჩამოაფარეს, ცხენზე შესვეს და ნეზუკის გზას გაუყენეს.

ეზოში მზითვის სკივრებით აკიდებული ცხენები იდგნენ. სასამართლოს შენობაში, ქორწინების წესი აღასრულეს, შესრულდა აბდ-აღას სიტყვა, — მუსტაი-ბეგის შვილს ჩემს ქალიშვილს მივათხოვებო. ამის შემდეგ ცხენოსნები ნეზუკისკენ მიმავალ გზაზე დაწალიკდნენ, სადაც ქორწილისთვის ყველაფერი მზად იყო.

აი, უკან დარჩა ბაზარი და მოედანი, — იმ საბედისწერო გზის ერთი მონაკვეთი, სადაც ასე ხშირად დაბორიალებდა ფატას ფიქრები. გოგონას თავი მხნედ და ლაღად ეჭირა, უფრო მშვიდად იყო, ვიდრე იმ ღამეებში, როცა გეგმებს აწყობდა.

ფატას უკვე აღარც უსაზღვრო ვარსკვლავები აფორიაქებდა, არც მამის ყრუ ხველა, არც დროის სრბოლისა და შეჩერების სურვილი.

როცა მაყრიონი ხიდზე შედგა, ფატას ისევ მოეძალა ის განცდები, რასაც ზაფხულის ღამეში ფანჯარასთან მდგომი განიცდიდა. განსაკუთრებით კი გულმა იგრძნო, რომელიც საქორწინო კაბას ისე შეებოჭა, გეგონებოდათ ჯავშანში ჩაუსვამთო.

— აი, კაპიაც.

დიდი ხნის წინათ უძილო ღამეებში მიღებული გადაწყვეტილების აღსასრულებლად, ქალიშვილი უნაგირიდან გადაიხარა და გვერდზე მიმავალ უმცროს ძმას წასჩურჩულა, ვიდრე ხიდიდან ნეზუკის ციცაბო ბილიკზე გავალთ, ცხენს გარსაკრავები მოუჭირეო. ისინი შეჩერდნენ, საქორწინო მაყრიონმაც ცხენები შეაჩერა, გასაკვირი არაფერი იყო, პირველად და უკანასკნელად არ უხდებოდათ მექორწილეთ კაპიაზე შეჩერება.

ვიდრე ძმამ თავის ცხენს აღვირი კისერზე სწრაფად გადაუგდო და შემოუარა, ქალიშვილმა ცხენი ხიდის კიდესთან მიაგდო, მარჯვენა ფეხი ქვის მოაჯირს დაჰკრა, უნაგირიდან ჩიტივით მსუბუქად წამოფრინდა და პირდაპირ აქაფებულ მდინარეში გადაეშვა.

მაშინავე მივარდა ძმა და მოაჯირს გადაეჭდო, ქარისაგან აფრიალებულ ფერეჯს ხელი წაატანა, მაგრამ ისიც ხელიდან გაუფრინდა.

მექორწილენი ცხენებიდან წივილ-კივილით ჩამოქვეითდნენ და მოაჯირზე გადაყუდებულები ერთ ადგილზე გაქვავდნენ.

საღამოს ამ დროისთვის უჩვეულო ცივი და დიდი წვიმა მოვიდა. დრინა ადიდდა და აიმღვრა.

მეორე დღეს დრინას მოყვითალო ტალღებმა ფატა კალატის მეჩეჩზე გამორიყა, გვამი მეთევზემ შეამჩნია და ყარაულის უფროსს შეატყობინა.

უფროსი იმ წუთშივე მოვიდა, თან მუქთარი მეთევზე და სალკო ჩორკანი მოიყვანა, ვის გარეშეც არაფერი ხდებოდა იმ არემარეში.

გვამი, რბილ სველ ქვიშაზე ესვენა, მღვრიე ტალღები ხან გარშემო უვლიდნენ, ხან ზედ გადადიოდნენ.

ფატას საქორწინო სამოსელი განძარცვოდა.

წყალს დაეხია და თავიდან გადაეძრო ახალი, შავი ფერეჯა, რომელიც გრძელ ნაწნავებთან ერთად, მისი თეთრი და მოქნილი სხეულის გვერდით შლამზე შავი ლაქასავით მოჩანდა.

შუბლშეჭმუხნილი, კრიჭაშეკრული ჩორკანი და მეთევზე მეჩეჩზე ჩავიდნენ.

შიშველი სხეული სველი ქვიშიდან ამოთხარეს, რომელიც უკვე ჩაძირვას იწყებდა, ცოცხალივით ფრთხილად გამოიტანეს ნაპირზე და უმალ შლამიანი ფერეჯა გადაახურეს.

უბედური, იმავე დღეს ბოლშოი-ლუგის ფერდობზე, უახლოეს თურქულ სასაფლაოზე დაკრძალეს.

საღამოთი დუქანში მეთევზესა და ჩორკანს საძაგელი, ავადმყოფური ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი უსაქმურები შემოუსხდნენ, ის ხალხი, ვინც ფუჭ, უშინაარსო ცხოვრებას ეწევა და სილამაზის, აღმაფრენისა და ძლიერი განცდების მიღმა ცხოვრობს.

მეთევზესა და ჩორკანს არაყითა და თუთუნით უმასპინძლდებოდნენ, იქნებ როგორმე რამე დავაცდევინოთო, მაგრამ ამაოდ.

არაყმაც ვერ ამოადგმევინათ ენა.

ჩორკანი საერთოდ არაფერს ამბობდა, განუწყვეტლივ პაპიროსს ქაჩავდა და ერთადერთი მოელვარე თვალით პირიდან გამოშვებულ ბოლს მისჩერებოდა.

დროდადრო მეთევზე და ჩორკანი ერთმანეთს შეხედავდნენ, ჭიქას ასწევდნენ, თითქოს მიცვალებულის შესანდობარს ამბობენო და მდუმარედ გადაკრავდნენ.

ასე გათამაშდა უჩვეულო და დაუვიწყარი უბედურება კაპიაზე. „ბოლშაია-ლუგა არ ჩავიდა ნეზუკში“ და აბდ-აღას ქალიშვილი ფატი ხამზიჩის ცოლი არ გახდა.

აბდ-აღა ოსმანაღიჩი ქალაქში აღარ გამოჩენილა. იმავე ზამთარს ხველამ წირვა ისე გამოუყვანა, კაციშვილთან სიტყვა არ დაუძრავს იმ გამოუნელებელ ვარამზე, რამაც საფლავში ჩაიყვანა.

მომდევნო გაზაფხულზე ხამზიჩმა ვაჟიშვილი ბრანკოვიჩელ გოგონაზე დააქორწინა.

ამ ამბავზე ქალაქელები ერთხანს კიდევ ლათაიობდნენ, მერე კი მიივიწყეს.

მხოლოდ სიმღერაღა შემორჩა იმ ქალიშვილზე, რომელსაც ჭკუითა და სილამაზით ბადალი არ ჰყავდა, თუმცა ვერც ერთმა და ვერც მეორემ გაჭირვების ჟამს ვერ უშველა.

თავი მეცხრე

ყარაჩ-გიორგის აჯანყებიდან სამოცდაათი წელი იყო გასული, როცა სერბიაში ომი დაიწყო. ომს სასაზღვრო რაიონები მაშინვე აჯანყებებით გამოეხმაურა*. მთიან სოფლებში: ულებეში, გოსტილაში, ცირნ-ჩიჩასა და ველეტოვოში, ისევ აბრიალდა თურქთა და სერბთა სახლები. მრავალი წლის შესვენების შემდეგ თურქებმა ისევ დაიწყეს კაპიაზე სერბთა მოკვეთილი თავების გამოკიდება, ისევ ისეთივე ჩვეულებრივ მოკლედ თმაშეკრეჭილი, ბრტყელკეფა, გაძვალტყავებული სახის გრძელულვაშა გლეხური თავები იყო, ზუსტად ისეთი, როგორც სამოცდაათი წლის წინათ. ეს ამბავი დიდხანს არ გაგრძელებულა.

როგორც კი თურქეთსა და სერბიას შორის ომი შეწყდა, მაშინვე საზღვარზე სიმშვიდე დამყარდა. თუმცა ეს მოჩვენებითი სიმშვიდე იყო, რომლის მიღმაც შიში იმალებოდა, ყველგან მღელვარე სიტყვებს ფრთხილად ჩურჩულებდნენ.

უფრო თამამად და აშკარად დაიწყეს ლაპარაკი ბოსნიაში ავსტრიის ჯარის შემოსვლაზე.

1878 წ. ზაფხულის დამდეგს სარაევოდან პრიბოიში მიმავალმა თურქეთის მუდმივმა ჯარებმა ვიშეგრადზე გაიარეს. ვარაუდობდნენ, რომ სულთანი ბოსნიას უომრად დასთმობდა.

რამდენიმე ოჯახმა სანჯაკში გადასახლება გადაწყიტა; მათ შორის ის ოჯახებიც ერია, სერბიელთა ბატონობა რომ არ ისურვეს და ამ ცამეტი წლის წინათ უჟიცედან აქ გადმობარგდნენ. ქრისტიანთა მოახლოებული მბრძანებლობის შიშით, ახლა აქედანაც გარბოდნენ. ხალხის უმრავლესობა იქვე რჩებოდა, ახალ ამბებს ელოდა და მტანჯველ მღელვარებას მოჩვენებითი გულგრილობით ფარავდა.

ივლისის დასაწყისში ქალაქში პლევლიელი მუფტი** ჩამოვიდა, მცირე ამალა ახლდა, მაგრამ თავგადაკლული იყო, როგორმე სერბიელები ავსტრიელთა წინააღმდეგ დაერაზმა.

ეს მედიდური, ქერათმიანი კაცი, მეომრისა რომ არა ეცხო რა, საოცარი სიფიცხით გამოირჩეოდა. ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მუფტმა კაპიაზე გამოჩენილი ვიშეგრადელი თურქები იხმო, რათა ავსტრიელთა წინააღმდეგ შეეგულიანებინა.

---

* ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში სერბთა აჯანყებამ იფეთქა 1875 წელს.

** მუფტი — სასულიერო პირი.

მუფტი ირწმუნებოდა, მუდმივი ჯარის მრავალრიცხოვანმა რაზმებმა აქ დარჩენის ბრძანება მიიღესო, რათა ხალხთან ერთად წინააღმდეგობა გავუწიოთო დამპყრობლებს, ახალგაზრდობას მოუწოდებდა, დაუყოვნებლივ შეერთებოდა ჯარს და არწმუნებდა, სურსათს სარაევოში გამოვგზავნითო.

მუფტიმ ადრევე იცოდა, რომ უშიშარი მეომრის სახელი ვიშეგრადელებს არასდროს ჰქონიათ, მათ უგუნურ სიკვდილს უგუნური სიცოცხლე ერჩიათ, მაგრამ მაინც ვიშეგრადელები მის სიტყვას, ისეთი თავშეკავებით და ისე გულგრილად შეხვდნენ, რომ მუფტის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

მუფტის ქალაქში მეტხანს დარჩენა აღარ შეეძლო, ამიტომ ვიშეგრადელ თურქებს სახალხო სამსჯავროთი და ღვთის რისხვით დაემუქრა და თანაშემწე — ოსმან-ეფენდი კარამანლის დაავალა ვიშეგრადელები დაერწმუნებინა საერთო საქმეში მონაწილეობა მიეღოთ.

მუფტის ყველაზე მეტად ალი-ხოჯა ედგა კრიჭაში. მისი ოჯახი ქალაქის ყველაზე უძველეს და დიდებულ გვარს ეკუთვნოდა. ისინი დიდი სიმდიდრით ვერასოდეს დაიკვეხნიდნენ, სამაგიეროდ, ნამუსითა და გულალალობით იყვნენ განთქმულნი. ყველანი უდრეკი, მამაცი, მოუსყიდავი ადამიანები იყვნენ. პირფერობა, მდაბალი სურვილები და ანგარება მათთვის უცხო იყო.

ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, მათი ოჯახის თავკაცებს ყოველთვის ეკავათ მეჰმედ-ფაშას ვაკუფის დამცველისა და მმართველის თანამდებობა და ხიდის ყურში მდგარი, ცნობილი ქვის სასტუმროს მოვლა-პატრონობა ევალებოდათ.

ჩვენ ვიცით, როგორ უკუღმა დატრიალდა ისტორიის ჩარხი, ქვის სასტუმრომ საარსებო სახსრები დაკარგა და ბედმა ნანგრევებად აქცია, ისე, რომ ვეზირის წმინდა ნაბოძვარიდან მხოლოდ ხიდიღა შემორჩა ხალხს, რასაც შემოსავალი, მართალია, არ შემოჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ, არც განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას საჭიროებდა. ალი-ხოჯას საგვარეულოს კი, ძველი სახელოვანი თანამდებობის სახსოვრად, მათ წინაპრებს უხსოვარი დროიდან ღირსეულად რომ ეკავათ, მხოლოდ გვარიღა შემორჩათ.

როცა დაუდ-ხოჯა ქვის სასტუმროს მოვლა-პატრონობაში დამარცხდა, ამ თანამდებობამაც თქვენი ჭირი წაიღო, მაგრამ გვარს შემორჩა პატივი და მასთან ერთად მტკიცე რწმენაც, რომ ხიდზე ზრუნვა მხოლოდ მათ ევალებოდათ და მის ბედზე პასუხიც უნდა ეგოთ. ხიდი

ხომ იმ დიდშემოსავლიანი, ახლა უკვე დაცემული და უკვალოდ გამქრალი ვაკუფის წილი იყო, რომელიც ოდესღაც მათი მმართველობისა და ზრუნვის ქვეშ იმყოფებოდა.

მათ გვარეულობაში, ძველთაგანვე ადათად ჰქონდათ — ყოველი თაობის, თუნდაც ერთ წარმომადგენელს სკოლა დაემთავრებინა და მოლა გამხდარიყო, ამ თაობაში მოლად ალი-ხოჯა აღზარდეს. მერე მათი გვარეულობა გაღარიბდა და ძველებურად ხალხმრავალი ოჯახები აღარა ჰქონდათ. მხოლოდ რამდენიმე მსახური და ბაზარში ხიდის გვერდზე მდებარე მამაპაპისეული დუქანიღა შემორჩათ.

ალი-ხოჯას ორი ძმა ომში დაიღუპა — ერთი რუსეთში, მეორე კი — ჩერნიგორიაში.

ალი-ხოჯა, მკვირცხლი და ჯერ კიდევ ჯეელი, ღონიერი მამაკაცი იყო. როგორც ამ გვარიშვილს შეჰფეროდა, ყველა სადავო საკითხზე თავისი შეხედულება ჰქონდა, თავგამოდებით იცავდა თავის აზრს და ბოლომდე მისი ერთგული რჩებოდა.

გულღიაობისა და საღი აზროვნების წყალობით იქაურ უხუცესებსა და სასულიერო პირებთან მუდამ შეხლა-შემოხლა ჰქონდა. ხოჯად კი იწოდებოდა, მაგრამ არავითარი თანამდებობა და არც რაიმე შემოსავალი არ გააჩნდა.

საკუთარი დამოუკიდებლობა რომ შეენარჩუნებინა, ალი-ხოჯა მამისეულ დუქანში ვაჭრობდა.

როგორც ვიშეგრადელ მუსულმანთა უმრავლესობა, ალი-ხოჯაც შეიარაღებული ნინააღმდეგობის მომხრე არ იყო. ალი-ხოჯას პირმოთნეობასა და მით უმეტეს, სარწმუნოებისადმი გულგრილობაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლებოდა. მართალია, ისე როგორც მუფტასა და მის მომხრეებს, ხალხს აჯანყებისაკენ რომ მოუწოდებდნენ, ალი-ხოჯასაც ეჯავრებოდა მუსულმანებს დაჯახებული ქრისტიანული ძალა და ყველაფერი, რაც ამას უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ, რაკი ხედავდა, რომ სულთანი შვაბებს ნამდვილად აძლევდა ბოსნიას, თანაც კარგად იცნობდა რა თავის თანამემამულეებს, ალი-ხოჯა ალალბედზე წინააღმდეგობის გაწევის მომხრე არ იყო, რადგან თავიდანვე იცოდა ბოლო კეთილი არ ექნებოდა და ყველაფერი მარცხით დამთავრდებოდა.

თავის ღრმა რწმენას ალი-ხოჯა გაბედულად გამოთქვამდა და თავგამოდებით იცავდა. შეკითხვებით მუფტის ჩიხში ამწყვდევდა და გონებამახვილი შენიშვნებით აღიზიანებდა.

ასე თავისდაუნებურად უჭერდა ალი-ხოჯა მხარს ქალაქელებს და მუფტის საომარი შემართებისადმი ვიშეგრადელების მხარდაჭერას ანელებდა, ვისაც უამისოდაც არ ეწადა ბრძოლა და მსხვერპლის გაღება.

როცა მუფტი ვიშეგრადიდან წავიდა და ქალაქელებთან მოსალაპარაკებლად ოსმან-ეფენდი კარამანლი დაუტოვა, ალი-ხოჯამ ახლა მას შეუტია. რამდენიმე ბეგმა და აღამ, გულის სიღრმეში ალი-ხოჯას რომ ეთანხმებოდნენ, ისე კი ორჭოფულად და ფრთხილად გამოთქვამდნენ ნაფიქრს, გულმართალი და ფიცხი ხოჯა კარამანლისთან საპაექროდ წააქეზეს.

საღამოს წარჩინებული თურქები კაპიაზე შეგროვდნენ და უფროს — უმცროსობის მიხედვით ფეხმოკეცილები გარშემო ჩამორიგდნენ. მათ შორის მაღალი, ფერმკრთალი და ხმელ-ხმელი ოსმან-ეფენდიც ერია. სახე ძალზე დაძაბული ჰქონდა, თვალები აგზნებულად უბრწყინავდა, შუბლსა და ღაწვებს ნაოჭები უღარავდა. გვერდით მთლად წამონითლებული, ჩაფსკვნილი და წარმოსადეგი ალი-ხოჯა ამოსდგომოდა და შეკითხვებს შეკითხვებზე აყრიდა.

— რა ძალები გვყავს?

— და გაგზავნიან?

— რა საშუალებები და რა მიზანი გაქვს?

— რა მოხდება თუ დავმარცხდებით? — მჟღერი ხმით ეკითხებოდა ალი-ხოჯა.

ალი-ხოჯას ჯიუტი, ღვარძლიანი შეკითხვები მხოლოდ ნიღაბი იყო იმ შეშფოთების გამო, ქრისტიანთა უცილობელი ძლიერებისა და თურქთა აშკარა სისუსტე და უძლურება რომ იწვევდა. მაგრამ აღელვებულ და დაღვრემილ ოსმან-ეფენდის ალი-ხოჯას მოსაზრების სწორად გაგებისა და შეფასების უნარი არ გააჩნდა.

ოსმან-ეფენდი ძლიერი, მოუთოკავი, მეტად ფიცხი ფანატიკოსი იყო, ჩქარა კარგავდა თავდაჭერის უნარს და ისე შეუბრალებლად ესხმოდა ყველას თავს, ვინც კი მერყეობასა და გაუბედაობას გამოიჩენდა, თითქოს საქმე შვაბთანა აქვსო.

ალი-ხოჯა ისე აღიზიანებდა, რომ ოსმან-ეფენდი რისხვას ძლივს იოკებდა, ზოგადი ფრაზებითა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად აძლევდა პასუხს. სადაც საჭიროა, იქ უნდა წავიდეთ და იმით უნდა ვიომოთ, რაც ხელთა გვაქვსო. მთავარია, დუშმანი უომრად არ მოვუშვათ, ის კი, ვინც ბევრ შეკითხვას იძლევა, საქმეს ჩიხში ამწყვდევს და მტერს ეხმარე-

ბაო. ბოლოს მთლად დაკარგა მოთმინება და ხოჯას შეკითხვებს ისე პასუხობდა, რომ სიძულვილს ვერ ფარავდა. „დიახ, დადგა ჟამი დაღუპვისა“, „თავს ნუ დავიზოგავთ“, „ყველანი ერთად უნდა გაეწყდეთ“.

— ოჰო! — სიტყვა გააწყვეტინა ხოჯამ, — მე კი მეგონა ბოსნიიდან შვაბების გარეკვა გინდოდათ და იმისათვის გვრაზმავდით, თუ ყველას სიკვდილი გველის, ამას, ეფენდი, უშენოდაც მოვახერხებთ, სიკვდილზე უფრო ადვილი არაფერია!

— შენ კი ნამდვილად არა გწადია სიკვდილი, — უხეშად უპასუხა კარამანლიმ.

— გეტყობა, ამას ესწრაფვი, — გესლიანად უპასუხა ხოჯამ, — მხოლოდ ერთი ვერ გამიგია, სხვებს რაღად აქეზებ ამ უღირსი საქმის ჩასადენად.

ლაპარაკი ჩხუბში გადაიზარდა. ოსმან-ეფენდიმ ალი-ხოჯას ვლახი და მოღალატე უწოდა, შენი თავიც მოღალატეთა თავების გვერდით კაპიაზე უნდა ყოფილიყო გამოკიდებულიო. ხოჯა კი უშიშრად ისევ თავისას გაიძახოდა და ისე ჯიუტად მოჰყავდა მიზეზები და მტკიცებები, თითქოს მუქარა და შეურაცხმყოფელი სიტყვები არც კი ეყურებაო.

ძნელად თუ სადმე მოიძებნებოდა ერთმანეთისაგან აგრე განსხვავებული ადამიანები და უიღბლო პარლამენტარები, ისინი მხოლოდ ხელს უწყობდნენ საერთო არეულ-დარეულობას და ახალი შეხლა-შემოხლის შესაძლებლობას ქმნიდნენ. ეს ძალზე სავალალო ამბავი იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერსად გაექცეოდი.

დიდ საზოგადოებრივ ძვრათა და გარდუვალი ცვლილებების დროს ცხოვრების ზედაპირზე სრულიად შემთხვევითი ადამიანები ნამოტივტივდებიან ხოლმე, ვინც ხშირად თავისი ჩლუნგი გონებითა და უხეირობის წყალობით საქმეს გაკეთების ნაცვლად აფუჭებს და ხალხი მცდარი გზით მიჰყავს. ეს გარდამავალი დროის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

ბეგებსა და აღებს ასეთი უნაყოფო კინკლაობა ხელს აძლევდათ, რადგან აჯანყებაში მონაწილეობა ჯერჯერობით ვერ გადაეწყვიტათ. თავად პირდაპირ თქმას კი ერიდებოდნენ.

განრისხებულმა ოსმან-ეფენდიმ ბევრი იბობოქრა, დილით კი, თავის ხალხთან ერთად სარაევოსაკენ მუფტის კვალს გაჰყვა.

ის მითქმა-მოთქმა, რაც მთელი თვის მანძილზე ქალაქამდე აღწევდა, განამტკიცებდა ბეგების სურვილს, გაფრთხილებოდნენ სახლებსა და ქონებას და გადამწყვეტი პასუხისათვის თავი აერიდებინათ.

აგვისტოს შუა რიცხვებში ავსტრიელები სარაევოში შევიდნენ. გლასინცასთან გამართული ბრძოლა მარცხით დამთავრდა, ამან საბოლოოდ ბოლო მოუღო წინააღმდეგობას.

ლისეკიდან ოკოლიშჩაში მომავალ ციცაბო გზაზე, ქალაქში თურქების დამარცხებული რაზმები მობობღავდნენ. მათ შორის მუდმივი ჯარის მებრძოლებიც ერივნენ, ნაწილობრივ სულთნის ბრძანებისა და ზოგიც საკუთარი გამბედაობისა და შიშის გამოც რომ ამხედრებულიყვნენ. მათთან იყვნენ ადგილობრივი აჯანყებულებიც.

მებრძოლებს არაფრის თავი აღარა ჰქონდათ, მხოლოდ წყალსა და პურს თხოულობდნენ და უვაცის გზას კითხულობდნენ; აჯანყებულები კი, ჯერ კიდევ ვერ გაეტეხა დამარცხებას, ისევ ბრძოლის ჟინი სწვავდათ და მზად იყვნენ ბრძოლის გასაგრძელებლად. გაშავებული, მტვერში ამოგანგლული და მთლად ჩამობღენძილი აჯანყებულები, ვიშეგრადელ თურქებს, რომლებიც ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდნენ, უხეშად პასუხობდნენ და დრინის ხიდზე გადასასვლელის დასაცავად, სანგრების გასაჭრელად ემზადებოდნენ.

ამ დღეებში ისევ გამოჩნდა ალი-ხოჯა, რომელიც თავისას გაიძახოდა, „რაკი შეაბებმა ბოსნია კიდით კიდემდე უკვე გადასერეს, ქალაქის დაცვას და საერთოდ, წინააღმდეგობის გაწევაზე ფიქრიც კი ზედმეტიაო".

აჯანყებულები თვითონაც კარგად ხედავდნენ ყველაფერს, მაგრამ არ უნდოდათ თავი დამარცხებულად ეცნოთ, რადგან მათ ძალზე აღიზიანებდათ ეს კოხტაპრუწა ნაპატიები ქალაქელები, მხოლოდ საკუთარი სახლებისა და ქონების დაცვაზე რომ ზრუნავდნენ, ეშმაკურად და ბრძნულად რომ არიდებდნენ თავს აჯანყებასა და ომს.

სწორედ ამ დროს უკან მობრუნდა ოსმან-ეფენდი კარამანლი, ადრინდელზე მეტად გამხდარი და გაფითრებული, მაგრამ საომრად უფრო შემართული.

კარამანლი იმათ რიცხვს არ ეკუთვნოდა, დამარცხებას ადვილად შერიგებოდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ყველგან და ყველასგან ამხედრებას თხოულობდა და განუწყვეტლივ ამტკიცებდა, რომ თავგანწირვისა და სიკვდილისათვის ყოველთვის მზად უნდა ვიყოთო. მისი უგუნური თავგამოდების წინაშე ალი-ხოჯას გარდა ყველა უკან იხევდა. ალი-ხოჯა უბოროტოდ, გონივრულად და გულდაჯერებით უმტკიცებდა ჯიუტ ოსმან-ეფენდის, რომ აჯანყებას სწორად ისე წაუვიდა საქმე, რასაც ამ ერთი თვის წინათ ამავე კაპიაზე გიწინასწარმეტყველებდი,

ახლა ოსმან-ეფენდის ურჩევდა თავის ხალხთან ერთად, რაც შეიძლება ჩქარა დაძრულიყო პლევლისაკენ, რომ უფრო ცუდად არ წასვლოდათ საქმე. ხოჯა თავაზიანად ლაპარაკობდა და კარამანლის ისეთი ყურადღებითა და თანაგრძნობით ექცეოდა, როგორც ავადმყოფს ექცევიან ხოლმე. სულის სიღრმეში თვითონაც შეძრწუნებული იყო მოახლოებული უბედურებით, თუმცაღა საკუთარ გრძნობებს მოჩვენებითი გულგრილობით ფარავდა.

ალი-ხოჯა ისე ღელავდა და იტანჯებოდა, როგორც მართლმორწმუნე მუსულმანი, ვინც უცხოელი დამპყრობლების გადუვალ ზეიმს ხედავს, ისლამის ძველთაძველ წესებს დასამარებას რომ უქადის, ეს შენიღბული ტკივილი ხანდახან უნებლიეთ მის სიტყვებშიც გამოჭვიოდა.

კარამანლის შეურაცხმყოფელ სიტყვებზე თითქმის სინანულით პასუხობდა.

— ეფენდი! შენ გგონია, ჩემთვის ადვილია შვაბების ლოდინი? განა ვერა ვხედავთ, რა დროება გვიდგება? ვიცით, რაც მოგველის და რასაც ვკარგავთ, კარგად ვიცით! და შენ თუ მხოლოდ ამის სათქმელად მოხვედი, სჯობდა პლევლიდან საერთოდ ფეხიც არ გამოგედგა. გეტყობა, საქმეში კარგად ვერა ხარ ჩახედული, თორემ, რასაც აკეთებ, არ გააკეთებდი და რასაც ამბობ, არც იმას იტყოდი. მართალია, დიდ გასაჭირში ვართ ჩავარდნილი, თვითონაც არ ვიცი, რა უნდა ვქნათ, მაგრამ შენი რჩევაც ვერაფერს გვიშველის.

მაგრამ ოსმან-ეფენდი ყველას მიმართ ყრუ იყო, ვინც არ თანაუგრძნობდა, მის ღრმა და გულწრფელ წყურვილს, ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ. ამიტომ ალი-ხოჯაც ისევე ეზიზღებოდა, როგორც შვაბები, ვის წინააღმდეგაც იბრძოდა.

ასეა მუდამ, ძლიერი მტრის წინაშე, დამარცხების წინადღეს დასაღუპავად განწირულ ყველა საზოგადოებაში, ძმათა შორის სისხლისმღვრელი კინკლაობა და ცხარე დავა წარმოებს.

რაკი ეფენდიმ თავისი მტკიცებით ველარაფერი გააწყო, ალი-ხოჯას წამდაუწუმ მოღალატეს ეძახდა და გამქირდავად ეუბნებოდა შვაბების მოსვლამდე მოინათლეო... არა, ეფენდი, არც ჩემი წინაპრები მონათლულან და არც მე მოვინათლები, მე არც გერმანელებთან პირჯვრის წერას ვაპირებ და არც ობროდ ბრიყვთან ერთად წავალ მთელი არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად — წყნარად უპასუხა ხოჯამ.

ვიშეგრადის თურქი დიდებულები გულის სიღრმეში ალი-ხოჯას ეთანხმებოდნენ, მაგრამ ყველას არ მიაჩნდა მართებულად თავისი აზრი ასე ხმამაღლა და ნათლად გამოეთქვა.

ხალხს კარზე მომდგარი ავსტრიელებისაც ეშინოდა, მაგრამ ქალაქში რაზმით ჩადგარი კარამანლის წინაშეც ფრთხილობდნენ. ამიტომ სახლში ჩაკეტვას ირჩევდნენ, ანდა სოფლებში მიდიოდნენ. ხოლო, როცა კარამანლისა და მის დამქაშებთან შეხვედრისაგან თავის არიდებას ვეღარ ახერხებდნენ, თვალს ვერ უსწორებდნენ, ორჭოფულად პასუხობდნენ, ცდილობდნენ მოემიზეზებინათ რაიმე, რომ მალე დასხლტომოდნენ ხელიდან.

კარამანლი დანგრეული ქარვასლის მახლობელ მოედანზე დილიდან დაღამებამდე განუწყვეტლივ აწყობდა კრებებს.

აქ ხალხი გამოულევლად ირეოდა. ვინ აღარ იყო კარამანლის მომხრე, შემთხვევითი ხალხი თუ ქალაქის ახალ პატრონთან სათხოვნელად მოსულები.

აქ იყვნენ აჯანყებულების მიერ ლამის შარაგზაზე დაჭერილი გამვლელები, რომელთაც აიძულებდნენ მათი ბელადისთვის მოესმინათ. კარამანლი კი სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, მაშინაც კი, როცა ერთ კაცს მიმართავდა, ისე გაჰყვიროდა, გეგონებოდა, მთელ ასეულს მიმართავსო. ისედაც ფერმკრთალი, ახლა უფრო გაფითრებული ჩანდა, თვალებს მოუსვენრად აცეცებდა, ჩაყვითლებული თვალის გარსი უჩანდა, ტუჩებზე ქაფი მოსდგომოდა.

რომელიღაც ქალაქელმა შეიხ ტურხანიაზე მუსულმანური ხალხური თქმულება უამბო, უხსოვარ დროს გიაურთა შემოსევისას დრინას გადასასვლელის დაცვის დროს რომ დაცემულა. მისი ნეშტი მდინარის გაღმა ნაპირზეა ჩამარხულიო, მაგრამ მაშინვე მკვდრეთით აღდგება, როგორც კი პირველი გიაური მებრძოლი ხიდზე ფეხს შემოდგამსო.

ოსმან-ეფენდი გაშმაგებითა და ჟინიანად ჩაეჭიდა ლეგენდას, და ხალხს სრულიად მოულოდნელად ცხადად მოვლენილ დამხმარე ძალად წარმოუდგინა.

— ძმებო! ეს ხიდი ვეზირის წმიდათაწმინდა ნაბოძვარია. ძველთაგან უთქვამთ, ხიდზე გიაურებს გასვლა არ უწერიათო. ხიდს მარტო კი არ დავიცავთ, ჩვენთან იქნება ისიც, ვისაც მტრის ტყვია და ხმალი არ ეკარება. როცა გიაურები გამოჩნდებიან, ის საფლავიდან წამოდგება და ხელებს ფართოდ გაშლის, მის დანახვაზე შვაბებს მუხლები აუკანკალდებათ, სუნთქვა შეეკვრებათ და შიშისაგან გაქცევასაც კი ვეღარ

მოახერხებენ. ძმებო! თურქებო, ნუ დაიფანტებით, ხიდზე მომყევით ყველანი!

ასე გაჰყვიროდა ხალხის წინაშე მდგარი კარამანლი. მაღალსა და გამხდარს შავი დაქექილი ტანსაცმელი ეცვა, ჰოდა, როცა ხელებს იქნევდა და ხალხს აჩვენებდა თუ როგორ დადგებოდა „გმირი" ხიდზე, გეგონებოდათ, მათ წინ შავი ჯვარი დგას, რომლისთვისაც ჩალმა ჩამოუცვამთო.

ეს ყველაფერი უკეთესად ვიშეგრადელმა თურქებმა იცოდნენ, — ბავშვობაში ყველა მათგანს ეს ლეგენდა არაერთხელ ჰქონდა გაგონილიცა და მოსმენილიც, მაგრამ არც ერთ მათგანს იოტისოდენა სურვილიც არა ჰქონდა, ეს ამბავი ცხოვრებისეულად ექცია და გარდაცვლილის იმედზე ყოფილიყო მაშინ, როცა მათი შველა თვითონ ცოცხლებსაც აღარ ძალუძდათ.

თუმცა ალი-ხოჯა დუქნიდან გარეთ ფეხს არ ადგამდა, ქალაქელების ნაამბობიდან იცოდა, რასაც ქადაგებდნენ და აკეთებდნენ ქვითკირის სასტუმროსთან. ალი-ხოჯა ნაღვლიანად აქნევდა თავს და ამბობდა:

— ასეც ვიცოდი, რომ ეს ტუტუცი არც მკვდარსა და არც ცოცხალს არ მოასვენებდა. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

ნამდვილი მტრის წინაშე უძლურმა კარამანლიმ მთელი თავისი ჯავრი ალი-ხოჯაზე ამოანთხია, იმუქრებოდა, ყვიროდა და იფიცებოდა, ვიდრე ქალაქს დავტოვებდე ურჩ ხოჯას მაჩვივით კაპიაზე მივაჯაჭვავო, დაე, იქ უცადოსო შვაბებს, ვის წინააღმდეგაც არც თვითონ ეწადა ბრძოლა და სხვებსაც აგულიანებდაო!

ლიესკის ფერდობზე ავსტრიელების გამოჩენამ ყოველგვარ კინკლაობას საზღვარი დაუდო. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ქალაქის დაცვა შეუძლებელი იყო.

კარამანლიმ ქარვასლის წინ მაღლობზე დააგდო ორი ზარბაზანი, მანამდე რომ ყველგან თან დაჰქონდა და ყველაზე ბოლოს დატოვა ქალაქი. მაგრამ უკანდახევამდე მუქარა შეასრულა.

გოლიათური აღნაგობის ბატიტვინა შიკრიკს, ადრე რომ მჭედლობდა, უბრძანა ალი-ხოჯა გაკოჭე და მარჯვენა ყურით კაპიის საფეხურებს შორის გამოჩრილ მუხის ძელზე მიაჭედეო. ეს ძელი, როგორღაც იმ ხანძარს გადარჩენოდა, ოდესღაც საგუშაგო კოშკი რომ გადაბუგა.

თუმცა ხიდთან და მოედანზე დიდი მღელვარება და არეულობა იყო, მაინც ყველამ გაიგონა კარამანლის ბრძანება, მაგრამ, მისი ნათქვამი აინუნშიაც არ ჩაუგდიათ. რა არ ითქმება, რანაირ მაღალფარდო-

ვან სიტყვებსა და სალანძღავ გინებას არ გაიგონებ ასეთ დროს, ასე ფიქრობდნენ ამჯერადაც, ოსმან-ეფენდის განკარგულება დაუჯერებელი ეგონათ, ეს უფრო მუქარასა და შეურაცხყოფას ჰგავდა, ვიდრე სერიოზულ ნათქვამს. ამისათვის არც ალი-ხოჯას გაუწევია ანგარიში.

მჭედელი, როცა კარამანლიმ ალი-ხოჯას მიჯაჭვა უბრძანა, ზარბაზნებს ამოქლონებდა და ჯერ თითქოს ყოყმანობდა, მაგრამ რაკი კაპიაზე ხოჯას მიჯაჭვის აზრი გამოითქვა, გაავკაცებული და უმოწყალო ადამიანები გონებაში სწონიდნენ აღესრულებინათ თუ არა ასეთი ბოროტება. თავიდან ეს აზრი ბევრს სულელურ, ძალზე მკაცრ და შეუძლებელ ამბად ეჩვენა, მეორე მხრივ კი, აღგზნებული ხალხი გამოსავალს რაღაც არაჩვეულებრივის ჩადენაში ხედავდა და ახლა შესაძლებლობაც ეძლეოდათ. ისარგებლონ თუ არა ამ შესაძლებლობით! და აი, ხოჯას მილურსმნა თანდათანობით სულ უფრო შესაძლებელ, შესასრულებელ საქმედ ეჩვენებოდათ, ვითომ რატომაც არა? ორი მათგანი ხოჯას მივარდა და ხელები ზურგს უკან გაუკრეს, ხოჯა ჯერ თითქოს არც კი ეწინააღმდეგებოდა, უაზრო დასჯის ჟამი ჯერ კიდევ შორეულად ეჩვენებოდა, ნამდვილად კი ეს წუთი უკვე მოახლოვდა. მჭედელს უეცრად შერცხვა საკუთარი სისუსტისა და ყოყმანის, ხელახლა გამოათრია ჩაქუჩი, რომლითაც ცოტა ხნის წინ ზარბაზნებს ამოქლონებდა. იმის ფიქრმა, რომ შვაბები უკვე ნახევარი საათის სავალზე იყვნენ, სიმამაცე შემატა და მტკიცედ გადაწყვიტა საქმე ბოლომდე მიეყვანა. შვაბების მოახლოების მტანჯველმა შეგრძნებამ ალი-ხოჯას ისეთი მეხი დასცა, რომ ახირებული და სამარცხვინო სასჯელისადმიც კი გულგრილი გახადა. ასე რამდენიმე წამში აღსრულდა ის, რაც ერთი წუთის წინ წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ.

მართალია, ეს ამბავი არც ერთ კაცს წესიერ და სამართლიან საქმედ არ მიაჩნდა, მიუხედავად ამისა, ყველას ბრალი ედო, რომ ხოჯა კაპიის ძელზე ცალი ყურით მიაჭედეს.

როცა შვაბები მოახლოვდნენ და ყველამ მოკურცხლა, სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილი, მუხლებზე დაჩოქილი ხოჯა მარტოდმარტო დარჩა, განძრევაც საშინელ ტკივილს ჰგვრიდა და ყურის გახევას უქადდა, იგი მშველელს უხმობდა, მაგრამ მისი ძახილის გაგონება და ამ სატანჯველიდან გამოხსნა აღარავის შეეძლო, რადგან მცხოვრებლები შვაბებისა და გაქცეული აჯანყებულების შიშით საკუთარ სახლებსა და მახლობელ სოფლებში მიმალულიყვნენ.

ქალაქი გაუკაცრიელებულს ჰგავდა. ხიდი ისე იყო დაცარიელებული, გეგონებოდა, სიკვდილს ჩამოუვლიაო! აღარც ცოცხლებსა და აღარც მკვდრებს შორის აღარავინ იყო, ხიდის დასაცავად რომ აღმდგარიყო, მხოლოდ ალი-ხოჯა ჩაყუნტულიყო ხიდზე, ყურით ძელზე მიჭედებული, ტკივილისგან ოხრავდა და ისევ კარამანლის ედავებოდა.

ავსტრიელები ნელა ახლოვდებოდნენ.

მოწინავე რაზმმა მდინარის გაღმა ნაპირიდან ქარვასლასთან დაგდებული ორი ზარბაზანი დალანდა, მაშინათვე შეჩერდა და სამთო ქვემეხების მოსვლას დაელოდა, ნაშუადღევს იქვე ტყეში შეფარებულმა ავსტრიელებმა მიტოვებულ ქარვასლას რამდენიმე ჭურვი ესროლეს, უამისოდაც დანგრეული ნაგებობა უფრო დაზიანდა: დაიმტვრა ფანჯრების გისოსები, ეს ხელოვნების უიშვიათესი ნამუშევარი, რომელიც ერთიანის ქვის ნატეხებისაგან იყო გამოთლილი. მას შემდეგ, რაც ავსტრიულმა ჭურვებმა თურქების ორივე ზარბაზანი გადააკოტრიალეს და მიხვდნენ, რომ თურქებს ზარბაზნები მიეტოვებინათ, შვაბებმა სროლა შეწყვიტეს და ხიდს ფრთხილად მიუახლოვდნენ.

ნელი ნაბიჯით შევადა კაპიაზე უნგრეთის თოფმომარჯვებული ქვეითი ჯარი. გაოცებული შედგნენ ხოჯასთან, რომელსაც თავზე გადაქროლილი ჭურვებისაგან ყურის ტკივილი დავიწყებოდა.

ხოჯამ, როცა თოფმომარჯვებული საძულველი ჯარისკაცები დაინახა, გაბმით დაიწყო საწყალობელი ოხვრა, ვარაუდობდა, ეს ენა ყველასათვის გასაგები იქნებაო. მართლაც, ამან გადაარჩინა. ვიდრე ჯარისკაცთა ერთი რაზმი ნელი ნაბიჯით მიდიოდა ხიდზე, მეორე რაზმი ხოჯასთან გაჩერდა: უნგრელები გარს შემოეხვივნენ და ვერასგზით ვერ მიმხვდარიყვნენ რაში იყო საქმე, ბოლოს სანიტარი გაზის მოსატანად წავიდა, ძელიდან ფრთხილად ამოიღო ლურსმანი და ალი-ხოჯა გამოხსნა.

ხოჯა ისე იყო გატანჯული, გულჩაკლული და დასუსტებული, რომ ერთი ამოიგმინა და ქვის საფეხურებზე დაეცა. დაშავებულ ყურზე სანიტარმა რაღაც სითხე წასცხო. ხოჯა თითქოს სიზმარშიაო, ცრემლმორეული თვალებით დააშტერდა სანიტრის მარცხენა ხელზე შებმულ ფართო თეთრ სამკლაურს, რომელზეც წითელი დიდი სწორკუთხა ჯვარი იყო გამოსახული.

მხოლოდ ძილ-ღვიძილში შეიძლება მოელანდოს კაცს ასეთი საზიზღარი და საშინელი რამ. ალი-ხოჯას ჩაბინდული თვალების წინ ჯვარი სულ ერთთავად მოძრაობდა, ხან მაღლა აღიმართებოდა, ხან დაბლა ეშვებოდა. ეჩვენებოდა, თითქოს მთელ ქვეყანას ვეებერთელა ლანდი ფარავდა. მერე ჯარისკაცმა ჭრილობა შეუხვია და თავზე ისევ ჩალმა დაახურა.

ხოჯა გაჭირვებით წამოდგა, წელის ტკივილი დასძლია, შეხვეული თავი ხიდის მოაჯირს მიაყრდნო და ერთ ადგილას გაქვავდა. რის ვაივაგლახით გონს მოეგო და დამშვიდდა. მის წინ, ქვაზე გამოკვეთილი თურქული ნარწერის ქვევით ჯარისკაცი დიდ, თეთრ განცხადებას აკრავდა, თუმცა ტკივილისაგან თავი უსკდებოდა, ხოჯა ვერ მოერია სისხლში გამჯდარ ცნობისმოყვარეობას და განცხადებას მიუახლოვდა. ეს იყო ავსტრიის ჯარების ბოსნიაში შემოსვლის თაობაზე სერბიულ და თურქულ ენაზე დაწერილი გენერალ ფილიპოვიჩის* მოწოდება, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მცხოვრებლებისადმი. ალი-ხოჯამ მარჯვენა თვალი მოჭუტა და მძიმედ ინყო თურქული ტექსტის კითხვა, თანაც მხოლოდ მსხვილი ასოებით დაბეჭდილს არჩევდა.

„ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მცხოვრებლებო!

ავსტრიის იმპერატორისა და უნგრეთის მეფის ჯარებმა თქვენი ქვეყნის საზღვრები გადმოლახეს. ისინი მოვიდნენ არა როგორც მტრები, რათა ძალით წაგგლიჯონ მიწა-წყალი, არამედ როგორც მეგობრები, რათა ბოლო მოუღონ იმ უწესრიგობას, რაც უკვე მრავალი წლის მანძილზე ხდება არა მარტო ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, არამედ ავსტრია-უნგრეთის სასაზღვრო ოლქებშიც.

იმპერატორსა და მეფეს აღარ ძალუძს გულგრილად უცქიროს იმ ძალადობასა და უწესრიგობას, რაც მისი საზღვრების მახლობლად ხდება, უცქიროს, თუ როგორ არის გაძვალტყავებული და მათხოვრობამდე მისული მის საზღვართან მცხოვრები ხალხი.

ევროპის სახელმწიფოთა ყურადღება თქვენსკენ არის მოპყრობილი. კონგრესზე ერთსულოვნად გადაწყდა, რომ ავსტრია-უნგრეთი დიდი ხნის წინათ დაკარგულ მშვიდობასა და კეთილდღეობას დაგიბრუნებთ.

მისმა უდიდებულესობამ სულთანმა, ვისი გულიც თქვენს ბედნიერებაზე ზრუნვით არის აღსავსე, გადაწყვიტა ძლევამოსილი მეგობრის, იმპერატორისა და მეფის მფარველობის ქვეშ მოგაქციოთ.

---

* გენერალი ფერენც ფილიპოვიჩი (ფონ ფილიპსბურგი) — ავსტრიის ჯარების მთავარსარდალი.

იმპერატორი და მეფე ანესებს, რომ ამ ქვეყნის ყველა ქვეშევრდომი ერთნაირი უფლებებით ისარგებლებს, რათა მოქალაქეთა სიცოცხლე, რწმენა და საკუთრება კანონით იქნეს დაცული.

ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მცხოვრებლებო!

უშიშრად დადექით ავსტრია-უნგრეთის ძლევამოსილი დროშების ქვეშ, მეგობრულად მიიღეთ ჩვენი ჯარისკაცები! დაემორჩილეთ ხელისუფლებას, დაუბრუნდით თქვენს საქმიანობას, ამიერიდან თქვენს ნაშრომს ვერავინ ხელყოფს“.

ხოჯა თითოეულ სიტყვას დამარცვლით კითხულობდა, ზოგი წინადადების აზრი კარგადაც არ ესმოდა, მაგრამ ყოველი სიტყვა რაღაც განსაკუთრებულ ტკივილს ჰგვრიდა, რაც სრულებითაც არა ჰგავდა იმ ტკივილს, რასაც ხოჯა დაჭრილი ყურის, წელისა და თავის ტკივილისაგან შეიგრძნობდა.

მხოლოდ ახლა, ამ „ხელმწიფის სიტყვებიდან“ გახდა სრულიად ნათელი, რომ მისთვის და ყველა მისი მახლობლისათვის ყველაფერი ერთხელ და სამუდამოდ გათავდა. მაგრამ, რაღაც საოცრების წყალობით მხედველობა ისევ აქვს, ენა მეტყველებს, ადამიანი სიცოცხლეს აგრძელებს, მაგრამ სიცოცხლე, ნამდვილი სიცოცხლე გათავებულია, უცხო ხელმწიფემ მოგვიმწყვდია თავის კლანჭებში, მათი ქვეყანა უცხო რჯულმა დაიპყრო.

ეს აშკარად გამოსჭვიოდა მაღალფარდოვანი და ბუნდოვანი დაპირებებიდან, უფრო ნათლად კი, ამას მკერდში ტყვიასავით მძიმე ტკივილი აგრძნობინებდა, რომელიც ყველა ტკივილზე მტანჯველი და ძლიერი იყო, რაც კი ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს.

ოსმან კარამანლისნაირი ათასობით ტუტრუცანა ველარაფერს გიშველის, აღარაფრის შეცვლა აღარ შეუძლიათ (ხოჯა ფიქრში ისევ კარამანლისთან დავობდა), დავიღუპებით! დიახ, ყველანი დავიღუპებით! რა მნიშვნელობა აქვს ამ ფაციფუცს, რაკი დგება ის დრო, როცა ადამიანი იღუპება, რადგან არ შეუძლია არ მოკვდეს, მიწაში ჩარჭობილი ჯოხივითა ლპება და საკუთარ მეობას კარგავს. ეს უდიდესი უბედურებაა, რომელსაც კარამანლიები ვერა ხედავენ, არც ესმით და საკუთარი უვიცობით ამ უბედურებას უფრო ამძიმებენ, სამარცხვინოდ აქცევენ.

ამ ფიქრებით შეპყრობილი ხოჯა მძიმე-მძიმედ ჩადიოდა ხიდიდან და ვერ ამჩნევდა, რომ ისევ ის ჯარისკაცი სანიტარი მისდევდა. ყურის ტკივილი ისე მტანჯველი არ იყო, როგორც მოწოდების წაკითხვის შემდეგ ტყვიასავით გულზე შემოწოლილი სიმძიმე.

ხოჯა ნელა მიდიოდა, ასე ეგონა, გაღმა ნაპირამდე ვერასდროს მიაღწევდა, ქალაქის სილამაზე და სიამაყე, ეს ვეებერთელა ხიდი, ასე მჭიდროდ რომ იყო დაკავშირებული მის გვართან, ოჯახთან და ბავშვობასთან, თითქოს უეცრად, ზედ შუაგულში, კაპიასთან ჩაინგრაო. ხოჯას მოეჩვენა, რომ დიდმა თეთრმა ქაღალდმა, რაზეც შვაბების მოწოდება იყო დაბეჭდილი, ხიდი ორად გადაკვეთა იდუმალი ზათქით და ახლა ამ ადგილას უფსკრული გაჩნდა. თუმცა უფსკრულის მარცხნივ და მარჯვნივ ისევ ქვის ბურჯები დგას, ერთი ნაპირიდან მეორემდე გადასასვლელი აღარ არსებობს, რომ თითოეული სამარადისოდ დარჩება იმ ადგილას, სადაც აფეთქებამ მოუსწრო.

მღელვარე ფიქრებით დამძიმებული ხოჯა ნელა მიდიოდა. თვალები ცრემლით ევსებოდა. მძიმედ დაჭრილივით მიათრევდა წელს და შესახედად დავრდომილ მათხოვარს ჰგავდა, რომელიც პირველად მოხვდა ხიდზე და წინ უცხო და უცნობი ქალაქი გადაეშალა.

უეცრად მისი ყურადღება გვერდით ჩავლილმა ჯარისკაცების ხმამ მიიპყრო. მათ შორის ხელახლა გაიელვა სახელოზე წითელჯვრიანი ნაცნობი სანიტრის სავსე, კეთილმა და მოღიმარმა სახემ, იცინოდა, ალი-ხოჯას შეხვეულ ყურზე ანიშნებდა და გაუგებარ ენაზე რაღაცას ეკითხებოდა. ხოჯა მიხვდა, დამხმარებასა სთავაზობდნენ, მაშინვე შუბლი შეიკრა და მოიღუშა.

— არა, არა, არაფერი არ მინდა.

და მტკიცე, გაბედული ნაბიჯებით შინისაკენ გასწია.

თავი მეათე

ქალაქში ასეთი სიწყნარე ჯერ არასოდეს დასადგურებულა. დუქნებიც აღარ გააღეს. თუმცა აგვისტოს ბოლო იყო და მზიანი, თბილი დღე იდგა, სახლების კარ-ფანჯრები მჭიდროდ დაეგმანათ.

ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ იყო.

ეზოები და ბაღები გაუკაცრიელებულიყო. თურქ ოჯახებში მოქურუხებულნი და შეშფოთებულნი იყვნენ, ქრისტიანები დაძაბული დადიოდნენ და უნდობი თვალით იყურებოდნენ.

ყველგან შიში გამეფებულიყო. ქალაქში შემოსეულ შვაბებს ეშინოდათ, ვაითუ ქალაქში მტერია ჩასაფრებულიო. თურქებს გერმანელების შიში ჰქონდათ, სერბიელებს კი გერმანელებისაც და თურქებისაც — ორივესი ერთნაირად ეშინოდათ. ებრაელებს კი ყველასი ეშინოდათ, თითოეული მათგანის, რადგან ყველა მათზე ძლიერი იყო, განსაკუთრებით კი ომის დროს. ყურებში იმ ზარბაზნების გრიალი ედგათ წინადღით ქალაქი რომ შეაზანზარა.

ხალხი მარტო შიშის გრძნობას რომ დამორჩილებოდა, იმ დღეს გარეთ ცხვირსაც არავინ გამოყოფდა, მაგრამ ადამიანი სხვა სურვილებსაც უწევს ანგარიშს, წინა დღეს ქალაქში შემოსულმა ავსტრიელთა რაზმმა ყარაულის უფროსი და ჩაფრები შეიპყრო. რაზმის ოფიცერმა დაცვის უფროსს ხმალი დაუტოვა და უბრძანა უწინდებულად შეესრულებინა მოვალეობა და ქალაქში წესრიგი დაეცვა. ოფიცერმა ისიც დაუმატა, რომ ხვალ შუადღემდე ვიშეგრადში პოლკოვნიკი, ჯარის სარდალი შემოვა და სამივე სარწმუნოების წარჩინებული მოქალაქეები უნდა შეხვდნენო.

ჭაღარა, მორჩილმა ყარაულის თავმა მაშინვე გამოიძახა მოლა იბრაჰიმი, უმაღლესი სასულიერო სკოლის მუდერისი* ჰუსეინ-აღა, მღვდელი ნიკოლა და რაბინი დავით ლევი. ოთხივეს ამცნო, რომ როგორც „სულიერი მოძღვრები და ქალაქის თავკაცები ხვალ, შუადღისას ავსტრიელ სარდალს უნდა შეეგებოთ, ქალაქის მცხოვრებთა სახელით მიესალმოთ და ბაზრის მოედნამდე გააცილოთო.

დათქმულ ვადამდე დიდი ხნით ადრე ოთხივე სულიერი მოძღვარი დაცარიელებულ მოედანზე გამოცხადდა და ნელი ნაბიჯით კაპიას მიაშურა. იქ ჩაფრის დახმარებით ყარაულის თავის თანაშემწე სალკო ხედო ავსტრიელი სარდლის საპატივსაცემოდ უკვე აფენდა გრძელ

* მუდერისი — მუსლიმანური სასულიერო სკოლის მმართველი — დირექტორი.

თურქულ ხალიჩას, რომლითაც საფეხურები და ქვის ჩამოსაჯდომები უნდა დაეფარა. მოსულები ხმას არ იღებდნენ, შეჩერდნენ, მაგრამ რაკი დაინახეს, რომ ოკულიშჩადან მომავალ თეთრ გზაზე პოლკოვნიკის მოახლოების ნიშანწყალიც არ იყო, ერთმანეთს გადახედეს და შეთანხმებულივით ხალიჩაგადაუფარებელ ქვის ჩამოსაჯდომებზე ჩამოსხდნენ.

მამაო ნიკოლამ ჯიბიდან მოზრდილი თუთუნის ქისა ამოაცოცა და სამივეს შესთავაზა.

ისე ისხდნენ ქვის სკამზე, როგორც ერთ დროს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა უდარდელი ჭაბუკები იყვნენ და ქალაქის ახალგაზრდობის ჩვეულების კვალობაზე თავისუფალ დროს კაპიაზე ატარებდნენ. მაგრამ ახლა ისინი ხანშიშესულები იყვნენ. მამა ნიკოლსა და მოლა იბრაჰიმს უკვე მოხუცი ეთქმოდა, მუდერისი და რაბინი კი საკმაოდ ჭარმაგად გამოიყურებოდნენ, სადღესასწაულოდ მორთულებს თავიანთი ბედი აშფოთებდათ და ზაფხულის კაშკაშა მზეში ეჩვენებოდათ, ჩვენს ასაკზე უფრო დიდები და საკმაოდ შეფერთხილები ვჩანვართო. თითოეული მათგანი იგონებდა, როგორები იყვნენ სიჭაბუკეში ან ბავშვობაში და გამოუცნობი მომავლის მქონე ხეებივით ხიდის მახლობლად როგორ იზრდებოდნენ თავიანთ კბილა ბავშვებთან ერთად.

ისინი თამბაქოს ენეოდნენ და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, თუმცა ფიქრით კი სულ სხვაგან იყვნენ, დროდადრო ოკოლიშჩისაკენ ეჭირათ თვალი, საიდანაც სარდალი უნდა გამოჩენილიყო.

ამიერიდან ეს ადამიანი იქნება მათი ბედ-იღბლის განმკარგულებელი და როგორც მათ, ისე მთელ ქალაქს შესაძლებელია, კიდევაც არგოს და კიდევაც ავნოს, ან სიმშვიდე, ან ახალი მწუხარება მოუტანოს.

ამ ოთხეულში გარეგნულად მაინც ყველაზე მშვიდად და თავდაჭერილად მამაო ნიკოლა გამოიყურებოდა, სამოცდაათ წელს იყო გადაცილებული, მაგრამ ჯერ ისევ ჭარმაგად და მხნედ გამოიყურებოდა.

სახელგანთქმული მღვდლის შვილმა, მამაო ნიკოლამ, ვისი მამაც თურქებმა ამ ხიდზე დასაჯეს, ძალზე შფოთიანი ახალგაზრდობა გაატარა. დაუოკებელი ბუნებისა და გამომწვევი საქციელის გამო ბევრჯერ დაატყდა თავს თურქების სიძულვილი და შურისძიება, და რამდენჯერმე სერბიაშიც გაიქცა, მაგრამ მშფოთვარე დრომ როცა განვლო ნიკოლაც მოჭკვიანდა, ცოლი შეირთო და მამის სამრევლოს დაუბრუნდა (ეს გარდასულ დღეთა მივიწყებული ამბები იყო). მოვჭკვიანდი და თურქებიც ალმაცერად აღარ მიყურებენო! — ხუმრობით ამბობდა მამაო ნიკოლა.

ლამის უკვე ორმოცდაათი წელი იქნებოდა, რაც მამაო ნიკოლა დიდსა და საკმაოდ დაშორიშორებულ საზღვრისპირა მრევლს მშვიდად და ბრძნულად ყოველგვარი შფოთისა და წყენის გარეშე უძღვებოდა. თავი ღირსეულად ეჭირა და საქმესაც თავგამოდებით ემსახურებოდა, ყველასთან სამართლიანი იყო. თურქებს, უბრალო ხალხსა თუ ადგილობრივ უფროსობას ყველას ერთნაირად ექცეოდა.

არც ერთი მოლა თუ რაბინი, არც მანამდე და არც მას შემდეგ ყველა სარწმუნოებისა და ასაკის თანამოქალაქეთა შორის მასავით პატივითა და ყურადღებით არ სარგებლობდა. ყველა „პაპას“ ეძახდა. როგორც ქალაქელები, ისე ვიშეგრადის მხარის მცხოვრებნი სერბიული ეკლესიის და ქრისტიანული სჯულის განსახიერებად თვლიდნენ. უფრო მეტიც, ხალხი მისი სახით მოძღვრისა და უხუცესის უწმინდეს სახეს ხედავდა, როგორიც კი ვიშეგრადის სინამდვილეში შეიძლებოდა ხალხს წარმოედგინა. ტანმაღალი იყო, უჩვეულო ძალ-ღონის პატრონი, დიდი განათლება არა ჰქონდა, მაგრამ ძალიან ცოდომადლიანი გული და თავისუფლებისმოყვარე სული ჰქონდა. მისი ძლიერი, კეთილშობილი, უჩვეულო, მომაჯადოებელი გაღიმება ყველას ფარ-ხმალს აყრევინებდა, აშოშმინებდა და მხნეობას მატებდა. როცა იღიმებოდა, დიდრონ მწვანე ფერის თვალებს მოწკურავდა და მოჭუტულ თვალის გუგებიდან ოქროსფერი ნაპერწკლები სცვიოდა. ასეთი შემორჩა მამაო ნიკოლა სიბერემდე. როცა მამაო ნიკოლა ბაზრის მოედანზე გაივლიდა, წლებით ოდნავ შეთხელებული წითური წვერი გულმკერდზე სცემდა, აბურძგნულ ხეშეშ თმას ფართო კუნკული ეფარა, თმები უკან ჰქონდა გადაწნული და გეგონებოდათ, ორმოცდაათი წლის წინათ დანიშნულმა ამ ქალაქის მღვდელმა კი არა, იმ უძველეს ხანათა სულიერმა მამამ ჩაიარა, როცა მსოფლიო ჯერ კიდევ არ იყო დაყოფილი სხვადასხვა რწმენისა და ეკლესიების მიხედვითო. ქუჩის ორივე მხარეს ჩამწკრივებული დუქნებიდან ყველა ეროვნების ვაჭარი ესალმებოდა, ქალები თავს უკრავდნენ და თვალებდახრილი ჩერდებოდნენ, ვიდრე „პაპა“ არ გაივლიდა. ბავშვებიც კი (თვით ებრაელთა ბავშვებიც) თამაშს წყვეტდნენ და ჩუმდებოდნენ, მოზრდილები კი „პაპასთან“ მიდიოდნენ, რათა ვეებერთელა ტლანქ ხელზე ეკოცნათ და ერთი წამით მაინც გაეგონათ, როგორც გადაევლებოდა მათ გაკრეჭილ თავებსა და თამაშისაგან ატკლეცილ სახეებს მამაო ნიკოლას მგრგვინავი მხიარული ხმა, ადამიანს დილის გრილი ნამივით რომ აფხიზლებდა.

— გამარჯობა, გამარჯობა, შვილო ჩემო!

„პაპასთან“ მისალმება კარგა ხანია საყოველთაო ჩვეულებად ექცათ და ეს ჩვეულება თაობიდან თაობაში გადადიოდა.

მამაო ნიკოლას ცხოვრებას ჩრდილი იმით ეფინა, რომ უშვილძირო იყო. ეჭვგარეშეა, უშვილობას ძალზე განიცდიდა, მაგრამ არავის ახსოვდა, თვითონ თუ ფოფოდიას ამაზე დაეჩივლოთ ან დაღონებულიყვნენ. აღსაზრდელად აჰყავდათ სოფლელი ნათესავების ბავშვები, რომლებიც მათთან გათხოვებამდე, ან ცოლის მოყვანამდე ცხოვრობდნენ, მერე მათ მაგივრად ისევ სხვა ბავშვებს იყვანდნენ.

მამაო ნიკოლას გვერდით მოლა იბრაჰიმი იჯდა. მაღალს, წელში მოხრილსა და ხმელ-ხმელ იბრაჰიმს მეჩხერი წვერი და ჩამოშვებული ულვაშები ჰქონდა. მამაო ნიკოლაზე ოდნავ ახალგაზრდა გახლდათ, დიდი ოჯახისა და კარგი შეძლების მქონე იყო. მამისაგან დარჩა ქონება, მაგრამ დაუდევრად იცვამდა, გალეული და ძალზე მფრთხალი იყო. ბავშვივით მკვირცხლი, ცისფერი თვალები ჰქონდა და განდეგილსა თუ ღვთისმოსავ მწირს უფრო ჰგავდა, ვიდრე კარგ გვარიშვილ ვიშეგრადელ ხოჯას.

მოლა იბრაჰიმს ერთი ნაკლი ჰქონდა: ლაპარაკის დროს ენა ებორძინკებოდა. „მოლა იბრაჰიმს რომ ელაპარაკო, უნდა გცალოდესო“, — მასხრობდნენ ქალაქელები. გულკეთილსა და ლმობიერებით სავსე მოლა იბრაჰიმს ვინ არ იცნობდა. მის სახეს მუდამ თავმდაბლობისა და სიმშვიდის იერი გადაჰკრავდა, პირველივე შეხვედრის მერე ველარავინ ამჩნევდა მის უშნო გარეგნობასა და ენაბლუობას. საცა ერთი ავადმყოფი, ობოლი თუ უბედური იყო, ყველანი მისკენ ისწრაფოდა. რჩევა-დარიგების მისაღებად მოლა იბრაჰიმთან ყველაზე უფრო შორი სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ. მისი სახლის წინ ყოველთვის მომლოდინე ხალხი იდგა, კაცი თუ ქალი ხშირად აჩერებდა ქუჩაში და რჩევა-დახმარებას სთხოვდა. თავიდან არავის იცილებდა, სხვა ხოჯებივით ძვირად ღირებულ ავგაროზებსა და თილისმებს არასოდეს ასყიდებდათ, მთხოვნელთან ერთად, მაშინვე გზისპირა ჩრდილში, იქვე ქვაზე ჩამოჯდებოდა. გაჭირვებული კაცი ჩურჩულით უზიარებდა თავის ჭირ-ვარამს, მოლა იბრაჰიმი ყურადღებითა და თანაგრძნობით უსმენდა, მერე საალერსო სიტყვებით გულს მოუფონებდა, რჩევას მისცემდა ან გამხდარ ხელს ზედა ტანსაცმლის ღრმა ჯიბეში ჩაიყოფდა, მიიხედ-მოიხედავდა, არავინ დამინახოსო და მთხოვნელს ხელში ფულს მიაჩეჩებდა. როცა საქმე მუსულმანის შვილაზე მიდგებოდა, მისთვის შეუძლებელი სამძიმო და უსიამოვნო საქმეები აღარ არსებობდა. მოლა

იბრაჰიმი საამისო დროსა და გამოსავალს ყოველთვის პოულობდა და მასზე მინდობილ კაცთან საუბრისას უნებლიეთ ენაც აღარ ებორკებოდა. უკან მთლად თუ არა, ცოტათი მაინც დაშოშმინებულნი მიდიოდნენ, რადგან ხედავდნენ, რომ ვიღაცამ მათი დარდი საკუთარი დარდივით გაიზიარა.

მიუხედავად იმისა, რომ მუდამ სხვებზე ზრუნავდა და საკუთარ თავზე ნაკლებად ფიქრობდა, მოლამ მთელი თავისი ცხოვრება მაინც ჯანმრთელად, ბედნიერად და შეძლებულად გაატარა.

ვიშეგრადელი მუდერისი ჰუსეინ-ეფენდი მომცრო ტანის, სქელსქელი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული და ფრიად ზრდილი ადამიანი იყო. შავი მოკლე წვერი ავარდისფერებულ სახეს უმშვენებდა. მრგვალი შავი თვალები ჰქონდა. ნაკითხსა და განათლებულ ჰუსეინ-ეფენდის მეცნიერის სახელი გავარდნოდა. თავის თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა, საუბრის მოყვარული იყო და სიამოვნებდა როცა უსმენდნენ. ჰუსეინ-ეფენდის სჯეროდა, მიმზიდველი მოსაუბრე ვარო და როცა ლაპარაკის გუდას თავს მოხსნიდა, ველარ ამთავრებდა. ნაფიქრს თავისუფლად და შეუფერხებლად წარმოთქვამდა. როცა ლაპარაკობდა, თეთრ და მოვლილ წითელფრჩხილებიან, ხშირი, შავი ბალნით დაფარულ ხელებს მოზომილად სწევდა ზევით და ისე ლაპარაკობდა, თითქოს სარკის წინ დგასო.

ქალაქში ყველაზე უფრო ბევრი წიგნი ჰქონდა, წიგნები რკინის სალტეებიან სკივრში ეწყო და მაგრად ჰქონდა ჩაკეტილი. ეს სკივრი სიკვდილის წინ მისმა მასწავლებელმა, ცნობილმა არაბ-ხოჯამ უანდერძა; ჰუსეინ-ეფენდი გულმოდგინედ იცავდა წიგნებს მტვრისაგან და თვითონაც იშვიათად და დიდის სიფრთხილით თუ აიღებდა ხელში, მაგრამ ჰუსეინ-ეფენდის ასე ბევრი და ძალზე ძვირფასი წიგნები რომ ჰქონდა, ადამიანების პატივისცემას იწვევდა და მათ თვალში წონა ემატებოდა.

ყველამ იცოდა, რომ ჰუსეინ-ეფენდი ქალაქის მატიანეს წერდა, რამაც ქალაქელების თვალში მეცნიერისა და არაჩვეულებრივი ადამიანის სახელი მოუხვეჭა. მატიანეს წერა თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ მის ხელთ იყო ქალაქისა და მცხოვრებთა კეთილი სახელი. სინამდვილეში, ეს ჩანაწერები არც ისე ვრცელი და სახიფათო იყო.

იმ ხუთ-ექვს წელიწადში, რაც მისი წერა დაიწყო, პატარა რვეულის ოთხიოდე გვერდი თუ შეავსო. ქალაქის მოვლენათა უმეტესობას რვეულში შეტანის ღირსად არა თვლიდა, ამის გამო მისი ჩანაწერები წუნია ქალიშვილივით მშრალი, მჭლე და უნაყოფო იყო.

მეოთხე, ყველაზე უფრო ახალგაზრდა „სულიერი მოძღვარი" ვიშეგრადელი რაბინი დავიდ ლევი იყო — სახელგანთქმული რაბინის, ხოჯა ლიაჩოს შვილიშვილი, ვისგანაც მემკვიდრეობად სახელი, მდგომარეობა და ქონება ერგო, მაგრამ პაპის შეუპოვარი სულისა და იმედობის ნატამალიც კი არ ეცხო.

პატარასა და ფერმკრთალ კაცუნას ხავერდოვანი, დაღვრემილი გამოხედვა ჰქონდა, უჩვეულოდ მორცხვი და ენაძვირი იყო.

დავიდ ლევი მოგვიანებით გახდა რაბინი და ცოლიც გვიან შეირთო. უფრო დარბაისელი და მედიდური შესახედაობა რომ მისცემოდა, ძვირფას, მძიმე მაუდის ტანსაცმელს ატარებდა. სახე თუმცა ულვაშითა და წვერებით ჰქოგნდა შებანჯგვლული, მაგრამ მაინც მიხვდებოდით, რომ ანაფორის ქვეშ სუსტი და მცივანა სხეული იმალებოდა. შავი და მეჩხერი წვერი ავადმყოფურ სახეს სივაჟკაცეს ვერ მატებდა. შიშისაგან აციებდა, როცა იძულებული იყო ხალხთან მისულიყო და საუბარში თუ ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში ჩარეულიყო, გრძნობდა, რომ სუსტი და უძლური იყო.

ახლა ოთხივენი მზის ყუდროზე ისხდნენ სადღესასწაულოდ გამოპრანჭულები და თავისდა უნებურად იმაზე უფრო შეწუხებული და აღელვებული იყვნენ, ვიდრე თვითონ ეწადათ.

— მოდი, თითოც მოვნიოთ, მოვასწრებთ, ჭირმა წაიღოს მაგათი თავი, ჩიტი ხომ არ არის, უცბად შემოფრინდეს ხიდზე! — თქვა მამაო ნიკოლამ, რომელიც მიჩვეული იყო მღელვარება და წუხილი ხუმრობაში გაეტარებინა.

ყველამ ოკოლიშჩის გზას გახედა და ჩიბუხებს წაატანა ხელი. ფრთხილად და დინჯად ლაპარაკობდნენ, სარდლის მოსვლაზე მსჯელობდნენ. ყველა იმ აზრისა იყო, მისასალმებელი სიტყვა მამაო ნიკოლას წარმოეთქვა და სარდლისათვის კეთილად მობრძანება მიეღოცა.

ნიკოლა მღვდელმა თვალები მოჭუტა, წარბები შეიჭმუხნა, როგორც ყოველთვის, მისი თვალები ოქროსფერი, მხიარული ნაპერწკლებით განათებულ შავ ჭრილებს დაემსგავსა. ნიკოლა სამივეს მიაჩერდა.

შიშისაგან გათავებულ რაბინს იმის თავიც აღარ ჰქონდა თუთუნის კვამლი გაეფანტა, წვერ-ულვაშში რომ ებლანდებოდა. არც მუდერისი იყო ნაკლებად შეშინებული. ამ დილით ჩვეულმა მჭევრმეტყველებამ უღალატა, სადღა იყო ის განსწავლული მუდერისი, არ უნდოდა თავს გამოსტყდომოდა ასე შეშინებული და დაბნეული რომ იყო. თავის თავზე დიდი წარმოდგენა უფლებას არ აძლევდა საკუთარი უმწეობა ერწმუნა.

ცდილობდა, ოდესღაც წარმოთქმული რომელიმე მჭევრმეტყველური სიტყვათაგანი გაეხსენებინა, ხელების ქნევით რომ ამბობდა ხოლმე, მაგრამ მისი ლამაზი ხელები თავისით ეშვებოდა ძირს, სიტყვა ერეოდა და უწყდებოდა. ვერ გაეგო, სად დაკარგა ჩვეული თვითდაჯერება, წვალობდა და ამაოდ ეძებდა როგორც ნივთს, საჭირო წუთებში სადღაც რომ დაჰკარგოდა.

მოლა იბრაჰიმი ჩვეულებრივზე უფრო გაფითრებული, მაგრამ უფრო მშვიდი და ჩაფიქრებული ჩანდა. ისა და მამაო ნიკოლა ხამუშ-ხამუშ ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე, თითქოს რაღაცაზე უთანხმდებიანო. ჯერ კიდევ სიჭაბუკიდან კარგი ნაცნობ-მეგობრობა ჰქონდათ, რამდენადაც იმხანად ასეთი ურთიერთობა შეიძლებოდა თურქსა და სერბიელს შორის.

ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, ვიშეგრადის თურქებთან შეხლა-შემოხლის დროს, მამაო ნიკოლამ გაქცევით უშველა თავს, მოლა იბრაჰიმმა, რომლის მამაც ქალაქში დიდად გავლენიანი კაცი იყო, დიდი დახმარება გაუწია.

უფრო გვიან, როცა მშვიდობა ჩამოვარდა და ორ სარწმუნოებათა შორის შედარებით ასატანი ურთიერთობა დამყარდა, უკვე დავაჟკაცებული მამაო ნიკოლა და მოლა იბრაჰიმი დამეგობრდნენ დ ერთმანეთს ხუმრობით „მეზობელოს" ეძახდნენ, თუმცა სახლები ქალაქის თავსა და ბოლოში ჰქონდათ.

გვალვა იყო, წყალდიდობა, მოარული სენი თუ სხვა რამ უბედურება, თითოეული მათგანი თავის მრევლში ერთსა და იმავე საქმეს აკეთებდა. როცა მოედანზე ან ოკოლიშჩაში ერთმანეთს ხვდებოდნენ, ისე ესალმებოდნენ, როგორც არც ერთი მოლა და მღვდელი არასოდეს არ მისალმებია ერთმანეთს. ასეთი შეხვედრებისას ნიკოლა მღვდელი მდინარისკენ დაქანებულ ქალაქის მხარეს ჩიბუხს გაიშვერდა და ხუმრობაგარევით იტყოდა:

— ყველაფერი, რაც კი დედამიწაზე სუნთქავს და ხოხავს, კაცისშვილის ენით მოუბარია, ყველას ჩვენს გულში აქვს ფესვი გადგმული.

— ჩემმა მზემ, მართალს ამბობ მეზობელო, — ენის ბორძიკით პასუხობდა მოლა, — მართლაც, რომ ჩვენს გულში აქვს ფესვი გადგმული. ქალაქელები, ყველაფრის გამასხარავება და მოსწრებული სიტყვის თქმა რომ უყვარდათ, როცა მათ ერთად დაინახავდნენ, ასე იტყოდნენ ხოლმე: „როგორც მღვდელს ხოჯა, ისე უყვართ ერთმანეთი". ეს ნათქვამი ვიშეგრადში ანდაზად იქცა. აი, ახლაც, თუმცა კრინტსაც არ სძ-

რავდნენ, მაგრამ კარგად ესმოდათ ერთმანეთისა, იცოდა მამაო ნიკოლამ, რომ მოლა იბრაჰიმი ცუდ დღეში იყო. რომელსაც ესმოდა, რომ არც მღვდელი იყო კარგ დღეში, ორივე ერთმანეთს ისეთი თვალით უყურებდა, ბევრჯერ რომ შეუხედავთ ერთმანეთისთვის, თავიანთი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე, როგორც შეხედავდნენ კაცს, რომლის კისერზეც დევს ქალაქის მცხოვრებთა ბედ-იღბალი. ერთი პასუხს აგებდა იმათზე, ვინც პირჯვარს იწერდა, მეორეს კი ალაჰზე მლოცველთა ბედი ებარა.

უეცრად ცხენების თქარათქური გაისმა. ჩაფარი ტანდაბალ ცხენს მოაჭენებდა, შიშისაგან სულშეგუბებული შორიდანვე ყვიროდა:

— მოდის, თეთრი ცხენით მოდის!

ყოველთვის წყნარ და მშვიდ ყარაულის უფროსსაც კი სახე ეცვალა.

ოკოლიშჩის მხარეს მტვრის კორიანტელი ავარდა. თურქეთის იმპერიის იმ მიყრუებულ კუთხეში დაბადებულ ადამიანებს, რასაკვირველია, ნამდვილ, კარგად გაწვრთნილ და ძლიერ სახელმწიფო არმიაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. აქამდე მხოლოდ სულთნის დაქუცმაცებული, ღარიბულად აღჭურვილი და უბადრუკი ჯარის ხილვა შეეძლოთ. ადამიანებისა, ვისაც საცოდავ ხელფასს უხდიდნენ ან კიდევ ამაზე უფრო უარესს, ხელმიშვებულ და ზარმაც ბოსნიელებს უყურებდნენ, მოთარეშე რაზმებში რომ ჩაერიცხათ. ახლა მათ პირველად დაინახეს საკუთარ ძალებში დარწმუნებული, გამარჯვებული დიდი სახელმწიფოს ძლევამოსილი, ბრწყინვალე ლაშქარი. ეს ლაშქარი, რა თქმა უნდა, თვალსაც მოსჭრიდათ და ენასაც დაუბამდათ. საკმარისი იყო, ერთხელ შეგეხედათ ნაპატიები ცხენებისა და ჯარისკაცების მუნდირებზე მოელვარე ღილებისათვის, რომ, ამ საზეიმოდ გამოწყობილი ეგერებისა და ჰუსარების მიღმა ძლიერი და ღრმა ზურგი დაგენახათ, გეგრძნოთ სრულიად ახალი სამყაროს წესრიგი და კეთილდღეობა. მათი გაოცება უსაზღვრო იყო და ნანახი დიდხანს არ წაშლიათ მეხსიერებაში. წინ ნაცრისფერ, ნასუქ ცხენებზე ამხედრებული ორი მებუკე მოდიოდა — უკან ყორნისფერ ცხენებზე შემჯდარი ჰუსარების რაზმი მოჰყვებოდათ. ცხენები ბზინავდნენ და გასათხოვარი ქალიშვილებივით, შეკავებული ნაბიჯით მოდიოდნენ. ჰუსარებს უსაჩიხო წითელი ქუდები ეხურათ, მკერდი ყვითელი ყაითნით ჰქონდათ ამოქარგული. ყველა ერთნაირად ღაჟღაჟა და გარუჯული იყო. ზევით აგრეხილი პატარა ულვაშები და ისეთი გამოძინებული და ცოცხალი გამოხედვა ჰქონდათ, გეგონებოდა ეს-ეს არის ყაზარმებიდან ახლახან გამოსულანო. უკან ექვსი ოფიცერი მოდიოდა, რომელთაც პოლკოვნიკი მოუძღოდა. ყველას მზერა მისკენ

იყო მიპყრობილი. ცხენიც სხვებზე უფრო მოხდენილი ჰყავდა, ყარყარა და მოქნილკისრიანი. ოფიცრებს ფეხოსანთა რაზმი მოსდევდა, ეგერებს მწვანე ფორმა ეცვათ, ტყავის ქუდებზე ფრთები ჰქონდათ მიმაგრებული, გულმკერდზე კი თეთრი ფერის აქსელბანდები. შემოგარენი სულ მთლად დაფარეს, გეგონებოდა, ცოცხალი ტყე დაიძრაო. მებუკეებმა და ჰუსარებმა სასულიერო პირებსა და ყარაულის უფროსს ჩაუარეს, მოედანზე გაჩერდნენ და მოეწყვნენ. მღელვარებისაგან გაფითრებული ქალაქის მამები კაპიაზე იდგნენ და მოახლოებულ ოფიცრებს მისჩერებოდნენ. ერთი ოფიცერი პოლკოვნიკთან მივიდა და რაღაცა უთხრა. პოლკოვნიკმა ცხენი შეაჩერა. სულიერი მამებისაგან რამდენიმე ნაბიჯზე ჩამოქვეითდა; თითქოს ნიშანი მისცესო, ოფიცრებმაც მას მიბაძეს, მაშინვე ჯარისკაცებმა მოირბინეს, ცხენები ჩამოართვეს და დაქვეითდნენ. როგორც კი ფეხი ჩამოდგა მიწაზე, პოლკოვნიკი თითქოს გამოიცვალაო. ტანდაბალი და შეუხედავი გამოდგა, დაღლილობა დამჩნეოდა და ვერაფერი საყურებელი იყო. გარეგნობა კარგს არაფერს უწინასწარმეტყველებდათ. თავი ისე ეჭირა, გეგონებოდა ყველას მაგივრად თვითონ უომიაო. მხოლოდ ახლა გახდა შესამჩნევი რა უბრალოდ, რა ძალზე დაუდევრად ეცვა. იმ გამოკვალთულ და კოხტაპრუნა ოფიცრებთან შედარებით რამდენად ულაზათოდ გამოიყურებოდა. პოლკოვნიკი იმ კაცს ჰგავდა, რომელიც ძალ-ღონეს არ ზოგავს და სიცოცხლეს შეუბრალებლად ფლანგავს. გარუჯული სახე წვერით გაბანჯგვლოდა, მოუსვენარი და ამღვრეული თვალები ჰქონდა, მაღალი კისერი გვერდზე მოქცეოდა. გამხდარი ტანისათვის შეუფერებელი, დაჭმუჭვნილი ფართო მუნდირი და მოკლე პაჭიჭებიანი კავალერისტის ჩექმები ეცვა, რომელსაც მოუვლელობისაგან პენი დაჰკარგვოდა. პოლკოვნიკი ფართო ნაბიჯებითა და მათრახის ქნევით მიუახლოვდა. ერთ-ერთმა ოფიცერთაგანმა უპატაკა და მათ წინ მდგარ ადამიანებზე მიუთითა. პოლკოვნიკმა მრისხანე შავი თვალებით ხალხს სწრაფი და გამგმირავი მზერა ესროლა, იმ კაცის გამოხედვა ჰქონდა, ვინც მუდმივად თვალებში უყურებს. მაშინვე იტყოდით, ამ კაცს სხვანაირი ყურება არც ეხერხებაო.

და აი, წყნარ, დაბალ ხმაზე მამაო ნიკოლა ალაპარაკდა. პოლკოვნიკმა თავი ასწია და მზერა შავ ანაფორიან, ნარმოსადეგი შესახედაობის მამაკაცის სახეს მიაპყრო. ბიბლიური პატრიარქივით კეთილსახიერმა და წყნარმა მღვდელმა წუთით მიიზიდა პოლკოვნიკის ყურადღება. შეიძლება, მის ლაპარაკს პოლკოვნიკი ყურსაც არ უგდებდა ან არ ესმოდა

მისი, მაგრამ მოხუცის სახე რომ შეუმჩნეველი დარჩენოდა, შეუძლებელი იყო. მამაო ნიკოლა თავაზიანად, თავისუფლად ლაპარაკობდა და პოლკოვნიკს კი არა, უფრო იმ ჭაბუკ ოფიცერს მიმართავდა, მის სიტყვას რომ თარგმნიდა. ყველა სარწმუნოების სასულიერო პირის სახელით პოლკოვნიკს არწმუნებდა, რომ ქალაქელებთან ერთად ისინი ნებაყოფლობით ემორჩილებიან ახალ ხელისუფლებას და ყველა ღონეს იხმარენ ისეთი მშვიდობიანობა და წესრიგი დაამყარონ, რასაც მათი ხელისუფლება თხოულობს. თავის მხრივ კი ისინი ითხოვდნენ, ჯარმა დაიცვას ჩვენი ოჯახები და მშვიდი ცხოვრებისა და პატიოსანი შრომის საშუალება მოგვეცესო.

მამაო ნიკოლამ მოკლედ ილაპარაკა და მალე დაამთავრა. ბრაზიანმა პოლკის მეთაურმა მოთმინებიდან გამოსვლა ვერ მოასწრო, მაგრამ მაინც არ დაუცადა თარგმანის დამთავრებას, მათრახი აიქნია და უკმეხად შეაწყვეტინა:

— კარგი, კარგი! ყველას შევივრდომებთ, ვინც დაიმსახურებს. წესრიგსა და სიმშვიდეს ყველგან დავიცავთ. სხვანაირად არც შეიძლება.

თავი დაუქნია და ისე გააგრძელა გზა, არც არავისთვის შეუხედავს და არც არავის გამომშვიდობებია. ოფიცრები და ცხენოსანი ჯარისკაცები უკან მიჰყვნენ. ყურადღება არავის მიუქცევია „სულიერი მამებისათვის“ და ისინიც მარტო დარჩნენ კაპიაზე. ოთხივე იმედგაცრუებული იყო. როგორც წუხელ, ისე ამ დილითაც თითოეულმა ასჯერ მაინც წარმოიდგინა ის წუთი, როცა იმპერატორის ჯარების პოლკის მეთაურს შეხვდებოდნენ, რაზედაც ყველა თავისებურად, თავისი ხასიათისა და ჭკუის მიხედვით ფიქრობდა და უარესისათვის ემზადებოდა. ერთი, უკვე ხედავდა საკუთარ თავს, მშობლიურ ოჯახსა და ქალაქს, სამუდამოდ ჩამოშორებულსა და შორს გერმანელებთან გადასახლებულს, მეორე ჰაირუდინს იხსენებდა, ოდესღაც ხალხს სწორედ ამ ადგილზე რომ აჭრიდა თავებს.

ყველას ეს შეხვედრა სხვადასხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი და არა ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა. ამ პატარა, გესლიან და ბოროტ ოფიცერთან შეხვედრა, რომელიც, სიცოცხლის დედააზრს ომში ხედავდა. იგი არც თავის თავზე ფიქრობდა და არც სხვებს უწევდა ანგარიშს, ადამიანებსა და სახელმწიფოებს ისე უყურებდა, როგორც ომის საშუალებებსა და საგნებს, თან ისე რომ მედიდურობდა, გეგონებათ, საკუთარი ხარჯებითა და საკუთარი სახელით ომობსო. იდგნენ „სულიერი მამები“ და აქეთ-იქით იყურებოდნენ, მათი მზერა თითქოს უსიტყვო

შეკითხვას გამოხატავდა: „ცოცხლები კი დავრჩებით? ვინ იცის კიდევ რა მოგველის?“

პირველად დაცვის უფროსი და მამაო ნიკოლა მოეგნენ გონს. ორივეს სჯეროდა, რომ ღვთისა და ხალხის კანონთა დამცველებმა თავიანთი მოვალეობა უკვე შეასრულეს და ახლა აღარაფერი დარჩენოდათ იმის მეტი, შინ წასულიყვნენ და ხალხისათვის ჩაეგონებინათ, შიში ნურაფრისა გექნებათ, გაქცევაზე არ იფიქროთ, ისევ მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმეო. დანარჩენებმაც, მთლად გაფითრებულებმა და გაოგნებულებმა, ანგარიშმიუცემლად გაიზიარეს მათი გადაწყვეტილება, რადგან თვითონ ფიქრის თავი არ ჰქონდათ. დაცვის უფროსი სიმშვიდეს კარგავდა და ახლაც, თავისი საქმეების მოსაგვარებლად წავიდა. ჩაფარი გრძელ, ჭრელ ხალიჩას ჰკეცავდა, რომელსაც პოლკოვნიკის ფეხის დაკარება არ ეწერა, მის გვერდით კი მშვიდი და ბედისწერასავით აღუშფოთებელი სალკო ხედო იდგა. ამასობაში „სულიერი მოძღვარნი“ სხვადასხვა გზით წავიდ-წამოვიდნენ. რაბინს შინ, დედასთან და ცოლთან მიეჩქარებოდა, სადაც მშობლიური ჭერის სითბო და სიმყუდროვე ელოდა. საღვთისმეტყველო სკოლის მუდერისი უფრო ნელა, ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა. ახლა, რაკი ყველაფერი ასე მოულოდნელად, იოლად და კეთილად, თუმცაღა საკმაოდ უხეშად და უსიამოვნოდ დასრულდა, მიხვდა, რომ საშიში არაფერი იყო. ისიც კი მოეჩვენა, რომ საერთოდ არასდროს, არაფრის არ შინებია. იმაზე ფიქრობდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა ეს მოვლენა მისი ქრონიკისთვის და რამხელა ადგილს დაიჭერდა. ეყოფოდა თუ არა ოცი-თხუთმეტი სტრიქონი, თუ ამაზე ნაკლებიც კი ბევრი იქნებოდა. რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, ეს რიცხვი უფრო კლებულობდა, ყოველი ამოგდებული სტრიქონის შემდეგ ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი მის გარშემო ნვრილმანდებოდა, წონას კარგავდა, ხოლო თვითონ მუდერისი კი საკუთარ თვალში იზრდებოდა და უფრო ღირსეული ხდებოდა.

მეიდანამდე მამაო ნიკოლა და მოლა იბრაჰიმი ერთად მიდიოდნენ. ავსტრიელი პოლკოვნიკის გარეგნობითა და ქცევით ორივე გაკვირვებული იყო; ორივეს შინ მისვლა და თავისიანების ნახვა ეჩქარებოდა. გზის გასაყარში ერთ წუთს შეჩერდნენ და მდუმარედ მიაჩერდნენ ერთმანეთს. მოლა იბრაჰიმი ტუჩებს აცმაცუნებდა და თვალებს ახამხამებდა, თითქოს რაღაცის თქმა ეწადა და ვერ მოუხერხებიაო. მამაო ნიკოლას ისევ დაუბრუნდა ჩვეული, ოქროს ნაპერწკლიანი ღიმილი და საკუთარი თავისა და ხოჯას გასამხნევებლად ორივეს ნაფიქრი გამოთქვა:

— ამ არმიას სისხლის სუნი უდის, მოლა იბრაჰიმ!

— მართალს ამბობ! — სისხლის სუნი უდის! — ენა დაება მოლას, მერე ორივე ხელი მაღლა ასწია და თავის ქნევით გამოეთხოვა.

მამაო ნიკოლა კი ნელი, მძიმე ნაბიჯებით სახლისკენ გაემართა, რომელიც ეკლესიის გვერდით იდგა. ცოლი გამოეგება, მაგრამ არაფერი უკითხავს. მღვდელმა მაშინვე გაიხადა ჩექმები და ანაფორა; კუნკულაც მოიხადა, ბეჭებზე სქელი, ოფლისაგან მთლად დასველებული, მონითალო ფერის შეჭაღარავებული ნაწნავი გადმოუვარდა. მღვდელი პატარა, დაბალ დივანზე ჩამოჯდა, რომლის გვერდითაც ჭიქა წყალი და შაქარი იდო.

მამაო ნიკოლა გამოცოცხლდა, თამბაქო გააბოლა და ქანცმილეულმა თვალები მილულა.

თვალწინ ბრაზიანი პოლკოვნიკის სახე უკრთოდა.

მღვდელმა ამოიოხრა, კვლავ გააბოლა და თავისთვის წყნარად ჩაიბურტყუნა:

— ჰოო, საძაგელი ახირებული ვიღაცაა, მაგისი...

ქალაქიდან დოლის ბრახუნი მოისმა, ეგერების მხიარული და წკრიალა ბუკი ახალ უცნობ ჰანგს გამოსცემდა.

თავი მეთერთმეტე

თუ ალი-ხოჯას ნვალებას სათვალავში არ ჩავაგდებთ, უდიდესი გადატრიალება ხიდთან მდებარე ქალაქის ცხოვრებაში უმსხვერპლოდ მოხდა. რამდენიმე დღეში ცხოვრება ისევ თავისი გზით წავიდა, გეგონებოდა, არაფერიც არ შეცვლილაო. ალი-ხოჯამ კი, ისევე როგორც სხვა ვაჭრებმა, კვლავ გააღო დუქანი. მხოლოდ ჩალმა ოდნავ ჩამოიწია მარჯვენა ყურზე, რათა ნაიარევი არ გამოსჩენოდა. ტყვიასავით მძიმე ნაღველს, გულზე რომ დაანვა, როცა ავსტრიელი სანიტრის მკლავზე წითელი ჯვარი დალანდა და ცრემლიანი თვალებით იმპერატორის მოწოდება წაიკითხა, უკვალოდ არ ჩაუვლია. იგი იმ კრიალოსნის პატარა მარცვლისოდენა გახდა, ერთთავად თან რომ დაჰქონდა. მაგრამ მარტო ალი-ხოჯა ხომ არა გრძნობდა ასეთ სიმძიმეს.

ასე რომ, დაიწყო ახალი დროება, უცხოთა ბატონობის ხანა. ადამიანები, რომელთაც მათთან ბრძოლის თავი არა ჰქონდათ, გულის სიღრმეში ამ ბატონობას დროებითად რაცხდა.

მათი ბატონობის პირველ წლებში ხიდზე რა აღარ გადაჰქონდათ. გაუთავებელ მწკრივებად, გრიალ-გრიალით გადადიოდნენ ყვითელი სამხედრო ოთხთვალები, ქალაქში სურსათი, ტანსაცმელი, ავეჯი, რაღაც საოცარი ნივთები და მოწყობილობები მოჰქონდათ.

პირველ ხანებში ირგვლივ მხოლოდ ჯარს თუ დაინახავდით. ყოველი კუთხიდან და ბუჩქიდან როგორც მიწიდან სოკოები, ისე ნამოყოფდნენ ხოლმე თავს ჯარისკაცები, უმეტესად ბაზართან იყრიდნენ თავს, თუმცა არც ქალაქის სხვა უბნებში იყვნენ ნაკლებად. ხან აქ, ხან იქ, ეზოებიდან თუ ბაღებიდან მოისმოდა ჯარისკაცებთან უეცრად შეფეთებული, შეშინებული ქალების კივილი. ყველგან მათი მუქი ცისფერი მუნდირები ელავდა.

ორთვიან შეტაკებებსა და ლაშქრობაში გარუჯული ჯარისკაცები მთელ ქალაქსა და შემოგარენს მოედვნენ. ყველას უხაროდა, რომ ცოცხლები გადარჩნენ და დასვენება და გართობა სწყუროდათ. დღისით, რა დროსაც გინდოდათ, მაშინ იხილავდით ხიდზე ჯარისკაცებს, სამაგიეროდ, ქალაქელები იშვიათად გამოდიოდნენ და კაპიაც ყოველთვის ავსტრიელებით იყო სავსე. ტყავის წინაფრიანი ცისფერი ქუდები ეხუ-

რათ. ლითონის კოკარდებზე კი ინიციალები „ფ. ი“*. ჰქონდათ ამოტვიფრული. სხვადასხვა ენაზე გასძახოდნენ სიმღერებს, ოხუნჯობდნენ და ხილის ყიდვით ირთობდნენ თავს.

შემოდგომის პირზე ჯარი ქალაქიდან ნელ-ნელა გაილალა. თანდათანობით მცირდებოდა ჯარისკაცთა რაოდენობა და ბოლოს მხოლოდ ჟანდარმერიის რაზმებიღა დარჩა. მაგრამ ქალაქში ასევე თანდათანობით ჩამოდიოდნენ მოხელეები, წვრილი თუ მსხვილფეხა მოსამსახურეები ოჯახებითა და შინამოსამსახურეებით. მათ ისეთი ხელობის ოსტატები და სპეციალისტები მოჰყვნენ, რაზედაც მანამდე ქალაქში არაფერი გაეგონათ, ისინი სხვადასხვა ეროვნებისანი — ჩეხები, პოლონელები, ხორვატები, უნგრელები და გერმანელები იყვნენ.

თავიდან ეგონათ, რომ ეს ადამიანები შემთხვევით გამოჩნდნენ, თითქოს ქარმა გადმოტყორცნაო. ფიქრობდნენ, დროებით ჩამოვიდნენ და ისე იცხოვრებდნენ, რომ ვიშეგრადელების ოდითგან დაწესებულ ნესებს ნირს არ შეუცვლიდნენ და სამოქალაქო ხელისუფალნი ჯარის მიერ შემოღებულ საოკუპაციო რეჟიმს გარკვეული ხნით შეინარჩუნებდნენ. ჩამოსულთა რიცხვი ყოველთვიურად იზრდებოდა, მაგრამ ქალაქელებს ყველაზე უფრო აკვირვებდა და უნდობლობის გრძნობას უღვივებდა არა ჩამოსულთა სიმრავლე, არამედ მათი უდიდესი გეგმები, დაუღალავი საქმიანობა და ის შეუპოვრობა, რითაც ისინი საქმეს ეჭიდებოდნენ. მოსულები თვითონაც დაუდგრომლად ფუსფუსებდნენ და სხვებსაც არ აძლევდნენ მოსვენებას; გადაწყვეტილი ჰქონდათ მთელი ცხოვრება, იქაური ადამიანები, მათი ავლადიდება და საქონელი თავიანთი საკუთარი კანონების, განკარგულებებისა და ბრძანებების უხილავ ქსელში გაეხლართათ. სურდათ, როგორც ქალაქის გარეგანი სახე, ისე ქალაქელების ზნე-ჩვეულებები ადგილიდან დაეძრათ და შეეცვალათ. ყველაფერი მშვიდად, საქმიანად, ძალდაუტანებლად, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე კეთდებოდა; გეგონებოდა, თითქოს არც არაფერი არის აქ წინააღმდეგობის გასაწევიო. როგორც კი სადმე რაიმე წინააღმდეგობას ან გაუგებრობას წაანყდებოდნენ, მაშინვე უკან იხევდნენ, სადღაც მალულად მოილაპარაკებდნენ, თავიანთი მუშაობის გეზსა და მეთოდს შეიცვლიდნენ და ხელახლა უბრუნდებოდნენ პირვანდელ ჩანაფიქრს. ყველა წამოწყებული საქმე ძალზე უწყინრად, ხან კი სრულ უაზრობადაც მოგეჩვენებოდათ. რას აღარ აკეთებდნენ, გამცდარ ხოდაბუნებს ზომავდნენ, ტყეში ხეებს ნაჭდევებს უკეთებდნენ,

* ფ. ი. — ფრანც-იოსები.

სანაგვე ორმოებსა და არხებს ათვალიერებდნენ, ცხენებსა და ძროხებს კბილებს უსინჯავდნენ, სასწორებსა და საწონებს ამოწმებდნენ, ხალხში გავრცელებული დაავადებების, ხიდის, ცხვრისა და ფრინველის ჯიშის ამბავს კითხულობდნენ. ხალხის თვალში ეს ფუსფუსი უაზრო, ფუქსავატური თამაში იყო, რომელსაც ცხოვრებასთან არაფერი ჰქონდა საერთო.

ყველაფერი, რასაც ასეთი გულმოდგინებითა და გატაცებით აკეთებდნენ, თითქოს სამუდამოდ სადღაც უკვალოდ ქრებოდა, მაგრამ რამდენიმე თვის ან შეიძლება ერთი წლის შემდეგ, როცა ხალხი ყველაფერს დავიწყების ბურუსში ხვევდა, ეს ახირებული და დიდი ხნის გადავიწყებული წამოწყებები უეცრად ამოტივტივდებოდა. ქალაქის სამმართველოში — ყუნახში ცალკეული უბნის მამასახლისს გამოიძახებდნენ და განკარგულებას იძლეოდნენ: ტყის გაჩეხვა იყო ეს, ტიფთან ბრძოლა, ხილისა და კანფეტების გაყიდვა თუ საქონლის აღწერა. დღე არ გათენდებოდა, ახალი განკარგულება არ გაეცათ. ყოველი ასეთი განკარგულება ცალკეულ მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვას ან გაზრდას კი არ ითვალისწინებდა, არამედ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა და მთელი ქალაქისა თუ სოფლის ცხოვრებას მოიცავდა.

თურქთა კი არა, სერბიელთა ოჯახებშიც არაფერი შეცვლილა. ხალხი წინანდებურად ცხოვრობდა, შრომობდა და ერთობოდა. პურს ვარცლში ზელდნენ, ყავას ხარშავდნენ, თეთრეულს ხის გობებში მდუღრავდნენ და მერე ნაცარტუტაში რეცხდნენ, რისგანაც ქალებს ხელები ამოჭმული ჰქონდათ. დაზგებსა და ქარგებზე ქსოვდნენ და ქარგავდნენ. საოჯახო დღესასწაულზე, უქმეებსა და ქორწილებზე ძველ ზნე-ჩვეულებებს მკაცრად იცავდნენ. იმაზე კი, რაც უცხოელებმა შემოიტანეს, მხოლოდ მალულად, ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და რაღაც წარმოუდგენლად და შორეულად მიაჩნდათ. მოკლედ რომ ვთქვათ, ხალხი ისევე ცხოვრობდა და მუშაობდა, როგორც ოდითგანვე ჰქონდათ წესად და როგორც ოჯახების უმრავლესობა იცხოვრებს უცხოელთა ბატონობის დღიდან ათი და ოცი წლის შემდეგაც. სამაგიეროდ, ქალაქი გარეგნულად გაცილებით სწრაფად და შესამჩნევად სხვაფერდებოდა. იგივე ადამიანები, რომლებიც ოჯახებში შეუბღალავად იცავდნენ ძველ ადათ-წესებს და მასთან შელევას არც აპირებდნენ, ქალაქის სახეცვლილებას ადვილად ეგუებოდნენ: ერთს გაიკვირვებდნენ, ცოტა ხანს წაიბუზღუნებდნენ, მერე კი ყველაფერი იმით მთავრდებოდა, რომ ახალწამოწყებულ საქმეს მშვენივრად ეჩვეოდნენ, როგორც ყველგან და ყოველთვის ხდება ხოლ-

მე ასეთ დროს. ახალი ცხოვრება ძველ ცხოვრებას უპირისპირდებოდა. ძველი ცნებები და ღირებულებანი ახალს ეჯახებოდა, ერთმანეთში ითქვიფებოდა ან ერთიმეორის მხარდამხარ განაგრძობდა არსებობას, თითქოს ელოდნენ რომელი რომელს აჯობებსო. ხალხი, ფორინტებითა და კრეიცრებითაც ანგარიშობდა და გროშებითაც და ფარებითაც. არშინით, დრამითა და ოყით* ისევე ზომავდნენ და სწონიდნენ, როგორც მეტრებით, გრამებითა და კილოგრამებით. სესხის გადახდის ვადებს ახალი კალენდრითაც საზღვრავდნენ, მაგრამ უმეტესად იგორის ან დიმიტრის დღესასწაულისათვის იხდიდნენ სესხს.

ადამიანებს ბუნებით აქვთ თანდაყოლილი მტრულად შეხვდნენ ყველაფერ ახალს. მაგრამ ეს ათვალწუნება ხანგრძლივი არ არის, რადგან უმეტესობისათვის თვითონ ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ფორმა, რომლითაც ცხოვრება გვევლინება. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გათამაშდება ნამდვილი დრამა, ძველსა და ახალს შორის გაჩაღებული ბრძოლის დრამა. ასეთი განცდები მხოლოდ იმათ ჰქონდათ, ვისთვისაც ცხოვრების ეს ფორმა მის არსთან განუყოფლად და უცილობლად იყო დაკავშირებული.

ერთ-ერთი ასეთი ადამიანი გახლდათ ცირნიცელი შემსი-ბეგ ბრანკოვიჩი, იგი ვიშეგრადის ყველაზე მდიდარი და დიდებული ბეგი იყო. ექვსი ვაჟიშვილიდან ოთხი უკვე დაოჯახებული ჰყავდა. მათი სახლებით პატარა სოფელი შეიქმნა: მინდვრებით, ბაღებით, წარაფებით დამშვენებული სოფელი. ოჯახის მამამთავარი, სიტყვაძვირი და მკაცრი, სიბერისაგან მხრებში მოხრილი, მაღალი შემსი-ბეგი ოქროს სირმებით მოქარგულ ვეებერთელა თეთრ ჩალმას ატარებდა და მხოლოდ პარასკევობით, შუადღის ხანს, ჩამოდიოდა ბაზარში მეჩეთში სალოცავად. უცხოელთა ბატონობის პირველი დღიდანვე ქალაქში თითქმის არ გამოდიოდა, არავის ხმას არ სცემდა, ზედაც არ უყურებდა. ბრანკოვიჩების სახლში არც ახალი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, არც ახალი ხელსაწყო-იარაღები და სიტყვები არ გაჭაჭანებულა. შვილებს აკრძალული ჰქონდათ რაიმე ურთიერთობა დაემყარებინათ ახალ მმართველობასთან. ბავშვებს სკოლაში არ უშვებდა, რის გამოც მთელი ოჯახი იტანჯებოდა. ვაჟიშვილები მამის ჯიუტობით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ არავის შეეძლო, სიტყვითა თუ უბრალო გამოხედვით მაინც, მოხუცის სურვილს წინ აღდგომოდა. უცხოელებთან მომუშავე

* ძველ თურქულ ზომის ერთეულები: 1 ოყა = 400 დრამი = 1,25-1,28 კგ.

თურქები მოედანზე მიმავალ შემსი-ბეგს მოწიწებით ესალმებოდნენ. ამ სალამში შიში, გაკვირვება და სინდისის ქენჯნა იყო შერეული.

ვიშეგრადის ყველაზე დიდგვაროვანი და პატივცემული თურქები ხშირად მიდიოდნენ ცირნიცაში, რათა შემსი-ბეგთან დამსხდარიყვნენ და ემუსაიფათ, გეგონებოდა, სალოცავად დადიანო. მის სახლში ისეთი ხალხი იკრიბებოდა, ვისაც არ უნდოდათ სინამდვილესთან შერიგება და მზად იყო ბოლომდე თავისაზე მდგარიყო. შეხვედრები კარგახანს გრძელდებოდა, მაგრამ ძალზე სიტყვაძუნწობდნენ და გარკვეული დასკვნები ვერ გამოჰქონდათ.

ზამთარ-ზაფხულ სულ ერთნაირად ღილებშეკრული, ჩაფუთნული შემსი-ბეგი თხელ წითელ ხალიჩაზე ზის, ხელში ჩიბუხი უჭირავს, ირგვლივ სტუმრები შემოსხდომიან. ლაპარაკობენ მუდამ ავსტრიელების რომელიმე ახალ, უცნაურ და მიუღებელ ნამოწყებაზე, ან იმ თურქებზე, რომლებიც სულ უფრო და უფრო ეგუებიან ახალ წესწყობილებას. თითოეული სტუმარი ცდილობს ამ მკაცრსა და ღირსეულ ადამიანთან თავისი გაოცება, შიში და გულისტკივილი გამოთქვას. დაბოლოს, საუბარი მუდამ ერთი და იმავე შეკითხვებით მთავრდება. სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი და რითი გათავდება? ვინ არიან ეს უცხოელები, არც დასვენება, არც სიმშვიდე, არც არაფრის ზომა და საზღვარი რომ არ იციან? რა სწადიათ? რა განზრახვით მოსულან? საიდან აქვთ ამდენი მომთხოვნელობა, ეს რა საღერღელი აქვთ აშლილი, რა ღვთის რისხვაა შეუჩერებლივ რომ მიერეკებიან ადამიანებს და ახალ წამოწყებებსა და საქმიანობაში ჩაბმას აიძულებენ.

შემსი-ბეგი მათ მისჩერებია და ერთთავად დუმს. სახეზე მინისფერი ადევს, მაგრამ არ გეგონოთ მზისაგან ჰქონდეს სახე გარუჯული. ეს შიგნიდან გამოაღწიეს მუქმა ჩრდილებმა.

მიმქრალ თვალებს ბებერი, კლანჭდაცვეთილი არწივივით შავი გუგების ირგვლივ მოთეთრო-მონაცრისფრო წრეები გასჩენია და ჯიქურ იცქირება, მაგრამ ჩინდაკარგულივით თითქოს ვერაფერს ამჩნევს, ჩანაჩამოვარდნილ დიდ პირს აცმაცუნებს, გეგონება, ერთსა და იმავე სიტყვას ღეჭავსო.

და მაინც ადამიანები მისგან შვებამონიჭებული ბრუნდებოდნენ. არც ნუგეშნაცემი იყვნენ და არც დაწყნარებულები, მაგრამ მისი ვაჟკაცური და უიმედო ქედმოუხრელობა გულს უჩუყებდათ და აღტაცებას ჰგვრიდათ.

თუმცა მომდევნო პარასკევს ბაზრის მოედანზე გამოსული შემსი-ბეგი მაინც ამჩნევდა ადამიანებისა და თუ მათი სახლების რაღაც სახეცვლილებას. იმას, რაც გასულ პარასკევს არ იყო. შემსი-ბეგს კი ამის დანახვა არ სურდა, თვალებს ძირს ხრიდა და მინას აშტერდებოდა, მაგრამ აქაც, ქუჩის შემხმარ ტალახში, ცხენის ფლოქვების ნაკვალევში, თურქული მრგვალი ნალის გვერდზე სულ უფრო ხშირად ამჩნევდა შვაბური წვეტებიანი ნალების მოხრილ ანაბეჭდებს. ასე რომ, გზაზე ავარდნილ მტვერშიაც მისი მზერა იმავე მკაცრ განაჩენს კითხულობდა, რომელსაც ხშირად ხედავდა ადამიანთა სახეებსა და მათ ნივთებზე, გრძნობდა დროის განაჩენს, რომლის შეჩერებაც შეუძლებელი იყო. რაკი მიხვდა ირგვლივ მომხდარ ცვლილებათა შეუმჩნევლობა უკვე აღარ შეიძლებაო, შემსი-ბეგმა ქალაქში გამოსვლა აკრძალა და შინიდან ფეხს აღარ იცვლიდა: მდუმარე, მაგრამ მკაცრი და ულმობელი კაცი ოჯახისათვის, ყველასათვის, უფრო კი საკუთარი თავისათვის მძიმე ტვირთად გადაიქცა. მოხუც ვიშეგრადელ თურქებს თავი არ მიუნებებიათ და როგორც ცოცხალ წმინდანს, ისე ნახულობდნენ. მისი ხშირი სტუმარი იყო ალი-ხოჯა. უცხოელთა ბატონობის მესამე წელს შემსი-ბეგი მოკვდა. მოკვდა ისე, რომ ფრჩხილიც არ წამოსტკენია. ერთხელაც არ წამოსცდენია ის მწარე სიტყვა, ყოველ წამს ენის წვერზე რომ ეკიდა მის ბერიკაცულ ბაგეს, აღარც ბაზარი უხილავს მეტად, სადაც ახლა ყველაფერი ახლებურ ყაიდაზე იყო.

ქალაქი, მართლაც, სწრაფად იცვლიდა ელფერს: სადღაც უცხოელები ხეებსა სჭრიდნენ, სადღაც კი, პირიქით, ნერგებსა რგავდნენ. ახალი გზები გაჰყავდათ, თანაც არც ძველის შეკეთება ავიწყდებოდათ. თხრიდნენ არხებს, აშენებდნენ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებს. ავსტრიელთა მოსვლის პირველ წელსვე ბაზარში წინ გამოჩრილი დუქნები აიღეს, თუმცა ეს დუქნები, სიმართლე რომ ითქვას, არავის არაფერს უშლიდა. ყავრით გადახურული, ძველებური დუქნების სანაცვლოდ ახალი, მკვიდრი შენობები ააშენეს, კრამიტითა და თუნუქით გადახურეს და კარებს ლითონის ფარდები გაუკეთეს. ალი-ხოჯას დუქნის აღებასაც აპირებდნენ, მაგრამ ხოჯა მაგრად დაუდგა. დავა ატეხა, საქმე სასამართლომდე მიიყვანა და იქამდე იჩხერკედელავა, ვიდრე თავისი არ გაიტანა.

მოედანი გააფართოეს და მოასწორეს. ახალი მაღალი ყუნახი ააშენეს, შიგ სასამართლო და საოლქო მმართველობა მოათავსეს. სამხედროები სამოქალაქო ხელისუფლებაზე უფრო სწრაფად და გაბედუ-

ლად მოქმედებდნენ: აშენებდნენ ბარაკებს, ხეებს გლეჯდნენ და იმათ ადგილზე ახლებს რგავდნენ. ვიშეგრადის გორაკებსაც კი ველარ იცნობდით.

მოხუცების გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. გასაოცარი კი მართლაც ბევრი რამ გააკეთეს. საკმარისი იყო ეფიქრათ, აი, ახლა კი დადგა ამ უაზრო გულმოდგინების დასასრულიო, რომ უცხოელები ახალ, კიდევ უფრო გაუგებარ საქმეს იწყებდნენ. ქალაქელებიც იდგნენ და შეჰყურებდნენ მათ მუშაობას. ოღონდ ისე კი არა, როგორც ბავშვებს უყვართ უფროსების მუშაობის ყურება, პირიქით, როგორც უფროსები შეჩერდებიან ხოლმე, რათა ბავშვების თავშესაქცევარს წამიერად შეხედონ: არავის ესმოდა და ვერც აფასებდნენ შენებისა და ნგრევის, თხრისა და შექმნის, აგებისა და გადაკეთების მუდმივ მოთხოვნილებას, რაც უცხოელებსა ჰქონდათ. არავის არ ესმოდა მათი გაუნელებელი მისწრაფება, გამოეცნოთ ბუნების ძალების მოქმედება, რათა საკუთარი მიზნებისათვის დაემორჩილებინათ ან ებრძოლათ მის წინააღმდეგ. პირიქით, ყველა ქალაქელი და განსაკუთრებით კი მოხუცები ამაში უბედურების ცუდ ნიშანს ხედავდნენ. მათი ნება რომ ყოფილიყო ვიშეგრადიც ისეთივე იქნებოდა, როგორც ყველა სხვა აღმოსავლური ქალაქი. ისინი გაამაგრებდნენ ყველაფერს, რაც კი დანგრევის პირზე იქნებოდა. გადაღრეცილ ნაგებობებს ბიჯგებს შეუყენებდნენ, ოღონდ ამ აუცილებელი საქმის გარდა, სხვა სამუშაოს არავინ გამოძებნიდა, მით უმეტეს, მომავლის გეგმებით არავინ იხელმძღვანელებდა. ხელსაც არავინ ახლებდა შენობის საძირკველს და ღვთისაგან მინიჭებულ სახეს ქალაქს არ დაუკარგავდა.

მაგრამ მათდა გასაკვირად, უცხოელები სწრაფად და თანამიმდევრულად მუშაობდნენ. თან საქმიანობდნენ, რაღაც უცნობი, საგულდაგულოდ დამუშავებული გეგმით. ასე მიდგა ჯერი გაუქმებულ, უპატრონოდ მიგდებულ ქარვასლაზე, რომელიც ისევე, როგორც ამ სამასი წლის წინათ, თავისი დღევანდელი შესახედაობითაც კი ხიდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. თუმცა, რასაც „ქვის სასტუმრო" ერქვა, დიდი ხანია ნანგრევებად ქცეულიყო. კარები დალპა, ფანჯრების თლილი ქვის გისოსები დაიმტვრა, სახურავი ფამფალებდა, შენობის შიგნით აკაციები ამოვიდა, შამბნარითა და ბუჩქნარით დაიფარა, მაგრამ კედლები ჯერ ისევ მთელი იყო; თეთრი ქვის სწორკუთხედიც ისევ ძველებურად იდგა. მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე

ქალაქელები მიეჩვივნენ შენობას და ჩვეულებრივ ნანგრევებად როდი მიიჩნევდნენ.

ქარვასლას ხიდის დამატებად თვლიდნენ, საკუთარი სახლივით ქალაქის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ; სიზმრადაც კი არავის მოლანდებია ქარვასლისთვის ხელის ხლება და რაიმეს შეცვლა, გარდა იმისა, რაც დრომ და ბუნებამ თავისით შეცვალა.

მაგრამ მოსულებმა ქარვასლისთვისაც მოიცალეს. ჯერ ინჟინრები ზომავდნენ ქარვასლის შორიახლო ნაკვეთს, მერე დღიური მუშები მოვიდნენ და კედლებიდან ერთიმეორის მიყოლებით ქვების ჩამოყრა დაიწყეს და ნაპრალებში შებუდული ფრინველები და პატარა მხეცები დააფრთხეს. მალე ბაზარსა და ხიდს შუა მოედანი დაცარიელდა და სასტუმროსაგან მხოლოდ თეთრი ქვის მწკრივებილა დარჩა. ორი წელიც არ იყო გასული, რომ ზედ ორსართულიანი ყაზარმა დააშენეს, ღია ცისფრად შეღებეს და ნაცრისფერი თუნუქით გადახურეს, კუთხეებში კი საზარბაზნე ამბრაზურები დაატანეს. ფართო მოედანზე მთელი დღე გაჰკიოდა კაპრალი და ჯარისკაცებს ავარჯიშებდა, ჯარისკაცები ტანჯული სახით იქნევდნენ ხელ-ფეხს, მტვრიან მინაზე პირქვე ემხობოდნენ, თითქოს მოულოდნელად თავს დატეხილ უბედურებას შებმიანო.

მწუხრისას კი, ამ უხეირო შენობის უამრავი ფანჯრიდან პირის გარმონის ხმას შეწყობილი გაუგებარ ენაზე დამღერებული ჯარისკაცების სიმღერები მოისმოდა. მერე სამხედრო საყვირის სევდიანი მელოდია ისმოდა, რომლის გაგონებაზეც, თითქოს ვიღაცამ ბრძანება მისცათო, ქალაქის ძაღლები ყმუილს იწყებდნენ. ყაზარმაშიც ყოველგვარი ხმაური წყდებოდა და ფანჯრებში შუქი ქრებოდა. ასე აღიგავა ლამაზი შენობა, ვეზირის წმიდათაწმიდა ნაბოძვარი. ასე გაჩნდა ხიდის მეზობლად გარემოსთან სრულიად შეუხამებელი ყაზარმა, რომელსაც ხალხი ძველი ჩვეულებისამებრ ისევ „ქვიტკირის სასტუმროს“ ეძახდა.

ამიერიდან ხიდი მარტო და განცალკევებით დარჩა. რასაკვირველია, ქალაქის ფესვებგადგმული ჩვევები ხიდზეც ეჯახებოდა უცხოელების შემოტანილ ახალ წესებს. ხშირ შემთხვევაში იძულებული იყვნენ ახალ წესებს შეჰგუებოდნენ, აქაური ძველი ჩვევები დაეთმოთ. რამდენადაც ეს ვიშეგრადელების საქმე იყო, კაპიაზე ცხოვრება, ისევ ძველებურად მიდიოდა, ოღონდ აშკარად შეიმჩნეოდა, რომ ახლა სერბიელებსაც და ებრაელებსაც უფრო თავისუფლად ეჭირათ თავი. ხიდზე სიარულს მოუხშირეს. თურქების ადათებსა და ზნე-ჩვეულებებს წინანდებურად ანგარიშს აღარ უწევდნენ და ისე მიმოდიოდნენ, დილა-შუადღე აღარ

გააჩნდათ. სხვა ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. დილიდან საღამომდე ისხდნენ გადამყიდველები თუ ვაჭრები და სოფლელი გოგოებისგან მატყლს, კვერცხსა და ქათამს ყიდულობდნენ. აქვე დაყიალობდნენ ყველა ჯურის ცრუქაქუნები, რომლებიც მიჩვეულები იყვნენ მზის ამოსვლისთანავე ქალაქში უქმად ხეტიალს. საღამოობით კი სხვა ჯურის ხალხი იყრიდა თავს. მაშვრალი ხალხი სამუსაიფოდ თუ ისე, კაპიაზე დასაჯდომად მოდიოდა, რათა დაბალი, წნორის ჭალებით დაფარული ნაპირებისა და ქვიშიანი მეჩეჩების ჩარჩოში ჩასმული მწვანე მდინარისათვის ეცქირათ. ღამე კი ახალგაზრდებისა და მოქეიფეებისა იყო. მათ ძველებურად, არც ქცევის რაიმე წესებით და არც დროით არავინ ზღუდავდა.

ხიდზე, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში მაინც, სწორედ ღამის ამ საათებში ხდებოდა სხვადასხვა ამბები და გაუგებრობანი, ახალმა ხელისუფლებმა ქალაქში მუდმივი განათება შემოიღეს. ჯერ კიდევ უცხოელთა ბატონობის დასაწყისშივე მთავარი ქუჩებისა და გზაჯვარედინების მწვანე ბოძებზე ნავთის ფარნები ჩამოჰკიდეს. ფარნებს სწმენდდა, ნავთს ასხამდა და ანთებდა მაღალ-მაღალი ფერხათი. ამ მთლად ღატლაკინა კაცს შვილების მთელი ჯგრო ეხვია. მანამდე ფერხათი ოლქის უფროსს ემსახურებოდა. განსაზღვრული ხელფასი არა ჰქონდა და სხვადასხვა დავალებას ასრულებდა, რამაზანის დღესასწაულის დღეებში კი პატარა მორტირიდან გასროლა ევალებოდა. რამდენიმე ადგილას ხიდიც გაანათეს. ერთი ფარანი კაპიაზეც დადგეს. ფარნის დასადგამი, ოდესღაც ამ ადგილას აღმართული სადარაჯო კოშკისაგან შემორჩენილ, მუხის ძელზე იყო მიმაგრებული. კაპიაზე დადგმულ ფარანს ხანგრძლივი ჭიდილი დასჭირდა იმ ხალხთან, ვისაც სიმღერა, ლაპარაკი თუ თუთუნის გაბოლება სიბნელეში უყვარდა. ფარანს არც ისინი აყრიდნენ ხეირს, ვისაც მოწყენილობა, არაყი თუ სიყვარული ნგრევის მოთხოვნილებას უღვიძებდა. ამ ადამიანებს შუქი აღიზიანებდათ და იძულებულნი იყვნენ თვალები მოეჭუტათ. რამდენჯერმე გამთენიისას ფარანი გატეხილი ნახეს. ფარნის ჩამსხვრევისთვის სასამართლომ ბევრს განაჩენი გამოუტანა და ფულადი ჯარიმაც ბევრმა იშვლიპა. ქალაქის ხელისუფლებმა ერთხანს ფარანს ღამის დარაჯიც მიუჩინეს და კაპიაზე ღამეული სტუმრებისათვის ცოცხალი მოწმე ფარანზე უფრო საძულველი გახდა. მაგრამ დროს თავისი გაჰქონდა და ახალი თაობაც, თანდათანობით ფარნის მკრთალ შუქზე მიეჩვია ღამღამობით საუბარს. წარამარა აღარ ესროდნენ ქვას, ჯოხსა თუ ხელში

მოხვედრილ სხვა რამ ნივთს. მთვარიან ღამეში კი, როცა კაპიაზე ხალხმრავლობა იყო, ფარანს სულაც არ ანთებდნენ.

ნელინადში ერთხელ ხიდს საზეიმოდ აჩახჩახებდნენ. ეს ხდებოდა თვრამეტი აგვიტოს წინა ღამეს — იმპერატორის დაბადების დღის აღსანიშნავად, ხელისუფალნი ხიდს ფოთლების გვირგვინითა და ნაძვის ხის ტოტებით რთავდნენ. შებინდებისას კი ასობით ფარანსა და ჭრაქს ანთებდნენ. სტეარინითა და ქონით სავსე კონსერვის უამრავი ყუთი მოაჯირების გასწვრივ გრძელ ჯაჭვებად კაშკაშებდა. ისინი მხოლოდ ხიდის მთავარ ნაწილს ანათებდნენ. ხიდის თავი და ბოლო წყვდიადში იყო ჩაფლული და ისე მოჩანდა, თითქოს განათებული ნაწილი სივრცეშია გამოკიდებულიო. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველა ცეცხლი ქრება და ყველანაირ დღესასწაულს თავისი დასასრული აქვს. მეორე დღესვე ხიდს უწინდებური სახე უბრუნდებოდა, მხოლოდ მაშინდელი თაობის ბავშვებს ჩარჩათ მეხსიერებაში არაჩვეულებრივად გადაჩახჩახებული ხიდის ნათელი და დასამახსოვრებელი სურათი, როგორც ზღაპრული სიზმარი.

ფარნების დაკიდებასთან ერთად ახალმა ხელისუფლებმა ხიდზე სისუფთავეც დაამყარეს. ამასაც თავიანთებურად აკეთებდნენ. ვაშლის მონაკბეჩი, საზამთროს თესლი და თხილის ნაჭუჭი ამიერიდან აღარ ეყარა ფილებზე.

ხიდს დილდილაობით ჰგვიდა და ასუფთავებდა მეეზოვე. ბოლოს და ბოლოს ქალაქელები ამასაც მიეჩვივნენ. ადამიანები ეჩვევიან სისუფთავეს მაშინაც კი, როცა მათი მოთხოვნილებები და ზნე-ჩვეულებანი ამას არ მოითხოვს, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ თვითონ არ იქნებოდნენ ვალდებული წესრიგი დაეცვათ.

იყო კიდევ უცხოელების მიერ შემოღებული ერთი სიახლე. ხიდის არსებობის დღიდან კაპიაზე პირველად გამოჩნდნენ ქალები, მოხელეთა ცოლები და ქალიშვილები, მათი მოახლეები და გადიები სასაუბროდ რომ შეჩერდებოდნენ, ან დღესასწაულების დღეებში ისე მოდიოდნენ, რათა თავიანთ თანამგზავრ, სამხედრო თუ სამოქალაქო პირებთან ერთად ხიდზე ჩამომჯდარიყვნენ. მართალია, ეს არც ისე ხშირად ხდებოდა, მაგრამ ახალგაზრდებს მაინც აღელვებდა და აღიზიანებდა, გუნებას უფუჭებდა ხანში შესულ ხალხს, ამ სიწყნარესა და მყუდროებაში ჩიბუხის გასაბოლებლად რომ მოსულიყვნენ.

რასაკვირველია, ქალაქელ ქალებსა და კაპიას შორის რაღაც ურთიერთობა ყოველთვის იყო, მაგრამ ეს კავშირი მხოლოდ იმაში გამოიხ-

ატებოდა, რომ ხანდახან ხიდზე გავლილ ქალებს მამაკაცები ქათინაურებს ესროდნენ, ანდა კაპიაზე ჩამომჯდარნი თავიანთი სასიყვარულო ხლართის გახსნას ცდილობდნენ, ზოგიც უიმედო სიყვარულს მისტიროდა. ბევრი მამაკაცი საათობითა თუ მთელი დღეობით იჯდა მთლად თამბაქოს ბოლში გახვეული და მდუმარედ გაჰყურებდა სწრაფად მდინარ ჩქერებს და თავისთვის „გულის გადასაყოლებლად" ჩუმად რაღაცას ღიღინებდა. ასე უხდიდნენ ხარკს სიყვარულს, რომლის გადატანა ყველა ადამიანს უწერია და თავის აცილებას ძნელად თუ ვინმე ახერხებს. ახალგაზრდა რაყიფთა ბევრი შეხლა-შემოხლა ჩაუშოშმინებიათ და ბევრი სასიყვარულო ხრიკები ჩაუფიქრებიათ. ბევრი უსაუბრიათ და უოცნებიათ ქალებსა და სიყვარულზე, ბევრი ვნებანი და გატაცებანი ჩასახულა და გამქრალა კაპიაზე. ეს ყველაფერი წინათაც ხდებოდა, მაგრამ არც ქრისტიანები და, მით უმეტეს, მუსულმანი ქალები, ხიდზე არასოდეს ჩერდებოდნენ და არც კაპიაზე მსხდარან როდისმე. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა.

სადღესასწაულო დღეებში და კვირაობით კაპიაზე მოდიოდნენ ლოყებღაჟღაჟა მზარეული ქალები, მსუქან ტანზე ისე მაგრად ჰქონდათ შემოჭერილი კორსეტები, ძლივსღა სუნთქავდნენ. ამ ქალებს ბრჭყვიალა ლითონის ღილებიან მუნდირებში გამოწყობილი, წითელი აქსელბანდებიანი თაყვანისმცემლები მოსდევდნენ, რომლებსაც მკერდზე მსროლელი ნაწილების განმასხვავებული ნიშნები ეკეთათ. სამუშაო დღეებში კი საღამოობით მოხელეები და ოფიცრები ცოლებთან ერთად სეირნობდნენ; ისინი კაპიაზე ჩერდებოდნენ. ქალაქელთათვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ, ხმამაღლა იცინოდნენ და ძალზე თავისუფლად, ძალდაუტანებლად ეჭირათ თავი. სწორედ ეს გამოპრანჭული, მოღიმარე ქალები ხალხს მეტ-ნაკლებად სჭრიდა თვალს.

ვიშეგრადელებს პირველად უკვირდათ და რცხვენოდათ კიდეც. მერე კი, როგორც ყველა სხვა სიახლეს, ამასაც მიეჩვივნენ, თუმცაღა გულის სიღრმეში მაინც არ მოსწონდათ, ისე კი უნდა ითქვას, რომ ხიდზე მომხდარი ცვლილებანი, ზერელე, უმნიშვნელო და ხანმოკლე იყო. მათ აზროვნებაში, ჩვევებსა და ქალაქის გარეგნულ იერში მომხდარი მრავალი და ღრმა ცვლილება კი, თითქოს სადღაც ხიდის მიღმა ხდებოდა და ხიდს არ ეკარებოდა. გეგონებოდათ, ძველთაძველი თეთრი ხიდი, რომელსაც სამმა საუკუნემ ისე გადაუქროლა, მისთვის ზიანი და რაიმე კვალი არ დაუტოვებია, „ახალი ხელმნიფის" მეფობაშიც ნირს არ შეიცვლიდა და ისევე გაუძლებდა სიახლეთა და ცვლილებათა მძაფრ

დინებას, როგორც ოდითგანვე უძლებდა ამღვრეული წყლის გაშმაგებულ შემოტევას ყველაზე დიდი წყალდიდობის დღეებში და მძვინვარე ტალღებში ისევ ისეთი თეთრი და ლამაზი მოჩანდა, თითქოს ახალი ცხოვრებისათვის ყოფილიყო დაბადებული.

ახლა კაპია უფრო გამოცოცხლდა და მხიარული ელფერი დაედო.

მთელი დღის მანძილზე ზოგჯერ ღამითაც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ჭაბუკები და მოხუცები, აქაურები თუ ჩამოსულები, უამრავი ჭრელ-ჭრელი ხალხი. საკუთარი თავის იქით ვერაფერს ხედავდნენ, ყველანი თავიანთ ფიქრსა და ვნებებს მისცემოდნენ, რასაც ისინი კაპიაზე მიეყვანა, ამიტომაც ყურადღებას არ აქცევდნენ გამვლელებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც უხალისოდ, თავჩაღუნული, საკუთარ საზრუნავსა და ფიქრებში წასული დაჩანჩალებდა, არსაით არ იყურებოდა და დივანზე ჩამომსხდრებს, თითქოს ვერც ამჩნევდა.

გამვლელთა შორის უეჭველად შენიშნავდით მაღალ, გამხდარსა და მხრებში მოხრილ ოკოლიშჩელ, მდიდარ მეპატრონე, მილან გლასინჩანინს. ისეთი გამჭვირვალე სხეული ჰქონდა, გეგონება, შიგ სინათლე გასდისო, ფეხები ტყვიასავით მძიმედ დაჰქონდა, ამიტომ სიარულის დროს ისე იხრებოდა და ირნეოდა, რიპიდას რომ არხევენ ხოლმე ბავშვები წირვა-ლოცვის დროს. თმა და წვერ-ულვაში გაჭაღარავებოდა. ხიდზე მთვარეულივით დადიოდა. ვერ ამჩნევდა კაპიასა და საერთოდ ქვეყანაზე მომხდარ ცვლილებებს. თვითონაც თითქმის მთლად შეუმჩნეველი დადიოდა იმათ შორის, ვინც აქ სამღერლად, საოცნებოდ, სალაყბოდა და დროის გასატარებლად მოსულიყვნენ. მოხუცებს მისი არსებობა აღარც ახსოვდათ, ახალგაზრდები ვერ იცნობდნენ, მოსულებს კი მასზე საერთოდ არაფერი ჰქონდათ გაგონილი. მაგრამ თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რასაც მასზე ამ ათი-თორმეტიოდე წლის წინათ ღაღანებდნენ, მისი ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული კაპიასთან.

მილანის მამა, ნიკოლა გლასინჩანინი ქალაქში მაშინ დასახლდა, როცა სერბიაში აჯანყება გიზგიზებდა. მამამისმა ოკოლიშჩეში შესანიშნავი მამული იყიდა. ხმები დადიოდა, საიდანღაც გამოიქცა და დიდძალი არმად ნაშოვნი ფულები ჩამოიტანაო. მართალია, საამისო საბუთი არავის ჰქონდა და ნათქვამიც არცთუ ისე სჯეროდათ. ეს კი იყო, ამ მითქმა-მოთქმას არავინ უარყოფდა.

ნიკოლამ ორჯერ შეირთო ცოლი, მაგრამ შვილებში უიღბლო გამოდგა, მხოლოდ ერთადერთი ვაჟიშვილი მილანი გამოზარდა და მთელი აშკარა თუ დაფარული ქონება იმას დაუტოვა (მილანსაც ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა).

მილანს ეს ქონება თავზესაყრელად ეყოფოდა და ქონებას ერთიორადაც აქცევდა, რომ იმ ერთადერთი, მაგრამ ყველაფრის შთანმთქმელი ბანქოს თამაშის ჟინით არ ყოფილიყო შეპყრობილი.

მკვიდრი ვიშეგრადელი თავისი ბუნებით არ შეიძლებოდა ბანქოს მოთამაშე ყოფილიყო. ვიშეგრადელებს უყვართ სიმღერები, ქუჩაში ხეტიალი და ქალები, უყვართ ფიქრთგასართველად მშობლიურ მდინარესთან მისვლა. მაგრამ ადამიანს არ ძალუძს ერთდროულად ყველაფრით გატაცებული იყოს, ადამიანში სხვადასხვა ვნება ერთმანეთს ეჯახება, და ხშირად შთანთქავს მეორეს. ამით იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს ვიშეგრადში არ იყვნენ ბანქოს თამაშის ჟინით დაავადებულები, მაგრამ სხვა ქალაქებთან შედარებით აქ მოთამაშეთა რიცხვი მცირე იყო. ბანქოს უმეტესად უცხო ქვეყნიდან, სხვა ქალაქებიდან ჩამოსულები თამაშობდნენ.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, მილან გლასინჩანინი მოთამაშე გახლდათ. სიჭაბუკიდანვე სულხორციანად მიეცა ბანქოს თამაშს. როცა ქალაქში შესაფერის ამქარს ვერ იპოვიდა სათამაშოდ მეზობელ ოლქში მიდიოდა და იქიდან ხან ბაზრიდან მომავალი ვაჭარივით ჯიბეგატენილი ბრუნდებოდა, ხან ჯიბეგამოფხეკილი. ზოგჯერ აღარც საათი და ძეწკვი ჰქონდა, აღარც სათუთუნე და ბეჭდები. ისეთი გაფითრებული და უძინარი იყო, გეგონებოდათ ნაავადმყოფარიაო.

ქალაქში მისი ნახვა მუდამ უსტამუიჩის სასტუმროში შეიძლებოდა, რომელიც ვიშეგრადის ბაზრის ქვევით მდებარეობდა. იქ, იმ ერთი ციცქნა, უფანჯრო ოთახში დღისითაც კი სანთელი ენთო და ორი-სამი მოთამაშე ყოველთვის იყრიდა თავს. ბანქოს ჟინით გატაცებულებს ქვეყანაზე ყველაფერი ავიწყდებოდათ.

თამბაქოს ბოლსა და დახუთულ ჰაერში გამომწყვდეულები, თვალებში სისხლმოწოლილები და ხელებაკანკალებულნი მთელ დღეებსა და ღამეებს ბანქოს თამაშში ატარებდნენ. თავისი ახალგაზრდობის მეტი წილი მილანმა ამ ოთახში გაატარა და თავისი ჭაბუკური ცეცხლი და შეძლება იქვე დატოვა. ოცდაათ წელს გადაცილებული იყო, როცა მილან გლასინჩანინის პიროვნებაში უეცარი და ბევრისათვის ამოუხსნელი გარდატეხა მოხდა: ის არა მარტო განიკურნა დამღუპველი სენისაგან, სულ მთლად გამოიცვალა კიდევაც.

ერთხელ, თოთხმეტი წლის წინათ, შემოდგომაზე უსტამუიჩის სასტუმროში, ვიღაც უცხო კაცი მოვიდა. არც მოხუცი ეთქმოდა და არც ჯეელი, არც უშნო და არც ლამაზი, საშუალო ტანის, სიტყვაძვირ კაცს.

მხოლოდ თვალები უცინოდა. საქმიანი კაცი ჩანდა და მთელი არსებით მისცემოდა იმ საქმეს, რისთვისაც ჩამოსულიყო. ღამის გასათევად სასტუმროში დარჩა და საღამოს იმ ოთახში შევიდა, სადაც მოთამაშეები ჯერ კიდევ შუადღის მერე ჩაკეტილიყვნენ. მოთამაშენი უნდობლად შეხვდნენ, მაგრამ უცნობი ისე თავდაჭერილად და დინჯად იქცეოდა, რომ ვერც კი შეამჩნიეს, როგორ დაიწყო პატარა ფსონების ჩასვლა. აგებდა, მაგრამ თამაშს მაინც თავს არ ანებებდა, შეცბუნებული ჭუტავდა თვალებს და შიდა ჯიბეებიდან ფულს გაუბედავად იღებდა. მერე, რაკი ბლომად ფული წააგო, იძულებული გახდა ბანკზე ეთამაშა. ბანქოს ჯერ ნელა და გაუწაფავი ხელით არიგებდა, მერე სისწრაფე და სილაღე მოემატა. მშვიდად, გაბედულად და უყოყმანოდ თამაშობდა. მის წინ ვერცხლის ფული ხვავდებოდა. მოთამაშეები თამაშიდან გადიოდნენ. ერთმა ფულის მაგივრად ოქროს ძეწკვი შესთავაზა, მაგრამ უცნობმა ცივი უარი სტკიცა — მხოლოდ ფულზე ვთამაშობო.

ღამით თამაში შეწყდა, რადგან ყველა გაფცქვნა. თამაშს მხოლოდ მილან გლასინჩანინი შერჩა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისიც იძულებული გახდა უარი ეთქვა. უცნობი თავაზიანად გამოეთხოვა და თავის ოთახში ნავიდა.

მეორე დღეს ისევ ითამაშეს. უცხოელი ამჯერადაც ჯერ სულ აგებდა, მაგრამ მალე მოგებაზე გადავიდა და წანაგებზე მეტი მოიგო. ასე რომ, ქალაქელები ისევ მშრალზე დარჩნენ. ისინი თვალს არ აშორებდნენ მის ხელებსა და სახელოებს. ყოველი მხრიდან ათვალიერებდნენ, ახალი ბანქო მოიტანეს, ადგილებს იცვლიდნენ, მაგრამ არაფერი შეელოდათ. უბრალო აზარტულ თამაშს „ოცდათერთმეტს" თამაშობდნენ. ეს თამაში ყველამ ბავშვობიდანვე იცოდა, მაგრამ უცხოელის თამაშის საიდუმლოს ამოხსნა ვერავინ შეძლო. ხან მაშინაც ყიდულობდა ქაღალდს, როცა ოცდაცხრა ან ოცდაათი ჰქონდა, ხან კი ოცდახუთზევე ჩერდებოდა. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ცალკეულ მოთამაშეთა წვრილ-წვრილ ოინებს, თითქოს ვერც კი ამჩნევსო, უფრო დიდ დარღვევებს კი გულგრილად და ულაპარაკოდ კრძალავდა.

მილან გლასინჩანინს უცხოელის სასტუმროში ყოფნა სტანჯავდა და აღიზიანებდა. ამ დღეებში თავს უქეიფოდ გრძნობდა, თითქოს ციებ-ცხელება შეეყარაო. თავის თავს სიტყვას აძლევდა აღარ ვითამაშებო, მაგრამ მაინც მიდიოდა, უკანასკნელ გროშებს აგდებდა და შინ დაბრუნებულს სირცხვილის სიმწარე გულს უღრღნიდა. მეოთხე თუ მეხუთე დღეს გადაწყვიტა თავი დაეთრგუნა და შინ დარჩენილიყო.

მერე ფული გადათვალა, ჩაიცვა კიდეც, მაგრამ მაინც არ წავიდა. თავი დაუმძიმდა, სუნთქვა უჭირდა. სახელდახელოდ და უგულოდ ივახშმა, ვერც კი ამჩნევდა რას ჭამდა. სახლიდან წამდაუწუმ გამოდიოდა, თამბაქოს ეწეოდა, დახეტიალობდა შემოდგომის მთვარიან ღამეში და მშვიდად ჩაძინებულ ქალაქს გასცქეროდა. კარგა ხანს სეირნობდა, მაგრამ აი, უეცრად დალანდა, რომ ვიღაცამ გზიდან გადმოუხვია და მისი სახლის ღობესთან გაჩერდა.

— საღამო მშვიდობისა, მეზობელო! — დაუძახა უცნობმა. გლასინჩანინმა ხმაზე იცნო ჩამოსული მოთამაშე, ეტყობოდა, სასაუბროდ მოსულიყო. მილანიც ღობესთან მიდგა.

— დღეს სასტუმროში არ წამოხვალ? გულგრილად, თითქოს სხვათა შორის იკითხა მოსულმა.

— არ ვაპირებ, უჩემოდაც სამყოფად არიან.

— არავინაც აღარ დარჩა. ადრევე წავიდ-წამოვიდნენ. მოდი, ჩვენ ორნი წავიდეთ!

— ეეე, უკვე გვიანაა. ან სად უნდა ვითამაშო?

— ქვევით წავიდეთ, კაპიაზე. შეხედე მთვარე როგორ ანათებს.

— ახლა რაღა დროსია, — მიზეზებს ეძებდა მილანი. ყელი მთლად გაუშრა და საკუთარი ხმა სხვის ხმად ეჩვენებოდა.

უცხოელი იდგა და ელოდა, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც თვითონ ამბობდა.

მართლაც, მილანმა ალაყაფის კარი გააღო და უკან გაჰყვა, თუმცა გრძნობდა გონება და ის მცირეოდენი ნებისყოფა, რაც შემორჩენოდა სხვას ეუბნებოდნენ, მაგრამ ამ საძულველი ძალის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლო. თუმცა უცხოელი მის გულში ყრუ ზიზღსა და ღვარძლს აღვიძებდა.

ოკოლიშჩაში სწრაფად ჩავიდნენ. სტანიშევის თავზე დიდი, მცხრალი მთვარე იდგა. ხიდი უსასრულოსა და გამჭვირვალეს ჰგავდა, რადგან ნაპირები ბურუსში იყო გახვეული, ბურჯები კი სიბნელეში ჩაძირულიყო. თაღები და ბურჯები ცალი მხრიდან კაშკაშებდა, მეორე მხარე კი სიბნელეში ჩანთქმულიყო. ზოგან განათებული და ზოგან ჩაბნელებული ქვები მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა, ისე, რომ მთელი ხიდი შუქისა და ჩრდილის თამაშისაგან შექმნილ სასწაულებრივ არაბესკას ჰგავდა.

კაპიაზე სულიერის ჭაჭანება არ იყო. დასხდნენ. უცხოელმა ბანქო დააძრო, მილანმა პირიც კი გააღო, უნდოდა ეთქვა თუ რა ძნელი გასარ-

ჩევი იყო ერთმანეთისაგან ფული და ბანქო, მაგრამ უცხოელმა ყურადღება არ მიაქცია. თამაში დაიწყო.

თავიდან ერთმანეთს იშვიათად, მაგრამ მაინც ესიტყვებოდნენ, ხოლო, როცა თამაში გახურდა, პირზე კლიტე დაიდეს, მარტო თუთუნს ახვევდნენ და აბოლებდნენ. ბანქო ხელიდან ხელში გადადიოდა, და, ბოლოს, უცხოელს დარჩა. დანამულ ქვაზე ფული მსუბუქი წკრიალით ცვიოდა. დადგა ის წუთიც, მილანის მეხსიერებაში წარუშლელად რომ ჩაიბეჭდა: უცხოელს ოცდაცხრა ქულა ჰქონდა და ორიანი იყიდა. ოცდაათიან ქულაზე კი კიკო ამოიღო. მილანს თითქოს ყელში წაუჭირესო, თვალთ დაუბნელდა, მთვარის შუქზე უცხოელის სახე კი ისევ მშვიდი იყო. ერთი საათიც არ დასჭირდა, მილანის ჯიბის ამოფხეკას.

მილანს უცხოელმა ფულის მოსატანად შინ წასვლა შესთავაზა და თვითონაც უკან გაჰყვა. წავიდნენ, ისევ დაბრუნდნენ და თამაში განაგრძეს. მილანი ისე თამაშობდა, თითქოს მეტყველება და მხედველობა დაკარგაო, ბანქოს ალალბედზე ჩამოდიოდა. თავისთავად ბანქოს ქაღალდები მისთვის სრულიად უსარგებლო ნივთებად გადაიქცნენ და მხოლოდ და მხოლოდ უიმედო და შეუწყვეტელი ბრძოლის საბაბსღა წარმოადგენდნენ. როცა მილანს ფული ისევ გამოელია, უცხოელმა უბრძანა, შინ წასულიყო და მოეტანა. თვითონ კი კაპიაზე დარჩა თუთუნის გასაბოლებლად. საჭიროდ აღარ ჩათვალა სახლამდე გაჰყოლოდა, რადგან ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მილანი ურთიერთობას და მოტყუებას ვერ შეძლებდა, შინ არ დარჩებოდა.

მართლაც, მილანი ყოველგვარი მომიზეზების გარეშე, უყოყმანოდ დასთანხმდა და ცოტა ხნის შემდეგ მორჩილად დაბრუნდა. ამჯერად მილანს ბედმა გაუღიმა: წაგებული თანხა დაიბრუნა. ძლიერი აღგზნებისაგან ყელში რაღაც უჭერდა. უცნობმა ორმაგი და სამმაგი ფსონების ჩასვლა დაიწყო. თამაში უფრო გახურდა, გლასინჩანინი უფრო და უფრო ღელავდა, ბანქოს ქაღალდები შრიალებდა, ოქროსა და ვერცხლის ფულები ხელიდან ხელში გადადიოდა. ორივე დუმდა. ოღონდ მილანს სუნთქვა გაუხშირდა, ხან ალმური ეკიდებოდა ხან კი ასეთი თბილი, მთვარიანი ღამის მიუხედავად, სიცივე აიტანდა. მილანი თამაშობდა, ბანქოს არიგებდა, ფულს ჩადიოდა, მაგრამ ყველაფერს თითქოს იძულებით აკეთებდა, ეჩვენებოდა, რომ მეტოქე მარტო დუკატებს კი არ აცლიდა, არამედ ტვინიდან, ძვლებიდან თუ ვენებიდან წვეთწვეთობით წოვდა სისხლს. ყოველი ხელის წაგებაზე ძალ-ღონე ეცლებოდა და ნებისყოფა უსუსტდებოდა. დროდადრო შუბლის ქვეშიდან შეხედავდა მეტოქეს.

ეგონა, კბილებდალესილსა და თვალებგადმოკარკლულ ეშმაკის სახეს დაინახავდა, მაგრამ მის წინ ჩვეულებრივი ადამიანი იჯდა და დაძაბული აკეთებდა უბრალო საქმეს. ეწადა დაწყებული საქმის რაც შეიძლება მალე დამთავრება, თუმცა ეს არცთუ ისე დიდ სიხარულს ანიჭებდა.

მალე მილანმა ისევ წააგო. მაშინ უცხოელმა შესთავაზა, ახლა მიწასა და ქონებაზე ითამაშეო.

— ოთხ უნგრულ დუკატს ჩამოვდივარ შენი შეკაზმული ყორანას საფასურად: ყაბულსა ხარ?

— ყაბულსა ვარ!

ასე წააგო ყორანა, ზედ ორი საფორნე ცხენი, ძროხები და დეკეულებიც მიაყოლა. უცხოელმა საქმიანი, ანგარიშიანი ვაჭარივით გადაარჩია მთელი საქონელი, რაც კი გლასინჩანინის ეზოში მოიძებნებოდა და თითოეული სული პირუტყვი ისე ზუსტად შეაფასა, თითქოს მილანის ეზოშია დაბადებული და გაზრდილიო.

— გინდა თერთმეტი დუკატი მოგცე, შენი „სალვუშა“ მინდვრის სანაცვლოდ?

— მინდა!

უცხოელმა ბანქო დაარიგა: ხუთი ქაღალდი ეჭირა მილანს, სულ ოცდარვა ქულა.

— გინდა კიდევ? — მშვიდად შეეკითხა პარტნიორი.

— ერთიც, — ოდნავ გასაგონად ამოთქვა მილანმა და ერთბაშად სახეზე სისხლი მოაწვა.

უცხოელმა ბანქო მშვიდად მიაწოდა. ორიანი გამოდგა, მისი გადამრჩენი ქაღალდი, მილანმა გულგრილად გამოსცრა:

— საკმარისია!

აჩქარებით დააწყო ქაღალდები და შეეცადა სახეზე სიმშვიდე აღბეჭდოდა, რათა უცხოელი არ მიმხვდარიყო რამდენი ქულა ჰქონდა.

მაშინ უცხოელმა აშკარად დაიწყო ქაღალდების ამოღება, როცა ოცდაშვიდამდე ავიდა, შეჩერდა და მშვიდად შეხედა თვალებში მილანს.

მილანმა თვალები დახარა.

უცხოელმა ერთიც ამოიღო. ორიანი გამოდგა. ოდნავ გასაგონად ისე ამოიქშინა, თითქოს ოცდაცხრაზე გაჩერებას აპირებდა. სასიხარული წინათგრძნობისაგან ახლა კი ვაჯობეო, მილანს სისხლი საფეთქლებში მოაწვა.

მაგრამ უცხოელი უეცრად უკან გადაწვა. მკერდი ფართოდ გაშალა, თავი ისე მაღლა ასწია, მთვარის შუქზე მისმა შუბლმა და თვალებმა

გაიელვა და კიდევ ერთი ქაღალდი ამოიღო. ისევ ორიანი. დაუჯერებელი იყო, რომ მოთამაშეს ერთიმეორის მიყოლებით სამი ორიანი ამოსვლოდა, მაგრამ ასე კი იყო და. ამობრუნებულ კარტზე მილანს თავისი მინდორი მოეჩვენა მოხნული, დაფარცხული, ძალიან ლამაზი, ისეთი, როგორიც გაზაფხულობით იყო ხოლმე, მერე თითქოს ხნულები გაცურდა და, როგორც გულწასული კაცის თვალწინ ისე დატრიალდნენ. მილანი უცხო კაცის მშვიდმა ხმამ გამოაფხიზლა.

მილანმა ერთიმეორის მიყოლებით დანარჩენი მიწებიც წააგო, ორი სახლი და ოსონიცის მუხნარიც მიაყოლა. შეფასებაში ადვილად რიგდებოდნენ. რამდენჯერმე მილანმა მოიგო და დუკატებმაც მის ხელში გადაინაცვლეს, მაშინ მას წუთიერად, მოგების იმედი ეუფლებოდა, მაგრამ ორი-სამი მარცხის შემდეგ ისევ უფულოდ რჩებოდა და ისევ ქონებაზე იწყებდა თამაშს.

როცა თამაშმა ყველაფერი ნიაღვარივით წაიღო, ორივე მოთამაშე წამით შეყოვნდა. არა, იმიტომ კი არა, რომ შეესვენათ, — შესვენებისა ეტყობოდა ორივეს ეშინოდა — შეყოვნდნენ, რათა გაეხსენებიათ კიდევ რაზე შეიძლებოდა თამაში.

უცხოელს საქმიანი, ისეთი კაცის დაძაბული გამოხედვა ჰქონდა, რომელმაც საქმის ერთი ნახევარი მოათავა და ახლა მეორეს ეშურება. მილანი გახევებულიყო, ტანში სცრიდა. საკუთარი გულისცემა ესმოდა, ფეხქვეშ სკამი ერყეოდა. მაშინ მეტოქემ ერთფეროვანი, დუდღუნა ხმით ჩაილაპარაკა:

— იცი რა, ძმობილო? ერთი კიდევ ჩამოვიდეთ — ვითამაშოთ ყველაფერზე! რაც ამ საღამოს მომიგია, ყველაფერს ჩამოვდივარ, შენ კი საკუთარი სიცოცხლე ჩამოდი. თუ მოიგებ, ყველაფერი — ქონება, ფული, მიწები წინანდებურად შენი იქნება. წააგებ და ამ ხიდიდან დრინაში გადაეშვები.

ეს ისე მშრალად და საქმიანად თქვა, როგორც აქამდე ლაპარაკობდა. თითქოს საქმე თამაშით გატაცებულ მეტოქეთა შორის სრულიად ჩვეულებრივ პირობებს შეეხებოდა.

აი, როგორ დატრიალდა საქმე — ბანქოში საკუთარ სიცოცხლეს ჩავდივარ, — გაიფიქრა მილანმა და თავს ძალა დაატანა წამომდგარიყო, თავი დაეღწია უცნაური მორევისაგან, რომელმაც ყველაფერი ჩანთქა და რაღაც დაუძლეველი ძალით თვით მილანსაც შიგ ითრევდა: მაგრამ მილანი უცხომ ერთი შეხედვითვე ადგილზე მიაჯაჭვა, თითქოს ახლაც სასტუმროში, ორ-სამ პიასტრიან ფსონზე თამაშობენო. მან თავი დაუ-

ქნია და ხელი გაუწოდა. ორივემ ცალ-ცალკე გაჭრა ქაღალდი. უცხოს ოთხიანი შეხვდა, თვითონ ათიანი ერგო, ქაღალდი მილანს უნდა დაერიგებინა და იმედი მიეცა. მილანი არიგებდა, უცხოელი კი ქაღალდს ითხოვდა.

— კიდევ მოიტა, კიდევ! კიდევ!

ხუთი ქაღალდი ამოიღო და კმარაო, თქვა.

ახლა მილანის ჯერი დადგა. ოცდარვამდე რომ მივიდა, წამით შეჩერდა, უცხოელის დაკეცილ ქაღალდებსა და იდუმალებით მოცულ სახეს შეხედა, ძნელი იყო მიხვედრა, რამდენი ქულა ჰქონდა, მაგრამ, ალბათ, ოცდარვაზე მეტი უნდა ჰქონოდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ, გუშინ პატარა ქულებს არ ყაბულობდა, მეორეც იმიტომ, რომ ხუთი ქაღალდი ჰქონდა აღებული. მილანმა გადაწყვიტა ერთი ქაღალდიც ამოეღო. ოთხიანი ამოჰყვა. მაშ ასე, ოცდათორმეტი — ყველაფერი გათავდა!

უყურებდა და თვალს არ უჯერებდა. დაუჯერებლად ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ასე უცბად დაიღუპა. მთელ სხეულში, თავიდან ფეხებამდე, ცეცხლი წაეკიდა. თითქოს ყველაფერი უდუღდა. მილანმა ყველაფერი უცბად შეიცნო, სიცოცხლის ფასიც და ისიც რა იყო ადამიანი. იგრძნო დამღუპველობა თავისი წყეული და აუხსნელი ჟინისა, ითამაშოს როგორც თავისიანებთან ისე სხვებთან, ითამაშოს საკუთარ თავზე და ყველაფერზე, რაც გააჩნია. მდგომარეობა დღესავით ნათელი გახდა, თითქოს გათენდაო, ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი სიზმარში წააგო; მაგრამ ყველაფერი გამოუსწორებლად, სამუდამოდ იყო წაგებული. სურდა რაღაც ეთქვა, დაეყვირა, ვიღაც საშველად მოეხმო, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა.

იქვე უცხოელი უცდიდა.

უეცრად ნაპირზე მამალი აყივლდა ყი-ყლი-ყოო! მას მეორე მოჰყვა, სადღაც სულ ახლოს ისმოდა მისი ფრთების ტკაცუნი. ჩამორიგებული ქაღალდი უეცრად ერთმანეთში არია, ფული დაიბნა და მთელმა კაპიამ რყევა დაიწყო. მილანმა შიშისაგან თვალები დახუჭა. მიხვდა. ჩემი აღსასრულის დღე დადგაო.

როცა თვალი გაახილა, მარტოდმარტო იყო. მისი მეტოქე, იქვე, კაპიაზე დაყრილი ფულიც, და ბანქოც მასთან ერთად ბოლივით გამქრალიყო.

მაღლა, ნელ-ნელ მიცურავდა ნარინჯისფერი მთვარე. ცივმა ქარმა დაუბერა და წყლის ხმაური უფრო მომძლავრდა. მილანმა ხელით მოსინჯა ქვა, რომელზედაც იჯდა. უნდოდა გარკვეულიყო, სად იყო და რა

დაემართა. ვაი-ვაგლახით წამოდგა და გეგონება ნათხოვარ ფეხებზე დგასო, შინ, ოკოლიშჩეში წაჩანჩალდა.

ბარბაც-ბარბაცით ძლივს მიაღწია სახლამე. მთელი სხეულით ჭიშკარს დაეჯახა და მოცელილივით დაეცა. ბრახუნზე შინაურებმა გამოიღვიძეს, მაშინვე მიირბინეს და მილანი სანოლში დააწვინეს.

ორი თვე ციებ-ცხელებასა და ბოდვაში გაატარა. ეგონათ, მისი საქმე წასულიაო. მამაო ნიკოლამ ზეთიც კი უკურთხა, მაგრამ მილანმა მოიხედა, ფეხზე წამოდგა, ოღონდ ის მილანი აღარ იყო, უდროოდ მობერებულ, ბაიყუშ კაცად იქცა, ცოტას ლაპარაკობდა, თუ აუცილებელი არ იყო, ხალხთან ურთიერთობას გაურბოდა. გაუცინარ სახეზე ყოველთვის დაძაბული და ავადმყოფური გამომეტყველება ეხატა. მხოლოდ საკუთარ სახლზე ზრუნავდა და გარეთ მარტო საქმისთვის გამოდიოდა. თითქოს თავისი ამქარი და ბანქო არასდროს უნახავსო.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ავად იყო, მილანმა კაპიაზე იმღამინდელი თამაშის ამბავი მამაო ნიკოლას გაანდო, მოგვიანებით ეს ამბავი ორ ახლო მეგობარსაც უამბო, ზოგი რამ ხალხმაც გაიგო და რადგან არავის არ აწუხებდა, რა მოხდა ნამდვილად იმ ღამით კაპიაზე, მთელი ლეგენდა შეთხზეს. მერე, როგორც ყოველთვის ხდება, გულისყური სხვა რამეზე გადაიტანეს. ყველაფერი, რაც უნინდელი მილანი გლასინჩანინისგან დარჩა, ისევ ქალაქელებს შორის ცხოვრობს და სუნთქავს, ახალგაზრდები მას ისეთ კაცად იცნობენ, როგორიც ამჟამად არის და ვერც წარმოუდგენიათ, რომ იგი ოდესმე სხვანაირი იყო. თვითონ მილანმაც ყველაფერი გადაივიწყა.

როცა შინიდან ქალაქში მიმავალი ფიქრებში ჩაძირული მილანი მძიმე ნაბიჯებით ხიდს გაივლიდა, კაპია იოტისოდენა მღელვარებასა და მოგონებასაც არ უღვიძებდა. აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ეს თეთრი ქვის სკამი და ზედ მსხდომი მშვიდი ადამიანები იმ საშინელ ადგილთან იყვნენ დაკავშირებული, სადაც ერთ ღამეს ბანქოს უკანასკნელი ხელი ითამაშა და მაცდურ თამაშში, რაც კი რამ ებადა, მათ შორის, საკუთარი სიცოცხლეც კი წააგო. მილანი თავის თავს ხშირად ეკითხებოდა კაპიაზე მომხდარი ღამეული შემთხვევა, სიზმარი ხომ არ იყოო. იქნებ, მაშინ მესიზმრა, როცა ჭიშკართან უგრძნობლად ვეგდე და ეს ჩემი ავადმყოფობა მიზეზი კი არა შედეგიაო? მამაო ნიკოლა და მისი მეგობარი, ვისაც საიდუმლო გაანდო, ფიქრობდნენ, რომ მილანის მონაყოლი მხოლოდ გამონაგონი ბოდვა იყო, სულაც ციებ-ცხელების დროს მოლანდებული. სინამდვილეში, კი არც ერთ მათგანს არა სჯე-

როდა, რომ ეშმაკი „ოცდათერთმეტსა“ თამაშობდა და კაპიაზე მიჰყავდა, ვისი დაღუპვაც ეწადა. მაგრამ ჩვენს თავს გადავლილი შემთხვევები ხშირად ისეთი რთულია და ჩახლართული, გასაკვირი არ უნდა იყოს, როცა ხალხი ყოველივე ამას, ეშმაკის ხელს მიაწერს ხოლმე. ერთი რამ კი უტყუარია, ცხადში თუ სიზმარში, ეშმაკის შემწეობით იყო, თუ უიმისოდ, მილან გლასინჩანინმა ერთ ღამეში ახალგაზრდობა, ჯანმრთელობა და დიდძალი ფული დაკარგა და თითქოს ჯადოსნობის ძალით ხელი აიღო ამ გატაცებაზე.

მილანის ამბავთან დაკავშირებულია კიდევ ერთი ადამიანის ბედიღბალი, რომელიც კაპიაზე გადაწყდა.

იმ ღამის შემდეგ, როცა მილან გლასინჩანინმა (ცხადლივ იყო თუ სიზმარში) კაპიაზე შემაძრწუნებელი ბოლო ხელი ითამაშა, შემოდგომის მზიანი ამინდები დადგა. შაბათი დღე იყო და როგორც შაბათობით იციან ხოლმე, ხიდზე ებრაელი ვაჭრები და ნოქრები შეიკრიბნენ. ისინი მკაცრად იცავდნენ შაბათობას. მოცლილები მხიარულ გუნებაზე იყვნენ, ატლასის შარვლები და მაუდის ჟილეტები ეცვათ, მუქი წითელი დაბალი ფესკები ეხურათ და ჩვეულებისამებრ მდინარის პირას დასეირნობდნენ, მაგრამ მომეტებულად მაინც კაპიაზე ისხდნენ. ხმამაღლა და გაცხოველებით ლაპარაკობდნენ ესპანურ ენაზე, სერბიულად მარტო გინებას თუ გაურევდნენ.

იმ დილით კაპიაზე ადრიანად მოსულთა შორის ღარიბი დალაქის აბრამ გაონის შვილი, ბუკუს გაონიც ერია. უკვე თექვსმეტი წლისა იყო, მაგრამ საქმეს ჯერ არ მოჰკიდებოდა, ბიჭი თავისიანებისაგან განსხვავებით, საკმაოდ ქარაფშუტა იყო. რაიმე მუდმივი ხელობა არ ჰქონდა, ერთთავად კარგსა და არაჩვეულებრივ საქმეს ეძებდა. როცა ჩამოჯდომა დააპირა, ძირს დაიხედა სუფთა იყო თუ არა ქვის სკამი და აი სწორედ, ქვის ფილების ჭრილში რაღაც ბრჭყვიალა შენიშნა. ეს საგანი, ადამიანის თვალისთვის ესოდენ სანუკვარი ოქრო გახლდათ. უფრო დააშტერდა. ეჭვი არ იყო ჭრილში დუკატი ჩავარდნილიყო. ჭაბუკმა მიმოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო და თვალებით დაუწყო ძებნა რითი შეიძლება ქვის ღარიდან მომცინარე დუკატი ამოვაცოცოო, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ შაბათს რაიმე საქმის გაკეთება სამარცხვინოდ და ცოდვად ჩაეთვლებოდა. მთლად აღგზნებული ფულს ზედ დააჯდა და შუადღემდის აღარ ამდგარა. როცა სადილობამ მოატანა და ებრაელები დიდიან-პატარიანად სახლებში გაიკრიფნენ, ბუკუსმა ქერის სქელი

ღერო იპოვნა, შეცოდებაცა და შაბათიც დაივიწყა, და ფილებს შორის ჩავარდნილი ფული ფრთხილად ამოიღო.

ეს იყო თხელი, პატარა ხმელი ფოთოლივით მსუბუქი, ნამდვილი უნგრული დუკატი. ბუკუსმა სადილზე დააგვიანა. და როცა ღარიბულ სუფრას მიუჯდა (სუფრასთან ცამეტი სული იჯდა, თერთმეტი ბავშვი, დედა და მამა), არც კი გაუგონია მამის ლანძღვა, ზარმაცსა და უქნარას ეძახდა, მზამზარეულ სადილზეც კი ეზარება დროულად მოსვლაო. ბუკუსს ყურები უზრიალებდა, თვალწინ ოქრო უბრწყინავდა და არგაგონილი სიმდიდრის დღეები ეზმანებოდა. ასე ეგონა, ჯიბეში მზეს დაებუდებინა.

ბუკუსს ბევრი აღარ უფიქრია, მეორე დღეს უსტამუიჩის სასტუმროს მიაშურა და იმ ოთახში შერგო თავი, სადაც მთელი დღეობით ბანქოს თამაშობდნენ. ეს მისი დიდი ხნის ოცნება იყო, მაგრამ საამისო თანხა არასდროს გააჩნდა, რომ შიგ შესვლა გაებედა და ბედი ეცადა. ახლა შეეძლო საწადელის ასრულება.

ბუკუსმა ტანჯვითა და მღელვარებით აღსავსე რამდენიმე საათი გაატარა. თავიდან აგდებულად და უნდობლად შეხვდნენ, მაგრამ როცა დაინახეს, დუკატს ახურდავებდა, მაშინვე მისცეს ბანქოს ჩასვლის ნება, თუმცა დუკატი მოპარულად ჩაუთვალეს (მოთამაშეები იმის ძიებას რომ მოჰყვნენ, ფული ვინ სად იშოვაო, მაშინ თამაშიც აღარ მოხერხდებოდა). ახალბედას წვალება დაიწყო.

მოგებისას სისხლი თავში უვარდებოდა, ხოლო, როცა აგებდა, სუნთქვა ისე ეკვროდა, ლამის გული უჩერდებოდა. იმ საღამოს, როცა ყოველგვარი ტანჯვა-ნამება ჩათავდა, რაც ბუკუსს ასე გაუთავებლად მოეჩვენა, სასტუმროდან გამოვიდა, ჯიბეში ოთხი დუკატი ედო. მღელვარებისაგან ლამის ნაქცეულიყო. სულ ერთიანად იწვოდა, თითქოს ცხელი წკეპლით გაუროზგიათო, მაგრამ თავაწეული ამაყად მოდიოდა. თვალწინ შორეული და ბრწყინვალე თვალსაწიერი ეშლებოდა, რაც ნებას აძლევდა გაჭირვება დაევიწყა, ქალაქი სამუდამოდ ამოეგდო მეხსიერებიდან, საკუთარი ფიქრებით დამთვრალი ბუკუსი ნელი, საზეიმო ნაბიჯით მიდიოდა. პირველად ტკბებოდა ოქროს სილამაზით, თან მის სიმძიმესაც გრძნობდა.

იმავე შემოდგომაზე ჯერ კიდევ ახალგაზრდა და გამოუცდელი ბუკუსი აზარტულ მოთამაშედ, მანანწალად გადაიქცა და მშობლების სახლი მიატოვა. სიყრმის შვილის საქციელით შეწუხებული მოხუცი გაონი სირცხვილისაგან იწვოდა. ებრაელები გაონის უბედურებას საკუ-

თარივით განიცდიდნენ. მალე ბუკუსი მშობლიური ქალაქიდან წავიდა და მოთამაშის ბოროტი ხვედრის საძიებლად ქვეყანს მიაშურა. თოთხმეტი წელი გავიდა, მაგრამ მასზე აღარავის არაფერი სმენია. ამბობენ, ბუკუსს ყველაფერი შაბათ დღეს კაპიაზე ნაპოვნმა ეშმაკისეულმა დუკატმა დამართაო.

თავი მეცამეტე

დადგა უცხოელთა ბატონობის მეოთხე წელი, თითქოს ყველაფერი, ცოტად თუ ბევრად, უკვე დაწყნარდა და ჩაშოშმინდა. მართალია, თურქებისდროინდელი „ტკბილი მყუდროება“ სამუდამოდ გაქრა, სამაგიეროდ, ახლებური ცნების შესაფერისი, ახალი წესი დამყარდა. უეცრად ისევ დაიწყო მღელვარება, ქალაქში მოულოდნელად ჯარი შემოვიდა და ისევ გამოჩნდა დაცვა კაპიაზე, ყველაფერი აი, როგორ მოხდა.

ახალმა ხელისუფლებამ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ახალწვეულთა შეგროვება დაიწყო, რამაც ხალხი, განსაკუთრებით კი თურქები, დიდად აღაშფოთა. ორმოცდაათი წლის წინ, როცა სულთანმა პირველად შექმნა მუდმივი ჯარი, ევროპულ ყაიდაზე განვრთნა და გამოაწყო, თურქებმა, არცთუ მასობრივი, მაგრამ ნამდვილი სისხლისმღვრელი სამხედრო გამოსვლებით უპასუხეს. არ უნდოდათ გიაურების ტანსაცმელი ჩაეცვათ და მკერდი ზონარებით ისე შეეკრათ, რომ ჯვრის საძულველ გამოსახულებას დამსგავსებოდა. ახლაც კვლავ სურდათ, მათთვის ასეთივე საძულველი ტანსაცმელი ჩაეცმიათ და თანაც უცხო, სხვა სარწმუნოების ხელმწიფის სამსახურში ჩაეყენებინათ.

ბატონობის პირველ წელსვე, როცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა სახლები დანომრეს და მოსახლეობა აღწერეს, თურქები ამ ამბავს უნდობლად შეხვდნენ და გაურკვეველი შიშის გრძნობით განიმსჭვალნენ. ასეთ დროს, როგორც ადრე იცოდნენ ხოლმე, ქალაქის თავკაცები და განსწავლული თურქები ჩუმ-ჩუმად იკრიბებოდნენ, რათა თავიანთი წამოწყებები აეწონ-დაეწონათ, თან ისიც გადაეწყვიტათ, როგორც მოქცეულიყვნენ.

მაისის ერთ მშვენიერ დღეს „ქალაქის თავკაცები“, თითქოს შემთხვევით შეხვდნენო ერთმანეთს, კაპიის ქვის დივანზე ჩამწკრივდნენ. ყავას აუჩქარებლად სვამდნენ, პირდაპირ იყურებოდნენ და ხმადაბლა ხელისუფალთა იმ ახალ ღონისძიებებზე ლაპარაკობდნენ, რაც მათ ეჭვებს იწვევდა. ყველა უკმაყოფილო იყო, რადგან ეს წამოწყებები, მათ ბუნებასა და აქაურ ჩვევებს მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა: ყველა მათგანი როგორც პირად ცხოვრებაში, ისე ოჯახურ საქმეებში, მათ არამკითხე ჩარევას ზედმეტად და უგუნურ დამცირებად თვლიდა, მაგრამ არავის შეეძლო აღწერის ნამდვილ არსს ჩასწვდომოდა და გზა ეჩვენებინა, როგორ გაეწიათ წინააღმდეგობა.

მათ შორის კაპიის იშვიათი სტუმარი ალი-ხოჯაც ერია. ალი-ხოჯას ქვის დივანისაკენ მიმავალი საფეხურების დანახვისთანავე, მარჯვენა ყურზე ავადმყოფური ქავილი აუტყდებოდა ხოლმე.

განსწავლული და მჭევრმეტყველი მუდერისი ჰუსეინ-აღა, ვისაც მიხვედრის ნიჭი არ აკლდა და საამისო მდგომარეობაც უწყობდა ხელს, ცდილობდა სახლების ციფრებით აღნიშვნის და ბავშვებისა და მოზრდილთა აღწერის აზრს ჩასწვდომოდა.

— მე მგონი, ეს გიაურების ძველისძველი ჩვეულებაა — ოცდაათი თუ უფრო მეტი ხნის წინათ ტრავნიკში ერთი სტამბოლელი ვეზირი თაჰირ-ფაშა იჯდა, მართალია, გათურქებული იყო, მაგრამ თვალთმაქცობდა და ვლახიელი ისევ ვლახიელად რჩებოდა. ამბობდნენ, ხელში მუდამ პატარა ზარი ეჭირა და როცა რომელიმე მსახურს უხმობდა, ვლახების მღვდელივითა რეკდა, ვიდრე მსახურები არ გამოეხმაურებოდნენ. სწორედ ამ თაჰირ-ფაშამ პირველმა მოიწადინა ტრავნიკში სახლების აღწერა, თითოეულ სახლს დანომრილი ფიცარი მიამაგრა (აკი, ამიტომაც ეძახდნენ მას „ფიცარ-ფაშას“). მაგრამ ხალხი აღშფოთდა, სახლებიდან ფიცრები ჩამოგლიჯა, ერთ ადგილას მოაგროვა და დაწვა. საქმე, კინაღამ სისხლის ღვრამდე მივიდა, მაგრამ, საბედნიეროდ, სტამბოლში გაიგეს და თაჰირ-ფაშა ბოსნიას მოაშორეს. ამის შემდეგ მისი ალი-კვალიც კი გაქრა. ახლაც ამის მაგვარი რაღაც ხდება, შვაბები ყველაფრის დათვლას ეპირებიან, ალბათ, ჩვენი თავების გადათვლასაც მოისურვებენ.

ყველა სივრცეს გაჰყურებდა და მუდერისს უსმენდა. ცხადი იყო, თავისი აზრის მოკლედ და გასაგებად თქმის ნაცვლად მუდერისი ამჯობინებდა ვრცლად გადმოეცა სხვისი აზრები.

როგორც ყოველთვის, ალი-ხოჯა პირველი გამოვიდა მოთმინებიდან.

— არა, ეფენდი, აქ საქმე მათ რწმენაში კი არა, ანგარიშშია. შვაბები თამაშს არ დაიწყებენ, დროს ფუჭად არ დაკარგავენ; შვაბები სიზმარშიაც კი თავიანთ საქმეს აკეთებენ. ჯერჯერობით არ ვიცით, ამას რა მოჰყვება, მაგრამ რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ, ალბათ, გამოირკვევა. განსვენებული შემსი-ბეგ ბრანკოვიჩი მართალს ამბობდა, „შვაბების ნაღმს გრძელი პატრუქი აქვსო“. სახლებისა და ხალხის აღწერა ან რაღაც ახალი გადასახადის შესაწერად სჭირდება, ან ჯარში თუ სამუშაოზე წასაყვანად ხალხის შეგროვებას აპირებენ. უფრო სწორად, აქ ერთიც არის და მეორეც. მე თუ მკითხავთ, ჩემი აზრი ასეთია: ჩვენ

აჯანყების თავი არა გვაქვს, რადგან ჯარი არა გვყავს. ამას ღმერთიც ხედავს და ხალხმაც იცის. მაგრამ, რასაც გვიბრძანებენ, ყველაფერზე კისერს ნუ წავუდებთ. არავინ არ არის ვალდებული, მათი ციფრები ახსოვდეს და თავისი წლოვანება სწორად ჩაუკაკლოს. დაე, თვითონ მიხვდნენ, ვინ როდის დაიბადა. მაგრამ თუ კირკიტსა და ჩაციებას მოჰყვებიან და ოჯახებში დაიწყებენ ცხვირის ჩაყოფას — ნუ დავნებდებით, თავი დავიცვათ, დაე, რაც ღვთისაგან გვიწერია აღსრულდეს!

კიდევ დიდხანს ილაპარაკეს ხელისუფალთა უსიამოვნო ღონისძიებებზე, დაბოლოს, ალი-ხოჯას რჩევა დაუჯდათ ჭკუაში, დამპყრობთათვის შენიღბული წინააღმდეგობა გაეწიათ. ხალხი წლოვანებას მალავდა, ყალბ ცნობებს იძლეოდა და თავს უსწავლელობით იმართლებდა. აბა, ქალებზე ხომ, არც არავინ ცდილა რაიმეს გაგებას. იცოდნენ დიდ შეურაცხყოფად მიიღებდნენ. ხელისუფალთა მუქარის მიუხედავად, დანომრილ ფიცრებს შეუმჩნეველ ადგილას ან უკუღმა აკრავდნენ, ანდა მაშინვე ათეთრებდნენ სახლს, ვითომდა ნომერს კირიანი ხსნარი შემთხვევით მიესხურა. ხელისუფალნი ხედავდნენ რამდენად წრფელი და ღრმა იყო მათი შენიღბული წინააღმდეგობა, მაგრამ ყურს იყრუებდნენ და სიმკაცრეს ერიდებოდნენ, რადგან ესმოდათ, რომ შეიძლებოდა ამას დიდი განხეთქილება და უსიამოვნება მოჰყოლოდა.

გავიდა ორი წელი. აღწერის გამო მომხდარი მღელვარება თითქმის მივიწყებული ჰქონდათ, როცა ყველა რჯულის და წოდების ახალგაზრდების ჯარში გაწვევა გამოაცხადეს. მაშინ, აღმოსავლეთ ჰერცოგოვინაში, აშკარა აჯანყება დაიწყო. ამჯერად თურქების მხარდამხარ სერბებიც იბრძოდნენ. აჯანყებულთა ბელადები ცდილობდნენ უცხოეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი თურქეთთან დაემყარებინათ კავშირი და ამტკიცებდნენ, რომ ავსტრიელმა ხელისუფლებმა გადააჭარბეს იმ უფლებამოსილებას, რაც მათ ბერლინის კონგრესის მიერ ჰქონდათ მინიჭებული, რომ წვევამდელთა შეგროვების უფლება არა აქვთ, იმ დროებით დაპყრობილ ოლქებში, რომლებიც ოდითგანვე თურქეთის სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფებოდა. ბოსნიაში ორგანიზებული წინააღმდეგობა არა ყოფილა, მაგრამ ფოჩიდან და გორაუდიდან აჯანყებამ ვიშეგრადის ოლქამდე მიაღწია, თითო-ოროლა აჯანყებული და დამარცხებული რაზმები ცდილობდნენ ვიშეგრადის ხიდის გავლით,

სერბიისკენ ან სანჯაყისკენ დახევას. როგორც ყოველთვის ხდება ასეთ დროს, აჯანყებამ ჰაიდუკების* მოძრაობა გამოიწვია.

ჰოდა აი, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ხიდზე ისევ დაცვა ჩააყენეს, მიუხედავად იმისა, ზამთარი იდგა და კაპიაზე დიდი თოვლი იდო, დღე და ღამე ორ-ორი ჟანდარმი მორიგეობდა. ისინი უცნობ და საეჭვო გამვლელებს აჩერებდნენ, ჩხრეკდნენ და ჩვენებას ართმევდნენ.

ორი კვირის შემდეგ ქალაქში ახალი რაზმი მოვიდა და კაპიაზე მოდარაჯე ჟანდარმები შეცვალა. ეს იყო „შტორაიფკორი", რომელიც მაშინ ჩამოყალიბდა, როცა ჰერცოგოვინის აჯანყებამ სერიოზული ხასიათი მიიღო. ამ საბრძოლო მფრინავ რაზმებს მიუდგომელ ადგილებში უნდა ემოქმედათ. ისინი მოხალისეები იყვნენ და გვარიანი ხელფასიც ჰქონდათ. რაზმში ერივნენ საოკუპაციო ჯარებთან ერთად მოსული ჯარისკაცებიც. ამ ჭაბუკებმა სახლებში დაბრუნება არ ისურვეს და „შტრაიფკორის" სამსახურში ჩადგნენ. აქვე იყვნენ ახალი, მფრინავ რაზმებში სამუშაოდ მიელინებული ჟანდარმები, დაბოლოს, ადგილობრივი მცხოვრებლები, შიკრიკებად და მეგზურებად რომ მუშაობდნენ.

იმ გრძელ და ყიამათ ზამთარში კაპიაზე მუდამ ორი ყარაული იდგა, ერთი უცხოელი, მეორე კი აქაური მცხოვრები უნდა ყოფილიყო.

ავსტრიელებს ხიდზე სადარაჯო კოშკი არ აუგიათ, როგორც ოდესღაც თურქებმა წამოჭიმეს ყარავ-გიორგის აჯანყების დროს.

არც არავის კლავდნენ, არც თავებსა სჭრიდნენ, მაგრამ, როგორც ეს კაპიის გადაკეტვის დროს ხდებოდა, ამჟამადაც მოხდა ისეთი არაჩვეულებრივი შემთხვევა, რამაც ქალაქელთა ხსოვნაში ღრმა კვალი დატოვა, რადგან ავბედითი დროება, ხომ ისე არ ჩაივლის ვინმეს უბედურება არ შეამთხვიოს.

კაპიაზე რიგრიგობით მდგარ „შტრაიფკორელ" მცველთა შორის იყო ერთი რუსი ჭაბუკი, აღმოსავლეთ გალიციელი, გიორგი ფედუნი — დათვივით ღონიერი, ქალიშვილივით მორცხვი და ბავშვივით მიამიტი ოცდასამი წლის ჭაბუკი. ფედუნი სამხედრო ბეგარას იხდიდა, როცა მისი ათასეული ბოსნიაში გაგზავნეს. აქ მონაწილეობდა მაგლაისა და გლასინცას ბრძოლებში, დანარჩენი ერთი წელი კი აღმოსავლეთ ბოსნიის სხვადასხვა რაზმში გაატარა. როცა სამსახურის ყავლი გაუვიდა, არ ინდომა გალიციის ქალაქ კოლომეაში დაბრუნება, რადგან მამისეულ

* ჰაიდუკი (უნგრულად) — XVII ს. უნგრეთში — გლეხი, რომელიც თურქ ხელისუფალთა დევნას გაექცა. სამხრეთ სლავიაში — ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი.

სახლში მრავალრიცხოვანი და-ძმების გარდა, სხვა არაფერი ეგულებოდა.

როცა „შტრაიფკორში“ მოხალისედ ჩაწერა გამოაცხადეს, მისი ასეული ბუდაპეშტში იდგა. ფედუნი სიამოვნებით მიიღეს, როგორც ისეთი ჯარისკაცი, ვინც ლაშქრობაში ყოფნისას კარგად გაიცნო ბოსნია. ფედუნსაც გულწრფელად გაუხარდა, რომ კიდევ შეეძლო ბოსნიის დაბლობებისა და ქალაქების ნახვა, სადაც ბევრი კარგი თუ მძიმე დღეები გაეტარებინა. ახლა, როცა წარსულს იხსენებდა, ეჩვენებოდა, რომ იმ მძიმე დღეებშიც იყო რაღაცა კარგი და მათი გახსენებაც ფედუნს მხიარული დღეებივით ძვირფასი ეჩვენებოდა. ამაყად წარმოიდგინა მშობლებისა და და-ძმის სახეები, როდესაც „შტრაიფკორელი“ ჯარისკაცის დიდი ხელფასიდან გაგზავნილ ვერცხლის ფორინტებს მიიღებდნენ, დაბოლოს, ბედნიერად თვლიდა თავს, რომ აღმოსავლეთ ჰერცოგოვინაში კი არ გაამწესეს, სადაც აჯანყებულებთან მომქანცველი და სახიფათო ბრძოლა უნდა გადაეხადა, არამედ დრინაზე მდებარე ქალაქში გაგზავნეს, სადაც მისი მოვალეობა მხოლოდ ხიდის დაცვა და ბადრაგობა იყო.

ფედუნმა მთელი ზამთარი აქ გაატარა. ზამთრის მოწმენდილ ღამეებში, როცა ყინვა ქვასა ხეთქავდა, ქალაქის თავზე ცა ფერმკრთალდებოდა და ბდღვიალა ვარსკვლავები მოციმციმე პატარა ნაპერწკლებს ემსგავსებოდა, საათობით ტკეპნიდა კაპიას და ხელის თითებს ორთქლით ითბობდა. აქ შეესწრო ფედუნი გაზაფხულის თვალის ახელას. აქვე ჩაესმა დრინაზე ყინულის მტვრევის ყრუ ხმაური, რომელიც თითქოს დედამიწის სიღრმიდან მოისმოდა. ესმოდა ქარის შფოთიანი ხმაური, რომელიც ხიდის ზემოთ, გაშიშვლებულ ტყეებში რაღაც სხვანაირად კვნესოდა.

ჭაბუკი იდგა საგუშაგოზე და გრძნობდა, როგორ ნელ-ნელა მოიპარებოდა გაზაფხული, როგორ ამოდიოდა მიწიდან და წყლიდან, როგორ ავსებდა მთელ მის არსებას, გულს უჩქროლებდა, შთანთქავდა და თავგზას ურევდა. იდგა ჭაბუკი საგუშაგოზე და, მშობლიურ მხარეში ნასწავლ, უკრაინულ სიმღერებს გასძახოდა. მღეროდა და გაზაფხულის ყოველი ახალი დღის დადგომისას ეჩვენებოდა, რომ ამ მაღალ, ქარების საჯირითო ხიდზე ვიღაცას მოელოდა!

მარტის დასაწყისში ხიდის დამცველმა რაზმმა ბრძანება მიიღო ათი ყური და ათი თვალი გამოებათ. ცნობა მოსულიყო, ცნობილი ჰაიდუკი იაკობ ჩეკრილია ჰერცოგოვინიდან ბოსნიაში გადავიდა, ახლა ვიშეგ-

რადის მიდამოებში იმალება, საიდანაც, ეტყობა, სერბიაში ან თურქეთში გადასვლას ეპირებაო.

ხიდის მცელ „შტრაიფკორელებს" ჩეკრილიას გარეგნობაც აცნობეს. ჰაიდუკი ტანდაბალი, შეუხედავი, მაგრამ ძლიერი, გულადი და ძალზე ეშმაკი კაცი იყო, მდევარი რამდენჯერმე გააცურა და ხელიდან დაუძვრა.

ფედუნმა ეს მითითება პატაკის დროს მიიღო და ისეთივე გულისხმიერებით მოეკიდა, როგორც საერთოდ ეკიდებოდა უფროსების განკარგულებებს. სიმართლე რომ ითქვას, ასეთი სიფრთხილე გადაჭარბებულადაც კი ეჩვენა, ვერ წარმოედგინა გუშაგისაგან ათი ნაბიჯის დაშორებით ვინმე შეუმჩნევლად გადასულიყო ხიდის მეორე მხარეს, დღისითაც და ღამითაც ფედუნი წყნარად და უშფოთველად მორიგეობდა. გააორკეცა ყურადღება, მაგრამ არა იაკობისადმი, რომლის ჭაჭანებაც კი არსაით იყო, არამედ მოახლოებული გაზაფხულისადმი.

ძნელია, ოცდასამი წლის ჭაბუკმა ერთ რამეზე შეაჩეროს ყურადღება, როცა სასიცოცხლო ძალების მოზღვავებისაგან თვითონაც ერთიანად თრთის, როცა ირგვლივ ხმაურობს, ბრწყინავს და საამო სურნელებას აფრქვევს გაზაფხული, როცა ვიწრო ხეობებში თოვლი ლღვება, ნაცრისფრად ამღვრეულ ტალღებს მდინარე სწრაფად მოაქანებს, ჩრდილო-დასავლეთის ქარებს თოვლიანი მთების სუნთქვა და დაბლობებიდან ახლად ამოხეთქილი კვირტების სურნელი მოაქვს. ეს ყველაფერი ფედუნს აღელვებდა, თვალსა და გულს სტაცებდა. როცა ერთი მოედნიდან მეორემდე მანძილს ზომავდა ანდა ღამის მორიგეობის დროს კედელზე მიყრდნობილი ქართან ხმაშეწყობილი მშობლიურ უკრაინულ სიმღერებს მღეროდა. დღისითაც და ღამითაც ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ვიღაცას ელოდა, ეს იყო მტანჯველი და ტკბილი გრძნობა, რასაც ყველაფერი ასაზრდოებდა, რაც კი მის ირგვლივ ხმელეთზე, მდინარესა და ზეცაში ხდებოდა.

— ერთხელ, შუადღისას, საგუშაგოს თურქის გოგონამ ჩაუარა. ქალიშვილი იმ ასაკში იყო, როცა თურქული წესისამებრ, სახეს მხოლოდ ნახევრად იფარავენ. — თხელი შალი ფარავს მთელ სხეულს, ხელებს, თავსა და სახის ნაწილს, მაგრამ თვალები, ცხვირი, პირი და ღაწვები კი უჩანს. როგორც კი წამოიჩიტება მუსულმანი გოგონა მოკრძალებითა და სიხარულით აჩენს ნახევრად ბავშვურ, ნახევრად დაქალებულ სახეს, რომელსაც ხვალ სამუდამოდ ჩადრით დაუფარავენ.

კაპიაზე სულიერის ჭაჭანება არ იყო, ფედუნთან ერთად კაპიაზე პრაჩელი გლეხი სტეფანე მორიგეობდა. ისიც „შტრაიფკორში" მსახურობდა. ბახუსის მოყვარული, ხანშიშესული სტეფანე ქვის დივანზე იჯდა და თვლემდა.

ფედუნმა წამოჩიტულ გოგონას ყურადღებითა და კრძალვით შეავლო თვალი. ქარის ყოველ წამოქროლაზე, ტანზე შემოტმასნილი ჭრელი შალი უფრიალებდა. შალი ცოცხალ არსებასავით თრთოდა და გოგონას ნაბიჯებს აყოლილი, მზეზე სხვადასხვა ფერად ღაღანებდა. ლამაზი, მწყაზარი სახე შალში ჰქონდა ჩამალული, თვალები დაბლა დაეხარა და წამწამები მრავლისმეტყველად უხამხამებდა. გოგონამ ფედუნის ახლოს გაიარა და ბაზრის მოედანზე გაუჩინარდა. ვაჟმა ბოლთის ცემას მოუხშირა, თვალები კი მოედნისკენ აწყდებოდა. ახლა ნამდვილად ვიპოვე ის, ვისაც შემიძლია დაველოდოო, — ფიქრობდა ფედუნი გუნებაში. ნახევარი საათის შემდეგ, როცა ხიდზე ჯერ კიდევ შუადღის მყუდროება სუფევდა, ბაზრიდან მობრუნებულმა თურქის გოგონამ ისევ აფორიაქებული ჯარისკაცის გვერდით გაიარა. ამჯერად ფედუნმა უფრო გაბედულად შეხედა და თვალიც გააყოლა, ყველაზე უფრო საკვირველი ის იყო, რომ გოგონამაც, თუმცა წამით, მაგრამ აშკარად ესროლა ირიბი მზერა. ეს იყო ოდნაც სასაცილო და აშკარა ცბიერებით გამსჭვალული მზერა, ისეთი, თამაშის დროს ბავშვები ერთმანეთის მოტყუებას რომ ცდილობენ. როცა გოგონა ფედუნს მიუახლოვდა, ფეხი შეაწყლა, მერე ისევ სწრაფად გასწია და მსუბუქი შალის უთვალავმა ნაოჭმა მისი წამოჩიტული, მაგრამ უკვე დაქალებული სხეულის ირგვლივ თრთოლვა დაიწყო. მეორე ნაპირზე მხიარული, აღმოსავლური ცოცხალი ფერებით შემკული შალი სახლებს შორის დიდხანს მინანაობდა. ჭაბუკი მაშინღა გამოერკვა, როცა ქალიშვილი თვალს მიეფარა. ფედუნი ისევ იმავე ადგილზე იდგა გახევებული, როგორც იმ წუთს, ქალიშვილმა გვერდზე რომ გაუარა. როცა გამოერკვა, თოფი მოსინჯა და ირგვლივ ისეთი გრძნობით მიმოიხედა, თითქოს ხელიდან რაღაც დაუსხლტაო. მარტის მზის მაცდუნებელ სხივებში გახვეული სტეფანე ყვინთავდა. ფედუნს მოეჩვენა, რომ ორივემ რაღაც დააშავეს, რომ ამ ხანში შეიძლებოდა ხიდზე მთელ ოცეულს გაევლო. არც იმაზე ჰქონდა წარმოდგენა, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ცდუნება და რა შეიძლებოდა ამ ამბავს მოჰყოლოდა. საკუთარი თავის შერცხვა, გადაჭარბებული გულმოდგინებით გააღვიძა სტეფანე და ცვლის მოსვლამდე, ორივენი ისე იდგნენ, როგორც წესი და რიგი იყო. მთელი დღე საგუშაგოზე იდგა

თუ ისვენებდა, სულ ერთთავად თურქის გოგო აგონდებოდა, მოჩვენებასავით რომ დაბორიალობდა მის ფიქრებში. მეორე დღეს, ისევ შუადღისას, როცა არც ხიდზე და არც მოედანზე ძე ხორციელი არ ჩანდა, თურქის გოგო ისევ გამოჩნდა. ისე როგორც იმ თამაშის დროს, რომლის წესებიც კარგად არ იცი, ფედუნმა ხელახლა ჩახედა ჭრელ შალში ჩამალულ სახეში. ყველაფერი გუშინდელივით იყო. მხოლოდ მზერა უფრო ხანგრძლივად შეაჩერა, უფრო ცოცხლად და გაბედულად გაიღიმა. სტეფანე, თითქოს თავის როლს ასრულებსო, ისევ ქვის დივანზე თვლემდა, რათა მერე ფიცს მოყოლოდა, თვალიც არ მომიხუჭავს, დღისით კი არა, ღამე ლოგინშიც კი თვალზე რული არ მეკარებაო. როცა ქალიშვილი უკან მობრუნდა, თითქმის შეჩერდა და ჯარიკაცს თვალი თვალში გაუყარა. ფედუნმა ქალიშვილს ორიოდ უმნიშვნელო და გაურკვეველი სიტყვა ჩაულაპარაკა და თან მღველვარებისაგან ლამის ჩაიკეცა. ისიც კი დაივიწყა, რომ საგუშაგოზე იდგა. ასეთი კადნიერი საქციელი, მხოლოდ ძილში შეიძლებოდა დაზმანებოდა, ქალიშვილი მდინარის მეორე ნაპირზე რომ გაუჩინარდა, ჭაბუკი შიშის კანკალმა აიტანა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ თურქის ქალმა გაბედა და შვაბ ჯარისკაცს შეხედა. ასეთი გაუგონარი და მოულოდნელი რამ მხოლოდ ოცნებით შეიძლებოდა წარმოედგინა, ან გაზაფხულის ჟამს კაპიაზე შეიძლებოდა მომხდარიყო. ფედუნმა ისიც კარგად იცოდა, რომ ამ ქვეყანაში თურქის ქალთან დაახლოებაზე უფრო სახიფათო და საძრახისი არაფერი იყო. ამის თაობაზე ადრე ჯარშიც უთხრეს და „შტრეიფკორშიაც“ გააფრთხილეს. ასეთი გადაცდენისათვის იცოდა მკაცრად დაისჯებოდა, შეურაცხყოფილი და გაშმაგებული თურქების წინაშე არაერთ გაბედულ ვაჟკაცს წაუგია თავი. მშვენივრად იცოდა ყველაფერი და გულწრფელი სურვილიც ჰქონდა წესებს დამორჩილებოდა, მაგრამ მაინც რატომღაც პირიქით მოიქცა. უიღბლო ხალხის მთელი უბედურება სწორედ იმაშია, რომ აკრძალული და შეუძლებელი, უეცრად მათთვის ხელმისაწვდომი და ნებადართული ხდება, ყოველ შემთხვევაში ხელმისაწვდომი ეჩვენებათ, ხოლო როცა სახიფათო სურვილი საბოლოოდ თავგზას აკარგვინებთ, აკრძალვა ხელახლა იძენს აზრს და მიუწვდომელის შეწვდომის მოსურნენი, საბედისწეროდ ისჯებიან ხოლმე.

მესამე დღეს, ასე შუადღის ხანს თურქი გოგონა ისევ გამოჩნდა. ეს უკვე სიზმარს ჰგავდა, როცა ადამიანს ყველა სურვილი უსრულდება, ოცნება სინამდვილედ იქცევა და ყველაფერი მას ემორჩილება. სტეფანე ისევ თვლემდა და, როგორც ყოველთვის, მზად იყო დაეფიცა,

თვალიც არ მომიხუჭავსო, თან თავისი ნათქვამის თვითონვე სჯეროდა. კაპიაზე ჭაჭანება არ იყო. ჯარისკაცმა გოგონას რამდენიმე სიტყვა ჩაუფუურუნა, ქალიშვილმაც ნაბიჯი შეანელა და ძლივს გასაგონი ხმით რაღაც უპასუხა.

სახიფათო და დაუჯერებელი თამაში გრძელდებოდა. მეოთხე დღეს ქალიშვილმა, ისევ ისეთი დრო შეარჩია, როცა ხიდზე არავინ იყო და ჩურჩულით ჰკითხა შეყვარებულ ჭაბუკს, როდის გიწევს შემდეგი მორიგეობაო, ვაჟმა უპასუხა, — შებინდებისას, მეოთხე ლოცვის დროს აქ ვიქნებიო.

გოგონა არ შეჩერებულა და არც თავი აუწევია, მაგრამ მრავლისმთქმელი თვალებით ქვეშ-ქვეშად ახედა ვაჟს და ნაუჩურჩულა: საღამოზე, მოხუც დედას ბაზრამდე გავაცილებ ღამის გასათევად და მოვბრუნდებიო. მისი ყოველი სიტყვა აღსავსე იყო იდუმალი სიხარულით, რომ ქალიშვილი კიდევ ნახავდა ვაჟს.

ექვსი საათის შემდეგ ფედუნი ძილისგუდა სტეფანესთან ერთად ისევ კაპიაზე იყო. გაწვიმდა. მწუხრი ჩამოწვა, რაც ფედუნს კარგის მომასწავებლად ეჩვენა. გამვლელები სულ უფრო იშვიათადღა ჩანდნენ. მერე ოსონიცისკენ მიმავალ გზაზე თურქი ქალიშვილი გამოჩნდა. იმავე შალში იყო გახვეული, თუმცა მოახლოებული საღამოს ჩრდილისაგან შალს ფერები დაჰკარგოდა. გვერდით ბებერი, შავჩადრჩამოფარებული, წელში მოხრილი, თურქის დედაკაცი მოსდევდა, ჩადრით სახედაფარული მოხუცი, მარჯვენა ხელით ჯოხს ეყრდნობოდა, მარცხენათი კი ქალიშვილის ხელს.

ასე ჩაუარეს ფედუნს. ქალიშვილი ნაბიჯს ანელებდა, ცდილობდა მოხუცისთვის აეწყო ფეხი. თვალები, საღამოს მქრქალ ბინდ-ბუნდში, ძალზე დიდად რომ მოუჩანდა, ახლა თამამად და ჩაციებით მიეპყრო ჭაბუკისთვის, თითქოს თვალის მოწყვეტა აღარ შეუძლიაო. როცა დედა-შვილი სახლების მიღმა გაუჩინარდნენ, ყმაწვილი კაცი კანკალმა აიტანა და აჩქარებით მოჰყვა ბოლთის ცემას, იქნებ, ცოტათი მაინც დავწყნარდეო. ფედუნი ისევ შეიპყრო წინათგრძნობამ, თითქოს ხელიდან რაღაც გაუსხლტა. ახლა შიშნარევი მღელვარებით ელოდა ქალიშვილის დაბრუნებას. სტეფანე თვლემდა. „რას მეტყვის, როცა უკან მობრუნდება?“ — ფიქრობდა ჭაბუკი, — მე რაღას ვუპასუხებ? ეგება პაემანიც დამინიშნოს და ღამე ფარულადაც შევხვდეთ ერთმანეთს. ამის გაფიქრებაზე სიხარულის თრთოლვამ აიტანა და მოსალოდნელი საშიშროებისაგან ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.

გამოხდა ერთი საათი, იმას ნახევარიც მიჰყვა, ქალიშვილი კი არა და არ ბრუნდებოდა. მოლოდინით მოგვრილი ნეტარების გრძნობა შებინდებასთან ერთად ეზრდებოდა. ბოლოს ქალიშვილის მაგივრად, ცელა გამოცხადდა. მაგრამ ამჯერად ჩვეულებრივი ცელის ორ ჯარისკაცს, თვით ვახმისტრი დრაჟენოვიჩი მოჰყვა. ვახმისტრი მოკლედ შეკრეჭილ შავ წვერს ატარებდა. ძალზე მკაცრი კაცი იყო. გაჯავრებულმა მკვახედ უბრძანა ფედუნსა და სტეფანეს ყაზარმაში წასულიყვნენ და ახალ განკარგულებამდე ფეხი არ მოეცვალათ. ფედუნმა რაღაცნაირად თავი დამნაშავედ იგრძნო და სისხლი თავში აუვარდა.

დიდი და ცივი სადგომი, სადაც თორმეტი ზედიზედ მიწყობილი საწოლი იდგა, ცარიელი იყო, ჯარისკაცები ან სავახშმოდ იყვნენ, ან ქალაქში დასეირნობდნენ. აღელვებული სტეფანე და ფედუნი ამაოდ იმტვრევდნენ თავს, გამოეცნოთ რისთვის მოექცათ ვახმისტრი ასე მკაცრად და მოულოდნელად რატომ დააპატიმრა. ერთი საათის შემდეგ, როცა ჯარისკაცები დასაძინებლად გროვდებოდნენ, მოღუშული კაპრალი შემოვიდა და ფედუნსა და სტეფანეს ხმამაღლა, უხეშად გამოუცხადა უკან გამომყევითო. იმის მიხედვით, რაც მათ ირგვლივ ხდებოდა, დაასკვნეს, რომ რაღაცით გამოიწვიეს უფროსების გულისწყრომა და ყველაზე უფრო ცუდი ამბის შესახვედრად უნდა მომზადებულიყვნენ. ისინი ყაზარმიდან გამოიყვანეს, სხვადასხვა სადგომში მოათავსეს და მაშინვე დაკითხვა ცალ-ცალკე დაუწყეს.

ღამე ილეოდა. გადიოდა საათები, ქალაქში აღარსად ენთო შუქი, მაგრამ ყაზარმის ფანჯრებში სინათლე არ ქრებოდა. დროდადრო კაპიიდან ზარის რეკვა მოისმოდა, საიდანღაც გასაღების ჩხარუნისა და მძიმე კარების ჯახაჯუხის ხმა მოდიოდა. ყაზარმასა და ყუნახის შენობას შორის, რომლის პირველ სართულზედაც ლამპები ენთო, ქალაქის ბნელ ქუჩებზე შიკრიკები მიდი-მოდიოდნენ. მარტო ამითაც შეიძლებოდა მიხვედრა, რომ ქალაქში რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა.

დაახლოებით თერთმეტ საათზე ფედუნი ასისთავის კანცელარიაში შეიყვანეს. მას ეჩვენებოდა, თითქოს მთელი დღეები და კვირები გასულიყოს კაპიიდან წამოსვლის შემდეგ, ასისთავი კრჩმარი მაგიდას მისჯდომოდა, რომელზედაც მწვანე შუქფარიანი ნავთის ლამპა იდგა, შუქი იდაყვებამდე სცემდა, მხრები და თავი კი ჩრდილში ჰქონდა მოქცეული. ეს ფერმკრთალი, მსუქანი, ოდნავ შესამჩნევი, პატარა ულვაშიანი უწვერო, ქუთუთოშესიებული ქალური სახე ნაცნობი იყო ჯარისკაცებისათვის. „შტრაიფკორელებს“ შიშის ზარს სცემდა ეს მსხვილ-მსხვი-

ლი, წყნარი ოფიცერი, მისი ნამჯიღეჭია ლაპარაკისა და ტლანქი მიხრა-მოხრის ისე ეშინოდათ, როგორც ცეცხლისა. ძნელად თუ ვინმე გაუძლებდა მისი დიდი, ნაცრისფერი თვალების ჩაციებულ მზერას, ბევრი არ იყო ისეთი ჯარისკაცი მის შეკითხვებზე ენა არ დაბმოდა. ყოველ სიტყვას ასისთავი წყნარად, მკაფიოდ, დამარცვლით და გასაგებად წარმოთქვამდა, ისე, როგორც სკოლაში ან სცენაზე წარმოთქვამენ. გვერდით ვახმისტრი დრაჟენოვიჩი ედგა. მისი სხეულის ზედა ნაწილი სიბნელეში იყო მოქცეული, მხოლოდ ძირდაშვებული გაბანჯგლული ხელები ჰქონდა მკაფიოდ განათებული და თითზე ოქროს მსხვილი ბეჭედი უბრწყინავდა.

შეკითხვებს დრაჟენოვიჩი იძლეოდა.

— მითხარით, რას აკეთებდით ხუთიდან შვიდ საათამდე, თქვენს თანაშემწე, ჯარისკაც სტეფანე კალაცანოვთან ერთად კაპიაზე მორიგეობის დროს?

ფედუნს სისხლი თავში მოაწვა, ყველა ადამიანი როგორცა სურს, როგორც შეუძლია ისე ატარებს დროს და არვის უფიქრია იმაზე, რომ როდისმე მკაცრი სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუხდება და იძულებული იქნება პასუხი აგოს ყველაფერზე, რაც მოხდა. ყველაფერზე, თვით უმნიშვნელო წვრილმანზედაც კი, ყველაზე უფრო იდუმალ ფიქრებსა და უკანასკნელ წამზეც. ამაზე არავინ ფიქრობს, მით უმეტეს, ოცდასამი წლის კაცი, ვინაც გაზაფხულის ეს საათები კაპიაზე გაატარა. რა უპასუხოს? ამ ორმა საათმა, ისევე, როგორც გუშინ და გუშინწინ სადარაჯოზე, დღესაც ჩვეულებრივად გაიარა. ფედუნმა ეშმაკად ვერც ერთი ყოველდღიური, ჩვეულებრივი ამბავიც კი ვერ გაიხსენა, რომ იმაზე მაინც ეამბნა. მის მეხსიერებაში მხოლოდ ის შემთხვევითი და აკრძალული ამბავი ტივტივებდა, რაზედაც უფროსებს ვერაფერს ეტყოდა. ის რომ სტეფანე, როგორც ყოველთვის, მაშინაც თვლემდა, რომ ფედუნმა ორიოდე სიტყვა უთხრა თურქის უცნობ გოგოს, რომ მერე შებინდებისას ხმადაბლა გატაცებით მღეროდა თავისი ქვეყნის სიმღერებს და თურქ გოგოს უკან დაბრუნებას, როგორც ამაღელვებელსა და არაჩვეულებრივს ელოდა. რა ძნელია პასუხის მიცემა, როცა ყველაფრის თქმა არ შეგიძლია, რაიმეს მდუმარედ გვერდის ავლა კი შეუძლებელია! მაგრამ უნდა იჩქაროს, რადგან წამები მიდის, დაბნეულობა და უხერხულობა კი სულ უფრო მატულობს. განა დუმილი რამდენ ხანს შეიძლება?

— აბა? — თქვა ასისთავმა. ყველამ იცოდა რას ნიშნავდა მისი „აბა".

ფედუნს ენა დაება და დამნაშავესავით აირია.

ღამე ილეოდა, მაგრამ არც ყაზარმაში და არც ყუნახში შუქი არ ქრებოდა. დაკითხვები, ოქმების შედგენა და დაპირისპირება განუწყვეტლივ გრძელდებოდა. ის ჯარისკაცებიც დაჰკითხეს, რომლებიც იმ დღით მორიგეობდნენ კაპიაზე. ზოგიერთი გამვლელ-გამომვლელიც დაძებნეს და მოიყვანეს. წრე თანდათანობით ვიწროვდებოდა ფედუნისა და სტეფანეს ირგვლივ, მათი ჩვენებისა და იმ ბებერი თურქი ქალის ირგვლივ, ვინც უცნობმა ქალიშვილმა ხიდზე გაატარა. ჭაბუკს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც ფანტასტიკურსა და ამოუცნობ ამბავზე უნდა ეგო პასუხი ისე, როგორც სიზმარში ხდება. უთუნია გამოიყვანეს სტეფანესთან დასაპირისპირებლად. გლეხი ცბიერად ჭუტავდა თვალებს და წრიპინა ხმით ირწმუნებოდა, რომ გაუნათლებული, სოფლელი კაცია, და ცდილობდა მთელი პასუხისმგებლობა „ბატონი ფედუნისათვის" წამოეკიდნა. იგი ყოველთვის ასე იხსენიებდა თავის ამხანაგს.

აუცილებლად უნდა ვუპასუხო, ფიქრობდა ფედუნი, რომელსაც შიმშილისაგან შიგნეული ეწვოდა. მღელვარებისგან კანკალებდა, თუმცა ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რაზე იყო ლაპარაკი და რა შეცდომა თუ დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

დილით ყველაფერს ფარდა აეხადა. მთელი ღამე ბრუნავდა ვეებერთელა მექანიზმი, შუაგულში მდუმარე და ცივი ასისთავი იდგა. თავად ზანტი, უძრავი და მუნჯი სხვებს დუმილისა და გარინდების ნებას არ აძლევდა. არც ქცევითა და არც გარეგნობით ასისთავი ადამიანს არ ჩამოჰგავდა, იგი მოვალეობის აღმსრულებელ, სიმართლის მაძიებელ სასტიკ ქურუმს დამსგავსებოდა, ვისთვისაც ყოველგვარი სისუსტე და გრძნობები უცხო იყო. თითქოს ძილი, ჭამა და დასვენება სხვა ადამიანივით არა სჭირდებოდა.

განთიადისას ფედუნი ისევ მიიყვანეს ასისთავთან. კანცელარიაში ასისთავისა და დრაჟენოვიჩის გარდა შეიარაღებული ჟანდარმი და ქალი დახვდა, რომელიც ყმანვილ კაცს პირველი შეხედვით მოჩვენება ეგონა. ლამპა ჩაექროთ. მოქურუშებულ ოთახში ციოდა, გაოცებული ჭაბუკი ხედავდა, რომ წუხანდელი ბუნდოვანი სიზმარი ისევე გრძელდებოდა და დღის სინათლეზე არცა ქრებოდა და არცა ფერმკრთალდებოდა.

— ეს იდგა საგუშაგოზე? — ჰკითხა დრაჟევიჩმა ქალს.

ფედუნმა ძალა დაატანა თავს და ყურადღებით შეხედა ქალს. მის წინ ის მუსულმანი გოგო იჯდა, წინა ღამეს ხიდზე რომ გადავიდა, ოღონდ ახლა თავშიშველა იყო და აღარც შალი ჰქონდა მხრებზე წამოსხმული. ბეჭებზე ნახევრად გაშლილ-გაწეწილი წაბლისფერი მსხვილი ნაწნავები ეყარა. თურქული ჭრელი შარვალი ეცვა, — პერანგი, ქამარი და უსახელოებო ზედატანი, არაფრით არ განსხვავდებოდა იმ ტანსაცმლისაგან, რომელსაც, ქალაქის ახლომახლო მთის სოფლის სერბიელი გოგონები ატარებდნენ. უთავსაფროდ უფრო მოზრდილი და ძლიერი ჩანდა. სახე შესცვლოდა, ბაგე უფრო დიდი და ბრაზიანი გახდომოდა, ქუთუთოები გასწითლებოდა, ისეთი ღია ფერის ნათელი თვალები ჰქონდა, გეგონებოდა იმღამინდელი ჩრდილი ჩამოსცილებიაო.

— დიახ, ის არის, — უდარდელი და მტკიცე ხმით უპასუხა ქალმა, ფედუნს ეს ხმა ისევე უცხოდ და უჩვეულოდ ეჩვენა, როგორც მისი გარეგნობა.

დრაჟენოვიჩი ეკითხებოდა როგორ და რამდენჯერ გადაიარა ხიდი და რაზე ლაპარაკობდნენ ისა და ფედუნი. ქალი მართალს ამბობდა, მაგრამ აგდებითა და ჯიუტად პასუხობდა.

— კარგი, ელენკა, მაინც რა გითხრა, როცა ბოლოს ხიდზე გადახვედი?

— რაღაც მითხრა, რა — არ ვიცი. მე არ ვუსმენდი, მარტო იმაზე ვფიქრობდი, როგორ გადამეყვანა იაკობი.

— ოოჰ! — აი, თურმე რაზე ფიქრობდი.

— დიახ, მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი, — უხალისოდ უპასუხა ქალმა, ეტყობოდა, ძალზე დაღლილიყო და ცდილობდა, იმაზე მეტი არაფერი ეთქვა, ვიდრე სთხოვდნენ. მაგრამ ვახმისტრი ჯიუტობდა. ამ კაცის ხმაში მუქარა ისმოდა, რომელიც არ იყო მიჩვეული ჩვენების გადათქმას და მოითხოვდა, ქალს ზუსტად გაემეორებინა ყველაფერი, რაც ყუნახში პირველი დაკითხვის დროს თქვა.

ქალი თავს იცავდა, ადრე მიცემული ჩვენებიდან ზოგიერთ წვრილმანს ამოკლებდა და ტოვებდა, მაგრამ დრაჟენოვიჩი წამდაუწუმ აჩერებდა და მოხერხებული მისახვედრი შეკითხვებით ქალს ისევ პირვანდელ საკითხთან აბრუნებდა.

თანდათანობით სიმართლე გამომჟღავნდა. ქალს ელენკა ერქვა. ტასიჩელი იყო. გასულ შემოდგომას იმათ მხარეში ჰაუდუკი იაკობ ჩეკრილია გამოჩნდა და იქვე გამოიზამთრა, სოფლის შორიახლო ფიცრულში.

მისი სახლიდან იაკობს საჭმელსა და ტანსაცმელს უზიდავდნენ. ყველაზე ხშირად ელენკა დადიოდა. აქ მათ ერთმანეთი შეიყვარეს და დაინინდნენ, ხოლო, როცა თოვლმა დნობა იწყო და „შტრაიფკორმაც“ ძებნა გააცხოველა, იაკობმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სერბიაში გადასულიყო. წელიწადის ამ დროს დრინის ფონის გადავლაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, ხიდზე კი მუდმივი დაცვა იდგა. იაკობმა მაინც ხიდზე გადასვლა ამჯობინა და კიდევაც მოიფიქრა, როგორ გაეცურებინა გუშაგები. ელენკა საკუთარი სიცოცხლის ხიფათში ჩაგდებას არ დაერიდა და გადაწყვიტა იაკობს დახმარებოდა. ისინი ჯერ ლიესკში ჩამოვიდნენ, მერე კი ოკოლიშჩის მახლობელ გამოქვაბულში დაიმალნენ. უფრო ადრე იაკობმა ბოშებისაგან, გლასინცაში ქალის თურქული ტანსაცმელი ფერეჯა, შარვალი და მოსასხამი იშოვა. მერე, როგორც იაკობმა დაარიგა, ელენკამ ხიდზე დაიწყო გასვლა-გამოსვლა იმ საათებში, როცა თურქები ნაკლებად იყვნენ, რათა რომელიმე მათგანი უცნობი ქალიშვილით არ დაინტერესებულიყო, ხოლო გუშაგები კი შესჩვეოდნენ. ასე იარა ხიდზე ზედიზედ სამი დღე, მერე კი გადაწყვიტა, იაკობი გაეტარებინა.

— რაღა მაშინ გადაწყვიტე მისი გატარება, როცა სადარაჯოზე მაინცდამაინც ეს ჯარისკაცი იდგა?

— იმიტომ, რომ სხვებზე უფრო დამყოლად მივიჩნიე.

— მხოლოდ ამიტომ?

— დიახ.

ვახმისტრის დაჟინებით ქალი მოყოლას განაგრძნობდა.

როცა ყველაფერი მზად იყო, იაკობი ფერეჯაში გაეხვია და დაბინდებისას ქალმა, ვითომ დედაჩემიაო, ისე გაუტარა გუშაგებს ცხვირწინ. გუშაგებმა ვერაფერი იაზრეს, რადგან ჭაბუკი მოხუცს კი არა, ელენკას შეჰყურებდა, ბებერი ჯარისკაცი კი სკამზე ჩამომჯდარი თვლემდა.

როცა მოედანზე გავიდნენ, სიფრთხილე გამოიჩინეს და პირდაპირ ბაზრის მხარეს კი არა, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით წავიდნენ. სწორედ ამან დაღუპათ. უცნობ ქალაქში გზა აებნათ და იმის მაგივრად, რომ რზავის ხიდამდე მისულიყვნენ და დიდ გზას დასდგომოდნენ, რომელიც ორივე საზღვრამდე მიდის, თურქული ყავახანის წინ ამოყვეს თავი, საიდანაც სწორედ მაშინ გამოიშალა ხალხი. მათ შორის ქალაქელი თურქი ჟანდარმიც ერია. ფერეჯაში გახვეული უცნობი მოხუცი და ქალიშვილი საეჭვოდ მოეჩვენა და უკან აედევნა. როცა რზავასთან გამოვიდნენ, ჟანდარმი მიუახლოვდათ და ჰკითხა, ვინა ხართ, საიდან მო-

დიხართო. იაკობი, ფერეჯის ქვეშიდან დამზერილი ადევნებდა თვალს ჟანდარმს. მიხვდა, რომ გაქცევის ჟამი დაუდგა. ფერეჯა ჩამოიგლიჯა და ისე მაგრად მიახეთქა ელენკა ჟანდარმს, რომ ორივენი დაეცნენ. „თუმცა იაკობი მორჩილი ტანისაა, სამაგიეროდ, დედამიწასავით ძლიერია, იაკობივით უშიშარი გული არავის აქვს“. ელენკამ თვითონვე დამშვიდებითა და საქმიანად აღიარა, რომ ცდილობდა ჟანდარმისათვის ნამოდგომაში ხელი შეეშალა. ვიდრე ჟანდარმი მას ეძიძგილავებოდა, იაკობმა ისე სწრაფად გატოპა მდინარე, თითქოს მდინარეში კი არა, გუბეში გაიარაო. წყალი მხოლოდ მუხლებამდე მისწვდა და გაღმა ნაპირას ბუჩქებში გაუჩინარდა. ელენკა ყუნახის შენობაში მიიყვანეს. სცემდნენ და ემუქრებოდნენ, მაგრამ იმაზე მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი, რაც უკვე თქვა.

ამაოდ ცდილობდა ვახმისტრი ქარაგმული შეკითხვებით, დაყვავებითა და მუქარით ქალისათვის სხვა ცნობებიც დაეფქვევინებინა, გაეგო იაკობის თანამდგომთა და თანამონაწილეთა სახელები, დაედგინა, რას აპირებდა იაკობი მომავალში. მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა. მან თვითონვე უამბო თავისი ნებით, რისი თქმაც საჭიროდ მიიჩნია, დრაჟენოვიჩის დაჟინების მიუხედავად ერთი სიტყვაც ვერ წამოაცდენინეს.

— სჯობს, შენ თვითონვე გვითხრა, რაც იყო, თორემ იაკობი, ალბათ, უკვე შეიპყრეს საზღვარზე, აწამებენ და ისე ათქმევინებენ ყველაფერს.

— ვინ შეიპყრეს? იაკობი? ხა-ხა!

ქალიშვილმა ისეთი სინანულით შეხედა ვახმისტრს, როგორც შეხედავენ ადამიანს, რომელმაც თვითონაც არ იცის რას ამბობს.

ზედა ტუჩის მარჯვენა კიდე ზიზღით აპრიხა (საერთოდ ქალის ზედა ტუჩის თამაში დაკითხვის დროს ხან წურბელის მოძრაობას მოგაგონებდათ, ხან რისხვას, ხან სიძულვილს, ხანაც აშკარა სიჯიუტეს გამოხატავდა. პირი ეკრუნჩხებოდა და ქალის მშვენიერსა და ლამაზ ნაკვთებს უშნო შესახედაობას აძლევდა). მერე რაღაც ბავშური აღფრთოვანებით, რაც სრულიადაც არ შეეფერებოდა ზედა ტუჩის ასეთ ულამაზო მანჭვას, ფანჯარაში გაიხედა, ისე, როგორც გაზაფხულობით გახედავს ხოლმე გლეხი მინდორს, რათა დარწმუნდეს, ამოვიდა ნათესი თუ არა, და თქვა:

— რაც მოხდა, მოხდა! აი, უკვე გათენდა, ის კი, ამ ღამეში, არამცთუ ორიოდე საათის სავალ საზღვარზე გადასვლას, მთელი ბოსნიის შემორბენასაც კი მოასწრებდა.

ვიცი, თქვენ შეგიძლიათ მანამოთ, მომკლათ კიდეც — მე თვითონ ვისურვე ასე, მაგრამ მას უკვე თვალს ვეღარ მოჰკრავთ, ამაზე ფიქრიც ზედმეტია. ხა, ხა! და ზედა ტუჩის მარჯვენა კიდე ძალუმად აუთამაშდა, სახე კი უეცრად მოუბერდა, გამომწვევი, თავხედური და ულამაზო გაუხდა. როცა ისევ დამშვიდდა და ბაგე დაუწყნარდა, ქალიშვილის სახეს კვლავაც ბავშვური, თავგანწირული გმირობის მიმზიდველობა დაუბრუნდა.

დრაჟენოვიჩმა ვეღარაფერი გააწყო, ასისთავს შეხედა. მანაც ანიშნა და ქალიშვილი გაიყვანეს. მერე ისევ ფედუნი დაჰკითხეს, დაკითხვა არც მძიმე იყო და არც ხანგრძლივი. ფედუნი ყველაფერში გამოტყდა და თავი ვერ იმართლა. ისიც კი ვერ გამოიყენა, რასაც დრაჟენოვიჩი განზრახ, შეკითხვებისას კარნახობდა. ასისთავის მკაცრ, აშკარა და ურყევი განკიცხვით სავსე სიტყვებში თავშეკავებული თანაგრძნობაც იგრძნობოდა, მაგრამ ამასაც არ შეეძლო მისი გახევებული მდგომარეობიდან გამოყვანა.

— ფედუნ, ისეთ კაცად მიმაჩნდით, ვისაც შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა და დასახული მიზნისკენ მიისწრაფის, — გერმანულად ეუბნებოდა კრჩმარი, — მეგონა, თანდათანობით თქვენგან საუკეთესო, მთელი რაზმის საამაყო მეომარი დადგებოდა. თქვენ კი ცხვირწინ ჩავლილი პირველივე გოგოს შეხედვაზე გული აგიჩუყდათ, თქვენ უმწეო ადამიანი გამოდექით, ვისაც არ შეიძლება მნიშვნელოვანი საქმე მიანდონ. სამართალში უნდა მიგცეთ. მაგრამ, როგორი განაჩენიც არ უნდა გამოგიტანონ უმაღლეს სასჯელად, მაინც ის გეყოფათ, რომ ნდობა ვერ გაამართლეთ და გადამწყვეტ წუთში ვერ შეძელით ვაჟკაცებად დარჩენილიყავით, საგუშაგოზე მდგომი ნამდვილი ჯარისკაცი ყოფილიყავით. ახლა კი მიბრძანდით!

მაგრამ არც ამ შთამაგონებელ, მკაფიო და დამარცვლით ნარმოთქმულ სიტყვებს ახალი არაფერი უთქვამს მისთვის. ეს ყველაფერი უკვე უამისოდაც ესმოდა. ჰაიდუკის სატრფოს გამოჩენამ, მისმა სიტყვებმა, სტეფანეს საქციელმა და გამოძიებამ ნათლად დაანახა საკუთარი თავის შეუწყნარებელი ქარაფშუტობა. ასისთავის სიტყვები მისი ნაფიქრის დადასტურება იყო მხოლოდ. იგი ფედუნს კი არა, თვითონ ასისთავს სჭირდებოდა, რათა ურყევი კანონისა და წესრიგის რაღაც

დაუწერელი მოთხოვნა შეესრულებინა. ფედუნმა უჩვეულო სიცხადით შეიგნო, თუ რა ფასად შეიძლება დაუჯდეს კაცს საგუშაგოზე ყოფნისას თავდავიწყების რამდენიმე წამი. ფედუნი დაჟინებით ფიქრობდა ამაზე. რასაკვირველია, თავისთავად ასეთი გაუცნობიერებელი განცდები არაფერს ნიშნავდა. ფუდენი ამასაც ასევე მოიგონებდა, როგორც რომელიმე სხვა ჭაბუკურ ოინს, რაზედაც ღამით მოსაწყენი მორიგეობის დროს ამხანაგები ერთიმეორეს უყვებიან ხოლმე.

მაგრამ ახლა, როცა ამ წუთების გამო პასუხი უნდა ეგო, ეს მისთვის სიკვდილზე მეტს ნიშნავდა. ეს იყო ყველაფრის დასასრული. არასასურველი და სამარცხვინო დასასრული. ის ვერასოდეს ვერ შეძლებს, ვერც თავისი და ვერც სხვების წინაშე თავის მართლებას. უკვე აღარც წერილები და აღარც ფოტოსურათები აღარ მოვიდოდა კოლომეიდან, აღარც ფულს გააგზავნის, ასეთი სიამაყით რომ აგზავნიდა შინ. ეს დასასრული იყო იმ კაცისა, ვინც თავი გააბრიყვებინა სხვას და მოტყუებული დარჩა. აი, რატომ ვერ მოძებნა სიტყვა ასისთავის საპასუხოდ. ფედუნი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ არა ჰყოლიათ. ანგარიშმიუცემლად შეჭამა კუთვნილი საუზმე. მერე უბრძანეს, პირადი ნივთები ჩაელაგებინა, იარაღი და საბრძოლო ქონება ჩაებარებინა. თან გააფრთხილეს, ათ საათზე ჟანდარმის თანხლებით საფოსტო ოთხთვალათი გაემგზავრებოდა სარაევოში, სადაც გარნიზონის სასამართლოს გადასცემდნენ.

ვიდრე ფედუნი საწოლის ზემო თაროდან ნივთებს იღებდა, ამხანაგები ფეხის წვერებზე გარეთ გამოილალნენ და კარები მიიხურეს. ფედუნის ირგვლივ ის გულის წამღები სიჩუმე და მარტოობა ისადგურებდა, უბედურებისაგან განადგურებული ადამიანის ირგვლივ რომ იქმნება ხოლმე.

უპირველეს ყოვლისა, თავთან ჩამოკიდებული შავი ფირფიტა ჩამოიღო, ფირფიტას სქელი საღებავით გერმანულად ეწერა მისი სახელი, გვარი, წოდება, რაზმისა და ათეულის ნომერი. ფედუნმა ფირფიტა გადმოაბრუნა, მუხლზე დაიდო და უკანა მხარეზე ცარცით წააწერა:

„ყველაფერი, რაც მრჩება, გაუგზავნეთ მამაჩემს კოლომეაში. მოკითხვას ვუთვლი ყველა ამხანაგს, უფროსს ვთხოვ მაპატიოს გ. ფედუნი“. შემდეგ უკანასკნელად გაიხედა ფანჯარაში და თვალი მოავლო იმას, რისი დანახვაც ერთ წუთში შეიძლებოდა მოესწრო ამ ვინრო ჭრილიდან. მერე თავისი თოფი ჩამოიღო და მძიმე ტყვიით გატენა.

ფეხთ გაიხადა, მარჯვენა ფეხის თითზე ნინდა დანით გაფატრა, საწოლზე ნამოწვა, ხელებსა და მუხლებს შუა თოფი ისე მოიქცია, რომ ლულის ბოლო ქვედა ყბას მაგრად მიბჯენოდა. ფეხი მოხარა, რათა ფეხის თითით ჩახმახს მისწვდომოდა და დასხლიტა. გასროლის ზათქი მთელ ყაზარმაში გაისმა.

ასეთი გაბედული დასასრულის შემდეგ ყველაფერი გაადვილდა და გაიოლდა. მოვიდა ექიმი. კომისიამ გასინჯა გვამი, აქტი შეადგინეს და ასლი ფედუნის დაკითხვის ოქმებს მიაკერეს.

როცა ფედუნის დაკრძალვის საკითხი წამოიჭრა, დრაჟენოვიჩს დაავალეს ჩასულიყო მამაო ნიკოლასთან და გაეგო, შეიძლებოდა თუ არა სასაფლაოზე დაეკრძალათ, რადგან თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე და თანახმაა თუ არა ანდერძი აუგოს უნიატის* მიცვალებულს.

ბოლო ხანებში მამაო ნიკოლა მთლად დაჩაჩანაკდა, ძლივსღა დაბრაცუნობდა და თანაშემწედ მამაო იოსე აიყვანა. დიაკვანი სიტყვაძვირი, მაგრამ ძალზე მკვირცხლი, გამხდარი და მუგუზალივით შავი კაცი იყო. ახლა ყველა საეკლესიო წესს ქალაქშიაც და სოფლებშიაც ის ასრულებდა, მობერებული მამაო ნიკოლა კი მხოლოდ ყველაზე უფრო მახლობელ მრევლს ემსახურებოდა და თავის ეკლესიაში წირავდა.

ასისთავის განკარგულებით, მამაო ნიკოლასთან დრაჟენოვიჩი წავიდა. „პაპამ" იგი დივანზე წამოწოლილმა მიიღო. მამაო იოსეც იქვე იყო, როცა დრაჟენოვიჩმა უამბო ფედუნის სიკვდილის ამბავი და ჰკითხა, როგორ დავმარხოთო მიცვალებული. ორივე მღვდელი წუთით დადუმდა. რაკი მამაო ნიკოლა არაფერს ამბობდა, მამაო იოსემ პირველმა დაიწყო: ყოყმანითა და გაუბედავად თქვა, რომ ეს განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი საქმეა, რომ საეკლესიო წესებითა და ადათებით აკრძალულია, წესი აუგონ იმას, ვინც თვითმკვლელობა ჩაიდინა, მაგრამ შეიძლება რაიმე მოხერხდეს, თუ დამტკიცდება, რომ ფედუნი ჭკუაზე არ იყო და არა უწყოდა რას აკეთებდა. მაშინ წამოდგა მამაო ნიკოლა, რომელიც გაცვეთილ, ცხვრის ტყავგადაფარებულ ვიწრო და მაგარ დივანზე იყო წამოწოლილი. მას ისევ შერჩენოდა ძველებური წარმოსადეგობა, რაც ასე ნაცნობი იყო ყველასათვის, ვინც მიჩვეული იყო ბაზრის მოედანზე მასთან მისალმებას. როგორც კი დაილაპარაკა, სახე შინაგანი შუქით გაუნათდა, ეს იყო ფართო, ჯერ კიდევ ღაჟღაჟა სახის კაცი. წვერთან შეზრდილი ულვაშები და სქელი წითური ჯაგარა

* უნიატი – უნიატური ეკლესიის მრევლი.

წარბები ჰქონდა. მამაო ნიკოლა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისებური მსჯელობით, გულწრფელობითა და ვაჟკაცობით.

არცთუ ბევრი ფიქრის შემდეგ მამაო ნიკოლამ მოკლედ, ერთდროულად უპასუხა მღვდელსაც და ვახმისტრსაც. ახლა, როცა მოსახდენი უკვე მოხდა, გვიანია რამის მტკიცება. განა საღი ჭკუის კაცი საკუთარ თავზე ხელს აღმართავს? ვინ გაბედავს, ცოდვა დაიდოს და ის უბედური, წარმართივით სადმე ღობის ძირას უმღვდლოდ დაფლას. მიბრძანდით, ბატონო, ღმერთი იყოს თქვენი შემწე, განკარგულება გაეცით, ჩააცვან მიცვალებულს, და ჩვენ, როგორც საჭიროა, ისე დავმარხავთ. სასაფლაოზე თვითონ ავუგებ წესს, ხოლო შემდეგ, თუკი მისი სარწმუნოების მღვდელი გამოჩნდება და ჩვენ რაიმე დავაკელით, მოვიდეს და თავიანთი წესისამებრ აუგოს წესი. როცა დრაჟენოვიჩი გავიდა, შერცხვენილ და გაოცებულ მამაო იოსებს მიუბრუნდა:

განა შეიძლება, მონათლული ადამიანი სასაფლაოზე არ დავკრძალოთ? ვითომ რატომ არ უნდა ავუგოთ წესი? განა ამის გარდა, ცოტა უბედურება ნახა ცხოვრებაში? იქ, საიქიოში, საკუთარი ცოდვები კი იმანვე მოჰკითხოს, ვინც ყველა ჩვენგანს მოგვთხოვს პასუხს ჩვენივე ჩადენილი ცოდვებისათვის.

კაპიაზე წინდაუხედავი საქციელის გამო სამუდამოდ დარჩა ვიშეგრადში ყმაწვილი კაცი. მეორე დილას ღრმად მოხუცებულმა მამაო ნიკოლამ და დიაკვანმა დიმიტრიმ დიდი გულმოდგინებით აუგეს წესი და ფედუნი მიწას მიაბარეს.

ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდნენ „შტრაიფკორელი" სერბიელები ახალ საფლავთან და თითო მუჭა მშრალ მიწას აყრიდნენ. ვიდრე ორი მესაფლავე თავის საქმეს მარჯვედ აკეთებდა, ჯარისკაცები საფლავთან იდგნენ, თითქოს ბრძანებას ელოდებიანო. იდგნენ და გაჰყურებდნენ მდინარის გაღმა, ზედ ყაზარმასთან როგორ მიისწრაფოდა მაღლა ცისკენ თეთრი კვამლის სვეტი. ეს ფედუნის ლეიბიდან ამოღებულ სისხლით მოსვრილ ჩალას სწვავდნენ მდელოზე.

მანამდე ყველასათვის უცნობი ახალგაზრდა „შტრაიფკორელის" სამწუხარო ხვედრი, გაზაფხულით თავბრუდახვეულს სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა, ქალაქელების ფიქრის საგანი და სალაპარაკო გახდა. მისი მწარე ბედი დიდხანს არ დავიწყებიათ. უბედური ჭაბუკის ამაღელვებელმა ამბავმა უფრო დიდხანს გაძლო, ვიდრე ხიდზე დანესებულმა ყარაულობამ.

ჰერცოგოვინის აჯანყება შემოდგომისათვის უკვე ჩაქრა. რამდენიმე მოთავემ, სერბიელმაც და მუსულმანმაც, ჩერნოგორიასა და თურქეთში გაქცევით უშველა თავს. ამ მხარეში კიდევ მოიძებნებოდა რამდენიმე ჰაიდუკი, ვისაც აჯანყებასთან საერთო აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ ისინიც მალევე შეიპყრეს. ჰერცოგოვინა დაშოშმინდა. ბოსნია კი გაწვევის განკარგულებას უყოყმანოდ დაემორჩილა. თუმცა პირველი ახალწვეულების ქალაქიდან გამგზავრება ადვილი და უბრალო საქმე მაინც არ გამოდგა.

მთელს მაზრაში სულ ასამდე ახალგაზრდა მოაგროვეს, მაგრამ იმ დღეს, როცა ისინი ყუნახის შენობასთან შეკრიბეს, უმეტესობა შულდაკებიანი გლეხები იყვნენ, ცოტანი ერივნენ ხის ზანდუკებიანი ქალაქელები. გეგონებოდა, ქალაქში ჟამიანობა ან აჯანყებააო. გლეხები თეთრი, ქათქათა ხალათებით გამოცხადდნენ. ბევრი ახალწვეული ნაირ-ნაირი სასმელით დილიდანვე მაგრად გამოიბრუჟა. ფხიზლები თავიანთი ბარგით კედელთან მიმსხდარიყვნენ და თვლემდნენ. ცხელი დღე ჩამოდგა, ახალწვეულთა უმრავლესობა აღგზნებული იყო და ღვინით გაჟინჟღილებულ სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. ჯგუფ-ჯგუფად შეყრილი თანასოფლელი ბიჭები ხელიხელ გადახვეულები ისხდნენ, თავები ჩაექინდრათ, ცოცხალი მესერივით ირწეოდნენ და რაღაც გაჭიანურებულ სიმღერას ისე დასძახოდნენ, თითქოს ვერავის ამჩნევენ და მთელ ქვეყანაზე მხოლოდ ისინი არიანო:

გოგოვ, გოგოვ, შავთვალა ჰე-ე-ე!

ახალწვეულებზე მეტად მათი ცოლები, დედები, დები და ნათესავები ხმაურობდნენ. ისინი შორეული სოფლებიდან ჩამოსულიყვნენ, რათა ტირილითა და გოდებით გაეცილებინათ გაწვეულები, კიდევ ერთხელ შეეხედათ თავიანთი ძვირფასი შვილებისა თუ ძმებისთვის. განშორების წინ მზრუნველობა გამოეჩინათ და ყურადღებითა და სინაზით გაეთბოთ. ხიდის მომიჯნავე მოედანი ქალებით იყო სავსე. გაშეშებულები ისხდნენ, თითქოს განაჩენს ელოდებიანო. დროდადრო ერთმანეთს თითო-ოროლა სიტყვას გადაუგდებდნენ და ცრემლებს თავსაფრით იმშრალებდნენ. ჯერ კიდევ ადრე, გაწვევამდე, სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ამაოდ უხსნიდნენ ქალებს, რომ ჭაბუკები ომში ან კატორღაში კი არ მიჰყავდათ, ვენაში ხელმწიფის სამსახურში მიდიოდნენ, ისინი მაძ-

ღარნი და ჩაცმულ-დახურულნი იქნებოდნენ და ორი წლის შემდეგ ისევ სახლებში დაბრუნდებოდნენ. ქვეყნის სხვადასხვა ოლქიდან განვეული ჭაბუკებიც არმიაში სამ-სამ წელსა მსახურობენ, მაგრამ ქალებს მათი ნათქვამი სულაც არ ესმოდათ, გეგონებოდა, უცხო და სრულიად გაუგებარი სიტყვები ყოფილიყო. ისინი მხოლოდ საკუთარ გრძნობებს აჰყოლოდნენ და მარტო იმას ემორჩილებოდნენ. ძველისძველი, მემკვიდრეობით მიღებული შეგრძნების წყალობით იცრემლებოდნენ, ქვითინებდნენ, უფრო მეტად უღვიოდათ სურვილი, ერთხელ კიდევ შეეხედათ იმათთვის, ვინც საკუთარ თავს ერჩიათ და ვისაც უცნობი ხელმწიფე შორეულ ქვეყანაში ეძახდა და მათთვის უცნობ საქმეებსა და გამოცდას უმზადებდა. ახლაც მათ შორის ამაოდ დადიოდნენ ყუნახის მოხელენი და ჟანდარმები, არწმუნებდნენ, ასეთი გადაჭარბებული მწუხარების მიზეზი არა გაქვთო. ურჩევდნენ, ტყუილად ნუ იტანჯებით, ქუჩაში არევ-დარევა ნუ შეგაქვთ, გზად მიმავალ ახალწვეულებს არ გამოეკიდოთ, ყველა ჯანმრთელი და უვნებელი დაგიბრუნდებათო. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ქალები უსმენდნენ, ხმაამოუღებლივ ეთანხმებოდნენ, თითქოს ნათქვამს იწონებდნენ, მაგრამ იქვე, მაშინვე მოჰყვებოდნენ ტირილსა და კივილს, თითქოს მათთვის ეს ცრემლი და გოდება ისევე ძვირფასი იყო, ვისაც ასე დასტიროდნენ.

როცა გამგზავრების დრო დადგა და ახალგაზრდები წესისამებრ, რიგში ოთხ-ოთხად დაწყობილები ხიდისაკენ დაიძრნენ, ისეთი ალიაქოთი ატყდა, რომ ყველაზე უფრო გულცივი ჩაფრებიც კი თავს ძლივს იკავებდნენ. ქალები გარბოდნენ, ყველა ცდილობდა თავისი მახლობლის გვერდით ევლო. ერთმანეთს ეხლებოდნენ, ისმოდა მოთქმა-გოდება, ყვირილი, ოხვრა, რჩევა-დარიგება. ზოგიერთმა რაზმსაც კი გაუსწრო, რომელსაც ოთხი ჩაფარი მიუძღვებოდა. ქალები მიწაზე ეცემოდნენ, გაშიშვლებულ გულმკერდზე მჯიღს ირტყამდნენ და გაჰყვიროდნენ:

— ცოცხალი თავით არ დაგანებებთ!

— ცოცხალი თავით არ დაგანებებთ!

ჟანდარმები მორიდებით აყენებდნენ ქალებს ფეხზე. ზოგ ახალწვეულს რცხვენოდა მათი საქციელისა და ქალებს უკან ერეკებოდნენ, ეხვეწებოდნენ, შინ დაბრუნდითო. ჭაბუკთა უმეტესობა ან მღეროდა, ან გაჰყვიროდა, რაც არევ-დარევას უფრო აძლიერებდა. მღელვარებისაგან გაფითრებულმა, რამდენიმე ქალაქელმა ახალწვეულმა ქალაქურ ყაიდაზე ხმაშეწყობილად წამოიწყო:

ბოსნია სარაევოში
ცრემლსა ღვრის დედა ყოველი,
ვაიმე, საწყალობელ შვილს
მეფესთან ტანჯვა მოელის.

სიმღერამ უფრო აუჩუყათ გული. ბოლოს, როცა რაზმეულმა ხალხით გაჭედილი ხიდი, როგორც იქნა, გადაიარა და სარაევოს გზას დაადგა, ახალწვეულთა გასაცილებლად გამოსული, გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებული ქალაქის მცხოვრებლები შემოხვდნენ და ისე ტიროდნენ, ითითქოს ახალგაზრდები დასახვრეტად მიჰყავთო. მათ შორის ბევრი გულამოსკვნით ტიროდა, თუმცა ახალწვეულებში მათ მახლობელი არავინ ერია. ალბათ, ყველა მათგანს ტირილისათვის, რაღაც საკუთარი მიზეზი ჰქონდა. თანაც სხვისი გასაჭირის გამო ტირილი ხომ უფრო ადვილია, ბოლოს თანდათანობით ხალხი შეთხელდა, სოფლელი ქალებიც ჩამორჩნენ, ყველაზე მეტად დედები ჯიუტობდნენ. წინ-წინ გარბოდნენ, გზისპირა თხრილებს თხუთმეტი წლის გოგოებივით ახტებოდნენ, ცდილობდნენ, ჩაფრები მოეტყუებინათ და შვილებთან რაც შეიძლება ახლოს მისულიყვნენ. მათი საქციელით დარცხვენილი ჭაბუკები დედებს უყვიროდნენ: რომ გეუბნებიან დაბრუნდითო, რატომ არ გესმით! დაბრუნდით! მაგრამ დედები მაინც მისდევდნენ და მისდევდნენ. თითოეული მათგანი მხოლოდ თავის შვილს ხედავდა და საკუთარი ტირილის მეტი არაფერი ესმოდა.

მაგრამ ამ შფოთიანმა დღეებმაც ჩაიარა. ხალხი სოფლებში წავიდ-წამოვიდა და ქალაქშიც მინელდა მღელვარება. როცა ვენიდან ახალწვეულთა წერილები და ფოტოსურათები მოვიდა, ყველაფერი გაცილებით გაადვილდა. მართალია, ქალები ამ ფოტოსურათებსაც და წერილებსაც დიდხანს აფრქვევდნენ ცრემლებს, მაგრამ ტირილი ადრინდელივით მწარე აღარ იყო.

„შტრაიფკორი“ დაიშალა და ქალაქიდან წავიდა. საგუშაგო დიდიხანია გაუქმდა და ხალხი უწინდებურად იჯდა კაპიაზე.

ორმა წელმა შეუმჩნევლად გაიარა და მართლაც, შემოდგომაზე სუფთად გამოწკეპილი, მოკლედ თმაშეკრეჭილი და კარგად ნაკვები პირველი ახალწვეულები დაბრუნდნენ. მათ გარშემო ხალხი შეჯარდა და ისინიც ჯარისკაცების ყოფა-ცხოვრებასა და იმ დიდი ქალაქების ამბებს ჰყვებოდნენ, სადაც უხდებოდათ ყოფნა, საუბარში რა-

ღაც არაჩვეულებრივ სახელებსა და უცხოურ სიტყვებს ხმარობდნენ. მორიგმა განვევამ უკვე ნაკლები მღელვარება და ტირილი გამოიწვია.

საერთოდ, ყველაფერი უფრო ჩვეულებრივი გახდა, გაადვილდა, მოდიოდა ახალი თაობა, რომელსაც ხეირიანად აღარც ახსოვდა თურქების ბატონობის ხანა და ახლად შემოტანილ წესებს უკვე შესჩვეოდნენ. რაც შეეხება კაპიას, აქ ქალაქის ძველისძველი ადათები ხელუხლებელი იყო. მიუხედავად ახალ მოდაზე შეკერილი ტანსაცმლისა, ახალი სახელებისა და საქმეებისა, აქ ყველანი ისეთივე მოქალაქეებად იქცეოდნენ, ოდითგანვე რომ მოსდგამდათ, ისეთივე საუბარს გაუბამდნენ ერთმანეთს, სულითა და გულით რომ ეწადათ. ახალწვეულები ყოველგვარი არევ-დარევისა და შფოთის გარეშე მიდიოდნენ. ჰაიდუკების თაობაზე მხოლოდ მოხუცების მონაყოლი იცოდნენ. „შტრაიფკორის" ყარაულიც ისევე დაივიწყეს, როგორც მანამ არსებული თურქული ყარაული, როცა კაპიაზე სადარაჯო კოშკი იდგა.

თავი მეთოთხმეტე

ხიდისპირა ქალაქის ცხოვრება სწრაფად წავიდა წინ, უფრო ბედნიერი და მდიდრული გახდა. ცხოვრება თანდათან დაშოშმინდა და მისთვის უჩვეულო სიმშვიდე შეიძინა. ის სიმშვიდე, საითაც ყველგან და ყოველთვის მიილტვის ხოლმე ცხოვრება, თუმცა მხოლოდ იშვიათად და იმასაც ნაწილობრივ აღწევს.

ვიშეგრადელებისათვის შორეულ და უცნობ ქალაქებში, საიდანაც ახლა ამ მხარეს მართავდნენ, მაშინ, მე-19 საუკუნის მიწურულში, არნახულმა ხანმოკლე სიწყნარემ დაისადგურა, იგი ემჩნეოდა როგორც სოციალურ, ისე ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას. ამგვარი მყუდროების ანარეკლი ამ მიყრუებულ მხარეშიც იგრძნობოდა, ისე როგორც ზღვის სრული სიწყნარე იგრძნობა სანაპიროდან საკმაოდ დაშორებულ ველებზე.

ეს იყო ფრანც-იოსების მმართველობის პირველი სამი ათწლეული, შედარებითი კეთილდღეობისა და მერყევი მშვიდობიანობის ხანა. მაშინ ბევრ ევროპელს ეგონა, რომ ახდა საუკუნოვანი ოცნება და საყოველთაო თავისუფლებისა და პროგრესის პირობებში პიროვნების ჰარმონიული განვითარების რეცეპტი იპოვეს, როცა მილიონობით ადამიანის წინაშე მე-19 საუკუნემ მოჩვენებითი სიკეთე გადაშალა და ყველას და თითოეულისათვის ხელმისაწვდომ ფასებში თუ ნისიად კეთილმოწყობის, უზრუნველყოფისა და ბედნიერების ილუზია შექმნა.

მე-19 საუკუნის ცხოვრების პატარ-პატარა გამოძახილები ბოსნიის ამ მივიწყებულ ქალაქამდეც აღწევდა, მაგრამ იმგვარად, როგორც ეს შეეძლო მიეღო, გაეგო და შეეთვისებინა აღმოსავლეთის ამ ჩამორჩენილ პატარა სამყაროს.

უნდობლობის პირველ წლებში, ერთ ადგილას ტკეპნისა და გარდამავალი ხანისთვის დამახასიათებელი მოუწესრიგებლობის შემდეგ, ცხოვრება თანდათანობით კალაპოტში დგებოდა. ხალხი ხედავდა, რომ დამყარდა წესრიგი და მშვიდობა, ადამიანებს საშოვარი გაუჩნდა და ეს საკმარისი გახდა, რათა ცხოვრება „სრულყოფისა და პროგრესის გზით“ წასულიყო. სხვა ყველაფერი ქვეცნობიერების იმ ბნელ სფეროში იყო მიჭყლეტილი, სადაც სხვადასხვა რასის, რწმენისა და კასტის ადამიანების სანუკვარი იმედი და უსაზღვრო მოლოდინი ცოცხლობს. თითქოს ეს უსიცოცხლო და დასამარებული ადამიანები უფრო შორეულ და მოულოდნელ ცვლილებებსა და კატასტროფებს ამზადებდნენ, რაც,

ეტყობა, ხალხთა და, კერძოდ, ბოსნიელი ხალხის ისტორიისათვის აუცილებელი რამ უნდა ყოფილიყო.

თავდაპირველი გაუგებრობისა და შეხლა-შემოხლის ამბები რომ მინელდა, ახალი ხელისუფლება ყველას მტკიცე და გამძლედ მოეჩვენა (ხელისუფლება თვითონვე იკვებებოდა ისეთი ილუზიებით, რომლის გარეშეც არ შეიძლება ხელისუფლება მტკიცე იყოს) ეს იყო არაერთპიროვნული ხელისუფლება, რომელსაც მრავალსაფეხურიანი სისტემის გამო უშუალოდ ვერ იგრძნობდით. თუნდაც მხოლოდ ამის გამო იყო უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ძველი, თურქული ხელისუფლება. ყველა მისი მძარცველური და სასტიკი მიდრეკილება ბრწყინვალე და დარბაისლური ფორმებით იყო შენიღბული. ხალხს ეშინოდა ხელისუფლების არა მარტო როგორც ბოროტი ძალისა, ძალადობასა და თვითნებობას რომ ემყარება, არამედ როგორც ავადმყოფობისა თუ სიკვდილისა. ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები – როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მოხელეები, უმეტეს შემთხვევაში, ქვეყნისათვის უცხონი იყვნენ, ხალხისათვის უცნობნი. ამიტომ თავისთავად შეუმჩნეველნი რჩებოდნენ. მაგრამ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა, რომ ისინი ერთიანი, ვეებერთელა მექანიზმის პატარა ხრახნებს წარმოადგენდნენ, თითოეული მათგანის ზურგს უკან, უთვალავ საფეხურზე უძლეველ ადამიანთა და ორგანიზაციათა გრძელი რიგი იდგა. ეს მათ რაღაც მნიშვნელობას ანიჭებდა და მაგიურ ზეგავლენას აღვივებდა, რითაც ირგვლივ მყოფთ ადვილად იმორჩილებდნენ.

თავიანთი ცოდნით, რაც აქ დიდად ეჩვენებოდათ, სიმშვიდითა და ევროპული ქცევებით, მათგან სრულიად განსხვავებულ ადამიანებში, პატივისცემასა და ნდობას იმსახურებდნენ, თუმცა განსაკუთრებულ სიმპათიებსა და სიყვარულზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

მეორე მხრივ, დროთა განმავლობაში გამოირკვა, რომ არც უცხოელებს შეეძლოთ მთლიანად გაქცეოდნენ აღმოსავლური გარემოს თავისებურ ზეგავლენას. მათმა ბავშვებმა ვიშეგრადელ ბავშვებს სრულიად სხვა ენა და მანამდე უცნობი სიტყვები ასწავლეს, უჩვენებდნენ მანამდე არნახულ სათამაშოებს და ხიდთან ახალ-ახალ თამაშობებს აჩაღებდნენ. მაგრამ, ამავე დროს, თვითონაც გადაიღეს აქაური ბავშვებისაგან სიმღერები, თქმულებები, გულუბრყვილო ბავშვური დაფიცებანი და სხვა უამრავი ძველებური გართობა. ასევე ემართებოდათ დიდებსაც. ისინი ვიშეგრადში ახალ წესრიგს, უჩვეულო სიტყვებსა და თავიანთებურ ჩვეულებებს ნერგავდნენ, მაგრამ იმავე დროს ადგილობრივი

ენიდან და ზნე-ჩვეულებებიდან რაღაც ახალს თვითონაც იძენდნენ. ქალაქის მოსახლეობა, განსაკუთრებით, ქრისტიანები და ებრაელები, თავიანთი მიხრა-მოხრითა თუ ჩაცმულობით თანდათან უფრო მეტად ემსგავსებოდნენ უცხოელებს, ოკუპაციის შემდეგ ჭარბად რომ მოაწყდნენ ამ მხარეს. თუმცა არც უცხოელები დარჩენილან იმ საზოგადოებისაგან განზე, სადაც ცხოვრება უხდებოდათ. ამ მოხელეთა უმრავლესობა ბუზღუნა უნგრელი ან მედიდური პოლონელი იყო — ისინი ლამის ზიზღის გრძნობით სახლდებოდნენ ქალაქში და პირველ ხანებში თავი შორს ეჭირათ, როგორც წყალში მოცურავე ზეთის წვეთებს, სითხეში რომ არ იხსნება. ერთი წლის შემდეგ კი იგივე მოხელე საათობით იჯდა კაპიაზე, თუთუნს მსხვილი, ქარვის ჩიბუხით ეწეოდა და მკვიდრი ვიშეგრადელივით ჩაფიქრებული აყოლება თვალს კვამლის ბოლქვებს, მოწმენდილი ცის ქვეშ უმოძრაო ჰაერში რომ იფანტებოდა. ახლა აქაური დიდვაჭრებისა და ბეგების პიკნიკებზედაც ნახავდით, მდინარის პირას აკაციის ბუჩქებთან მწვანე ბორცვზე ჩამომსხდრები დინჯად რომ საუბრობდნენ, რთული საკითხების გადაჭრითა და ღრმა აზრების გამოთქმით თავს არ იწუხებდნენ. ჭამდნენ და სვამდნენ ისე, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ვიშეგრადელებს სჩვეოდათ. უცხოელ მოსამსახურეთა და ხელოსანთა შორის ისეთებსაც ნახავდით, ვიშეგრადში რომ დაქორწინდნენ და აქურობის მიტოვებას აღარ აპირებდნენ.

ახალი ცხოვრება არც ერთი ქალაქისათვის არ ნიშნავდა დედის რძესთან ერთად შეწოვილი გულის წადილის აღსრულებას, სულის სიღრმეში მუდმივად რომ უღვიოდათ. პირიქით, ყველას — მუსულმანსაც და ქრისტიანსაც უამრავი შესწორება და შენიშვნა ჰქონდა. მაგრამ ეს შენიშვნები თვალით უხილავი იყო. ბრწყინვალე და მიმზიდველი ცხოვრება კი ახალ და ფართო შესაძლებლობებს ანიჭებდათ. ერთი შეხედვით „ახალი ცნებები და პრინციპები ახალ, დიდ სამოქმედო ასპარეზს გადაშლიდა და თითოეულ ადამიანს ბევრს ჰპირდებოდა, ამიტომ ადამიანთა უმრავლესობა, ცოტა თუ დიდი მერყეობის შემდეგ, ახლებურად იწყებდა ცხოვრებასა და მუშაობას, ახალ მიმდინარეობას მიჰყვებოდა.

ახალი წყობილება, ძველ, თურქულ წყობილებაზე ნაკლებად შეზღუდული და პირობითი როდი იყო, მაგრამ უფრო იოლი და ჰუმანური ჩანდა, ოლონდ ეს პირობითობა და შეზღუდვა ახლა ისე ინიღბებოდა, რომ ცალკეული პიროვნება ამას უშუალოდ ვერ გრძნობდა. ამიტომ

ეჩვენებოდათ, რომ თვალსაწიერი უეცრად გაიშალა, განათდა და ცხოვრება უფრო მრავალმხრივი და მდიდრული გახდაო.

ახალი სახელმწიფო სრულყოფილი მმართველობის მეშვეობით უმტკივნეულოდ, ყოველგვარი დაძალებისა და მღელვარების გარეშე, ახდევინებდა ხალხს გადასახადებსა და შესანირავებს, რასაც თურქი ხელისუფალნი მარტივი, უხეში მეთოდებით ან უბრალოდ ძარცვა-გლეჯით ახერხებდნენ. ხალხი იმდენივეს ან იმაზე მეტსაც იხდიდა, მაგრამ აკრეფა უფრო წესრიგიანად ხდებოდა.

ჩამოვიდნენ უცხოელი მოიჯარეები, ინჟინრები და მუშები. ტყის გაჩეხვას მიჰყვეს ხელი და საწყალ ხალხსა თუ ვაჭრებს სამუშაო გაუჩინეს. აშენდა პირველი სასტუმრო (ამაზე მერეც მოგახსენებთ), სასმელით მოვაჭრე დუქნები და მაღაზიები.

ასეული წლობით აქ მცხოვრები ესპანელი ებრაელების გვერდით (ვიშეგრადში ისინი დაახლოებით იმხანად დასახლდნენ, როცა დრინის ხიდი აშენდა), გალიციელი ებრაელებიც გამოჩნდნენ.

როგორც სხეულში ახალმა სისხლმა, ფულმა ისე დაიწყო ამ მხარეში აქამდე არნახული რაოდენობით ტრიალი, სულ უფრო აშკარად და თამამად ბრუნავდა. ოქროს, ვერცხლისა და ქაღალდის მტკიცე ფულის ამ მოზღვავებულ ნაკადში ყველას შეეძლო ხელი მოეთბო ან თუნდაც ყურებით დამტკბარიყო. ყველაზე ღარიბ კაცსაც კი მიეცა იმედი, რომ მისი სიღარიბე დროებითი უბედურება იყო და გაჭირვებაც შედარებით ასატანი ხდებოდა.

რასაკვირველია, მდიდარი, ბევრი ფულის პატრონები მანამდეც იყვნენ, მაგრამ ასეთები უმცირესობას შეადგენდნენ და თავიანთ სიმდიდრეს ისე მალავდნენ, როგორც გველი საკუთარ ფეხებს: სიმდიდრე თავდაცვის ძალა და საშუალება იყო, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა მდიდრებსაც და მის ირგვლივ მყოფთაც. ახლა კი ფული და ყველაფერი ის, რასაც სიმდიდრე ერქვა, სააშკარაოზე გამოიტანეს და სულ უფრო მეტად იყენებდნენ პირადი მოთხოვნილების ან ჟინის დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამის წყალობით იყო, რომ ზოგიერთები ამ ცოტაოდენ გროშებს შოულობდნენ.

იმ სიამოვნებას, რასაც ადამიანები მანამდე მალულად, უცხო თვალთაგან ფარულად იღებდნენ, ახლა ფულით ყიდულობდნენ. ქონება ადამიანებს მიმზიდველობას მატებდა და იმ ადამიანთა რიცხვიც იზრდებოდა, ვინც მისკენ ისწრაფოდა. რაც ადრე მიუწვდომელი, შორეული და ძვირად ღირებული იყო, კანონითა და ყოვლისშემძლე სა-

ზოგადოებრივი აზრითაც იკრძალებოდა, ახლა ყველასათვის ხელმისაწვდომი და ნებადართული გახდა. სინამდვილეში ახლა მეტი წესრიგი და კანონიერი შეზღუდვები არსებობდა. ბიწიერებაც მეტი სიმკაცრით ისჯებოდა და სიამოვნებაც უფრო ძვირი უჯდებოდათ, ვიდრე ოდესმე. მარტო კანონები და საფუძველი ჰქონდათ სხვანაირი და ისეთ მოჩვენებითობას ქმნიდა, თითქოს ცხოვრება უფრო ლაღი, შეძლებული და თავისუფალი გამხდარიყო.

სინამდვილეში, არცთუ ისეთი ადვილი იყო სურვილების აღსრულება. ყოველ შემთხვევაში, ადამიანები უწინდელზე მეტად არ გაბედნიერებულან, მაგრამ აშკარა გახდა, რომ საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება უფრო ადვილად შეეძლოთ და ასე ეჩვენებოდათ, ბედნიერება ყველგან და ყველასთვის ხელმისაწვდომიაო. ვიშეგრადელების ძველი, დაბადებიდან სისხლში გამჯდარი უზრუნველობისა და სიამოვნების მიდრეკილება, უცხოელების შემოტანილ ახალ წესებში, ახლებურ ვაჭრობაში ბევრ გასაქანსა და შესაძლებლობას პოულობდა. ვიშეგრადში მრავალრიცხოვანი ოჯახებით ჩამოსახლებული პოლონელი ებრაელები ამით ითბობდნენ ხელს. შნაიბერმა ე. წ. „უნივერსალური სავაჭრო". ანუ „საბაყლო" გახსნა, გუტენპლანმა — ჯარისკაცების სამიკიტნო, ცალერმა — სასტუმრო, შპრელინგმა — სოდის ქარხანა და ფოტოგრაფიული „ატელიე", ცვეხერმა საოქრომჭედლო და საათების შემკეთებელი სახელოსნო გააღო.

„ქვითკირის სასტუმროს" ადგილას აგებული ყაზარმის მშენებლობაზე მონარჩენი ქვა ყუნახის შენობის მშენებლობას მოახმარეს, სადაც ქალაქის თვითმართველობა და სასამართლო იქნა მოთავსებული. ცალერის სასტუმრო სიდიდით მეორე შენობად ითვლებოდა და დრინის ნაპირას, ხიდის ყურეში იდგა. ხიდის ორივე მხარე ხიდთან ერთად აშენებული საყრდენი კედლით იყო გამაგრებული, ასე რომ, ხიდს მარჯვენა და მარცხენა მხარეს, ზედ წყლის პირას ორი პატარა ტერასა ჰქონდა. ხალხი ამ ტერასებს „მოედნებს" ეძახდა და მართლაც, თაობიდან თაობამდე ეს ადგილები ქალაქელი ბავშვების საყვარელი სათამაშო ადგილი გახლდათ.

ახლა ხიდის მარცხენა მხარეზე მდებარე მოედანი სამაზრო ხელისუფლებას ეკავა. მოედანი შემოღობეს, ხეხილი და ბუჩქნარი ჩარგეს და, ეგრეთ წოდებულ, სამაზრო სანერგედ გადააქციეს. ხიდის მარჯვენა მხარეს სასტუმრო ააშენეს. მანამდე ბაზრის მოედნის შესასვლელთან ყველაზე განაპირა შენობად ზარიას დუქანი ითვლებოდა. დუქანი მარ-

ჯვე ადგილას ჩაედგათ და ქალაქში შემოსულ, ხიდზე გამვლელ, დაღლილ და დამშეულ მგზავრებს შორიდანვე თვალში ხვდებოდა. ახლა იგი მთლიანად დაფარა ახალმა, მაღალმა სასტუმრომ. დაბალი და ძველისძველი დუქანი დღითი დღე უფრო დაძაბუნებული და პატარა ჩანდა, თითქოს თანდათანობით მიწაში მიძვრებაო.

ოფიციალურად ახალ სასტუმროს იმ ხიდის სახელი უწოდეს, რომლის გვერდითაც ააშენეს. მაგრამ ხალხი შესაფერის სახელს არქმევს და თავისებურად ნათლავს ყველაფერს, იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათთვის ამა თუ იმ საგანს. ცალერის სასტუმროს შესასვლელთან მღებავის ხელით მსხვილი ასოებით გამოყვანილი წარწერა — „ოტელ რურ ბრტცკე“ — მალე გახუნდა. ხალხმა მას „ლოტიკას სასტუმრო“ შეარქვა და ეს სახელი სამუდამოდ შერჩა. სასტუმროს პატრონი მსხვილი, დონდლო ებრაელი ცალერი იყო. ცალერს ავადმყოფი ცოლი დებორა და ორი ქალიშვილი ჰყავდა — მინა და ირენა. მაგრამ სასტუმროს ნამდვილი პატრონი და სული და გული ცალერის ცოლისდა — ლოტიკა იყო. ამ ახალგაზრდა, ძალიან ლამაზ ქვრივს კვიმატი ენა და მამაკაცური ხასიათი ჰქონდა.

სასტუმროს ზედა სართულზე სტუმრებისათვის სუფთა და კარგად მორთული ექვსი ოთახი ჰქონდათ, დაბლა კი — ორი, დიდი და პატარა დარბაზი. დიდ დარბაზში უბრალო ხალხი იყრიდა თავს: მოქალაქეები, ფელდფებელები, ხელოვნები. პატარა და დიდ დარბაზს რძისფერმინიანი კარი ჰყოფდა. ერთ მხარეზე ეწერა „ხსტრა“, მეორეზე კი „ძიმმერ“. ეს დარბაზი ვიშეგრადელი მოხელეების, ოფიცრებისა და მდიდრების საზოგადოებრივი ცხოვრების გული იყო. ლოტიკასთან სვამდნენ, ბანქოს თამაშობდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ, აწარმოებდნენ მნიშვნელოვან მოლაპარაკებებსა და გარიგებებს, გემრიელ საჭმელებს შეექცეოდნენ და თბილ ლოგინებში ეძინათ. ბეგების, მოხელეებისა თუ ვაჭრების ჰამქარი ხშირად დაბინდებასაც და განთიადსაც აქვე ხვდებოდა. მანამდე ისხდნენ, ვიდრე უძილო ღამისაგან ქანცგამოლეულები, ღვინისა და ბანქოს თამაშისაგან თვალებგამოღამებულები მუხლებში არ მოიკეცებოდნენ. ახლა ბანქოს ფარულად აღარ თამაშობდნენ, როგორც ოდესღაც უსტამუიჩის სასტუმროს ბნელ და დახუთულ პატარა ოთახში (ლოტიკა კარებამდე აცილებდა, ვისაც ბევრი ჰქონდა გადაყლურწული ან წაგებული და ახალ, ფხიზელ სტუმრებს მასპინძლობდა, თამაში და დალევა რომ ეწადათ).

არავინ იცოდა და არც კითხულობდა, როდის ისვენებდა ეს ქალი, როდის ჭამდა ან ეძინა, როდის პოულობდა ჩაცმისა და საკუთარი თავის მისახედ დროს. ლოტიკა მუდამ იქ ტრიალებდა (ყოველ შემთხვევაში, მიმსვლელებს ასე ეჩვენებოდათ). სულ მუდამ ალერსიანი და თავაზიანი ლოტიკა ყველა სტუმრის მიმართ საზრიანი და ხერხიანი იყო.

ლოტიკას მოხდენილი, სავსე ტანი, შავგვრემანი, მქრქალი ფერის კანი, შავი თმა და მწველი თვალები ჰქონდა. ისეთ სტუმრებს, ვინც ფულებს ანიავებდა და ხშირად სიმთვრალეში გამბედაობა ჰყოფნიდა უხეშად მოქცეულიყო, იგი სრულიად განსაკუთრებული ხერხით ექცეოდა. ლოტიკა ყველას თავაზიანად, გაბედულად, გონებამახვილურად ელაპარაკებოდა, ალერსით დამაშოშმინებელი საუბარიც ეხერხებოდა. ჩვეულებრივ, მაღალი ხმით მოლაპარაკე ქალი დროდადრო მიბნედილ და მინაზებულ ღუღუნზე გადადიოდა. ლოტიკა შეცდომებით ლაპარაკობდა, ვერა და ვერ ისწავლა სერბიული ენა. სიტყვის სწორად დაბოლოება უჭირდა და არსებითი სახელების სქესს ურევდა, მაგრამ მაინც, მისი წყლიანი და ფერადოვანი ენა აზრითა და ხმოვანებით მთლიანად ესადაგებოდა ხალხურ მეტყველებას. ყველა მოქეიფე ფულიანი მუშტრისათვის ხელომისაწვდომი იყო ლოტიკას ცქერით დატკბობა და აღძრული სურვილების გამო მტანჯველი გამოცდის წინაშე დგომა. ეს იყო და ეს, მეტის იმედი არ შეიძლებოდა ვინმეს ჰქონოდა, თუმცა მავანს და მავანს ეს ამბავი არა სჯეროდა.

ორი თაობის ვიშეგრადელი მოქეიფეების — ვაჭრებისა და ბეგებისათვის ლოტიკა ბრწყინვალე, ძვირფას მოჩვენებასავით ცივი ქალი იყო, მათ გრძნობებზე რომ თამაშობდა. როცა ამ ქალზე ლაპარაკს ჩამოაგდებდნენ, ვიღაც-ვიღაცებს ასახელებდნენ, თითქოს ლოტიკასთან რაღაც მიაღწია, მაგრამ დარწმუნებით არავის შეეძლო ეთქვა, კერძოდ, რას მიაღწია ან რაგვარად ხვდათ წილად ეს ბედნიერება.

გაუთავებლად შფოთის ამტეხ, თავაწყვეტილ, მდიდარ, ლოთიფოთ ქალაქელებთან საქმის დაჭერა არცთუ ისე იოლი საქმე იყო, მაგრამ დაუღალავ და მოხერხებულ ლოტიკას გაყინულ გრძნობებს, მკვირცხლ გონებასა და ვაჟკაცურ გულს შეეძლო მამაკაცთა აღტყინებული სიშმაგის მოთოკვა. ახერხებდა გაფიცხებული მუშტრის ყოველნაირი ახირების გაქარწყლებას. ხან საკუთარი სხეულის თვალწარმტაც მომხიბვლელობას იყენებდა, ხან გონებამახვილურ ფანდს იმარჯვებდა, ზოგჯერ კადნიერი ეშმაკობითაც გადიოდა ფონს. ყველასთან ოსტატურად ახერხებდა საჭირო მანძილის შენარჩუნებას, რაც უფრო მეტ

ცეცხლს უკიდებდა მათ სურვილებს, ქალს უფრო მეტი ფასი ედებოდა. ხართან მოჭიდავე ტორეადორივით გაბედულად ეთამაშებოდა აღვირახსნილ ადამიანებს, მათი გაშმაგებისა და უხეში, საშიში საქციელის არ ეშინოდა. სტუმარს ერთი შეხედვისთანავე გამოიცნობდა, უშეცდომოდ პოულობდა მათი უეცრად აფეთქებული ჟინიანობის დასაოკებელ გასაღებს. გაუთლელი თუ ვნებააშლილი, ნაზი, თუ გრძნობამორეული მუშტრების ყველა სუსტი მხარე ზეპირად იცოდა. მომსვლელებს ყველაფერს სთავაზობდა, ბევრს ჰპირდებოდა და ძალზე ცოტას ან უკეთ რომ ვთქვათ, არაფერს აძლევდა. ასე რომ, ბოლოს ყველას აიძულებდა მცირედით დაკმაყოფილებულიყო. სტუმრებს ისე ექცეოდა როგორც ავადმყოფებს, როგორც ჭკუასუსტ, გონებადაბნელებულ ადამიანებს. საბოლოოდ, ლოტიკა მაინც ჭკვიან და კარგ, სათნო ქალად რჩებოდა, თუმცა მისი ქცევა, რასაკვირველია, არც კეთილშობილური იყო და არც უმწიკვლო, პატიოსანი ადამიანის ქცევად ვერ ჩაითვლებოდა. ლოტიკა იმათაც ანუგეშებდა, ვინც ქეიფში იმაზე მეტი დახარჯა, რისი დახარჯვაც შეეძლო, ან ბანქოში იმაზე მეტი წააგო, ვიდრე ჯიბეში უჭყაოდა. ხალხს აბრიყვებდა მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონვე ბრიყვდებოდნენ, სწორედ ისე ატყუებდა, როგორც თვითონ ეწადათ. ბოლოს მათგან მხოლოდ იმას იღებდა, რისი დახარჯვაცა და დამღერებაც თვითონვე ჰქონდათ გადაწყვეტილი. მართალია, ბევრი გამორჩენა ჰქონდა. ფულს ინახავდა და უკვე პირველ წლებშივე დიდძალი ქონება შეიძინა, მაგრამ იმავ დროს შეეძლო დიდსულოვნად და ულაპარაკოდ „ჩამოეწერა ვალი“ და ზარალზე არაფერი ეთქვა. ქალი მოწყალებას აძლევდა მათხოვრებსა და ავადმყოფებს, ყოველგვარი მაბეზრობის გარეშე, დიდი თავდაჭერილობით, სხვათა შეუმჩნევლად ეხმარებოდა გაკოტრებულ მდიდარ ოჯახებს, მარტოხელა, დარბაისელ მოხუცებსა და ქვრივებს. იმ „ნამუსიან“ ღარიბ ხალხს, თხოვნა რომ არ ძალუძთ და მოწყალების მიღებისა რცხვენიათ. ლოტიკა ამას ისე მოხერხებულად აკეთებდა, როგორც სასტუმროს მართვის საქმეს. თავი საკმაოდ შორს ეჭირა იმ მთვრალი — ავხორცი, აბეზარა მომსვლელებისაგან, ვისგანაც ყველაფერს იღებდა, რისი აღებაც კი შეიძლებოდა, თუმცა სამაგიეროდ არაფერს აძლევდა. გადაჭრითა და საბოლოოდ ხელს არვის კრავდა. ცხოვრებაში ჩახედული, ისტორიის მცოდნე ხალხი სინანულს გამოთქვამდა, რომ ბედმა ლოტიკას ასეთი ვიწრო და პატარა სამოქმედო სარბიელი არგუნა. ვინ იცის, რას მიაღწევდა ან ქვეყანას რას მისცემდა ეს ჭკვიანი, კაცთმოყვარე, არცთუ თავკერძა ლამაზი და მაცდური, მაგრამ ამასთან ერთად

სუფთა და გულცივი ქალი, რა იქნებოდა, პროვინციულ სასტუმროს პატრონობისა და ქალაქელ თაყვანისმცემელთა ჯიბეების გამოფხეკის მაგივრად ლოტიკას სხვა, უფრო საპატიო მდგომარეობა სჭეროდა? შესაძლოა, ლოტიკა ერთი იმ გამოჩენილ ქალთაგანი გამხდარიყო, ვისი სახელიც ისტორიას რჩება, ვინც დიდი გვარეულობისა თუ სამეფო კარის ან სულაც მთელი სახელმწიფოს ბედს მართავს და ერის დიდებისა და აყვავების საქმეს ხელს უწყობს.

იმ დროს, ე. ი. დაახლოებით 1885 წელს, ლოტიკას სილამაზისა და შესაძლებლობის გაფურჩქვნის ჟამს, ვიშეგრადელ მდიდართა შვილები დღესა და ღამეს სასტუმროს რძისფერმინიან დარბაზში ატარებდნენ.

ისეც ხდებოდა, სტუმრები მეორე დღემდე აგრძელებდნენ ქეიფს, საღამოს იქვე ნაუძინებდნენ, ავიწყდებოდათ სად იყვნენ, აქ რისთვის ისხდნენ ან ვის ელოდნენ. ლოტიკა სარგებლობდა ასეთი სიწყნარით. მაშინვე პირველ სართულზე პატარა ოთახში ჩადიოდა, ყოფილ სამოახლოში, მერე თავის სამუშაო ოთახად რომ აქცია. შიგ არავის უშვებდა. ოთახი ყველანაირი ავეჯით, სურათებით, ოქროსი თუ ვერცხლის სამშვენისებითა და ბროლის ნივთებით იყო გავსებული. იქვე, ფარდის უკან, ცეცხლგამძლე კარადა და პატარა სანერი მაგიდა ედგა. მაგიდა ქაღალდებით, უწყებებით, ქვითრებით, ანგარიშებით, გერმანული გაზეთებით, საბირჟო ცნობებიდან ამოჭრილი ქაღალდებითა და ლატარიის გათამაშების ცხრილით იყო გატენილი.

თავისუფალ დროს ლოტიკა ნივთებით გამოტენილ ამ ვიწრო, დახუთულ ოთახში ატარებდა, რომელსაც ხიდის სამხრეთით, პირველ თაღთან გამავალი, მთელ სახლში, ყველაზე პატარა ფანჯარა ჰქონდა. აქ ცხოვრობდა ლოტიკა სულ სხვანაირი, ყველასაგან დაფარული ცხოვრებით, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნოდა.

ლოტიკა, როგორც კი სტუმრებს თავს დააღწევდა, საბირჟო ცნობარებსა და განცხადებებს ეცნობოდა, აწესრიგებდა ანგარიშებს, პასუხობდა ბანკიდან მოსულ წერილებს, იღებდა გადაწყვეტილებებს, იძლეოდა ბრძანებებს, ათავისთავებდა ფულად ანაბრებს, გზავნიდა ახალ შესატანებს. აქ, ყველას თვალთაგან ფარულად, სწორედ იმას აკეთებდა, რაც ლოტიკას ცხოვრების შინაარსი იყო.

ლოტიკას სახიდან ქრებოდა მუდმივი ღიმილი, სახე უმკაცრდებოდა, გამოხედვა გამსჭვალავი უხდებოდა. ამ ოთახიდან აჩაღებდა მიმოწერას თავის მრავალრიცხოვან ნათესავებთან — ტერნოპოლელ აპფელმაიერებთან, გათხოვილ დებთან, ცოლშვილიან ძმებთან, ბიძაშვილებთან

და კიდევ უფრო შორეულ ნათესავებთან — გალიციაში, ავსტრიაში თუ უნგრეთში მიმოფანტულ ღარიბ ებრაელებთან.

ლოტიკა მრავალი ებრაული ოჯახის ბედს მართავდა, მათი ცხოვრების წვრილმან ამბებში ერეოდა. წყვეტდა ქორწინების საკითხს. ბავშვებს სკოლაში ან სამუშაოზე აწყობდა, ავადმყოფებს სამკურნალოდ ფულს უგზავნიდა, აფრთხილებდა, ტუქსავდა დაუდევრებსა და მფლანგველებს, ქებას არ იშურებდა, ვინც სიფრთხილესა და საქმეში ფხას გამოიჩენდა. მისი გადასაწყვეტი იყო ნათესავების განხეთქილებისა თუ რაიმე გაუგებრობის ნიადაგზე წარმოშობილი დავა. ყველას არიგებდა, გონივრულად, პატიოსნად, ღირსეულად იცხოვრეთო, მარტო სიტყვით კი არა, ფულითაც ეხმარებოდა. წერილებს უკან ფულსაც მიაყოლებდა ხოლმე, ხელს უმართავდა, სულიერი თუ ნივთიერი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინათ. სთხოვდა, მისი რჩევა შეესრულებინათ, თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი უბედურება. თუ ვინმე ნათესავს დაეხმარებოდა ან სწორ გზაზე დააყენებდა, ეს იყო მისი დიდი ჯილდო და ჭეშმარიტი ბედნიერება, თავისი მძიმე ცხოვრებისა და ვაების სანაცვლოდ.

როცა რომელიმე აპფელმაიერი, ქალი თუ კაცი, ერთი საფეხურით მაინც დაწინაურდებოდა, ლოტიკა ცას ენეოდა სიხარულით და ხვალინდელი დღისთვის ერთიასად ემატებოდა ენერგია.

ზოგჯერ სასტუმრო ისე ქანცავდა და ისეთი სიძულვილი ეუფლებოდა, რომ ოთახში შესულს წერისა და ანგარიშების გადათვალიერების თავიც აღარ ჰქონდა. ასეთ დღეებში იმ პატარა სარკმელთან მიდიოდა, რათა ღრმად ჩაესუნთქა მდინარიდან მონაბერი სუფთა ჰაერი, სრულიად რომ განსხვავდებოდა დაბლა დარბაზის ჰაერისაგან. მის წინ მკვეთრად მოხრილი ხიდის დიდი თაღი აღიმართებოდა, ქვეშ კი სწრაფი მდინარე მიედინებოდა. კაშკაშა მზის ნათებაზე, ბინდისას, მთვარის მკრთალ შუქზე, ზამთრის გრძელ ღამეებსა თუ ვარსკვლავთა კაშკაშში თაღი სულ მუდამ ერთნაირი იყო. ორი ნახევარწრე ერთმანეთისაკენ იხრებოდა და მაღლა, ისრისებრ ხვეულში ერთიანდებოდა. წლების განმავლობაში ეს თაღი ლოტიკას გაორებული ცხოვრების მუდმივი, უტყვი მოწმე იყო. ჰოდა, ებრაელი ქალიც მისკენ აპყრობდა მზერას, როცა კი დასვენებისა და თავდავიწყების მოთხოვნილება ეუფლებოდა, როცა საქმით დამაშვრალსა და ნათესაურ ზრუნვაში გართულს, განცალკევება სურდა.

გარინდების ეს ნუთები, როგორც წესი, დიდხანს როდი გრძელდებოდა. ფიქრებს ხან სამიკიტნოდან შემოღწეული ხმები აწყვეტინებდა, ხან ახლად მოსული სტუმრები ითხოვდნენ, ლოტიკა აქ მოვიდესო, ხან გამოძინებული და გამოფხიზლებული ლოთბაზარა დაჟინებით იჩემებდა, ღვინო მომიტანეთ, შუქი აანთეთ და დამკვრელები მომიყვანეთო. მაშინ ლოტიკა თავისი თავშესაფრიდან გამოძვრებოდა, საკუთარი გასაღებით გულმოდგინედ კეტავდა კარს და სტუმართან გამოდიოდა. მომხიბლავი ღიმილითა და დათაფლული სიტყვებით, მარტო ლოტიკამ რომ იცოდა, დაანყნარებდა ლოთბაზარას და გამოღვიძებული ბავშვივით ხელახლა სვამდა სუფრასთან. ისევ თავიდან იწყებოდა ქეიფი, ლოთობა, ყვირილი, სიმღერები და ბედოვლათობა.

ახლაც უიმისოდ დარბაზში ყველაფერი აირ-დაირია. სტუმრები ერთმანეთს ნაეჩხუბნენ. ცირინჩელი ახალგაზრდა ფერმკრთალი ბეგი ჩაციებით იყურება, ღვინოს იატაკზე ღვრის, არაფერი მოსწონს, სტუმრებთან, ამხანაგებთან ჩხუბის მიზეზებს ეძებს, დღე და ღამე სვამს და ლოტიკაზე ოხრავს: ისე ბევრსა სვამს და ისე მძიმედ ოხრავს, ყველასათვის ნათელია, რომ ულამაზესი ებრაელი ქალის ცალმხრივი სიყვარულისა და უაზრო ეჭვიანობის გარდა უფრო ღრმა, თვით მისთვისაც გამოუცნობი ნაღველი სტანჯავს.

ლოტიკა მასთან უშიშრად, თამამად მიდის:

— რაო, ეიუბ? რა გაყვირებს?

— სადა ხარ? გამაგებინე, სადა ხარ? — ბუტბუტებს მთვრალი, თან ხმას უდაბლებს და ლოტიკას თრთოლვით შეჰყურებს როგორც მოჩვენებას, — რაღაც სანამლავს მასმევენ. მწამლავენ მე, მწამლავენ, მაგრამ არ იციან, რომ მე.... მე... რომ...

— კარგი, კარგი წყნარად იჯექი, — ამშვიდებს ლოტიკა და სუნამოწაცხებულ თეთრ თითებს თითქმის სახეზე უთათუნებს, — იყუჩე, იყუჩე, შენთვის ჩიტის რძესაც კი ვიშოვი თუ კი მოინდომებ, მოიცა, მე თვითონ ვიზრუნებ შენს სასმელზე.

ლოტიკა მიმტანს გერმანულად რაღაცას უბრძანებს.

— არ გაბედო იმ ენაზე ლაპარაკი, რომელიც მე არ მესმის! ეს რა აბდაუბდაა? ფარცენ-ფუფცენ... განა მე... შენ ხომ მიცნობ...

— ვიცი, ვიცი, ეიუბ. შენზე მეტი არც მე ვიცი, შენ კი...

— ჰმ? ვისთან იყავი, მითხარი!

ფხიზელ ქალთან მთვრალი მამაკაცის ლაილაი უსასრულოდ დიდხანს გრძელდება, დასასრული არ უჩანს. მაგიდაზე ძვირფასი ღვინ-

ით სავსე ბოთლები და ორი დიდი ჭიქა დგას: ერთი ჭიქა ლოტიკასია, რომელიც ყოველთვის სავსე რჩება, მეორე კი ეიუბის ჭიქაა, სულ ერთთავად რომ იცლება და კვლავ ივსება.

ახალგაზრდა, უქნარა ბეგს პირში ენა აღარა აქვს, აბდაუბდასა ჩმახავს სიყვარულსა და სიკვდილზე, თავის გაუნელებელ ნაღველსა და ათას სხვა რამეზე. ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რაც ლოტიკამ უკვე ზეპირად იცის, რადგან ყველა აქაური ლოთბაზარა ზუსტად ერთსა და იგივეს, თითქმის ერთნაირად გამოსთქვამს. ლოტიკა დგება და სხვა სტუმრებთან მიდის, საღამოხანს ჩვეულებისამებრ, სასტუმროში რომ იყრიან თავს.

მეორე მაგიდასთან მდიდრის შვილები სხედან, ახლახან რომ დაიწყეს „საზოგადოებაში“ გამოსვლა და დროსტარება. ამ ქალაქელ კოხტაპრუწებს ევიწროებოდათ, მობეზრებოდათ ზარიას სამიკიტნო, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, როგორც დაეჭირათ თავი ამ სასტუმროში. იქვე უცხოელი მოხელეები მოკალათებულიყვნენ, მათ შორის ერთი ოფიცერიც ერია. ოფიცერთა საკრებულოს ნაცვლად სამოქალაქო სასტუმროში რომ მობრძანებულიყო ლოტიკასთვის მოკლევადიანი სესხის სათხოვნელად. მესამე მაგიდასთან ხე-ტყის გამოსაზიდი გზის გაყვანაზე მომუშავე ინჟინრები ისხდნენ. იქით, კუთხეში თურქულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა, მდიდარი ვაჭარი პავლე რანკოვიჩი მიმჯდარიყო და ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა. გვერდით გზის მშენებლობის მოიჯარე ავსტრიელი ეჯდა. პავლეს მუდამ წითელი ფესკა ეხურა, ქუდს დუქანშიც არ იხდიდა. ნვრილ-ნვრილი, მოჭუტული თვალებით ისე იმზირებოდა, თითქოს ვიღაცას ზვერავსო. ძვალმსხვილ და ფერმკრთალ სახეზე შავი თვალების ორი ირიბი ჭრილი სიხარულისა თუ კმაყოფილების იშვიათ წუთებში არაჩვეულებრივად უფართოვდებოდა, ეშმაკურად უელავ-უბრწყინავდა. მოიჯარეს ნაცრისფერი სპორტული კოსტიუმი ეცვა და ყაითანგაყრილი ყვითელი მაღალყელიანი ფეხსაცმელი ლამის მუხლებამდე სწვდებოდა; მოოქროვილი ფანქარი ვერცხლის ძეწკვზე ჰქონდა გამობმული და ისე წერდა. პავლეს კი მოკლე და სქელი ფანქარი ეჭირა, ხუთი ნლის წინ მის დახლზე დარჩენოდა რომელიღაც სამხედრო დურგალს, პავლესაგან ლურსმანი და კარების ანჯამები რომ იყიდა. მოიჯარე ახლა პავლესთან ხელშეკრულებას დებდა, რათა გზის მშენებლობაზე მუშები სურსათით მოემარაგებინა, საქმეში ჩაფლულები, ამრავლებდნენ, ჰყოფდნენ, უმატებდნენ. ორივენი ციფრების ორ-ორ გრძელ რიგს ამწკრივებდნენ: ერთი ქაღალდზე

წერდა, რათა დაეჯერებინა, მოეტყუებინა პარტნიორი, მეორე კი „გონებაში“ სახავდა მოგების იმ ფარულ იმედებს, რომელსაც თითოეული მათგანი თავისთვის დაძაბულად და აჩქარებით ითვლიდა.

ლოტიკა ყველა სტუმრისთვის პოულობდა მოსალბუნე სიტყვას, ალერსიან ღიმილს თუ უსიტყვო, მაგრამ მეტყველ მზერას. როცა ახალგაზრდა ბეგი ისევ მოჰყვებოდა შფოთსა და წუხილს, ლოტიკა კვლავ მასთან ბრუნდებოდა.

ღამით, როცა ქეიფი ისევ გახურდებოდა, გაცხოველებული ხმაური, უხეში არშიყობა და უმიზეზო აყალ-მაყალი ატყდებოდა, ლოტიკა თავის ოთახში მიმყუდროვდებოდა, ფაიფურის შუქფარის მკრთალ სინათლეზე ისვენებდა, ვიდრე რაიმე შემთხვევის გამო საჭირო არ გახდებოდა მისი დარბაზში გამოჩენა. მეორე დღეს კი ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა, ისევ ის ან სხვა რომელიმე ბეგი ლოთობდა და ბედოვლათობდა. ლოტიკას მოჩვენებითი, ალერსიანი ღიმილი ისევ თავის საქმეს აკეთებდა, სხვის თვალში რომ ქარაფშუტულ და მხიარულ თამაშსა ჰგავდა.

ეს მრავალნაირი საზრუნავი ისეთ მოქნილობასა და მამაკაცურ ენერგიას ითხოვდა, რასაც ბევრი ქალი ვერ მოახერხებდა. გაუგებარი იყო, როგორ ართმევდა ლოტიკა ყოველივე ამას თავს და დაღლილობისაგან მუხლები როგორ არ ეკეცებოდა. მაგრამ ლოტიკა ყველაფერს ასწრებდა, არც არავისთან ჩიოდა, არც არავის აძლევდა ახსნა-განმარტებას, არც არავის უზიარებდა თავის საზრუნავსა და მომავლის გეგმებს. ეს იყო რომ, ყოველდღიურად ერთ საათს იტოვებდა ალი-ბეგ პაშიჩისათვის, ერთადერთი კაცისათვის, ვინც ქალაქში ლოტიკას უანგარო და ნამდვილი ნდობა მოიპოვა. ალი-ბეგი თავშეკავებული და უთქმელი კაცი იყო. პაშიჩების ოთხ ძმათაგან მხოლოდ ეს, უფროსი ძმა იყო უცოლო (ქალაქში ამბობდნენ, ამის მიზეზი ლოტიკააო). არავითარ საქმიანობას არ ეწეოდა, ქალაქის ცხოვრებიდან შორს იდგა და თავის ამხანაგებს ლოთობასა და დროსტარებაში მხარს არ უბამდა. მუდამ მშვიდი, თავდაჭერილი, წყნარი და სალმიანი ალი-ბეგ პაშიჩი თავშეყრასა და მასლაათს დიდად არ გაურბოდა, მაგრამ არავის ახსოვდა, ერთხელ მაინც გამოეთქვა საკუთარი აზრი ან ვინმეს მისი ნათქვამი დაემოწმებინა.

მუდამ თავისი თავით კმაყოფილს, მოსწონდა მისდამი ადამიანების ასეთი დამოკიდებულება, არ ესწრაფოდა სხვანაირ კაცად გადასხვაფერებულიყო ან თავი ისეთად მოეჩვენებინა, როგორც სინამდვილეში არ იყო. მისგან მეტს არც ელოდნენ და არც ითხოვდნენ.

დიდ დარბაზში მოქეიფე სტუმრებზე ლოტიკა ნაკლებად ზრუნავდა. იქაური მუშტრების მასპინძლობა უფროს მიმტანს გუსტავს და ქალაქში ცნობილ გონებამახვილ უნგრელ ქალს, მალჩიკას ებარა.

ჩეხოსლოვაკიიდან მოსული, დაბალი წითური გუსტავი გერმანელი იყო, ფართო ბეჭები, ფიცხი ხასიათი, ჩასისხლიანებული თვალები, მოგრეხილი კანჭები და ბრტყელტერფა ფეხები ჰქონდა. მალჩიკა და გუსტავი ქალაქელ მუშტრებს კარგად იცნობდნენ. იცოდნენ, ვინ როგორ იხდიდა, ვის როგორი ხასიათი ჰქონდა სიმთვრალეში, ვის გულთბილად შეხვედროდნენ და ვის გულცივად. იცოდნენ, ვინ შემოეშვათ და ვინ არა, ცნობდნენ, ვინ იყო სასტუმრო კაცი. რასაკვირველია, ცდილობდნენ მუშტრებს ბლომად ესვათ, ფული პატიოსნად გადაეხადათ და ყველაფერი ლოტიკას პრინციპის მიხედვით წარმართულიყო („არავითარი აყალმაყალი"). როცა რომელიმე ლოთი თავს დაკარგავდა და მეზობელ სამიკიტნოში გამომტყვრალი, ძალით დააპირებდა სასტუმროში შემოვარდნას, მაშინ მაღალი, ძვალმსხვილი, ფართობეჭებიანი ლიკელი* მსახური მილანი გამოდიოდა. ძალ-ღონით სავსე მილანს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, სამაგიეროდ საქმეში იყო ყოჩაღი, მილანსაც სხვა მოსამსახურეებივით ლივრეა უნდა სცმოდა (ამას ლოტიკა ადევნებდა თვალს), მაგრამ მილანი ფორმის სერთუკს იხდიდა და მხოლოდ თეთრი პერანგითა და შავი ჟილეტით დადიოდა. მწვანე მაუდისაგან შეკერილი გრძელი წინსაფარი ქამარივით ჰქონდა შემოკრული, იდაყვებამდე დამკლავებული სახელოებიდან ვეებერთელა ხელები მოუჩანდა, შავი, ბანჯგვლიანი ხელები, ორი დიდი ჯაგრისი რომ გეგონებოდათ. თავმომწონედ აპრეხილი ულვაშები და შავი თმა ჰქონდა, რომელზეც სქლად ესვა შავი, სურნელოვანი, ჯარისკაცური საცხი.

როგორც კი აყალმაყალი ატყდებოდა, მილანი მაშინვე ჩააჩუმებდა.

ამ უსიამოვნო და არასასურველი ოპერაციის ჩასატარებლად გუსტავმა, დროით შემოწმებული, ერთი ხერხი იცოდა. მოჩხუბარა მთვრალ მუშტარს მანამდე ალაპარაკებდა, ვიდრე ზურგიდან მილანი არ მიუახლოვდებოდა, მიმტანი მაშინვე გვერდზე გადგებოდა, მილანი კი მოხერხებულად და სწრაფად სტაცებდა მსხვერპლს ხელს, ვერავინ ხვდებოდა მილანისებური გაკოჭვის „საიდუმლოებას", ყველაზე უფრო შმაგ ლოთბაზარასაც კი კარისაკენ ისროდა. კარს მაშინვე აღებდა მალჩიკა და მთვრალიც პირდაპირ ქუჩაში აღმოჩნდებოდა. გუსტავი წამსვე უკან მიაყოლებდა ქუდს, ხელჯოხსა და სხვა ნივთებს. მილანი კი რკინის

* ლიკელი — დასავლეთი ხორვატიის ლიკის ოლქის მკვიდრი.

დარაბას დაუშვებდა და სხეულის მთელი სიმძიმით მიაწვებოდა. ეს ყველაფერი ერთ წამში შეუფერხებლად და უზადოდ ხდებოდა. სტუმრები თვალის დახამხამებასაც ვერ ასწრებდნენ, ჭინჭყლი მუშტარი კი უკვე ქუჩაში ეყუნტა. იქ თავგზა დაკარგულს მხოლოდ რკინის დარაბაზე შეეძლო ჯავრის ამოყრა, მაგრამ ეს აურზაური უკვე ქუჩაში ხდებოდა და არა სასტუმროში. რაც უკვე პოლიციის საქმე იყო, სასტუმროსთან ერთთავად რომ მორიგეობდა. მილანს არასდროს ჰქონია ისეთი შემთხვევა ქალაქის სამიკიტნოებში რომ ხდებოდა. არც არასდროს მომხდარა, მილანის მიერ ქუჩაშიც გამოპინტრიშებულ მუშტარს მაგიდები და სკამები გადაეტრიალებინოს ან ხელებითა და ფეხებით ისე ჩაბღაუჭებოდეს კარს, რომ მის მოსაცილებლად უღელი ხარი გამხდარიყო საჭირო. მილანი ამ დროს არ ღელავდა, არ ბრაზობდა, არც მოჭიდავის ჟინი ამოქმედებდა და არც პირადი პატივმოყვარეობა. ამიტომაც ყველაფერი კარგად გამოსდიოდა. ამ ამბიდან ორი წუთის შემდეგ, თითქოს არც არაფერი მომხდარაო, სამზარეულოში ან სხვა ოთახში, ისევ თავის საქმეს უბრუნდებოდა. გუსტავი კი მცირე დარბაზში შევიდოდა, საპატიო სტუმრებთან მჯდარ ლოტიკას გაუვლიდა და ისე, სხვათა შორის, თვალით ანიშნებდა, „რაღაცა მოხდა, მაგრამ კეთილად დამთავრდაო“. ლოტიკაც ღიმილითვე, ლაპარაკის შეუწყვეტლად — ასევე სწრაფად და შეუმჩნევლად დახრიდა წამწამებს, რაც იმას ნიშნავდა, „კარგი, მადლობელი ვარ, შემდეგშიც ფხიზლად იყავითო“.

მხოლოდ ერთი რამ რჩებოდა მოსაგვარებელი, იმის დადგენა, თუ რამდენისა დალია ან გატეხა პანჩურამოკრულმა სტუმარმა. ამ თანხას დღიური ნავაჭრიდან ლოტიკა გუსტავს ჩამოაწერდა ხოლმე, რასაც შუაღამისას წითელი შირმის მიღმა ანგარიშობდა.

თავი მეთხუთმეტე

გერგილიანად გარეთ გამოპანღურებულ ჭინჭყლ მუშტარს თუ სასტუმროს კარებთანვე პოლიცია ხელს არ ჩაავლებდა, შეეძლო ამ ამბის შემდეგ სული მოეთქვა და გონს მოსულიყო, ან ფეხების ბრაცაბრუცით კაპიამდე მიჩერჩეტებულიყო და მდინარიდან თუ მეზობელი მთებიდან მონაბერი გრილი ჰაერი ჩაეყლაპა. შეეძლო იქვე ახლოს, ქალაქის ბაზართან, ზარიას სამიკიტნოში გადასულიყო, თავისთვის ეკრაჭუნებინა კბილები და იმ უჩინარ მარჯვენას გინებით დამუქრებოდა, ვინც ასე მუხანათურად იფრინა სასტუმროდან. ამ სამიკიტნოში დაღამებისთანავე მოდიოდნენ მთელი დღის დამაშვრალი მეპატრონეები და მუშები, რომ თითო ჭიქა გადაეკრათ და ესაუბრათ. აქ აყალმაყალზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგან ყველა იმდენსა სვამდა, რამდენიც შეერგებოდა და რის ნებასაც საკუთარი ჯიბე აძლევდა. ყველა ისე იქცეოდა და ლაპარაკობდა, რასაც გული ეუბნებოდა; მუშტრებს აქ ჯიბეებს არავინ უსუფთავებდა და მაინც, თუ რომელიმე მუშტარი საზღვრებს გადავიდოდა, მაშინ მძიმე და სიტყვაძვირი ზარიას პირქუში და კუშტი გამოხედვაც კმაროდა, რომ ყველაზე თავგასულ ლოთბაზარასა და ჩხუბისთავს ფარ-ხმალი დაეყარა და გამბედაობა დაჰკარგოდა. ზარია მათ თავისი მძიმე ხელის დამაჯერებელი მოძრაობით დაბალ ხმაზე აწყნარებდა:

— გაჩერდი, თორემ ცუდად ნაგივა საქმე!

მაგრამ თვით ამ ძველ სამიკიტნოში, სადაც არც ცალკე ოთახები იყო და არც ლივრეაში გამონყობილი მოსამსახურეები, სადაც სტუმრებს გლეხურად ჩაცმული, სანჯაყიდან* ჩამოყვანილი ჭაბუკები ემსახურებოდნენ, ახალი ჩვევები მაინც საოცრად არეულიყო ძველ ჩვეულებებში. სამიკიტნოს მეპატრონისა და თითქმის ყველა მუშტრისათვის კარგად ნაცნობი, ხელიდან წასული ლოთები მოშორებით კუთხეში მიმსხდარიყვნენ და თავიანთ ჭიქებს სალოცავივით ჩასცქეროდნენ. დაბინდულ ოთახსა და სიწყნარეს ეტანებოდნენ, ხმაური და აყალმაყალი სძულდათ. მოფუტკნული ღვიძლისა და კუჭის პატრონები ქვეყნად ყველაფერს გულგრილად უყურებდნენ და საკუთარი თავისათვისაც ზედმეტ ბარგად ქცეულიყვნენ. სვამდნენ და ელოდნენ, ბოლოს და ბოლოს როდის გაიელვებდა მათ გონებაში ის ჯადოსნური შუქი, რასაც ღვინო სასმელზე გადაგებული ადამიანების თავში ამოაბრწყინებს ხოლმე იმ

* სანჯაყი — სერბიისა და ჩერნოგორიის საზღვართან მდებარე ოლქის სახელწოდება.

ტკბილ ტანჯვასთან შერეულ შუქს, რომელიც ყოველ წელიწადს სულ უფრო სუსტად და მინავლებულად ანათებს და მალე ქრება.

უფრო მეტს ლაპარაკობდნენ და ხმაურობდნენ ახალბედები, უმეტესად მეწარმეთა შვილები. იმ სახიფათო ასაკისანი, როცა ადამიანი ბინიერების გზას ადგება. მეტ-ნაკლებად, ყველას უწევს ლოთობისა და უსაქმურობის წინაშე ხარკის გადახდა, მაგრამ უმრავლესობა მალე ტოვებს ამ გზას: ოჯახს ეკიდება, თავის ძალ-ღონეს შრომასა და მომხვეჭელობას ალევს, ადრინდელი ვნებებისა და ბინიერებისაგან თითქმის მთლიანად იკურნება, მხოლოდ განწირული და განგების ბეჭდით დადაღული ადამიანების უმცირესობა ურყევად მიჰყვება ამ გზას და ცხოვრებაში ყველაზე მოკლე და ამაო ილუზიით, ალკოჰოლით იმშვიდებს თავს. ცხოვრობს მხოლოდ ალკოჰოლისათვის და ისეთსავე პირქუშ და გონებაშეზღუდულ მახინჯად იქცევა, როგორიც იმ ბნელ კუთხეებში მჯდარი ლოთები იყვნენ.

ახალმა დროებამ ქალაქში ვაჭრობა გააჩაღა. შემოსავალმა იმატა და ძველებური მკაცრი ზნე-ჩვეულებები თუ წინდახედულება მიავიწყდათ. აი, ბოშა-სუმბოსთან ერთად, რომლის ფლეიტასაც აგერ უკვე ოცდაათი წელია, ვერც ერთ ქალაქურ ქეიფს ვერ გამოაპარებდით, დუქანს პატარა გარმონით ფრანც ფურლანიც შემოეჩვია. ამ გამხდარსა და წითურ კაცს, მარჯვენა ყურზე ოქროს საყურე ეკეთა. ხელობით დურგალი იყო, მაგრამ ძალიან უყვარდა მუსიკა და ღვინო. ფურლანს სიამოვნებით უსმენდნენ ჯარისკაცები და უცხოელი მუშები.

სამიკიტნოში ხშირად მოდის ღარიბად ჩაცმული, ამაყი მიხრა-მოხრის, გულღია შესახედაობის, მწირივით გამხდარი გუსლაზე დამკვრელი, ერთი ვიღაც ჩერნოგორიელი. მართალია, მშიერია, მაგრამ სიამაყის გამო თხოვნისა ერიდება, იძულებულია, სირცხვილი დასძლიოს. ერთხანს არაფერს უკვეთს, წელში მოხრილი კუთხეში ზის და ჩაფიქრებული იხედება სადღაც წინ, გულგრილი, გამოთაყვანებული კაცის იერით. მაგრამ ამ გარეგნული გულგრილობის მიღმა ფარული აზრები და ზრახვები გამოსჭვივოდა. მასში შენიღბულად იბრძოდა მრავალი ერთმანეთის საპირისპირო, შეურიგებელი გრძნობა — იგი ხვდებოდა საკუთარი სულის კუნჭულებში დამარხულ სწრაფვათა სიდიადეს, იმ არარაობასა და სისუსტეს, რაც სხვათა წინაშე შეეძლო გამოემჟღავნებინა. ამიტომ იყო, რომ ხალხის წინაშე გუსლაზე დამკვრელი ყოველთვის მდუმარედ და მოთმინებით იცდიდა, ვიდრე სიმღერას დაუკვეთდნენ. მაშინ, მორცხვად ამოაძრობდა შულდაკიდან გუსლას, დახედავ-

და, გასინჯავდა, ხემი ხომ არ დამნესტიანებიაო. სიმს დაჭიმავდა და ყველაფერს ისე აკეთებდა, თითქოს ეწადა, რაც შეიძლება ნაკლებად მიეპყრო სხვათა ყურადღება. აი, სიმზე ხემს უსვამს, ისმის ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მთრთოლვარე, გაუბედავი ხმა. სიმებს კიდევ და კიდევ უსვამს ხემს, წყნარად, უსიტყვოდ ღიღინებს. თავის ხმას საკრავის ხმას უწყობს და ჰანგს უსადაგებს. როგორც კი კაცისა და საკრავის ხმა ერთმანეთს შეეწყობა და ნაღვლიანად აჟღერდებიან, ღარიბი მომღერალი უეცრად, რაღაც ჯადოსნური ძალის წყალობით სხვა კაცად იქცევა. სადღაც ქრება მტანჯველი გაუბედაობა. ყველა შინაგანი წინააღმდეგობა იშლება, იფანტება ყველა საზრუნავი, გუსლაზე დამკვრელი უეცრად თავს მაღლა ასწევს იმ ადამიანივით, ვინც მოკრძალება დასძლია. სამალავიდან გამოსვლა გადაწყვიტა და ომახიანად, შეხმატკბილებულად იწყებს სიმღერას:

დანაღვლიანდა ღიღილო პატარა,

რატომ არ მომმადლე ცვარ-ნამით უფალო!

სტუმრები მაშინვე ხმას გაკმინდავენ, ვერც თურქი და ვერც ქრისტიანი ვერ უსმენს გულგრილად. დიდი ხნის დანატრებული, ცხოველმყოფელი და დამათრობელი ნამის ხსენება ყველას გულს უჩქროლებს — მომღერალი ისევ განაგრძობს:

არა, ის არ იყო პატარა ღიღილო...

შედარების აზრს გახსნის, სამზეოზე გამოიტანს, ნამისა და ღიღილოს სახეებქვეშ თურქებისა და სერბიელების ძველთაძველი ოცნებების ჩამოთვლას დაიწყებს. ყოველ მსმენელს თავისი გუნების, სურვილებისა და რწმენის შესაფერი აზრები და გრძნობები უჩნდება. სიმღერას ყველა ბოლომდე გულისყურითა და მოთმინებით უსმენს და, როგორც ძველთაგანვე სჩვევიათ, ერთი სიტყვითაც არ ამჟღავნებენ თავიანთ განწყობილებას. მდუმარედ მსხდარი სტუმრები ჭიქებს ჩაჰყურებენ, თითქოსდა სასურველი გამარჯვებები, ბრძოლები და გმირები, ვისი მსგავსიც ქვეყანაზე არსად ეგულებათ, კამკამა არაყში ბუნდოვნად ირეკლებოდეს.

ყველაზე დიდი გამოცოცხლება სამიკიტნოს იმ დღეებში დაეტყობოდა, როცა ვიშეგრადელი მდიდრებისა და მეპატრონეთა შვილები ეწვეოდნენ საქეიფოდ. მაშინ სუმბოსაც, ფურლანსაც, ჩორკანსაც და ბოშა შახასაც სამუშაო თავზესაყრელად ჰქონდათ.

თავხედსა და თავქარიან ბოშა შახას მამაკაცური ქცევები ჰქონდა, ვისაც კი ფულის გადახდა შეეძლო, ყველა ამ ქალს ასმევდა. მაგრამ

არასდროს თვრებოდა. ქეიფი და ღვინის სმა წარმოუდგენელი იყო შახასა და მისი თამამი ლაპარაკის გარეშე.

იცვლებოდა სამიკიტნოში დროს გასატარებლად მოსული ხალხი, ჩორკანი, სუმბო და შახა კი მუდმივად იქ იყვნენ. სალამური, ოხუნჯობა და არაყი იყო მათი ცხოვრება, ხოლო მუშაობა, სხვებისთვის დროის უქმად გაფლანგვაში ხელის შეწყობა გახლდათ. სხვათა ლოთობაზე ეკიდა მათი შემოსავალი. იქ ცხოვრება ღამე იწყებოდა, როცა ჯანსაღ და ბედნიერ ადამიანებს მაგარი ძილით ეძინათ.

არყით მთვრალი მოქეიფეების აქამდე მოთოკილი ინსტინქტები თავს იშვებდნენ და იმ მხიარულ, სასურველ ილუზიებში ეფლობოდნენ, ერთფეროვნების მიუხედავად, ყოველთვის ახალი და ძლიერი რომ ეჩვენებოდათ. არავის არ ერიდებოდა საკუთარი თავი სამი მდუმარე, დაქირავებული მოწმის წინაშე გაეშიშვლებინა, ამის გამო არც შერცხვენია ელოდათ და არც მონანიება. მათთან ერთად და მათ წინაშე ისინი თავს ყველაფრის ნებას აძლევდნენ, რაც ხალხის თვალში უგვანოდ, საკუთარ სახლში კი ცოდვად და შეუძლებლად ჩაითვლებოდა. მდიდარი და ცნობილი ხალხი, კარგი ოჯახის მამები იყვნენ ესენი თუ მათ სახელს ამოფარებულები, ყველაფერს ხუმრობაში ატარებდნენ და ცოტა ხნით მაინც ემსგავსებოდნენ საკუთარ თავს, როგორსაც არასდროს არავის აჩვენებდნენ. გახელებულ მუშტრებს შეეძლოთ ჩორკანს, სუმბოს თუ შახას ხელით შეხებოდნენ, მასხრადაც აეგდოთ. ლაჩრებს შეეძლოთ მათი ლანძღვა, გულუხვებს — დასაჩუქრება, პატივმოყვარეთ — მათი პირფერობის ყიდვა, ნაღვლიანებსა და დუმილის მოყვარულებს მათი ხუმრობა და ობროდობა მოსწონდათ, გარყვნილების მოყვარულთ კი — მათი თავისუფალი ქცევა და ლაქიაობა: ვიშეგრადის მწირ, უფერულ სულიერ ცხოვრებაში ეს თუმცა სამარცხვინო, მაგრამ მუდმივი და აუცილებელი გასართობი იყო, ისევე, როგორც ნამდვილ მსახიობებს მოისაკლისებს საზოგადოება. მათ ხომ წარმოდგენა არა ჰქონდათ ნამდვილ ხელოვნებაზე. ამგვარი ხალხი — მომღერლები, მსახიობები, ექსცენტრიკოსები და ოხუნჯები ქალაქში ოდითგანვე ბლომად იყვნენ. როცა რომელიმე მათგანს უფალი მიიღებდა, მის ადგილს სხვა იჭერდა, რადგან გამოჩენილი და სახელგანთქმული წარმომადგენლების გვერდით ამ ხელობას ახლები ეუფლებოდნენ, თანდათან ოსტატდებოდნენ და მათი რიგიც დგებოდა — გაერთოთ და ხელი შეენყოთ ახალგაზრდებისათვის დროსტარებაში, მაგრამ ბევრი წყალი ჩაიელის, ვიდრე სალკო ჩორკანის ღირსეული შემცვლელი გამოჩნდება.

როცა უცხოელთა ბატონობის შემდეგ ქალაქში პირველად გამოჩნდა მოხეტიალე ცირკი, ჩორკანს თოკზე მოცეკვავე ქალი შეუყვარდა და მისი გულისათვის იმდენი სისულელე და უცნაურობა ჩაიდინა, რომ დაიჭირეს და გაჯოხეს კიდეც. წამქეზებლებსა და ახირებულ მდიდრებს კი დიდი ჯარიმა გადაახდევინეს.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, ხალხი შეეჩვია ყოველგვარ სიახლეს და უცხოელი მუსიკოსების, თოკზე მოცეკვავეებისა და ჯამბაზების ჩამოსვლა უწინდელივით აღარ იწვევდა ხალხის ისეთ აღტაცებას, რაც ცირკის პირველ გამოჩენას მოჰყვა. მაგრამ აი, ცირკის მსახიობთან ჩორკანის გამიჯნურება ვერ იქნა და ვეღარ დაივიწყეს.

უკვე მრავალი წელია ჩორკანი მხოლოდ იმასღა აკეთებს, რომ დღისით ვიღაცას სადმე გაეგზავნოს, საღამოს კი მოქეიფე ბეგებსა და მდიდრებს მოემსახუროს, ხასიათი გაუსწოროს. მოქეიფეთა თაობა მის თვალწინ იცვლებოდა. ჯერ ქეიფობდნენ, მერე დარბაისლობას იძენდნენ, ლოთობას თავს ანებებდნენ, ქორწინდებოდნენ და შოშმინდებოდნენ. მათ ადგილას მეორე თაობა მოდიოდა, ასევე რომ ჩქარობდა ცხოვრებისაგან თავისი წილის ნაღებას. ჩორკანი დაბერდა და დაძაბუნდა. სამიკიტნოში უფრო ხშირად იჯდა, ვიდრე მუშაობდა, უფრო მდიდარი მუშტრების მოწყალებითა და ნაბოძვარით ცხოვრობდა, ვიდრე საკუთარი შრომით.

აი, შემოდგომის ერთ წვიმიან ღამეს ზარიას მუშტრებს მოწყენილობა ეძალებათ. მაგიდას შეძლებულები შემოსხდომიან, თავში უხალისო ფიქრები უტრიალებთ, წარამარა მოსაწყენ და არცთუ სასურველ საქმეებს იხსენებენ. ამფსონები უგულოდ და გაღიზიანებით საუბრობენ: სახეზე სულიერი სიცივე, უდარდელობა და უნდობლობა ახატიათ. არაყმაც ვერ გაამხიარულა და გუნებაზე ვერ მოიყვანა. სამიკიტნოს ერთ კუთხეში სკამზე ჩორკანი თვლემს. თბილი ოთახის ტენიან ჰაერსა და პირველივე ჭიქა არაყს მთლად გაუოგნებია, დღისით ვიღაცის ბარგი შორს, ოკოლიშჩაში წაუღია. ერთიანად გალუმპულა და მაგრადაც დაღლილა.

მაგიდასთან მჯდომი ერთ-ერთი მოწყენილი სტუმარი უნებლიეთ იხსენებს ცირკის მსახიობი ქალისა და ჩორკანის უიღბლო სიყვარულს. ყველა სტუმარი კუთხეში მიმჯდარი ჩორკანისკენ იცქირება, მაგრამ იგი გაუნძრევლად ზის და თავს იკატუნებს, ვითომდა ვთვლემო. დაე, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ. ამ დილით მაგრად ნამთვრალევმა, მტკიცედ გადაწყვიტა, არ გამოეპასუხოს დაცინვასა და გაკენწვლას. თან ისიც

სურდა, არავისთვის მიეცა ნება ისე გაეპამპულებინათ, როგორც წინა ღამით, ამავე სამიკიტნოს მუშტრებმა აწვნევინეს.

— მე მგონი, მაგათ მიწერ-მოწერა აქვთ ერთმანეთთან, — ამბობს ვიღაცა.

— ვერ უყურებ, რა ოხერი ვინმეა? ერთს წერილებით ახვევს თავბრუს, მეორე კი აქ ჰყავს!

ჩორკანი თავს ძალას ატანს, ცდილობს არ გაინძრეს, მაგრამ მათი ლაპარაკი გულში ისე ხვდება და აღელვებს, თითქოს მზემ სახეში შეანათაო. ეს მზე კიდეც ელაციცება და თავისი სხივებით კიდეც აწუხებს. თვალები თავისთავად ცდილობენ გახელას. სახის კუნთებზე უნებური სიცილი უთამაშებს. ჩორკანს დიდი ხნით არ ძალუძს ჩუმად და გაუნძრევლად ყოფნა. ჯერ თითქოს ნაძალადევად და ზანტად ჩაიქნევს ხელს, მაგრამ შემდეგ მაინც ამბობს:

— ყველაფერმა ხომ უკვე ჩაიარა.

— კარგი ერთი, ჩაიარა კი? ეჰ, ძმებო! საოცარ საქმეებს ატრიალებს ეს ჩორკანი. ერთი იქ, უცხოეთში ჭკნება ამის გულისათვის. ეს კი აქ მეორეს აგიჟებს. ერთი უკვე მოიმწვანილა. მეორესაც ეს დღე მოელის და მესამესაც. შენ კი, ძვირფასო მეგობარო, რატომ არ გეცოდებიან ეს ქალები, ერთიმეორის მიყოლებით რომ ანებებ თავს?

ჩორკანი უკვე ფეხზეა და მაგიდასთან მიდის. დავიწყებია ძილიც, დაღლილობაცა და დილანდელი პირობაც, არამც და არამც არ ჩაერიოს ლაპარაკში.

გულზე ხელის დადებით არწმუნებს ვაჭრებს, რომ ამ საქმეში სულ უბრალოა. სრულებითაც არ არის ისეთი მაცდური, როგორიც ჰგონიათ. ტანსაცმელი ჯერ კიდევ სველი აქვს,სახეც სველი და მოგანგლული, რადგან იაფფასიან სველ ფრესკას ფერი გასდის, მაგრამ სახის ნაკვთები ნეტარი, ამაღელვებელი ღიმილით ებადრება. ჩორკანი სტუმრების მაგიდას მიუჯდება.

— რომი მოართვით ჩორკანს! — ყვირის თავის სიმსუქნესთან შედარებით ძალზე მკვირცხლი ებრაელი სანტო პაპო, რკინეულობით მოვაჭრე ცნობილი მენტეს ვაჟიშვილი. ბოლოს ხანებში, როცა კი მოიხელთებს, ჩორკანი არყის მაგივრად რომსა სვამს. ეს ახალი სასმელი ჩორკანისთანა კაცისათვის იყო ზედგამოჭრილი. არაყზე უფრო მაგარსა და მათრობელას გემოც უფრო სასიამოვნო ჰქონდა. რომი პატარა ბოთლებით იყიდებოდა, რომლის იარლიყებზე სქელტუჩება, თვალებგაბრწყინებული მულატი ეხატა. ქალს ფართოფარფლებიანი ჩალის

ქუდი ეხურა და ყურებში ოქროს დიდი საყურეები ჰქონდა გარჭობილი; ქვევით კი წითელი ასოებით იყო გამოყვნილი „იამაიკა“.

მულატი ქალის გამოსახულების დანახვისთანავე ჩორკანმა ახალი სასმელის კეთილსურნელება და ცეცხლოვანი ძალა იგრძნო, თანაც გაიფიქრა, ერთი წლის წინ რომ მომკვდარიყავი, ეს მიწიერი სიკეთე ჩემთვის ასევე შეუცნობი დარჩებოდაო. „და კიდევ რამდენი საოცარი რამ არის ამქვეყნად“. როგორც კი რომის ბოთლს გახსნიდა, ჩორკანი ფიქრებში იძირებოდა. ამ ფიქრებით მონიჭებულ სიამოვნებას მერე სასმელის დალევით მოგვრილი ნეტარება მოსდევდა.

ახლაც სახესთან მიიტანა ვიწრო ბოთლი, თითქოს რაღაცას ეჩურჩულებაო. ამ ოინბაზობის გამჩაღებელი კი, ვინც ჩორკანს ხმა ამოაღებინა, მკაცრად ეკითხება:

— შე უბედურო, მაგ გოგოს რაღას უპირებ, ცოლად შეირთავ თუ სხვებივით მაგასაც გააპამპულებ?

გულისხმობდნენ ლამაზ ლდუშჩელ პაშას. უთვისტომო და ობოლი პაშა მთელი ქალაქის თვალი იყო და, როგორც ერთ დროს დედამისი, ისიც მქარგავად მუშაობდა.

შარშან მოქეიფე და ქალაქგარეთ მოსეირნე ახალგაზრდები გაუთავებლად ლაპარაკობდნენ პაშაზე, მის სწორუპოვარ სილამაზეზე. თანდათანობით, თავისდა შეუმჩნევლად, ამ ლაპარაკში ჩორკანიც ჩაერია. რა თქმა უნდა, ჩორკანს მაშინვე დაცინვა დაუწყეს. ერთხელ მთელი ქალაქიც გაატარეს, ვითომდა პაემანზე მიჰყავდათ. სახლის ფანჯრის გისოსებს იქით კი დამალული ქალიშვილების თავშეკავებული ჩურჩული და სიცილი ისმოდა. პაშაც იქვე იყო თავისი ამხანაგებით. ვიღაცამ ჩორკანს ზედ ფეხებთან ინის ტოტი დაუგდო. ჩორკანი შეცბა. იდგა და განძრევას ვერ ბედავდა. ეშინოდა, ყვავილს ფეხი არ დავაბიჯოო, თან ვერც აღებას ბედავდა. ბიჭებმა კი ბეჭებზე ხელი დაარტყეს და გამარჯვება მიულოცეს. არწმუნებდნენ, პაშამ შენ ამოგირჩია, შენდამი ისეთი ყურადღება გამოიჩინა, რომლის მსგავსი დღემდე არავის ღირსებიაო.

იმ ღამით მათი ამქარი მეზალინაში, მდინარის პირას, კაკლის ხის თაღებს ქვეშ გათენებამდე ქეიფობდა. აფორიაქებული და სიხარულით აღტაცებული ჩორკანი კოცონთან იჯდა. გრძნობათა ღელვას აყოლილს ხან სიმღერის სურვილი წამოუვლიდა, ხანაც ეჭვი იპყრობდა და ფიქრებში იძირებოდა. ჩორკანს არც მომსახურების ნებას აძლევდნენ და არც ყავისა თუ საჭმლის მოტანას ავალებდნენ.

— იცი თუ არა, შე უბედურო, რას ნიშნავს, როცა ქალიშვილი თავისი ხელით ინის ტოტს მოგიძღვნის? — გაიძახოდა მოქეიფე, — ამით პაშამ გითხრა: მე უშენოდ ამ მოტეხილი ტოტივით ვჭკნები. შენ კი, არც თვითონ მიგზავნი მაჭანკლებს, არც სხვაზე გათხოვების ნებას მრთავ. აი, რას ნიშნავს ეს ყველაფერი.

ყველა მხოლოდ თერთყირმიზა, მორიდებულ პაშაზე ელაპარაკებოდა, რომლის ბადალი მსოფლიოში არ მოიძებნებოდა. ქალი ვაზზე ახუნძლული მტევანივით წითლად ღუოდა. მარტო ხელის გაწევა იყო საჭირო მის მოსაწყვეტად. ერთადერთი, ვისაც პაშა ელოდება, ეს მხოლოდ შენ ხარ, ჩორკან, და სხვა არავინო, — უმტკიცებდნენ თავგამოდებით.

სტუმრები ამასხარავებდნენ ჩორკანს — ზოგი ვითომ გულმოსული მრისხანედ გაჰყვიროდა: მაინც სად შეათვალიერა პაშამ ჩორკანი, — ზოგი ჩორკანს ეშველებოდა. თვითონ კი ღვინოს ეძალებოდა, ხან სჯეროდა ამ სასწაულისა, ხანაც შეუძლებლად ეჩვენებოდა. ყველას ეუბნებოდა, ასეთ ბედნიერებას საჩემოდ არავინ გახდის, მე ერთი ღარიბი, ღატაკი, ბებერი და შეუხედავი კაცი ვარო. მაგრამ განმარტოების ჟამს, თვითონაც ფიქრობდა პაშაზე, მის სილამაზესა და მასთან ერთად მოსალოდნელ ბედნიერებაზე. ერთხელაც არ დაფიქრებულა, შესაძლებელი იყო თუ არა ამ ოცნების ახდენა. მაშინ, ზღვასავით უკიდეგანო, იმ იდუმალი ზაფხულის მშვენიერ საღამოს აბრიალებულ კოცონთან მჯდარ ჩორკანს, ჭიქების წკრიალსა და სიმღერებში ეს თუმცა ცოტა საეჭვოდ, მაგრამ მაინც შესაძლებლად ეჩვენებოდა. აღარაფერი იყო მისთვის დაუჯერებელი და შეუძლებელი. იცოდა, სტუმრები რომ აქილიკებდნენ, დასცინოდნენ; ბატონებს ხომ არ შეუძლიათ ისე ცხოვრება, ვინმეს არ დასცინონ, გული არ ატკინონ და ოხუნჯობით არ გატანჯონ. ასე იყო და ასეა ახლაც. ოხუნჯობენ, ულამაზეს ქალსა და მიუწვდომელ სიყვარულზე. ჰო, ისინი კი, მაგრამ მისი სიზმარი არ არის ხუმრობა. არც ის სიმღერაა ხუმრობა. სიყვარული ხომ ერთნაირად ხელმისაწვდომიც არის და შორეულიც, თვითონ ქალი ერთდროულად მახლობლადაც ეჩვენება და მიუწვდომელადაც. მიუხედავად ყველაფრისა, ჩორკანი წმინდად ატარებს გულში ამ ოცნებას. მისთვის ეს ოცნება ნამდვილია და ეჭვშეუვალი. ეს ოცნება ბატონების თავშექცევის, ღვინისა და სიმღერების მიღმა ცოცხლობს და არაფერზე ამქვეყნად, თვით პაშაზედაც კი არ არის დამოკიდებული.

დიახ, ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ მაინც ადვილად ივიწყებს, რადგან სული და გონება პირთამდე სავსე აქვს და ნაპირებიდან გადმოსულ მდინარესავით იღვრება.

თოკზე მოცეკვავე შვაბი ქალის სიყვარულისა და მისი გრძნობის გამასხარავების სამი წლის შემდეგ ჩორკანი ისევ ოცნებობდა ახალ, ყოვლისშემძლე და ჯადოსნურ სიყვარულზე; ასე იშოვეს მცონარა მდიდრებმა გასართობი, მრავალი თვის მანძილზე მხიარულების საბაბად რომ ექცათ. ეს ამბავი შუა ზაფხულში ხდებოდა. შემოდგომა წავიდა, ზამთარი დადგა. სამიკიტნოსა თუ ბაზარში თავშეყრილებს კი გამიჯნურებულ ჩორკანზე მასხრობა არა ბეზრდებოდათ. ჩორკანს მხოლოდ ისე იხსენიებდნენ, როგორც პაშას საქმროსა და შეყვარებულს.

დილით, როცა ნაქეიფარს თავი სტკიოდა და მედუქნეების ნვრილ-წვრილ დავალებებს ასრულებდა, უკვირდა, ბრაზობდა, ასე რომ ეძახდნენ და მასხრობაზე მხოლოდ მხრებს იჩეჩდა, მაგრამ როგორც კი მოსაღამოვდებოდა და ზარიას სამიკიტნოში შუქი აინთებოდა, ვიღაც უეჭველად დაიძახებდა: „რომი მოართვით ჩორკანს!". მერე ვიღაც, ვითომცდა აქ არაფერიაო, თავისთვის ჩაიღიღინებდა:

ბინდი ჩამოდგა,
მზე ჩაესვენა,
მზის შუქი
აღარ გელაციცება!

მაშინ კი ყველაფერი სახეს იცვლიდა. გულიდან დარდი გადაეყრებოდა, შუბლი გადაეხსნებოდა, შორს მიცურავდა ქალაქი, სამიკიტნოც, თვით შემცივნებული, გაუპარსავი, სხვის ძველმანებში გამოკრული ჩორკანიც. ყველაფერს მაღალი, ჩამავალი მზის შუქით გაბრწყინებული ვაზშემოხვეული აივანი ფარავდა. აივანზე ქალიშვილი გადმომდგარიყო, შორის იცქირებოდა, ელოდა იმას, ვისთვისაც ინის ტოტი უნდა გადაეგდო. მართალია, ირგვლივ ხორხოცებენ, ენამწარედ ქილიკობენ, მაგრამ, ყველაფერი თითქოს შორეულ ბურუსშია ჩაძირული, ის კი, რაზედაც სიმღერაში მღერიან, მის ახლოსაა და ყურის ძირთან უტრიალებს:

ნეტავ შეგვეძლოს,
ძვირფასო ჩემო,

სხივთა მორევი
რომ დავიჩემოთ!

ქალაქის თავზე აბრდღვიალებულ მზესაც კი ისე არასოდეს არ დაუთბია, როგორც სიმღერაში ნახსენები ჩამავალი მზის სხივები ათბობდა...

— რომი ჩორკანს!

ასე მიზოზინებდნენ ზამთრის ღამეები. ზამთრის მიწურულს პაშა გაათხოვეს. დუშჩელი ობოლი, მქარგავი გოგონა სინორჩისა და აყვავების ხანაში იყო. ჯერ ცხრამეტი წელიც არ გადაეხადა, რომ ორმოცდათხუთმეტი წლის მდიდარ და ცნობილ კაცს, ჰაჯი ომერს მეორე ცოლად მიათხოვეს.

ჰაჯი ომერი პირველად ოცდაათი წლის წინათ დაქორწინდა. ჭკუითა და მოხერხებით განთქმული მისი მეუღლე კარგი ოჯახის შვილი იყო. მამული ქალაქის ახლო ჰქონდათ და ყოველგვარი სიკეთითა და სიუხვით იყო მომადლებული, ქალაქის დუქნები კი მუდმივ და დიდძალ შემოსავალს აძლევდათ. ეს ყველაფერი მარტო მშვიდი და ზანტი ჰაჯი ომერის მარიფათი კი არ იყო, რომლის ერთადერთ საზრუნავს მამულიდან ბაზრამდე დღეში რამდენჯერმე წასვლა-წამოსვლა წარმოადგენდა, არამედ მისი დაუღლელი, ჭკვიანი და მუდამ ხალისიანი მეუღლის წყალობა გახლდათ. ქალაქისა და მისი შემოგარენის თურქი ქალები მის ცოლს ეკითხებოდნენ რჩევას და მის სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა.

ეს ოჯახი ქალაქის ერთ-ერთ გამოჩენილ და პატივსაცემ ოჯახად ითვლებოდა, მაგრამ უკვე ხანშიშესულ ცოლ-ქმარს უშვილობა ანაღვლიანებდათ. იმედი დიდხანს არ დაუკარგავთ. ქააბაშიც კი იყვნენ, ცოლმა გულუხვი წყალობით აავსო ობლები, წლები მიდიოდა. ყველაფერში ხელი ემართებოდათ, ყველაფერს ახერხებდნენ, მაგრამ ყველაზე მთავარ ღვთის წყალობას ვერ იქნა და ვერ ეღირსნენ. ჰაჯი ომერიცა და მისი ჭკვიანი ცოლიც ძნელად ასატანი მოთმინებით უძლებდნენ ვარამს, მაგრამ, როცა ქალი ორმოცდამეხუთეში გადადგა, შვილის ყოლის იმედი გადაიწყვიტა.

ჰაჯი ომერს დიდი მემკვიდრეობა რჩებოდა. ეს ამბავი არა მარტო ჰაჯი ომერს, მის ცოლსა და მათ ურიცხვ ნათესავებს, თითქმის მთელ ქალაქს აღელვებდა. ზოგს სურდა, უშვილძიროდ გადაშენებულიყვნენ, ზოგს აუნაზღაურებელ დანაკარგად მიაჩნდა ასეთი ღირსეული კაცის უმემკვიდრეოდ გადასვლა. მის ქონებას ნათესავები დაინაწილებდნენ,

წაიღ-წამოიღებდნენ, ამიტომაც არწმუნებდნენ, ვიდრე გვიან არ არის სხვა, უფრო ახალგაზრდა ქალი შეირთეო. ამის თაობაზე ქალაქელი თურქები ორ ბანაკად გაიყო. ბოლოს ეს საკითხი თვითონ ჰაჯი ომერის უშვილო მეუღლემ გადაწყვიტა. ისევე გულახდილად და გადაჭრით, როგორც იცოდა ხოლმე, თავის ყოყმანა ქმარს უთხრა:

— ყოველგვარი სიკეთე მოგვმადლა ღმერთმა, ვენაცვალე იმის მადლსა და სახელს! სიმდიდრეცა გვაქვს, სიტკბოებაცა და ჯანიც, მაგრამ ის არ გვიწყალობა, რაც ყველაზე ღატაკსაც კი უბოძა, არ მოგვანიჭა იმის ბედნიერება, შვილი მოგვცემოდა, გვცოდნოდა, ვის დარჩებოდა სიკვდილის შემდეგ ჩვენი სიმდიდრე. ასეთია ჩემი მწარე ხვედრი. მაგრამ, თუ ღვთის ნებით, მე ასეთი ბედი მიწერია, შენც ასეთივე ხვედრი რად უნდა გაიზიარო. ვხედავ, ჩვენს გამო მთელი ქალაქი შეწუხებულია, ამხედრებულან, ცოლი შეირთო, რაკი ყველას ასე სწადია. მე თვითონვე დაგაქორწინებ, რადგან ჩემზე უკეთესი მეგობარი შენ არ გყავს. ქალმა ქმარს თავისი გეგმები გადაუშალა — ჩვენ, ბავშვის შეძენის იმედი გადაგვეწურა. სახლში უნდა შემოვიდეს მეორე, ახალგაზრდა ქალი, რომელიც მემკვიდრეს გაჩუქებს. კანონით გაქვს ამის უფლება. თვითონ მე, რა თქმა უნდა, სახლში დავრჩები, როგორც „ძველი ქალბატონი“ და თვალყურს ვადევნებ, რათა ყველაფერი ნესრიგზე იყოს.

დიდხანს უარობდა ჰაჯი ომერი, უმტკიცებდა, შენს მეტი მეგობარი არა მჭირდება, არა მწადია ახალგაზრდა ცოლის მოყვანაო, მაგრამ ჰაჯი ომერის მეუღლე თავისაზე იდგა. გაანდო კიდეც, თუ როგორი ქალი აურჩია საცოლედ. რახან მემკვიდრის გულისთვის ირთავ ცოლს, უმჯობესია, ახალგაზრდა, ლამაზი და ჯანმრთელი ობოლი ქალიშვილი პაშა შეირთო. ჯანსაღ შთამომავლობას გაჩუქებს და მთელი სიცოცხლე თავისი იღბლის მადლიერი იქნება. მართლაც, არჩევანი დუშჩელი მქარგველის ქალიშვილზე, მშვენიერ პაშაზე შეჩერდა.

ასე მოხდა მოსახდენი. პირველი ცოლის ნებითა და დახმარებით ჰაჯი ომერი მშვენიერ პაშაზე დაქორწინდა. თერთმეტი თვის შემდეგ პაშამ ლამაზი ბიჭუნა აჩუქა. ასე გადაწყდა ჰაჯი ომერის მემკვიდრეობის საკითხი, გაქრა მრავალრიცხოვანი ნათესავების იმედები, ბოლო მოეღო ბაზარში გაუთავებელ ლაპარაკს. პაშაც ბედნიერი იყო და „ძველი ქალბატონიც“. ორივენი ჰაჯი ომერის სახლში როგორც დედა-შვილი ისე ცხოვრობდნენ.

ჰაჯი ომერის მემკვიდრის გაჩენა, ასეთი ბედნიერი დასასრული, ჩორკანის უდიდესი ტანჯვა-წამების დასაწყისი იყო. იმ ზამთარს

ზარიას სამიკიტნოს უქნარა სტუმრების გასართობი პაშას გათხოვებით დამგლოვიარებული ჩორკანი იყო. უბედური შეყვარებული ისე სვამდა, როგორც არასდროს უსვამს. ვაჭრები სუფრასთან ეპატიჟებოდნენ ჩორკანს. ყველას შეეძლო. საკუთარი ფულის საფასურად გულიანად ეხარხარა. ლაზღანდარები ვითომდა პაშას დანაბარებს გადასცემდნენ, არწმუნებდნენ, დღე და ღამე შენზე ტირის, შენი დარდით ხმება, მაგრამ არავის უმჟღავნებს მწუხარების ნამდვილ მიზეზსო. ჩორკანი კი სისულელეს სისულელეზე სჩადიოდა, მღეროდა, ტიროდა, დაბეჯითებით მსჯელობდა თავის სიყვარულზე, ბედს ემდუროდა, ასეთი ულამაზო და უქონელი რომ გააჩინა.

— გვითხარი, ჩორკან, რამდენით ახალგაზრდა ხარ იმ ჰაჯი ომერზე? — წამოიწყებდა ვიღაც განგებ.

— აბა, რა ვიცი? მერედა რა ბედენაა, რომ ახალგაზრდა ვარ? — გულისტკივილით პასუხობდა ჩორკანი.

— ეჰ, აბა, იმ ბებრუხანას არა ჰქონდეს იმდენი ქონება, მაშინ ჩვენი ჩორკანი ამ კუთხეში აღარ ეყუნტებოდა, — ლაპარკში ერეოდა მეორე მოსაუბრეც.

ჩორკანს ცოტა ჰყოფნიდა, რომ გრძნობები მორეოდა და გული ასჩუყებოდა. რომით ჭიქას ჭიქაზე უვსებდნენ და არწმუნებდნენ. — შენ უფრო ახალგაზრდა და ლამაზი ხარ, პაშას შენ უფრო მოსწონხარ, ვიდრე ომერი, თანაც არცთუ ისეთი ღარიბი ხარ, როგორც ზოგიერთებსა ჰგონია და ეჩვენება. არყის სმაში გატარებულ გრძელ ღამეებში ზარიას სამიკიტნოს უსაქმურმა მუშტრებმა ლეგენდაც კი შეთხზეს, თითქოს ჩორკანის მამამ (იმ გამვლელმა თურქმა ოფიცერმა, ჩორკანს რომ არასდროს ენახა) ერთადერთ მემკვიდრეს — ვიშეგრადელ უკანონო შვილს, ანატოლიაში დიდი მამული დაუტოვა, მაგრამ რომელიღაც ნათესავმა მუხანათურად აუარა გვერდი მამის ანდერძს; ახლა ისღაა საჭირო, ჩორკანი გამოჩნდეს შორეულ, დიდ ქალაქ ბრუსაში*, გამოააშკარავოს ცრუ მემკვიდრეთა თვალთმაქცური ხრიკები და დაეუფლოს თავის კუთვნილს. მაშინ თავისი სიმდიდრის სულ მცირე ნაწილიც კი იყიდის თვით ჰაჯი ომერს თავის ქონებიანად.

ჩორკანი უსმენდა და სვამდა, პასუხად მხოლოდ ოხრავდა. მართალია, ამის გაგონება სტანჯავდა, მაგრამ კიდეც მოსწონდა, რომ აქ, ამ ქალაქში და სადღაც შორს, მისი უცნობი მამის ულამაზეს ქვეყანაშიც, მოტყუებულ და გაძარცულ კაცად თვლიდნენ. ოხუნჯებს თავი

* ბრუსა — აზიური თურქეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქი.

ისე ეჭირათ, თითქოს ჩორკანს შორეულ ბრუსაში გასამგზავრებლად ამზადებდნენ. ეს უმოწყალო მასხრობა თავიდან ბოლომდე ანონილ-დანონილი და წინასწარ გააზრებული იყო. ერთ საღამოს „პასპორტიც“ კი მოუტანეს სამოგზაუროდ. ჩორკანი სამიკიტნოს შუა დარბაზში გამოიყვანეს და ციბრუტივით ატრიალებდნენ, ყოველი მხრიდან ათვალიერებდნენ, ბრიყვულად ხუმრობდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. „პასპორტში“ ჩორკანის განსაკუთრებულ ნიშნებს წერდნენ. ერთხელ ვითომ ისიც კი იანგარიშეს, რამდენი დასჭირდებოდა ბრუსამდე ჩასვლას, მსჯელობდნენ, როგორ გაემგზავრებოდა ჩორკანი, სად გაათევდა ღამეს. თითქოს ნახევარი ღამე ასე იქცევდნენ თავს. ფხიზელი ჩორკანი, თავს იცავდა: ნათქვამისა კიდეც სჯეროდა და კიდეც არა. უფრო კი ეჭვი ეპარებოდა, ვიდრე სჯეროდა. უკეთ რომ ვთქვათ, ფხიზელი როცა იყო, არაფერს იჯერებდა. მაგრამ, როგორც კი ღვინო მოეკიდებოდა, თითქოს ყველას ენდობოდა, მთვრალი ჩორკანი ტყუილ-მართალს ვეღარ არჩევდა. როგორც კი რომის მეორე ბოთლს გაუხსნიდნენ, ჩორკანს შორეული და მიუწვდომელი, ღამეული სიოს კეთილსურნელება დაქროლავდა ხოლმე და თვალნათლივ ხედავდა მწვანედ აბიბინებულ ბაღებსა და თეთრად მოქათქათე სახლებს. რასაკვირველია, ყველაფერში მოტყუებულია, დაბადების დღიდან ოჯახშიც, საქმეშიც, უბედურია სიყვარულშიც. ცუდად მოექცა ღმერთიცა და კაციც, მის წინაშე ყველა ვალშია. განა მართლა ისეთია, როგორიც ჰგონიათ და ეჩვენებათ? ყოველი ჭიქა რომის გადახუხვის შემდეგ დაუოკებელი სურვილი ეძალებოდა, ეს სიმართლე ყველასთვის დაემტკიცებინა. თუმცაღა გრძნობდა, რა ძნელი იყო ამის გაკეთება. მისთვის ასე ნათელი და უტყუარი ჭეშმარიტება სხვათათვის მიუწვდომელი რჩებოდა. როგორც კი ჭიქა რომს გადაკრავდა, მაშინვე მოჰყვებოდა ახსნა-განმარტებას, მთელი ღამე ენის ბორძიკით უხსნიდა ყველას, იმეორებდა ერთსა და იმავეს, ლაპარაკის დროს სახე ავადმყოფურად ემანჭებოდა და ლოთის ცრემლებად იღვრებოდა. რაც უფრო მეტი სიფიცხით ამტკიცებდა, მით უფრო ბევრს იცინოდნენ და ქილიკობდნენ. დიდხანს გულიანად ხარხარებდნენ, სიცილისაგან მუცლები ხელით ეჭირათ, ღანვები სტკიოდათ. საჭმელ-სასმელსა და ღვინის სმაზე მეტად ამით იქცევდნენ თავს. სიცილ-ხარხარში ზამთარის გრძელი ღამის მოწყენილობაც ავიწყდებოდათ და ჩორკანთან ერთად თვითონაც უღმერთოდ იბრუჟებოდნენ.

— ადექი და თავი მოიკალი! — ურჩია მექ-აღა სარაჩმა, — თავისი გულგრილობითა და სიდინჯით ამ კაცს ყველაზე მეტად გამოჰყავდა

ჩორკანი მოთმინებიდან, — რახან ვერ შეძელი იმ მოფამფალებული ჰაჯი ომერისათვის პაშას წართმევა, რაღად გინდა სიცოცხლე, გირჩევ, თავი მოიკლა!

— ჰო, „თავი მოიკალი, მოკვდი!“ — ყვირის ჩორკანი — როგორ გგონია, განა მე არ მიფიქრია ამაზე? ასჯერ ავსულვარ ხიდზე დრინაში გადასავარდნად და ასჯერ რაღაცა მაჩერებს.

— მაინც რა გაჩერებს? შიში!

— არა, შიში არა, ღმერთმანი, არა!

ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი, ჩორკანი წამოხტა, მაგიდიდან პურის ნაჭერი აიღო და გულში მჯიღის ცემით გულგრილ მექ-აღას სახესთან მიუტანა.

— აი, ხედავ, ამ პურის მადლსა ვფიცავ, ეს შიში კი არაა... — უეცრად ვიღაცამ მოულოდნელად და ნკრიალა ხმით წამოიწყო.

... მზის შუქი აღარ გელაციცება.

ყველანი ბანს აძლევენ და მექ-აღას სიტყვებს სიმღერა ფარავს.

თა-ვი მოი-კა-ლი! — უყვირის ჩორკანს.

სიმღერამ ყველას თავბრუ დაახვია და გაუბედურებელი ჩორკანივით გონება დაკარგეს. ბოლოს ღვინის სმა თავაწყვეტილ ორგიაში გადაიზარდა.

თებერვლის ერთ ღამეს სამიკიტნოს მუდმივი გაუბედურებელი მოქეიფენი ალიონს ღრეობით შეხვდნენ. ჯერ თავიანთი მსხვერპლი ამასხარავეს, მერე თავად გახდნენ საკუთარი სიგიჟის მსხვერპლნი. უკვე შერიჟრაჟებულზე კარგად შეხურებული მოქეიფენი, გული ძალუმად რომ უცემდათ და თავში ოფოფები უფრინავდათ, ქუჩაში გამოიშალნენ. მერე ხიდისაკენ გასწიეს. ყურადღებას არ აქცევდნენ კანტიკუნტად მოსიარულე ხალხს. ხორხოცებდნენ და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ. მერე შეკამათდნენ, ვინ გაბედავს ხიდის თხელ და ბრჭყვიალა ყინულით დაფარულ მოაჯირზე გავლასო.

— რა საკითხავია, ჩორკანი გაივლის, — წამოიყვირა რომელიღაც ლოთიშფოთმა.

— შეეშინდება! ჰეი, ჩორკან! სად არის ჩორკანი?

— ვის შეეშინდება, მაგას ჩემზე ამბობთ? დიახაც, მე უბედური ყველაფერს გავბედავ, რისი გაბედვაც შეუძლია ცოცხალ ადამიანს! — ყვიროდა ჩორკანი და გულში მჯიღს იცემდა.

— ვერ შეძლებ! აბა, აძვერი!

— შევძლებ, ვლახელებო!

— ჩორკანი შეძლებს, გაბედავს!

— ვერ შეძლებს! მიჰქარავს!

ასე გაჰყვიროდნენ, მთლად უგუნურად, გიჟებივით იქცეოდნენ, თუმცა თვითონ ფართო ხიდზეც ძლივს იდგნენ ფეხზე, ბარბაცებდნენ, წონასწორობას კარგავდნენ და ერთმანეთს ეყუდებოდნენ. არავის შეუმჩნევია, როგორ აძვრა ჩორკანი ქვის მოაჯირზე. მხოლოდ მაშინ დაინახეს, როცა მთვრალი მოაჯირზე წონასწორობას იცავდა, ქარისაგან ტანსაცმელი უფრიალებდა და მოლიპულ ფილებზე ისე მიდიოდა, თითქოს მოაჯირს თავზე დაფარფატებსო.

ქვის მოაჯირს, დაახლოებით, ორი ფუტი სიგანე ჰქონდა, ჩორკანი მთელი ტანით ხან ერთ მხარეზე გადაიხრებოდა, ხან მეორეზე. მარცხნივ, ზედ მის ფეხებთან ლოთბაზარები ყაყანებდნენ. უკან მისდევდნენ, რაღაცას უყვიროდნენ, მაგრამ ჩორკანამდე სუსტი, ძლივს გასაგონი ხმაურიღა აღწევდა. მარჯვნივ სიცარიელე იყო, ამ სიცარიელეში, სადღაც ქვემოთ, სიღრმეში, თვალით უხილავი დრინა ხმაურობდა, ამ სუსხიან დილით სქელი, რძისფერი ნისლი რომ ასდიოდა.

ხიდზე თითო-ოროლა გამვლელი თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა მთვრალს, ხიდის მაგივრად ვიწრო და მოლიპულ მოაჯირზე რომ მოაბიჯებდა, უძირო სივრცეზე ამაღლებულიყო და წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელებს სასოწარკვეთით იქნევდა. ცოტად თუ ბევრად ფხიზელი და ნაკლებ აღგზნებული მოქეიფენი, თითქოს უეცრად სიზმრიდან გამოერკვიენო, შემზარავ თამაშს შიშით ფერდაკარგულები შესცქეროდნენ. სხვები ვერ გრძნობდნენ მოსალოდნელ საშიშროებას. მოაჯირს მიჰყვებოდნენ, ყვირილით აქეზებდნენ ჩორკანს, რომ უფსკრულის თავზე უგუნური ფარფატი არ შეეწყვიტა.

სიკვდილის თავხედურად გამოწვევამ ჩორკანი მაშინვე გამოაცალკევა მთელი ჯგუფიდან და ახლა ვეებერთელა ფანტასტიკურ არსებასავით მათზე ამაღლდა. ჯერ ფრთხილად და ნელ-ნელა მიდიოდა, მძიმე ფეხსაცმელები უცურდებოდა თხელი ყინულით დაფარულ ფილებზე, თითქოს ფეხები თავისით ისწრაფოდნენ უფსკრულისაკენ, უძლეველი ძალით თავისკენ რომ იზიდავდა, აი, სადაც არის მოცურდება და გადავარდებაო, თითქოს გადავარდა კიდეც... მაგრამ უჩვეულო მდგომარეობა და თავგანწირვა სიცქვიტესა და ძალას მატებდა. ჩორკანი წონასწორობას კარგად იცავდა და უფრო სწრაფად ადგამდა ფეხებს, უფრო მეტად იკეცებოდა მუხლებში და იხრებოდა. თავისდა შეუმჩნევლად, სიარულის ნაცვლად ცეკვა-ცეკვით დაიწყო სიარული,

თითქოსდა, ვიწრო, ყინულით დაფარული მოაჯირი კი არა, ფართო და მწვანე მინდორიაო. ჩორკანი უცებ ისეთი მსუბუქი და მარდი გახდა, როგორც სიზმარში ხდება. მისმა ჯმუხმა და დაძაბულმა სხეულმა წონა დაკარგა. თითქოს ფრთები გამოესხაო, ისე დაფრინავდა უფსკრულის თავზე მთვრალი ჩორკანი. ცეკვას აყოლილმა იგრძნო, როგორც ეღვრებოდა სხეულში სიხარული, რწმენასა და მოქნილობას რომ მატებდა.

ცეკვა-ცეკვით ჩორკანმა ისეთ ადგილზე გაიარა, სადაც ჩვეულებრივი ნაბიჯით ვერასოდეს გაივლიდა. მთლად დაავიწყდა საშიშროება და სულაც არ ფიქრობდა ჩამოვარდნაზე. ხელები ისე გაეშალა, თითქოს საკრავზე უკრავსო, მიხტუნავდა და მღეროდა:

— რა, რა, რარა, რარა, რარა ჰე და ჰე, ჰე და ჰე.

ჩორკანი მღეროდა და ცეკვავდა; ცეკვა-ცეკვით, მტკიცედ მიაბიჯებდა სახიფათო გზაზე. თავს ხან მარცხნივ ხრიდა, ხან — მარჯვნივ.

— ტირი-რამ, ტირი-რამ, ჰეი, ჰეი!

ახლა იგი აღარ იყო სამიკიტნოს ადრინდელი ხუმარა, ბაზრის ღატაკი ჩორკანი, ფეხქვეშ ნაცნობი ხიდის მოლიპული მოაჯირი კი არ უსრიალებდა, სადაც ათასჯერ ულოღნია პურის ნატეხი და მდინარის ტალღებში ნანატრი სიკვდილის ოცნებაში იქვე, კაპიის ჩრდილში ჩასძინებია, არა, ის, როგორც იქნა, იმ შორეულ და დღემდე განუხორციელებელ გზაზე სამოგზაუროდ გაემართა, რაზეც ყოველ საღამოს უკიჟინებდნენ სამიკიტნოში. არა, ჩორკანი დაადგა დიადი გმირობის ნათელ და დიდი ხნის ნანატრ გზას. იქ, შორს, ამ გზის დასასრულს — მეფეთა ქალაქი ბრუსაა, ნამდვილი სიმდიდრე და კანონიერი მემკვიდრეობა ელის. იქ მზეც არის, ახლა რომ დასალიერში იმალება და მშვენიერი პაშაც მისი ცოლია. ხელში პატარა ბიჭუნა რომ უჭირავს.

აღტკინებულმა ჩორკანმა ცეკვა-ცეკვით შემოუარა მოაჯირის შვერილსაც, ქვის დივანს რომ ეკვრის. მერე ხიდის მეორე ნახევარიც გაიარა, სწრაფად ჩამოხტა და აღელვებულმა მოიხედა. თვითონვე გაოცდა, ვიშეგრადის მყარ და კარგად ნაცნობ, ურყევ მიწაზე რომ იდგა. გამამხნევებელი შეძახილებითა და სიცილ-ხარხარით გარს შემოეხვივნენ მოქეიფენი, მერე იმათაც მოირბინეს, ჩორკანის ქცევით გაოგნებულები შიშისაგან გაქვავებულნი რომ იდგნენ. ჩორკანს ეხვეოდნენ, ბეჭებზე გახუნებულ ფესკაზე ხელებს უტყაპუნებდნენ და ერთხმად გაჰყვიროდნენ:

— ვაშა, ჩორკან, შევარდენო!

— ვაშა, გმირთა-გმირო!

— რომი ჩორკანს! — ხრინწიანი ხმით წამოიძახა სანტო პაპომ, — თავი რომ სამიკიტნოში ეგონა და ისე ფართოდ გაშალა ხელები, თითქოს, ჯვარს უნდა აცვანო.

ყიჟინასა და ყაყანში ვიღაცამ ისიც კი თქვა, მოდით, სახლებში ნუ წავალთ, ჩორკანის გმირობის სადიდებლად ქეიფი გავაგრძელოთო. იმ დილით სკოლისკენ მიმავალი რვა-ცხრა წლის ბავშვები, გაყინულ ხიდს რომ გადადიოდნენ, ამ არაჩვეულებრივ სანახაობას გაეკვირვებინა და პირი დაეღოთ. ყურებამდე შეფუთულ პატარებს წიგნები და რვეულები იღლიებში რომ ამოეჩარათ, ვერ მიმხვდარიყვნენ, რითი ერთობოდნენ უფროსები. მაგრამ მშობლიურ ხიდთან ერთად მეხსიერებაში საბოლოოდ ჩაებეჭდათ კარგად ნაცნობი ჩორკანის სხეული, რაღაც სასწაულით მსუბუქ და ძლიერ ადამიანად რომ გარდაქმნილიყო; სამუდამოდ დაამახსოვრდათ, რომ იქ, სადაც აკრძალული იყო სიარული და არც არავინ დადიოდა, რა გამბედაობითა და სიხარულით აცეკვებდა ჩორკანს რაღაც ჯადოსნური ძალა.

თავი მეთექვსმეტე

ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ყვითლად შეღებილმა ავსტრიულმა სამხედრო საზიდრებმა ხიდზე გადიგრიხინეს. ოკუპაციის ორი ათწლეული დღეებისა და თვეების საკმაოდ გრძელი რიგია. თითოეული ასეთი დღე და თვე, თითქოს წუთიერი მოლანდებაა, მაგრამ ყველა ერთად აღებული შედარებით ხანგრძლივი ხანაა იმ კეთილდღეობისა და სიმშვიდისა, რაც კი ამ ქალაქს ახსოვს: მან მოიცვა იმ თაობის ცხოვრების დიდი ნაწილი, უცხოელთა ბატონობის დაწყებისას სიჭაბუკეში რომ შედიოდა.

ეს იყო მოჩვენებითი კეთილდღეობისა და უზრუნველობის ხანა, თუმცა არცთუ ისე დიდი ხელფასები ჰქონდათ. ეს ის წლები იყო, როცა დედები შვილებზე ამბობდნენ, იცოცხლოს და იდღეგრძელოს და ღმერთმა ლუკმაპურის იმედი ნუ მოუშალოსო; როცა ქუჩებში ლიფლიფების ამნთები აყლაყუდა და ღარიბ-ღატაკი ფერხათის ცოლიც კი, ვისი ქმარიც თვეში 20 ფორინტს იღებდა, ამაყად ამბობდა: მადლობა ღმერთს, ჩემი ფერხათიც მუდმივი ხელფასის პატრონიაო. ასე და ამგვარად, ყოველგვარი მღელვარებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების გარეშე მიედინებოდა XIX საუკუნის უკანასკნელი წლები, ისევე, როგორც ფართო მდინარე მდოვრედ მიედინება, ვიდრე შესართავს შეეყრებოდეს. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, ევროპის ხალხთა ცხოვრებაში, ისევე, როგორც თვით მდინარისპირა ქალაქის ცხოვრებაში, არავითარი გულის გასახეთქი ამბები არ ხდებაო და თუ დროდადრო ასეთი მოვლენები მსოფლიოს რომელიმე ნაწილში იჩენდა თავს, ეს ხმები ძალზე ბუნდოვანი და ნაკლებად დასაჯერებელი იყო და საერთოდ, აქამდე არც აღწევდა.

მაგრამ აი, ზაფხულის ერთ დღეს, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, კაპიაზე ისევ გამოაკრეს ოფიციალური ცნობა, ამჯერად მოკლედ დაწერილი და სქელ სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმული. ცნობა იტყობინებოდა მისი უდიდებულესობის იმპერატორის მეუღლის, ელისაბედის ჟენევაში დაღუპვის ამბავს, იტალიელი ანარქისტის ლუკენის ვერაგული თავდასხმის მსხვერპლი რომ გამხდარიყო. იქვე გამოთქვამდნენ აღშფოთებასა და ავსტრია-უნგრეთის უდიდესი მონარქიის ყველა ხალხის ღრმა სამძიმარს დიდი დანაკარგის გამო; ყველა ერთგულ ქვეშევრდომს მოუწოდებდნენ, უფრო შემჭიდროებულიყვნენ ტახტის გარშემო, რათა ნუგეში ეცათ მონარქისათვის, ასე სასტიკად რომ დაჩაგრა ბედმა.

ისევე, როგორც ერთ დროს, გენერალ ფილიპოვიჩის მონოდება ამ ქვეყნის დაპყრობის შესახებ, ეს პლაკატიც იმ თეთრი დაფის ქვეშ იყო მიწებებული, სადაც ლექსი ეწერა. ხალხს აღელვებდა პლაკატი, რადგან იგი იმპერატორის მეუღლის, ქალის მკვლელობას იუწყებოდა. თუმცა კითხულობდნენ ისე, რომ კარგად არც ესმოდათ მომხდარი ამბის შინაარსი.

ხელისუფლებამ რამდენიმე დღით აკრძალა კაპიაზე სიმღერა, ცეკვა-თამაში და მხიარულება.

ამ ამბავმა ქალაქში ყველაზე მეტად მხოლოდ ერთი კაცი შეაწუხა. ეს იყო ვიშეგრადში მცხოვრები ერთადერთი იტალიელი პიეტრო სოლა, — მოიჯარეცა და მშენებელიც, ქვის მთლელიცა და მხატვარიც, მოკლედ რომ ვთქვათ, ოქროს ხელის პატრონი. ოსტატი პერო, როგორც ქალაქში ეძახდნენ, ჯერ კიდევ ამ ქვეყნის დაპყრობის პირველ წელს ჩამოვიდა. ცოლად შეირთო ვინმე სტანა. ობოლი გოგო, არცთუ მაინცდამაინც კარგი ქალის სახელის პატრონი. ნითური, ჯანიანი სტანა ოსტატ პეროზე თითქმის ორჯერ უფრო მაღალი იყო; ამბობდნენ, მწარე ენა და მაგარი ხელი აქვსო. ერთი სიტყვით, ისეთი ქალი იყო, მისგან შორს ყოფნა რომ ჯობდა. კეთილ, ტანდაბალ, წელში მოხრილ პეროს, ცისფერი, თვინიერი თვალები და ჩამოფხატული ულვაშები ჰქონდა. კარგი ოსტატი იყო და შემოსავალსაც არ უჩიოდა. თანდათანობით ნამდვილ ვიშეგრადელად იქცა, ოღონდ ლოტიკასავით გაუჭირდა, ლაპარაკსა და იქაურ კილოს ვერაფრის დიდებით ვერ დაეუფლა. ოქროს მარჯვენისა და კარგი ხასიათის წყალობით, ქალაქში ყველას უყვარდა. ღონიერი, ძლიერი ცოლი კი მკაცრად ექცეოდა, აი ისე, როგორც დედა შვილს ექცევა ხოლმე.

სამუშაოდან მომავალმა, ქვის მტვერში ამოგანგლულმა და საღებავებით მოთხვრილმა ოსტატმა პერომ მიმართვა რომ წაიკითხა, თვალებზე შლაპა ჩამოიფხატა და მუდამ პირში გაჩრილ ჩიბუხს კბილები ნერვულად მოუჭირა. სადმე წარჩინებული ვიშეგრადელი რომ შეხვდებოდა, თავგამოდებით უმტკიცებდა, მართალია, მეც იტალიელი ვარ, მაგრამ არაფერი მაქვს საერთო ლუკენისთან და მის საზიზღარ დანაშაულთანო. ხალხი უსმენდა და აწყნარებდა. ეუბნებოდნენ: გვჯერა, ნამდვილად გვჯერა, საერთოდ არც არასოდეს გვიფიქრია შენზე ცუდიო. იგი მაინც ყველას უხსნიდა, ამის შემდეგ ჩემთვის სიცოცხლე სამარცხვინოა, ჩემს დღეში წიწილა რა არის, წიწილაც კი არ დამიკლავს, მით უმეტეს, ადამიანზე და თანაც ასეთი მაღალი წარმოშობის ქალზე ხელს როგორ

ავიღებდიო. ბოლოს და ბოლოს წუხილი ნამდვილ ავადმყოფობად ექცა. ქალაქელები დასცინოდნენ პეროს ასეთ სიცხარეს, მღელვარებასა და გაჭიანურებულ თავის მართლებას, ანარქისტებთან და მკვლელებთან არავითარი კავშირი არ მაქვსო. ქალაქელმა ბავშვებმა კი მაშინვე იპოვეს ულმობელი გასართობი, ღობის უკან ჩაიყუნცებოდნენ და ოსტატ პეროს მისძახოდნენ: — „ლუკენი! ლუკენი!“ საბრალო ამ შეძახილებს ისე გაურბოდა, როგორც კრაზანების გუნდს, თვალებზე შლაპას ჩამოიწევდა და სახლისაკენ მიიჩქაროდა, რათა მეუღლისათვის შეეჩივლა და მის ფართო მკერდზე წაეტირა კიდეც — მრცხვენია, ძალზე მრცხვენია, — ტიროდა პატარა კაცუნა, — ხალხისთვის თვალებში ვერ შემიხედავს.

— შე, სულელო, რისი გრცხვენია, იმის, რომ ვიღაც იტალიელმა იმპერატორის მეუღლე მოკლა?! დაე, იტალიელ მეფესა რცხვენოდეს! შენ კი ვინა ხარ, რისი გრცხვენია?

— მრცხვენია, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, — ჩიოდა ოსტატი პერო. ცოლი კი ამხნევებდა, ცდილობდა სიმტკიცე და ძალა შთაენერგა, ასწავლიდა, ბაზარზე გავლისას არაფრისა არ უნდა შეგრცხვეს, თავაზიანულმა უნდა გაიაროო და თვალი არავის წინაშე არ უნდა დახაროო.

კაპიაზე ჩამომსხდარი მოხუცები იმ დღეებში თავდახრილები გაყინული სახით უსმენდნენ გაზეთებში გამოქვეყნებულ ავსტრიელი დედოფლის მკვლელობის დაწვრილებით ცნობებს. ეს ცნობები მხოლოდ იმის საბაბი გახდა, რათა გვირგვინოსნებისა და დიდი ადამიანების ბედზე ჩამოეგდოთ ლაპარაკი. ცნობისმოყვარე, მაგრამ ზერელე ცოდნის მქონე ადამიანებში ჩამდგარი მუდერისი ჰუსეინ ეფენდი უხსნიდა თუ ვინ იყვნენ ანარქისტები.

მუდერისს თავი კვლავ ძველებურად, ზვიადად ეჭირა, ისევ ისეთივე წესრიგის მოყვარული და გამოკოხტავებული იყო, როგორც ოცი წლის წინათ, როცა ამავე კაპიაზე იბრაჰიმ მოლასა და მამაო ნიკოლასთან ერთად შვაბების შემოსვლას ელოდა. ისინი დიდი ხანია თავიანთ წილხვდომილ სასაფლაოებზე განისვენებენ. ჰუსეინ ეფენდის წვერი გასჭაღარავებოდა, მაგრამ ისევ ძველებურად საგულდაგულოდ შეეკრიჭა; მშვიდი სახე არცთუ ისე დანაოჭებული ჰქონდა, გამჭრიახი და გულმაგარი ადამიანები ხომ გვიან ბერდებიან. ამ ოცი წლის მანძილზე საკუთარ თავზე უფრო მეტი წარმოდგენისა გამხდარიყო. სხვათა შორის, წიგნებით გატენილი სკივრი, რამაც მუდერისს მეცნიერის სახელი გაუთქვა, დიდი ხანია აღარც გაუხსნია და ქალაქის ქრონიკასაც ამ ხანში

მხოლოდ ოთხი გვერდი მიუმატა, რადგან განსწავლული კაცი, რაც ხანში შედიოდა, მით მეტად იფასებდა როგორც საკუთარ თავს, ისე თავის ქრონიკას. ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ამბებს, რაც მის გარშემო ხდებოდა. ახლა კი, თითქოს გაურკვეველ ხელთნაწერს კითხულობსო, ისე ნელა და დაბალ ხმაზე, მაგრამ ღირსეულად, საზეიმოდ მკაცრი კილოთი ლაპარაკობდა. საგანგებოდ არა ჩერდებოდა უცხოელი დედოფლის ბედზე და ამ შემთხვევას არ უკავშირებდა საკუთარი მსჯელობის ძირითად აზრს, რომლის მიხედვითაც (სიმართლე რომ ითქვას, არც ეს აზრი ეკუთვნოდა მას, მუდერისმა იგი ყოფილი მასწავლებლის, ცნობილი არაბ-ხოჯასაგან მემკვიდრეობით მიღებული წიგნებიდან ამოიკითხა), ვისაც ახლა ანარქისტებს ეძახდნენ, დასაბამიდანვე არსებობდნენ და მანამდე იარსებებდნენ, ვიდრე დედამიწაზე ადამიანები იბოგინებდნენ. ასეთია კაცის ცხოვრება. თვით ერთმა ღმერთმა ისურვა, რომ თითოეულ დრაჰმა სიკეთეზე, ორი დრაჰმა ბოროტება მოდიოდეს. დედამიწაზე სიკეთე ბოროტების გარეშე და დიდება შურის გარეშე არ არსებობს, ისევე როგორც პატარა ნივთიც კი არ არსებობს უჩრდილოდ. ეს უმთავრესად ყველაზე ღვთისმოსავ და სახელოვან ადამიანს ეხება, თითოეული მათგანის დიდებასთან ერთად იზრდება მათი მკვლელიც, ვინც დროს უცდის, რათა ადრე თუ გვიან განზრახული ბოროტება აღასრულოს.

— აი, თუნდაც ჩვენი თანამემამულე მეჰმედ-ფაშა, ვინც დიდი ხანია სამოთხეში დაიმკვიდრა სასუფეველი, — თქვა მუდერისმა და პლაკატის ზემოთ, მარმარილოს დაფაზე მიათითა, — სამ სულთანს ემსახურა, იოსებზე ბრძენი იყო, თავისი ძლიერებითა და ღვთისმოსაობით ეს ხიდი აგვიშენა, სადაც ახლა ვსხედვართ. მაგრამ თვითონაც დანამ იმსხვერპლა, ძლიერებისა და სიბრძნის მიუხედავად, მანაც ვერ შეძლო საბედისწერო წუთების თავიდან აცილება. დიდი ვეზირის ზრახვების აღსრულებას ხელს უშლიდა ძლიერი და დიდი პარტია. ამ პარტიამ შეძლო სულელი დერვიშის შეიარაღება და მოსაკლავად მიგზავნა, როცა ვეზირი მეჩეთში სალოცავად შედიოდა. დაძონძილ მკვლელს ხელში კრიალოსანი ეჭირა, როცა გზა გადაუჭრა ვეზირის ამალას, თავი საცოდავ მათხოვრად მოაჩვენა და სამოწყალოდ ხელი გაუშვირა. ვეზირმა ფულის ამოსაღებად ხელი ჯიბეში ჩაიყო, დერვიშმა კი სწორედ მაშინ ჩასცა დანა. ასე დაიღუპა სარწმუნოებისათვის წამებული მეჰმედ-ფაშა.

სმენადქცეული ხალხი, თამბაქოს ბოლს ხელით ანიავებდა და ხან ნარნერიან დაფას მისჩერებოდა, ხანაც შავ ჩარჩოში ჩასმულ პლაკატს. ყურადღებით უსმენდა, თუმცა მუდერისის მსჯელობის არსი და ცალკეული სიტყვები ყველას არ ესმოდა, მაგრამ თამბაქოს კვამლს იქით, ნარნერისა და პლაკატის მიღმა, შორეულ უცხო სამყაროში სულ სხვანაირი, აღზევებისა და მწარე დამარცხებებით აღსავსე ცხოვრებას ხედავდა, სადაც დიადი, ტრაგიკულთან იყო წილნაყარი. ხედავდნენ ცხოვრებას, რომელიც რაღაცნაირად აწონასწორებდა კაპიაზე მათ წყნარსა და ერთფეროვან არსებობას.

ამ დღეებმაც ჩაიარა. ხიდსა და კაპიაზე ისევ გამეფდა ძველებული საუბარი, ოხუნჯობა და სიმღერები. ანარქისტებზე ლაპარაკი შეწყდა. აქაური ხალხისათვის თითქმის უცნობი დედოფლის გარდაცვალების მაუწყებელი ცნობა მზემ, წვიმამ და მტვერმა ჩამორეცხა. ბოლოს ქარმა ჩამოგლიჯა და ნაგლეჯები წყალში და მდინარის ნაპირებზე მიმოფანტა.

ოსტატ პეროს ანცი ბიჭბუჭები ერთხანს კიდევ მისძახოდნენ „ლუკენი" „ლუკენი!" თუმცა არც იცოდნენ, რატომ იქცეოდნენ ასე და რას ნიშნავდა ეს სიტყვა. — ეს ისე, უბრალოდ ბავშვური სიცელქით მოსდიოდათ, რომ სუსტი და მგრძნობიარე არსებანი გაებრაზებინათ და გაეწვალებინათ. იყვირეს, იყვირეს და გაჩერდნენ, რადგან სხვა გასართობი იშოვეს. ბიჭების ჩამოშორებაზე თვითონ სტანამაც იმოქმედა, ორი ყველაზე უფრო მყვირალა ბიჭი მაგრად მიბერტყა.

ორიოდე თვით შემდეგ აღარავინ ახსენებდა არც დედოფლის სიკვდილის ამბავს და აღარც ანარქისტებს. საუკუნის დასასრულს ცხოვრება ყოველმხრივ დაწყნარებულსა და სამუდამოდ მოთვინიერებულსა ჰგავდა, მდორე და ერთფეროვანი დინებით რომ ყველა მიაძინა და ადამიანებში ისეთი შეგნება გამოიწვია, თითქოს მომავლის იმედებში ჩაკარგული მშვიდობიანი შრომის საუკუნე ელოდებოდათ.

უცხოური მმართველობის მუდმივმა და მოულალავმა საქმიანობამ ასეთ სიძნელეთა გადალახვის შედეგად ძლივს მიაღწია ქალაქელთა აღიარებას, თუმცაღა ქალაქელები ამ მმართველობისაგან დიდად იყვნენ დავალებული, კარგი ხელფასისა და კეთილდღეობის გამო, ოც წელიწადში ქალაქმაც იცვალა იერი და ქალაქელებმაც შეიცვალეს ჩვევები. თავისთავად ცხადია, ეს ყველაფერი ვერ ახდენდა გავლენას უძველეს ხიდზე, რომელმაც თავისი ადრინდელი სახე მთლიანად შეინარჩუნა.

დადგა 1900 წელი. დამთავრდა ძველი, ბედნიერი ასწლეული და ახალი საუკუნე დაიწყო. ბევრი ელოდა, რომ ეს საუკუნე მის წინამორბედზე უფრო ბედნიერი გამოდგებოდა. საუკუნის პირველ წელსვე ახალი ინჟინრები მოვიდნენ და ხიდის შემოწმება დაიწყეს. ხალხი მიეჩვია ინჟინრებს, ის კი არა, ბავშვებმაც კი იცოდნენ, ტყავისპალტოიანი ადამიანები, გარეთა ჯიბე ფერადი ფანქრებით რომ ჰქონდათ გამოტენილი, სანაპიროზე რომელიმე შენობის ახლოს ფუსფუსს დაიწყებდნენ, ეს უშედეგოდ არ ჩაივლიდა. აუცილებლად რაღაცას დაანგრევდნენ, ააშენებდნენ, ამოთხრიდნენ ან გადააკეთებდნენ. მაგრამ ვერავინ მიმხვდარიყო დედამიწასა და ცასავით მარადიული და უცვლელი ხიდისათვის რა შეიძლებოდა ექნათ. ინჟინრებმა ირგვლივ შემოუარეს, გადაზომეს, ჩანაწერები გააკეთეს და წავიდნენ. მერე ინჟინრები ყველას დაავიწყდა, მაგრამ შუაგულ ზაფხულში, როცა წყლის დონემ ძალიან დაიწია, უეცრად გამოჩნდნენ მუშები და მოიჯარეები და ხიდის გვერდზე ხელსაწყოების შესანახი დროებითი სათავსების აშენება დაიწყეს. ის იყო ხმა გავარდა, ხიდის შეკეთებას აპირებენო, რომ ბურჯები ხარაჩოებში ჩასვეს. ხიდზე კი ამწე ონინარები და ჭოჭონაქები დადგეს. მუშები ონინარებზე დაკიდებულ ხის ვიწრო ყუთის მაგვარ ფიცარნაგებში ისხდნენ და ადიოდ-ჩამოდიოდნენ. ბურჯებს უტრიალებდნენ, სადაც ნაპრალები იყო ან ქვებშუა დარჩენილ ნაპრალებში ბალახი იზრდებოდა.

ყველა ხვრელი ამოავსეს, ბალახი ამოგლიჯეს, ფრინველთა ბუდეები მოშალეს. როცა ყველაფერს მორჩნენ, წყლისაგან გამოჭმული ხიდის საძირკვლის შეკეთება დაიწყეს. მდინარე შეაგუბეს, გვერდზე გადააგდეს, ასე რომ, გამოჩნდა ჩაშავებული და მილესილი ქვები, გამოჭმული თუ წყალში გაქვავებული მუხის ძელები, აქ სამას ოცდაათი წელი რომ გაძლეს. დაუღალავი ონინარებით ზედიზედ ამოჰქონდათ კირი და ხრეში. სამი შუათანა ბურჯი, სწრაფი დინებისაგან სხვებზე უფრო რომ დაზიანებულიყო, საძირკვლიდანვე ხსნარით გაამაგრეს.

ამ ზაფხულს კაპიაზე აღარავინ მჯდარა, ხიდის სიახლოვეს ცხოვრების ჩვეულებრივი განრიგიც დაირღვა. ირგვლივ ყველაფერი საზიდრებით იყო ჩახინცული, რითაც ქვიშასა და კირს ეზიდებოდნენ. ისმოდა მუშებისა და ათისთავების ყვირილი. თვითონ კაპიაზე ხის საწყობი დადგეს. ქალაქელები ხიდზე გაჩაღებულ მუშაობას გაკვირვებული და შეცბუნებულები უცქერდნენ. ზოგი ოხუნჯობდა, ზოგი ხელის ქნევით გზას აგრძელებდა, მაგრამ ყველას ეჩვენებოდა, რომ უცხოელებმა, როგორც სხვა ყველაფერი, ხიდის შეკეთებაც იმიტომ წამოიწყეს, რომ

მიჩვეულნი იყვნენ ერთთავად რაღაცის კეთებას. უამისოდ ცხოვრება არ შეეძლოთ. ასეთი იყო საერთო აზრი, თუმცა ხმამაღლა არაფერს ამბობდნენ. კაპიაზე დროსტარებას მიჩვეული ხალხი ახლა ლოტიკას სასტუმროსა თუ ზარის სამიკიტნოს წინ ან ხიდის ახლოს დუქნებთან იყვნენ ჩამომსხდარნი. ყავას სვამდნენ, საუბრობდნენ და ხიდზე იერიშის დამთავრებასა და კაპიის გათავისუფლებას ისე ნატრობდნენ, როგორც კოკისპირული წვიმის გადაღებასა და გამოდარებას.

ქვითკირის სასტუმროსა და ზარიას სამიკიტნოს შუა გამომწყვდეულ ალი-ხოჯას დუქანთან დილიდანვე იჯდა ბაზრის ორი უქნარა თურქი და ამ მთისა და იმ მთის ამბებზე მიეთმოეთობდნენ. უფრო მეტად, რა თქმა უნდა, ხიდის თაობაზე ბაასობდნენ.

ალი-ხოჯა მდუმარედ, უგულოდ უსმენდა და ხიდისაკენ იყურებოდა, მუშები ჭიანჭველებივით რომ დაფუსფუსებდნენ.

ამ ოც წელიწადში ალი-ხოჯა სამჯერ გაბედნიერდა. მესამე ცოლი მასზე გაცილებით ჯეელი იყო და ქალაქელები ღვარძლიანად ქილიკობდნენ, იმის ბრალია, ალბათ, ხოჯა შუადღემდე გუნებაზე რომ ვერ არისო. სამი ცოლისაგან თოთხმეტი ბავშვი შერჩა. სახლში მთელი დღე ხმაური და ღრიანცელი იდგა. ბაზარში ოხუნჯობდნენ, ხოჯამ ყველა ბავშვის სახელიც კი არ იცისო. ასეთი ამბავიც კი შეთხზეს, თითქოს ხოჯას ერთ-ერთი ვაჟი ქუჩაში შეხვდა და მამას მიუახლოვდა, ხოჯამ თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— გამარჯობა, ბიჭუნი, შენ რომლისა ხარ?

გარეგნულად ხოჯა დიდად არ გამოცვლილა, ოღონდ გასუქდა და სახეც ცოტა წამოუწითლდა, ძველებური სიმკვირცხლე დაკარგა და როცა მოედნიდან შინ ბრუნდებოდა, გორაზე ნელ-ნელ ადიოდა, რადგან ბოლო ხანებში გული ძილის დროსაც კი აწუხებდა. ხოჯამ მაზრის ექიმი, დოქტორი მაროვსკი მოინახულა. ჩამოსულთაგან ექიმი ერთადერთი კაცი იყო, ვისიც ხოჯას სწამდა და აფასებდა. ექიმმა წვეთები მისცა, წამალი ავადმყოფობას ვერა კურნავდა, მაგრამ ცოტა შეღავათს მაინც აძლევდა. ამ ექიმისგან გაიგო თავისი დაავადების ლათინური სახელი: ანგია პექტორის.

ალი-ხოჯა ქალაქელ თურქთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნოდა, ყველა სიახლესა და უცხოელებისაგან შემოღებულ ცვლილებას რომ უარყოფდა, ახლებური არაფერი სწამდა, არც ენა, არც ჩაცმა, არც გაგება, არც ვაჭრობა — საქმისწარმოება. ყოველივე უცხოურს, რაც

ასე ჯიუტად ინერგებოდა ცხოვრებაში და რაც შვაბებისაგან მოდიოდა, ხოჯა ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა.

ამის გამო ხოჯას ხანდახან ადამიანებთან შეჯახება და ჯარიმების გადახდა უხდებოდა. მოქანცული და იმედგაცრუებული იყო. არსებითად კაპიაზე კარამანლისთან შელაპარაკების დროინდელი ხასიათი შემორჩა. ხოჯამ შეინარჩუნა საკუთარი შეხედულებები და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ანდაზად ქცეული გულღიაობა ღვარძლად ექცა, ბრძოლის სურვილი კი ბნელით მოცულ სიმწარედ, გამოსავალს ომახიან სიტყვებშიც ვეღარ პოულობდა, სიჩუმესა და მარტოობაში მშვიდდებოდა და უმწეო ხდებოდა.

წლები გადიოდა. ხოჯა უფრო და უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა. აღარავინ არ უნდოდა, მისთვის ყველა ზედმეტ ბარგს წარმოადგენდა, ბაზრის უსაქმური ავყიები იყვნენ თუ მყიდველები, მისი ახალგაზრდა მეუღლე თუ ბავშვების ჯგრო, ვისგანაც ოჯახში ყურთასმენა აღარ იყო. ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე გადიოდა სახლიდან და დუქანს სხვა ვაჭრებზე ადრე აღებდა. აქვე ასრულებდა დილის ლოცვას. აქვე მოჰქონდათ სადილიც, როცა მთელი დღის მანძილზე ლაპარაკი, მომსვლელები და საქმეები თავს მოაბეზრებდა, დარაბებს ხურავდა და დუქნის უკან, იმ პატარა ოთახში გადიოდა, თვითონ ხოჯა კუბოს რომ ეძახდა. ეს იმდენად ვიწრო, დაბალჭერიანი და ბნელი საკუჭნაო იყო, რომ ხოჯა თითქმის ძლივს ეტეოდა, ხალიჩაგადაფარებულ დაბალ სკამზე ფეხმოკეცით იჯდა ხოლმე. კედლის თაროებზე ცარიელი ყუთები, ძველი ნივთები და ათასნაირი ხარახურა ეყარა. ამ თხელკედლებიან, ვიწრო და ბნელ სადგომში გარკვევით აღწევდა ბაზრის ხმაური, ცხენების ჭიხვინი, ფლოქვების თქარუნი და დამტარებელთა ყვირილი, გეგონებოდათ, ყველაფერი ეს სხვა სამყაროდან ისმისო. ხანდახან იმ გამვლელების ხმაც შემოდიოდა, ხოჯას დაკეტილი დუქნის ახლოს რომ ლაპარაკობდნენ. ზოგჯერ ხოჯაზედაც მასხრობდნენ და გესლიანად იხსენიებდნენ. ხოჯა გულგრილად უსმენდა, რადგან ადამიანები მისთვის მოუსვენარი მიცვალებულები იყვნენ. მოისმენდა და მაშინვე ივიწყებდა. ვიწრო საკუჭნაოში ეჩვენებოდა, რომ ფიქრები დაიცავდნენ ყველაფრისაგან, რაც კი ცხოვრებას მოჰქონდა, მისი აზრით, ასე რომ გაუარესდა და უკუღმართი გზით წავიდა. აქ ხოჯა საკუთარ თავს პოულობდა, ფიქრობდა სამყაროს ბედზე, საკაცობრიო საქმეებზე, სხვა ყველაფერი ავიწყდებოდა — ბაზარი, ვალები თუ მევალეები, ძალზე ნორჩი ცოლი, ვისი სილამაზეც მალევე დაჩრდილა ღვარძლიანმა ჭირვეულობამ თუ

უამრავმა ბავშვმა. ხოჯა მართლაც სასოწარკვეთამდე მიდიოდა, მათი შენახვა სამეფო ხაზინასაც კი გაუჭირდებოდა.

როგორც კი ხოჯა გონს მოვიდოდა და სულს მოითქვამდა, დარაბებს ისევ აღებდა და, თითქოს სადღაციდან დაბრუნდაო, ვაჭრობას აგრძელებდა.

აი, ახლაც, ხოჯა ორი მეზობლის ფუჭ ლაყბობას უსმენდა.

ხედავ, რას ნიშნავს დრო და ღვთისაგან ჩვენზე ხელის აღება. ქვა რომ ქვაა, ისიც მთლად შეჭმულია. ღმერთმანი! თითქოს ფეხსაცმელმა წინდა გაცვითაო. მაგრამ სულერთია, რაც გაფუჭებულია, შვაბს მისი შეკეთება აღარ შეუძლია, — ფილოსოფოსობდა ბაზრის ცნობილი უქნარა და ალი-ხოჯას შეთავაზებულ ყავას შეექცეოდა.

— არა, მეგობარო, ვიდრე დრინა დრინად დარჩება, ხიდიც ხიდობას გასწევს; აი, ხელი რომ არ ეხლოთ, დრომდე იარსებებდა. ახლა კი მარტო წვალება და ამაო ხარჯის გაწევაა, — ამბობს მეორე უქნარა სტუმარი, მათი ფუჭი კამათი კარგა ხანს გაჭიანურდებოდა — ალი-ხოჯას რომ არ შეეჩერებინა.

— იცით რას გეტყვით, ხიდის ხელის ხლება არ შეიძლებოდა, მაგას სასიკეთოდ არ აღადგენენ, აი, ნახავთ. ის, რასაც დღეს განაახლებენ, ხვალ უცილობლად დაინგრევა. ამას ჯერ კიდევ განსვენებული მოლა იბრაჰიმი მეუბნებოდა — იმას წიგნებში ჰქონდა ამოკითხული, — მდინარეს რომ ხელი ახლონ, სხვა მხარეს გადაუგდონ ან დინება შეუცვალონ, თუნდაც მხოლოდ ერთი დღით ან ერთი საათითაც კი, უდიდესი ცოდვააო. შვაბმა რა იცის, რომ ხიდი მხოლოდ მანამდე ცოცხლობს, ვიდრე ხელშეუხებელია. ისინი კი კაპიასაც შეებნენ. რომ შეეძლოთ, ალბათ, დედამიწასაც გადააბრუნებდნენ.

პირველი მოსაუბრე არ ეთანხმებოდა.

— ბოლოს და ბოლოს რა არის ცუდი, თუ გერმანელები ხიდს შეაკეთებენ. სიცოცხლეს თუ არ გაუხანგრძლივებენ, ყოველ შემთხვევაში, ცუდს მაინც არაფერს დამართებენ.

— ვინ გითხრა, ვინ, ცუდს არ უზამენო? — განაგრძობდა გაგულისებული ხოჯა. — არ იცი? ერთ სიტყვასაც შეუძლია მთელი ქალაქის დანგრევა. ასეთ ხმაურს კი მით უმეტეს. სიტყვამ შექმნა თვით სამყარო. შენ რომ ნასწავლი და განათლებული იყო, გეცოდინებოდა, რომ ამ ნაგებობას ბადალი არა ჰყავს. ეს ხიდი ღვთისადმი სიყვარულითა და თვით ღვთის ნებით შექმნილი ნაგებობაა. ადამიანთა ერთი თაობა თავის დროს აშენებს, მეორე თაობა კი ანგრევს სხვათა ნაშენებს. მოხუცების

გადმოცემით, მთელ სახელმწიფოში ვერ მონახავდით ისეთ ქარვასლას, როგორიც ქვითკირის სასტუმრო იყო. ქვის წყობისა და მშენებელთა ოსტატობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ათასი წელიც იარსებებდა, მაგრამ ისე გაქრა, თითქოს სანთლისაგან ყოფილიყო აშენებული. ახლა კი, ყოფილ სასტუმროში ღორები დაღრუტუნებენ.

— მე კი მგონია... — თავს იცავდა პირველი.

— ჰოდა, ცუდად გგონია, — გააწყვეტინა ხოჯამ, — შენებურად რომ ყოფილიყო, მაშინ არც არაფერი აშენდებოდა და არც დაინგრეოდა. შენ ამას ვერც მიხვდები, მაგრამ კარგად დაიმახსოვრე, ყოველივე ამას სასიკეთო პირი არ უჩანს არც ხიდისთვის, არც ქალაქისათვის და არც ჩვენთვის, ვინც ამ ამბავს საკუთარი თვალით ვუყურებთ, კარგს არაფერს მოასწავებს.

— ასეა, ასე. რასაკვირველია, ხოჯამ უკეთესად იცის ხიდის ყადრი, — თქვა მეორემ და სიტყვა იმაზე გადაუკრა, რაც ალი ხოჯას თავის დროზე კაპიაზე გადახდა.

— ნამდვილად ასეა, — დარწმუნებით მიუგო ხოჯამ და როცა დაწყნარდა თავის საყვარელ ლეგენდას მოჰყვა. ხალხი, მართალია, კიდეც ამასხარავებდა, მაგრამ მაინც მუდამ სიამოვნებით უსმენდა ხოჯას.

განსვენებულ მამაჩემს, შეიხ დელიესაგან სმენია და მეც ჯერ კიდევ პატარას მიამბო, თუ როგორ გაჩნდა ქვეყანაზე და როგორ ააგეს პირველი ხიდი. როცა ყოვლისშემძლე ალაჰმა სამყარო შექმნა, დედამიწა მომინანქრებული ლანგარივით სწორი და გლუვი იყო. შაითანს ჭკუაში არ მოსდიოდა. შეშურდა ადამიანისა, ასეთი ღვთიური საჩუქარი რომ მიიღო და ვიდრე დედამიწა თიხის გამოუწვავი ფიალასავით ნედლი და რბილი იყო, ჯერ კიდევ ისეთი, როგორც ღვთის ხელმა შექმნა, მიეპარა, და რაც კი შეეძლო, ბრჭყალებით მაგრად და ღრმად დაჩხაპნა. ასე გადმოგვცემს ლეგენდა იმ ღრმა მდინარეებისა და ნაპრალების გაჩენის ამბავს, რომელნიც ერთ მხარეს მეორე მხარისაგან და ერთი ქვეყნის ადამიანებს მეორე ქვეყნის ადამიანებისაგან აშორებდა. ღმერთს უნდოდა დედამიწა ბაღნარად ექცია, რომ ადამიანს არსებობა და თავის გამოკვება შესძლებოდა, ამიტომ ძალზე დაეწანა, როცა ეშმაკმა წაახდინა მისი ქმნილება და ადამიანს თავისუფლად სიარულის საშუალება მოუსპო. ალაჰს აღარ შეეძლო საკუთარი ხელით შეხებოდა ეშმაკისაგან წაბილწულ დედამიწას და ადამიანებს დასახმარებლად და მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად თავისი ანგელოზები გამოუგზავნა. როცა ანგელოზებმა დაინახეს, საბრალო ადამიანები მდინარეებსა და უფ-

სკრულებზე ვერ გადადიოდნენ, იტანჯებოდნენ, ერთი ნაპირიდან მეორეზე ერთმანეთს ამაოდ ეძახდნენ, ანგელოზებმა მდინარეებზე ფრთები გაშალეს და ხალხმა ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა იწყო. ასე ისწავლეს ადამიანებმა ანგელოზებისაგან ხიდების აშენება. ამიტომაა, რომ უპირველეს სიკეთედ ჭის ამოთხრა ითვლება, მეორე სიკეთედ კი ხიდის აშენება. ხიდის ხელყოფა უდიდესი ცოდვაა, რადგან ყველა ხიდს, მთის ნაკადულზე გადებული ძელი იქნება თუ მეჰმედ ფაშას ნაგებობა, თავისი ანგელოზები ჰყავს. ეს ანგელოზი მანამდე იცავს ხიდს, ვიდრე, ღვთის ნებით, იქ დგომა უწერია.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო, — თავაზიანად ამბობდნენ ორივე.

ასეთ აუბარში კლავდნენ დროს, ვიდრე დღე არ მიიწურებოდა და ხიდზე მუშაობა, საზიდრების ჭრიჭინი და კირის ასარევი მანქანების ხრიგინი არ მიწყნარდებოდა.

როგორც ყოველთვის, ამ დავაშიც, გამარჯვება ხოჯას დარჩა, რადგან არავის სურდა და არც შეეძლო მასთან ბოლომდე კამათი, მით უმეტეს, ამ ორ თავქარიან უქნარას, ახლა ხოჯას მორთმეულ ყავას რომ ხვრეპდნენ. მათ კარგად იცოდნენ, მოცლილებს ხვალაც ამ დუქანში მოუწევდათ შემოსვლა და ლაყბობა.

ასე ელაპარაკებოდა ალი-ხოჯა ყველას, ვინც მასთან საქმეზე მოვიდოდა თუ დუქნის წინ შემთხვევით ჩაივლიდა. ყველა გარეგნულად დინჯი, მაგრამ დამცინავი ცნობისმოყვარეობით უსმენდა, თუმცა მის აზრებს ქალაქში არავინ იზიარებდა. არ ესმოდათ არც მისი უიმედობისა და არც მისი ცუდი წინაგრძნობებისა. თვით ხოჯასაც არ შეეძლო რიგიანად აეხსნა და დაესაბუთებინა თავისი მოსაზრებანი. რა ხანია, რაც ალი-ხოჯას ჯიუტ და ახირებულ კაცად თვლიან. ახლა კი, როცა წლების სიმძიმეც ანუხებს, ათასგვარი საძნელო საქმე და ახალგაზრდა ცოლზე ზრუნვაც, ყველაფერი შავად ეჩვენება, მისტიკურ მნიშვნელობას აძლევს და ავის მომასწავებლად თვლის.

ქალაქელთა უმეტესობა ხიდის შეკეთებას ისევე გულგრილად ეკიდებოდა, როგორც სხვა ყველაფერს, რასაც უცხოელები ქალაქსა და მის შემოგარენში წლების განმავლობაში აკეთებდნენ. ბევრი მათგანი ქვიშის, ხე-ტყისა თუ მუშებისათვის სურსათის გადმოზიდვაში ფულსაც კი აკეთებდა. მარტო ბავშვებს გაუცრუვდათ იმედი, როცა დაინახეს, შუათანა ბურჯს მიშენებულ ხარაჩოდან როგორ გადაძვრნენ მუშები ჩაშავებულ ხვრელში, რომელშიაც, მათი რწმენით, ზანგი ცხოვრობდა. მუშებმა იქიდან უთვალავი კალათი ფრინველის სკინტლი გამოიტანეს

და მდინარეში გადაუძახეს. ეს იყო და ეს, ზანგი არ გამოჩენილა. ბიჭუნები სკოლაში წასვლას აგვიანებდნენ, ამაოდ იდგნენ საათობით ნაპირზე და ელოდნენ, როდის გამოვარდებოდა შავი ადამიანი წყვდიადიდან, როდის კრავდა ხელს პირველსავე შემხვედრს, რომ ხარაჩოდან დაბლა ბზრიალასავით ჩამოგორებულიყო და მდინარეში ტყაპანი მოედინა. რაკი ამის მსგავსი არაფერი მოხდა, ზოგიერთმა განაწყენებულმა ბიჭმა იმისი მოყოლაც კი სცადა, თითქოს ყველაფერი სინამდვილეში მომხდარიყო, მაგრამ მონაყოლს დამაჯერებლობა აკლდა. ასეთ მეზღაპრეებს ბავშვები მასხრად იგდებდნენ და ფიცსაც აღარ უჯერებდნენ.

როგორც კი ხიდის შეკეთება დამთავრდა, წყალსადენის გადმოყვანა დაიწყეს. აქამდე ქალაქში ხის ჭები იყო. მხოლოდ მეიდანის ორ ჭაში ამოდიოდა სუფთა წყაროს წყალი. დაბლობის ჭები კი, ასე თუ ისე, დაკავშირებული იყვნენ დრინასთან ან რზავთან და როგორც კი ერთერთი მდინარე აიმღვრეოდა, ჭის წყალიც მაშინ იმღვრეოდა. ზაფხულის პაპანაქებაში კი, როცა მდინარე კლებულობდა, ჭები მთლად შრებოდა. ახლა ინჟინრებმა აღმოაჩინეს, რომ ქალაქის წყალი ჯანმრთელობისთვის მავნე იყო. ახალი წყალი კაბერნიკიდან, დრინას იქითა, შორეული მთიანი პლატოდან უნდა გამოეყვანათ, ასე რომ, წყალსადენი ხიდზე უნდა გადაეტარებინათ.

ისევ ატყდა ხიდზე ფაციფუცი და ხმაური. ფილებს იღებდნენ, ასუფთავებდნენ წყალსადენის მილების ჩასაწყობ ადგილებს. კოცონებზე შემოდგმულ ქვაბებში ფისს ხარშავდნენ და კალას ადნობდნენ; ქერელის ბაგირისაგან კი შემოსახვევ ძენძს ამზადებდნენ.

ხალხი ამ სამუშაოსაც წინანდებურად, უნდობლად და ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდა. კვამლი მოედანზე წვებოდა და ალი-ხოჯას დუქნამდე აღწევდა. შუბლშეკრული ხოჯა ზიზღით ლაპარაკობდა ახალ „უწმინდურ“ წყალზე, რკინის მილებში რომ უნდა გამოევლო. ეს წყალი არც სასმელად ივარგებს და არც რელიგიური განბანისათვის, ამ წყალს, წმინდა ჯიშის ცხენიც არ დალევსო, — ამტკიცებდა ხოჯა. როცა ახალი წყალი ლოტიკამ სასტუმროში გაიყვანა, ხოჯამ მასაც დაცინვა დაუწყო. ყველას, ვისაც კი მისი მოსმენის სურვილი ჰქონდა, ხოჯა იმას ეუბნებოდა, — წყალსადენი ერთ-ერთი ნიშანია იმ უხილავი უბედურებისა, ქალაქს ადრე თუ გვიან თავს რომ დაატყდებაო.

მომდევნო წლის ზაფხულში, ყველა სხვა სამუშაოთა მსგავსად, წყალსადენის მშენებლობაც წარმატებით დამთავრდა. მოჩხრიალებდა

ყოველგვარი გვალვისა და წყალდიდობისაგან დამოუკიდებლად წმინდა წყალი ახალაშენებულ ბეტონის ჭებში. წყალი ბევრმა საკუთარ ეზოში, ზოგიერთმა კი სახლებშიც გაიყვანა.

იმავე წლის შემოდგომით რკინიგზის მშენებლობა დაიწყეს. ეს უკვე გაცილებით მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი სამუშაო იყო, რასაც, თითქოს, ხიდთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ ასე მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა.

საგაზეთო წერილებსა და ოფიციალურ მიმოწერაში ამ ვიწროლიანდაგიან გზას „აღმოსავლეთის რკინიგზად" იხსენიებდნენ. რკინიგზას სარაევო სერბიის სასაზღვრო დაბა ვარდიშჩესთან* და თურქეთის ნოვობაზარის სანჯაყის საზღვრის ახლოს მდებარე დაბა უვაცთან** უნდა შეეერთებინა. ეს ხაზი თვითონ ქალაქზე გადიოდა და რკინიგზის ძირითადი პუნქტი გახდა.

ძალიან ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ გზის პოლიტიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მომავალ ანექსიაზე, სანჯაყის გავლით ავსტრია-უნგრეთის ჯარების სალონიკისაკენ გადაადგილებაზე და ამასთან დაკავშირებით წარმოშობილ ყველა სხვა ახლართულ-ჩახლართულ საკითხებზე. ქალაქში კი ყველაფერი მაინც უმნიშვნელოდ ეჩვენებოდათ, სულ სხვანაირად, უფრო მიმზიდველად სურდათ წარმოედგინათ, ახალი მოიჯარეები იქნებოდა ეს, მუშათა ახალი ნაკადი თუ ბევრი ფულის შოვნის ახალი წყაროები.

ამჯერად ყველაფერი დიდი განზომილებით კეთდებოდა. 166 კილომეტრი სიგრძის რკინიგზის ხაზის მშენებლობა ოთხ წელიწადს გაგრძელდა. აშენდა ასამდე ხიდი და ვიადუკი, ას ოცდაათი გვირაბი. გზის შენება სახელმწიფოს სამოცდათოთხმეტი მილიონი კრონი დაუჯდა. ამ მილიონიან ციფრებს რომ ასახელებდნენ, ადამიანები სადღაც შორეთში იცქირებოდნენ, თითქოს ცდილობდნენ, იქ ფულის გორა დაენახათ, რომლის არც გადათვლა შეიძლებოდა და არც თვალის გადავლება. „სამოცდათოთხმეტი მილიონი!" ბევრი ქალაქელი ამას ისე მრავლისმეტყველად და საკუთარი ღირსების შეგრძნებით იმეორებდა, თითქოს მთელი ფული საკუთარი ხელით გადაუთვლიაო. ამ მიკარგულ ქალაქშიც კი, სადაც ცხოვრება უმეტესად აღმოსავლურ ყაიდაზე მიედინებოდა, ხალხმა ქედი მოიხარა ციფრების წინაშე და სტატისტიკა ირწმუნა. „სამოცდათოთხმეტი მილიონი!" „დაახლოებით ნახევარი

* ვარდიშჩე – დაბა ბოსნიისა და სერბიის საზღვარზე.

** უვაცი – ავსტრია-უნგრეთის სამფლობელოებსა და თურქეთს შორის მდებარე სასაზღვრო დაბა.

მილიონი ან, უფრო ზუსტად, 445782,12 კრონი ყოველ კილომეტრზე!" — ასე ტკბებოდნენ ადამიანები დიდი ციფრების წარმოთქმით, თუმცა ამით არც სიმდიდრე ემატებოდათ და არც ჭკუა.

რკინიგზის მშენებლობის დროს პირველად იგრძნეს, რომ ეს უკვე ძველებური, შედარებით ადვილად, უზრუნველად და უწვალებლად მიღებული ხელფასი არ იყო, ქვეყნის დაპყრობის პირველ წლებში რომ იღებდნენ. ბოლო ხანს ყოველდღიური მოხმარებისა და სხვა საქონლის ფასებმა აიწია, ხანდახან ფასები დაბლაც იწევდა, მაგრამ უწინდელ დონემდე მაინც ვერ ჩამოდიოდა. ცოტა თუ დიდი ხნის შემდეგ, ისევ დიდდებოდა. სამუშაო ბლომად იყო და დღიური ანაზღაურებაც გაიზარდა, თუმცა იგი ნამდვილ მოთხოვნილებაზე დაახლოებით ოცი პროცენტით დაბალი იყო. უაზრო და ვერაგული თამაში მიმდინარეობდა, რაც სულ უფრო ხშირად უწამლავდა ცხოვრებას ადამიანთა უმრავლესობას. მის წინაშე ყველა უძლური იყო, რადგან შორიდან, იმ მიუწვდომელი და უცნობი წყაროებიდან მოედინებოდა, საიდანაც პირველი წლების სიკეთე მოჩქეფდა. ბევრი მათგანი, ვინც უცხოეთის ბატონობის პირველ წლებშივე თხუთმეტი-ოცი წლის წინათ გამდიდრდა, ახლა ისევ გაღატაკდა, მათი შვილები ქირით მუშაობდნენ. გამოჩნდნენ საქმოსნებიც, მოხერხებულად რომ იყენებდნენ ამ გარემოებას, მაგრამ მათაც თითქოს ჯადოქრული ძალის წყალობით ხელსა და თვალს შუა ეპარებოდათ ფული. ასე რომ, ადამიანი ხშირად რჩებოდა ხოლმე ხელცარიელი და დამცირებული. აშკარა გახდა, რომ ხელფასსა და მისგან მინიჭებულ შედარებით იოლ ცხოვრებას ჩრდილოვანი მხარეებიც გააჩნდა, რადგან ფულიცა და ფულის მფლობელნიც მხოლოდ პაიკები იყვნენ რაღაც გაურკვეველ თამაშში ჩაბმულნი, რომლის ყველა წესი არავინ იცოდა და არც დასასრულის განჭვრეტა შეეძლოთ. ისე, შეუგნებლად ყველა მონაწილეობდა, დიდსა თუ პატარა ფსონს ყველა ერთნაირი რისკით ჩადიოდა.

მეოთხე წლის ზაფხულს, ქალაქში დროშებითა და მწვანით მორთულმა პირველმა მატარებელმა გაიარა. მოეწყო დიდი სახალხო სეირნობა. მუშებისათვის სადილი გამართეს და ლუდით სავსე კასრები დახსნეს. ინჟინრები პირველ ორთქმავლებთან ფოტოსურათებს იღებდნენ. ამ დღეს მგზავრობაც უფასო იყო.

— ერთ დღეს მადლობის საფასურად გამგზავრებენ, მერე კი მთელი საუკუნე ფული უნდა იხადო, — ედავებოდა ალი-ხოჯა იმათ, ვისაც ამ მატარებლით ემგზავრა.

მხოლოდ ახლა, რკინიგზის გაყვანისა და მისი ამოქმედების შემდეგ გახდა გასაგები, რა მნიშვნელობა ჰქონდა მას ხიდისათვის: აშკარად შესამჩნევი იყო ის უპირატესობა, რაც ქალაქის ცხოვრებაში და მისი ბედ-იღბლის წარმართვალი შეჰქონდა რკინიგზას. რკინიგზა დრინის გასწვრივ მიემართებოდა, შემდეგ მეიდანთან სანაპირო მთის ფერდობზე გადადიოდა, ქალაქს გარშემო უვლიდა და ვაკეზე, მდინარე რზავის ნაპირზე, ქალაქის განაპირა სახლებთან ეშვებოდა. აქ იყო სადგური. სარაევოსთან და სარაევოზე გავლით დასავლეთ სამყაროსთან კავშირი, ხალხის გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა — ყველაფერი ახლა დრინის მარჯვენა მხარეს ხდებოდა. მარცხენა ნაპირი სრულიად ჩაკვდა. ხიდზე მხოლოდ დრინის მარცხენა მხარეზე მცხოვრებლებიღა გადადიოდნენ, გლეხებს ტანმორჩილი, საპალნიანი ცხენები მოჰყავდათ, ჯორებშებმული საზიდრები მოჭრიალებდა და შორი ტყეებიდან რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალი შეშით დატვირთული აღალი მიიზლაზნებოდა.

ეს ძველი გზა, ხიდიდან მთაზე ლიესკისა და სემეჩისაკენ ადიოდა, შემდეგ კი გლასინაცისა და რომანიას გავლით სარაევოში მიემართებოდა. გზაზე ადრე ერთთავად ისმოდა მგზავრთა სიმღერის, ეჟვნების ჟღარუნისა და ურმების თვლების რახრახი. ახლა გზა ბალახითა და მწვანე ხავსით იფარებოდა, რაც მიტოვებულ შენობებისა და გზათა ნელი კვდომის მუდმივი თანამგზავრია. ამ გზაზე აღარც მოგზაურები ჩანდნენ და აღარც გამცილებლები იდგნენ ხიდზე. კაპიაზე ერთმანეთს აღარ ეთხოვებოდნენ და განშორებისას ცხენებზე ამხედრებულნი აღარ გადაჰკრავდნენ ჭიქა არაყს „გზის დასალოცად".

ცხენები, საზიდრები, გადახურული შარაბანები და პატარა, ძველი ყაიდის ეტლები, რითაც ოდესღაც სარაევოში მიემგზავრებოდნენ, ახლა აღარავის სჭირდებოდა. ადრინდელი ორნახევარი დღის ყანყალისა და როგატიცაში ღამის თევის ნაცვლად, ახლა მგზავრობას ოთხი საათი სჭირდებოდა. ხალხი ამ ციფრების ხსენებაზე ჭკუას კარგავდა. მართლაც, გიჟებივით აღგზნებულები ითვლიდნენ ასეთი სწრაფი მგზავრობით მიღებულ მოგებასა და დანაზოგს. იმ პირველ ქალაქელებს, ერთ დღეს სარაევოში რომ ჩავიდნენ, საქმეს მორჩნენ და საღამოს სახლში გამობრუნდნენ, ისე უყურებდნენ როგორც საოცრებას.

მარტო ალი-ხოჯა იდგა თავისაზე, ჯიუტი და უნდობელი. ხალხისგან განსხვავებით, ყოველივეს სხვაგვარად უყურებდა. იმათ, ვინც აღფრთოვანებული იყო მგზავრობის სისწრაფით, დროის, ძალ-ღონისა

და ფულის დაზოგვით, ხოჯა დაცინვით ეუბნებოდა: მთავარია, არა ის დრო, რომელიც დაზოგე, არამედ ის, თუ რა გააკეთე ამ დანაზოგ დროში. თუ ეს საათები შენ ბოროტებისთვის გამოიყენე, მაშინ აჯობებდა ეს დრო სულ არ გქონოდა. ალი-ხოჯა ამტკიცებდა, მთავარი ის კი არ არის, სწრაფად მიდის თუ არა ადამიანი, არამედ ის, თუ საით და რისთვის მიდის, გარდა ამისა სისწრაფე ყოველთვის სახარბიელო როდიაო.

— თუ ჯოჯოხეთში მიდიხარ უმჯობესია ნელა იარო, — ეუბნებოდა ხოჯა ერთ ახალგაზრდა ვაჭარს. — სულელი ყოფილხარ, თუ იმასა ფიქრობ, შვაბებმა ფული იმისათვის დახარჯეს და გზა გაიყვანეს, რომ შენ სწრაფად იმოგზაურო და საკუთარი საქმე აკეთო. შენ მარტო შენ მგზავრობას ხედავ, იმას კი არ კითხულობ, შენი და შენისთანების გარდა რა მიაქვს და მოაქვს მატარებელს. შენ ეს, რა თქმა უნდა, თავშიც არ მოგდის. აბა, რა გაეწყობა, მიბრძანდი, გზა დამილოცნია, სადაც გინდა იქ წაგრიხინდი, ოღონდ ვშიშობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს მგზავრობა კეთილს არ დაგაყრის. დადგება დრო, როცა შვაბები იქ წაგაბრძანებენ, სადაც შენი ნებით წასვლას არ ისურვებდი.

ყოველთვის, როცა კი ქვითკირის სასტუმროს ზემოთ, ხრამზე გადამავალი ორთქლმავლის კივილი შემოესმოდა, ალი-ხოჯა წარბებს შეკრავდა და გაუგებრად აბუტბუტდებოდა. დუქნის კარიდან ხიდს გახედავდა და თავის ძველ საფიქრალს უბრუნდებოდა: — ყველაზე დიდ ნაგებობასაც კი, ერთი სიტყვის, ერთი ბრძანების გაცემა აშენებს, ქალაქების სიმშვიდე და ყოფაც, შესაძლოა, ერთ დასტვენაზე ეკიდოს. ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა ავადმყოფ კაცს, ვისაც ბევრი ენახა და ადრე დაბერებულიყო.

ახლაც, ისევე, როგორც სხვა დროს, ძალზე აზიზ და ჯიუტ ალი-ხოჯას არავინ ჰყავდა მომხრე. მართალია, გლეხებიც ძლივს მიეჩვივნენ რკინიგზას, თუმცა თვითონვე მუშაობდნენ რკინიგზის გაყვანაზე, მაგრამ ვერ იქნა და მატარებელსა და მის წესებს ვერ შეეგუვნენ. ალიონზე დაეშვებოდნენ მთებიდან, მზე ამოვიდოდა თუ არა, უკვე ქალაქში იყვნენ და პირველივე მედუქნეს აღელვებული ეკითხებოდნენ:

— ჩაიარა მატარებელმა?

— ახლა მოგაგონდა? რამდენი ხანია ჩაიარა, — ცრუობდნენ და დასცინოდნენ მედუქნეები.

— თუ ღმერთი გწამს, მართალს ამბობ?

— ხვალ მეორე ჩამოივლის!

ასე კითხვა-კითხვით გარბოდნენ, თან უკან მომავალ ცოლ-შვილს აჩქარებდნენ, ვიდრე სადგურის რომელიმე მოხელე არ დაამშვიდებდა და არ ეტყოდა: მოტყუებულხართ, მატარებლის მოსვლამდე ჯერ კიდევ მთელი სამი საათიაო. მაშინ ყველა სადგურის კედელთან ჩამოსხდებოდა, ფუთებს გამოხსნიდა, საუზმეს შეექცეოდა, ლაპარაკობდა ან თვლემდა, მაგრამ სულერთთავად ყურდაცქვეტილნი იყვნენ. როგორც კი საბარგო მატარებლის კივილის ხმას გაიგონებდნენ, წამოცვივდებოდნენ, ფაციფუცით წამოკრეფდნენ მიმოფანტულ ბარგი-ბარხანას და გაჰყვიროდნენ:

— ადექით, მატარებელი მოდის!

სადგურის თანამშრომელი ჩხუბობდა და ბაქნიდან ერეკებოდა.

— გითხრეს, მატარებლის გასვლამდე ჯერ კიდევ სამ საათზე მეტი დროა, სად გარბიხართ, ხომ არ გაგიჟდით!

გლეხები ისევ უკან ბრუნდებოდნენ და თავ-თავიანთ ადგილებზე სხდებოდნენ, მაგრამ მაინც უნდობლად და ეჭვის თვალით იყურებოდნენ. პირველსავე სასტვენის ხმაზე თუ უბრალო საეჭვო ხმაურზე ბაქანზე გარბოდნენ, რომ ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ და მატარებლის მოსვლისთვის ყურდაცქვეტილებს მოთმინებით ეცადათ.

რამდენიც უნდა განემარტა და გელაპარაკა, ამ მანქანას მაინც ისე უყურებდნენ, როგორც შვაბების გამოგონილ რაღაც საიდუმლოებით მოცულ, მზაკვარ მექანიზმს, რომელიც თვალის დახამხამებაში გაიქროლებდა და მხოლოდ იმასა ცდილობდა, როგორ გაეცურებინა გლეხი-კაცი და თვალს მიჰფარებოდა.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი, გლეხების მოუქნელობაცა და ალიხოჯას ბუზღუნიც არაფერს ნიშნავდა, ხალხს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა და როგორც ყველაფერ ახალს, იაფსა და მოსახერხებელს, რკინიგზასაც სწრაფად მიეჩვია, ხიდს მაინც არ ივიწყებდნენ, კაპიაზეც ძველებურად სხდებოდნენ. საქმეების გასარიგებლადაც იქ მიდიოდნენ, მაგრამ მგზავრობით კი იმით მგზავრობდნენ, რაც დრომ მოიტანა. ყველა სწრაფად და იოლად შეურიგდა იმ აზრს, რომ ხიდზე გამავალი გზა უკვე აღარ უერთდება სამყაროს, რომ უკვე აღარ წარმოადგენს აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემაერთებელ რგოლს, უფრო სწორად, უმრავლესობა უბრალოდ არცა ფიქრობდა ამაზე.

ხიდი კი ისეთივე იდგა, როგორ ყოველთვის, მარად ახალი და სრულყოფილი. ადამიანის ხელით შექმნილი ერთ-ერთი იმ უდიდესი ქმნილებათაგანი, რომელსაც არც სიბერე ეკარება და არც იცვლება.

თავი მეჩვიდმეტე

ამ ქალაქშიც, რომლის ბედი ხიდთან მჭიდროდ იყო გადანასკვული, ახალ ეპოქას თავისი მოჰქონდა. დადგა შფოთიანი 1908 წელი. ამ დროიდან მოყოლებული რაღაც ავბედითი საფრთხე ღრუბელივით ჩამონვა ქალაქის თავზე.

სინამდვილეში კი, ეს ამბავი ადრე, დაახლოებით, რკინიგზის გაყვანის დღიდან, ახალი საუკუნის პირველ წლებში დაიწყო: გაუგებარი, მაგრამ ერთობ საგრძნობი თამაშის — ფასიანი ქაღალდების, დივიდენდებისა და ფულის ღირებულების აწევისა და დაცემის შესაბამისად — პოლიტიკისადმი ინტერესიც იზრდებოდა.

ქალაქელები აქამდე მხოლოდ იმით ცხოვრობდნენ, რაც მათთვის ახლობელი და გასაგები იყო. მათ აინტერესებდათ თავიანთი ხელფასი და სამუშაო, ყველაფერი ის, რაც მათ ოჯახებსა და მეზობელებს, ქალაქისა თუ სასულიერო თემის საქმეებს ეხებოდა. მაგრამ ისინი თავიანთ ნაჭუჭში იყვნენ ჩაკეტილი და არავის არ ჰქონდა არც წინასწარ განჭვრეტისა და არც უკან მოხედვის სურვილი. ახლა სულ უფრო ხშირად საუბრობდნენ ისეთ ამბებზე, რაც მათი წრის ფარგლებს საკმაოდ სცილდებოდა. სარაევოში სერბიული და მუსლიმანური ნაციონალური პარტიები, რელიგიური საზოგადოებები და ორგანიზაციები ჩამოყალიბდა; ერთდროულად მათი განყოფილებები ვიშეგრადშიც გაიხსნა. ვიშეგრადში სარაევოდან ახალი გაზეთები მოჰქონდათ. შეიქმნა ჯერ სერბიული, შემდეგ მუსულმანური, დაბოლოს, ებრაული სამკითხველოები და მგალობელთა საზოგადოებები. ვენისა და პრაღის უნივერსიტეტის სტუდენტები და გიმნაზიელები, როცა არდადეგებზე შინ ბრუნდებოდნენ, ახალი წიგნები და ბროშურები მოჰქონდათ, აზრებსაც ახლებურად გამოთქვამდნენ და ახალგაზრდა ქალაქელებს იმის მაგალითს უჩვენებდნენ, რომ ენაზე კბილის დაჭერა ყოველთვის არ იყო საჭირო, რომ არც სიტყვა უნდა ჩამორჩენოდა აზრს, როგორც ამას უფროსები ამტკიცებდნენ.

გამოცხადდა გააზრებული და გაბედული მიზნების მქონე ახალი რელიგიური თუ ეროვნული ორგანიზაციების სახელწოდებები. როცა ქალაქში პირველად გაისმა სიტყვა „გაფიცვა", ახალგაზრდა ქვეოსტატები ჩაფიქრდნენ. კაპიაზეც რაღაც გაუგებარ სიტყვებს ამბობდნენ, ერთმანეთს ქაღალდის ყდიან პატარ-პატარა ბროშურებს უცვლიდნენ, რომელთა შორის იყო „რას წარმოადგენს სოციალიზმი?",

„რვა საათი — სამუშაოს, რვა — დასვენებას, რვა — განათლებას!", „მსოფლიო პროლეტარიატის მიზნები და გზები".

გლეხებს აგრარულ საკითხებს განუმარტავდნენ, ელაპარაკებოდნენ იჯარასა და მებატონეთა მიწებზე.

შუბლშეკრული გლეხები გულისყურით უსმენდნენ და ულვაშების ცმაცუნით განზე იყურებოდნენ, თითქოს ცდილობდნენ, ყველაფერი დაეხსომებინათ, რომ მერე შინ თავად დაფიქრებულიყვნენ და შინაურებთან აენონ-დაენონათ.

მართალია, ბლომად იყვნენ ისეთები, ვინც ენაზე კბილის დაჭერას ამჯობინებდა ან ამრეზით უყურებდა ყოველივე ახალ, გაბედულ აზრსა და სიტყვას, მაგრამ ღარიბთა და უმუშევართა შორის ბევრი ისეთი ახალგაზრდაც ერია, ვისთვისაც ეს ყველაფერი სასიხარული იყო. ადრე ყოველივე ამას ჩქმალავდნენ და ახშობდნენ, თუმცაღა მათ გულის პასუხს ეხმიანებოდა და მათ ერთფეროვან ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი და შთამაგონებელი, შეჰქონდა რაც მანამდე აკლდათ.

რელიგიური და პარტიული ორგანიზაციების მიმართვების, პროტესტების, სიტყვებისა და წერილების კითხვის დროს თითოეული მათგანი გრძნობდა, თუ როგორ იღვიძებდა მის გულში რაღაც და როგორ მიქროდა თავისუფალი აზრი ფართო თვალსაწიერისაკენ, თითქოს მასსა და შორეულ ადამიანებს შორის მეგობრული კავშირი მყარდებოდა, რაზეც ადრე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ადამიანს სხვა თვალით დაუწყეს ყურება და ყველა სხვანაირად ექცეოდა ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ყველას ეჩვენებოდა, რომ ცხოვრება ფართო სარბიელზე გავიდა და სხვადასხვა ფერებად აბრჭყვიალდა, ფართოდ გაიხსნა და გაქრა საზღვრები ნებადართულსა და შესაძლებელს შორის, მათ წინაშე გადაშლილ სივრცეში თვალს ხიბლავდა ბრწყინვალე შორეთი, რაზეც ადრე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

არსებითად ადამიანებს ახალი რამ არც ამჟამად შეუძენიათ. ახლაც იმავეს ხედავდნენ, რაც ადრე უნახავთ, მაგრამ მათი შეხედულება აღარ იყო შეზღუდული პროვინციული ქალაქის უხამსობით, კარჩაკეტილობით. მოქალაქეთა ჩვევები არ შეცვლილა, ცხოვრების სახე და ურთიერთობის ფორმები იგივე დარჩა, მაგრამ უქმად ჯდომის, ყავისა და არყის სმის, ჩიბუხის მოწევის მამაპაპურ ჩვევებს გადაენასკვა იდეური დავა, გაბედული სიტყვები, თვით ლაპარაკის კილოც კი შეიცვალა. მოაზროვნე ადამიანები ჯგუფებად დაიყვნენ, ყველაფერს ახალი შეხედ-

ულების მიხედვით სჯიდნენ, თუმცაღა კამათში ადრინდელი ჟინი და ძველებური ინსტინქტებიც იგრძნობოდა.

ახლა საგარეო ამბებს ხიდისპირა ქალაქიც ეხმაურებოდა. ქალაქამდე მოაღწია 1903 წელს სერბიაში სამეფო კარის გადატრიალების ამბავმა* და თურქეთში არსებული რეჟიმის შეცვლის ცნობამ**. ქალაქს, რომელიც ზედ სერბიის საზღვართან მდებარეობდა და უხილავი, მაგრამ მტკიცე ძაფებით იყო თავის მეზობლებთან დაკავშირებული, არ შეეძლო ეს ცვლილებები არ ეგრძნო, არ განეცადა და მათთვის ახსნა არ მოეძებნა. თუმცა იმაზე აშკარად არაფერს ამბობდნენ და თავიანთ ნაფიქრალისა და ნაგრძნობის გულახდილად თქმას ერიდებოდნენ.

ქალაქში შესამჩნევად გაძლიერდა ხელისუფალთა საქმიანობა და მათი ძალდატანება. ჯერ სამოქალაქო ხელისუფლებამ მოუჭირა ხელი, მერე სამხედრო ხელისუფალნიც მიჰყვნენ, მაგრამ ეს შეტევები სულ სხვა გეგმით ხორციელდებოდა: ადრე მხოლოდ იმას უთვალთვალებდნენ, ვინ რას აკეთებდა და თავი როგორ ეჭრა, ახლა კი ცდილობდნენ გაეგოთ, ვინ როგორ აზროვნებდა და როგორ გამოთქვამდა საკუთარ აზრს. სასაზღვრო სოფლებში ჟანდარმთა საგუშაგოები სულერთთავად იზრდებოდა. ადგილობრივ კომენდატურაში დაზვერვის ოფიცერი ჩამოვიდა. პოლიცია დაუკვირვებელი სიტყვებისა და აკრძალული სერბიული სიმღერებისათვის ახალგაზრდობას აპატიმრებდა და ჯარიმას ახდევინებდა. საეჭვო უცხოელებს ასახელებდნენ. ქალაქელები შეხედულებათა სხვადასხვაობის გამო ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, საქმე ხანდახან მუშტი-კრივამდეც კი მიდიოდა.

სარკინიგზო მიმოსვლამ არა მარტო მგზავრობის დრო შეამცირა და ტვირთის გადაზიდვა გააადვილა, თვით მოვლენათა განვითარებაზეც მოახდინა ერთგვარი ზემოქმედება და საკმაოდ გააძლიერა. ქალაქში ამას ვერ ამჩნევდნენ, რადგან ეს აჩქარება თანდათანობით ხდებოდა, ახალი, გასაოცარი ამბები იშვიათობასა და გამონაკლისს კი აღარ წარმოადგენდა, არამედ ნამდვილ მოთხოვნილებად, ადამიანის არსებობის წყაროდ იქცა. ცხოვრება იმ ნაკადივით გაქანდა, რომლის ტალღებიც თანდათანობით აღწევს იმ ზღვარს, საიდანაც საცაა დაბლა გადმოეშვება და ჩანჩქერად იქცევა.

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვიშეგრადში პირველი მატარებელი მოვიდა. ერთხელაც, ოქტომბრის თვეში, შუადღის ხანს კაპიაზე,

---

* 1903 წ. 23 მაისს შეთქმულმა ოფიცრებმა მოკლეს სერბიის მეფე ალექსანდრე ობრენოვიჩი და დედოფალი დრაგა, მეფედ პეტრე ყარაგიორგის ძე გამოაცხადეს.

** 1908 წლის თურქეთის რევოლუცია.

თურქული ნარნერის ქვეშ ქალაქელებმა დიდი თეთრი პლაკატი დაინახეს. პლაკატი სამაზრო მმართველობის თანამშრომელმა დრაგომ გააკრა. ჯერ პლაკატთან ბავშვები და უსაქმურები შეიყარნენ. შემდეგ სხვებიც მივიდნენ. წერა-კითხვის მცოდნენი ხმამაღლა კითხულობდნენ, უცხოური და უჩვეულო სიტყვის ნარმოთქმისას ენა ებმოდათ. სხვები დუმდნენ, თავდახრილები მოწოდებას ბოლომდე უსმენდნენ, მერე ისევ თავდახრილები მიდიოდნენ, თან წვერ-ულვაშზე ისვამდნენ ხელს, თითქოს იმ სიტყვის ნაშლას ლამობენ, რომელიც ეს-ეს არის კინაღამ წამოსცდათო.

როცა მოშუადღევდა, ალი-ხოჯამ, ვითომ დავკეტეო, დუქნის კარს ჯოხი დაუბიჯგა და კაპიაზე წავიდა. მაგრამ ამჯერად პლაკატი თურქულ ენაზე არ იყო დაწერილი და ხოჯამ ვერ წაიკითხა. ვიღაც ბიჭი კი პლაკატს მოწაფურად, დამარცვლით, გამოუთქმელად კითხულობდა:

მოწოდება ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ხალხებისადმი

ჩვენ, ფრანც-იოსებ პირველი, იმპერატორი ავსტრიისა, მეფე ჩეხეთისა და სხვა დანარჩენი და აპოსტოლური მეფე უნგრეთისა მოგმართავთ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მცხოვრებლებს:

ერთი თაობის ცხოვრება უკვე დამთავრდა იმ დღიდან, რაც ჩვენმა ჯარებმა თქვენი ქვეყნის საზღვრები გადმოლახეს.

ალი-ჯოხას, თეთრი ჩალმის ქვეშ, მარჯვენა ყურის მტკივნეული ქავილი აუტყდა. თითქოს გუშინ იყო, მეხსიერებაში ისე გაუცოცხლდა კარამანლისთან დავა, მაშინდელი ძალადობა და ის წითელი ჯვარი, მის ცრემლიან თვალთა წინაშე რომ ცურავდა. გაახსენდა, შვაბმა ჯარისკაცმა ხიდის ძელზე მიჭედებული ყურიდან ფრთხილად რომ ამოაძრო ლურსმანი. თვალწინ დაუდგა მაშინდელი თეთრი პლაკატიც. ბიჭი განაგრძობდა კითხვას:

...გა-გა-გარწმუნებთ, რომ ისინი მტრებად კი არა, მოკეთეებად მოვიდნენ და მტკი... მტკიცედა აქვთ გადაწყვეტილი დაგეხმარონ იმ გაჭირვებათა დაძლევაში, რაც ამდენი წელი-ი-ი ტანჯავს თქვენს სასა-სამშობლოს.

იმ პა-პასუხსაგებ დროს თქვენთვის მო-მოცემული სი... სიტყვა...

აქ კი ველარ მოითმინეს და უხეირო მწიგნობარს დაუცაცხანეს. შერცხვენილი და გაწითლებული ბიჭი ხალხში მიიმალა. გეგონება ამას ელოდაო, მისი ადგილი ტყავისპალტოიანმა უცნობმა კაცმა დაიკავა და სწრაფად, გამართულად, გაზეპირებული ლოცვანივით, დაიწყო კითხვა. „იმ პასუხსაგებ დროს თქვენდამი მოცემული სიტყვა პატიოსნად შესრულდა. ჩვენი მთავრობა ყოველთვის ისწრაფოდა, რათა მშვიდობიანობისა და კანონიერების პირობებში თქვენი ქვეყნისთვის ბედნიერი მომავალი შეგვექმნა და ჩვენდა სასიხარულოდ, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ მაშინდელმა ხნულში ჩაგდებულმა თესლმა ნაყოფი გამოიღო. თქვენ თვითონ უნდა გრძნობდეთ სასიკეთო ცვლილებებს, რადგან ხედავთ, რომ წესრიგმა და მშვიდობამ ძალადობა და ტირანია შეცვალა, რომ ცხოვრება განუხრელად უმჯობესდება. განათლებამ გამაკეთილშობილებელი გავლენა მოახდინა, სათანადო ხელისუფალთა მფარველობით ყველას შეუძლია საკუთარი შრომის ნაყოფით დატკბეს.

ჩვენი საერთო მოვალეობაა — მომავალშიაც განუხრელად ამ გზით ვიაროთ.

რაკი ასეთი მიზანი გვაქვს დასახული, მიგვაჩნია, რომ დადგა დრო ორივე ქვეყანას მათი პოლიტიკური სიმწიფის ახალი დამამტკიცებელი საბუთი მივცეთ. იმისათვის, რომ ბოსნია და ჰერცოგოვინა პოლიტიკური ცხოვრების უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ, გადავწყვიტეთ, ორივე ქვეყანას კონსტიტუციური მმართველობა მივანიჭოთ, რაც მათი ცხოვრების პირობებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს უპასუხებს და შექმნის თქვენი მოთხოვნებისა და ინტერესების აუცილებელ კანონიერ საფუძველს.

დაე, თქვენი ხმაც ისმოდეს მომავალში, თქვენი სამშობლოს საქმეების გადაწყვეტისას, რომელიც დღევანდელივით განცალკევებულ ადმინისტრაციას შეინარჩუნებს.

ამ სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად პირველ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ორივე ქვეყნის უფლებრივი მდგომარეობის გარკვეული და უეჭველი განსაზღვრა. ამიტომ ვიხსენებთ რა იმ ურთიერთობას, რომელიც ოდითგანვე არსებობდა უნგრეთის ტახტის სახელოვან წინაპრებსა და ამ ქვეყნებს შორის, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაზეც ვავრცელებთ ჩვენი სუვერენული ხელისუფლების უფლებამოსილებას. ამ ქვეყნებშიაც, მემკვიდრეობის წესი გავრცელდება, რაც ჩვენს ქვეყნებშია შემოღებული.

ამრიგად, ორივე ქვეყნის მცხოვრებლები ყველა სიკეთით ისარგებლებენ, რაც აქამდე არსებული ურთიერთობის განმტკიცებას მოჰყვება. ახალი ნესწყობილება იმის თავდები იქნება, რომ განათლება და კეთილდღეობა მტკიცედ დამკვიდრდება თქვენს სამშობლოში.

ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მცხოვრებნო!

იმ უამრავ საზრუნავს შორის, რაც ჩვენს ტახტს აკისრია, თქვენ მატერიალურსა და სულიერ კეთილდღეობაზე ზრუნვა, არც მომავალში იქნება დავიწყებული. ჩვენ აღგვაფრთოვანებს ის დიადი აზრები, რაც კანონის წინაშე ყველას თანასწორუფლებიანობას ეხება: მონაწილეობა საკანონმდებლო ხელისუფლებასა და ქვეყნის მართვაში, ყველა სახის სარწმუნოების, ენისა და ეროვნულ თავისებურებათა თანაბარი დაცვა — ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე უფლებებით ყველა ერთნაირად ვისარგებლებთ.

პიროვნების თავისუფლება და საზოგადოების კეთილდღეობა — აი, რა იქნება ჩვენი მმართველობის გზის მანათობელი ვარსკვლავი ორივე ქვეყანაში...

ამ მეტწილად უცნაურსა და მისთვის უცნობ სიტყვებს თავჩაქინდრული და პირდაღებული უსმენდა ალი-ხოჯა. თავისთავად ნაცნობი სიტყვებიც კი მთლიანობაში რაღაც უცნაური და ბუნდოვანი იყო: „ნახნავის კვალში ჩაგდებული მარცვალი“, „წესრიგის დასამყარებლად აუცილებელი პირობები“, „უფლებრივი მდგომარეობის ზუსტი და უეჭველი დადგენა“, „ჩვენი მმართველობის გზის მანათობელი ვარსკვლავი“... დიახ, ეს ხელმწიფის სიტყვები გახლდათ. ყოველ ფრაზაში ხოჯა ხან შორეულ, უცნაურსა და სახიფათო მომავალს ხედავდა, ხან კი, პირიქით, ეს ფრაზები ბნელით მოცული ეჩვენებოდა, თითქოს თვალებზე შავი და მძიმე ფარდა ჩამოაფარესო. და ასე შენაცვლებით, ხან ვერაფერს ხედავდა, ხანაც იმას ხედავდა, რაც არ ესმოდა და კარგს არაფერს ჰპირდებოდა. მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ყველაფერი, თვით სასწაულიც კი, შესაძლებელია. ადამიანს შეუძლია ყველაფერი ყურადღებით მოისმინოს, არ გაერკვეს წვრილმანებში და ამავე დროს მთლიანობაში ყველაფერი კარგად გაიგოს და აწონ-დაწონოს.

სიტყვები „თესლი“, „ვარსკვლავი“, „ტახტის საზრუნავი“ თუ ზოგი რამ სხვა, რომელიღაც უცხო ენაზე იყო ნათქვამი, მაგრამ ხოჯას მაინც ეჩვენებოდა, რომ ესმოდა, რისი თქმა და შეგონებაც სურდათ, მონარქები, აგერ უკვე ოცდაათი წელია, ამგვარი მოწოდებებით მიმართავენ ქვეყნებსა და ქალაქებს, თავიანთ ხალხს. მაგრამ ხელმწიფეთა ყოველ-

გვარი მოწოდების თითოეული სიტყვაც კი ძვირად უჯდებათ: ქვეყნები ნაწილებად ქუცმაცდება, ადამიანთა მოკვეთილი თავები დაბლა ცვივა.

მოწოდებაში ნახსენებია „თესლი“, „ვარსკვლავი“, „ტახტის საზრუნავი“ მხოლოდ იმიტომ, რომ სინამდვილე მიჩქმალონ, სიმართლე არა თქვან, რომ ქვეყნებიც, ოლქებიცა და მათთან ერთად ცოცხალი ადამიანებიც თავიანთი ქალაქებითა და სოფლებით ხურდა ფულივით ერთი ხელიდან მეორეში გადადის, რომ მართლმორწმუნე და ნესიერი კეთილგანმზრახველი ადამიანი, ვერა პოულობს ქვეყანაზე იმ მყუდროებას, რაც ასე საჭიროა კაცის ხანმოკლე სიცოცხლისთვის, რომ მისი მდგომარეობა და კეთილდღეობა საკუთარი სურვილებისა და კეთილი ზრახვებისაგან დამოუკიდებლად იცვლება.

ალი-ხოჯა უსმენდა და ნათლად ახსენდებოდა, რომ ზუსტად ასეთივე ტყვიასავით სიმძიმე აწვა გულზე ამ ოცდაათი წლის წინათაც, როცა ამნაირ დაპირებებსა და მტკიცებას კითხულობდა. გრძნობდა, რომ „თურქული სანთელი ჩაქრა“. ეტყობა, საჭირო იყო, ადამიანებისთვის ეს სიტყვები გაეხსენებინათ.

... ეჭვგარეშეა, იმ ნდობის ღირსნი აღმოჩნდებით, რაც თქვენდამი გაგვაჩნია. ხალხისა და ხელმწიფის კეთილშობილური შეთანხმება სახელმწიფოებრივი პროგრესის ყველაზე ძვირფასი საწინდარია და ჩვენი ერთობლივი მოქმედების მუდმივი თანამგზავრი იქნება.

შედგენილია ჩვენი სამეფოს სატახტო ქალაქ ბუდაპეშტში.

ფრანც იოსები, საკუთარი ხელწერით.

როცა კითხვას მორჩა, ტყავისპალტოიანმა კაცმა მოულოდნელად დაიყვირა:

— გაუმარჯოს მის უდიდებულესობას, ჩვენს იმპერატორს!

— ვაშაა-ა-ა-ა! — თითქოს ბრძანება გასცესო, ისე წამოიყვირა ქუჩების გამნათებელმა, აყლაყუდა ფერჰათმა. ხალხი კი სწრაფად და უსიტყვოდ წავიდ-წამოვიდა.

ჯერ კიდევ კარგად არ დაღამებულიყო, რომ დიდი, თეთრი მოწოდება ჩამოგლიჯეს და მდინარეში გადაუძახეს. მეორე დღეს რამდენიმე ეჭვმიტანილი სერბიელი ახალგაზრდა დააპატიმრეს. კაპიაზე კი ხელახლა გააკრეს მანიფესტი და დარაჯი მიუჩინეს.

როცა ხელისუფლება იძულებულია, თავის მოქალაქეებს მშვიდობა და კეთილდღეობა პლაკატებით დაჰპირდეს, სწორედ მაშინ უნდა ვიყოთ ფხიზლად და ველოდოთ საწინააღმდეგოს. ოქტომბრის ბოლოს ჯარიც

გამოჩნდა. მარტო მატარებლებით კი არა, ძველი, მივიწყებული გზითაც კი მოდიოდნენ, ისე, როგორც ოცდაათი წლის წინათ, ციცაბოდან ხიდზე რომ ეშვებოდნენ და ქალაქში ზარბაზნებითა და საზიდრებით შემოდიოდნენ. ცხენოსნებს გარდა ჯარის სხვა სახეობაც იყო. ყაზარმები გაივსო. ჯარი კარვებში დაბანაკდა, განუწყვეტლივ მოედინებოდა ჯარის ახალ-ახალი ნაწილები. ქალაქში მხოლოდ რამდენიმე დღეს რჩებოდნენ და მერე სერბიის საზღვრის გაყოლებით სოფლებში ბანაკდებოდნენ. სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცთა უმეტესობა სამარქაფო ნაწილებიდან იყო ჩამოყვანილი. ფული ჰქონდათ და დუქნებში ათასგვარ წვრილმანს იძენდნენ. ხილსა და ტკბილეულს ბაზარზე ყიდულობდნენ. ფასებმა აიწია. თივისა და შვრიის მარაგები გაქრა. ახლომახლო სიმაგრეებს აშენებდნენ. თვით ხიდზე კი საკვირველი სამუშაო წამოიწყეს. შუაგულში, იქვე, კაპიის უკან, ერთ-ერთ საყრდენში საგანგებოდ ჩამოსულმა მუშებმა კვადრატული მეტრი კვეთის ღრმული ამოიღეს და მწვანე კარვით გადახურეს. შიგნიდან განუწყვეტელი კაკუნის ხმა გამოდიოდა, ხმა სულ უფრო და უფრო ყრუვდებოდა, გამოღებულ ქვას მაშინვე პირდაპირ მდინარეში ისროდნენ. თუმცა ამას ფრიად საიდუმლოდ აკეთებდნენ, მაგრამ ქალაქში მაინც ყველამ გაიგო, რომ ხიდს ნაღმავდნენ. ხიდის ერთ ბურჯში, ღრმა ხვრელს აკეთებდნენ, შიგ ასაფეთქებელი მასალა უნდა ჩაედოთ. თადარიგს იჭერდნენ იმ შემთხვევისათვის, თუ ომი დაინყებოდა და ხიდის აფეთქება გახდებოდა საჭირო. ხვრელში გრძელი რკინის კიბე ჩაუშვეს და, როცა ყველაფერი მზად იყო, ზევიდან რკინის ფილა დააფარეს. რამდენიმე დღის შემდეგ, ფილის ირგვლივ მოკირწყლული გზა მოასწორეს და ზედ ისე მშვიდად გადი-გამოდიოდა საზიდრები და ეკიპაჟები, ისე გაჩქარებულები დააბიჯებდნენ საქმიანი მგზავრები, რომ ნაღმი და ასაფეთქებელი ნივთიერება არავის აფიქრებდა.

მხოლოდ სკოლაში მიმავალი ბავშვები ჩერდებოდნენ ამ ადგილზე, რკინის ფილას ცნობისმოყვარედ ურაკუნებდნენ და მარჩიელობდნენ, თუ რა იმალებოდა მის ქვეშ; ოცნებობდნენ რომელიღაც სხვა ახალ ზანგზე, თითქოს ხიდის ქვეშ რომ იყო დამალული. დავობდნენ იმაზე, თუ რა არის ასაფეთქებელი ნივთიერება, რა ძალისაა და, საერთოდ, შესაძლებელია თუ არა ასეთი ხიდის აფეთქება. მოზრდილთაგან ერთადერთი ალი-ხოჯა უვლიდა ხოლმე მუშებს შორიახლო, პირქუშად და ეჭვის თვალით გახედავდა მწვანე კარავს, მერე კი, როცა მუშაობას ამთავრებდნენ, ხვრელზე დადებულ რკინის ფილას უყურებდა.

უსმენდა ვინ რას ლაპარაკობდა და ჩურჩულებდა. გაიგონა, ვითომც იმ საყრდენში ჭასავით ხვრელი გაეჭრათ და შიგ ასაფეთქებელი ნივთიერება ჩაედოთ, თან ელექტროსადენით ნაპირთან შეეერთებინოთ, ისიც თქვეს, რომ სარდალს შეუძლია დღისით თუ ღამით, როცა მოეპრიანება, მაშინ დაანგრიოს ხიდი, თითქოს ქვითკირისა კი არა, შაქრისა ყოფილიყოს.

ხოჯა ყურს უგდებდა, თავს აქნევდა და განუწყვეტლივ ამაზე ფიქრობდა. დღისით, როცა თავის „კუბოში" შედიოდა და საღამოსაც, როცა დასაძინებლად წვებოდა, ერთთავად ამას უტრიალებდა. ხან სჯეროდა ამ ძალის არსებობისა, ხან უარყოფდა როგორც უაზროსა და უღვთოს. მაგრამ ამაზე ისე ბევრს ფიქრობდა, რომ სიზმრებში თავის წინაპრებს ხედავდა, ოდესღაც მეჰმედ ფაშა ვაკუფის მმართველები რომ იყვნენ. და აი, ეს ნათესავები ალი-ხოჯას მკაცრად ეკითხებოდნენ, რა ხდებაო ხიდის თავს, მაგრამ ალი-ხოჯა სიზმარშიაც არავის უზიარებდა ამ ამბავს. არ უნდოდა ვინმესთვის ეკითხა, რადგან ხედავდა, რომ არც ერთი ჭკვიანი კაცი დიდი ხანია ამ ქალაქში რჩევას აღარავის ეკითხებოდა და ადამიანურად აღარავისთან აღარ საუბრობდა. ადამიანებმა თითქოს გონება და ნამუსი დაკარგეს ან ხოჯასავით თვითონაც აღშფოთებულნი და იმედგაცრუებულნი იყვნენ.

მაგრამ ერთხელ შემთხვევა მიეცა, ზოგი რამ მაინც გაეგო. ერთი ცირნიჩელი ბეგი მუჰამედ ბრანკოვიჩი ჯარში მსახურობდა. მერე იქვე, ვენაში დარჩა უვადო სამსახურში და ფელდფებელის ჩინამდე მიაღწია. იგი სწორედ იმ შემსი-ბეგის შვილიშვილი იყო ოკუპაციის შემდეგ შინ რომ ჩაიკეტა და ჯავრისაგან ჩამოხმა. მოხუც თურქებს შემსი-ბეგი ახლაც მიუნვდომელი ზნეობრივი სიდიადისა და მისაბაძი ქცევის მაგალითად მიაჩნდათ. სწორედ იმ წელიწადს ჩამოვიდა მუჰამედ-ბეგი შვებულებაში. მაღალი, წარმოსადეგი, წითური კაცი იყო. ყვითელი ყაითნითა და წითელი ფოჩებით გაწყობილი ცისფერი ფორმა ეცვა, საყელოზე ვერცხლისფერი ვარსკვლავები ეკეთა, ხელებზე თეთრი ტყავის ხელთათმანები ეცვა და წითელი ფესკა ეხურა. მოღიმარე, ფაქიზი და გამოწკეპილი მუჰამედ-ბეგი ბაზარში დასეირნობდა, გრძელ ხმალს დააწკარუნებდა და ყველასადმი ისეთი თავაზიანი და მშვიდი იყო, როგორც ის ადამიანი, ვინც ხელმწიფის პურს ჭამს, საკუთარი თავის სჯერა და სხვების არ ეშინია.

ალი-ხოჯამ ისარგებლა მუჰამედ-ბეგის დუქანში შემოსვლით, მიესალმა და როცა ბეგი ყავის დასალევად ჩამოჯდა, როგორც სახელმ-

წიფოს სამსახურში მყოფ კაცს, ჰკითხა, ამიხსენით, ხიდზე რას აკეთებენო, თვითონვე უამბო რას ლაპარაკობდნენ ქალაქში და ისიც ჰკითხა, შეიძლებოდა თუ არა, არნახული ამბავი მომხდარიყო შეგნებულად გაენირათ ისეთი საყოველთაო სარგებლობისათვის აშენებული წმიდათანმიდა ნაგებობა, როგორიც ხიდი იყო.

როგორც კი ფელდფებელი მიხვდა, რას ეკითხებოდა ალი-ხოჯა, ლაღი ღიმილი გაუქრა. გარუჯული და სუფთად გაპარსული სახე ისე გაუხევდა, როგორც აღლუმის დროს სმენაზე დამდგარ ჯარისკაცს.

თავი უხერხულად იგრძნო, ცოტა ხანს იყუჩა და მერე ყრუ ხმით უთხრა:

— არის ამაში სიმართლის ნასახი, მაგრამ გულახდილად რომ გითხრა, უმჯობესია, ამაზე ნურაფერს იკითხავ და ნურც ილაპარაკებ, რადგან ეს შეეხება სამხედრო მომზადებას, სამსახურებრივ საიდუმლოსა და სხვა ამდაგვარ ამბებს.

ხოჯას ყველა ახალი გამოთქმა და განსაკუთრებით სიტყვები „და ასე შემდეგ და სხვა ამგვარი" ძალზე ეჯავრებოდა. მარტო იმიტომ კი არა, რომ ყურსა სჭრიდა, იმიტომაც, რომ უცხოელები ამ სიტყვებს მაშინ ხმარობდნენ, როცა სიმართლის დაფარვა ეწადათ. ეს სიტყვებიც, მანამდე თქმული სიტყვებივით, სინამდვილეში არაფერს ნიშნავდა.

— ღვთის გულისათვის, ნუ იმეორებ ამ „და სხვა ამდაგვარს" თუ შეგიძლია, ამიხსენი რა ხდება ხიდზე. ეს არ უნდა იყოს საიდუმლო. რა საიდუმლოა, როცა მოსწავლეებმაც იციან ყველაფერი, ან რა კავშირი აქვს ხიდს ომთან? — გაცხარებული უტევდა ხოჯა.

— აქვს, ალი-ხოჯა, აქვს და მერე როგორი, — უპასუხა ბრანკოვიჩმა და ისევ გაიღიმა.

ხალისიანად თან ოდნავ ქედმაღლურად, ისე, როგორც ბავშვებს უხსნიან ხოლმე, ფელდფებელმაც განუმარტა, რომ ეს მესანგრეებისა და მეპონტონეების საქმეა, რომ იმპერატორის ჯარში ყველამ მხოლოდ თავისი საქმე იცის და სხვის საქმეებში არავინ ერევაო.

დიდხანს უსმენდა ხოჯა, უსმენდა, შეჰყურებდა, ვერაფერი გაიგო და ბოლოს იფეთქა.

— ეს ყველაფერი კარგი, კეთილო ადამიანო, მაგრამ იციან, რომ ეს ვეზირის ნმიდათანმიდა ნაბოძვარია? ხიდი მისი სულის მოსახსენებელი აღთქმითა და ღმერთის დიდი სიყვარულით არის აშენებული და იქიდან ერთი ქვის გამოცლაც კი ცოდვად ითვლება?

ფელდფებელმა ხელები გაშალა, ტუჩები მოკუმა, თვალები კი ისე მოწკურა, რომ სახეზე ოდნავ ცბიერი, მაგრამ, ამავე დროს, თავაზიანი და გაყინული, ყველაფრისადმი დახშული გამომეტყველება გამოეხატა. ის გამომეტყველება, როგორსაც ადამიანები ძველისძველ, ძირმომპალ სამმართველოში იძენენ. დიახ, იძენენ ბევრი წვალების მერე, როცა წინდახედულება უსულგულობაში გადაიზრდება, მორჩილება კი — ლაჩრობაში. ასე უმეტყველო სახესთან შედარებით, თეთრი, ჯერ კიდევ დაუწერელი ქაღალდი უფრო მჭევრმეტყველური მოგეჩვენებოდათ. მაგრამ იმპერატორის მსახურმა მაშინვე გაახილა თვალები, სახე შეიცვალა და თავის თავში დარწმუნებული მოღიმარი იმედიანი გამომეტყველება მიიღო, რომელშიაც დახვეწილი ვენური მიხრა-მოხრა და თურქული თავაზიანობა ერთმანეთთან შერწყმულიყო. ბრანკოვიჩმა ლაპარაკის საგანი შეცვალა, ლამაზ-ლამაზი სიტყვებით ხოჯას ჯანმრთელობა უსურვა და ისევე თავაზიანად დაემშვიდობა, როგორც მოვიდა.

გუნებაწამხდარი და შეცბუნებული ხოჯა მარტო დარჩა. მისი წუხილი ოდნავადაც არ განელებულა. მძიმე ფიქრებისაგან დათრგუნვილი, კარიდან გაჰყურებდა მარტის პირველი დღის ბრწყინვალე სილამაზეს. ხოჯას წინაშე მარადიული და ერთთავად უცვლელი ხიდი იდგა. მის ნათელ თაღებს შუა შუქდაღვრილი და მწვანედ მოლიცლიე დრინა მოჩანდა, მზეზე მობრჭყვიალე ფერად ყელსაბამს რომ წააგავდა.

ანექსიის კრიზისი, როგორც ეს ხალხმა უწოდა იმ დაძაბულობას, რამაც ხიდსაც და ქალაქსაც ავბედითი ჩრდილი გადააფარა, სწრაფად შესუსტდა. სადღაც შორს, მოლაპარაკებებისა და მიმოწერის გზით, დაინტერესებულ დედაქალაქებს შორის შეთანხმებას მიაღწიეს.

აჯანყების ცეცხლი, ასე ადვილად რომ ჩაღდებოდა ხოლმე საზღვარზე, ამჯერად არ აგიზგიზებულა. ქალაქსა და საზღვრისპირა სოფლებში დაბანაკებულმა ჯარმა გაზაფხულის პირველ დღეებშივე აიკრიფა გუდა-ნაბადი, მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, კრიზისით გამოწვეული ცვლილებები ჯარის შემცირებასთან ერთად არ გამქრალა. ქალაქში მუდმივად მდგარი გარნიზონი, ადრინდელთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა. ხიდი ისევ დანაღმული იყო, რაც ალი-ხოჯას გარდა სხვას არავის აფიქრებდა.

ხიდის მარცხნივ, ძველებური გალავნით შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთი, ანუ სამაზრო სანერგე ახლა სამხედრო ხელისუფლებმა დაიკავეს. ბაღში ხეხილი გაკაფეს და ოფიცერთა ახალი საკრებულოსთვის ორსართულიანი ლამაზი სახლი წამოჭიმეს. ბიკოვიცეს ძველი, პატარა, დაბალი შენობა მრავალრიცხოვან ოფიცრებს ვეღარ იტევდა. ამგვარად, ხიდის მარჯვნივ ახლა ლოტიკას სასტუმრო იდგა, მარცხნივ კი — ოფიცერთა საკრებულო. ორი თითქმის ერთნაირი თეთრი შენობა: მათ შორის დუქნებით შემოფარგლული მოედანი იყო. იმის იქით კი, გორაკზე, დიდი ყაზარმა იდგა, რომელსაც ხალხი ქვითკირის სასტუმროს ეძახდა. მეჰმედ ფაშას ქარვასლის სამახსოვროდ, ოდესღაც ამ ადგილას რომ იდგა და უკვალოდ გაქრა.

გასულ შემოდგომაზე ქალაქში ჯარის დაბანაკების გამო აწეული ფასები აღარ დაწეულა, პირიქით, თანდათანობით იზრდებოდა კიდევაც. იმ წლებში ორი ბანკი გაიხსნა: სერბიული და მუსულმანური. ხალხი, როგორც წამალს, ისე მიეტანა ვექსილებს. ყველა ვალს იღებდა. მაგრამ რაც უფრო ბევრი ფული აქვს კაცს, მით უფრო მეტი სჭირდება. ვინც უანგარიშოდ ფლანგავდა და იმაზე მეტს ხარჯავდა, ვიდრე შოულობდა, ცხოვრება საკმაოდ ასატანი ეჩვენებოდა, მაგრამ ვაჭრები და საქმოსნები შეწუხებულები იყვნენ. საქონლის გამოსყიდვის საკრედიტო ვალები მცირდებოდა. სასურველი და საიმედო მყიდველი სულ უფრო იშვიათი იყო. ზოგიერთი საქონლის ფასი ერთთავად იზრდებოდა. ყველაზე მეტად იაფფასიანი საქონელი საღდებოდა. მსხვილ გარიგებებს

მხოლოდ საეჭვო მყიდველები დებდნენ. ერთადერთი ხელსაყრელი და საიმედო საქმე არმიისათვის ან სახელმწიფო დაწესებულებებისათვის საქონლის მიწოდება იყო, მაგრამ ეს ყველას როდი შეეძლო.

სულ უფრო მრავლდებოდა და იზრდებოდა სახელმწიფო ბეგარა და სათემო გადასახადი. უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენდნენ გადასახადის აკრეფაშიც. საგრძნობი გახდა ბირჟაზე მავნე თამაშის შედეგი. მოგება უხილავ ხელში ხვდებოდა, წაგება კი ყველგან, მონარქიის შორეულ კუთხეებშიაც კი იგრძნობოდა და წვრილ სავაჭროთა, შუამავალთა და თვით მომხმარებელთა კისერზე გადადიოდა.

საერთოდ, ქალაქში მხიარულება და სიმშვიდე არ შეიმჩნეოდა, დაძაბულობის სწრაფმა შენელებამ სიწყნარე არც სერბიელებს მიანიჭა და არც მუსულმანებს. ზოგს ფარული იმედგაცრუება შერჩა, ზოგსაც უნდობლობის გრძნობა და მომავლის შიში, თუმცა ამის აშკარა საბაბი და მიზეზი არა ჰქონდათ. ელოდნენ მნიშვნელოვანი ამბების დატრიალებას, ხალხმა სიმშვიდე დაკარგა. უბრალო ადამიანებსაც კი, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, აღარ აკმაყოფილებდა ერთფეროვანი ცხოვრება, რაც წლების მანძილზე გრძელდებოდა. ყველას უკეთესი უნდოდა, დიდს ელტვოდა, უარესის ეშინოდა.

მარტო ხნიერი ხალხი მისტიროდა თურქული დროის „ტკბილ მყუდროებას" მათი საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო ხანად მიაჩნდათ, რაც მხოლოდ ავსტრიელთა ბატონობის პირველ ათწლეულს შემორჩა. მაგრამ ასეთები ცოტანი იყვნენ, სხვანი დაუცხრომელი, ხმაურიანი და მოუსვენარი ცხოვრებისაკენ ისწრაფოდნენ: სურდათ განცდათა მოზღვავება ეგრძნოთ, საკუთარი იქნებოდა ეს თუ სხვის განცდათა გამოძახილი. ეგრძნოთ მრავალფეროვნება, ხმაური, აღგზნება, რაც მოვლენების ასეთ ილუზიებს იძლევა. ყველაფერი ეს არა მარტო საერთო განწყობილებას ცვლიდა, ქალაქის გარეგნულ იერსაც ასხვაფერებდა. კაპიის ძველმა, დამდგარმა ცხოვრებამ კი წყლის, ზეცისა და მთების შუა მშვიდ საუბარში, წყნარ ოცნებაში, მხიარულ ოხუნჯობასა და სასიყვარულო სიმღერებში რომ მიედინებოდა, ცვლილება იწყო.

ყავახანის მეპატრონემ ხის უშნო ყუთი, გრამოფონი იყიდა, რომელსაც თუნუქის დიდი, ღია ცისფერი მილი ჰქონდა. მისი ვაჟი ფირფიტებსა და ნემსებს უცვლიდა და წარამარა ქოქავდა ამ მყვირალა მანქანას. მისი მჭექარე ხმა კაპიას ავსებდა და მდინარის ორივე მხარეს ეკოს გამოცემდა. სხვებს რომ არ ჩამორჩენოდა, მეპატრონე იძულებული იყო

გრამოფონი ეყიდა. გრამოფონს ახლა მაღალ საზოგადოებებსა და სამკითხველოებში კი არა, ყველაზე უბრალო ყავახანებშიც უკრავდნენ, იქ, სადაც ცაცხვის ქვეშ მწვანეზე ან აივანზე ხმადაბლა თავდაჭერილად საუბრობდნენ, ახლა ყველგან გრამოფონების ხრინწიანი ხმა ისმოდა. მსმენელებს თურქული მარშებით, სერბიული პატრიოტული სიმღერებითა და ოპერეტების არიებით უმასპინძლდებოდნენ. რასაკვირველია, იმის მიხედვით, თუ ვინ უსმენდა ამ სიმღერებს. სადაც ხმაური, ფუფუნება და ზედახორა არ იყო, იქ ვაჭრობას გასავალი აღარ ჰქონდა, რადგან ხალხი იქ აღარ დადიოდა.

ხარბად დაიწყეს გაზეთების კითხვა. მართალია, ზერელად და თვალის ერთი გადავლებით, მაგრამ მაინც კითხულობდნენ. ყველა მხოლოდ პირველ გვერდზე მსხვილსათაურებიან სენსაციურ ცნობებს ეტანებოდა. წვრილი ასოებით დასტამბულ მასალასა და წერილებს ვერც კი ამჩნევდნენ. ყველა ცდილობდა თავისი საქმიანობა მყვირალა სიტყვებით, ხმაურითა და ბრწყინვალებით შეემოსა. ახალგაზრდობას ისეთი დღე დღედ არ მიაჩნდა, თუ ღამით, დანოლისას ნანახითა და გაგონილით ყურები არ უშხუოდა და თვალები არ უციმციმებდა.

მედიდური და, ერთი შეხედვით, გულგრილი ქალაქელი აღები და ეფენდები კაპიაზე მოდიოდნენ, რათა ტრიპოლიში გაჩაღებული იტალია-თურქეთის ომის ახალი ამბები გაეგოთ. ხარბად უსმენდნენ ყველაფერს, რაც კი გაზეთებში ეწერა ახალგაზრდა გმირზე — თურქ მაიორ ენვერ ბეგზე, ვინც სულთნის მიწა-წყლისათვის ისე ებრძოდა იტალიელებს, როგორც სოკოლისა და ჩუპრილიჩის ნამდვილ შთამომავალს შეჰფეროდა. შუბლს იჭმუხნიდნენ გრამოფონის ხმამაღალ რახრახზე. მართალია, ფარულად, მაგრამ ღრმად, გულწრფელად განიცდიდნენ თურქეთის განაპირა მიწა-წყლის ბედს აფრიკაში.

ხანდახან, ამ დროს ხიდზე სამუშაოდან იტალიელი პიეტრო ბრუნდებოდა. ქვის მტვრისაგან გათეთერებულ, თავაზიან და მშიშარა ოსტატ პეროს ტილოს ტანსაცმელი საღებავებითა და სკიპიდრით ჰქონდა ამოთხიპნილი. ოსტატი დაბერდა და კიდევ უფრო მოიღუნა, როგორც მაშინ, იტალიელი ლუკენის დედოფალზე თავდასხმის ცნობა რომ გაიგო, პერო თითქოს ახლაც დამნაშავედ იქცა. მხოლოდ იმის გამო, რომ სადღაც შორს, თურქები მის მოძმე იტალიელებს ებრძოდნენ, ვისთანაც დიდი ხანია საერთო არა ჰქონდა რა. აი, ახლაც, ვიღაც თურქის პატარა ბიჭმა მიაძახა:

— ტრიპოლი გინდა, არამზადავ? ესეც შენ! — და მუშტი მოუღერა. მისმა ამფსონებმა უფრო უხეშად ანიშნეს რაღაც!

დაღლილმა და ნელში მოხრილმა, იღლიაში იარაღებამოჩრილმა ოსტატმა პერომ ჩამოიფხატა შლაპა თვალებზე, უფრო მაგრად ჩაუჭირა კბილები ჩიბუხს და მეიდნისკენ, თავისი სახლისკენ გაცუხცუხდა.

შინ მეუღლე სტანა ელოდებოდა, ისიც მობერდა და უწინდელი სიყოჩაღე აღარა ჰქონდა, მაგრამ მაინც ენამწარე და მყვირალა იყო. პერომ საწყლად შესჩივდა და უამბო, როგორ ნყევლა-კრულვით გამოეკიდნენ თურქი ბავშვები და როგორ მისძახოდნენ — ტრიპოლი, ტრიპოლიო, რომლის სახელიც რამდენიმე დღის წინ არც იცოდა. მაგრამ სტანამ არ უთანაგრძო, არ შეიბრალა მეუღლე, ისიც კი უთხრა, დაიმსახურე, შენი ბრალია, ბავშვები ასე რომ მოგძახიანო.

— ნამდვილი მამაკაცი უნდა იყო! ლაჩარი კი არა! გეთხლიშა თავში სატეხი ან ჩაქუჩი იმ საძაგლებისათვის და შენი მასხარად აგდების ხალისი დაეკარგებოდათ; იცოცხლე, ხიდზე შენი გამოჩენისას აქეთ-იქით გაიფანტებოდნენ.

— ეჰ, სტანა, სტანა, — უწყინრად, ოდნავ ნაღვლიანად ედავებოდა ოსტატი პერო, — როგორ შეიძლება, ადამიანმა ადამიანს თავში ჩაქუჩი ჩაარტყას?

ასე მიდიოდა ბობოქარი აზრებით აღსავსე, პატარა თუ დიდი მღელვარების წლები. დადგა 1912 წლის შემოდგომა. მას მოჰყვა 1913 წელი, რომელიც სერბიელთა ბალკანური ლაშქრობებითა და გამარჯვებებით აღინიშნა. მთელი ამ სამხედრო აურზაურიდან, როგორც გამონაკლისი, ისე უჩუმრად და თითქმის შეუმჩნეველად მოვიდა ის, რამაც ხიდზე, ქალაქზე და მის ყველა მცხოვრებზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა.

ქალაქი სიმინდის მოსავლის მოლოდინში იყო, მზიანი ოქროსფერი ოქტომბრის დღეები იდგა. მზის ამოსვლა-ჩასვლისას ცა მეწამულად იღებებოდა. დარიან დღეებში კაპიაზე ჯდომას არაფერი სჯობდა, თითქოს დროთა სრბოლა ქალაქის თავზე შეჩერდაო, და სწორედ მაშინ მოხდა ყველაფერი.

ვიდრე წერა-კითხვის მცოდნე ხალხი ერთმანეთის საწინააღმდეგო საგაზეთი ცნობებში გაერკვეოდა, თურქეთსა და ბალკანეთის ოთხ სახელმწიფოს შორის ომი დაიწყო. იგი ბალკანეთზე გამავალი უძველესი გზებით მიემართებოდა და ვიდრე ხალხი ომის მნიშვნელობასა და აზრს სწორად ჩაწვდებოდა, ომი სერბიელთა და ქრისტიანთა გამარჯვებით დამთავრდა. დამთავრდა საზღვარზე გაჩაღებული ხანძრის,

ზარბაზნების გრიალისა და კაპიაზე გამოკიდებული, მოკვეთილი თავების გარეშე. თითქოს საქმე ფულად ოპერაციებსა და ვაჭრობას ეხებოდაო. ეს უდიდესი მოვლენები უსწრაფესად განვითარდა. სადღაც იქ, ქვეყნის დასასრულს, სადაც აზარტულ თამაშს ეწეოდნენ თუ ომობოდნენ, იქვე წყდებოდა თითოეული კაცის ბედიც.

მართალია, ქალაქი გარეგნულად უცვლელად და მშვიდად გამოიყურებოდა, მაგრამ ამ მოვლენებმა ადამიანების სულში, ერთდროულად უდიდესი აღფრთოვანების ქარიშხალიც გამოიწვია და უღრმესი გულისტკივილიც. ომის ამბებს, ისევე, როგორც ყველაფერს, რაც კი უკანასკნელ ხანს ქვეყანაზე ხდებოდა, ვიშეგრადელი სერბიელები და მუსულმანები სხვადასხვანაირად, ერთმანეთისაგან განსხვავებულად აღიქვამდნენ, თუმცა გრძნობები ძალისმიერად ერთმანეთის ტოლფარდნი ჰქონდათ, მომხდარმა ამბებმა ზოგიერთის მოლოდინს გადააჭარბა, ზოგის შიში გამართლდა. ახლა უკვე აღარაფერს შეეძლო ყველაზე უფრო თამამი სურვილებისაკენ ადამიანის ოცნების ფანტასტიკური ფრენის შეჩერება, რამაც უამისოდაც, მთელი ასი წლით გაასწრო ზოზინა ისტორიას.

ყველაფერი, რაც ამ საბედისწერო ომში ქალაქს შეეძლო დაენახა და უშუალოდ განეცადა, გატყორცნილი ისარივით სწრაფად და ძალზე უბრალოდ გათამაშდა.

ავსტრია-უნგრეთისა და თურქეთის საზღვარი პატარა მდინარე უვტას გასდევს. სწორედ იქ, სადაც თურქების სადარაჯო ავსტრიელ ჟანდარმთა ყაზარმისაგან ხის ხიდით არის დაშორებული, ერთი თურქი ოფიცერი მცირერიცხოვანი გარნიზონის თანხლებით ავსტრიელთა მხარეზე გადავიდა. თეატრალურად გადატეხა ხმალი ხიდის მოაჯირზე და ავსტრიელ ჟანდარმებს ტყვედ ჩაბარდა. იმავე წუთში მთებიდან სერბიის ქვეითი ჯარის მოწინავე რაზმი დაეშვა და ბოსნიასა და სანჯაყს შორის მთელი საზღვრის გაყოლებით თურქი ასკერები შეცვალა. იმ ადგილს, სადაც ავსტრიის, თურქეთისა და სერბიის საზღვრები ერთმანეთს ემიჯნება, მნიშვნელობა დაეკარგა. თურქეთის საზღვარმა, ჯერ კიდევ გუშინ მხოლოდ თხუთმეტი კილომეტრით რომ იყო დაშორებული, ახლა უცბად ათასზე უფრო მეტი კილომეტრით, სადღაც ადრიანოპოლის იქით გადაინია. ამ მოკლე ხანში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა ძირფესვიანად შეძრა ქალაქი.

დრინას ხიდისათვის ეს იყო სასიკვდილო განაჩენი. სარაევოსთან დამყარებულმა სარკინიგზო მიმოსვლამ, როგორც დავინახეთ, ყვე-

ლანაირი კავშირი მოსპო დასავლეთთან. ახლა კი უეცრად კავშირი აღმოსავლეთთანაც შეწყდა. იმ აღმოსავლეთთან, რომელმაც ხიდი ააშენა და გუშინდლამდე აქვე, გვერდით იყო. მართალია, უკვე შერყეული და ძალგატეხილი, მაგრამ მაინც მიწასავით ნივთიერი და ხელშესახები, ახლა მოჩვენებასავით გაქრა. ხიდი ახლა მხოლოდ ქალაქის ორ ნაწილსა და დრინის გაღმა-გამოღმა გაშენებულ ათიოდე სოფელსღა აკავშირებდა.

სოკოლოვიჩელი ვეზირის ღვთისმოსაობითა და ჩანაფიქრით ქვის დიდ ხიდს „ღვთისადმი სიყვარულით" სახელმწიფოს ორი ნაწილი უნდა შეეერთებინა და დასავლეთიდან აღმოსავლეთით ანდა, პირიქით, აღმოსავლეთიდან დასავლეთით მგზავრობა გაეადვილებინა. ახლა კი, სინამდვილეში, ერთისგანაც და მეორისგანაც მოწყვეტილი აღმოჩნდა და მეჩეჩზე შემჯდარი გემივით თუ მიტოვებული ეკლესიასავით საკუთარ თავზე მინდობილი დარჩა. სამი საუკუნე უცვლელად და ერთგულად ემსახურა ადამიანებს, მაგრამ ადამიანებს სხვა მოთხოვნილებები გაუჩნდათ, სამყაროში ახალი ამბები მოხდა და მასთან ერთად ხიდის როლიც შეიცვალა.

სიდიდის, სიმკვრივისა და სილამაზის წყალობით ხიდზე კიდევ შეიძლებოდა ასეული წლების მანძილზე ევლო ჯარებსა და ქარავნებს, მაგრამ ადამიანთა ურთიერთობის მუდმივი და გაუთვალისწინებელი თამაშის შედეგად, ვეზირის წმინდა ნაბოძვარმა ადრინდელი მნიშვნელობა დაკარგა და რაღაც ჯადოსნური ძალით ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდა. ხიდის ახლანდელი როლი არ შეეფერებოდა მის უბერებელ იერს, მის მძლავრსა და მოხდენილ პროპორციებს. ხიდი ისევე უცვლელი იყო, როგორიც დიდი ვეზირის მზერას წარმოედგინა: ლამაზი, მკვრივი, ყოველგვარ ცვლილებაზე მაღლა მდგომი, ისეთი, როგორიც მისმა ხუროთმოძღვარმა შექმნა.

საჭირო იყო დრო და ძალ-ღონის დაძაბვა, რათა ქალაქელები მიმხვდარიყვნენ, თუ რა ეწერა იმ რამდენიმე სტრიქონში და რაც ამ ბოლო თვეებში ცხადად მოხდა. სიზმარშიც კი ძნელი იყო საზღვრების ასეთი უეცარი და დიდ მანძილზე გადაადგილება, რაც ამჯერად მოხდა.

ყველაფერი, რაც ადამიანთა სულის სიღრმეში იყო მიძინებული და ასეული წლები ამ ხიდივით გარინდებული, მდუმარე და უმოძრაოდ გაყუჩებული, ახლა უეცრად გამოცოცხლდა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე, საერთო განწყობილებაზე და თითოეულ ადამიანზე თავისი გავლენის კვალი დაამჩნია.

დადგა 1913 წლის ნაადრევი ზაფხულის წვიმიანი და თბილი დღეები. დღისით კაპიაზე გუნებადამძიმებული ქალაქელი მუსულმანები სხედან. ათიოდე მოხუცი ჭაბუკის ირგვლივ შემოკრებილა. ჭაბუკი გაზეთს უკითხავს, უცხოურ გამოთქმებს განუმარტავს და გეოგრაფიულ რუკაზე ქალაქებს უჩვენებს. ყველანი დინჯად აბოლებენ და პირდაპირ ჯიქურ იცქირებიენ, თუმცა მაინც ვერ ახერხებენ თავიანთი წუხილისა და დარდის დაფარვას. მღელვარების დასამალად რუკისკენ იხრებიან, სადაც ტეხილი ხაზითაა აღნიშნული ბალკანეთის ნახევარკუნძული, თუმცა რუკაზე გავლებული გველივით დაკლაკნილი ხაზები მათ არაფერს ეუბნება, მაგრამ ყველაფერი იციან და ესმით, სისხლში საკუთარი გეოგრაფია აქვთ და მსოფლიოს რუკას ინსტინქტით შეიგრძნობენ.

— ვის ერგო უშჩუპი? — მოჩვენებითი გულგრილობით ეკითხება ჭაბუკს ერთ-ერთი მოხუცი.

— სერბიას.

— ოჰ!

— სალონიკი ვიღასია?

— საბერძნეთისა.

— ოჰ, ოჰ!

— ადრიანოპოლი? — ჩუმად ეკითხება მესამე.

— ბულგარეთისა.

— ოჰ, ოჰ, ოჰ!

ხან ისეთი საწყალობელი და ხმადაბალი ნამოძახილები ისმის, მხოლოდ დიაცებსა და კაცუნებს რომ სჩვევიათ, ხან კი მოსაუბრეთა ჯაგარა ულვაშებს შორის ზაფხულის ჰაერში აჭრილ თამბაქოს კვამლში ყრუ და მძიმე ოხვრა ითქვიფება. მოხუცთა უმრავლესობას სამოცდაათი წლისთვის გადაუბიჯებია. მათ ბავშვობაში თურქეთის სამფლობელო ლიკადან და კორდუნიდან დაწყებული, ვიდრე სტამბოლამდე და სტამბოლიდან შორეულ და გაუვალ არაბეთის უდაბნოს განაპირა საზღვრებამდე იყო გადაჭიმული („თურქეთის სახელმწიფო“ — დიდი, განუყოფელი და მუდამ დღეგრძელი მუჰამედის სარწმუნოებით შეკრული დედამინის ის ნაწილია, სადაც მუეძინი წირვაზე უხმობს ხალხს). ეს კარგად ახსოვთ, მაგრამ ისიც კარგად იციან, თუ როგორ დაიხია თურქეთმა სერბიიდან ბოსნიაში, ბოსნიიდან სანჯაყში, ახლა იმასაც მოესწრნენ, რომ მისი ძლიერება, როგორც ზღვა მიქცევის დროს, ისე უკუიქცა და სადღაც ცხრა მთას იქით გადაიკარგა, თვითონ კი აქ შერჩ-

ნენ, როგორც დამშრალ ფსკერზე ზღვის ბალახი, საკუთარი თავისა და ბოროტი ბედის ანაბარა.

ყველაფერი ღვთით არის ზეგარდმო მოვლენილი და, ეჭვგარეშეა, ყველაფერი, განგების ნებით სრულდება, მაგრამ ძნელი ამოსაცნობია, კაცს სუნთქვა გეკვრის, გონება გემღვრევა. ადამიანი გრძნობს, როგორ ვერაგულად აცლიან მიწას ფეხქვეშ, თითქოს ხალიჩაო. საზღვრები — ეს მუდმივი და უცვლელი მიჯნები წარმავალი და ცვალებადი ხდება, გაზაფხულის ჭირვეული ნაკადივით ამოძრავებული, სადღაც მიდის, იკარგება.

ასეთი ფიქრებითა და გრძნობებით შეპყრობილი მოხუცები კაპიაზე ისხდნენ და უგულოდ, დაბნეულად ისმენდნენ გაზეთებში წაკითხულს. მდუმარედ უსმენდნენ, რადგან ის, რასაც გაზეთები მონარქებსა და სახელმწიფოებზე წერდნენ ყოვლად თავხედურ, უგუნურ და უადგილო ნათქვამად ეჩვენებოდათ, აზრის გამოთქმის ყაიდა კი რაღაც უღმერთოდ, ულოგიკოდ, ცხოვრების მუდმივი კანონის საწინააღმდეგოდ მიაჩნდათ, ისეთად, საიდანაც „სასიკეთო არაფერი გამოვა" და რასაც პატიოსანი და გონიერი ადამიანი არ შეიძლება შეურიგდეს. თავზევით თამბაქოს ბოლი იკლაკნებოდა. მაღლა ცაში წვიმიანი გაზაფხულის თეთრად მიმოფანტული ღრუბლები მიცურავდა და დედამიწაზეც მათი ფართო და სწრაფი ჩრდილები ფარფატებდა.

ღამღამობით იმავე კაპიაზე გვიანობამდე ისხდნენ სერბიელი ჭაბუკები და ხმამაღლა, უშიშრად მღეროდნენ სერბიულ ზარბაზანზე, მათ უკვე აღარავინ აჯარიმებდა. ჭაბუკებთან ხშირად იყვნენ სტუდენტები და გიმნაზიელები. ამ გამხდარ და ფერმკრთალ, თმაჩამოზრდილ ყმაწვილებს ფართოფარფლებიანი შავი შლაპები ეხურათ და, თუმცა სასწავლო წელი დიდი ხნის დაწყებული იყო, მაინც ხშირად შეიძლებოდა მათი ნახვა. სარაევოდან მატარებლით ჩამოდიოდნენ, შეხვედრის ადგილი და ნიშანი წინასწარვე ჰქონდათ დათქმული. საღამოთი გამოჩნდებოდნენ კაპიაზე და დილით უკვე ქალაქში აღარ იყვნენ, ვიშეგრადელი ახალგაზრდები საიდუმლოდ სერბიაში გადაჰყავდათ.

ზაფხულის თვეებში, როცა ვიშეგრადელი სტუდენტები და გიმნაზიელები საზაფხულო არდადეგებზე ჩამოდიოდნენ, ქალაქიცა და კაპიაც ცოცხლებოდა. ჩამოსული ახალგაზრდობის გავლენა მთელ ქალაქში იგრძნობოდა.

ივნისის ბოლოს სარაევოელი გიმნაზიელები ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებოდნენ. ივლისის პირველ ნახევარში კი ერთიმეორის მიყოლებით

ჩამოდიოდნენ ვენის, პრაღის, გრაცისა* და ზაგრების უნივერსიტეტების სტუდენტობა — იურისტები, მედიკოსები, ფილოსოფოსები. ჩამოვიდოდნენ თუ არა, ქალაქს იერსახე ეცვლებოდა. ბაზარში და კაპიაზე სახეცვლილი, უჩვეულო ჭაბუკური სახეები გამოკრთებოდა, მათი მეტყველება, ჩაცმულობა მიხრა-მოხრა საგრძნობლად გამოირჩეოდა აქაურების ქცევისა და ძველყაიდური ჩაცმისაგან. მუქი ფერის, უკანასკნელ მოდაზე შეკერილი კოსტიუმები ეცვათ. მთელს შუა ევროპაში უკანასკნელ მოდად და სიკოხტავის ნიმუშად აღიარებული რბილი, პანამური შალისაგან მოქსოვილი დაშვებულფარფლებიანი შლაპები ეხურათ, შლაპებს წვრილი ექვსფერიანი ბაფთა ჰქონდა შემოვლებული, ფეხზე ფართოჭვინტიანი ამერიკული ფეხსაცმელები ეცვათ. უმრავლესობა სქელი ბამბუკის ხელჯოხით დადიოდა. პალტოს ღილკილოში „შევარდნის“ ან სხვა სტუდენტური საზოგადოების ლითონის სამკერდე ნიშანი ეკეთათ.

მოდასთან ერთად სტუდენტებს შემოჰქონდათ ახალი სიტყვები და ოხუნჯობანი, ახალი სიმღერები და ცეკვები, ანუ მათი ზამთრის გართობის ნაკვალევი და, რაც მთავარია, სერბიულ, ჩეხურ და გერმანულ ენებზე დაბეჭდილი წიგნები და ბროშურები.

ადრე, ავსტრიის ბატონობის პირველი ოცი წლის განმავლობაშიც მიდიოდნენ ქალაქელი ახალგაზრდები სასწავლებლად, მაგრამ მაშინ არც ამდენი იყვნენ და არც ამდაგვარად განწყობილნი. პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში არცთუ ისე ბევრმა დაამთავრა სარაევოს სასწავლებელი, სემინარია, ხოლო თითო-ოროლამ იურიდიული და ფილოსოფიური ფაკულტეტი ვენაში. ესენი მოკრძალებული ახალგაზრდები იყვნენ, მშვიდად და შეუმჩნეველად აბარებდნენ გამოცდებს და მერე სახელმწიფო ბიუროკრატიის მოსაწყენ რიგებში ითქვიფებოდნენ. მაგრამ ამ ბოლო ხანს ქალაქელ სტუდენტთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა; ეროვნულ განმანათლებელი ორგანიზაციების დახმარებით ახლა სასწავლებლად გლეხებისა და წვრილი ხელოსნების შვილებსაც აგზავნიდნენ. განსაკუთრებით შეიცვალა თვითონ სტუდენტების სულისკვეთება და ხასიათი.

ესენი არ იყვნენ ოკუპაციის პირველი დღეების გულუბრყვილო, თვინიერი, სწავლისთვის თავგადაკლული სტუდენტები ან ჩვეულებრივი ქალაქელი ლოთიშოთები, უწინდელი კოხტაპრუწა ბიჭები, მომავალი ვაჭრები თუ ხელოსნები, თავიანთ ახალგაზრდულ ცეცხლსა და ძალ-

* გრაცი — საუნივერსიტეტო ქალაქი ავსტრიაში.

ღონის მეტ წილს კაპიაზე რომ ხარჯავდნენ. მათი მახლობლებიც რომ იმას გაიძახოდნენ: „ცოლი შევრთოთ, ეგებ, ჭკუაში ჩავარდესო!". არა, ესენი სულ სხვა ხალხი იყო, სხვადასხვა სახელმწიფოსა და ქალაქებში, სხვადასხვაგვარი გავლენით აღზრდილები.

დიდი ქალაქებიდან, უნივერსიტეტებიდან და გიმნაზიებიდან ახალგაზრდები სიამაყით აღვსილები ბრუნდებოდნენ, რაც მუდამ ეუფლებათ მეცნიერების ახლად ნაზიარებ ჭაბუკებს. ჩამოდიოდნენ ხალხთა თავისუფლების ცალკეულ ადამიანთა კეთილდღეობისა და პატივისცემის იდეებით განმსჭვალულნი. სოციოლოგიურ და რელიგიურ სფეროში მათ ლიბერალური იდეები იტაცებდათ და ახლად გამოღვიძებული ეროვნული გრძნობა უღვიოდათ. უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით ბალკანეთის ომებში სერბიელთა გამარჯვების შემდეგ, თითქმის ყველა ეროვნულმა გრძნობამ შეიპყრო, ზოგიერთი ახალგაზრდა მოქმედებისადმი მისწრაფებას ამჟღავნებდა და არც პირად თავგანწირვაზე იხევდა უკან.

ამ ახალგაზრდების თავშეყრის მთავარი ადგილი კაპია იყო. ნავახშმევს იკრიბებოდნენ და სიბნელეში, ვარსკვლავებისა თუ მთვარის შუქზე, აბობოქრებულ მდინარის თავზე, წყნარ ღამეში შორს გაისმოდა მათი სიმღერა, ოხუნჯობა, ხმამაღალი ლაპარაკი და გაუთავებელი კამათი. აქ შიშვლდებოდა მათი ახალი, გაბედული, გულახდილი, გულუბრყვილო, შეურიგებელი გრძნობები და აზრები. მათთან ერთად ბავშვობის მეგობრები და სკოლის ამხანაგებიც მოდიოდნენ, ისინი, ვინც ქალაქში დარჩნენ ხელოსანთა შეგირდებად, ნოქრებად, კანტორის მუშაკებად ან გადამწერებად სათემოში თუ რომელიმე დაწესებულებაში. ქალაქში დარჩენილებიც ორ ჯგუფად იყოფოდნენ. ერთნი კმაყოფილნი იყვნენ საკუთარი ბედითა და ქალაქში დარჩენით, სადაც მთელი სიცოცხლე უნდა გაეტარებინათ. ესენი ცნობისმოყვარედ და კეთილი გულით უყურებდნენ თავიანთ ნასწავლ ამხანაგებს, უკვირდათ მათი, მაგრამ, არასდროს ცდილან მათთან გატოლებას, უბოროტოდ უხაროდათ მათი განათლება და წარმატებები. მეორენი, პირიქით, არ ურიგდებოდნენ ცხოვრებას, რომელიც ბედმა არგუნათ, ესწრაფოდნენ რაღაც უფრო დიდსა და უფრო მნიშვნელოვანს, მაგრამ ამაოდ: მათი იმედები დღითი დღე იწურებოდა და უფრო ხელმიუწვდომი ხდებოდა.

მართალია, ესენიც მეგობრობდნენ სტუდენტ ამხანაგებთან, მაგრამ, თავიანთი კბილა ბიჭებისაგან განსხვავებით, მათ უფრო უკმეხად და ირონიულად ელაპარაკებოდნენ ან პირქუშად სდუმდნენ, მათ არ შეე-

ძლოთ საერთო საუბარში სტუდენტებს გატოლებოდნენ, სტანჯავდათ იმის შეგნება, რომ ნაკლებად განათლებულები იყვნენ. ხან გადაჭარბებულად უსვამდნენ ხაზს საკუთარ უბრალოებასა და უსწავლელობას, თავიანთ იღბლიან მეგობრებთან შედარებით, ხან კი უმეცრების გამო, ყველას გესლიანად დასცინოდნენ. ცხადია, ორივე შემთხვევაში აშკარა და შესამჩნევი შური ამოძრავებდათ, მაგრამ ახალგაზრდობა უარეს ნაკლოვანებებსაც ადვილად ეგუება და თავისუფლად და უზრუნველად აგრძელებს გზას.

იყო და მომავალშიც იქნება ზაფხულის ღამეები, ქალაქის თავზე ბრწყინვალე ვარსკვლავები და მთვარე, მაგრამ დღემდე არ ყოფილა და ღმერთმა იცის, იქნებიან კი ოდესმე ისეთი ახალგაზრდები, ვისაც ასეთი აზრები და გრძნობები ააღელვებს, ასეთ საუბრებში გაატარებენ ღამეებს კაპიაზე? ეს აჯანყებულ ანგელოზთა თაობა იყო, ისინი მთელი თავიანთი ძალ-ღონითა და ანგელოზური გრძნობებით კიდევ აჯანყებულთა მგზნებარე სიამაყით იწვოდნენ. ბედმა ბოსნიის ამ მივიწყებულ ქალაქის გლეხთა, ხელოსანთა და ვაჭართა შვილებს, ყოველგვარი სიძნელის გარეშე გაუხსნა სამყაროსაკენ მიმავალი გზა და თავისუფლების უდიდეს ოცნებებს აზიარა. ამ სამყაროსკენ ისე მიდიოდნენ, რომ ქალაქურ ჩვევებს არ ივიწყებდნენ. ნაცნობთა, მეგობართა წრეს და გასართობს მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად, საკუთარი მიდრეკილების, წუთიერი განწყობისა თუ ჟინიანი შემთხვევის მიხედვით ირჩევდნენ, ბევრ მათგანს არ ესმოდა და არც შეეძლო ჩასწვდომოდა ნანახის არსს, მაგრამ მათ შორის არავინ იყო ისეთი, ვინც არ იცოდა, რომ ყველაფრის მიღწევა შეიძლება, რომ რაც მის გარშემო არსებობს, მას ეკუთვნის. ცხოვრება (ამ სიტყვას მაშინ საუბარში, ლიტერატურასა და პოლიტიკაში ხშირად იხსენიებდნენ და დიდი ასოთი წერდნენ) მათ თვალში ყველასათვის შეუზღუდავი გრძნობებისა და ცოდნისმოყვარეობის გამოსამჟღავნებელ საგნად გადაიქცა და მომავალ უმაგალითო გმირობათა ასპარეზი გახდა.

მათ წინაშე უსაზღვრო შორეთისაკენ მიმავალი ყველა გზა ხსნილი იყო და თუმცა ბევრ მათგანს არც არასდროს მოუწევდა ამ გზებზე ფეხის დადგმა, მაინც სიცოცხლის დამათრობელ ძალას ანიჭებდათ იმის შეგნება, რომ მათ შეუძლიათ (ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მაინც) თავისუფლად და საკუთარი სურვილებისამებრ აირჩიონ ცხოვრების გზა და თამამად გადაუხვიონ ერთი გზიდან მეორეზე.

ყველაფერი ის, რის მოპოვებასაც სხვადასხვა რასის, სხვადასხვა ქვეყნისა და დროის რამდენიმე თაობა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით ცდილობდა, ბოლოს და ბოლოს მოიპოვა სიცოცხლისა და უდიდესი მსხვერპლის ფასად, თვით ცხოვრებაზე მეტად რომ ფასობდა. ახალგაზრდა თაობისათვის კი იყო შემთხვევითი მემკვიდრეობა, ბედის სახიფათო საჩუქარი. რაც უნდა დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, ეს სწორედ ასე იყო. მათ შეეძლოთ როგორც სურდათ, ისე გამოეყენებინათ თავიანთი სიჭაბუკე, რადგან ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობდნენ, სადაც სოციალური და პირადი ზნეობის კანონები, თვით სისხლის სამართლის დანაშაულებათა ცნებაც კი, სრულ კრიზისს განიცდიდა. ისინი ამ კანონებს თავისუფლად აკრიტიკებდნენ, ნებისმიერ საზოგადოებრივ ჯგუფს თუ ცალკეულ პირს შეეძლო მიეღო ან უარეყო ისინი. ახალგაზრდობას შეეძლო ისე ეაზროვნა, როგორც მოეპრიანებოდა და საკუთარი შეხედულებები თავისუფლად და შეუზღუდავად გამოეთქვა.

რასაც ფიქრობდნენ, ხმამაღლა გამოთქვამდნენ. ლაპარაკობდნენ კი ყველაფერზე. ბევრ მათგანს ეს სიტყვები ნამდვილ საქმედ ეჩვენებოდა და გმირობის, დიდების, ძალადობისა და ნგრევისაკენ მიმართულ მათ ატავისტურ მისწრაფებებს აკმაყოფილებდა. აქტიურ მოქმედებას არ ითხოვდნენ და არც არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ.

ამ ჭაბუკებიდან ყველაზე უფრო ნიჭიერებს ეზიზღებოდათ ყველაფერი, რასაც სწავლა სჭირდებოდა. გადაჭარბებით აფასებდნენ საკუთარ შესაძლებლობებს, იმით ამყობდნენ, რაც არ იცოდნენ, იმით იყვნენ გატაცებული, რაც მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა. ძნელია მოიფიქრო ამაზე უფრო სახიფათო მიდგომა ცხოვრებისადმი და ამაზე სწორი გზა საყოველთაო გმირობისა — ან პირიქით, სრული განადგურებისაკენ. ამათგან მხოლოდ ყველაზე შეუპოვარნი და ძლიერნი დებდნენ თავს დავრიშულ ფანატიზმზე და ჭეშმარიტად ეძლეოდნენ მშფოთვარე საქმიანობას. ფარვანებივით იწვოდნენ, რათა მომავალში მათ სწორფერებს, როგორც წამებულნი და ნმინდანნი, ისე განედიდებინათ მათი სახელები (რადგან არ არსებობს ისეთი თაობა, რომელსაც საკუთარი წმინდანები არ ჰყავდეს) და მიუწვდომელი იდეალის კვარცხლბეკზე აეყვანათ.

ადამიანთა ყოველ თაობას საკუთარი ილუზიები აქვს ცივილიზაციის მიმართ: ზოგს სჯერა, რომ ხელს უწყობს ცივილიზაციის წინსვლას, ზოგსაც ჰგონია, რომ სწორედ ცივილიზაციის დაღუპვის მოწმე გახდა. სინამდვილეში კი, ცივილიზაცია მუდამ ანთია. იფერფლება და ქრება, ეს

იმის მიხედვით, თუ რომელი კუთხიდან შევხედავთ მას. თაობა, რომელიც ვარსკვლავების შუქით განათებულ ღამეში კაპიაზე ფილოსოფიურ, სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობდა, მხოლოდ ოცნებებით იყო მდიდარი, სხვა მხრივ არაფრით განსხვავდებოდა სხვებისაგან. ამ თაობას ისიც ეჩვენებოდა, რომ ახალი ცივილიზაციის ჩირაღდანს ანთებდა და ძველს, ჩაფერფლამდე დასულ ჩირაღდნებს აქრობდა. ამ თაობაზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ დიდი ხანია არ ყოფილა ისეთი ახალგაზრდობა, რომელსაც ასე მძლავრად და მამაცურად ეოცნება და ელაპარაკა ცხოვრების სიამოვნებასა და თავისუფლებაზე, თუმცა თავად ასე ცოტა რამ მიეღო ცხოვრებისაგან, ასე მძიმე ტვირთი წამოეკიდა და ამდენი მსხვერპლი გაეღო.

მაგრამ 1913 წლის ზაფხულის მძიმე დღეებში ეს მხოლოდ და მხოლოდ გაბედული, მაგრამ ბუნდოვანი ოცნებები იყო. ყველაფერი ამაღელვებელ, მაგრამ ახალ თამაშს ჰგავდა იმ ძველისძველ ხიდზე, რომელიც ივლისის ღამეში მთვარის შუქით განათებული, კვლავინდებურად ლამაზი, მოხდენილი, უცვლელად ახალგაზრდული და გამძლე ჩანდა. ყველაფერზე მკვიდრი და გამძლე, რაც კი დრო-ჟამს შეუძლია გაიღოს ან ადამიანმა ჩაიფიქროს და განახორციელოს.

თავი მეცხრამეტე

ისე, როგორც ზაფხულის ბუნიობის დროის თბილი საღამოები ერთიმეორეს ჩამოჰგავს, ქალაქელი გიმნაზიელებისა და სტუდენტების სალაპარაკო თემაც მუდამ ერთი და იგივე იყო.

მდინარის პირას გატარებული დღის შემდეგ, სადაც იბანავეს და მზეზეც ირუჯებოდნენ, შინ მობრუნებულმა ახალგაზრდებმა სახელდახელოდ წაივახშმეს და ერთიმეორის მიყოლებით კაპიაზე იწყეს თავშეყრა.

მოვიდა მეიდანელი მკერავის ვაჟი იანკო სტიკოვიჩი. ამ ყმაწვილს გრაცის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის ოთხი სემესტრი ჰქონდა დამთავრებული. ხმელ-ხმელი ბიჭი იყო, მოგრძო პროფილი და შავი, გადატკეცილი თმა ჰქონდა, ძალზე პატივმოყვარე ჭაბუკი ერთთავად უკმაყოფილო გახლდათ. ბევრს კითხულობდა, წერდა წერილებს, ფსევდონიმით ბეჭდავდა და უკვე ცნობილიც იყო პრაღისა და ზაგრების რევოლუციურ გაზეთებში.

ეროვნული გამომცემლობის „ზარიას“ დავალებით სიმღერების კრებული მოამზადა, რომელსაც სხვა ფსევდონიმი მოაწერა. სტიკოვიჩი კარგი ორატორიც გახლდათ და სტუდენტური შეკრებების მგზნებარე მოკამათედ ითვლებოდა.

აი, უკვე ხიდზე გამოჩნდა ჯან-ღონით სავსე, ზორბა ჭაბუკი ველემირ სტევანოვიჩი.

ეს ნაშვილები ყმაწვილი სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებდა პრაღაში. ყველაფერს ირონიულად ეკიდებოდა, საღად მსჯელობდა, ხელმომჭირნედ ცხოვრობდა და გულმოდგინედ სწავლობდა.

აქვე იყო ყველასათვის ცნობილი და უწყინარი ვიშეგრადელი წერილების დამტარებლის ვაჟი, შავგვრემანი, ტანდაბალი იაკობ ჰერაკი, გამჭრიახი გამოხედვის მქონე და სხაპასხუპით მოლაპარაკე ყმაწვილი. იგი იურისტობისათვის ემზადებოდა, თუმცა თავგამოდებული სოციალისტის პოლემიკური შემართება მის რბილ ხასიათს არ ესადაგებოდა. ჰერაკს რცხვენოდა თავისი კეთილი გულისა და გრძნობების დათრგუნვას ცდილობდა.

კაპიაზე იყო აგრეთვე ენაძვირი, გულკეთილი ჭაბუკი რანკო მიხაილოვიჩიც. ისიც სამართალს სწავლობდა ზაგრებში და აქედანვე ოცნებობდა მოხელის კარიერაზე. ზანტად, უხალისოდ ჩაერეოდა ხოლ-

მე მეგობრულ კამათში, სადაც სიყვარულზე, პოლიტიკაზე, სოციალურ წყობასა და საერთოდ, ცხოვრებაზე იყო შეხლა-შემოხლა.

დედის მხრიდან იმ დეკანოზ მიხეილის ბადიში შვილი იყო, ვისი თავიც მარგილზე წამოაცვეს და პირში ნამწვავგაგრილი კაპიაზე გამოჰკიდეს.

რამდენიმე სარაევოელი გიმნაზიელი გულისყურით ისმენდა უფროსი მეგობრების საუბარს დიდი ქალაქების ცხოვრებაზე.

ყმაწვილური პატივმოყვარეობითა და ფარული გულისთქმით აღძრულ ოცნებებში ამ ჭაბუკებს აწმყოცა და მომავალიც დიდებითა და სილამაზით აღესილი ეხატებოდათ.

მოსულიყო ფერმკრთალი და ზანტი, ახალგაზრდა ნიკოლა გლასინჩანინიც. სიღარიბის, ჯანდაგი ჯანმრთელობისა და სიზარმაცის გამო იძულებული გახდა გიმნაზიის მეოთხე კლასიდან გამოსულიყო. ბიჭი ქალაქში დაბრუნდა და ხე-ტყის დამამზადებელ გერმანულ ფირმაში საქმისმწარმოებლად დაიწყო მუშაობა.

წარმოშობით ოკოლიშჩელი გაკოტრებული ვაჭრის ოჯახიდან იყო.

პაპამისი მილან გლასინჩანინი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დაავადდა, როცა ქონების დიდი წილი ბანქოში წააგო და ოკუპაციის შემდეგ მალევე გარდაიცვალა სარაევოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მამამისი, ასევე ავადმყოფური, უნებისყოფო, სუსტი და შეუმჩნეველი პეტრე იმავე წელს მშობელს მიჰყვა უკან.

ნიკოლა ახლა თითქმის მთელ დღეებს მდინარის პირას მუშებთან ატარებდა, ფიჭვის მძიმე მორებს რომ აგროვებდნენ და წყალზე აცურებდნენ. იგი სხვადასხვა ჯიშის დამზადებულ ხე-ტყის მოცულობას ანგარიშობდა. შემდეგ კი კანტორაში ჩანაწერებს აკეთებდა და უწყისში შეჰქონდა.

ერთფეროვანი სამუშაო, თან იმ ადამიანების გარემოცვაში ყოფნა, მხოლოდ ყოველდღიური ზრუნვით რომ იყვნენ გართულნი, მტანჯველად და დამამცირებლად ეჩვენებოდა, ხოლო საკუთარი საზოგადოებრივი მდგომარეობის შეცვლისა და წინსვლის შეუძლებლობამ მგრძნობიარე ახალგაზრდა ნაადრევად მოწიფულ, მოწყენილ და სიტყვაძვირ კაცად აქცია.

თავისუფალ დროს ბევრს კითხულობდა, მაგრამ სულიერი საზრდო შველის მაგივრად, პირიქით, გუნებას უფრო უფუჭებდა.

მძიმე ხვედრმა, მარტოობამ და ტანჯვამ თვალები აუხილა, გააკეთილშობილა ჭაბუკის სული. მაგრამ ბრწყინვალე აზრები და ამა-

ღლებული გრძნობები მის მხნეობას მხოლოდ ასუსტებდა და ანაღვლიანებდა, რადგან ამ ფონზე უფრო ნათლად ჩანდა, მომავლის იმედს მოკლებული, მისი მწარე ქალაქური ცხოვრება.

კაპიაზე მხიარული და გულკეთილი ზეინკალი ვლადა მარიჩიც დადიოდა. მის უნივერსიტეტელ ამხანაგებს უყვარდათ იგი როგორც ძლიერი და ლამაზი ბარიტონის პატრონი და როგორც გულახდილი, გულკეთილი კაცი.

ეს ღონიერი, „ზეინკლის" კეპიანი ახალგაზრდა იმ მოკრძალებულ ადამიანთა რიცხვი ეკუთვნოდა, ვინც იმით კმაყოფილდება, რაც აქვს, არავის ეჯიბრება, არავის უტოლდება, მადლიერებით და მშვიდად იღებს იმას, რასაც ცხოვრება სთავაზობს და თვითონაც სხვებისთვის არაფერს იშურებს.

მათ წრეში ორი ქალაქელი მასწავლებელი ქალიც ერია — ზორკა და ზაგორკა. ორივენი მკვიდრი ვიშეგრადელები იყვნენ.

ახალგაზრდები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ მათი გული მოეგოთ, თუმცა ეს გულწრფელი, გულუბრყვილო და ახლართულ-ჩახლართული სასიყვარულო თამაში წრის ზოგიერთ წევრს გვარიან ტანჯვასაც ჰგვრიდა. ტურნირების მოყვარული, შუა საუკუნეების დროინდელი ქალბატონებივით, ეს ქალიშვილებიც ყველა დისკუსიას ესწრებოდნენ. მათი მიზეზით იყო, რომელიმე ყმაწვილი კაპიაზე რომ განმარტოვდებოდა და მოღუშული ეწეოდა თუთუნს ან სულაც ნასვამთა ამქარში შეერეოდა და მათთან ერთად მღეროდა.

ქალიშვილების გამო მეგობრებში ჩუმი წყენაც ჩამოვარდებოდა ხოლმე, ხშირი იყო უხეიროდ შენიღბული ეჭვიანობა. ზოგჯერ კინკლაობდნენ კიდეც. მასწავლებლები დაახლოებით ათ საათზე ტოვებდნენ ხიდს. ჭაბუკები კიდევ დიდხანს რჩებოდნენ, მაგრამ კაპიაზე თავშეყრილებს ხალისი ეკარგებოდათ და შემართული მჭევრმეტყველებაც ფრთებს კეცავდა.

მუდამ საუბრის მოთავე სტიკოვიჩი ამ საღამოს დუმდა. დარცხვენილი და, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვათა უკმაყოფილო თუთუნს აბოლებდა, მაგრამ არ უნდოდა დაემჩნია, ცდილობდა, თავისი ნამდვილი გრძნობები დაეფარა. თუმცა ამას ყოველთვის როდი ახერხებდა.

იმ დღეს პირველი პაემანი ჰქონდა ლამაზ, ფერმკრთალ და ბრდღვიალათვალება პუტკუნა მასწავლებელ ზორკასთან. ძნელი იყო ისე შეხვედროდნენ ერთმანეთს, რომ ქალაქში არავის გაეგო და დაენახა. მაგ-

რამ სტიკოვიჩის დაჟინებული თხოვნით არდადეგების გამო დაცარიელებულ სკოლაში შეხვდნენ ერთმანეთს.

სკოლაში სხვადასხვა მხრიდან მივიდნენ — სტიკოვიჩი ბაღის მხრიდან, ქალიშვილი კი მთავარი შესასვლელიდან შევიდა.

ნახევრადბნელ და მტვრიან ოთახში ჭერსა სწვდებოდა ერთმანეთზე ახორხლილი მერხები.

ასეა, სიყვარულს ვნება ხშირად აბიბინებს მიგდებულსა და ჭუჭყიან ადგილებს.

აქ არც დასაჯდომი იყო და არც დასანოლი. ორივეს ემჩნეოდა აღელვება, თავს უხერხულად გრძნობდნენ.

უკიდურესად აღგზნებული, თავშეკავებადაკარგული ქალ-ვაჟი ერთმანეთს ჩაეკონა და ზორკასათვის კარგად ნაცნობ მერხზე თავდავიწყებას მიეცა, ირგვლივ ვეღარაფერს ამჩნევდნენ.

პირველი სტიკოვიჩი მოვიდა გონს და, როგორც ეს ჭაბუკებს სჩვევიათ, მაშინვე ტანსაცმელი გაისწორა, მერე ქალს მიუბრუნდა დასამშვიდობებლად.

ქალიშვილი ატირდა.

იმედგაცრუება ორმხრივი იყო. სტიკოვიჩმა, თითქოს ცოტა დაამშვიდა ქალი და თითქმის გავარდა ოთახიდან.

სტიკოვიჩს სახლთან წერილების დამტარებელი შემოხვდა და ახალგაზრდული ჟურნალი გადასცა, სადაც მისი წერილი „ბალკანეთი, სერბია, ბოსნია და ჰერცოგოვინა" იყო გამოქვეყნებული. კითხვამ ისე გაიტაცა, ახალი განცდებიც კი დაავიწყა. სამწუხაროდ, წერილი აღარ მოენონა, ბევრი სტამბური შეცდომა აღმოაჩინა, ზოგიერთი გამოთქმა სასაცილოდაც მოეჩვენა. ახლა, როცა უკვე აღარაფრის შეცვლა აღარ მოხერხდებოდა, მიხვდა, რომ ბევრი რამ უკეთესად, გასაგებად და მოკლედ შეეძლო ეთქვა.

საღამოთი კი კაპიაზე ნამდვილი კრება გაიმართა, თვით ზორკას თანდასწრებით, სტიკოვიჩის წერილზე მსჯელობდნენ. მთავარი მოწინააღმდეგე შეურიგებელი და ყბედი ჰერაკი გახლდათ, ყველაფერს ნამდვილი სოციალიზმის პოზიციებიდან რომ უყურებდა და აკრიტიკებდა.

დანარჩენები მხოლოდ ხამუშ-ხამუშ ერეოდნენ კამათში.

მასწავლებელი ქალები ჩუმად ისხდნენ და გამარჯვებულს უხილავი დიდების გვირგვინს უმზადებდნენ.

სტიკოვიჩი თავს ცუდად იცავდა. ჯერ ერთი, თავის წერილს თვითონაც ბევრი სუსტი და გაუმართავი ადგილი მოუნახა, თუმცა არავითარ შემთხვევაში ამას სხვების თანდასწრებით არ აღიარებდა, მეორეც — რამდენიმე საათის წინ მტვრიან და ჩახუთულ ოთახში მომხდარი ამბის გახსენება სტანჯავდა, ქალიშვილი ახლა სასაცილოდაც ეჩვენებოდა და სამარცხვინოდაც, თუმცა დიდი ხანია იგი მისი ყველაზე უფრო მწველი ვნებისა და მუდმივი ოცნების საგანი იყო.

ლამაზი მასწავლებელი ახლა აქ იჯდა და გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა. სტიკოვიჩს კი, მოვალისა თუ დამნაშავის გრძნობა დაუფლებოდა. რას არ გაიღებდა, რომ მეხსიერებიდან ამოშლოდა ის, რაც დღეს სკოლაში მოხდა, რომ ქალიშვილი ახლა აქ არ ყოფილიყო. ასეთ გუნებაზე მყოფს ჰერაკი ძნელად მოსაშორებელ, აბეზარ ბუზად ეჩვენებოდა. ასე ეგონა, რომ მხოლოდ საკუთარ წერილზე კი არა, იმაზეც უნდა ეპასუხა, რაც დღეს სკოლაში შეემთხვა. უნდოდა აქედან ძალზე შორს ყოფილიყო და აღარც წერილზე ეფიქრა და აღარც ქალიშვილზე. მაგრამ იძულებული იყო თავი დაეცვა, ამას კარნახობდა საკუთარი თავმოყვარეობა. ჰოდა, აი, სტიკოვიჩს მოჰყავდა ცვიიჩისა* და შტროსმაიერის** სიტყვები. ჰერაკი კი კაუცკისა და ბებელის წერილებს იმოწმებდა.

— თქვენი ოთხთვალა ცხენზე წინ დგას! — ყვიროდა ჰერაკი და სტიკოვიჩის წერილს არჩევდა. — სიღარიბესა და გაჭირვებაში ყველამდე ჩაფლული ბალკნელი გლეხი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შექმნის მყარ და კარგ სახელმწიფოებრივ ფორმაციას, მხოლოდ ჩაგრული კლასების, გლეხებისა და მუშების, ანუ ხალხის უდიდესი უმრავლესობის ნინასწარ ეკონომიურ გათავისუფლებას შეუძლია დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეალური პირობების შექმნა. აი, ბუნებრივი განვითარება და გზა, რომლითაც უნდა ვიაროთ, სხვანაირად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამიტომ ეროვნული გათავისუფლებაცა და გაერთიანებაც სოციალური გათავისუფლებისა და აღორძინების სულისკვეთებით უნდა მოხდეს. თუ არადა მხოლოდ იმას მიაღწევთ, რომ გლეხი, მუშა და რიგითი ქალაქელი ახალ სახელმწიფოებრივ ფორმაციაში სიკვდილის მთევსელი სახადივით შეიტანს

---

* ივან ცვიიჩი (1865-1927) — დიდი სერბიელი მეცნიერი, ბელგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, გეოგრაფი და ეთნოგრაფი, ბურჟუაზიული ნაციონალისტი.

** იოსებ შტროსმაიერი (1815-1905) — ხორვატი ეპისკოპოსი, სერბიის მეცნიერებათა აკადემიისა და ზაგრების უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამარსებელი, ყველა სლაკი ხალხის გაერთიანების იდეოლოგი.

საკუთარ სილატაკესა და მონურ ფსიქოლოგიას, მჩაგვრელები კი — საკუთარ პარაზიტულ რეაქციულ აზროვნებასა და ანტისაზოგადოებრივ ინსტინქტებს. ამიტომ ვერც მყარი სახელმწიფო შეიქმნება და ვერც კეთილმოწყობილი საზოგადოება.

— მთელი ეს უცხოური მნიგნობრული სიბრძნე, ჩემო ძვირფასო, — პასუხობდა სტიკოვიჩი, — უმალვე ქრება ჯერ სერბიელების შემდეგ კი ხორვატებისა და სლოვენელების გამოღვიძებული ეროვნული ძალების ცხოველი აღმავლობის წინაშე. დიახ, ისინი ერთი მიზნისაკენ ისწრაფვიან. მოვლენები გერმანელი თეორეტიკოსების განჭვრეტის მიხედვით კი არ ხდება, არამედ ჩვენი ისტორიის საფუძვლებს, ჩვენს ეროვნულ მოწოდებას ეწყვილება და შესაბამისად ვითარდება. ყარაჩ-გიორგის მოწოდების თანახმად, — „დაე, თითოეულმა საკუთარი ბატონი მოკლას", ბალკანეთის სოციალურ საკითხებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები და ომები წყვეტს. ყველაფერი სრულიად ლოგიკურად მიმდინარეობს მცირედიდან დიდისაკენ, ტომობრივიდან ეროვნულისაკენ — დიდი სახელმწიფოს შექმნისაკენ ვითარდება. განა კუმანოვასთან და ბრეგალნიცესთან ჩვენი გამარჯვება, ამავე დროს, მოწინავე აზრისა და სოციალური სამართლიანობის გამარჯვება არ არის?

— მაგის ნახვას კიდევ მოვასწრებთ, — შენიშნა ჰერაკმა.

— ვინც ახლა ვერ ხედავს, ვერც ვერასოდეს დაინახავს. ჩვენ გვჯერა...

— თქვენ გჯერათ, ჩვენ კი, გარდა ნაღდი ფაქტობრივი მტკიცებებისა და საქმეებისა, არაფერი არა გვჯერა. — მოიგერია ჰერაკმა.

— განა თურქეთის დაქუცმაცება და ავსტრია-უნგრეთის დასუსტება, პატარა-პატარა დემოკრატიული ხალხებისა და დამონებული კლასების ნამდვილი გამარჯვება არ არის? იმ საქმის გამარჯვება, რასაც მზის ქვეშ საკუთარი ადგილის მოპოვება ჰქვია? — თავისას გაიძახოდა სტიკოვიჩი.

— ნაციონალისტური სულისკვეთების განხორციელებას სოციალური სამართლიანობის გამარჯვებამდე რომ მივყავდეთ, მაშინ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, რომელთაც საკუთარი ეროვნული იდეალები ძირითადად განახორციელეს და ამ მხრივ თავი ქუდში ექნებოდათ, არც უდიდესი სოციალური პრობლემები წარმოიშობოდა და აღარც კონფლიქტები. ჩვენ კი ვხედავთ, რომ სინამდვილეში ყველაფერი პირიქით არის.

— კიდევ გიმეორებ, — აღარ ცხრებოდა დაღლილი სტიკოვიჩი, ეროვნული ურთიერთობის საფუძველზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნისა და პირად თუ საზოგადოებრივ თავისუფლებათა თანამედროვე გაგებათა გარეშე „სოციალურ გათავისუფლებაზე" ლაპარაკიც არ შეიძლება, რადგან, ერთი ფრანგისა არ იყოს, პოლიტიკა პირველ ადგილზე უნდა იდგეს...

— პირველ ადგილზე კუჭი დგას, — გააწყვეტინა ჰერაკმა.

აქ უკვე დავაში დანარჩენებიც ჩაერივნენ. გულუბრყვილო სტუდენტური საუბარი ჭაბუკურ კამათში გადაიზარდა, ყველა ერთად ალაპარაკდა, ერთმანეთს სიტყვას არ აცლიდნენ, მაგრამ პირველივე ოხუნჯობის გაგონებაზე ფარ-ხმალი დაყარეს და სიცილითა და ყვირილით დაამთავრეს.

სტიკოვიჩისათვის ეს ხელსაყრელი საბაბი იყო, ისე შეეწყვიტა კამათი და დადუმებულიყო, რომ არც უკანდახევასა და არც დამარცხებას არ ჰგვანებოდა.

მერე, დაახლოებით ათ საათზე ველემირისა და რანკოს თანხლებით ზორკა და ზაგორკა წავიდნენ, სხვებიც ნელ-ნელა დაიშალნენ. ბოლოს მხოლოდ სტიკოვიჩი და ნიკოლა გლასინჩანინი დარჩნენ.

ისინი ერთი ხნისანი იყვნენ. ოდესღაც გიმნაზიაში ერთად შევიდნენ და სარაევოშიც ერთად ცხოვრობდნენ, ერთმანეთს ხუთი თითივით იცნობდნენ, სწორედ ამიტომაც ვერ შეძლეს ერთმანეთის დაფასება და შეყვარება. წლების გასვლასთან ერთად მათ შორის ის წინააღმდეგობაც იზრდებოდა, რაც, ბუნებრივია, მათ ურთიერთობაზეც ახდენდა გავლენას. ქალაქში არდადეგებზე ჩამოსვლისას ერთმანეთს ათვალწუნებით ათვალიერებდნენ და განუყრელ მტერ-მოყვარეებსა ჰგავდნენ. ახლა მათ შორის ლამაზი და დამატყვევებელი მასწავლებელი ზორკაც ჩადგა. იმ ზამთარს ზორკა გლასინჩანინთან მეგობრობდა, ნიკოლა არც მალავდა და არც შეეძლო სიყვარულის დაფარვა. ამ სიყვარულს ნიკოლა ისეთი გატაცებით მიეცა, როგორც ცხოვრებისაგან უკმაყოფილო და გაავებულ ადამიანებს სჩვევიათ.

მაგრამ, როცა ზაფხული დადგა და სტუდენტები ჩამოვიდნენ, ეჭვიანი გლასინჩანინის თვალს არ გამოეპარა, როგორი ყურადღებით ექცეოდა მასწავლებელი ზორკა სტიკოვიჩს. ამან ჭაბუკებს შორის ადრინდელი, სხვებისაგან დაფარული ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა. ამ არდადეგების დროს ისინი პირისპირ ჯერ არ დარჩენილიყვნენ.

ახლა, როცა მეგობრები კაპიაზე შემთხვევით მარტო აღმოჩნდნენ, ორივემ ერთდროულად გაიფიქრა, უმჯობესია, ისე გავშორდეთ ერთმანეთს ახსნა-განმარტება არ მოვთხოვოთო, იგრძნეს, რომ ამას მხოლოდ უსიამოვნება შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მაგრამ შეუცნობელმა გულისწადილმა, რაც მხოლოდ ახალგაზრდობას მოსდგამს, ორთავე მიაჯაჭვა. მოულოდნელმა გარემოებამ ცოტა ხნით გამოასწორა მათი დაძაბული დამოკიდებულება და მდუმარება დაარღვია. სიბნელეში გამვლელების ფეხის ხმა გაისმა. ისინი ხიდზე ტატიით მოდიოდნენ და კაპიის მახლობლად, კუთხეში გაჩერდნენ. სტიკოვიჩსა და ნიკოლას არ შეეძლოთ მათი დანახვა, მაგრამ ყოველი სიტყვა ესმოდათ. ხმები კი ძალზე ნაცნობი იყო: მათი უმცროსი ამხანაგები თომა გალუსი და ფეხიმ ბახტიარევიჩი იყვნენ.

ორივე ცოტა არ იყოს ერიდებოდა გიმნაზიელებისა და სტუდენტების იმ ნრეს, ყოველ საღამოს სტიკოვიჩისა და ჰერაკის ირგვლივ რომ იკრიბებოდა. გალუსი მათზე უმცროსი იყო, მაგრამ ექიშპებოდა სტიკოვიჩს როგორც პოეტი და ეროვნული აღორძინების მქადაგებელი. გალუსს სტიკოვიჩი არ უყვარდა და არც არად აგდებდა. ბახტიარევიჩს კი საერთოდ სიტყვას ვერ დააცდენდით, ამაყი და გულჩათხრობილი იყო. ნაღდად ისეთი, ბეგის შვილიშვილს რომ შეეფერებოდა.

თომა გალუსი ტანმაღალი, ღაჟღაჟა და ცისფერთვალება ჭაბუკი იყო. მამამისი ალბან ფონ გალუსი ბურგენლანდელი ძველისძველი ოჯახის შთამომავალი გახლდათ და ავსტრიელთა ბატონობის პირველ დღეებშივე ჩამოვიდა ქალაქში როგორც ჩინოვნიკი. ოცი წელი მუშაობდა მთავარ მეტყევედ და ახლა პენსიითა ცხოვრობდა. ჩამოსვლისთანავე ადგილობრივი ცნობილი ვაჭრის ჰაჯი თომა სტანკოვიჩის ჯანმაგარი, შავტუხა და თავნება შინაბერა ასული ითხოვა. მისგან ფონ გალსუსს სამი ბავშვი შეეძინა — ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი; ყველანი სერბიულ ეკლესიაში მოინათლნენ და ნაღდ ქალაქელებად, ჰაჯი თომას ნამდვილ შვილიშვილებად გაიზარდნენ.

ტანმაღალ, ამაყ მოხუც გალუსს ხშირი, სულ მთლად გადათეთრებული თმა ჰქონდა და ოდესღაც ლამაზ მამაკაცად ითვლებოდა. დიდი ხანია ნამდვილ ვიშეგრადელად იქცა და „ბატონ ალბას“ ეძახდნენ. უმცროსი თაობის ადამიანებს აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ალბა ჩამოსული უცხოელი იყო. მას ორი სრულიად უვნებელი გატაცება ჰქონდა — ნადირობა და ჩიბუხი. მთელ მაზრაში როგორც სერბიელთა, ისე მუსულმანთა შორის უამრავი კეთილი ძმაკაცი ჰყავდა, მეგობრობ-

და გლეხებთანაც, ნადირობით გატაცებაში რომ თანაუგრძნობდნენ. ძველმა მეტყევემ ძმაკაცების ბევრი ჩვევა აითვისა, თითქოს მათ შორის დაიბადა და გაიზარდაო. შეეძლო მდუმარედ, მაგრამ მხიარულად ყოფილიყო, მშვიდად ესაუბრა ისე, როგორც თამბაქოს გაბოლების, ნადირობის, თევზაობის, ტყისა და ბუნების წიაღში ცხოვრების მოყვარულთ შეუძლიათ.

ჭაბუკმა გალუსმა სარაევოში სიმწიფის ატესტატზე ჩააბარა გამოცდები და შემოდგომაზე ვენაში აპირებდა გამგზავრებას სწავლის გასაგრძელებლად. მამა-შვილი ვერ შეთანხმდნენ, თუ რისთვის უნდა მოეკიდა ხელი. მამას უნდოდა, შვილს ტექნიკა ან მეტყევეობა შეესწავლა, შვილს კი ფილოსოფია აინტერესებდა. თომა გალუსი მხოლოდ გარეგნულად ჩამოჰგავდა თავის მამას, ისე კი ბევრი არაფერი ჰქონდათ საერთო.

იგი ერთი თავმდაბალი და სანიმუშო მოსწავლე იყო, იოლად, ერთი თვალის გადავლებით ითვისებდა ყველა საგანს, მისი ნამდვილი ცოცხალი ინტერესი სკოლის გარეშე საქმიანობის ოდნავ ჭირვეულ და არამყარ მიდრეკილებაში ვლინდებოდა. ასეთი ბავშვები წრფელი და უბრალო გულის, მაგრამ მოუსვენარი და ცნობისმოყვარე მოსწავლეები არიან. მათთვის თითქმის უცნობია ის მძიმე და სახიფთაო ზნეობრივი კრიზისი, რაც მათი ასაკის ბევრ სხვა ჭაბუკს განუცდია. მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი ძნელად ახერხებენ თავიანთ სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ძალზე ხშირად მთელი სიცოცხლე დილეტანტებად, საინტერესო ობროდებად რჩებიან, ცხოვრებაში გარკვეული საქმიანობა და განსაზღვრული მიმართულება რომ არ გააჩნიათ.

როგორც ყველა ახალგაზრდა, ვინც ვალდებულია არა მარტო დააკმაყოფილოს სიყმაწვილისა და სიმწიფის მარადიული ბუნებრივი მოთხოვნილებანი, არამედ, ამასთან ერთად, სათანადო ხარკი გადაუხადოს საზოგადოების სულიერი ცხოვრების თანამედროვე მიმდინარეობებს, მოდასა და იმ ზნე-ჩვეულებებს, რითაც ახალგაზრდობა არის გატაცებული, გალუსი ლექსებს წერდა და მოსწავლეთა ეროვნულ-რევოლუციური ორგანიზაციების აქტიური წევრი იყო. ამასთან ერთად, ხუთი წელი ფრანგულ ენას სწავლობდა როგორც არასავალდებულო საგანს და ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი, ფილოსოფიაში მეცადინეობდა, წიგნის კითხვაში ათენებ-აღამებდა.

სარაევოს გიმნაზიის მაშინდელი ახალგაზრდობა უმთავრესად ცნობილი და საკმაოდ დიდი ფირმის ღეცლამ'ს უნივერსალ-იბლიოტჰეკ-

ის გამოცემებით სარგებლობდა. ეს იაფფასიანი, უჩვეულოდ წვრილი ასოებით ნაბეჭდი ყვითელყდიანი ტომები მათი სულიერი საზრდოს წყარო იყო, ის, რაზეც მაშინდელ გიმნაზიელებს ხელი მიუწვდებოდათ. მათი მეშვეობით ახალგაზრდებს შეეძლოთ გასცნობოდნენ არა მარტო გერმანულ ლიტერატურას, არამედ გერმანულ ენაზე თარგმნილ მსოფლიო ლიტერატურის ყველა ცნობილ ნაწარმოებს.

ახალ გერმანელ ფილოსოფოსებს, განსაკუთრებით ნიცშესა და შტირნერს* გალუსი მათი წყალობით გაეცნო. მილაცკას** სანაპიროზე მოსეირნეს შეეძლო მხიარულად და გატაცებით გაემართა აკადემიური დისკუსიები და სრულიადაც არ ეფიქრა პირად ცხოვრებაში ამ ცოდნის კრიტიკულ გამოყენებაზე, როგორც ეს ახალგაზრდობას სჩვევია, იმდროინდელ გიმნაზიელებს შორის ამგვარი ნაადრევად მომწიფებული, მრავალფეროვანი, მაგრამ ზერელე ცოდნით დატვირთული ახალგაზრდობა იშვიათი არ იყო. კარგი მოსწავლისა და თავმდაბალი ჭაბუკის გალუსის თვალში, ახალგაზრდობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა გაბედული აზროვნებისა და განუსაზღვრელი კითხვის შესაძლებლობასთან იყო შერწყმული.

ფეხიმ ბახტიარევიჩის მამა როგატიცელი იყო და იქვე მუშაობდა მოსამართლედ, დედა მკვიდრი ვიშეგრადელი ოსმანაღიჩების ძველი ოჯახის შვილი გახლდათ. ბავშვობიდანვე ნახევარ ზაფხულს დედასთან ერთად ვიშეგრადში ნათესავებთან ატარებდა. ფეხიმი ტანადი, თხელთხელი, ნატიფი აღნაგობის, შესახედავად აზიზ-მაზიზი, მაგრამ სინამდვილეში ჯანიანი ჭაბუკი იყო. მზეზე გარუჯული სახე, მუქი, შავგვრემანი სახის კანი, თავშეკავებული და მოზომილი მიხრა-მოხრა, სქელ, გადაბმულ წარბებქვეშ ჩალურჯებული ქუთუთოები, შავი თვალები და მწველი გამოხედვა ჰქონდა. გამოკვეთილ ტუჩებს შავი, წვრილი ულვაშები უმშვენებდა. მამაკაცების ასეთ სახეებს ირანულ მინიატურებზე თუ შეხვდებოდით.

გიმნაზია ამ ზაფხულს დაამთავრა და სახელმწიფო სტიპენდიის მიღებას ელოდებოდა, რათა ვენაში აღმოსავლური ენები შეესწავლა.

ჭაბუკები იმ დაწყებულ საუბარს განაგრძობდნენ, თუ რომელ უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო ფეხიმი. გალუსი უმტკიცებდა, შეცდომას ჩაიდენ თუ აღმოსავლეთმცოდნეობის შესწავლას შეუდგებიო. საერთოდ, გალუსი გაცილებით ბევრს და ცოცხლად ლაპარაკობდა.

---

* მაქს შტირნერი კასპარ შმიდტი (1805-1856) – გერმანელი ფილოსოფოსი, ინდივიდუალური ანარქიზმისა და ეგოიზმის თეორეტიკოსი.

** მილაცკა – მდინარე, რომელიც ქ. სარაევოს ჩამოუდის და მდინარე ბოსნას ერთვის.

მიჩვეული იყო, ყველა რომ უსმენდა, როცა ქადაგად დავარდებოდა. ბახტიარევიჩი მოკლედ და ძუნწად გამოთქვამდა აზრებს, არც კი ცდილობდა სხვის დარწმუნებას, თითქოს უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებების კაციაო. გალუსი ნაკითხი, ახალგაზრდობისათვის ჩვეულ გულუბრყვილო თვითკმაყოფილებას განიცდიდა თავისივე სიტყვების მოსმენისას. მისი საუბარი სავსე იყო ხატოვანი გამოთქმებით, ციტატებითა და განზოგადებებით. ბახტიარევიჩს კი ჩვეულებად ჰქონდა თხრობა მშრალად, ოდნავ დაუდევრად წარემართა.

ქვის ჩამოსაჯდომზე მიწოლილი, ჩრდილს შეფარებული გლასინ-ჩანინი და სტიკოვიჩი დუმდნენ. თითქოს უსიტყვოდ შეთანხმებულან, მეგობრების საუბარი მათგან ფარულად მოესმინათ, კამათი გალუსმა გაცხარებული მტკიცებით დაამთავრა:

— აქ თქვენ, მუსულმანები, ბეგების შვილები, ხშირად ცდებით, მომხდარი ცვლილებებით კალაპოტიდან ამოვარდნილებს, ვეღარ გიპოვიათ საკუთარი ადგილი ქვეყნიერებაზე. თქვენი სიყვარული ყოველივე აღმოსავლურისადმი, თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვა არაფერია, თუ არა „სწრაფვა ხელისუფლებისაკენ". ცხადია, ცხოვრებისა და აზროვნების აღმოსავლური საწყისები თქვენთვის ყველაზე უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ სოციალურ და იურიდიულ წყობასთან, რომელიც თქვენი საუკუნოვანი ბატონობის საფუძველია. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ნიჭიერი მეცნიერ-აღმოსავლეთმცოდნეები ხართ. თქვენ საერთოდ არა გაქვთ მოწოდება და არც ნამდვილი მეცნიერებისაკენ მიდრეკილება.

— აი, თურმე რა!

— სწორედ ასეა და როცა ამას ვამტკიცებ, არაფერ საწყენსა და უსამართლოს არ გეუბნებით. პირიქით, თქვენ ერთადერთი პატრონი ხართ. ყოველ შემთხვევაში, ერთადერთი ბატონ-პატრონი იყავით ამ მიწა-წყლისა: თქვენ წიგნითა და მახვილით, კანონებითა და რელიგიით ასეული წლების განმავლობაში აფართოებდით, განამტკიცებდით და იცავდით საკუთარ ბატონობას. ამან თქვენ მეომრებად, მმართველებად და ბატონებად გაქციათ. ასეთი მოწოდების ადამიანები კი არსად მსოფლიოში აბსტრაქტულ მეცნიერებას არ მისდევენ და მას შესასწავლად უტოვებენ იმათ, ვისაც სხვა არაფრის გაკეთება არ შეუძლია. თქვენი საქმე იურიდიული მეცნიერება და ეკონომიკაა, რადგან თქვენ კონკრეტული ცოდნის ადამიანები ხართ, გაბატონებული კლასის წარმომადგენლები ყველგან და ყოველთვის ასეთები არიან.

— ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გაუნათლებლები უნდა დავრჩეთ?

— არა, ეს ამას არ ნიშნავს. მაგრამ თქვენ რაცა ხართ, იმადვე უნდა დარჩეთ, ან, თუ სიმართლე გინდა, იმადვე დარჩეთ, რაც ადრე იყავით; არავის ძალუძს ერთდროულად იყოს ის, რაც არის და საკუთარ თავსაც ეწინააღმდეგებოდეს.

— მაგრამ ახლა ჩვენ გაბატონებული კლასი აღარა ვართ, ახლა ყველა თანასწორია, — თქვა ბახტიარევიჩმა ცოტა არ იყოს დამცინავად, სიმწრითა და სიამაყით.

— არა, რა თქმა უნდა, არა. მდგომარეობა, რასაკვირველია, დიდი ხანია შეიცვალა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენც ასევე სწრაფად შეგიძლიათ გამოცვლა. ეს არცთუ პირველი და უკანასკნელი შემთხვევაა, როცა გაბატონებული კლასი საკუთარ ბაზას კარგავს, თვითონ კი იგივე რჩება, რაც ადრე იყო. ცხოვრების პირობები იცვლება, მაგრამ ამ კლასის ნარმომადგენლები ისევ იმ ადამიანებად რჩებიან.

ბახტიარევიჩმა არ უპასუხა და მსმენელთათვის უხილავი ორი ჭაბუკის საუბარი წამით შეწყდა.

ჩაშავებული მთების მიღმა ივნისის მოწმენდილ ცაზე მცხრალი, ნამგალა მთვარე გამოჩნდა, კედელზე კი, მოლურჯო წყვდიადში სუსტად განათებულ ფანჯარასავით აცახცახდა თურქულ წარწერიანი თეთრი ფილა. ბახტიარევიჩი კვლავ ალაპარაკდა, მაგრამ ისე ხმადაბლა, რომ მხოლოდ თითო-ოროლა, გაუგებარი სიტყვაღა აღწევდა სტიკოვიჩისა და გლასინჩანინის ყურამდე. ლაპარაკი, როგორც ყმანვილების არათანამიმდევრული საუბრისას ხდება ხოლმე, აღმოსავლური ენების შესწავლიდან ახლა თეთრ ფილაზე გაკეთებული წარწერის შინაარსზე გადავიდა. მერე ხიდზე და მის ამშენებელზე ილაპარაკეს.

ახლა გალუსი უფრო ხმამაღლა და გამოთქმით ლაპარაკობდა. ისარგებლა რა ბახტიარევიჩის მიერ მეჰმედ ფაშა სოკოლისა და მაშინდელი მმართველობის შექებით, რომელთაც ასეთი ნაგებობები ააშენეს, გაცხარებით დაიწყო საკუთარი ნაციონალისტური შეხედულებების ჩამოყალიბება ხალხის წარსულისა და მომავლის, მისი კულტურისა და ცივილიზაციის თაობაზე (ამ მოწაფურ საუბრებში თითოეული ხომ მხოლოდ საკუთარ აზრს აქცევს ყურადღებას).

— შენ მართალი ხარ, — დაუდასტურა გალუსმა, — მეჰამედ ფაშა გენიალური პიროვნებაა. იგი ჩვენი ღვიძლია, თუმცა არც პირველი და არც უკანასკნელი, ვინც უცხო სახელმწიფოს სამსახურში დაწინაურდა. ჩვენ ასობით მივეცით ამგვარი სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთა-

ვარი და მხატვარი ცარგრადს, რომსა და ვენას. ჰოდა, ერთიან, დიდ და ძლიერ თანამედროვე სახელმწიფოდ ჩვენ სახალხო გაერთიანებასაც ის აზრი აქვს, რომ ჩვენი ძალები აქვე, სამშობლოში დარჩება, განვითარდება და საკუთარ წვლილს თავისი სახელითა და არა უცხოურის მეშვეობით პირდაპირ თვითონვე შეიტანს.

— შენა გგონია, რომ ეს „ცენტრები“ შემთხვევით შეიქმნა და შეგიძლია, როცა გინდა და სადაც გინდა, იქ შექმნა ახალი ცენტრი?

— შემთხვევით შეიქმნა თუ არა, ეს არ არის მთავარი, — უპასუხა გალუსმა. — რა მნიშვნელობა აქვს, როგორ გაჩნდნენ ისინი, მთავარია, რომ ამჟამად ეს ცენტრები დასუსტდნენ, უკვე დაიყვავილეს და გადაგვარდნენ. ახლა საჭიროა, რომ სხვებს, ახალ ცენტრებს დაუთმონ ადგილი, სადაც საშუალება ექნებათ თავი გამოიჩინონ ისტორიის ასპარეზზე გამოსულმა მზარდმა თავისუფალმა ხალხებმა.

— შენა გგონია, მეჰმედ ფაშა სოფლის ბიჭადვე რომ დარჩენილიყო იქ, ზევით, სოკოლოვიჩში, ისეთივე კაცი გახდებოდა, როგორიც იყო? იქნებ ფიქრობ, რომ ამ ხიდსაც ააშენებდა, რომელზეც ახლა მე და შენ ვსაუბრობთ?

— იმხანად, რასაკვირველია, არა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ცარგრადისათვის ძნელი არ იყო ასეთი ნაგებობების შექმნა, როცა იგი სხვა დამორჩილებულ ხალხთა მსგავსად, ჩვენც მარტო ქონებასა და შემოსავალს კი არა, ჩვენს საუკეთესო ძალებსა და ნმიდათანმიდა სისხლსაც გვწოვდა.

მარტო ის რომ გავიხსენოთ, რას ვითმენდით საუკუნეების მანძილზე და რამდენი რამ გავიღეთ, მაშინ ყველა ეს ნაგებობა არარაობად მოგვეჩვენება. და თუკი ოდესმე თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მოვიპოვებთ, იქნებ, მაშინ ჩვენი ფული და ჩვენივე სისხლი ჩვენვე დაგვრჩეს.

ეს ყველაფერი მთლიანად მოხმარდება ეროვნული კულტურის ამაღლებას, რომელსაც ჩვენი სახელი ერქმევა და ჩვენი ნახელავი დაემჩნევა, რომლის მიზანიც მთელი ჩვენი ხალხის ბედნიერება და კეთილდღეობა იქნება.

ბახტიარევიჩი დუმდა და ეს დუმილი ყველაზე უფრო მხურვალე და მჭევრმეტყველურ შესიტყვებაზე მეტად აქეზებდა გალუსს, აღუძრავდა სურვილს, კიდევ უფრო ენერგიულად და უფრო მხურვალედ ელაპარაკა.

ჩვეული სიმკვირცხლით ჩამოაყალიბა გალუსმა რევოლუციური ახალგაზრდობის გეგმები და მიზნები. უხვად ხმარობდა იმ დროს გავრცელებული ნაციონალისტური ლიტერატურიდან ამოკრებილ სიტყვებს.

— ერის ყველა სასიცოცხლო ძალა გამოიღვიძებს და ამოძრავდება.

— მათი შეტევით დაინგრევა ხალხთა საპყრობილე ავსტრია-უნგრეთის მონარქია, ისევე როგორც ევროპის თურქეთი დაიშალა.

— ყველა ანტიეროვნულ და რეაქციულ ძალას, რაც ხლართავს, თიშავს და აძინებს ჩვენს სახალხო ძალებს, დავამარცხებთ და გავსრესთ. დიახ, ყველაფერი ეს შეიძლება განვახორციელოთ, რადგან ჩვენი დროის სულისკვეთება ჩვენი საუკეთესო მეკავშირეა და სხვა პატარა და დამონებული ხალხებიც ჩვენთან ერთად არიან.

— თანამედროვე ეროვნულობა მოძველებულ, ცრუ შეხედულებებსა და რელიგიურ განცალკევებაზე გამარჯვებას იზეიმებს, გაათავისუფლებს ხალხს უცხოური და ანტიხალხური გავლენისა და გადამთიელთა ჩაგვრისაგან. აი, მაშინ შეიქმნება ეროვნული სახელმწიფოც.

შემდეგ გალუსმა იმ ახალი, ეროვნული სახელმწიფოს უპირატესობასა და ღირსებაზე ილაპარაკა, რომელიც იტალიელთა პიემონტის მსგავსად, სერბიელთა ირგვლივ შემოკრებდა სამხრეთელ სლავ ხალხს, მათი მოქალაქეობრივი და ტომობრივი თანასწორობის საფუძველზე. მისი განყენებული ხასიათის ზოგადი გამოთქმები მჭიდროდ იყო გადახლართული თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებთან.

ხალხის ღრმა, უფრო ხშირად კი განუხორციელებელი სურვილები ყოველდღიური სინამდვილის გამართლებულ და ხელმისაწვდომ მოთხოვნებს ემთხვეოდა.

უდიდესი ჭეშმარიტებანი, რომელსაც თაობები ერთმანეთს გადასცემს, მხოლოდ ახალგაზრდობისათვის იყო ხელმისაწვდომი. თამამი გამოთქმისა არ ეშინოდა, ერწყმოდა მარად ცოცხალ და უკვდავ ოცნებებს, რომლებსაც განხორციელება არ ეწერა და ახალგაზრდობის ერთი თაობა ოლიმპიური ჩირაღდანივით მეორე თაობას გადასცემდა.

დროსა და სინამდვილეს, დიახაც, შეეძლო გაექარწყლებინა ჭაბუკის ბევრი მტკიცება და ვარაუდი, მაგრამ იქ სიახლის სუნთქვა და ის ძვირფასი დინება იგრძნობოდა, რაც აუცილებელია კაცობრიობის სიცოცხლისა და განვითარებისათვის.

ბახტიარევიჩი დუმდა.

— შენ დაინახავ, ფეხიმ, — გატაცებით არწმუნებდა მეგობარს გალუსი, — და ეს ყველაფერი დღეს ან ხვალ მოხდება; ჩვენი შექმნილი სახელმწიფო კაცობრიობის პროგრესის ყველაზე დიდი საწინდარი იქნება და ამ სახელმწიფოს ყველა ღონისძიება დალოცვილად, ყოველი მსხვერპლი წმიდათაწმიდად შეირაცხება, ყოველი აზრი დამოუკიდებლად, ჩვენივე სიტყვებით გამოითქმება. ყველა საქმეს ჩვენი სახელი ერქმევა, რასაც მაშინ აღვასრულებთ, ჩვენი თავისუფალი შრომის ნაყოფი, ჩვენი ხალხური გენიის გამოვლინება იქნება და მასთან შედარებით ყველაფერი, რაც მრავალი წლობით უცხოელთა უღელქვეშ შექმნილა, არარაობად მოგვეჩვენება.

ფართო მდინარეებსა და ღრმა ხევებზე ახალ, განიერ, ლამაზ ხიდებს ავაშენებთ, და არა იმიტომ, რომ უცხო ცენტრები დაპყრობილ ოლქებთან დავაკავშიროთ, არამედ იმისათვის, რომ ჩვენივე ოლქები ერთმანეთთან მჭიდროდ შევადუღოთ, ხოლო ჩვენი სახელმწიფო უცხო სახელმწიფოსთან დავაკავშიროთ. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ სწორედ ჩვენ გვიწერია შევქმნათ, რასაც ჩვენამდე ყველა თაობა ესწრაფოდა; შევქმნათ სამართლიანობაზე დამყარებული თავისუფალი სახელმწიფო, ეს იქნება დედამიწაზე განხორციელებული ღვთის სურვილი.

ბახტიარევიჩი დუმდა. გალუსმა ხმას დაუწია. საუბრის დაძაბვასთან ერთად ხმას უდაბლებდა, გალუსის აღმაფრენა ძლიერ და მგზნებარე ჩურჩულში გადადიოდა, ვიდრე ბოლოს ისიც ღამის მდუმარებაში არ ჩაინთქა.

ახლა ორივე ჭაბუკი დუმდა, მაგრამ მკაცრი და დაჟინებული დუმილი თითქოს ხელშესახები და რეალური გახდა, მთელი თავისი სიმძიმით გადაჭრით უარყოფდა ყველაფერს, რასაც გალუსი ლაპარაკობდა და ზავის უტყვ, მაგრამ ნათელსა და ურყევ აზრს ააშკარავებდა:

„სამყაროს არსი, სიცოცხლე და ადამიანთა ურთიერთობა საუკუნეობით არის დამკვიდრებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ისინი მყარი და უცვლელი იყოს, ეს მხოლოდ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან შედარებით გვეჩვენება მარადიულად.

ეს საფუძვლები შეიძლება მდინარის მუდმივ და მყარ ფსკერს შევადაროთ. ნელა, შეუმჩნეველად რომ იცვლება მაშინ, როცა მდინარე ადამიანის სიცოცხლესავით სწრაფად მიმავალ ბობოქარ ტალღებს მიაქანებს. თვით ფიქრიც კი ამ „ცენტრების“ შეცვლის თაობაზე ფუჭი და ამაო ნააზრევია. ეს იმასვე ნიშნავს, ვინმემ დიდ მდინარეთა სათავეების გადაადგილება და მთების ადგილიდან დაძვრა მოინდომოს.

სწრაფი ცვალებადობის სურვილი და ამ ცვალებადობის ძალდატანებით განხორციელებაზე ფიქრი ხშირად ებადება ადამიანებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობას. მაგრამ მათი თავები ისე ვერ აზროვნებენ, როგორც საჭიროა, ბევრი რამ არ ესმით. ამიტომაც არის, რომ ხშირად თავებიც არა რჩებათ ხოლმე მხრებზე, რადგან ადამიანთა სურვილები არ მართავენ სამყაროს ბედს. სურვილი ქარის შემოქროლებას ჰგავს, ზოგჯერ მტვრის ღრუბლებს რომ აყენებს. ეს მტვერი ხანდახან მთელ თვალსაწიერს ჩრდილავს ხოლმე, მაგრამ თანდათანობით მაინც იფანტება, ქრება და გვრჩება მსოფლიოს ისევ ძველი, ურღვევი და მარადიული სურათი.

ნამდვილი საქმეები დედამიწაზე ღვთის ნებით სრულდება. ადამიანი კი მისი ბრმა და მორჩილი იარაღია. საერთოდ, ცხოვრებაში ადამიანთა სურვილები ძალზე იშვიათად ხორციელდება, და რაც ხორციელდება, არცთუ ისე ხანგრძლივად, ყოველ შემთხვევაში, სიკეთე არ მოაქვს. სამხრეთის ცისქვეშ, კაპიაზე წარმოთქმული გაბედული სიტყვები და მგზნებარე სურვილები, არსებითად არაფერს არ ცვლის: ისე ჩაივლის, სამყაროს მყარ, ურღვევ მთლიანობას სულაც არ შეეხება და იქვე გაქრება, სადაც სურვილები და ქარები ცხრებიან. წუთიერი და ამაო სურვილებისა და ადამიანური პატივმოყვარეობისაგან დამოუკიდებლად დიდი ადამიანები და დიდი ნაგებობანი იქ იბადებიან და ჩნდებიან, სადაც განგებით უწერიათ".

მაგრამ ბახტიარევიჩს ხმამაღლა ეს აზრი არ დასცდენია. ვისაც ამ ახალგაზრდა მუსულმანივით საკუთარი ფილოსოფია სისხლში აქვს გამჯდარი, მასთან ერთად რომ ცოცხლობს და კვდება, მას ამის სიტყვებით გამოთქმა არ შეუძლია და არც საამისო მოთხოვნილება აქვს. ხანგრძლივი დუმილი ჩამოწვა. გლასინჩანინმა და სტიკოვიჩმა თვალი ჰკიდეს, როგორ მოისროლა ერთ-ერთმა მოსაუბრემ პაპიროსის ნამწვი, ხიდიდან დრინაში ჩავარდნისას ცეცხლოვანი კვალი რომ შემოხაზა. მაშინვე აუჩქარებელი ფეხის ხმაც გაიგონეს. მოსაუბრენი მოედნისაკენ გაემართნენ.

მარტოდ დარჩენილი სტიკოვიჩი და გლასინჩანინი გამოერკვნენ და ისე შეხედეს ერთმანეთს, თითქოს ახლახან შეხვდნენო ერთმანეთს, მთვარის მკრთალ შუქზე თავიანთ წლოვანებასთან შედარებით გაცილებით ხნიერებად გამოიყურებოდნენ, პაპიროსის მოწითალო ანარეკლით განათებული სახეები მოფარფატე ჩრდილებს მიუგავდათ.

თუმცა მიზეზი სხვადასხვა ჰქონდათ, მაგრამ ორივე ერთნაირად იყო შეცბუნებული. ორივეს შინ უნდოდა წასვლა, მაგრამ არც ერთი არ იძროდა, ისე ისხდნენ, თითქოს დღის თაკარა სიცხისაგან ჯერ კიდევ თბილ ფილებზე მიწებებულანო. ამხანაგების საუბრის შემთხვევით მოსმენა საკმარისი მიზეზი იყო იმისათვის, რომ თავიანთი ახსნა-განმარტება სხვა დროისათვის გადაედოთ, მაგრამ ახლა ეს უკვე აღარ შეიძლებოდა.

— ხომ გაიგონე, ჰერაკის სიტყვები და მისი მტკიცებანი? — წამოიწყო სტიკოვიჩმა და ხიდზე გამართული დისკუსიის თემას დაუბრუნდა, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რომ მის სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდა.

გლასინჩანინმა წამიერად თავი მოსამართლის მომგებიან მდგომარეობაში რომ შეიცნო, პასუხი დააყოვნა.

— ყური დამიგდე. — ისევ შეესიტყვა მოუთმენელი სტიკოვიჩი, — როგორ შეიძლება კლასობრივ ბრძოლაზე ვილაპარაკოთ და წვრილმანი საქმეებით შემოვიფარგლოთ, როცა თითოეული ჩვენი თანამზრახველისათვის აშკარაა, რომ გათავისუფლება და რევოლუციით განხორციელებული ეროვნული ურთიერთობა საზოგადოების საარსებო ამოცანაა! ეს ხომ სასაცილოა და მეტი არაფერი!

სტიკოვიჩის ხმაში შეკითხვაც ისმოდა და ლაპარაკში გამოწვევაც. მაგრამ გლასინჩანინი ხმას არ იღებდა. მათ ყურს სანაპიროზე მდებარე ოფიცერთა კრებულიდან მოვარდნილი მუსიკის ხმა მისწვდა და მათი მტრული, ავის მომასწავებელი მდუმარება დაარღვია. საკრებულოს პირველი სართულის ფართოდ გაღებული ფანჯრებიდან სინათლე გამოდიოდა. როიალის თანხლებით კვნესოდა ვიოლინო. ვიოლინოზე პოლკის ექიმი, დოქტორი ბალაში უკრავდა, როიალზე კი — გარნიზონის კომენდანტის, პოლკოვნიკ ბაუერის ცოლი. ისინი ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის შუბერტის სონატის მეორე ნაწილს სწავლობდნენ. კარგად, შეთანხმებულად დაიწყეს — მაგრამ რამდენიმე ტაქტის შემდეგ როიალმა წინ გაუსწრო. ვიოლონო დადუმდა. ცოტა ხნის შემდეგ, როცა, ალბათ, სადავო ადგილი გაარკვიეს, კვლავ გაიმეორეს მუსიკალური ფრაზა.

ისინი თითქმის ყოველდღე სწავლობდნენ რაღაც ახალს და გვიან საღამომდე უკრავდნენ. ამ დროს პოლკოვნიკი მეორე ოთახში ბანქოს უჯდა ან უბრალოდ ღვინოს სვამდა და თვლემდა, ან კიდევ პაპიროსს ეწეოდა, ახალგაზრდა ოფიცრები კი გამიჯნურებულ მუსიკოსებზე ოხუნჯობდნენ.

ქალბატონ ბაუერსა და ახალგაზრდა ექიმს შორის უკვე მრავალი თვის მანძილზე დამყარებული ურთიერთობა ყველაზე უფრო მიხვედრილ ოფიცრებსაც კი ვერ გაერკვიათ. ერთნი ამტკიცებდნენ, ეს წმინდა სულიერი კავშირიაო და, რასაკვირველია, თან იღრიჯებოდნენ, მეორენი კი ამბობდნენ, არ შეიძლება აქ ხორციელი სიყვარულიც არ ერიოსო. მუსიკით გატაცებული წყვილი სარგებლობდა ხნოვანებით, ღვინითა თუ სამსახურით გამოჩერჩეტებული გულკეთილი პოლკოვნიკის მამაშვილური შემწყნარებლობით და ყოველთვის ერთად იყვნენ.

თუმცა ოფიცერთა საზოგადოება სრულიად განცალკევებულად ცხოვრობდა და მოსახლეობასთან კი არა, თვით უცხოელ ჩინოვნიკებთანაც არაფერი ჰქონდა საერთო. ამ წყვილს მაინც მთელი ქალაქი იცნობდა.

ყვავილნარიანი ოფიცერთა პარკის შესასვლელთან განცხადება იყო გამოკრული, კრძალავდნენ ძაღლების შეყვანასა და სამოქალაქო პირთა შესვლას.

სამხედრო პირთა გასართობზე უმუნდირო ხალხს ხელი არ მიუწვდებოდა.

ოფიცერთა ცხოვრება კარჩაკეტილი დიდი კასტის ცხოვრება გახლდათ და საზოგადოებაში თავის განსაკუთრებულ მდგომარეობას ისე უფრთხილდებოდა, როგორც თავისი სიძლიერის მნიშვნელოვან გამოვლინებას. თუმცა მანეკენებივით გამოკოხტავებულთა მიღმა იგივე სიმდიდრე და სიღარიბე, სიხარული და გულისტკივილი იმალებოდა, რასაც ცხოვრება ყველა ადამიანს სთავაზობს.

მაგრამ არსებობს ისეთი ამბებიც, თავისთავად რომ არღვევს ყველაზე უფრო მკაცრ ჩარჩოებს, ძლევს ყველანაირ წინააღმდეგობას და საიდუმლოებად ველარ რჩება („არსებობს სამი რამ, რისი დამალვაც შეუძლებელია, — ამბობენ ოსმანლიები*, — ეს არის სიყვარული, ხველება და სიღარიბე“).

ამ მიჯნურთა საქმეც ასე გახლდათ. არ იყო ბავშვი, მოხუცი, ქალი თუ კაცი, რომ ქალაქის შემოგარენის მიყრუებულ ბილიკებზე მოსეირნე ამ წყვილს არ წასწყდომოდა. საუბარში გართული მიჯნურნი, ვერც ვერავის ხედავდნენ და არც არა ესმოდათ რა.

მწყემსები წყვილის ერთად ყოფნას ისე მიეჩვივნენ, როგორც გაზაფხულზე მაისის თვეში გზისპირა ხის ფოთლებზე მწერების ფარფატს.

---

* ოსმანლი — მკვიდრი თურქები (ადგილობრივი გათურქებული მოსახლეობისაგან განსხვავებით).

ნახავდი სადაც გინდა და რა დროსაც გინდა. სეირნობდნენ დრინასა და რზავას სანაპიროებზე, ძველი ქალაქის ნანგრევებთან თუ ქალაქიდან სტრაჟიშჩესაკენ მიმავალ გზაზე. მიჯნურთათვის დრო ყოველთვის სწრაფად მირბის და გრძლადაც არ ეჩვენებათ. დანავარდობდნენ ცხენებითა თუ მსუბუქი ეკიპაჟებით, მაგრამ უმეტესად მაინც ფეხით დადიოდნენ, ისე, როგორც მიჯნურთ სჩვევიათ. ერთმანეთის სიყვარულით გათანგულებს ამქვეყნად ყველაფერი დავიწყებოდათ და მხოლოდ თავიანთ ტკბილ ჭუკჭუკში იყვნენ გართულნი.

ექიმი გამადიარებული სლოვაკი იყო. მოხელის ობოლმა შვილმა სტიპენდიის ხარჯზე ისწავლა. ეს ახალგაზრდა, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ექიმი, მეტად ამაყი და თავმოყვარე განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როცა საქმე მის წარმოშობაზე მიდგებოდა, რაც ხელს უშლიდა წარჩინებული და მდიდარი ოჯახიდან გამოსულ გერმანელ და უნგრელ ოფიცრებს გასტოლებოდა.

ორმოც წელს მიღწეული ქალბატონი ბაუერი მასზე რვა წლით უფროსი იყო. მაღალი, ქერა, თითქოს ოდნავ შემჭკნარი, მაგრამ თვალისმომჭრელი თეთრ-ვარდისფერი და ცისფერი თვალების ციმციმით იმ დედოფლებსა ჰგავდა, რომელთა პორტრეტები ასე ხიბლავთ ახალგაზრდა გოგონებს.

ორთავეს ჰქონდა ნამდვილი, საკუთარ წარმოდგენაში არსებული ღრმა მიზეზები, პირადი ცხოვრებით უკმაყოფილო ყოფილიყო. ამას გარდა, იყო ერთი საერთო, საგულისხმო მიზეზიც: ამ ქალაქში, მეტწილად გამოფიტულ და არაფრის მაქნის ოფიცრობაში თავს ორივე უბედურად და განდევნილად გრძნობდა. ამიტომაც დაღუპული გემიდან გადარჩენილი ადამიანებივით ეჭირათ თავი ორივეს, სულ ერთად იყვნენ, გარშემო მყოფთ გაურბოდნენ და ხანგრძლივ საუბარსა თუ, როგორც ამ გვიან საღამოს, მუსიკაში ნახულობდნენ თავდავიწყებას.

ასეთი გახლდათ ის წყვილი, რომელთაც ვერა ხედავდნენ, თუმცა ჭაბუკებს შორის ჩამოწოლილი მძიმე დუმილი სწორედ ამ მუსიკამ დაარღვია.

ზაფხულის ღამის მდუმარებაში დარხეულმა ჰანგებმა ისევ დაკარგა რიტმი და მიწყდა. ჰოდა, აი, სტიკოვიჩის პასუხად გლასინჩანინმა გაყინული ხმით ჩაილაპარაკა:

— სასაცილოა? მართლაც რომ, ამ დისკუსიაში ბევრი რამ არის სასაცილო.

სტიკოვიჩმა სწრაფად გამოიღო პირიდან პაპიროსი, გლასინჩანინმა კი მძიმედ, მაგრამ მტკიცედ განაგრძო თავისი აზრების გადმოლაგება, ეტყობოდა, დიდი ხანია აწუხებდა.

— მე ყურადღებით ვისმენ როგორც თქვენი, სხვა ქალაქელი განათლებული ადამიანების დისკუსიებს, ვკითხულობ გაზეთებსა და ჟურნალებს და რაც მეტს ვისმენ, მით უფრო ღრმად ვრწმუნდები, რომ ამ ზეპირი და წერილობითი დისკუსიების უმრავლესობა შორს არის ცხოვრებისაგან, მის საჭირბოროტო მოთხოვნილებებისა და მიზნებისაგან. იმიტომ, რომ მე ცხოვრებას გულდაგულ ვაკვირდები, თვალი მიჭირავს, თუ როგორ ცხოვრობენ სხვები, ცხოვრებას უშუალოდ ვგრძნობ, შესაძლოა, მართალი არა ვარ ან ზუსტად ვერ გამოვთქვამ სათქმელს, მაგრამ ხშირად მებადება აზრი, რომ ტექნიკურმა პროგრესმა და მსოფლიოში გამეფებულმა შედარებითმა სიმშვიდემ ერთგვარი სიჩუმე ჩამოაგდო, შეიქმნა ხელოვნური და არარეალური ვითარება, რაც, ეგრეთ წოდებულ ინტელიგენტებს საშუალებას აძლევს იდეებითა და „ცხოვრებასა და სამყაროზე შეხედულებებით" უქმ და თავშესაქცევ თამაშს მიჰყონ ხელი.

ეს თავისებური სულიერი სათბური გახლავთ, რომლის ხელოვნური ჰავა და ეგზოტიკური მცენარეულობა არავითარ კავშირში არ არის იმ მყარ მიწასთან, სადაც უამრავი ადამიანი ცხოვრობს.

თქვენ გგონიათ, რომ მსჯელობთ ამ ხალხის ბედსა და მათ მონაწილეობაზე იმ დიდი მიზნების მისაღწევად ბრძოლაში, რაზეც თქვენ მიუთითეთ; სინამდვილეში თქვენ თავებში გორგოლაჭები ბრუნავს, რომელთაც ხალხთან და საერთოდ ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ამ საფეხურზე თქვენი თამაში სახიფათო ხდება ან, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება სახიფათოდ გადაიქცეს როგორც სხვებისათვის, ისე თქვენთვისაც.

გლასინჩანინი შეჩერდა, სტიკოვიჩი ისე გაოცებული იყო ამ გრძელი და გააზრებული პასუხით, რომ არც შეუწყვეტინებია და არც შეჰკამათებია. ოღონდ სიტყვა „სახიფათოს" გაგონებაზე ხელი დაცინვით ჩაიქნია. ამან შეურაცხყო გლასინჩანინი და უფრო ცხარედ განაგრძო:

— ღმერთმანი, თქვენ რომ გისმენთ, კაცს ეგონება, რომ ყველა საკითხი უკვე ბედნიერად გადაწყდა, ყველა ხიფათი სამუდამოდ აცილებულია თავიდან, ყველა გზა გაკვალული და მოშანდაკებულია და მარტო სიარულღაა საჭირო.

სინამდვილეში კი, ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ არის მიღებული და ყველაფერი ისე ძნელად გვარდება, რომ იმის იმედიც კი აღარ არის, ვიპოვნით თუ არა ბოლოს და ბოლოს რაიმე გამოსავალს.

ყველაფერი ძალიან ძნელია, დახლართულია, ძვირად გვიჯდება და განუსაზღვრელად დიდ რისკთან არის დაკავშირებული. არა, ჰერაკის თამამ ოცნებასა და არც შენს ფართო გეგმებზე გადაკრულადაც კი არ შეიძლება ლაპარაკი.

ადამიანი განუწყვეტლივ იტანჯება და ყოველთვის აკლია ის, რაც მას სჭირდება და, მით უმეტეს, რაც თვითონ მას უნდა.

თქვენნაირი თეორიები მხოლოდ ადამიანების თამაშისადმი მარადიულ მიდრეკილებას აკმაყოფილებენ, აქეზებენ დიდების მოყვარულ ადამიანებს და ხელს უწყობენ საკუთარი თავისა და სხვების მოტყუებას. ჩემი ფიქრით, ასეთია საქმის ნამდვილი არსი.

— არა, ასე არ არის. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქას ერთმანეთს რომ შეადარებ, აუცილებლად წინსვლას დაინახავ. მიხვდები კაცობრიობის ბრძოლის აზრს და ამის შესაბამისად ჩასწვდები იმ თეორიებსაც, რომლებიც ამ ბრძოლის მიმართულებას განსაზღვრავენ.

გლასინჩანინმა იფიქრა, სტიკოვიჩმა სიტყვა სკოლის მიტოვებაზე გადამიკრაო და, როგორც ყოველთვის, ახლაც ჟრჟოლამ დაუარა.

— მე ისტორიას არა ვსწავლობ, — თქვა მან.

— აი, ხედავ, რომ გესწავლა, მაშინ დაინახავდი...

— მაგრამ, შენც ხომ არ სწავლობ.

— როგორ?.. ანუ არა, როგორ არა ვსწავლობ.

— საბუნებისმეტყველო საგნებთან ერთად?

სიბრაზისაგან ხმა უკანკალებდა. სტიკოვიჩი ნამით შეცბა და როგორღაც გაუბედავად თქვა:

— დიახ, თუ გინდა იცოდე, სწორედ ასეა: ბუნებისმეტყველების გარდა პოლიტიკურ, ისტორიულ და სოციალურ საკითხებზეც ვმუშაობ.

— კარგია, რომ დროს ყველაფრისათვის პოულობ. რამდენადაც ვიცი, თან კარგი ორატორიც ხარ, აგიტატორიცა და არშიყიც.

სტიკოვიჩმა ნაძალადევად გაიცინა. მაშინვე მიყრუებული სკოლის ოთახი გაახსენდა და გულში მტკივნეულად გაჰკრა. მხოლოდ ახლა დასცეცხლა თავში, რომ გლასინჩანინსა და ზორკას ქალაქში მისი ჩამოსვლის შემდეგაც რჩებოდათ თვალი ერთმანეთზე.

იმას, ვისაც სიყვარული არ გამოუცდია, არ შეუძლია სხვისი სიყვარულის, ეჭვიანობისა და შეფარული საშიშროების ძალა შეიგრძნოს.

ახალგაზრდების კამათი ღვარძლით სავსე პირადულ ჩხუბში გადაიზარდა, თუმცა იგი დასაწყისიდანვე მწიფდებოდა. კაცმა რომ თქვას, არც უცდიათ ჩხუბისათვის თავის არიდება, მხეცის იმ პატარა ლეკვებსა ჰგავდნენ, ყოველგვარ ჩხუბსა და ზედახორაში უკან მოუხედავად რომ გადაეშვებიან ხოლმე.

— ვინა ვარ და რა საქმიანობას ვეწევი, ეს არავის ესაქმება. მე შენს მორებზე ხომ არაფერს გეკითხები?

გლასინჩანინი ყოველთვის იტანჯებოდა თავისი ხელობის გახსენებაზე, ახლა კი მით უფრო აეწვა.

— მოეშვი ჩემს მორებს, მე ამ მორებით ვცხოვრობ, კი არ ველაციცები, არც არავის ვატყუებ და არც ცდუნებას ვუპირებ.

— მე ვიღას ვაცდუნებ? — გაეპასუხა სტიკოვიჩი.

— ყველას, ვისი მოტყუებაც ადვილია.

— ეს სიცრუეა.

— არა, მართალია, თვითონ უკვე იცი. თუ მაიძულებ, მაშინ ყველაფერს გეტყვი.

— ცნობისმოყვარე არ გახლავარ.

— მაგრამ მაინც გეტყვი, რადგან ადამიანს მაშინაც კი, როცა მთელი დღე მორიდან მორზე გადადის, შეუძლია რაღაც დაინახოს, გაიგოს და შეიგრძნოს.

მინდა ყველაფერი გულახდილად გითხრა, რასაც შენ სხვადასხვაგვარ საქმიანობასა და უნარზე, გაბედულ თეორიებზე, ლექსებსა და სასიყვარულო ამბებზე ვფიქრობ.

სტიკოვიჩმა თითქოს წამოდგომა დააპირა, მაგრამ არ წამომდგარა, საკრებულოდან ისევ მოისმოდა მუსიკის ხმა (სონატის ყველაზე უფრო ცოცხალ და მხიარულ მესამე ნაწილს უკრავდნენ), დროდადრო მდინარის ღამეულ ხმაურში რომ იკარგებოდა.

— მადლობელი ვარ, ეს შენზე ცოტა უფრო ჭკვიანებისაგანაც მომისმენია.

— მოგისმენია, მაგრამ არა ის, რაც მე უნდა გითხრა. სხვები ან არ გიცნობენ, ან ტყუილს გეუბნებიან, ან ჩემი აზრისა არიან, მაგრამ დუმან.

შენი თეორიები და ინტერესები, ისევე, როგორც შენი სიყვარული და მეგობრული გრძნობები, ყალბი და ავადმყოფური პატივმოყვარეობიდან მომდინარეობს და მხოლოდ და მხოლოდ თავმომწონეობის ნაყოფია.

— ხა-ხა!

— სწორედ ასეა. ეროვნული იდეების თავგამოდებული ქადაგება შენი პატივმოყვარეობის განსაკუთრებული ფორმაა.

შენ არ შეგიძლია არც დედის, არც დის, არც ღვიძლი ძმის სიყვარული. შენ მხოლოდ იდეები გიყვარს... პატივმოყვარეობის წყალობით შენ კეთილიც იქნები, გულუხვიცა და თავგანწირულიც, რადგან მხოლოდ ეს გრძნობა გამოძრავებს, შენთვის ეს ერთადერთია და თავზე უფრო მეტად გიყვარს. ვინც არ გიცნობს, ადვილად შეიძლება მოტყუვდეს შენი ეროვნული იდეალის მოჩვენებითი თავდადებით. შეაცდენს მეცნიერების, პოეზიისა და საზოგადოების ერთგულების შენი კეთილშობილი ზრახვები, მაგრამ პატივმოყვარეობა უფლებას არ გაძლევს უერთგულო და დიდხანს ემსახურო ერთ რამეს. ყველაფერი, რაც კი შენ „მეს“ არ შეეხება, შენთვის უცხო და შორეულია. მე ჩავიხედე შენს სულში და უკვე ვიცი, რა საშინლად პატივმოყვარე ხარ. საკუთარ თავს ისე უღალატებ, თვითონაც ვერ მიხვდები, რადგან შენი საკუთარი „მეს“ მონა ხარ.

სტიკოვიჩი დუმდა.

გლასინჩანინმა თავიდანვე გააოცა თავისი დამაჯერებლობითა და მგზნებარებით, ახლა კი მის წინაშე იგი ახლებურად, სულ სხვა როლში წარდგა.

დინჯად წარმოთქმული გესლიანი და შეურაცხმყოფელი სიტყვები გამოწვევასავით ჟღერდა. სტიკოვიჩი მთლად დაიპყრო, მგონი, სიამოვნებდა კიდეც ზოგი სიტყვა, თუმცა გულში ხვდებოდა და ტკივილსაც ჰგვრიდა, მაგრამ მისი ბუნების ესოდენ შეუბრალებელი და ღრმა შეცნობა ერთი განსაკუთრებული მიზეზის გამო სიამოვნებასაც კი ანიჭებდა.

როცა ახალგაზრდა კაცს ეუბნები, საზარელი პიროვნება ხარო, ეს ნიშნავს, მის თავმოყვარეობას სასიამოვნოდ შეუღიტინო. უნდოდა, რომ გლასინჩანინს იმისი მკაცრი და ამომწურავი კრიტიკა კიდევ განეგრძო, რადგან ამაში სტიკოვიჩი საკუთარი პიროვნების განსაკუთრებული ძლიერების კიდევ ერთ დადასტურებას ხედავდა.

სტიკოვიჩს გაყინული მზერა მარმარილოს დაფისათვის მიეპყრო, მთვარის შუქით განათებული კაპიის კედელზე შესამჩნევად რომ გამოკვეთილიყო.

გაუგებარ თურქულ წარწერას ისე დაჟინებით უმზერდა, თითქოს სურდა ამოეკითხა ის ჭეშმარიტი აზრი, რასაც ასე მოსწრებულად და გონივრულად ლაპარაკობდა მისი გაბოროტებული ამხანაგი.

— შენ არც სიყვარული ძალგიძს და არც სიძულვილი, რადგან ამის შეგრძნება მხოლოდ მას აქვს, ვისაც ნამიერად მაინც შეუძლია დაივიწყოს თავისი მე და საკუთარი პატივმოყვარეობა დასძლიოს.

შენ ეს არ შეგიძლია და არ არსებობს ქვეყნად საქმე, რომლისათვისაც თავს გასწირავდი, სხვის უბედურებას გულთან ვერ მიიტან და ვერც დაგადარდიანებს. საკუთარი უბედურების მიმართაც გულგრილი დარჩები. თუ შენ თავმოყვარეობას არ ეამება, არაფერი არა გსურს, არც არაფერი გახარებს, საკუთარ შესაძლებლობასაც არ აფასებ.

შურიანი არა ხარ, მაგრამ იმის გამო კი არა, რომ კეთილი ხარ, არა, უსაზღვრო ეგოიზმის წყალობით სხვისი ბედნიერებისა და სხვისი უბედურების მიმართაც აუღელვებელი და უგრძნობელი ხარ, არაფერზე უკან არ დაიხევ, მაგრამ ამის მიზეზი სიმამაცე კი არა, ჯანსაღი ინსტინქტების უქონლობაა — შენ ხომ არც სისხლით ნათესაობას სცნობ, არც ღმერთსა და არც სამყაროს, არც მახლობლებსა და მეგობრებს, ყოველი შენი შემოქმედება ნაკარნახევია მხოლოდ საკუთარი პატივმოყვარეობით. მხოლოდ აქ იგრძნობ შენს თავს შეურაცხყოფილად. სინდისის ხმა თავმოყვარეობას ვერ შეგილახავს.

— შენ ამას ზორკაზე მეუბნები? — გააწყვეტინა სტიკოვიჩმა.

— დიახ, თუ გინდ ზორკაზე. შენ ხომ მასთან არაფერი გესაქმება. შენი სისუსტე ისაა, რომ მხოლოდ ის გიზიდავს, რაც ადვილად ხელმისაწვდომია და შენს პატივმოყვარეობას ელამუნება.

შენ ისევე ხიბლავ გამოუცდელ და მერყევი ხასიათის ობოლ მასწავლებელს, როგორც სიმღერებსა და წერილებს წერ, ქადაგებ და სხვებს ჭკუას ასწავლი. ჯერ გამარჯვებისათვის არ მიგიღწევია და უკვე ტვირთად გაწევს მისი სიმძიმე. პატივმოყვარეობამ უკვე ხარბად დააღო ხახა და წინ გერეკება, რაკი ყველაფერი საკუთარ პატივმოყვარეობას ანაცვალე. მისი გაუმაძღრობის უპირველესი მონა და წამებული თვითონვე შეიქენი, იგი არ გაძლევს არც შეჩერების და არც თვითკმაყოფილების უფლებას. აი, ამაშია მთელი შენი უბედურება.

შესაძლოა, შენ უფრო დიდ გამარჯვებასა და დიდებას მიაღწიო, გაცილებით მნიშვნელოვანს, ვიდრე სუსტ და მიმნდობ ქალიშვილზე გამარჯვებაა, მაგრამ არც ეს მიღწევები მოგანიჭებს კმაყოფილებას. პატივმოყვარეობისაგან ატაცებული წინ გაქანდები, მაგრამ როგორც

კი უფრო დიდ გამარჯვებას მიაღწევ, უმალ ძველს დაივიწყებ. პატარა წარუმატებლობა და წყენა კი საუკუნოდ დაგამახსოვრდება და ასე, ყველაფერს პატივმოყვარეობა შთანთქავს. მერე მის წინაშე შენ პირისპირ აღმოჩნდები, როცა ყველაფერს შთანთქავ, დაანგრევ, გათელავ, გაფანტავ და გაანადგურებ. გარშემო მხოლოდ უდაბნო შეგრჩება და აღარაფერი გექნება შესათავაზებელი. მაშინ საკუთარ თავს დაღრღნი კბილებით, მაგრამ ვერც ამით იხსნი თავს, შენი განებივრებული პატივმოყვარეობა უგულებელყოფს ასეთ საზრდოს და შორს გადაისვრის. ასეთი ხარ შენ, თუმცაღა ადამიანთა უმეტესობას, თვით საკუთარ თავსაც კი სხვანაირი ეჩვენები, მაგრამ მე, მე გიცნობ შენ.

გლასინჩანინი დადუმდა.

კაპიაზე ღამის სიგრილე იგრძნობოდა. მყუდროებას მხოლოდ მარად ხმაურიანი წყლის ხმა არღვევდა.

ორივენი ისე ჩაძირულიყვნენ საკუთარ ფიქრებში, რომ არც კი შეუმჩნევიათ როდის მიყუჩდა მუსიკა. ეჭვიანი და უიღბლო, ხე-ტყის მიმღები ლალად, ენაწყლიანად ლაპარაკობდა, მის ხმაში სიამაყე იგრძნობოდა და ამჯერად იმას ამბობდა, რაზეც დიდხანს ღრმად და გატაცებით უფიქრია, მაგრამ ვერასრდეს ეპოვნა შესაფერისი სიტყვები და გამოთქმები.

სტიკოვიჩი კი გაუნძრევლად იჯდა და უსმენდა, მზერა კვლავ წარწერიანი თეთრი დაფისათვის მიეპყრო, თითქოს კინოს უყურებსო.

სიბნელეში მდგარი უჩინარი ამხანაგის ყოველი მხურვალე სიტყვა და საყვედური ესმოდა, მაგრამ ეს არ შეურაცხყოფდა და არც აღელვებდა. პირიქით, ეჩვენებოდა, რომ გლასინჩანინის სიტყვებზე ფრთები ეზრდებოდა და უხმაუროდ, მაგრამ სწრაფად და გულადად ფრენდა დედამინის თავზე, ქვემოთ ხალხი დადიოდა. ქვეყანაზე იყო ურთიერთობები, კანონები და გრძნობები, ის კი დიდებული, ამაყი, ბედნიერებით გალაღებული, ყველაზე და ყველაფერზე ამაღლებულიყო.

მეტოქის ხმა და ლაპარაკი, მდინარის შხუილივით უხილავი, სადღაც ქვემოდან, მის ფეხთ ქვეშა სამყაროდან მიედინებოდა და მისთვის განურჩეველი იყო. დაე, განსაჯონ როგორც მოესურვებათ, მათთან არაფერი ესაქმება, რადგან იგი, სტიკოვიჩი, ფრინველივით დაფრინავს და ყველას უკან ჩამოიტოვებს.

ირგვლივ ჩამოვარდნილმა სიჩუმემ ორივე გამოაფხიზლა, მაგრამ ერთმანეთის შეხედვა ვერ გაბედეს.

ღმერთმა იცის, რით დამთავრდებოდა ეს ჩხუბი, რომ ხიდზე მოქეიფეებს არ გამოევლოთ.

ყვირილითა და ხმამაღალი სიმღერით აყრუებდნენ იქაურობას.

განსაკუთრებით ერთის ხმა გამოირჩეოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად რომ გაჰკიოდა:

ლამაზო და სიბრძნით სავსე
მშვენიერო ფატა,
აბიდ-აღას ქალიშვილო,
ასე რამ დაგხატა.

მომღერლები ხმაზე იცნეს, ახალგაზრდა ვაჭრები და ვაჭრების ვაჟები იყვნენ. ზოგი პირდაპირ და ნელა მოაბიჯებდა, ზოგი კი ქანაობითა და ბარბაცით მოდიოდა. მათ ხმამაღალ ოხუნჯობაზე მიხვდებოდით, რომ „ალვის ხეებიდან" მოდიოდნენ.

ჩვენს მოთხრობაში დაგვავიწყდა გვეცნობებიან ქალაქის ცხოვრების კიდევ ერთი სიახლე. ალბათ, შეგიმჩნევიათ, რა ადვილად ავიწყდება კაცს ის, რაზეც ლაპარაკი არ უყვარს.

თხუთმეტი წლის წინათ, ჯერ კიდევ რკინიგზის გაყვანამდე, ქალაქში ვიღაც უნგრელი თერდიკი და მისი მეუღლე იულკა დასახლდნენ. ქალი სერბიულად ლაპარაკობდა, რადგან წარმოშობით ნოვისადელი იყო.

ხალხი მაშინვე ალაპარაკდა, ისეთი დაწესებულების დაარსებას აპირებენ ჩვენს ქალაქში, ჯერ რომ არავის უნახავსო.

მართლაც, ეს დაწესებულება ქალაქის განაპირას სტრაჟიშჩეს ძირას, მაღალი ალვის ხეების ქვეშ, ბეგისეულ ძველ სახლში გახსნეს.

ახალმა პატრონებმა სახლი ახლებურად გადააკეთეს.

ეს იყო ქალაქში ყველაზე სამარცხვინო ადგილი.

სახლის ფანჯრებზე მთელი დღის მანძილზე ფარდები იყო ჩამოფარებული.

შებინდებისას შესასვლელში კარბიდის თეთრ ფარანს ანათებდნენ და მთელი ღამე ენთო.

დაბლა სართულიდან სიმღერისა და ფისჰარმონის ხმა ისმოდა. ახალგაზრდებმა და უცოლო მამაკაცებმა მალე გაიგეს თერდიკის სახლში ჩამოყვანილი გოგონების სახელები. თავდაპირველად ისინი ოთხნი იყვნენ: ირმა, ილონა, ფრიდა და არანკა.

პარასკევობით „იულიას გოგონები“ ფიაკრებში სხდებოდნენ და ყოველკვირეულ სამედიცინო შემოწმებაზე მიდიოდნენ.

ფერ-უმარილით შეთხიპნილ სახეზე პუდრიც ბევრი ეყარათ. შლაპებზე ყვავილები ეკეთათ, ქოლგებზე კი დიდი, მაქმანის არშიები ჰქონდათ შემოვლებული.

დედები ქალიშვილებს ფიაკრებისაკენ არც ახედებდნენ. თვითონაც თვალს არიდებდნენ ზიზღის, სირცხვილისა და სინანულის გრძნობით შეპყრობილები.

რკინიგზაზე სამუშაოს დაწყებისთანავე, რამაც ქალაქში მუშებისა და ფულის მოზღვავება გამოინვია, გოგონების რიცხვმა იმატა.

ძველი თურქული სახლის გვერდით თერდიკმა უკვე „გეგმის მიხედვით“ ახალი შენობა წამოჭიმა, რომელიც წითელი კრამიტით გადახურა და შორიდანვე თვალში გეცემოდათ. აქ სამი განყოფილება იყო: საერთო დარბაზი, საგანგებო ოთახები და ოფიცერთა დარბაზი.

სხვადასხვაგვარი მომსვლელებისათვის განკუთვნილ ოთახებს, რასაკვირველია, სხვადასხვა ფასებიც ედო.

აქ „ალვის ხეებში“, როგორც ეძახდნენ ამ ადგილს ქალაქში, მემკვიდრეობით მიღებულ, თუ თავიანთ ნაშოვნ ფულებს ფლანგავდნენ იმათი შვილები და შვილიშვილები, ვინც თავის დროზე ზარიას დუქანში და უფრო მოგვიანებით ლოტიკასთან სვამდნენ.

დიდი აურზაური და მუშტი-კრივი, აღვირახსნილი ღრეობა და ცრემლნარევი დრამა — ყველაფერი ახლა ცოლ-ქმარ თერდიკების სახლში ხდებოდა.

ეს სახლი გახლდათ ბევრი ქალაქელის ოჯახური და პირადი უბედურების მიზეზი.

მოქეიფეებმა შუაღამემდე დრო „ალვის ხეებში“ გაატარეს და ახლა კაპიაზე მოვიდნენ გასასეირნებლად. ნასვამი ძმა-ბიჭების სული და გული სულელი, მაგრამ მხიარული ყმაწვილი ვაჭრის შვილი პამპულა, ვინმე ნიკოლა პეციკოზა იყო. პეციკოზას ჯერ გამობრუჟავდნენ და მერე მასხრად იგდებდნენ.

ვიდრე კაპიასთან მოვიდოდნენ, მოქეიფენი მოაჯირთან შეჩერდნენ. ისმოდა ხმამაღალი დავა.

ნიკოლა პეციკოზა ნაძლევს დებდა, ორი ლიტრი ღვინის საფასურად ქვის მოაჯირზე ხიდის ბოლომდე გავივლიო.

სანაძლეო დადეს, ჭაბუკი მოაჯირზე აძვრა, ხელები გაშადა და ფეხებს ერთიმეორის მიყოლებით მთვარეულივით ადგამდა. როცა პეციკო-

ზამ კაპიას მიაღწია, ორი ახალგაზრდა შეამჩნია, მაგრამ მათთვის არაფერი უთქვამს. ისევ ღიღინითა და ფარფატით განაგრძო სახიფათო გზა. მთვრალი ძმაბიჭები კი უკან მისდევდნენ. მთვარის მკრთალ შუქზე მისი დაგრძელებული ლანდი მოაჯირიდან ხიდზე ეცემოდა.

როცა გამობრუჟულმა ყაყანა ბრბომ გაიარა, ხიდზე მდგარი ახალგაზრდები ერთმანეთს არც გამოეთხოვნენ, ისე წავიდნენ თავ-თავიანთი გზით.

გლასინჩანინი დრინას მარცხენა ნაპირზე წყვდიადში გაუჩინარდა, სადაც მისი სახლისაკენ, ოკოლიშჩაში მიმავალი გზა გადიოდა. სტიკოვიჩმა კი მოპირდაპირე მხარეს, მოედნისაკენ გასწია. იგი ნელა, გაუბედავად მიაბიჯებდა, თითქოს არ ეთმობოდა ხიდი, სადაც უფრო მეტი სინათლე და სიგრილე იყო, ვიდრე ქალაქში. მერე მოაჯირთან შეჩერდა. უეცრად სურვილი მოეძალა, რაღაცას ჩასჭიდებოდა ან დაყრდნობოდა.

მთვარე დუხოვის მთის იქით ეშვებოდა.

ხიდის ბოლოში ქვის მოაჯირზე დაყრდნობილი ჭაბუკი დიდხანს ისე გასცქეროდა მშობლიურ ქალაქს, თითქოს პირველად ახლა დაინახაო.

სიბნელეში მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა განათებული ფანჯრები: ოფიცერთა საკრებულოში ჯერ კიდევ სინათლე ენთო. მუსიკა დადუმებულიყო. ორი უიღბლო ადამიანი, ექიმი და პოლკოვნიკის მეუღლე, მუსიკაზე, სიყვარულსა და თავიანთ მწარე ხვედრზე ლაპარაკობდნენ, რაც არც ცალ-ცალკე ცხოვრებისა და არც შეერთების საშუალებას არ აძლევდათ.

იმ ადგილიდან, სადაც სტიკოვიჩი იდგა, კიდევ ერთი განათებული ფანჯარა მოჩანდა. ეს ლოტიკას ოთახის ფანჯარა იყო.

ჭაბუკი თითქოს იქიდან რაღაცას მოელისო, ისე უყურებდა ხან საკრებულოს, ხან სასტუმროში ლოტიკას ფანჯარას. მდუმარე და ნაღვლიანი იყო. ლოთი პეციკოზას სახიფათო გასეირნებამ ადრეული ბავშვობის მოგონებები გაუღვიძა, როცა სკოლაში მიმავალმა ზამთრის განთიადის ბურუსში დაინახა ამავე მოაჯირზე ჯმუხი ჩორკინი როგორ მიცეკვაობდა. ბავშვობის მოგონებები ყოველთვის ნაღველს ულვივებდა და გუნებას უფუჭებდა.

სამყაროზე გადაფრენის საბედისწერო, მაგრამ მომხიბლავი შეგრძნება, რაც გლასინჩანინის მკაცრმა სიტყვებმა მოჰგვარა, უკვე აღარა ჰქონდა. ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს სიმაღლიდან უეცრად ჩამოვარდა და ახლა სხვებთან ერთად ბნელით მოცულ დედამიწაზე

ძლივსღა დაფორთხავდა. გარდა ამისა, მასწავლებელთან პაემანის გახსენებაც სტანჯავდა. საკუთარ საქციელს ახლა ნანობდა, თითქოს ეს ვიღაც სხვამ მისი სახელით ჩაიდინაო.

სტანჯავდა ჟურნალში მოთავსებული სტატიის გახსენებაც, შეცდომებით სავსედ და უსუსურად რომ ეჩვენებოდა, თითქოს მის ნაცვლად, მისი თანხმობის გარეშე სტატია ვიღაც სხვამ დაწერა და ხელი მისი სახელით მოაწერაო.

სტიკოვიჩი ფიქრობდა გლასინჩანინის გრძელ სიტყვაზე და უეცრად მიხვდა თუ როგორი შეურაცხმყოფელი ზიზღით, სიძულვილითა და საშიშროებით იყო იგი სავსე.

მდინარიდან სიგრილემ დაბერა და სტიკოვიჩი მოიბუზა, ფიქრიდან გამორკვეულმა უცბად შენიშნა, რომ საკრებულოს ორივე ფანჯარა უკვე ჩაებნელებინათ. შენობიდან უკანასკნელი სტუმრები გამოდიოდნენ.

მოედანზე ხმლების წკრიალი და ხმამაღალი უცხო ლაპარაკიც ისმოდა. ჭაბუკი მოაჯირს მოსცილდა, ერთხელ კიდევ შეხედა სასტუმროს განათებულ ფანჯარას, ჩაძინებული ქალაქის ამ ერთადერთ შუქურას და ზევით მოედნისაკენ, თავისი განმარტოებული სახლისაკენ გაემართა.

თავი მეოცე

იმ გვიან ღამით ქალაქს ჯერ კიდევ არ ეძინა. სასტუმროს ზედა სართულზე განათებული პატარა ფანჯარა მოჩანდა. ეს ლოტიკას ოთახი იყო. ლოტიკა ახლაც ქაღალდებით გავსებულ პატარა მაგიდას მისჯდომოდა ისევე, როგორც ოცი წლით წინათ, როცა ამ ოთახში შემოდიოდა, სასტუმროს ხმაურისაგან ერთი წუთით დასასვენებლად, მაგრამ ახლა ქვემოთ ყველაფერი მიწყნარებული და ჩაბნელებული ჩანდა.

უკვე ათ საათზე ლოტიკამ თავის ოთახს მიაშურა დასაძინებლად.

ვიდრე დაწვებოდა, ფანჯარასთან მივიდა. უნდოდა ერთხელ კიდევ ჩაესუნთქა მდინარიდან მონაბერი გრილი ჰაერი და მთვარის მკრთალი შუქით განათებული ხიდის თაღისათვის — ფანჯრიდან გადაშლილი ამ უცვლელი სანახაობისთვის — ერთხელ კიდევ შეეხედა. უცებ რომლიღაც ძველი ანგარიში გაახსენდა და მის მოსაძებნად მაგიდას მიუჯდა. მერე ანგარიშების სინჯვაში ისე გაერთო, რომ დროც დაავიწყდა და დაღლილობაც. მაგიდასთან ორ საათზე მეტხანს დაჰყო.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, მაგრამ ლოტიკა ციფრებს ციფრებზე იწერდა და ქაღალდებს აშრიალებდა.

ლოტიკა დაიღალა. დღისით ცოცხალი, მოუსვენარი და მოფუსფუსე კვლავინდებურად მკვირცხლი და ენაწყლიანი იყო, მაგრამ საღამოობით დაღლილობა ეძალებოდა და მარტოობაში უფრო მეტად განიცდიდა გარდასულ წელთა სიმძიმეს.

ლოტიკა მობერდა, ადრინდელი სილამაზის მარტო კვალიღა შემორჩენოდა. გამხდარი სახე გაფერმკრთალდა, თმა შეუთხელდა და გაუუფერულდა, ოდესღაც მაგარი და ელვარე კბილები ჩაუყვითლდა. შავ, ჯერ კიდევ ბრწყინვალება შემორჩენილ თვალებში ხან სიმკაცრე, ხანაც ნაღველი ჩაუდგებოდა ხოლმე.

ლოტიკა გადაიღალა, მაგრამ საამო და ტკბილ დაღლილობას კი არ გრძნობდა, აწყობილ საქმესა და სარფიან შემოსავალს რომ მოაქვს, რაც ოდესღაც აიძულებდა დასასვენებლად და სულის მოსათქმელად ამ ოთახშია მოსულიყო. არა, სიბერემ მოაკითხა და თან ცუდი დრო მოიყოლია.

ლოტიკას არ შეეძლო თავად ჩასწვდომოდა და სიტყვებით გამოეთქვა ის ბუნდოვანი შეგრძნება, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ სდევდა. უჭირდა შეგრძნება იმისა, რომ ცუდი დრო დადგა იმათთვის, ვინც მხოლოდ საკუთარ გამორჩენასა და მახლობლებზე ზრუნვას უნდებოდა.

როცა ოცდაათი წლის წინათ ბოსნიაში ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო, ცხოვრება გაცილებით მარტივი იყო.

ყველას ლოტიკასავით ერთი და იგივე საზრუნავი ანუხებდა: საქმე და ნათესავები. ყველას თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ.

ყველასათვის ერთიანი მტკიცე წესრიგი და ერთიანი მკაცრი კანონი არსებობდა.

ასე ეჩვენებოდა მაშინ ლოტიკას სამყარო. ახლა კი ადამიანები დაიქსაქსნენ, ყველაფერი როგორღაც აირ-დაირია და ადგილი ინაცვლა.

მოგებისა და ზარალის კანონმა, ამ საოცარმა კანონმა, რომელიც ყოველთვის თავის ჭკუაზე ათამაშებდა ადამიანებს, უეცრად თითქოს დაკარგა თავისი ძალა — უკანასკნელ ხანს სულ უფრო ბევრს წერენ და ლაპარაკობენ ზარალიან და უიმედო საქმეებზე. ლოტიკას აზრით, არც მიზანი და არც აზრი რომ არ ჰქონდა. ცხოვრება იმსხვრეოდა, ინგრეოდა, იშლებოდა.

როგორც ჩანს, თანამედროვე თაობისათვის მნიშვნელოვანია ცხოვრების ცნება, ვიდრე თვით ცხოვრება. ეს სისულელეა და მისთვის სრულიად გაუგებარია, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ასეა.

ლოტიკა ყოველ ფეხის გადადგმაზე ნათლად ხედავდა და გრძნობდა, რომ ცხოვრებას სარგებლობა აღარ მოჰქონდა და ყველაფერი მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო.

ის საქმე, წინათ მის ხელში რომ ცეცხლი ეკიდა, ახლა უსიცოცხლო მძიმე ტვირთად ქცეულიყო, ებრაელთა სასაფლაოზე დაწყობილი საფლავის დიდი ქვებივით.

აგერ უკვე ათი წელი ხდებოდა, რაც სასტუმროს საქმეები შავად მისდიოდა.

ტყეები ქალაქის ირგვლივ სულ გაკაფეს და კიდევ უფრო შორსაც მიიწევდნენ, მასთან ერთად მიდიოდა სასტუმროს მდგმურებიცა და მოგებაც.

თავხედმა და უსირცხვილო გლეხუჭა თერდიკმა კერძო სახლში „ალვის ხეები“ გახსნა და ლოტიკას ბევრი მუშტარი გადაიბირა.

თერდიკი მუშტრებს აშკარად სთავაზობდა იმას, რასაც ლოტიკას სასტუმროში ვერასოდეს, ვერავითარი ფულის საზღაურად ვერ მიიღებდნენ.

ლოტიკა დიდხანს ებრძოდა ამ უნამუსო და სამარცხვინო კონკურენციას და გაჰყვიროდა: საძაგელი დროება დადგა, არც კანონია, არც წესრიგი და არც პატიოსან შემოსავალს აქვს ფასიო.

თერდიკის „სახლი" ახალგახსნილი იყო, როცა გაჯავრებულმა ლოტიკამ მის პატრონს „მაჭანკალი" შეარქვა. თერდიკმა სასამართლოში უჩივლა, ლოტიკა შეურაცხყოფისათვის დააჯარიმეს. ახლაც მაჭანკალს ეძახდა, მაგრამ უფრო წინდახედულად იქცეოდა.

ოფიცერთა ახალ საკრებულოში საკუთარი რესტორანი, ღვინის სარდაფი და სასტუმრო ჰქონდათ, სადაც საპატიო სტუმრები ჩერდებოდნენ.

პირქუშმა და ეშმაკმა გუსტავმა, ერთგულებაზე თავს რომ დებდა, ამდენი წლის სამსახურის შემდეგ, მიატოვა სასტუმრო და ბაზარში ყველაზე ხელსაყრელ ადგილას ყავახანა გახსნა და გუშინდელი მსახური ლოტიკას უსინდისო კონკურენტად გადაიქცა.

უკანასკნელ ხანს ქალაქში მომღერალთა საზოგადოებანი და სამკითხველოები მომრავლდა, მათაც საკუთარი ყავახანები ჰქონდათ და უამრავ მუშტარს იზიდავდნენ.

სადღა იყო ის ძველებური გამოცოცხლება.

სასტუმროში ახლა მხოლოდ უცოლო მოხელეებსღა თუ ნახავდით, სასაუზმოდ, ჭიქა ყავის დასალევად და გაზეთების წასაკითხად რომ შემოდიოდნენ.

ყოველ ნაშუადღევს ალი-ბეგ პაშიჩი, ლოტიკას სიჭაბუკის დროინდელი მეგობარი, სიტყვაძვირი და თავდადებული მეგობარი გამოჩნდებოდა.

ახლაც ძველებურად თავდაჭერილი და თავაზიანი იყო, ისევე პეწიანად და საგულდაგულოდ ჩაცმული, მაგრამ მთლად გაჭაღარავდა და გასქელდა. უკვე დიდი ხანია, რაც დიაბეტით გატანჯული სახარინით სვამდა ყავას.

ალი-ბეგ პაშიჩი დინჯად აბოლებდა თუთუნს და, ჩვეულებისამებრ, ლოტიკას ლაპარაკს უსმენდა. მერე როცა იდროვებდა, ისევ მშვიდად და უსიტყვოდ წამოდგებოდა და შინ ცირინჩანში მიდიოდა.

სასტუმროში ყოველდღე ნახავდით ლოტიკას მეზობელ პავლე რანკოვიჩს. მან დიდი ხანია ეროვნული ტანსაცმელი ვიწრო სამოქალაქო კოსტიუმზე შეცვალა, მხოლოდ პატარა წითელ ფესკას ვერ შეელია.

მუდამ გახამებული საყელოიანი პერანგი ეცვა, რომელსაც მაგარი საყელო და ციფრებითა და გამოთვლებით აჭრელებული მრგვალი მან-

ჟეტები ჰქონდა. რანოვიჩი რა ხანია ვიშეგრადის პირველ ვაჭრად იქცა, თუმცა სულ მუდამ მყარი მდგომარეობა ჰქონდა, საკუთარი საზრუნავი და სიძნელეები მაინც არ აკლდა. ისევე, როგორც ყველა მდიდარ და ხანშიშესულ ადამიანს, მასაც აღელვებდა ახალი დროება, ახალი იდეები, სხვადასხვა აზრი და გამოთქმის სხვადასხვაგვარობა.

მისთვის ყველაფერს ერთი სიტყვა „პოლიტიკა" განსაზღვრავდა, პოლიტიკა აღელვებდა და აჯავრებდა, მწუხარებით უვსებდა იმ წლებს, დიდი ხნის შრომის, მომჭირნეობის და მოთმენის შემდეგ სვებედნიერი რომ უნდა ჰქონოდა. სურდა, ძველებური ურთიერთობანი შეენარჩუნებინათ, თანამემამულეებს არ გამიჯნოდა, გულარხეინად ეცხოვრა, ფორმალურად მაინც ელიარებინა ხელისუფლება და ყოველგვარი შეხლა-შემოხლისათვის თავი აერიდებინა. ეს კი სულ უფრო ძნელდებოდა და თითქმის შეუძლებელი შეიქნა. — ღვიძლ ვაჟიშვილებთანაც ბევრი სადავიდარაბო ჰქონდა. სხვა ახალგაზრდებივით რანკოვიჩს ისინიც ჩერჩეტებად და უყაირათოებად მიაჩნდა (საკუთარი წადილითა თუ სისუსტის გამო მათ კვალს უფროსებიც მიჰყვებოდნენ). რანკოვიჩის აზრით, ახალგაზრდობამ დაივიწყა, რომ არსებული წყობილების დროს უნდა იცხოვრონ და მოკვდნენ, რომ ტყეში გავარდნილი ყაჩაღებივით არ უნდა გაატარონ თავიანთი ცხოვრება. ჭაბუკები კი ანგარიშს არ უწევდნენ მის აზრს, არ უნდოდათ მისგან მაგალითის აღება, ფულს უანგარიშოდ ფანტავდნენ, ყველაზე ნაკლებს ფიქრობდნენ თავიანთ მოვალეობაზე და იმაზე, თუ ვის პურს ჭამდნენ, ვის ნაჯაფ-ნადაგს. ჭრიჭინებივით გაუთავებლად ჭრიჭინებდნენ.

— „ვარსკვლავებს უყეფენ", — იტყოდა ხოლმე ბატონი პავლე შვილებთან დავისა და კამათის დროს.

პავლე რანკოვიჩს, ვისი ცხოვრება და ყოველი ნაბიჯი ანგარიშზე იყო დამყარებული, ზედმეტი ფიქრი და გაუთავებელი ყბედობა აცოფებდა, სასოწარკვეთილებას ჰგვრიდა მათი უაზრო ფულის ხარჯვა. შვილების საუბრის მოსმენისას, როცა ისინი, მისი აზრით, ქარაფშუტულად და გაუფრთხილებლად მსჯელობდნენ ცხოვრების არსზე, იმაზე, რაც მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი და წმინდა იყო, რანკოვიჩს კანკალი აიტანდა ხოლმე. იმის ნაცვლად, მამა დაემშვიდებინათ, ზიზღითა და ქედმაღლურად მყვირალა, ბუნდოვან სიტყვებს გაიძახოდნენ: თავისუფლება, მომავალი, ისტორია, მეცნიერება, დიდება.

ეს აბსტრაქტული ცნებები რანკოვიჩს ურჟოლას ჰგვრიდა.

ამიტომ რანკოვიჩი ამჯობინებდა ჭიქა ყავის დასალევად ლოტიკასთან დამჯდარიყო, ემასლაათა იმ საქმეებზე, რაც ნათელ და არა ორაზროვან ანგარიშებთან იყო დაკავშირებული, განრიდებოდა პოლიტიკასა და მაღალფარდოვან სიტყვებს, რომელიც არაფერს გიხსნის და გიმტკიცებს და ყველაფერზე გაეჭვებს. საუბრის დროს ხშირად ამოიღებდა ხოლმე ფანქრის ნალევს, რომელსაც გრაფიტი ისე მოცვეთოდა, თითქოს მეოთხედი საუკუნის ნახმარიაო და თავიანთ ნალაპარაკევს ციფრებით უშეცდომოდ და მიუკერძოებლად ამოწმებდა. გულითადი საუბრის დასასრულს იხსენებდნენ დიდი ხნის წინათ მომხდარ ამბებს, თავშესაქცევ შემთხვევებს და ნაღვლიანად დააყოლებდნენ ამ ამბის მომსწრეთა უმრავლესობა ცოცხალი აღარ არისო. მერე ჩაფიქრებული და წელში მოხრილი ვაჭარი პავლე მოედანზე, თავის დუქანში მიდიოდა, ლოტიკა კი საკუთარ საზრუნავსა და ანგარიშებთან მარტო რჩებოდა.

არც ლოტიკას საბირჟო ოპერაციების საქმე იყო სასტუმროს შემოსავალზე უკეთესად. დაპყრობის პირველ წლებში რომელიმე საწარმოს აქციების ყიდვა ფულის კარგ დაბანდებას ნიშნავდა, საკითხი მხოლოდ პროცენტების რაოდენობა იყო. მაგრამ სასტუმრო მაშინ ფეხს იდგამდა და ლოტიკას არც იმდენი ფული მოეძებნებოდა და არც კრედიტი, მოგვიანებით რომ გაუჩნდა. როცა მას ბირჟაზე თამაშის საშუალება მიეცა, მაშინ ბაზარზე მდგომარეობა შეიცვალა. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის დიდი პერიოდული კრიზისი ავსტრია-უნგრეთის მონარქიასაც შეეხო. ლოტიკას ფასიანი ქაღალდების ღირებულება ციებაშეყრილის სიცხესავით ხტუნავდა. ლოტიკა გაბოროტებული ტიროდა, როცა ყოველ კვირა ვენის „მერკურის“ ცნობებსა და საბირჟო კურსის ამბებს კითხულობდა. სასტუმროს კარგა გვარიანი შემოსავალიც კი არ კმაროდა ფასების დაცემით გამოწვეული ზარალის დასაფარავად. მაშინ ლოტიკამ მძიმე ნერვული დაავადება გადაიტანა, რაც მთელი ორი წელიწადი გაგრძელდა. ნათელი აზროვნება მთლიანად არც მერე დაუბრუნდა და ადამიანებთან ისე ლაპარაკობდა, რომ არც მათ უსმენდა და არც იმას უფიქრდებოდა, რას ამბობდა; ადამიანთა სახეების ნაცვლად თვალწინ „მერკურის“ ის წვრილი სვეტები ედგა, მისთვის ხან სიმწარე და ხან სიხარული რომ მოჰქონდა.

იმ წლებში ლოტიკამ ლატარიის ბილეთების შესყიდვა დაიწყო: თუკი ამქვეყნად ყველაფერი ბედის ჟინიანობისა და შემთხვევითობის თამაშია, დაე, ასე იყოს! ქალი სხვადასხვა ქვეყნის ლატარიის ბილეთებს

იძენდა, ესპანური დიდი საშობაო ლატარიის მეოთხედიც კი შეისყიდა, რომლის ძირითად მოგება თხუთმეტი მილიონი პესეტი იყო. ყველა ტირაჟის წინ ღელავდა, გათამაშების ცხრილზე ცრემლებს აფრქვევდა და ღმერთს ევედრებოდა, სასწაული მოეხდინა: მის ბილეთს დიდი მოგება რგებოდა. მაგრამ სასწაული არ ჩანდა.

შვიდი წლის წინათ ლოტიკას სიძემ ცალერმა ორ სხვა მდიდარ კომპანიონთან ერთად „მერძევეობის ახალი ამხანაგობა“ ჩამოაყალიბა. ძირითადი კაპიტალის სამი მეოთხედი ლოტიკას მისცა. საქმე დიდი მოგების იმედით იყო დაწყებული. ვარაუდობდნენ, რომ პირველი წარმატება დიდხანს არ დააყოვნებდა და წარმოების საქმეებით სწრაფად დააინტერესებდნენ არა მარტო ადგილობრივ კაპიტალისტებს, არამედ შორს, ბოსნიის ფარგლებს გარეთ მყოფ საქმოსნებსაც. მაგრამ ამხანაგობის პირველი ნაბიჯი ანექსიით გამოწვეულ კრიზისს დაემთხვა, მასთან ერთად გაქრა ახალი კაპიტალის მოზიდვის ყოველგვარი იმედიც. სასაზღვრო ოლქებში მდგომარეობა ისე მერყეევი იყო, რომ ხალხმა, პირიქით, დაბანდებული კაპიტალის გამოტანა დაიწყო. ორი წლის შემდეგ „მერძევეობის ახალი ამხანაგობა“, რომელმაც სრული მარცხი განიცადა, გაუქმდა. ზარალი რომ დაეფარა, ლოტიკა იძულებული გახდა გაეყიდა ყველაზე უფრო ნაღდი ფასიანი აქციები.

ფინანსურ წარუმატებლობას ოჯახური საზრუნავი და უსიამოვნებაც ემატებოდა, თითქოს მათ შორის რაიმე საიდუმლო კავშირი არსებობსო. მართალია, ცალერის ერთი ქალიშვილი ირენა მოულოდნელად იღბლიანად გათხოვდა (მზითევი, რასაკვირველია, ლოტიკამ მისცა), მაგრამ მის უფროს დას მინას გაუთხოვრობა ელოდა, უმცროსი დის ქორწინებით მიყენებულმა გულისტკენამ და „შინაბერად“ დარჩენამ ნაადრევად აქცია გაბოროტებულ და ფხუკიან არსებად. ყოველივე ამან ოჯახური ცხოვრება და სასტუმროში მუშაობა კიდევ უფრო მძიმე და ძნელად ასატანი გახადა. უამისოდაც ზანტი და დონდლო ცალერი კიდევ უფრო გაუბედავი გახდა, შინ ზრდილი, სიტყვაძვირი სტუმარივით ცხოვრობდა, არც არავის აწუხებდა და არც არაფერს აკეთებდა.

ცალერის ხანშიშესულ ავადმყოფ მეუღლეს დებორას დებილი ბიჭი გაუჩნდა. ათი წლისასაც კი არ შეეძლო მკაფიოდ ლაპარაკი და ფეხზე დგომა, გაუთავებლად დუდღუნებდა და ოთახში მუხლისთავებით დაბობღავდა. ამ საბრალო არსებას ლოტიკა დედაზე მეტად უყვარდა და გამწარებით ჩააფრინდებოდა ხოლმე კალთაში. ლოტიკაც, ათასი საზრუნავისა და წუხილის მიუხედავად, ყურადღებას არ აკლებდა, აჭმევდა,

ლოგინში აწვენდა, აძინებდა. პატარა მახინჯი ბიჭის დანახვაზე გული ტკივილით ევსებოდა, დარდობდა, რომ საქმეები ასე ცუდად წაუვიდა და საიმისო სახსარი აღარი ჰქონდა, ბავშვი გამოჩენილ ექიმებთან სამკურნალოდ ვენაში გაეგზავნა. ხან ის ადარდებდა, რომ ქვეყანაზე სასწაული არ არსებობდა და კეთილი საქმეებითა და ლოცვით დაუძლურებელთა განკურნება არ შეიძლებოდა.

ლოტიკას არც თავისი გალიციელი ნათესავები უხარებდნენ გულს, ბედნიერ წლებში თვითონ რომ მფარველობდა, თუმცა, ზოგიერთი მათგანი უკვე ოჯახს მოეკიდა, დიდ საქმეებს ატრიალებდა და დიდი ქონებაც ჰქონდა. ლოტიკას მხოლოდ მილოცვებს, მოკრძალებულ და მადლიერ წერილებს უგზავნიდნენ და ოჯახურ ამბებს ატყობინებდნენ, მაგრამ აპელმეიერები, ვისაც ლოტიკა თავის დროზე ბევრს ეხმარებოდა, მხოლოდ თავიანთ თავსა და ბავშვებზე ზრუნავდნენ და სხვა ღარიბ გალიციელ ნათესავებზე არ ფიქრობდნენ, თითქოს ტერნოპოლიდან გადმოსახლების შემდეგ მათი მთავარი საზრუნავი მხოლოდ უბადრუკი და მათხოვრული წარსულის სამუდამოდ დავიწყება იყო. სიბერეში შესულ ლოტიკას კი უკვე აღარ შეეძლო წინანდებურად თავისი შემოსავალი მათთვის გაეყო, უკვე აღარ ძალუძდა ამ ტერნოპოლელი ღატაკების სიღარიბიდან გამოყვანა. დღე და ღამე სტანჯავდა იმის შეგნება, რომ იქ, სამშობლოში მისი ნათესავები უმეცრებასა და სიბინძურეში, სამარცხვინო სიღარიბეში ცხოვრობდნენ, რაც მისთვის ასე კარგად იყო ნაცნობი და რასაც მთელი თავისი სიცოცხლე ებრძოდა.

მაგრამ, ისინიც კი, ვინც გზაზე დააყენა, არანაკლები უკმაყოფილების საბაბს აძლევდნენ. სწორედ მათ შორის ყველაზე იღბლიანებს, პირველ წარმატებებს რომ მიაღწიეს, ფეხი დაუსხლტათ და დაცურდნენ ცხოვრების გზაზე, ვინც მცდარ გზას დაადგა. მისმა დისშვილმა, ნიჭიერმა პიანისტმა, ვინც ლოტიკას დაჟინებითა და დახმარებით ვენის კონსერვატორია დაამთავრა, ბრწყინვალე დებიუტიდან რამდენიმე წლის შემდეგ, უეცრად მოიწამლა თავი; თვითმკვლელობის მიზეზი დღესაც არავინ იცის.

ერთმა დისწულთაგანმა, ალბერტმა, ოჯახის იმედი და ლოტიკას სიამაყე რომ იყო, ბრწყინვალედ დაამთავრა გიმნაზია და უნივერსიტეტიც, მაგრამ როგორც ებრაელს, „შუბ აუსპიციის რეგის“* წოდება და იმპერატორის ბეჭედი არ მიანიჭეს, ლოტიკას კი იმედი ჰქონდა, მიანიჭებენო. ალბერტი დიდი თანამდებობის პირი ვერ გახდა, ლოტიკას უნ-

* მეფის მფარველობით (ლათ.).

დოდა ვენის ან ლვოვის გამოჩენილ ადვოკატად მაინც ეხილა იგი, რაც მის სწავლაზე გაღებული მსხვერპლის სრული ანაზღაურება იქნებოდა. მაგრამ ლოტიკას აქაც მწარედ გაუცრუვდა იმედი. სამართლის ახალგაზრდა დოქტორი ჟურნალისტი გახდა და სოციალისტური პარტიის ფრთას მიემხრო, რომელიც ვენის 1906 წლის საყოველთაო გაფიცვის დროს ჩამოყალიბდა. ერთხელ ლოტიკამ ვენის გაზეთებში საკუთარი თვალით წაიკითხა, რომ „უცხოელი რევოლუციური ელემენტებისაგან ვენის გაწმენდის მიზნით, დედაქალაქიდან ოცი დღის პატიმრობის მოხდის შემდეგ გასახლებულ იქნა ებრაელი რევოლუციონერი, დოქტორი ალბერტ აპელმეიერი". ვიშეგრადელები რევოლუციონერს ჰაიდუკზე უკეთესად როდი უყურებდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ ბუენოს-აირესში გახიზნულმა მისმა საყვარელმა ალბერტმა წერილი გამოუგზავნა დეიდას.

იმ დღეებში ლოტიკა თავის ოთახშიც ვერ ისვენებდა. ბარათი დასა და სიძეს შეუტანა და დარდისაგან თავზარდაცემული, სასონარკვეთილი, მრისხანედ შიგ ყურში ჩასძახოდა დებორას, მარტო ტირილიღა რომ შეეძლო.

— რა გვეშველება? მე შენ გეკითხები, რა გვეშველება, დამოუკიდებლად ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეუძლიათ, უეჭველად წაიქცევიან, თუ ხელი არ შეაშველე. რა გვეშველება? დაწყევლილები ვართ და ეგ არის!

— ღმერთო, ღმერთო! — ოხრავდა საბრალო დებორა და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა, არ იცოდა რა ეპასუხა ლოტიკასთვის. თუმცა არც ლოტიკა ელოდა პასუხს, ისიც ხელებს გულზე დაიკრეფდა, მაგრამ ისე კი აწუწუნდებოდა, როგორც მისი და. არა, მრისხანედ და სასონარკვეთით აღაპყრობდა თვალებს ზეცისაკენ.

— სოციალისტი გახდა! — სო-ცი-ალ-ისტი! ის არ გვეყოფოდა, ებრაელები ვართ, ახლა ესეც ზედ დაგვემატა. ოი, ერთადერთო და დიდებულო ღმერთო, რა შეგცოდე, რომ ასე დამსაჯე? სოციალისტი გახდა!

ლოტიკამ ალბერტი მკვდარივით გამოიტირა და მერე ხსენებითაც კი აღარ უხსენებია.

სამი წლის შემდეგ ლოტიკას ერთი დისწულთაგანი, ალბერტის ღვიძლი და პეშტში ერთ მეტად სასურველ ოჯახში გაათხოვეს.

ლოტიკამ გაამზითვა ქალიშვილი და საკუთარ მხრებზე გადაიტანა ის ვაი ვაგლახი, რაც ამ ამბავს მოჰყვა. ტენოპოლელ აპელმეიერებს

მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰქონდათ, ისინი მხოლოდ ბავშვების სიმრავლითა და რელიგიური ტრადიციებით თუ დაიკვეხნიდნენ.

დისშვილის საქმრო საქმოსანი და მდიდარი კალვინისტი გახლდათ და ქორწინების პირობად ქალიშვილს თავის რწმენაზე გადასვლა მოთხოვა.

მშობლები უარზე იყვნენ, მაგრამ ლოტიკა, მთელი ოჯახის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე რომ ზრუნავდა, ამტკიცებდა, დინების საწინააღმდეგოდ ცურვა არ შეიძლებაო, უნდა დათმო ტვირთის ერთი ნილი, რათა დანარჩენი გადაარჩინოო.

მისი წყალობითა და ხელისშეწყობით ქალიშვილი მონათლეს და გაათხოვეს.

ამ სიძის დახმარებით ლოტიკა იმედოვნებდა პეშტის საქმიან სამყაროში თავისი სხვა ახლად წამოჩიტული დისწულების შეყვანასაც, მაგრამ უმოწყალო ბედმა ისე ინება, რომ ბირჟის მდიდარი საქმოსანი ქორწინების პირველივე წელს გარდაცვლილიყო.

ყმაწვილი ცოლი დარდისაგან კინაღამ ჭკუაზე შეიშალა.

მწუხარება დრომაც ვერ განკურნა და მძიმე სენმა თანდათანობით აუმღვრია გონება. აგერ უკვე მეოთხე წელი სრულდებოდა, რაც პეშტში ცხოვრობდა დიდ, მდიდრულად მორთულ სახლის ოთახებში. მისი ბრძანებით ფანჯრებს შავი ნაჭრები ჩამოაფარეს. ცოლი ყოველდღე დადიოდა სასაფლაოზე, ქმრის საფლავთან ჩამოჯდებოდა და ნაზი, მშვიდი ხმით თავიდან ბოლომდე უკითხავდა იმ დღის საბირჟო კურსის ცხრილს.

ამაო გამოდგა ყველა ცდა, დაერწმუნებინათ, ხელი აეღო ასეთ საქციელზე. ქალი ყველას წყნარად პასუხობდა, ჩემ მკვდარ ქმარს ყველაზე უფრო საბირჟო კურსების ციფრები უყვარდა და სამარეშიც უტკბილეს მუსიკად მოეჩვენებაო.

ასე იხლართებოდა უამრავი ადამიანის ბედის ძაფები ლოტიკას ამ პატარა ოთახში.

ლოტიკას დიდ დავთრებში ბევრი იყო „საეჭვო" თუ სამუდამოდ ჩამონერილი და გადახაზული ანგარიშები.

ლოტიკა დაღლილი იყო, მაგრამ სულიერად არ ეცემოდა და ძველებურად მუშაობდა. ზარალი და მარცხი მხოლოდ იმას აიძულებდა, ძალღონე მოეკრიბა, მაგრად დაეჭირა კბილი კბილზე და ისე გაეგრძელებინა საქმე.

უკანასკნელ წლებში მთელი ძალა თავდაცვას მიჰქონდა, მაგრამ აქაც ისეთივე შეუპოვრობას იჩენდა, როგორც ოდესღაც ფულების დაგროვებისა და გამდიდრების დროს.

სასტუმროში იგი „მამაკაცი" გახლდათ, ხოლო მთელი ქალაქისათვის „დეიდა ლოტიკა" იყო. აქაც და საერთოდ, მთელ ქვეყანაზე ჯერ კიდევ ბევრი ელოდა მისგან დახმარებას ან, ყოველ შემთხვევაში, კეთილ რჩევას. იმას არავინ ფიქრობდა, შესწევდა თუ არა ქალს კიდევ საამისო ძალა. ნამდვილად კი იმაზე უფრო დაღლილი იყო, ვიდრე სხვებს ეგონათ ან თვითონ ეჩვენებოდა.

კედლის პატარა საათმა პირველი ჩამორეკა.

ლოტიკამ წელზე ხელი წაივლო და მძიმედ წამოდგა. მერე სამუშაო მაგიდაზე დიდი მწვანე ლამპა ჩააქრო, ბებრული, პატარ-პატარა ნაბიჯებით საწოლთან მივიდა და გახდას შეუდგა.

მძინარე ქალაქი უკუნეთ წყვდიადში ჩაძირულიყო.

თავი ოცდამეერთე

ბოლოს დადგა დრინას ხიდის ქრონიკის უკანასკნელი — 1914 წელი. როგორც ყველა სხვა წელიწადი, ისიც დროის მსუბუქი ფრთებით წყნარად და მშვიდობიანად მოვიდა, მაგრამ შორიდან უკვე ისმოდა შფოთიანი გუგუნი ახალი და უჩვეულო მოვლენებისა, მთელი დედამიწის ზურგზე ერთმანეთის კვალდაკვალ ტალღებივით რომ მოგორავდნენ.

მრავალმა ღვთისგან ნაბოძებმა წელმა გადაიქროლა ქალაქის თავზე და კიდევ მრავალი გადაივლის. ამ გრძელი ჯაჭვის განრიგში იყო და კვლავაც იქნება ერთმანეთისაგან განსხვავებული წლები, მაგრამ 1914 წელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ყოველ შემთხვევაში იმათთვის, ვინც იგი გადაიტანა. მათი ღრმა რწმენით, რამდენიც უნდა ელაპარაკათ და ეწერათ ამ წლებზე, ვერავინ მოახერხებდა იმის მოყოლას, რაც მაშინ მოხდა. ამ წელს დატრიალებულმა ამბებმა ძირფესვიანად შეცვალა ადამიანების ბედი. მათი აზრით, არავის შეეძლო ენით გამოეთქვა და სხვისთვის გადაეცა ეს უზარმაზარი მსოფლიო ძვრები, რამაც მარტო ადამიანების ცხოვრება კი არ შეძრა, არამედ ირგვლივ თვით ქალაქებიცა და საზღვრებიც. ვინ აღწერს ამ საკაცობრიო მღელვარებას, რომელიც სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა, იყო ეს ბრმა ცხოველური შიში, თუ თავგანწირული ენთუზიაზმი, მდაბალი, სისხლს მოწყურებული ყაჩაღური ინსტინქტი, თუ კაცთმოყვარეობის სახელით ჩადენილი უწმინდესი გმირობა, როცა ადამიანი საკუთარ თავზე მაღლა დგება და წუთიერად იმ სამყაროში შედის, სადაც სულ სხვა, უმაღლესი კანონებია გამეფებული? ამას ვერავინ მოჰყვება, რადგან, ის, ვინც ყველაფერი ნახა და განიცადა, მდუმარე სამარეში მარხია ან ხმას არ იღებს. ფაქტები კი, რომელსაც აღარ ახსენებენ, დავიწყებას ეძლევა (აბა, როგორღა გაიმეორებდნენ, რომ არ ივიწყებდნენ).

1914 წლის ზაფხულში, როცა კაცობრიობის ბედ-იღბლის გამგებლებმა საერთო საარჩევნო კანონი გაითამაშეს და ევროპის მოსახლეობას საყოველთაო სამხედრო ბეგარად მოახვიეს თავზე, ქალაქში აშკარად გამოჩნდა იმ დაავადების პირველი ნიშნები, რომელსაც წილად ხვდა ჯერ ევროპის, ხოლო შემდეგ კი საყოველთაო კუთვნილება გამხდარიყო. ეს იყო ისტორიული ეპოქის გასაყარი, ამასთან, წარმავალი ეპოქის დასასრული ბევრად უფრო ნათლად ჩანდა, ვიდრე ახალი ეპოქის დასაწყისი. მაშინ ჯერ კიდევ ეძებდნენ ძალადობისათ-

ვის გამართლება მოენახათ და არჩევდნენ მხეცობისათვის დასარქმევ სახელებს, რასაც გასული საუკუნის სულიერი არსენალიდან სესხულობდნენ. ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა, ინარჩუნებდა სიახლის ღირსებასა და მიმზიდველობას — საძაგელ, ხანმოკლე და ენით გამოუთქმელ მიმზიდველობას, რაც მოგვიანებით უკვალოდ გაქრა. ასე რომ, ვინც მაშინ ასე ცხოვლად განიცადა ეს სიახლე, მათი მოგონების კვალიც კი აღარ შემოინახეს.

ყველაფერ ამას მხოლოდ გაკვრით ვეხებით. ამ გარემოებას მომავალი ეპოქების პოეტები და მეცნიერები იმ საშუალებებითა და ხერხებით აღადგენენ და შეისწავლიან, რომელთა განჭვრეტაც ჩვენ არ ძალგვიძს, ისინი ჩვენზე ნათლად, თავისუფლად და გაბედულად შეისწავლიან. ალბათ, შეძლებენ კიდეც ამ საკვირველ წელს გამართლება მოუნახონ და კაცობრიობის განვითარებისა და მსოფლიო ისტორიაში სათანადო ადგილი მიუჩინონ. ჩვენთვის კი, უპირველეს ყოვლისა, ეს არის წელი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა დრინის ხიდისათვის.

ვინც კი 1914 წლის ზაფხული ვიშეგრადში გაატარა, მათთვის ეს წელი ყველაზე ნათელ და მშვენიერ მოგონებად დარჩება. მათ შეგნებაში ეს ზაფხული უსასრულობისაკენ მიმართულ უბედურებასა და ტანჯვის უსაშველოდ მრუმე ცისკიდურზე ბრწყინავს და კაშკაშებს.

თვითონ ზაფხული ბევრ წინა ზაფხულთან შედარებით უკეთესად, ნამდვილად კარგად დაიწყო. ქლიავის ასეთი მოსავალი დიდი ხანია არ ახსოვდათ, ყანას კარგი პირი უჩანდა. შფოთიანი ათწლედის შემდეგ ადამიანებს წყნარი და სვეკეთილი წლის იმედი ჰქონდათ, უწინდელ გაჭირვებასა და ზარალს რომ აუნაზღაურებდათ. ადამიანის ყველაზე ტრაგიკული და სამწუხარო ნაკლოვანებაა მისი უუნარობა განსჭვრიტოს მომავალი, ეს ნაკლი სულაც არ შეესაბამება ადამიანის ნიჭს, ჩვეულებსა და ცოდნას.

ამ განსაკუთრებულ წელიწადს, რომელიც ღმერთმა მზის მცხუნვარე სხივებითა და ნიადაგის ტენიანობით მომადლა, ვიშეგრადის დაბლობი მოჭარბებული, სასიცოცხლო ძალებისაგან თვალისმომჭრელად ბრწყინავდა, მზე აცხუნებდა და ყველაფერი, რაც კი დედამიწაზე ხარობდა, ყლორტებს იყრიდა, იფოთლებოდა, ყვავილობდა, კვირტი გამოჰქონდა და უხვ მოსავალს იძლეოდა.

სიცოცხლის ეს სიუხვე ყველა კვალისა და ბალახის თავზე თბილი, მოლაჟვარდისფრო კვამლივით ფარფატებდა. ძროხები და თხები ძლივს დათამთამებდნენ, ფეხებს ფართოდ, გან-განზე ადგამდნენ, ისე

ჰქონდათ ცურები დატენილი. მდინარეში ზაფხულის დამდეგს ქვირითის დასაყრელად მიმავალი თევზების ქარავნები ისე მომძლავრდა, რომ თავთხელ ადგილებში ბიჭბუჭები პირდაპირ ვედროებით ხაპავდნენ და ნაპირზე ისროდნენ. ხიდის ფორებიანი ქვა დანესტიანდა და, თითქოს სული ჩაედგაო, მიწიდან ამონადენი ტენითა და ძალ-ღონით აივსო. თეთრი ხიდი ქალაქის თავზე მხიარული მზის მცხუნვარე სხივებში ბრწყინავდა. დაბლობზე ყველაფერი ხარბად იფურჩქნებოდა და მოსავლის მოყვანას ესწრაფვოდა.

ვიშეგრადის დაბლობზე ასეთი ზაფხული იშვიათად დგება, მაგრამ, როცა კი ბედი გაუღიმებს, ხალხი ყოველგვარ გაჭირვებას ივიწყებს, ისევე, როგორც ვერ საზღვრავს მოსალოდნელ უბედურებას, ისინიც უერთდებიან მშობლიური მიწის სისხლსავსე ცხოვრებას. ნაყოფიერების სიკეთეს, თვითონაც უზიარებენ სითბოს ნოტიო მიწისა და შუშხუნა ნვენის შეერთებულ შრომას. გლეხიც კი, წუწუნის საბაბს რომ ეძებს, იძულებულია გამოტყდეს, იღბლიანი წელიწადი დაგვიდგაო, ოღონდ ყოველი შექების შემდეგ ზედ დაატანს: „თუ ასე გაგრძელდა“. ბაზრის ვაჭრები ყვავილების ირგვლივ მოფუსფუსე ფუტკრებივით ირეოდნენ. ათვალიერებდნენ ნათესებს და მოუმკელი ყანებისა და მკვახე ქლიავის საფასურად ბეს არიგებდნენ. არნახული მოსავლის მომლოდინე გაქნილი ვაჭრების შემოსევა გლეხს აფხიზლებს. ტოტებდახუნძლული ხის ქვეშ დგება, სიმძიმისაგან რტოები მიწამდე რომ დაუხრია, მობიბინე ყანას გაჰყურებს და ცდილობს, რაც შეიძლება თავშეკავებულად და წინდახედულად მოიქცეს ჩამოსულ ქალაქელთან, სწორედ ამ გრძნობების გამო გლეხი სახედაძაბული და შეწუხებულია. საოცრად ჰგავს იმ ნაღვლიან ნიღაბს, გლეხები მოუსავლიან წლებში რომ ატარებენ.

მდიდარ და გავლენიან ვაჭრებს გლეხები თავად ეახლებოდნენ ხოლმე, განსაკუთრებით ბაზრობა დღეს ვაჭარ რანკოვიჩს უფულო გლეხების მთელი ჯგრო მიადგებოდა: გლეხები სანტო პაპოს მაღაზიაშიც ბლომად ირეოდნენ, ვინც ვიშეგრადელ ებრაელთა შორის დიდი ხანია პირველობდა (მართალია, ქალაქში გაჩნდა ბანკები და გლეხებს საიპოთეკო კრედიტის მიღების საშუალება მიეცათ, მაგრამ მოხუცების უმრავლესობა მაინც მამაპაპურად ფულს ისევ ქალაქელი ვაჭრებისაგან სესხულობდა).

ვაჭარ სანტოს მაღაზია ვიშეგრადის ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი და კარგა მოზრდილი მაღაზიაა. მის სალი ქვისგან ნაგებ

შენობას სქელი კედლები აქვს, იატაკზე ქვის ფილებია დაგებული, მძიმე კარები და ფანჯრის დარაბები რკინით შეჭედილია, ხოლო მაღალ და ვიწრო ფანჯრებს, დიდი ხშირი გისოსები უკეთია.

შეხვალ თუ არა მაღაზიაში, კედლების გასწვრივ ჩარიგებულ ხის თაროებზე მომინანქრებული ჭურჭელი აწყვია, უჩვეულოდ მაღალ ჭერამდე, სიბნელეში რომ თითქმის აღარც კი ჩანს, უფრო მჩატე საქონელი ალაგია: სხვადასხვა ზომის ლიფლიფები, ფარნები, ყავადანები, გალიები, სათაგურები და მავთულის სხვა ნაკეთობანი. ეს ყველაფერი დიდ შეკვრებად ჰკიდია, გრძელ დახლთან კი ლურსმნით სავსე ყუთები, კირი, თაბაშირითა და საღებავებით დატენილი ტომრები ალაგია. იქვეა მძივებივით თოკზე ასხმული წერაქვები, ნიჩბები, უტარო თოხები, კუთხეებში კი ნავთით, სკიპიდარითა და ოლიფით სავსე თუნუქის დიდი ბიდონები დგას. აქ ზაფხულის ცხელ დღეებშიც კი სანახევროდ ბნელა და გრილა.

საქონლის უმეტესი ნაწილი მაღაზიის უკანა ოთახში ალაგია, საითაც რკინის ვიწრო კარები გადის. აქ მსხვილ-მსხვილი საქონელი ინახება: თუნუქის ღუმელები, სალტეები, სახნისები, გუთნები, ძალაყინები და სხვა დიდი ზომის იარაღები. ყველაფერი ერთმანეთზე აწყვია, მათ შორის ვიწრო გასასვლელში ისე უნდა გაიარო, როგორც მაღალ კედლებს შორის. საწყობში მუდმივი წყვდიადია გამეფებული და სანთლის გარეშე არავინ შედის.

სქელი კედლების, ქვის იატაკისა და რკინის საგნების წყალობით მაღაზიაში ცივი, ძვალსა და რბილში გამტანი, ჰაერი იდგა. ქვებისა და ლითონის სუნთქვა იგრძნობოდა, რომლის არც განიავება შეიძლება და არც გათბობა; ეს ჰაერი მკვირცხლ და ლოყებღაჟღაჟა ბიჭებს რამდენიმე წელიწადში თვალებგადმოკარკლულ, ფერდაკარგულ და მდუმარე ნოქრებად აქცევდა. ყმანვილები გამოცდილებას იძენდნენ, ეჩვეოდნენ მომჭირნეობას და ერთ ადგილზე მრავალი წელი მსახურობდნენ. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი ჰაერი პატრონებისათვისაც მძიმე და მავნებელი იყო, მაგრამ, ამავე დროს, ძვირფასი და ტკბილიც გახლდათ: იგი აღვიძებდა საკუთრების გრძნობას, ახსენებდა იმ მოგებას, სიმდიდრის წყაროს რომ წარმოადგენდა.

ამ ცივ და ბნელ მაღაზიაში, „ვერტჰაიმის“ მარკის ფოლადის დიდი სალაროს გვერდით პატარა მაგიდასთან მჯდარი კაცი სრულებითაც აღარ ჰგავდა იმ ცოცხალ შფოთიან სანტოს, ვინც ამ ოცდაათი წლის წინ მბრძანებლურად გაჰყვიროდა: ჩორკანს რომი მოართვითო. წლებმა და

მაღაზიაში მუშაობამ მთლად გამოცვალა, გასუქდა, სახე გაუყვითლდა, თვალის უპეებქვეშ დაკიდული შავი პარკები ლამის ლოყებამდე ჩამოსველოდა, თვალთ დააკლდა, ლითონის ჩარჩოიანი სათვალის ბრჭყვიალა შუშებს მიღმა გადმოკარკლული შავი თვალებით მკაცრად და შიშნარევად იყურებოდა. თავზე კვლავ ალუბლისფერი ფესკა ეხურა, ძველი თურქული ჩაცმულობის ერთადერთ მოგონებადღა რომ შემორჩენოდა. მამამისი, სოვდაგარი მენტო პაპო, ოთხმოცი წლის ტანმორჩილი, ჭალარა მოხუცი ჯერ კიდევ ჭარმაგად გამოიყურებოდა. ეს იყო, რომ თვალთ სინათლე დაკლებოდა. მზიან დღეს მაღაზიაში შემოდიოდა, ნახევრად ბრმა, დაცრემლილი თვალებით სქელი სათვალიდან სალაროსთან მიმჯდარ შვილსა და დახლთან მომუშავე შვილიშვილს გადახედავდა, მაღაზიის მძიმე ჰაერს შეისუნთქავდა და ათი წლის შვილთაშვილის მხარს დაყრდნობილი, ნელი ნაბიჯით ისევ უკან გადიოდა.

სანტოს ექვსი ქალიშვილი და ხუთი ვაჟიშვილი ჰყავდა. მათი უმრავლესობა გათხოვილი და დაცოლშვილებული იყო. უფროს ვაჟს, რაფოს, უკვე თვითონ ჰყავდა მოზრდილი შვილები და მამას მუშაობაში ეხმარებოდა. პაპის სეხნია რაფოს ერთ-ერთი ვაჟი, სარაევოს გიმნაზიაში სწავლობდა. ეს ფერმკრთალი, ბეცი და გალეული ბიჭი რვა წლისა იყო, სასკოლო დღესასწაულზე ზმაის* ლექსებს ჩინებულად კითხულობდა, მაგრამ ცუდად სწავლობდა, არც სინაგოგაში სიარული უყვარდა და არც არდადეგების დროს ეხმარებოდა პაპას მაღაზიაში, სულ იმას ამბობდა: „ან მსახიობი გავხდები ან რაიმე თავშესაქცევ საქმეს შევარჩევო".

სოვდაგარი სანტო ზის და მოხრილი ჩასცქერის გაცვეთილ და გაქონილ ალფაბეტიან საანგარიშო დაფას: შორიახლო ლურსმნის ცარიელ ყუთზე უზვანიცელი გლეხი იბრო შემალოვიჩი ფეხმორთხმით ჩამომჯდარა. ბატონი სანტო ითვლის, თუ რამდენი მართებს იბროს მისი, და რამდენი შეუძლია კიდევ წაიღოს სესხად მოსავლის აღებამდე.

— სინკუენტა, სინკუენტა ი ოჩო... სინკუენტა ი ოჩო, სესიენტა ი ტრეს**, — ჩურჩულებს სანტო ესპანურად და ჯამი გამოჰყავს.

გლეხი კი შეწუხებული უყურებს და ელოდება, თითქოს საქმე მკითხაობას ეხებოდეს და არა ანგარიშს, თუმცა მას ყოველი გროში გამოთვლილი აქვს და ძილშიც არ ავიწყდება. როცა სანტო თანხას პროცენტებს მიუმატებს, დაიანგარიშებს და ვალს დაასახელებს, გლეხი

---

* ცნობილი სერბი პოეტი (1833-1904 წწ.).

** ორმოცდაათი, ორმოცდათერამეტი, ორმოცდათვრამეტი, სამოცდასამი.

დროის მოსაგებად, რათა სანტოს ნაანგარიშევი საკუთარს შეადაროს, კბილებს შუა ნელა გამოცრის: — „ასეა ვითომ?“

— ასეა, იბრაჰიმ, ასეა სწორედ, — ისევ და ისევ პასუხობს სანტო.

ძველი ვალის ამბებს რომ გაარკვევდნენ, გლეხს ახალი სესხის რაოდენობა უნდა დაესახელებინა, სანტოს კი თავისი შესაძლებლობა და პირობები უნდა წამოეყენებინა. ეს კი არც ისე ადვილი საქმე იყო და დიდ დროს მოითხოვდა. მათი საუბარი ყველაფრით იმ საუბარს ჰგავდა, ამ ორმოცდაათი წლის წინათ, მოსავლის აღების წინ ამავე ადგილზე მათ მამებს შორის რომ იმართებოდა. ვიდრე მთავარ საგანზე გადავიდოდნენ, მრავალი ისეთი სიტყვა ითქმოდა, თავისთავად რომ არაფერს ნიშნავდა, თითქოს სრულიად უცხო იყო და საქმეს არ უდგებოდა. გამოუცდელ ადამიანს შორიდან რომ ესმინა, შეიძლება ვერც კი მიმხვდარიყო, რომ ლაპარაკი ფულის სესხებას შეეხებოდა. ქლიავი და ხილი, იცოცხლე, ჩვენში წელს ბლომად იქნება, — ამბობს სანტო — წლევანდელი წელიწადისთანა დიდი ხანია არ ყოფილა.

— მადლობა ღმერთს, კარგი მოსავალია, თუ ალაჰმა ინება, ხილიც იქნება და პურიც — ყველაფერი იქნება. მაგრამ, აი, ფასები როგორი იქნება, — ორჭოფულად ამბობს გლეხი, თითებით მწვანე უხეში მაუდის შარვლის ნაკერს ისწორებს და სანტოს ქვეშ-ქვეშ გასცქერის.

— ახლა არ ვიცი, მაგრამ, როცა ვიშეგრადში ჩამოიტან, მაშინ გაიგებ. ხომ გახსოვს ანდაზა — ფასი მეპატრონის ხელთ არისო?

— ეს მართალია, თუ ღმერთი გადმოგვხედავს და შეგვეწევა, — ისევ ორჭოფულად პასუხობს გლეხი.

დიახ, თუ ღვთის ნება არ იქნება, მართლაც, ვერაფერს მოიწევ. რასაც ადამიანი თესვის დროს ჩაუთქვამს, არ ასრულდება, თუ ღვთის კურთხევა არ იქნება, — მრავლისმეტყველად ამბობს სანტო და ხელს მაღლა იშვერს, საიდანაც ეს კურთხევა უნდა მოევლინოს, სადღაც მაღალ რკინის კადონებიანი შავი ჭერისკენ, რომელიც ყველა ზომის თუნუქის სოფლური ფარნებითა და რკინა-კავეულით არის გამოტენილი.

— მართალია, სწორს ამბობთ! — ამოიოხრებს იბრო, — კაცი დარგავს, დათესავს და, ღმერთმანი, ვითომ ნყალში გადაგიყრია. შემოუბარავ, გამარგლავ, გასხლავ, თავის დროზე მორწყავ... შენც არ მომიკვდე, თუ ბედი არ გწყალობს, ხეირს ვერ ნახავ. მაგრამ, თუ ღმერთი ამ ზაფხულს წყალობის კალთას გადააფარებს, მაშინ, რა დასამალია ცხოვრებაც გაგვიადვილდება, ფულსაც კიდევ ვისესხებთ და ძველ ვალსაც გადავიხდით, ოღონდ კი ღმერთმა კარგად გვამყოფოს.

— აბა, უპირველესად ჯანმრთელობაა საჭირო. ჯანმრთელობას არაფერი შეედრება. ცხოვრებაშიც სწორედ ასეა: ყველაფერი რომ მოგცენ და ჯანმრთელობა ნაგართვან, რა ბედენაა, — უდასტურებს სანტო და საუბარიც მთლიანად ამ კალაპოტში გადაჰყავს.

და აი, გლეხიც სანტოს მსგავსად, გაცვეთილი აზრების გამოხატვას იწყებდა. ხანდახან კაცი იფიქრებდა, ყველაფერი ეს მხოლოდ ფუჭი ლაპარაკი და ზოგადი ფრაზებიაო, მაგრამ საჭიროებისას საუბარი რაღაც დაუწერელი, მაგრამ ძველთაძველი კანონის ძალით, ისევ ადრე ნათქვამს უბრუნდებოდა. მხოლოდ მაშინღა იწყებოდა საქმიანი ლაპარაკი ახალ სესხზე, თანხაზე, პროცენტებზე, გადახდის წესსა და ვადაზე.

დიდხანს ლაპარაკობდნენ, ხან გაცხარდებოდნენ, ხან მიყუჩდებოდნენ და ნათქვამს სწონიდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც მორიგდებოდნენ, მორიგების შემდეგ სანტო დგებოდა, ჯიბიდან ძეწკვზე ასხმულ გასაღებებს ამოიღებდა და სალაროს აღებდა; საკეტი გაიჩხაკუნებდა, კარი ნელ-ნელა, ზარ-ზეიმით გაიხსნებოდა და ლითონი ისეთნაირ მწივანა ხმას გამოსცემდა, თითქოს ამოიოხრაო. სანტო მთელ თანხას უკანასკნელ სპილენძის გროშამდე, გულმოდგინედ გადაუთვლიდა. რაღაცნაირი სევდიანი, თანაც გაბადრული სახით მთელ ფულს თანატოლ გროვებად დააწყობდა. შემდეგ კი სულ სხვა, გამხიარულებული ხმით ჰკითხავდა:

— ჰა, რაო? სწორია? კმაყოფილი ხარ, იბრ-აღა?

— ჰო, მადლობელი ვარ, — მშვიდად პასუხობდა ფიქრებში წასული გლეხი.

— ღმერთმა მოგება და წარმატება ნუ მოგიშალოს. გისურვებ კვლავაც მშვიდობიანად და ჯანმრთელად მენახო, — დაამთავრებდა სანტო გარიგებას და მაშინვე ოხუნჯობას მოჰყვებოდა, მერე შვილიშვილს დაუძახებდა, გზის გადაღმა ყავახანაში გაგზავნიდა, ორი ფინჯანი ყავა გამოიტანეო, „ერთი უშაქრო იყოს, მეორე კი ტკბილიო".

ამასობაში, მეორე გლეხი მაღაზიის წინ თავის რიგს ელოდებოდა, ისიც ამ საქმეზე და ასევე ანგარიშის გასასწორებლად მოსულიყო.

ამ გლეხებთან და მათ იმედებთან ერთად ხვალინდელ მოსავალსა და რთველზე, სანტოს მაღაზიის კედლებს შიგნით უჩვეულო მოსავლიანი წელიწადის თბილი და ხშირი სუნთქვაც კი აღწევდა, ამ სუნთქვისაგან რკინის მწვანე სალარო დანესტიანდა, სანტო კი მოყვითალო ფერის ფა-

ფუკი და მსუქანი კისრიდან პერანგის საყელოს საჩვენებელო თითით დაბლა იწევდა და დაორთქლილ სათვალეს ცხვირსახოცით წმენდდა.

ასეთი იყო ამ დალოცვილი ზაფხულის დამდეგი.

მაგრამ მაშინვე შიშისა და ნაღველის ჩრდილმა დაამწუხრა. ადრიან გამოზაფხულზე უვაცში, ყოფილ ავსტრია-თურქეთის, ახლანდელი სერბია-ავსტრიის საზღვარზე მდებარე დაბაში, მუცლის ტიფი გაჩნდა. რადგან სასაზღვრო ადგილი იყო და დაავადების ორი შემთხვევა თვით ჟანდარმთა ყაზარმაში მოხდა, უვაცში წამლებითა და სანიტრის თანხლებით სამხედრო ექიმი ბალაში გაემგზავრა. ექიმმა სასწრაფოდ მიიღო ენერგიული ზომები ავადმყოფების განსაცალკევებლად და თვითონვე მეთვალყურეობდა მათ მოვლა-პატრონობას. თხუთმეტი ავადმყოფიდან მხოლოდ ორი გარდაიცვალა, მოარული სენი სოფელ უვაცს არ გასცილებია, იქვე ჩააქრეს. ბოლოს თვით ექიმი ბალაში გახდა ავად. ავად გახდომა, ავადმყოფობის ელვისებური განვითარება, მოულოდნელი გართულება და ანაზდეული სიკვდილი ერთბაშად, ტრაგიკული სისწრაფით მოხდა.

გადამდები სენის შიშით ახალგაზრდა ექიმი უვაცშივე დაასაფლავეს. დაკრძალვას რამდენიმე ოფიცერი და ქალბატონი ბაუერი დაესწრო თავისი მეუღლითურთ. ქალბატონმა ბაუერმა ექიმის საფლავს უხეშად დამუშავებული ქვის ძეგლი დაადგა. დასაფლავებისთანავე ქმარი დატოვა და ვიშეგრადიდან წავიდა. ქალაქში მიეთმოეთობდნენ. ვენასთან ახლო რომელიღაც სანატორიუმში გაემგზავრაო. მაგრამ ამას მხოლოდ ქალიშვილები ჩურჩულებდნენ, უფროსებმა კი, როგორც საშიშროებამ განვლო და კარანტინი მოიხსნა, ექიმიცა და პოლკოვნიკის მეუღლეც მიივიწყეს. მიამიტ და უსწავლელ გოგონებს კარგად არც ესმოდათ, სიტყვა „სანატორიუმი“, მაგრამ სამაგიეროდ იცოდნენ, რას ნიშნავდა მთის ბილიკებზე წყვილის ისე სიარული, როგორც ცოტა ხნის წინათ ექიმი და პოლკოვნიკის ცოლი დაეხეტებოდნენ. ყოველთვის, როცა გოგონები უბედურ წყვილზე საიდუმლო ჩურჩულის დროს ამ უცხოურ სიტყვას ახსენებდნენ, „სანატორიუმი“ ესახებოდათ როგორც საიდუმლო, შორეული და სევდიანი ადგილი, სადაც ლამაზი და ცოდვილი ქალები აკრძალულ სიყვარულს ინანიებდნენ.

ვიშეგრადის მოსაზღვრე ბორცვებსა და მინდვრებში კი არნახულად მდიდარი, თვალისმომჭრელი ზაფხული ყვაოდა და მწიფდა. ზედ ხიდთან მდინარეზე გადამდგარი ოფიცერთა საკრებულოს ფანჯრები, ისე, როგორც გასულ ზაფხულს, ახლაც ღია და განათებული იყო, ოღონდ

იქიდან როიალისა და ვიოლინოს ხმები აღარ გამოდიოდა. თავის მაგიდას, უფროს ოფიცრებთან ერთად, გულკეთილი, მოღიმარე პოლკოვნიკი ბაუერი უჯდა და სიცხისა და წითელი ღვინისაგან ოფლად იღვრებოდა.

თბილ ღამეებში კაპიაზე ქალაქის ახალგაზრდობა მღეროდა. ახლოვდებოდა ივნისის ბოლო დღეები, როცა ჩვეულებისამებრ ქალაქში გიმნაზიელებისა და სტუდენტობის ჩამოსვლას ელოდნენ. კაპიაზე მსხდომთ ასეთ ღამეებში ეჩვენებოდათ, რომ დრო ერთ წერტილზე გაიყინა, ცხოვრება კი გრძელდება და წინ მიიწევს — უსასრულო და მრავალფეროვანი, თან იმდენად მსუბუქი, რომ ძნელია წინასწარმეტყველება, როდემდე იბრწყინებს და სადამდე გაგრძელდება.

მთავარი ქუჩები ღამის ამ საათებშიც გაშუქებული იყო, რადგან გაზაფხულზე ქალაქში ელექტროობა გაიყვანეს. ერთი წლის წინ, მდინარის პირას, ქალაქიდან ორ კილომეტრზე, ხე-ტყის სახერხი ქარხანა და ღვიის ფაბრიკა აშენდა, რომელიც ღვიისაგან სკიპიდარსა და კალფონს ამუშავებდა. ქალაქთან შეთანხმებით ფაბრიკა თავისი სადგურის მეშვეობით ქუჩებს ანათებდა. ასე გამოუყვანეს წირვა ნავთის ლამპიან მწვანე ფარნებს. აღარც ფარნების ამნთები მაღალი ფერჰათი ჩანდა. მთავარი ქუჩა, რომელიც მთელ ქალაქს ხიდიდან ახალ კვარტალამდე ჰკვეთდა, დიდი რძისფერი ნათურებით იყო განათებული. ნათურებს შორის ბორცვების კალთებზე შეფენილი ეზოები და ბაღები ჩაშავებული იყო. მთავარი ქუჩის შესახვევებში, ჩვეულებრივი პატარა ნათურები ენთო.

ერთ-ერთ ამ ჩაბნელებულ ბაღში ისხდნენ მასწავლებელი ქალი ზორკა და ნიკოლა გლასინჩანინი.

ის გაუგებრობა მათ შორის შარშან რომ წარმოიშვა, როცა არდადეგებზე სტიკოვიჩი ჩამოვიდა, დიდხანს, თითქმის ახალ წლამდე გაგრძელდა. მაშინ, როგორც ყოველთვის, ზამთარში სერბიულ საკრებულოში, წმინდა საბას სადღესასწაულო კონცერტისა და სპექტაკლისათვის ემზადებოდნენ. სპექტაკლში გლასინჩანინიცა და ზორკაც მონაწილეობდნენ, ახლაც რეპეტიციიდან შინ რომ ბრუნდებოდნენ, დაუბრებულები პირველად გამოელაპარაკნენ ერთმანეთს. საუბარი მშრალად და თავშეკავებულად დაიწყეს, მაგრამ მაინც ვერ შეელივნენ ერთმანეთს, რადგან ახალგაზრდობა მარტოობასა და უსიყვარულო მოწყენილობას, ყველაზე უფრო მწარე და უიმედო სასიყვარულო კინკლაობას ამჯობინებს. იკამათეს, ბევრი საყვედურიც უთხრეს ერთმა-

ნეთს და თვითონაც ვერ შეამჩნიეს, სად და როდის შერიგდნენ. ახლა, ზაფხულის თბილ ღამეებში ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ. ხანდახან მათ შორის კვლავ აისვეტებოდა ხოლმე შორს მყოფი სტიკოვიჩის ლანდი. ძველი დავა ისევ იწყებოდა, მაგრამ ეს ჩხუბი მათ ვეღარ სთიშავდა და ვეღარ აშორებდა, პირიქით, ყოველი ახალი შერიგება სულ უფრო აახლოებდა ერთმანეთს. ახლაც ამ ბნელ და თბილ ღამეს წაქცეულ კაკლის ხეზე ისხდნენ, თითოეული საკუთარ საფიქრალს მისცემოდა. დაბლა გართხმულ ქალაქში მოციმციმე შუქს გასცქეროდნენ, მდინარის თანაბარ და ერთფეროვან ხმაურს უსმენდნენ. გლასინჩანინი, მანამდე გაცხარებული რომ ლაპარაკობდა, წამით მიყუჩდა. ზორკა მთელი საღამო დუმდა, ასეთი დუმილი მხოლოდ ქალებს შეუძლიათ, თავიანთ სამიჯნურო ამბებზე ჩაფიქრებულებს, რადგან მათ ცხოვრებაში სიყვარული ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარია.

გასულ წელს, როცა სტიკოვიჩი გამოჩნდა, ზორკას ეგონა, სიყვარულმა კარი გამიღოო და ქალმაც გრძნობის, სურვილისა და ფიქრის სასიხარულო ყოვლისმომცველი სრული ერთიანობა იგრძნო, რომელსაც დასრულება მხოლოდ მის სიცოცხლესთან ერთად ეწერა, მაგრამ ეს მოჩვენება დიდხანს არ გაგრძელებულა. მიუხედავად გამოუცდელობისა, ზორკამ კარგად დაინახა, რომ სტიკოვიჩს შეეძლო უცბად ანთებულიყო და იქვე უცებ ჩამქრალიყო, აღარავითარი კავშირი აღარ ჰქონდა არც მის ყველაზე უფრო გულში ჩამწვდომ განცდებთან, არც მომავლის მხურვალე ოცნებებთან. სტიკოვიჩი ისე გაემგზავრა, არც კი დამშვიდობებია, რამაც ზორკას ღრმა ჭრილობა მიაყენა და სატანჯველი გაუჩინა, მისგან გამოგზავნილი წერილიც იმასვე ამბობდა, რასაც თავად იქმოდა. ეს იყო ადვოკატის ნააზრევივით ზომიერი, შუშის ცარიელი ჭურჭელივით გამჭვირვალე ლიტერატურული სტილის ნიმუში. სტიკოვიჩი წერილში მათ სიყვარულს ისე ახსენებდა, თითქოს ორივე უკვე ასი წელია, რაც საფლავში განისვენებენო. ზორკას თბილი და გულითადი წერილის პასუხად მისგან ღია ბარათი მოუვიდა: „ათას გულის დამამძიმებელ საზრუნავსა და საქმეში ჩაფლული, ვფიქრობ შენზე, როგორც ვიშეგრადის მშვიდ ღამეზე, მდინარის ხმაურითა და უხილავი ყვავილების საამო სურნელით რომ არის გაჟღენთილი". ეს იყო და ეს. ამაოდ ცდილობდა ზორკა თავის მოგონებებში აღედგინა მდინარის ხმაური და უხილავი ყვავილების საამო სურნელი. ეს ფუჭი სიტყვები გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, ზორკას არაფერი ამის მსგავსი არ ახსოვდა. მას კი, ეტყობა, ყველაფერი დავიწყებოდა, რაც

მათ შორის მოხდა, ქალმა იგრძნო, რომ შეცდა და მოტყუებული დარჩა. ცდილობდა, თავი წყალწყალა საბუთებით დაემშვიდებინა: „ძნელად შესაცნობი კაცია, — თავს არწმუნებდა ზორკა, — თავისებური, თავკერძა, ანგარიშიანი და გულცივი ეგოისტია, მაგრამ იქნებ ყველა ნიჭიერი მამაკაცი ასეთია?“ მის განცდებში არაფერი იყო სანუგეშო. უზომოდ გატანჯული და გაწამებული ქალი ხედავდა, რომ სიყვარულის მთელი ტვირთი მხოლოდ მას აწვა კისერზე, მაშინ, როცა სტიკოვიჩი გაურბის და ბურუსით მოცულ შორეთში იმალება, ზორკას იმ შორეთზე ფიქრისაც კი ეშინია. იმედ დაკარგულ შეყვარებულ ქალს იმედი მაინც ჰქონდა, მაგრამ ორი თვის დუმილის შემდეგ სტიკოვიჩმა ისევ შეახსენა თავი. შვეიცარიის რომელიღაც მწვერვალიდან იწერებოდა: „ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე, სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკა ადამიანებით გარშემორტყმული, უნაპირო ჰორიზონტებს ვუმზერ და შენზე და გასულ გაზაფხულზე ვფიქრობ“. ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა ცხოვრებაში გამოუცდელი ქალიშვილისათვისაც კი, დიახ, დაუფარავად რომ მოეწერა: მე შენ არ მიყვარდი, არ მიყვარხარ და ვერც ვერასოდეს შეგიყვარებო, არც ამაზე გასაგები იქნებოდა და არც ამაზე მტკივნეული. ლაპარაკი ხომ ცოცხალ სიყვარულს შეეხებოდა და არა შორეულ მოგონებებს, არც იმას, თუ ზღვის დონიდან რა სიმაღლეზე წერს კაცი ბარათს, რანაირი ხალხია მის ირგვლივ და რა ენაზე ლაპარაკობენ. არა, არ ვუყვარვარ.

უდედმამო, ობოლი ზორკა ვიშეგრადში, ნათესავების ოჯახში გაიზარდა, სარაევოს სამასწავლებლო სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ქალაქში დანიშნეს მასწავლებლად და იმ შეძლებულ, უბრალო ადამიანებთან დაბრუნდა, ვისთანაც იზრდებოდა.

ზორკა ჩამოხმა, ფერი დაეკარგა, გულჩათხრობილი გახდა, არავის უმხელდა თავის გრძნობებს, არ უპასუხა სტიკოვიჩის მოკლე და ცივ, თუმცა უზადო სტილით გამართულ საახალწლო მილოცვას. ზორკას სურდა დამოუკიდებლად, სხვისი დახმარებისა და ნუგეშის გარეშე გარკვეულიყო თავის სამარცხვინო შეცდომაში; მაგრამ სუსტი, თავგზააბნეული და გამოუცდელი ახალგაზრდა ქალი სულ უფრო მეტად იბლანდებოდა თავისი განცდების, იმედებისა და ფიქრების ქსელში. რცხვენოდა, რჩევა და დახმარება ვერავისათვის ეთხოვა, გული ვერავისათვის გადაეხსნა. ხშირად ეჩვენებოდა, რომ ქალაქში მისი ცხოვრების ყველა წვრილმანი იცოდნენ და ქუჩაში ღვარძლიან და დამცინავ მზერას აყოლებდნენ. პასუხი ვერც წიგნებში ამოიკითხა და არც ხალხისაგან

ელოდა ხსნას, თვითონ მან კი ვერ შეძლო ამ ამბისაგან თავის დაღწევა. თუ არ უყვარდა, რისთვის დასჭირდა ეს კომედია, ეს ვნებიანი სიტყვები და ერთგულების ფიცი? მაინც როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ეს ყველაფერი სკოლის მერხზე, ის, რისი გამართლებაც მხოლოდ სიყვარულით თუ შეიძლება, უამისოდ კი ესოდენ დამამცირებელია? გაგონილა, ასე უპატივცემულოდ მოექცე საკუთარ თავსაც და სხვებსაც, ასე ადვილად ჩაება ასეთ თამაშში? მაშ, რას ნიშნავდა მისი ანთებული მზერა და მგზნებარე კოცნა? განა ეს სიყვარული არ იყო?! არ ყოფილა, არა! ამას კარგად, ძალიან კარგად ხედავს ზორკა! ასეთ სატანჯველს შეუძლებელია ბოლომდე შეურიგდე. ამ ტანჯვა-წვალების ბუნებრივ დასასრულად იქცა სიკვდილზე ფიქრი, იგი ხომ ერთთავად ჩასაფრებულია ბედნიერებაზე ჩვენი ოცნების დასაწყისსა და დასასრულში. „უნდა მოვკვდე, ფიქრობდა ზორკა, „შემთხვევით“ ხიდიდან მდინარეში უნდა გადავვარდე, ისე უნდა წავიდე ამ ქვეყნიდან, არავის არ გამოვეთხოვო და წერილიც არ დავტოვო. უნდა გავექცე აღსარებასა და დამცირებას, უნდა მოვკვდე“, — ფიქრობდა გამუდმებით, დაძინებისას თუ გამოღვიძებისას, ის კი არა, გაცხოველებული საუბრის დროსაც კი ახსოვდა. გონებაში განუწყვეტლივ მხოლოდ ეს ერთი აზრი უტრიალებდა: „უნდა მოვკვდე“! „მოვკვდე!“ მაგრამ არ კვდებოდა, მაინც ცოცხალი იყო და გულში ამ მტანჯველ ფიქრებს მალავდა.

ზორკას შვება იქიდან მოევლინა, საიდანაც ყველაზე ნაკლებად ელოდა. საშობაო არდადეგების დადგომისას მისმა იდუმალმა სატანჯველმაც უკანასკნელ ზღვარს მიაღწია. ასეთი განცდები ადამიანებს სნეულებაზე მეტად ანადგურებს: ყველამ, ნათესავებმა, სკოლის დირექტორმა თუ მეგობრებმა შეამჩნიეს, როგორ შეიცვალა ზორკა, წუხდნენ, ურჩევდნენ იმკურნალეო.

ბედნიერი შემთხვევის წყალობით ამ დროს სპექტაკლის რეპეტიცია დაიწყო და ზორკა რამდენიმე თვის მანძილზე პირველად დაელაპარაკა გლასინჩანინს. ვაჟი ბოლო ხანებში გაურბოდა მასთან შეხვედრას. პროვინციული ქალაქის სცენის მოყვარეთა გულითადმა და თბილმა, თუმცა ოდნავ გულუბრყვილო, სპექტაკლებმა, ნათელი და გრილი ღამით შინ ერთად დაბრუნებამ ხელი შეუწყო ორი დაუბრებული ახალგაზრდის დაახლოებას. ზორკა ვაჟის თანაგრძნობას ეძებდა, გლასინჩანინს კი გულწრფელი და ღრმა სიყვარული ამოძრავებდა, რომელსაც ყველაფრის პატიება და დავიწყება შეეძლო.

პირველი სიტყვები, ბუნებრივია, ცივად, ქედმაღლურად და არაგულწრფელად გაისმა, პირველი საუბრები კი ხანგრძლივ, უსაფუძვლო ახსნა-განმარტებაში გადაიზარდა, მაგრამ ამანაც კი ქალიშვილს შვება მოჰგვარა. ბოლოს და ბოლოს შეძლო გულში ჩამარხული დარდის გამჟღავნება, თუმცა ყველაზე მტანჯველი და სამარცხვინო ამბავი არ უღიარებია. ხანგრძლივი და ფიცხელი საუბრის დროს გლასინჩანინი სათუთად და ფრთხილად ექცეოდა, ეშინოდა, თავმოყვარეობა არ შევულახოო. სტიკოვიჩს ვაჟი უკმეხად ახსენებდა, მაგრამ იმაზე მეტი არა უთქვამს რა, რასაც თვით სტიკოვიჩი იმსახურებდა და ჩვენთვის უკვე კაპიაზე მოსმენილი მოკლე და ულმობელი კამათის გამოხმაურებას ჰგავდა. თავისი ბუნებით სტიკოვიჩი თავკერძა კაცია, ზნეობრივი სიმახინჯეა, — ამბობდა გლასინჩანინი, მას არავის სიყვარული არ ძალუძს, საკუთარი თავისაც უკმაყოფილოა, თვითონაც ხომ მთელი სიცოცხლე იტანჯება და სხვებსაც სტანჯავს, ვინც კი შეეცდება და მასთან დაახლოებას მოისურვებს. საკუთარ სიყვარულზე გლასინჩანინი არაფერს ამბობდა, მაგრამ იგი იგრძნობოდა ყოველ მის სიტყვაში, შეხედვასა და მოძრაობაში. ქალიშვილი ყოველთვის ჩუმად უსმენდა და გუნებაში ეთანხმებოდა. ყოველი ასეთი საუბრის შემდეგ გონება უნათდებოდა და მშვიდდებოდა.

თავს დატეხილი ქარიშხლის შემდეგ ზორკამ მხოლოდ ახლა მოითქვა სული. ქალი ისვენებდა, აღარ ფიქრობდა საკუთარ თავზე, უღირსი ქმნილება ვარო. ჭაბუკის სიყვარულითა და პატივისცემით აღსავსე სიტყვებმა აგრძნობინა, რომ სამუდამოდ დაღუპული არ ეთქმოდა, რომ სასონარკვეთა ისეთივე ცთომილება იყო, როგორც სტიკოვიჩის სიყვარული. ვაჟის სიტყვებს ამოყავდა იმ წყვდიადით მოცული სამყაროდან, სულ ახლახან მთელი არსებით რომ იძირებოდა, უბრალო, ადამიანურ ცხოვრებას უბრუნდებოდა, სადაც ყველასათვის ან თითქმის ყველასათვის მოიძებნება წამალი და შვება.

მათი საუბარი წმინდა საბას დღესასწაულის შემდეგაც გაგრძელდა. გაიარა ზამთარმა, მას გაზაფხულიც მოჰყვა. ქალ-ვაჟი ყოველდღე ხვდებოდა ერთმანეთს. ქალიშვილი გამოცოცხლდა, მომაგრდა, ფერზე მოვიდა და ისე სწრაფად და ბუნებრივად გამოიცვალა, როგორც მხოლოდ ახალგაზრდობაში ხდება. მოსავლიანი და მოუსვენრობით აღსავსე ზაფხულიც მოახლოვდა. ხალხი მიეჩვია ზორკასა და გლასინჩანინის ერთად დანახვას და ერთმანეთის გულის სწორებად თვლიდნენ.

მართალია, ახლა ზორკას ნაკლებად აინტერესებდა გლასინჩანინის გაუთავებელი მსჯელობა და უგულისყუროდ უსმენდა, რასაც ადრე ხარბად ეწაფებოდა, მთელი არსებით ითვისებდა. იყო წუთები, როცა აწუხებდა ჭაბუკის დაუცხრომელი მოთხოვნილება ურთიერთ აღსარებისა. მათ შორის ნარმოშობილი სიახლოვე შიშით ავსებდა და გულწრფელად აკვირვებდა. მაგრამ მაშინვე აგონდებოდა, რომ ამ ზამთარს მან „მისი სული გადაარჩინა“. წყენას თრგუნავდა და როგორც წესიერი მოვალე, უსმენდა მის სიტყვებს და ცდილობდა მათ აზრს ჩასწვდომოდა.

ზაფხულის ერთ ღამით ჭაბუკმა ხელი მოჰკიდა ზორკას (ეს იყო მისი ყველაზე უფრო თამამი ოცნება). ქალის შეხებაზე გლასინჩანინი ღამის ცხელმა სუნთქვამ დამდუღრა. იგი უცბად მიხვდა, რა ძვირფასი იყო მისთვის ეს ქალიშვილი, იგრძნო ძალების მოზღვავებაც, რომელიც იმ ყველაზე შორეულ მიზნამდე მიიყვანდა, როცა ორ ადამიანს ერთმანეთთან სიყვარული აკავშირებს, სიყვარული იყო, ცხოვრების სიმწარესა და ვარამს რომ ავიწყებდა.

ღამეულ გრძნობათა მოზღვავებამ ვიშეგრადის სატყეო ფირმის მოკრძალებული მოსამსახურე, ისეთი როგორიც იგი დღისით იყო, სულ სხვა, ძლიერ და საიმედო ადამიანად აქცია, ადვილად და ბრძნულად რომ შეეძლო ცხოვრების წარმართვა, იმად, ვინც ნამდვილი, დიდი და თავგანწირული, თუნდაც გაუზიარებელი სიყვარული შეიცნო, წინ ეშლებათ უსასრულო შესაძლებლობები, ის, რასაც ბევრი ჭკვიანი და პატივსაცემი თავკერძა ვერასოდეს შეიგრძნობს, რაზედაც წარმოდგენაც კი არა აქვს.

გლასინჩანინი გვერდზე მჯდომ ქალიშვილს ეუბნებოდა:

— ვფიქრობ, არა ვცდები, თუნდაც იმიტომ, რომ მე ვერ შევძლებდი შენს მოტყუებას. ვიდრე ერთნი ლაპარაკობენ, ბოდავენ, მეორენი კი მოქმედებენ და მომხვეჭელობენ, მე თვალყურს ვადევნებ და სულ უფრო ნათლად ვხედავ, რომ ჩვენი ცხოვრება ცხოვრებას არ ჰგავს. აქ კიდევ დიდხანს არ იქნება, არც მშვიდობა, არც წესრიგი და არც სასარგებლო შრომა. ვერც სტიკოვიჩები და ვერც ჰერაკები ვერაფერს შექმნიან. პირიქით, უფრო უარესად წავა საქმე, როგორც დასანგრევად გამზადებული სახლიდან, ისე უნდა გავიქცეთ აქედან. ეს მრავალრიცხოვანი მეამბოხე მხსნელები, ყოველ ნაბიჯზე რომ ჩნდებიან, იმის ნაღდი ნიშანია, რომ ჩვენ დაღუპვა გველის. თუკი დახმარება არ ძალგვიძს, თავს მაინც უნდა ვუშველოთ.

ქალიშვილი დუმდა.

— მაშ ასე, მომისმინე. შენ კარგად იცი, რომ ჩემი ოკოლიშჩელი მეგობარი, ბოგდან ჯუროვიჩი, აი, ის, ამას წინათ სურათიც რომ გაჩვენე, უკვე მესამე ნელია ამერიკაშია. შარშანდელს შემდეგ მიმოწერა გვაქვს. ჰოდა, თავისთან მეპატიჟება, მუდმივ სამუშაოსა და კარგ ხელფასსა მპირდება. ყველაფერი ვიფიქრე და ავწონ-დავწონე: ეს ადვილი და უბრალო საქმე არ არის, მაგრამ მისი განხორციელება შეიძლება. თუ დამთანხმდები, ახლავე დავიწეროთ ჯვარი, ისე რომ არავის არაფერი ვუთხრათ, გავყიდი, რაც კი ოკოლიშჩაში მაბადია და ზაგრებს გავემგზავროთ. იქ არის კომპანია, რომელიც ახალმოშენეთ ამერიკაში აგზავნის. ზაგრებში ერთი-ორი თვე ვიცხოვროთ, ვიდრე ბოგდანი ამერიკაში მისაწვევ ვიზას გამომიგზავნის, მანამდე კი ინგლისურ ენას შევისწავლით, თუ სამხედრო ვალდებულება დაგვაბრკოლებს, შეიძლება სერბიაში გადავიდეთ და იქიდან გავემგზავროთ. შევეცდები, ყველაფერი ისე მოვაგვარო, შენ არა გაგიჭირდეს რა. ამერიკაში ჩვენი სკოლები არსებობს და მასწავლებლებიც სჭირდებათ. მეც ვიშოვი სამუშაოს, რადგან იქ ყველასათვის ყველაფერი ღია და ხელმისაწვდომია. ჩვენ თავისუფალნი და ბედნიერნი ვიქნებით. ყველაფერ ამას გავაკეთებ, თუკი შენ მოისურვებ... თუკი დამთანხმდები.

ჭაბუკი შეჩერდა. პასუხის მაგივრად ზორკამ ხელი მოჰკიდა, რითაც, ალბათ, თავისი მადლიერება გამოხატა, მაგრამ არც ჰო უთქვამს და არც არა. ქალმა მადლობა გადაუხადა ასეთი ყურადღებისა და უსაზღვრო სიკეთისათვის. სთხოვა, გადამწყვეტი პასუხის მოცემამდე ერთი თვე ედროვებინა, ვიდრე სასწავლო წელი დამთავრდებოდა.

— მადლობელი ვარ, ნიკოლა, მადლობელი! რა კეთილი ხარ! — ჩურჩულებდა და თან ხელს უჭერდა.

დაბლა კაპიიდან სიმღერა მოისმოდა. ეს ალბათ, ვიშეგრადელი ახალგაზრდები იყვნენ, ან, შესაძლოა, სარაევოელი გიმნაზიელები მღეროდნენ, თხუთმეტი დღის შემდეგ ჩამოვიდოდნენ უნივერსიტეტების სტუდენტებიც. მათ ჩამოსვლამდე ზორკას არავითარი გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო. ყველაფერი ტკივილს ჰგვრიდა, განსაკუთრებით ამ ადამიანის გულკეთილობა, მაგრამ იმ წუთში „ჰოს“ თქმა მის ძალღონეს აღემატებოდა. არაფრის იმედი არ ჰქონდა და მაინც სურდა ეხილა კაცი, ვისაც არავის სიყვარული არ შეეძლო. მხოლოდ ერთხელ იხილავს და მერე, რაც უნდა, ის მოხდეს. ნიკოლა დაელოდებოდა — ეს მან იცოდა.

ქალ-ვაჟი წამოდგა და ხელიხელჩაკიდებული დაეშვა ხიდისაკენ მიმავალ ციცაბო ბილიკზე, საიდანაც სიმღერა მოისმოდა.

თავი ოცდამეორე

სულთმოფენობის დღეს სერბიელმა საზოგადოებამ მეზალინაზე ტრადიციული დღესასწაული მოაწყო. დრინასა და რზავის შესართავთან, მაღალ, ამწვანებულ ნაპირზე, კაკლის ხეების ხშირ ჭალაში კარვები დაედგათ და შიგ სასმელებს ყიდდნენ. წინ კი ნელ ცეცხლზე ბატკნებსა სწვავდნენ. თავიანთი პურმარილით მოსული ოჯახები ხის ჩრდილებს შეხიზნებოდნენ. ფოთლიანი ტოტებისაგან გაკეთებული ფანჩატურის ქვეშ უკვე ისმოდა მუსიკის ხმამაღალი ხმები.

სამუშაოდან დაბრუნებული ახალგაზრდა ვიშეგრადელები, როგორც კი წირვა დამთავრდა, პირდაპირ ეკლესიიდანვე წავიდნენ მეზალინაზე და გადატკეპნილ მდელოზე კოლო ჩამოუარეს. საყოველთაო სეირნობა მხოლოდ ნაშუადღევს დაიწყებოდა. ახლა კოლო განსაკუთრებით ცხოველი და მხიარულია, უფრო ლამაზი და ცოცხალიც, აბა მოგვიანებით, როცა ბრბო შემოერტყმება, ცეკვაში გათხოვილი ქალები, დაღვრემილი ქვრივები და ბავშვები ჩაებმებიან, მაშინვე ნაირფერ, მხიარულ, მაგრამ უნესრიგო და არეულ-დარეულ წრედ გადაიქცევა.

აქ ახლა ჭაბუკები სჭარბობდნენ გოგონებს და მათი მწკრივიც მიფრინავს, მძივის ასხმასავით იგრიხება. ირგვლივ ყველაფერი მუსიკის ჰანგზე მოძრაობს — ჰაერი, ხეთა ქორბუდა კენწეროები. ზაფხულის თეთრი ღრუბლის ქულები და ორივე მდინარის სწრაფი ტალღები მოცეკვავეთა ფეხქვეშ გამალებით ტრიალებს. ჭაბუკები გზიდანვე მწკრივში ებმებოდნენ და ცეკვას იწყებდნენ. ქალიშვილები ერთხანს შორიახლოს მოთმინებით იდგნენ, ცეკვას უყურებდნენ, თითქოს ტაქტს ელიან ან იდუმალ ნიშანს ელოდებიანო. შემდეგ მუხლების მოხრით, თავჩაქინდრულები, გეგონება ცივ წყალში ცვივიანო, სწრაფად შერბოდნენ წრეში.

გახურებული მიწიდან შადრევანივით ჩქეფდა მოცეკვავეთა ფეხებს ადევნებული და გადაჭდობილ ხელებში გადასული სასიცოცხლო ძალა. მთელი ერთიანი კოლო ისე მიჰქროდა, როგორც ერთი სისხლით გამთბარი არსება. ცეკვავდნენ ყელგადაგდებული, გაფითრებული, ნესტოებდაბერილი ჭაბუკები. ქალიშვილებს კი ლოყები ასჭარხლებოდათ; ნაზად ხრიდნენ თვალებს, ეშინოდათ, მათ მზერას არ გაემჟღავნებინა ის აღტაცება, რასაც ცეკვა ანიჭებდა.

დღესასწაულის დაწყებისთანავე მეზალინის ვაკის თავში შავმუნდირიანი ჟანდარმები გამოჩნდნენ, შუადღის მზეზე იარაღი უბრჭყვიალებ-

დათ. ამჯერად უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე ჩვეულებრივი შემოვლისას, როცა ბაზრებსა და სასეირნო ადგილებს ათვალიერებდნენ. ჟანდარმები პირდაპირ იმ ფანჩატურს მიადგნენ, სადაც მუსიკოსები ისხდნენ, საკრავები ერთიმეორის მიყოლებით დადუმდნენ. კოლო შეკრთა და გაჩერდა. გაისმა ახალგაზრდების ბრაზმორეული ხმები. ყველანი ისევ ხელიხელჩაკიდებულნი იდგნენ. ზოგი ვერც გამოერკვა, ისევ უთამაშებდა ფეხები, ელოდა, მუსიკოსები დაკვრას განაახლებენო. მაგრამ მუსიკოსები სწრაფად წამოდგნენ და საყვირებისა და ვიოლინოების შეხვევას შეუდგნენ.

ჟანდარმები აქა-იქ გაფანტული კარვებისა და მოლზე მოკალათებული ოჯახებისაკენ გაემართნენ. სერჟანტი ყველგან ხმადაბლა, მაგრამ შთამაგონებლად წარმოთქვამდა ერთსა და იმავე სიტყვებს. ხალხიც, თითქოს ჯადოთი შეკრესო, მონუსხულივით უმალვე წყვეტდა მხიარულებას, თავს ანებებდა ცეკვას. მუნჯდებოდა ყველა, ვისაც კი ჟანდარმებმა მიმართეს, აჩქარებით ტოვებდა ყველა იქაურობას, ფაციფუცით კრებდა ნივთებს და მიდიოდა. ბოლოს კოლოს მწკრივიც დაიშალა. ახალგაზრდობას არ უნდოდა მინდორში ცეკვაზე ხელის აღება, იმის აღიარება, რომ მართლაც დადგა მხიარულებისა და გართობის დასასრული, მაგრამ სერჟანტის გაფითრებული სახისა და მძვინვარე გამოხედვის წინაშე ყველაზე შეუპოვრებმაც კი უკან დაიხიეს.

განაწყენებული და ჯერ ისევ საგონებელში ჩავარდნილი ხალხი მეზალინიდან შინ ფართო, თეთრი გზით ბრუნდებოდა და, რაც უფრო უახლოვდებოდა ქალაქს, მით უფრო დიდი მღელვარებითა და შიშნარევი ჩურჩულით გადასცემდნენ ერთმანეთს ამ დილით სარაევოში მომხდარი თავდასხმის ამბავს, სადაც მოკლეს ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი თავისი მეუღლითურთ. მოსალოდნელი იყო სერბიელების დევნა. ყუნახის შენობის წინ პირველი ტუსაღები შემოხვდათ, მათ შორის ახალგაზრდა მღვდელი მილანიც ერია. ჟანდარმები მათ ციხეში მიერეკებოდნენ.

დღის მეორე ნახევარმა, რომელიც საზეიმო და მხიარული უნდა ყოფილიყო, მღელვარებაში, წუხილსა და დაძაბულ მოლოდინში განვლო.

მხიარული გამოცოცხლების ნაცვლად, კაპიაზე სამარისებური სიჩუმე გამეფდა, უკვე ყარაულიც ჩაეყენებინათ. ახალ ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცი გამოზომილი ნაბიჯით მიდიოდა დივანიდან რკინის ფილამდე, რომლის ქვეშაც ასაფეთქებელი მუხტი იყო ჩალაგებული. ყოველი შემოტრიალებისას ხიშტი მზეზე ისე უბრჭყვიალებდა, თითქოს

შუქნიშანს აძლევსო. მეორე დილასვე თურქული წარწერიანი დაფის ქვეშ, კედელზე თეთრად გამოჩნდა ფართო სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმული მსხვილი ასოებით დაბეჭდილი ოფიციალური განცხადება. იუწყებოდნენ, სარაევოში ტახტის მემკვიდრის მკვლელობის ამბავს და აღშფოთებას გამოთქვამდნენ ამ ბოროტმოქმედების გამო. მაგრამ არავინ ჩერდებოდა განცხადების წასაკითხად, ყველა, ვინც თეთრი განცხადებისა და გუშაგის გვერდზე გაივლიდა, თავს ხრიდა და ნაბიჯს უჩქარებდა.

ამ დღიდან ხიდზე ყარაული აღარ მოუხსნით. ქალაქის მთელი ცხოვრება უეცრად შეირყა და შედგა, როგორც მეზოლინზე გაჩაღებული კოლო, როგორც ივნისის ის მშვენიერი დღე, რომელიც სადღესასწაულო და მხიარული უნდა ყოფილიყო.

დაიძაბა უცნაური დღეები, ყოველი ეს დღე სავსე იყო გაზეთების მღელვარე მოლოდინით, ჩურჩულით, მუდმივი დაძაბულობითა და შიშით. აპატიმრებდნენ სერბიელებსა და საეჭვო გამვლელებს, საზღვარზე გაცხარებული ფაციფუცი იყო. ქალაქი ჯარისკაცებით გაივსო. ზაფხულის ღამეებში არავინ მღეროდა. კაპიაზე აღარც თავშეყრილი ახალგაზრდების ხმა ისმოდა და აღარც სიბნელეში მჯდარი შეყვარებულთა ჩურჩული. ხოლო, როცა ცხრა საათზე ბიკოვიცის კარვებსა და ხიდის ყურეში დიდ ავსტრიულ ყაზარმაში მესაყვირეები დღის დამთავრებას ნაღარის ნაღვლიანი ჰანგით ამცნობდნენ, ქუჩაში ძეხორციელი აღარ ჭაჭანებდა.

ცუდი დრო დაუდგათ განმარტოებული შეხვედრებისა და საიდუმლო საუბრების მოყვარულთ. გლასინჩანინი ყოველ საღამოს მიდიოდა ზორკას სახლთან. ქალი პირველი სართულის ფანჯარასთან იჯდა, მაგრამ მათი საუბარი ხანმოკლე იყო, გლასინჩანინი ჩქარობდა, დაბნელებამდე უნდა მოესწრო ხიდზე გადასვლა და ოკოლიშჩაში დაბრუნება.

ამ საღამოსაც მოადგა ზორკას ფანჯარას. გაფითრებულს შლაპა ხელში ეჭირა და ქალიშვილს სთხოვა, ჭიშკართან გამოდი, რაღაც საიდუმლო უნდა გითხრაო. ზორკა გაუბედავად ჩავიდა და ვაჟს მიუახლოვდა. ზღურბლზე შემდგარი ზორკა გლასინჩანინის სიმაღლე იყო. აღგზნებული გლასინჩანინი ჩურჩულით ლაპარაკობდა:

— ჩვენ გაქცევა გადავწყვიტეთ! აქაურობას საღამოს გავეცლებით. ვლადო მარიჩი, მე და კიდევ ორი სხვა. ყველაფერი მომზადებულია, ვფიქრობ, როგორმე გავაღწევთ, მაგრამ თუ ვერ მოვახერხებთ... თუ რაიმე მოხდება... ზორკა!

ჭაბუკმა ჩურჩული შეწყვიტა. გაფართოებული თვალებიდან შიში და შეცბუნება გამოსჭვიოდა. თვითონაც აღელვებული იყო, თითქოს ნანობდა, გულს რომ უხსნიდა და მასთან გამოსამშვიდობებლად მივიდა.

— ვიფიქრე, იქნებ ჯობდეს, ყველაფერი ვუთხრა-მეთქი.

— მადლობელი ვარ! მაშასადამე, აღარაფერი გამოვიდა ჩვენი... ამერიკიდან!

— არა, რატომ „არაფერი". ერთი თვის წინათ რომ დამთანხმებოდი, როცა წასვლა შემოგთავაზე, ახლა ჩვენ აქედან შორს ვიქნებოდით, მაგრამ, მგონი, უკეთესიცაა ასე რომ მოხდა. მე მეგობრებთან ერთად უნდა ვიყო. აქ ომია და ახლა სერბიაშია ჩვენი ადგილი. ეს ჩემი ვალია, ზორკა! თუ ცოცხალი გადავრჩი და თავისუფლება მოვიპოვეთ, მაშინ საჭირო არ იქნება ოკეანის გაღმა, ამერიკაში გამგზავრება, ჩვენ აქ საკუთარი ამერიკა გვექნება — შევქმნით ქვეყანას, სადაც შესაძლებელი იქნება პატიოსანი შრომა, კარგად და თავისუფლად ცხოვრება. შენ თუ მოინდომებ, ამ ქვეყანაში ჩვენ ორისათვისაც მოიძებნება კუთხე. ყველაფერი შენზე იქნება დამოკიდებული. მე შენზე... ვიფიქრებ, შენც... ხანდახან.

სიტყვები არ ეყო. უეცრად ხელი ასწია, ზორკას ხშირ შავ თმაზე ხელი გადაუსვა. დიდი ხანია ნიკოლა ამაზე ოცნებობდა, ჰოდა. იქნებ ახლა როგორც სიკვდილმისჯილისათვის ზორკას თავისუფლად მოქცევის ნება მიეცა. შეშინებულმა ქალმა უკან დაიხია და ნიკოლას ხელი ჰაერში დარჩა გაშვერილი. კარი უხმაუროდ მიიხურა. ერთი წუთიც და ზორკა თავის ფანჯარასთან გამოჩნდა. გაფითრებულს თვალები ფართოდ გაეხილა და თითებს ნერვულად ისრესდა. ჭაბუკმა ზედ ფანჯრის ქვეშ გაიარა, თავი ასწია და ზორკას თავისი მოღიმარე, უზრუნველი, სანდომიანი სახე მიაპყრო. ქალიშვილი თითქოს შეშინდაო, ფანჯარას მოიცილდა და ბნელ ოთახში გაუჩინარდა. ზორკა სანოლზე ჩამოჯდა, თავი ჩაქინდრა და ტირილი აუვარდა.

ზორკას გამოუვალი მდგომარეობის მძიმე გრძნობა დაეუფლა, რაც უფრო მეტს და გამწარებით ტიროდა, მით უფრო მეტ მიზეზს პოულობდა ცრემლების დასაფრქვევად. ირგვლივ ყველაფერი უიმედო ეჩვენებოდა. ვერასოდეს ვერ შეძლებს, ისე შეიყვაროს გულკეთილი და პატიოსანი ნიკოლა, როგორც იმსახურებს და ვერც იმას მოესწრება, რომ იმ მეორემ, ვისაც არავის შეყვარება არ შეუძლია, ზორკა შეიყვაროს. სამუდამოდ წავიდნენ ლამაზი და მხიარული დღეები, ჯერ კიდევ გუშინ რომ იგრძნობოდა ქალაქში, არც ერთ მის თანამემამულეს არ ძალუძს

მთების ვიწრო რკალიდან დასხლეტა, არ ეღირსებათ იმ ამერიკის ნახვა, აქ კი ვერასოდეს ვერ შექმნიან ისეთ ქვეყანას, სადაც, მართალია, ბევრს იშრომებენ, მაგრამ კარგად და თავისუფლად იცხოვრებენ. ვერასოდეს!

მეორე დღეს ხმა გავარდა, ვლადო მარიჩი, გლასინჩანინი და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა სერბიაში გაიქცნენო. დანარჩენი სერბიელები ოჯახებითა და ქონებით ხაფანგში მომწყვდეულებივით ელოდნენ მოახლოებულ ქარტეხილს. ქალაქის თავზე დღითი დღე სულ უფრო მრისხანედ წვებოდა განსაცდელის აჩრდილი. და აი, ივლისის ბოლო დღეებში საზღვარზე ქარიშხალი ამოვარდა, დროთა განმავლობაში იგი მთელ მსოფლიოს მოედო და საბედისწერო გახდა ბევრი ქვეყნისა და ქალაქისათვის. საბედისწერო აღმოჩნდა იგი დრინის ხიდისათვისაც.

უმალვე ქალაქში მკაცრი დევნა დაუწყეს სერბიელებსაც და ყველა იმათ, ვისაც რაიმე საერთო ჰქონდა მათთან. ადამიანები ორ ჯგუფად გაიყო — დევნილებად და მდევნელებად. მძვინვარე მხეცმა, კაცის ბუნებაში რომ ბინადრობს და გამოჩენას ვერ ბედავს, ვიდრე არ გადალახავს იმ წინააღმდეგობას, რასაც ადათები და კანონები ჰქვია, ახლა თავი აიშვა. ნიშანი მისცეს და წინააღმდეგობაც მოიხსნა. როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე კაცობრიობის ისტორიაში, ხელისუფლება ახლაც უსიტყვოდ აქეზებდა ძალადობასა და ძარცვა-გლეჯას, თქვენ წარმოიდგინეთ, მკვლელობასაც კი. ოღონდ ეს უნდა ჩაედინათ მოსახლეობის გარკვეული, მცირე ნაწილის მიმართ, მაღალი ინტერესების სახელითა და გავრცელებული ლოზუნგების ნიღბით.

ვისაც ნათელი გონება შერჩა, და თვალყურის დევნება შეეძლო, ხედავდა როგორ სასწაულებრივად გარდაიქმნა მთელი საზოგადოება. სულ ერთ დღეში, თვალის დახამხამებაში მოსპეს საუკუნოვანი ტრადიციების მქონე ბაზარი, სადაც, მართალია, ყოველთვის იყო ფარული ღვარძლი, ქიშპი, რელიგიური მტრობა და დროისათვის ნიშანდობლივი უხეშობა თუ სიმკაცრე, მაგრამ, ამავე დროს, კაცთმოყვარეობა და გულითადობაც სუფევდა. არსებობდა წესრიგისა და ზომიერების გრძნობა, ის გრძნობა, რომელთა მეშვეობითაც ბოროტი ინსტინქტები და უხეში ჩვევები დაწესებულ საზღვრებს ვერ გადადიოდა, დაოკებული იყო და საზოგადოების ინტერესებს ემორჩილებოდა. ადამიანები, ვისაც თითქმის ორმოცი წელი ბაზარში განსაკუთრებული სათვალიო ადგილები ეჭირათ, ერთ ღამეში გაიფანტნენ, თითქმის ყველანი უე-

ცრად აღიგავენ პირისაგან მიწისა და მათთან ერთად გაქრა ის ჩვევები, ცნებები და წესები, რომელებსაც ისინი განასახიერებდნენ.

სერბიასთან ომის გამოცხადების მეორე დღესვე ქალაქში შიუცკორის რაზმი გამოჩნდა. ეს ნაუცბათევად შეიარაღებული რაზმი ხელისუფლებას სერბიელთა დევნაში უნდა დახმარებოდა: რაზმი ბოშების, ლოთებისა და სხვა უსაქმურებისაგან, კანონს უგუებელი, წესიერი ხალხისაგან მოკვეთილი ადამიანებისაგან შედგებოდა.

ბოშა ჰუსა კოკოშარი უსინდისო და, ღმერთმა არ იცის, რა ხელობის კაცი იყო. სამარცხვინო სენისაგან ახალგაზრდობაშივე სახედამახინჯებული, ათიოდე უნიფხო არამზადას მეთაურობდა, ხელში ვერნტლის სისტემის გრძელი ხიშტებიანი თოფები რომ ეჭირათ და ბაზრის ავან-ჩავანებად გადაქცეულიყვნენ. მოახლოებული საშიშროების გამო ვაჭარი პავლე რანკოვიჩი, როგორც სერბიული საეკლესიო-სასკოლო თემის თავმჯდომარე, ოთხ სხვა გამოჩენილ მოქალაქესთან ერთად მაზრის გამგეობის უფროს საბლიაკთან მივიდა. საბლიაკი ერთი ფერმკრთალი, მთლად გამელოტებული, ტანსრული კაცი იყო. წარმოშობით ხორვატიელი გახლდათ. ამ თანამდებობაზე ახლად დაწყებული ჰქონდა მუშაობა. უძილო ღამის წყალობით აღგზნებულსა და გაღიზიანებულს, ქუთუთოები გასწითლებოდა, უფერული ტუჩები მთლად მოხმობოდა. ფეხთ ჩექმები ეცვა, მწვანე ფერის მონადირის შლაპაზე ორფეროვანი შავ-ყვითელი ფერის ემბლემა მოუჩანდა. დელეგაციას ფეხზე მდგარი შეხვდა, დაჯდომაც არ შესთავაზა პირყვითელა პავლემ, თვალები შავი ფერის ორ ირიბ ფოსოს რომ მიუგავდა, ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა.

— ბატონო უფროსო, ხომ ხედავთ, რაც ხდება — რასაც გვიპირებენ, თქვენ კარგად იცით რომ ჩვენ, სერბიელი წარმოშობის ვიშეგრადელი მოქალაქენი, უდანაშაულონი ვართ, არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია იმაში, რაც მოხდა!

— არაფერი არ ვიცი, — გააწყვეტინა ბრაზმორეულმა საბლიაკმა, — და არც არაფერი მინდა ვიცოდე. თქვენს გარდა მე სხვა უფრო დიდი საქმე მაქვს. თქვენთან მეტი არაფერი მაქვს სალაპარაკო.

— ბატონო უფროსო! — ისევ დაიწყო წყნარი ხმით პავლემ, თითქოს უნდა საკუთარი სიდინჯე ამ ბრაზიანი, აღგზნებული კაცისათვისაც გადაედო, — ჩვენ მოვედით, რათა დახმარება გაგინიოთ და დაგარწმუნოთ, რომ...

— არ მჭირდება თქვენი სამსახური და ნურც ნურაფერში დამარწმუნებთ. თქვენ თქვენი თავი უკვე გამოაჩინეთ სარაევოში.

— ბატონო უფროსო, — ისევ წყნარად და დაჟინებით განაგრძო ვაჭარმა პავლემ, — ჩვენ ვისურვებდით, რომ კანონის ფარგლებში...

— ა-ა, ახლა გაგახსენდათ კანონები? რომელ კანონზე ბედავთ ლაპარაკს?

— სახელმწიფო კანონებზე, ბატონო უფროსო, ყველასათვის სავალდებულო კანონებზე.

გამგეობის უფროსი შეწუხდა, თითქოს დაწყნარდაო კიდეც, პავლემ მაშინვე ისარგებლა იმ წუთიერი მიყუჩებით.

— ბატონო უფროსო, უფლებას ვაძლევთ ჩვენ თავს, შეგეკითხოთ, უზრუნველყოფილია თუ არა ჩვენი ოჯახების, ჩვენი სიცოცხლისა და ქონების უსაფრთხოება? და თუ არ არის, მაშინ როგორ მოვიქცეთ?

გამგეობის უფროსმა ხელები გაშალა, მხრები აიჩეჩა. თვალები დახუჭა და გაფითრებული, თხელი ტუჩები ნერვულად მოკუმა.

სოვდაგარი პავლე კარგად იცნობდა ამ გაყინულ, ყრუ-მუნჯურ გამომეტყველებას, საჭიროებისამებრ რომ გაუჩნდებოდათ ხოლმე ხელისუფლების წარმომადგენლებს. უმალვე იგრძნო, ლაპარაკის გაგრძელება უნაყოფო იყო. უფროსი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, წელში გასწორდა, მოსულთ მზერა მიაპყრო და თითქოს უფრო მომბალი ხმით უთხრა:

— ყველას შეუძლია სამხედრო ხელისუფალთაგან მითითება მიიღოს, როგორ მოიქცეს.

ახლა სოვდაგარმა პავლემაც გაშალა ხელები, თვალები მოჭუტა და დაბალი, შეცვლილი ხმით ჩაილაპარაკა:

— მადლობელი ვარ, ბატონო უფროსო!

თემის ოთხმა წევრმა მოკრძალებითა და უგერგილოდ დაუკრა თავი და მსჯავრდებულებივით გამოვიდნენ.

ბაზარზე ყრუ მღელვარება გამეფებულიყო და შემაშფოთებელ ამბებს ჩუმ-ჩუმად ჰყვებოდნენ.

ალი-ხოჯას დუქანში რამდენიმე წარჩინებული ვიშეგრადელი თურქი იჯდა: ნაილბყეგ ტვარტკოვიჩი, ოსმან-აღა შაბანოვიჩი და სულაღა მეზილჯიჩი. გაფითრებულ და შეფიქრიანებულ სახეებზე მკაცრი, გახევებული გამომეტყველება აღბეჭდოდათ. ისინი ხელისუფალთ გამოიძახეს და შიუცკორის მეთაურობა შესთავაზეს. ახლა თითქოსდა შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს, სინამდვილეში კი, მოლაპარაკება სურდათ. უნდა გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ. ზოგი დათანხმებას ირჩევდა, ზოგიც ორჭოფულ დუმილს ამჯობინებდა.

ალი-ხოჯა აღგზნებული იყო, სახე წამოსწითლებოდა, თვალებში ძველებური ცეცხლი ედგა და შიუცკორში მონაწილეობაზე ფიქრსაც კი გადაჭრით უარყოფდა. სხვაზე მეტად ნაილ-ბეგს მიმართავდა, რადგან სწორედ იგი თვლიდა საჭიროდ იარაღი აესხათ და, როგორც გამოჩენილ მოქალაქეებს შეეფერებოდა, ბოშის ნაცვლად თავად ჩასდგომოდნენ სათავეში მუსულმან მოხალისეთა რაზმებს.

— ცოცხალი თავით, ამ საქმეში არ გავერევი. თუ თავი გაბია, არც შენ გირჩევ. განა ვერ ხედავ, ვლახელებს ჩვენი ხელით რომ სურთ შურისძიება და რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ისევ ჩვენს საწინააღმდეგოდ შეტრიალდება?

ალი-ხოჯა კვლავ მჭევრმეტყველურად, როგორც ოდესღაც კაპიაზე ოსმან-ეფენდი კარამანლისთან პაექტრობისას, ახლაც ამტკიცებდა, ვისაც არ უნდა მიემხრონ, თეთრებს კარგი დღე არ დაადგებათ და ამ საქმეში ყოველგვარი ჩარევა ჩვენ საზიანოდ დამთავრდებაო.

— დიდი ხანია, რაც ჩვენ არც არაფერს გვეკითხებიან და არც ანგარიშს გვიწევენ. როცა შვაბი შემოვიდა ბოსნიაში — არც სულთანს უკითხავს ჩვენთვის და არც იმპერატორს, მოგწონთ თუ არა ეს, ბეგებო და ბატონო თურქებოო? შემდეგ წამოვიდა სერბია და ჩერნოგორია და ნახევარი თურქული სახელმწიფო ნაგვართვეს, ჩვენ კი არავის არაფრად ჩავუგდივართ. ახლა იმპერატორი დაიძრა სერბიის წინააღმდეგ და ჩვენ ისევ განზე დავრჩით. ჩვენ მხოლოდ იარაღს გვაჩეჩებენ, რათა შვაბების მწევრებად გადაგვაქციონ და სერბიელებს ვდიოთ, თითქოს ეს ჩვენი საზრუნავი იყო. თავად განსაჯე: თუკი ასეთ დიდ საქმეებზე ამდენი წლის განმავლობაში საერთოდ არაფერს გვეკითხებოდნენ, მაშინ რას ნიშნავს ახლა ეს მოწყალება? აქ სხვა რაღაც იმალება და მოიგებს ის, ვინც არაფერში არ ჩაერევა. ჩვენთან საზღვარზე ღრუბლები მოქუჩნდნენ და ვინ იცის, სადამდე მივა საქმე. სერბიას ვიღაც უდგას მხარში, სხვანაირად შეუძლებელია. შენ კი ნეზუკში შენი სახლის წინ მდგარი გორის იქით ვერაფერს ხედავ. მოეშვი ამ საქმეს; ნუ ნახვალ შიუცკორში და სხვებსაც ნუ აგულიანებ. გიჯობს, ისევ იმ ათიოდე მოიჯარეს ჩააფრინდე, ჯერ კიდევ რომ შეგრჩნენ და რაღაც შემოსავალს გაძლევენ.

ყველა დუმდა. გაუნძრეველად და დინჯად ისხდნენ, დუმდა ნაილ-ბეგიც, ვისაც, ეტყობა, გულში მოხვდა ალი-ხოჯას სიტყვები, მაგრამ არ იმჩნევდა. მკვდარივით გაფითრებული გონებაში რაღაცას სწონიდა. ნაილ-ბეგის გარდა ალი-ხოჯამ ყველას შეურყია რწმენა. თუთუნს

ენეოდნენ, მდუმარედ თვალმოუშორებლად გასცქეროდნენ ხიდზე დაწალიკებულ სამხედრო ორთვალებისა და საპალნეაკიდებული ცხენების რიგს. სულ ბოლოს ნაილ-ბეგი წავიდა. მისი შუბლშეკრული გამომშვიდობების საპასუხოდ ალი-ხოჯამ კიდევ ერთხელ ჩახედა თვალებში და თითქმის მწუხარე ხმით უთხრა:

— ვხედავ, წასვლა გადაგიწყვეტია, იცოდე, სიკვდილს ეთამაშები. ვიცი, გეშინია, ბოშებმა არ დამასწრონო, მაგრამ გახსოვდეს, რაც ჩვენ ძველებს დიდი ხნის წინათ უთქვამთ: კაცი მხოლოდ გაჭირვებაში იცნობაო. ახლა სწორედ ასეთი დრო დგას.

ხოჯას დუქანსა და ხიდს შორის მთელი მოედანი ოთხთვალებით, ცხენებით, ყველა ჯურის ჯარისკაცებით იყო გაჭედილი. აქვე მოსულიყვნენ სათადარიგო ნაწილებიც. ჰაერში მტვრის კორიანტელი იდგა. დროდადრო ჟანდარმებს გაკოჭილი სერბიელი გლეხები თუ ქალაქელები მოყავდათ. ყველა ხმამაღლა ყაყანებდა და უჩვეულოდ სწრაფად მიდიოდა. ნაირნაირ ენაზე იგინებოდნენ. ალკოჰოლის, უძილობისა და მტანჯველი შეშფოთებისაგან ანთებული თვალები უელავდათ, ისე როგორც საშიშროებისა და სისხლიანი ამბების წინაშე მდგარ ადამიანებს ემართებათ ხოლმე.

მოედნის შუაგულში, ხიდის პირდაპირ, ახალ ფორმაში გამოწყობილი უნგრელი სათადარიგო ნაწილების ჯარისკაცები მორებს სთლიდნენ. ისმოდა ჩაქუჩების გამალებული კაკუნი, გადი-გამოდიოდა ხერხი, მოედანზე ჩურჩულებდნენ, სახრჩობელის აღმართვას აპირებენო. ირგვლივ ბავშვები შეგროვილიყვნენ. ალი-ხოჯა თავისი დუქნის კარიდან უყურებდა, როგორ ჩაარჭვეს ორი ბოძი, შემდეგ ერთი ულვაშიანი ჯარისკაცი მაღლა აძვრა და ბოძებს კადონი გადაადო. ხალხი ისე მოჯარდა, თითქოს ჰალვას უფასოდ არიგებენო. სახრჩობელას ირგვლივ წრე შეიკრა. ყველას ჯარისკაცები სჭარბობდნენ, ცოტანი არც თურქი სოფლის ღარიბობა და ქალაქელი ბოშები იყვნენ. რამდენიმე წუთში გამოაცალკავეს მისასვლელი, საიდანღაც მაგიდა და ორი სკამი მოიტანეს ოფიცრისა და მისი მწერლისათვის; შემდეგ შიუცკორელებმა ორი გლეხი და ერთი ქალაქელი მოათრიეს. გლეხები საზღვრისპირა სოფლების პოზდერჩიჩელი და კამენიცელი მოიჯარეები იყვნენ, ქალაქელი კი — ლიკელი მრეწველი ვაიო გახლდათ, ოჯახიანად კარგა ხნის წინ ქალაქში ჩამოსახლებული. სამივენი გაეკოჭათ, მტვრიანი სახეებით დაბნეულად იყურებოდნენ. მედოლე ჯარისკაცმა რახარუხი აუტეხა დოლს. საერთო ხმაურში დოლის ხმა შორეული ჭექა-ქუხილივით ისმო-

და. სახრჩობელას ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. ოფიცერმა, უნგრელმა თადარიგის პორუჩიკმა, გერმანულ ენაზე ხმამაღლა დაიწყო სასიკვდილო განაჩენის კითხვა: სერჟანტი მაშინვე თარგმნიდა, — სამხედრო-საველე სასამართლომ სამივეს სიკვდილი მიუსაჯა. დამნაშავეებს ბრალად ედებოდათ სერბიის საზღვარზე მტრისათვის შუქნიშნების გადაცემა. ფიცით დამოწმებული ჩვენებები ბრალდებას ადასტურებდა. ისინი სახალხო მოედანზე ხიდის ყურეში საჯაროდ უნდა დაესაჯათ. გლეხები დუმდნენ და ციებიანებივით კანკალებდნენ. ლიკელი ვაიო სახეზე ოფლს იწმენდდა და მშვიდი, ნაღვლიანი ხმით ირწმუნებოდა, დამნაშავე არა ვარო. გააფთრებული, გაოგნებული თვალებით თავის გარშემო დაეძებდა, კიდევ ვისთვის შეიძლებოდა ეთქვა სიმართლე.

განაჩენის აღსასრულებლად ყველაფერი მზად იყო, როცა ბრბოში შემოაღწია პატარა ტანის წითურმა კაცმა, მოღრეცილი ფეხები ასო x-ს რომ მიუგავდა. ეს გუსტავი გახლდათ, ოდესღაც ლოტიკას სასტუმროში უფროს კელნერად მუშაობდა, ახლა კი ქვედა ბაზარში საკუთარი ყავახანა ჰქონდა გახსნილი. გუსტავს კაპრალის ახალი ფორმა ეცვა; თვალები ჩვეულებრივზე მეტად ჩასისხლიანებოდა.

— ყველანი შეფიქრიანდნენ. სერჟანტმა მისი გაყვანა დააპირა, მაგრამ გუსტავი არ ნებდებოდა.

თხუთმეტი წელია ცნობების მიმწოდებლად ვირიცხები. ყველაზე უფრო მაღალი სამხედრო წრეებისაგან ვარ მიჩნეული ნდობით აღჭურვილ პირად, — გერმანულად გაჰყვიროდა გუსტავი ნამთვრალევი ხმით. ჯერ კიდევ ორი წლის წინათ დამპირდნენ, ერთს ან ორ სერბს შენი ხელით ჩამოგახრჩობინებთ, როცა საამისოდ დრო დადგებაო. თქვენ იცით, ვისთან გაქვთ საქმე? მე მაქვს ამისი უფლება, თქვენ კი ახლა...

ბრბო ახმაურდა, ხალხში ყრუ დრტვინვა გაისმა, სერჟანტი ყოყმანობდა, გუსტავი კი დაჟინებით მოითხოვდა, რაც არ უნდა მოხდეს, უფლება მომეცით, საკუთარი ხელით ჩამოვახრჩო სიკვდილმისჯილებიო. მაშინ წამოდგა გამხდარი და პირქუში ოფიცერი, ნასათუთებ ფერმკრთალ სახეზე ისეთი სასოწარკვეთა ეხატა, თითქოს თვითონ არის სიკვდილმისჯილიო. მართალია, გუსტავი მთვრალი იყო, მაგრამ მაინც გაიჯგიმა და გაქვავდა, მხოლოდ წვრილი ულვაში უტოკავდა და თვალებს აცეცებდა. ოფიცერი სულ ახლოს მივიდა, მის წითურა სახეს ისე მიუახლოვდა, გეგონებოდა, შეფურთხება უნდაო.

— თუ ახლავე არ მოშორდები აქაურობას, ვუბრძანებ გაგკოჭონ და ციხეში მიგაბრძანონ. ხვალ გამოცხადდები ახსნა-განმარტებისათვის. გაიგე? ახლა კი წაეთრიე.

ოფიცერი უნგრული აქცენტით გერმანულად ლაპარაკობდა, მაგრამ ისე ბრაზიანად და მკვახედ, რომ ყავახანის შემთვრალმა მეპატრონემ მაშინვე კუდი ამოიძუა და ბრბოში გაუჩინარდა, თან წამდაუწუმ სამხედრო წესისამებრ ხელი ქუდთან მიჰქონდა და გაუგებარ საბოდიშო სიტყვებს ბუტბუტებდა.

ყურადღება ყველამ კვლავ მსჯავრდადებულებს მიაპყრო. ორივე გლეხი ისევ ძაგძაგებდა, თვალისმომჭრელი მზისა და აგზნებული ბრბოს მღელვარების გამო თვალებსა ჭუტავდნენ, თითქოს მხოლოდ ესღა აწუხებთო. ვაიო კი მისუსტებული და ტირილნარევი ხმით ირწმუნებოდა, დამნაშავე არა ვარ, ცილისმწამებელმა ჩემი ცოდო დაიდო, ჩემ დღეში ჯარშიაც კი არ მიმსახურია, არც გამიგონია, თუ სინათლით რაიმე ნიშნების გადაცემა შეიძლებოდაო. გერმანული საყველპუროდ იცოდა და სასოწარკვეთილი ეძებდა ისეთი დამაჯერებელი სიტყვების პოვნას, ამ გიჟურ ნაკადს რომ შეაჩერებდა, რომელმაც გუშინ ჩაითრია და ახლა არაფრის გულისათვის ამ ქვეყნიდან გაქრობას უპირებდა.

— ერრ ეუტნანტ, ერრ ეუტნანტ, უმ ჩოტტეს წილლენ... იცჰ ინსჰულდიგერ ენსცჰ... წილლე, კინდერ... ნსცჰულქიგ:

ტგე ლლეს ტგე*, — ბუტბუტებმა ვაიო და ცდილობდა თავის გადასარჩენად უკეთესი სიტყვები ეპოვა.

ჯარისკაცები ჯერ გლეხთან მივიდნენ, გლეხმა თავიდან ბეწვის ქუდი გადაიგდო, მოედნისაკენ მიბრუნდა, სადაც ეკლესია იდგა და ორჯერ თაყვანისცა. ოფიცერმა თვალით უბრძანა, ვაიოთი დაეწყო. ლიკელმა რომ დაინახა, ჩემი ჯერი დადგაო, ხელები მაღლა აღაპყრო და მთელი ხმით იწყო ყვირილი და გოდება.

ეინ! ეინ! იცჰტ, უმ ჩოტტეს წილლენ! ერრ ეუტნანტ, სიე წისსენ... ალლეს ისტ ტგე! ჩოტტ, ლლეს ისტ ტგე**! გაჰყვიროდა ვაიო, მაგრამ ჯარისკაცებმა ფეხებსა და ქამარში სტაცეს ხელი, მაღლა ასწიეს და მარყუჟში თავი გააყოფინეს.

ხალხს სუნთქვა შეეკრა, ამ სანახაობას ისე შეჰყურებდა, თითქოს უბედური მრეწველი და პორუჩიკი ერთმანეთს ეთამაშებიანო, ში-

---

* ბატონო ლეიტენანტო,ბატონო ლეიტენანტო,ღვთის გულისათვის... დამნაშავე არა ვარ,ბევრი ბავშვი... დამნაშავე არა ვარ. სიცრუეა, ყველაფერი სიცრუეა.

** არა! არა! ღვთის გულისათვის! ბატონო ლეიტენანტო,თქვენ იცით... ყველაფერი სიცრუეა!.. ღმერთო ჩემო!.. ყველაფერი სიცრუეა! (გერმ.).

შისა და ცნობისმოყვარეობისაგან სულგანაბულნი უცდიდნენ, რით დამთავრდებოდა, ვინ მოიგებდა ამ საზარელ თამაშს.

ალი-ხოჯას ყურამდე ხალხის გაურკვეველი ხმაური აღწევდა, მაგრამ არ იცოდა, თავშეყრის ადგილას რა ხდებოდა. როცა მოულოდნელად ხალხის თავზე ვაიოს თვალებგადმოკარკლული სახე დაინახა, მაშინვე წამოხტა და, მიუხედავად სამხედრო ხელისუფალთა მკაცრი განკარგულებისა, სავაჭრო დუქნები ერთთავად ღია ჰქონოდათ, დუქანი დაკეტა.

ქალაქში კვლავ მოდიოდა და მოდიოდა ჯარი. მათ კვალდაკვალ მოსდევდა სამხედრო აღჭურვილობა, სურსათ-სანოვაგე და მონყობილობა; ამ ნაკადმა არა მარტო რკინიგზა გადატვირთა, როგატიცას გავლით ძველი გზიდანაც დაიწყეს შემოსვლა. დღე და ღამე მოძრაობდნენ ხიდზე აღალები, პირველი, რაც მათ ქალაქში შესვლისას თვალში ხვდებოდათ, ე იყო მოედანზე სამი ჩამოხრჩობილი კაცი. ხშირად წინ მიმავალნი გადატვირთულ ქუჩაში იჭედებოდნენ. ამის გამო ყოველი ახალი მწკრივი იძულებული ხდებოდა ხიდზე ან სახრჩობელასთან ახლო მოედანზე გაჩერებულიყო, ვიდრე წინ გზას არ გაათავისუფლებდნენ.

დამტვერილი, აჭარხლებული და გააფთრებული ყვირილისადგან ხმადაკარგული სერჟანტები, ცხენდაცხენ მიძვრებოდნენ ოთხთვალებსა და დარახტულ ცხენებს შუა, სასოწარკვეთით შლიდნენ ხელებს და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ყველა ენაზე უშვერად აგინებდნენ რჯულიანსა და ურჯულოს.

მეოთხე თუ მეხუთე დღეს, გამთენიისას, როცა ხიდზე ისევ გაიჩხირა აღალი, რომლის მოწინავე ნაწილიც ვიწრო ბაზარში ძლივსღა მიიკვლევდა გზას, ქალაქის თავზე მკვეთრი და უჩვეულო სტვენა გაისმა და ზედ კაპიასთან, ქვის მოაჯირზე ზარბაზნის ჭურვი დაეცა. რკინისა და ქვის წვიმა წამოვიდა. შეშინებულ ცხენებს ძლივსღა აკავებდნენ, ხალხი გარბოდა, ერთმანეთზე გადადიოდა. ზოგი წინ, ბაზრისაკენ გაიქცა, ზოგი კი უკან გამორბოდა. პირველ ჭურვს კიდევ სამი ჭურვი მოჰყვა — ორი წყალში ჩავარდა, ერთი კი ისევ ხიდზე, ხალხსა და ცხენებს შუა დაეცა.

ხიდი თვალის დახამხამებაში დაცარიელდა. ზედ მიმოფანტული აყირავებული ოთხთვალები და გვამები შორიდან შავი ლაქებივით მოჩანდა. ბუტკოვის კლდესთან ავსტრიული საველე არტილერია გამოჩნდა და სერბიულ სამთო ბატალიონს დაუწყო სროლა, რომელიც მდინარის ორივე მხარეს გაფანტულ აღალს შრაპნელს უშენდა.

აქედან მოყოლებული სამთო ბატარეა ხანგამოშვებით უშენდა ხიდსა და ყაზარმას. რამდენიმე დღის შემდეგ კი, კვლავ დილაადრიან, აღმოსავლეთით, დაახლოებით გოლეშის მხრიდან ახალი ბათქის ხმა გაისმა. სროლა, მართალია, უფრო შორიდან მოისმოდა, მაგრამ ხმა უკეთესად ისმოდა. ქალაქის თავზე მძიმედ გუგუნებდნენ ჭურვები. ამჯერად ორი ქვემეხი ისროდა. პირველი დრინაში ჩაცვივდა, დანარჩენი ხიდთან, ზედ მოედანზე დაეცა და ახლომახლო სახლები, მათ შორის ლოტიკას სასტუმრო და ოფიცერთა საკრებულოს შენობა დააზიანა. შემდეგ ჭურვები თანაბარი შუალედებით ცვიოდა და უფრო მეტი სიზუსტით ხვდებოდა ხიდსა და ყაზარმის შენობას. ერთი საათის შემდეგ ყაზარმა აბრიალდა. ცეცხლის ჩასაქრობად მოსულ ჯარს პანოსიდან სამთო ბატარეამ შრაპნელი დააყარა. იძულებული შეიქნენ, ყაზარმა ბედის ანაბარა მიეტოვებინათ. ცხელი დღე იდგა და ხის შენობა სწრაფად იწვოდა. დროდადრო აკვამლებულ ნანგრევებს ისევ ჭურვები ეცემოდა. ასე დაინგრა და მეორეჯერ იქცა ღორღის გროვად ერთ დროს ცნობილი ქვის სასტუმრო.

გოლეშიდან ორივე ქვემეხი ახლა განუწყვეტლივ მხოლოდ ხიდს ესროდა, განსაკუთრებით შუათანა ბურჯს უშენდნენ. ჭურვები წყალში ხიდის ხან მარცხენა, ხან მარხვენა მხარეს ეცემოდა, ზოგჯერ ქვის მასიურ ბურჯებზეც ენარცხებოდა, ხანდახან ხიდის სავალ ნაწილსაც ხვდებოდა, მაგრამ არც ერთი არ მოხვედრია ჭის თავზე დამაგრებულ რკინის სახურავს, რომლის ქვეშაც ხიდის დანაღმვის დროს ასაფეთქებელი ნივთიერება იქნა ჩაწყობილი.

ათი დღის დაბომბოვამ ხიდს მნიშვნელოვანი ზიანი ვერ მიაყენა, ყუმბარები ხიდის გლუვ ქვაფენილსა და მრგვალ თაღებს ეცემოდა, უკუქცეული ჰაერშივე სკდებოდა და ხიდზე უბრალო, ოდნავ შესამჩნევი თეთრი ნაჭდევების გარდა არავითარ კვალს არ ტოვებდა. გლუვი და მაგარი ფილების ნინაშე შრაპნელი უძლური აღმოჩნდა. ზედ ხიდის სავალ ნაწილზე დაცემული ბომბები დატკეპნილ ქვიშაში წვრილ-წვრილ ორმოებსა და ძაბრისებურ ღრმულებსა ტოვებდნენ, რომელთა შემჩნევაც მხოლოდ ხიდზე გავლისას შეიძლებოდა. ამ ახალ ქარიშხალშიც კი, ასე უეცრად რომ დაატყდა თავს ქალაქს, ყველა ძველი წეს-ჩვეულება მოშალა და ცოცხალ ადამიანთა ბედი, კაცობრიობის მონაგარი თავდაყირა დააყენა, ხიდი, კვლავ თეთრად ქათქათებდა და უვნებელი ჩანდა.

თავი ოცდამესამე

გამუდმებულმა სროლამ ხიდზე მოძრაობა დღისით თითქმის მთლიანად მოშალა. მოსახლეობა დაუბრკოლებლად მიმოდიოდა, ჯარისკაცები სათითაოდ გადარბოდნენ, მაგრამ თუ ადამიანთა უფრო მოზრდილი ჯგუფი გაივლიდა, პანოსიდან მას შრაპნელს უშენდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ხალხი, ასე თუ ისე, შეეჩვია სროლას. მიხვდნენ, რომელ საათებში ძლიერდებოდა, სუსტდებოდა, ან მთლიანად წყდებოდა ხოლმე ხიდზე სროლა და მის შესაბამისად გადადიოდნენ. რასაკვირველია, მხოლოდ ყველაზე უფრო საჭირო საქმეების გამო გადადიოდნენ, რასაც არც ავსტრიელი ბადრაგი არ ენინააღმდეგებოდა.

პანოსზე დადგმული ბატარეა მხოლოდ დღისით ისროდა, გოლეშას ქვემეხები კი ღამითაც გუგუნებდნენ. ცდილობდნენ, ჯარისა და აღალის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლაში ხელი შეეშალათ. ქალაქის გულში, ხიდისა და გზის მახლობლად მცხოვრებნი, დაბომბვისთვის რომ თავი აერიდებიათ, ოჯახებიანად საცხოვრებლად მოედანზე ან ქალაქის სხვა დაშორებულ კვარტალებში ნათესავებთან თუ ნაცნობებთან გადაბარგდნენ. ხალხის ასე დედაბუდიანად აყრა კაცს, იმ მძიმე ღამეებს აგონებდა, როცა ქალაქს დიდი წყალდიდობა დაატყდა თავს. მაგრამ ამჯერად, სხვადასხვა რწმენის ხალხი, საერთო უბედურების გამო ერთსულოვანი გრძნობით გამსჭვალულები, ერთად როდი იკრიბებოდნენ. ხალხი ერთმანეთთან საუბრით შვებას ვეღარ პოვებდა, როგორც მაშინ იყო.

თურქები თურქების სახლებში გადადიოდნენ, სერბიელებს კი, კეთროვანებივით რომ უყურებდნენ, თანამოძმეები იკედლებდნენ. თუმცა განცალკევებულნი და გათიშული იყვნენ, ერთნიცა და მეორენიც დაახლოებით ერთნაირად ცხოვრობდნენ. სხვის სახელს შეკედლებულნი სახლკარგადამწვარებივით უსაქმურად ისხდნენ; აღარ იცოდნენ, როგორ მოეკლათ დრო, იტანჯებოდნენ. სიკვდილის შიშით გათანგულებმა არც ის იცოდნენ რა ბედი ელოდა მათ ქონებას. სტანჯავდათ ზრახვები, რის დამალვასაც ერთნაირად ცდილობდნენ თურქებიცა და სერბიელებიც.

როგორც წარსულში, დიდი წყალდიდობის დროს, ახლაც თურქი და სერბიელი მოხუცები ცდილობდნენ, გარშემო მყოფნი ოხუნჯობითა და ამბების მოყოლებით გაემხიარულებინათ, საკუთარი სიმშვიდითა და მომავლის რწმენით გაემხნევებინათ. მაგრამ გამოირკვა, რომ ამგვარი უბედურების დროს უწინდებური ოხუნჯობა და თვალთმაქცობა უკვე

აღარ შველოდა, ყველა ძველებურ ამბავს ეშხი დაჰკარგოდა, ახლის გამოგონება კი ძნელი იყო და დიდ დროს მოითხოვდა.

ღამღამობით თავს მოიმძინარებდნენ, თუმცა სინამდვილეში თვალის მოტყუებაც კი არავის შეეძლო. ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და თვითონაც არ იცოდნენ, რად ფრთხილობდნენ, როცა ყოველ წუთში სერბიელთა და ავსტრიელთა ზარბაზნები გრიალებდნენ. ყველაზე უფრო იმ ცილისწამებისა ეშინოდათ, რასაც „მტრისთვის ნიშნის მიცემას" ეძახდნენ, თუმცა ნამდვილად არავის ესმოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა და როგორ გადასცემდნენ ამ ნიშანს. შიში იმდენად დიდი იყო, რომ ასანთის ანთებასაც კი ვერ ბედავდნენ. ღამღამობით შუქს არ ანთებდნენ. თამბაქოს მოსაწევად მამაკაცები უფანჯრო, დახუთულ ოთახებში იკეტებოდნენ ან საბნებში თავშერგულები ეწეოდნენ.

სიცხისაგან იგუდებოდნენ, ოფლში იწურებოდნენ, მაგრამ კარები მაგრად ჰქონდათ ჩაკეტილი, ფარდებჩამოფარებული ფანჯრებიც დარაბებით იყო დაგმანული. ქალაქი იმ კაცსა ჰგავდა, ვისაც არ შეეძლო დარტყმის მოგერიება, თვალები დაეხუჭა და ახალ დარტყმებს მორჩილად ელოდებოდა. სახლები გამოქოლილი გეგონებოდა. ვისაც ეწადა ცოცხალი დარჩენილიყო, თავი მკვდრად უნდა მოეჩვენებინა, მაგრამ საშველი არც ეს იყო.

უნდა ითქვას, რომ მუსლიმანურ ოჯახებში თავს, ასე თუ ისე, შეღავათიანად გრძნობდნენ. ის ორთაბრძოლა, რასაც ორი ქრისტიანული არტილერია მათ თვალწინ ეწეოდა, მათში, მართალია, შეუფერებელ, მაგრამ მაინც ძველ მეომრულ ინსტინქტებს აღვიძებდა, თუმცა მათაც ჰქონდათ მნიშვნელოვანი და ფარული საზრუნავი, ჰქონდათ, ერთი შეხედვით, გამოუსწორებელი უბედურებანიც.

გრადის მახლობლად მცხოვრებ ალი-ხოჯას სახლში რაღაც სკოლისმაგვარი შეიქმნა. მის საკუთარ შვილებს, ასე მრავლად რომ ჰყავდა ალი-ხოჯას, მუი-აღა მუთაპჯიჩის ცხრა შვილიც მიემატა. მათში მარტო სამი იყო მოზრდილი, დანარჩენები კი ერთიმეორეზე პატარები იყვნენ. ყოველ წუთს მათი თვალყურის დევნება და ეზოში ძახილი რომ არ დასჭირვებოდათ, ალი-ხოჯას ბავშვებთან ერთად დიდ ოთახში შეყარეს. აქ მათ დედები და უფროსი დები აქცევდნენ ყურადღებას და მუდმივი ყაყანი და ფუსფუსი ჰქონდათ.

მუი-აღა მუთაპჯიჩი, უჟიჩელს რომ ეძახდნენ, ჩამოსული კაცი იყო. ამ ორმოცდაათი წლის მაღალ, ჭაღარა კაცს, არწივისებური ცხვირი, ნაოჭებიანი სახე, ბოხი ხმა და უხეში, ჯარისკაცური ქცევები ჰქონდა.

ალი-ხოჯაზე ხნიერად გამოიყურებოდა, თუმცაღა სინამდვილეში ათი წლით მასზე ახალგაზრდა იყო.

მუი-აღა მასპინძლის გვერდით ზის და განუწყვეტლივ აბოლებს თამბაქოს. ფიქრებში ჩაფლული ხანდახან თუ დაილაპარაკებს, მძიმე ფიქრების დაღი მის სახესაც აჩნია და მიხრა-მოხრასაც. ადგილზე ვერ ისვენებს. წამდაუწუმ დგება, ბაღში გადის და ორივე ნაპირზე გადაშლილ ქალაქს გაჰყურებს. ზოგჯერ, დიდხნობითაც დგას თავაწეული, თითქოს ცაზე ღრუბლების სრბოლას შესცქერისო. ალი-ხოჯა ერთთავად მუი-აღას გართობასა და დანყნარებას ცდილობს, ბაღში გასულს უკან მისდევს, რათა მარტო არც ერთი წუთით არ დატოვოს.

აქ ფლატეს თავს გაშენებულ დიდ, ლამაზ ბაღში ზაფხულის დღის სიმშვიდე და მყუდროება სუფევს. ხახვს უკვე ღერები ჩალენია და მინაზე წანოლილა, მზესუმზირა კი ჯერ ისევ გაფურჩქნულია, მის დაბლა დახრილ ბრდღვიალა თავებს ფუტკარი და კელა დაზუზუნებს. ღობეს უკვე შემჭკნარი, წვრილი ყვავილი გასდევს. ამ ამაღლებული ადგილიდან კარგად მოჩანს დრინსა და რზავს შორის ქვიშიან დამრეცზე გაშენებული ქალაქი.

ქალაქის მახლობელ დაბლობზე თუ ბორცვების დამრეც ფერდობებზე ერთმანეთს მისდევს შემოსული ქერისა და ჯერ კიდევ მწვანე სიმინდის ზოლები.

სახლების თეთრი კედლები ბრდღვიალებენ, შორს კი სხვადასხვა სიმაღლისა და მოყვანილობის მთების მწვერვალები შავ ტყეებს დაუფარავს. ქალაქის თავზე წამომდგარი ზაფხულის დილის ბრწყინვალებაში ისე დიდია ცისა და მიწის შუა გაშლილი სივრცე, რომ ეს ორმხრივი კანტიკუნტი საარტილერიო ზალპებიც კი საზეიმოდ და უწყინრად გეჩვენება.

აქ მუი-აღამაც კი ენა ამოიდგა. ალბათ, ალი-ხოჯას ალერსიან სიტყვას წამოეგო და თავისი ცხოვრების ამბავი მოუყვა. არა, იმის გამო კი არა, რომ ხოჯამ მისი ამბავი არ იცის, უბრალოდ აქ, მზით ავსებულ ბაღში უნდა გამოიხსნას ან მოაბოშოს ის ყულფი, ყელზე რომ შემოხვევია, რადგან მისი ბედი სწორედ ამ წუთში, აქ, ზაფხულის დღის ყოველ თვალის დაფახულებაზე, ამა თუ იმ მხრიდან ზარბაზნის გასროლის დროს წყდება.

ხუთი წლისაც არ იყო, თურქებს სერბიული ქალაქების დატოვება რომ მოუხდათ. ოსმალები თურქეთში წავიდნენ, ხოლო მამამისმა სულაღა მუთაპჯიჩმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უჟიცელ თურქებში

გამოჩენილმა კაცმა, ერთ-ერთმა პირველთაგანმა გადაწყვიტა გადასულიყო ბოსნიაში, სადაც მისი წინაპრები სახლობდნენ. ბავშვები გოდრულებში ჩასხა, თან ფული წაიღო, რაც მაშინ მიწისა და სახლის საფასურად ამოიღო და სამუდამოდ მიატოვა უჟიჩე. რამდენიმე ასეულ უჟიცელ ლტოლვილთან ერთად ბოსნიაში გადავიდა, ჯერ კიდევ თურქების ხელთ რომ იყო და ოჯახიანად ვიშეგრადში დასახლდა, სადაც ოდითგანვე ცხოვრობდა უჟიცელი მუთაპჯიჩების შტო. აქ მან ათი წელი დაყო და მდგომარეობაც მოიპოვა, რომ ავსტრიელთა შემოსვლაც დაიწყო. ეს მკაცრი და შეურიგებელი ბუნების კაცი მაშინვე მიხვდა, რომ არ იყო საჭირო გაქცეოდა ერთ ქრისტიანულ ხელისუფლებას იმისათვის, რომ თავი მეორისთვის შეეფარებინა. ავსტრიელთა შემოსვლიდან ერთი წლის შემდეგ იმათთან ერთად, ვისაც არა სურდა ეცხოვრა ქვეყანაში, „სადაც ზარების რეკვა ისმოდა“, ხელახლა აიყარა და ოჯახიანად ბოსნიიდან სანჯაყში, ახალ ქალაქში გადასახლდა (მუი-აღა მაშინ 15 წლისა იყო).

აქ სულ-აღა მუთაპჯიჩმა ვაჭრობა გააჩაღა, აქვე შეეძინა მომდევნო შვილებიც. მაგრამ ერთთავად მიტოვებულ უჟიცეზე დარდობდა და ვერც ახალ ადამიანებს შეეთვისა და ვერც სანჯაყურ ცხოვრებას. სწორედ ეს იყო მისი ნაადრევი სიკვდილის მიზეზიც. მის მზეთუნახავ ქალიშვილებს შეუბღალავი სახელი ჰქონდათ და იღბლიანადაც გათხოვდნენ. მამის დატოვებული მცირეოდენი სამკვიდრო ვაჟიშვილებმა გააუხვეს, მაგრამ ვერ მოასწრეს დაქორწინებულიყვნენ და ახალ საზოგადოებაში უფრო ღრმად გაედგათ ფესვები, რომ 1912 წლის ბალკანეთის ომი დაიწყო. ხანმოკლე წინააღმდეგობისას, რაც ახალქალაქის მახლობლად თურქეთის ჯარებმა სერბიულ-ჩერნოგრიულ არმიას გაუწიეს, მუი-აღაც მონაწილეობდა. არ შეიძლება ითქვას, თავს წარუმატებლად და სუსტად იცავდნენო, მაგრამ მაინც, რაღაც სასწაულით, თითქოს ომისა და ამდენი ათასი ადამიანის ბედი აქ კი არ წყდებოდა, არამედ სადღაც შორს. იმის მიუხედავად, ძლიერი იყო თუ სუსტი მათი წინააღმდეგობა, თურქეთის ჯარებმა სანჯაყი დატოვეს. რაკი დაინახა, რომ თურქებს არ შესწევდათ იმ მტრის დაძლევის ძალა, ვინაც ჯერ კიდევ ბავშვობისას აიძულა დაეტოვებინა უჟიცე, და ვის წინააღმდეგ წარუმატებელ ბრძოლაში ახლა ისიც მონაწილეობდა, მუი-აღამ ისევ გადაწყვიტა ბოსნიაში დაბრუნება და იმავე ხელისუფლების ბატონობის ქვეშ ცხოვრება, რომელსაც მამამისი გაექცა. ამრიგად, ლტოლვი-

ლი ოჯახიანად ისევ იმ ქალაქში აღმოჩნდა, სადაც თავისი ბავშვობა გაატარა.

მუი-აღას ცოტაოდენი ფული შემორჩა და ვიშეგრადელი თურქების დახმარებით, რომელთა შორისაც მისი ნათესავებიც იყვნენ, ორი წლის განმავლობაში პატარა საქმის წამოწყება შეძლო. მაგრამ მაინც უჭირდა ამ შფოთიან დროში. ისინიც კი ნაკლებ მოგებას ნახულობდნენ და რწმენა დაკარგული ჰქონდათ, ვინც დიდი ხანია კარგად იყო მოწყობილი და უფრო ბედნიერი და მშვიდობიანი დროის მოლოდინში ძირითადად საკუთარი დანაზოგებითა ცხოვრობდა. და აი, ახლა, როცა, ასე თუ ისე, ორი წელი გაუძლო ახალმოშენებულ ყოფნას, მუი-აღა ხელახლა ჩავარდა გასაჭირში, განსაცდელმა თავგზა აუბნია, ისღა დარჩენოდა, მწუხარედ ედევნებინა მოვლენებისათვის თვალი, და ეცახცახა ბედის მოლოდინში.

სწორედ ამაზე ლაპარაკობდნენ ორივენი, ხმადაბლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდნენ ერთმანეთთან დაუკავშირებელ ფრაზებს. ასე შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ კარგად ნაცნობ საქმეებზე, როცა მსჯელობა ბოლოდანაც შეუძლიათ დაიწყონ, თავიდანაც და შუა ადგილიდანაც. ალი-ხოჯა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ექცეოდა მუი-აღას, ცდილობდა, ისეთი სიტყვები გამოენახა, რითაც ანუგეშებდა და დაანყნარებდა, თუმცა იცოდა, სიტყვებით ვერაფერს დაეხმარებოდა, მაინც სურდა, თავის მოვალეობად მიაჩნდა ამ პატივსაცემი, უიღბლო ადამიანისა და ნამდვილი მუსულმანის მწარე უბედურება გაეზიარებინა.

მუი-აღა იჯდა და თამბაქოს ეწეოდა. ერთი შეხედვითაც მიხვდებოდით, რომ ბედი განსაკუთრებით მკაცრად სდევნიდა ამ ადამიანს. ოფლის მსხვილი წვეთები ისე მოგორავდნენ დანაოჭებულ სახეზე, როგორც ფანჯარაზე წვიმის წვეთები, მაგრამ მუი-აღა ამას ვერ გრძნობდა და ოფლს არ იწმენდდა. დაბინდული თვალებით უმზერდა ფეხქვეშგათელილ ბალახს და ღრმად ჩაფიქრებული უსმენდა საკუთარ გულის ხმას, რაც ყველაზე სანუგეშო სიტყვასა და ყველაზე მქუხარე კანონადაზე ძლიერი იყო. მხოლოდ დროდადრო ხელს ოდნავ ჩაიქნევდა და რამდენიმე სიტყვას ჩაიბურტყუნებდა, თითქოს საკუთარ ფიქრებს იგერიებსო, არ უსმენდა რას ელაპარაკებოდნენ და რაც მის ირგვლივ ხდებოდა.

— ისეთი დრო დაგვიდგა, ძმაო, ალი-ხოჯა, გასაქცევიც კი აღარსაით გვაქვს. ღმერთია მოწმე, მე და განსვენებულმა მამაჩემმა ყველაფერი ვიღონეთ, რათა რწმენა შეგვენარჩუნებინა და ისლამის რჯულზე

გვეცხოვრა. პაპაჩემმა თავისი ძვლები უჟიცეში ჩაყარა, ახლა, ალბათ, მისი საფლავის კვალიც აღარ დარჩა. მამა ახალქალაქში დავასაფლავე, — იმის საფლავზე კი უთუოდ ქრისტიანთა საქონელი ბალახობს. ვფიქრობდი, მოვმკვდარიყავი ამ ქალაქში, სადაც მუეძინი ჯერ კიდევ მოუხმობს მართლმოწმუნეებს სალოცავად, მაგრამ აი, ყველას დაღუპვის ჟამი დაგვიდგა. ეგება, ყველაფერი ღვთის ნებით ხდება, მაგრამ ვხედავ, რომ გასაქცევი აღარა გვაქვს. დაჰკრა ჟამმა, როგორც იტყვიან, ჭეშმარიტ მორწმუნეთათვის სიკვდილის გარდა სხვა გამოსავალი აღარ იქნება. ვის მივეკედლო? ნაილ-ბეგსა და შიუცკორელებს გავყვე, რათა შვაბების იარაღასხმული მოვკვდე და სიცოცხლეშიც და იმქვეყნადაც შერცხვენილის სახელი დავიმკვიდრო, თუ გულხელდაკრეფილი ვიჯდე და ველოდო, ვიდრე სერბია ამ ქალაქსაც აიღებდეს. ხელახლა მოვლენ ისინი, ვის გამოც ამ ორმოცდაათი წლის წინათ ერთი ადგილიდან მეორეზე გავრბოდით.

ალი-ხოჯამ პირი გააღო, გამამხნევებელი სიტყვების სათქმელად, რათა მცირედი იმედის ნაპერწკალი მაინც გაეღვიძებინა, რომ ბუტკოვოს კლდეებიდან ავსტრიელთა ბატარეის ზათქმა სიტყვა გააწყვეტინა. პასუხად პანოსზე მაშინვე დაიგრგვინა ზარბაზნებმა. გასროლა გოლეშედანაც გაისმა. სხვადასხვა ზომის ჭურვებმა ალი-ხოჯას სახლის თავზე ორივე მიმართულებით, საკმაოდ დაბლა იწყეს ფრენა. ისმოდა გულის გამაწვრილებელი ხმა, რისგანაც ადამიანს გულ-მუცელი ეკუმშება და საფეთქლების ტეხვა ეწყება. ალი-ხოჯა წამოდგა და მეგობარს შესთავაზა, სახლს შევეფაროთო. მუი-აღა მთვარეულივით, ჩანჩალ-ჩანჩალით გაჰყვა უკან.

მეიდანზე, ეკლესიის ირგვლივ მდგარ სერბიელთა სახლებში არც წარსულს ნაღვლობდნენ და არც მომავალს, მაგრამ დღევანდელი დღის შიში და წუხილი კი ჰქონდათ. აქ რაღაც განსაკუთრებული, უტყვი შიშის ზარი სუფევდა, რომელიც არასდროს არ სტოვებს იმ ადამიანს, ვისაც მკაცრი ტერორი, დაპატიმრება და უსამართლო ანგარიშსწორება განუცდია. ისეთივე დაძაბული მოლოდინი ჰქონდათ, როგორც ასი წლის წინათ, როცა პანოსზე აჯანყებულთა კოცონები ენთო, იგივე იმედი, სიფრთხილე და მტკიცე გადაწყვეტილება ჰქონდათ, როგორმე ყველაფერი გადაეტანათ, თუ სხვა გამოსავალი არ იქნებოდა, იგივე რწმენა კეთილი დასასრულისა.

ამ სულის სიღრმემდე შეძრული, შეშინებული და შეძრწუნებული ადამიანების შვილიშვილებსა და ბადიშის შვილებს, გაღმა ნაპირზე ასევე

სახლებში რომ ჩაკეტილიყვნენ, ყური დაეცქვიტათ, იქნებ ველეტოვის მთებში ყარაჩ-გიორგის ზარბაზნის სროლის სუსტი ხმა გავიგონოთო. ღამით ესმოდათ თავსგადაფრენილი მძიმე ჭურვების სტვენა და ცდილობდნენ სერბიული ჭურვის ხმა შვაბების ხმისაგან გაესხვავებინათ. თავისას საალერსო სახელებს უგონებდნენ, მტრისას კი სწყევლიდნენ და დამცინავ ზედმეტ სახელებს არქმევდნენ.

მაგრამ ეს ყველაფერი მანამ იყო, ვიდრე ჭურვები მაღლა ფრენდნენ და ქალაქის გარეთ ეცემოდნენ, როცა ხიდსა და თვით ქალაქს დაუწყეს სროლა, მასხრობის გუნება მაშინვე წაუხდათ. თითოეულ მათგანს ეჩვენებოდა და მზად იყო დაეფიცა კიდეც, რომ ამ სრულ სიწყნარესა და უსასრულო სივრცეში ერთიცა და მეორე მხარეც სწორედ თვითონ მას და მის სახლს უმიზნებდა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა სადმე მეზობლად აფეთქების ხმა გაისმოდა, ადამიანები შეცვლილი ხმით ირწმუნებოდნენ, სულ ახლოს ჩამოვარდნილი ჭურვი ყველა სხვა ჭურვზე უფრო საშიში და დამანგრეველი ძალისა იყოო.

რისტიჩის დიდ და ლამაზ სახლში, რომელიც მღვდლის სახლის გვერდზე იდგა და სკოლისაგან ქლიავის ხეთა ხშირი რტოები იფარავდა, ბაზრის რაიონის ბევრმა მკვიდრმა მოიყარა თავი. მამაკაცები ცოტანი იყვნენ, ქალები და ბავშვები ჭარბობდნენ, ვისი ქმრები და მამები დაპატიმრებული ან წაყვანილები იყვნენ.

სახლი დიდი და მდიდრული იყო. იქ მხოლოდ სახლის პატრონი მიხეილ რისტიჩი ცხოვრობდა ცოლსა და ქვრივ რძალთან ერთად, რძალმა ქმრის სიკვდილის შემდეგ არც მეორედ გათხოვება ისურვა და არც შინ დაბრუნება. გადაწყვიტა აქ დარჩენილიყო, რათა ბავშვები ფეხზე დაეყენებინა და მოხუცებისთვის შემწეობა გაეწია. მისი უფროსი ვაჟი, თვრამეტი წლის ჭაბუკი, ორი წლის წინათ სერბიაში გადავიდა და მოხალისეთა რაზმში ბრეგალნიცასთან დაიღუპა.

მოხუცი მიხეილი, მისი ცოლი და რძალი ისე ემსახურებოდნენ უჩვეულო სტუმრებს, თითქოს საოჯახო დღესასწაულზე არიან მოსულებიო. განსაკუთრებით მოხუცი ფუსფუსებდა. ის კი არა, წითელი ფესიც კი მოიხადა, რაც არასდროს უქნია; ხშირი ჭაღარა თმა ყურებსა და შუბლზე ეფინებოდა, თამბაქოსგან შეყვითლებული ჩამოშვებული ხშირი ვერცხლისფერი ულვაშები პირზე ისე შემოხვეოდა, გეგონება მუდამ იღიმისო. როგორც კი რომელიმე სტუმარს სხვაზე უფრო მეტ შეშინებას შეამჩნევდა, იმწამსვე მივიდოდა, გაართობდა, არყით, ყავითა და თამბაქოთი უმასპინძლდებოდა.

— არ შემიძლია, ნათლი, მადლობელი ვარ, თქვენი ჭირიმე, ყელთამდე ვარ, ჭამა არ შემიძლია, — თავს იცავდა ერთი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი და ხელს თეთრ ყელზე იკიდებდა. ეს ოკოლიშჩელი პეტრე გატალის მეუღლე იყო. ომმა მის მეუღლეს სარაევოში მოუსწრო, სადაც სავაჭრო საქმეების თაობაზე იყო წასული. მისი აღარაფერი იცოდნენ. ავსტრიელმა ჯარისკაცებმა ქალი სახლიდან გამოაპანღურეს და ახლა თავის ბავშვიანად მიხეილ რისტიჩს შეჰკედლებოდა, ქმრის მხრიდან ნათლიად რომ ერგებოდა. ქმარსა და მიტოვებულ სახლზე, მწუხარე ფიქრებში ჩანთქმული ქალი ხელებს იფშვნეტდა, გაუთავებლად ტიროდა და ოხრავდა.

სახლის პატრონი ქალს თვალს არ აშორებდა, გვერდიდან არ იცილებდა, იმ დღეს ცნობაც მოუვიდათ, სარაევოდან უკან მომავალი პეტრე მატარებლიდან მძევლად წაიყვანეს და ვარდიშჩაში გაგზავნეს, მაგრამ იქ ეს უდანაშაულო კაცი ხათაბალაში გაება და დახვრიტესო. პეტრეს სიკვდილი მის ცოლს დაუმალეს, მიხეილი ცდილობდა, მასთან არავინ მიეშვა, შიშობდა, წინასწარ შეუმზადებელს არაფერი შეეტყო. ქალი წამდაუწუმ დგებოდა, გარეთ გასვლას ლამობდა, რათა ოკოლიჩისათვის გადაეხედა, მაგრამ მიხეილი რაღაცას მოიმიზეზებდა და გარეთ არ უშვებდა. იცოდა, უბელის სახლი რომ უკვე იწვოდა და რას აღარ იქმოდა, ოღონდ უბედურ ქვრივს ეს არ დაენახა: ოხუნჯობდა, იცინოდა და განუწყვეტლივ უმასპინძლდებოდა სხვადასხვა სასმელებით.

— აბა, ნათლიდედ სტანოიკა, მხოლოდ ერთი ჭიქა! ეს არაყი კი არა, დამაწყნარებელი წამალია!

და ქალიც მორჩილად სვამდა. სახლის პატრონი ყველას უმასპინძლდებოდა, ცდილობდა, გულითადობითა და ზრუნვით ყველა გაემხნევებინა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღებით მაინც პეტრე გატალის მეუღლეს ექცეოდა. ცოტა არ იყოს, ქალსაც გულზე მოეშვა. თავი მშვიდად ეჭირა. ოღონდ ჩაფიქრებული იცქირებოდა. მოხუციც ბავშვივით ამშვიდებდა, ყველაფერი გაივლის, შენი პეტრე სარაევოდან დაბრუნდება და თქვენ სახლში, ოკოლიშჩაში ისევ ძველებურად იცხოვრებთო.

— შენს პეტრეს მე აკვნიდანვე ვიცნობ, მის ნათლობასაც ვესწრებოდი და კარგა ხანსაც არ დამავიწყდება ეს ნათლობა. გუშინდელივით მახსოვს, მაშინ ჯერ კიდევ სასიძო ბიჭი ვიყავი, განსვენებულმა მამაჩემმა მოხუცი იანკოს შვილები მონათლა, მერე კი ოკოლიშჩაში, შენი პეტრეს ნათლობაში წავედით.

მოხუცმა პეტრე გატალის მონათვლის ამბის მოყოლა დაიწყო, ეს ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ ამ უჩვეულო საღამოს, ისე უსმენდნენ, თითქოს პირველად ესმითო.

მჭიდროდ შემორტყმული სტუმრები უსმენდნენ სახლის პატრონს, საშიშროება ავიწყდებოდათ და აღარც ზარბაზნების გრიალს აქცევდნენ ყურადღებას.

ძველად, იმ კეთილმოსაგონარ დროს, როცა ქალაქში ცნობილი მამაო ნიკოლა მღვდლობდა, ოკოლიშჩელ იანკო გატალის ქორწინებიდან მრავალი წლის გავლისა და მთელი დასტა ქალიშვილების შეძენის შემდეგ, ვაჟიშვილიც გაუჩნდა. ერთი კვირის ბავშვი მოსანათლად წაიყვანეს, ბედნიერ მამასა და ნათლიას ეკლესიაში რამდენიმე ნათესავი და მეზობელიც წაჰყვა. ოკოლიშჩიდან გამოვიდნენ თუ არა, წამდაუწუმ ჩერდებოდნენ და ნათლიის მოტანილ მაგარი არყით გავსებულ დიდ მათარას იყუდებდნენ. კაპიას რომ მიაღწიეს, დასასვენებლად ჩამოსხდნენ და მათარა თითოჯერ კიდევ ჩამოატარეს. გვიანი შემოდგომის ცივი დღე იდგა. კაპიის ყავახანა უკვე დაეკეტათ. ქალაქიდან თურქები უკვე აღარ მოდიოდნენ ჭიქა ყავის დასალევად.

ამიტომ ოკოლიშჩელები, როგორც საკუთარ სახლში, ისე მოეწყვნენ და სანოვაგით სავსე კალათები გახსნეს. მეორე მათარასაც მოხსნეს თავი. გულითად მილოცვებში ბავშვიც გადაავიწყდათ და მღვდელიც, ვისაც ბავშვი წირვის შემდეგ უნდა მოენათლა. რაკი იმხანად — მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში — ჯერ კიდევ აკრძალული იყო ზარის რეკვა, მოქეიფეებმა ვერ შეამჩნიეს, როგორ გაეპარათ დღე. წირვის დრო კი რა ხანია გასულიყო. საუბრობდნენ ბავშვის მომავალზე, ყველანაირ გაბედულ გეგმებზე, მშობლების წარსულთან მჭიდროდ გადახლართულ ამბებზე, დროის შეგრძნება დაეკარგათ და საათების სათვალავი აერიათ. ნათლიამ რამდენჯერმე შეახსენა, ნუღარ ვაგვიანებთ, გზას გავუდგეთო, მაგრამ დანარჩენები მაშინვე პირში ბურთს ჩრიდნენ.

— წავიდეთ, ხალხო, შევასრულოთ ის წესი, რასაც კანონი და ქრისტიანობა მოითხოვს, — ენის ბორძიკით ამბობდა ნათლია.

— რას ახირებულხარ, ღმერთმანი! ამ სამწყსოში ჯერ არავინ დარჩენილა მოუნათლავი! — პასუხობდნენ სხვები და თითოეული საკუთარ მათარას აჩეჩებდა.

მამაჩემიც თითქოს ჩქარობდა წასვლას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს არაყმა ყველა გააბრუა. ქალმა ბავშვი, გათოშილ და გალურჯე-

ბულ ხელში რომ ეჭირა, უფრო მაგრად შეახვია საბანში და ქვის საჯდომზე დაანვინა. ბავშვსაც, თითქოს აკვანშიაო, ხან ეძინა, ხან კი ცნობისმოყვარედ აცეცებდა თვალს, ესაო და საერთო მხიარულებაში ვმონაწილეობო.

— ნაღდი ვიშეგრადელია, — თქვა ნათლიამ, — ქეიფი და დროსტარება უყვარს.

— იცოცხლე, იანკო, — ყვიროდა ერთ-ერთი მეზობელი, — დღეგრძელი და ბედნიერი იყოს შენი შვილი. ღმერთმა ქნას, მამათა შორის ყველაზე უბედნიერესი და სახელოვანი მამა ყოფილიყავი, რომ სერბიელები მხოლოდ შენზელა ლაპარაკობდნენ. პატიოსნება და სიუხვე არ გამოგლეოდეს. ღმერთმა ქნას...

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მონათვლით ხომ უნდა მოვნათლო, — გააწყვეტინა მამაჩემმა.

— ეს ადვილი საქმეა, — ხმამაღლა ყვიროდნენ და ისევ არაყს ეტანებოდნენ.

— რაგიბ-ეფენდი ბოროვაცი დღესაც მოუნათლავია, მაგრამ დახე, რა ვაჟკაცია; ცხენზე რომ ჯდება, ცხენს ზურგი ეზნიქება, — საერთო ხორხოცში თქვა ერთმა მეზობელმა.

მართალია, კაპიაზე მოქეიფე ხალხისათვის დროის მსვლელობა შეჩერდა, მაგრამ მამა ნიკოლასათვის დრო ჩვეულებრივად მიედინებოდა. მღვდელმა ერთხანს ეკლესიის წინ იცადა, შემდეგ გაბრაზდა, ჩაიცვა თავისი მელიის ქურქი და მეიდნიდან ქალაქში წავიდა. იქ ვიღაცამ უთხრა, ხალხი ბავშვთან ერთად კაპიაზე გელოდებაო.

ნიკოლაც იქითკენ გაეშურა, უნდოდა მაგრად გამოელანძღა მოქეიფენი, მაგრამ ხალხი ისეთი სიყვარულით, ერთგულებითა და მხიარული შეძახილებით შეხვდა, ისე გულწრფელად იხდიდნენ ნიკოლას წინაშე ბოდიშს, რომ ეს მკაცრი და შეურიგებელი კაცის სახელის პატრონი ნიკოლაც მოლბა. მათარაც კი ასწია და საუზმესაც შეექცა. მერე გულკეთილად წარმოთქვა ჩვეული „უფალო". პატარა კი მდუმარედ უცქერდა მის ფართო სახეს, დიდ ცისფერ თვალებსა და ხშირ წითურ წვერს.

ირწმუნებიან, ყრმა კაპიაზევე მონათლესო. რასაკვირველია, ეს მართალი არ იყო. კაპიაზე ნამდვილად დიდხანს დარჩნენ, გულუხვი პურისჭამა გამართეს და უამრავი სადღეგრძელოც თქვეს. შუადღე დიდი ხნის გადასული იყო, როცა მხიარული საზოგადოება მეიდანზე

გავიდა. გააღეს ეკლესია, სადაც ნათლია ენისბორძიკითა და სლოკინით მრევლს შემატებული ახალი კაცის სახელით განუდგა ეშმაკს.

— აი, ასე მოვნათლეთ პეტრე, ჰოდა, ახლაც ვუსურვებ მას ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას, — ორმოცი წელი იცოცხლა და ჯერჯერობით ცუდი არაფერი შემთხვევია, — დაამთავრა ნათლია მიხეილმა.

მძიმე დღეების გაქარვების წადილით სტუმრებმა კიდევ გადაჰკრეს არაყი, ყავაც დააყოლეს და საუბარი უფრო ღაღად და თავისუფლად წარიმართა. უკვე ყველას ეჩვენებოდა, რომ ცხოვრებაში წყვდიადის შიშისა და სიკვდილის მთესველი ჭურვების გარდა არსებობს ნათელი და ადამიანისათვის უფრო საამო ამბებიც, ასე გაილია ღამეც და მასთან ერთად ხიფათითა და ტანჯვით აღსავსე ცხოვრების საათები. უძველესი, მემკვიდრეობით მიღებული ინსტინქტების მეშვობით ადამიანებმა ცხოვრება ცალკეულ შთაბეჭდილებებად და გადაუდებელ საჭიროებად დაანაწილეს და მას მთელი არსებით მიეცნენ, რადგან ავბედობის ხანაში უკეთესი დღეების ლოდინი ადამიანებს მხოლოდ ასე შეუძლიათ: თითოეული წუთი განიცადონ წარსულთან და აწმყოსთან კავშირის გარეშე, არც წინ იყურონ და არც უკან.

მაგრამ აი, ნათდება. ეს მხოლოდ იმასა ნიშნავს, რომ სროლა გაძლიერდება და მზის ამოსვლისათვის მთელი ძალით გაიშლება ისევ ის საზარელი და გაუთავებელი სამხედრო პაექრობა. დღეებს უკვე აღარც სახელი აქვს და აღარც აზრი, დრო კარგავს მნიშვნელობასა და ღირებულებას. ადამიანებს მხოლოდ ლოდინი და თრთოლვა შეუძლიათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ავტომატებივით აზროვნებენ, მუშაობენ, ლაპარაკობენ და მოძრაობენ.

ასე, ან თითქმის ასე ცხოვრობდა ხალხი ქალაქის ზემო ნაწილში და მოედანზე.

ქვევით კი, ბაზრის ახლომახლო მცხოვრებთაგან ცოტა ვინმე თუ დარჩა. ჯერ კიდევ ომის პირველ დღეებში გასცეს განკარგულება, მაღაზიები ღია იყოსო, რათა გამვლელ ჯარისკაცებს აუცილებელი ნივთების ყიდვის საშუალება ჰქონოდათ, თუმცა განკარგულება უფრო იმას ნიშნავდა, რომ მაცხოვრებლებს ეფიქრათ, მტერი შორს არის და ქალაქს საფრთხე არ მოელისო. ეს განკარგულება ქალაქის დაბომბვის დროსაც კი ძალაში რჩებოდა, მაგრამ ყველა ცდილობდა, რაიმე საპატიო მიზეზით დუქანი თითქმის მთელი დღე დაკეტილი ჰქონოდა.

ხიდისა და ქვის სასტუმროს მახლობელი მაღაზიები, მათ შორის პავლე რანკოვიჩისა და ალი-ხოჯას დუქნებიც, მთელი დღის განმავლობა-

ში დაკეტილი იყო, ლოტიკას სასტუმროც მიტოვებული და დაკეტილი გახლდათ. მისი სახურავი ჭურვმა დააზიანა, კედლები კი შრაპნელმა ალაგ-ალაგ დაკენკა.

ალი-ხოჯა დღეში ორჯერ გამოდიოდა სახლიდან, ჩადიოდა ქვევით, რათა ენახა, ყველაფერი ისევ რიგზეა თუ არაო და ისევ უკან ბრუნდებოდა.

როგორც კი ხიდის დაბომბვა დაიწყეს, ლოტიკამ ოჯახიანად მიატოვა სასტუმრო. დრინის მარცხენა მხარეს გადავიდნენ და დიდ თურქულ სახლს შეაფარეს თავი. სახლი გზიდან მოშორებით, ხევში იდგა და ხშირ ბაღში ისე იყო ჩაფლული, მხოლოდ ნითელი სახურავი მოუჩანდა. სახლის პატრონი ოჯახიანად სოფელში იმყოფებოდა.

სასტუმრო დაბინდებისას მიატოვეს, როცა სრული სიწყნარე ჩამოვარდა. მოსამსახურეთაგან მასთან მხოლოდ ერთგული და თავდადებული, წარმოსადეგი და ძველი ფრანტივით გამონყობილი, უცოლო მილანიღა დარჩა. კარგა ხანია, აღარ ჰქონია შემთხვევა დარბაზიდან ვინმე გამოეპანღურებინა. დანარჩენები, როგორც ამ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, პირველივე სროლის ხმაზე გაიქც-გამოიქცნენ. ამ გადასახლებასაც, როგორც ყოველთვის ყველაფერს, მხოლოდ ლოტიკა ხელმძღვანელობდა. იგი წყვეტდა, რა უნდა წაეღოთ ყველაზე აუცილებელი ნივთებიდან და რა უნდა დაეტოვებინათ, ვის რა უნდა ჩაეცვა, ვის უნდა წაეყვანა დებორას ჭკუასუსტი ბავშვი, ვინ გადაიყვანდა მის ავადმყოფ და აცრემლებულ დას და შიშისაგან გახელებულ შინაბერა მინას.

ამგვარად, ზაფხულის ცხელ ღამეს ლოტიკა, ცალერი, დებორა და მინა ხიდზე გადავიდნენ; ავადმყოფი ბავშვი და ბარგი ხელის საზიდრებით მიჰქონდათ, მუყაოს ყუთები და ნაკრაულები კი ხელში ეჭირათ. ოცდაათი წლის განმავლობაში სასტუმრო პირველად გამოცარიელდა და გასაღებით დაიკეტა. ჩაბნელებული შენობა პირველივე ჭურვებმა დააზიანა და ახლა ძველ ნანგრევებსღა ჰგავდა, ხოლო ღრმად მოხუცებული, უმწეო და ჩასუქებული, ფეხით სიარულს უჩვევი, ფეხმოქცეულ ხეიბართა ეს ჯგუფი, როგორც კი ხიდზე შედგა, მაშინვე ღარიბ-ღატაკ ებრაელთა საცოდავ ლტოლვილებს დაემსგავსნენ, ჯერ კიდევ უხსოვარ დროიდან რომ თელავდნენ მსოფლიოს გზებს.

ასე გადავიდნენ გაღმა ნაპირზე და ღამე ხალვათ, თურქულ სახლში გაათიეს. ლოტიკამ ნივთები დააწყო, ბარგი მიალაგ-მოალაგა და ნათესავებზე ზრუნვას შეუდგა. მაგრამ, როცა სანახევროდ ცარიელ, უცხო

ოთახში დაძინების დრო მოვიდა, სადაც არც მისთვის ჩვეული გარემო იყო და არც ქაღალდების გროვა ეწყო, სადაც მთელმა მისმა სიცოცხლემ გაიარა, ლოტიკას გულში რაღაც ჩასწყდა. პირველად თავის სიცოცხლეში უეცრად ძალა წაერთვა. მოხდა ისეთი, რაც არავის ენახა და არც წარმოედგინა: ლოტიკას თვალთაგან ცრემლი წასკდა და ოთახში თავშეუკავებელი, მწარე და ყრუ ტირილის ხმა გაისმა. ნათესაობა ჯერ მოკრძალებით დუმდა, შემდეგ კი საერთო ქვითინი და გოდება ატყდა. ლოტიკას სულით დაცემა მისი ახლობლებისათვის უფრო მძიმე დარტყმა იყო, ვიდრე ომი, გაქცევა და სახლის დაკარგვა. ლოტიკასთან ერთად ხომ ყველაფრის გადატანა და დაძლევა შეიძლებოდა, უმისოდ კი ვერც რაიმეს ჩაიფიქრებდნენ და ვერც ვერაფერს გააწყობდნენ.

გათენდა უხვად ცვარნაპკურები, მეწამულღრუბლიანი მხიარული დილა, მაგრამ ადრინდელი ლოტიკას ნაცვლად, ვინც ამ ღამემდე ყველა თავისი ნათესავის ბედს წარმართავდა, დაინახეს წელში მოხრილი, მოხუცი და ავადმყოფი ებრაელი ქალი. მას უკვე საკუთარ თავზე ზრუნვაც კი აღარ შეეძლო: გაურკვეველი შიშისაგან იგი ერთთავად ცახცახებდა და იმ ბავშვივით ტიროდა, რომელიც ვერ ამბობს, რისა ეშინია ან რა სტკივა. და აი, მოხდა მეორე სასწაული. მოხუცმა, ძონძროხა და მძინარა, უნებისყოფო ცალერმა, საკუთარი აზრის უქონელმა კაცმა, ვინც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაშივე ლოტიკას მიანდო საკუთარი თავისა და მთელი თავისი ოჯახის მართვა, ახლა სწრაფად გამოავლინა თავი როგორც ბრძენმა და ოჯახის ჭეშმარიტმა უფროსმა, ვისაც უნარი შესწევდა, გადაეწყვიტა ესა თუ ის საკითხი და იგი საქმედ ექცია.

ცალერი ამშვიდებდა ცოლისდას, როგორც ავადმყოფ ბავშვს ისე უვლიდა, ქალის ყველა საზრუნავი თავს თვითონ იდო, როცა ქვემეხების გრიალი მიწყდებოდა, ცალერი ქალაქში გარბოდა და მიტოვებული სასტუმროდან აუცილებელი ნივთები, სურსათი და ტანსაცმელი გამოჰქონდა, სადღაც ექიმიც მოძებნა და ავადმყოფს მოუყვანა. ექიმმა ხანშიშესული ლოტიკას ავადმყოფობა გადაღლილობითა და ნერვული სისტემის მოშლილობით ახსნა. ურჩია, ავადმყოფი საბრძოლო რაიონიდან გაეყვანათ, ნვეთები გამოუწერა. თვითონ ექიმიც დაჭრილთა ტრანსპორტით ქალაქიდან გავიდა.

ცალერმა სამხედრო ხელისუფალთ ოთხთვალა გამოსთხოვა, რათა მთელი ოჯახი როგატიცაში, შემდეგ კი სარაევოში გადაეყვანა. საჭირო იყო, რამდენიმე დღე მოეცადათ, ლოტიკა როგორმე ისე მაინც გამოკეთებულიყო, რომ მგზავრობა შესძლებოდა. მაგრამ ლოტიკა დამ-

ბლადაცემულივით იწვა, ხმამაღლა ტიროდა, სასოწარკვეთილი და შეშინებული სიტყვებს კანტიკუნტად ისროდა. იქვე ახლოს, შიშველ იატაკზე დებორას უბედური ბიჭი დახოხავდა, ცნობისმოყვარედ შესცქეროდა დეიდას სახეში და რაღაცას ლუღლუღებდა. ოდესღაც ლოტიკას ეს ლუღლუღი ძალიან კარგად ესმოდა, ახლა კი აღარ ეპასუხებოდა.

ლოტიკა არაფერს არ ჭამდა, არც ვინმეს ნახვა სურდა; მაჯლაჯუნა აწვა და აუტანელ ტანჯვა-წამებას განიცდიდა. ხან ეჩვენებოდა, რომ მისი საწოლის ქვეშ იატაკის ფიცრები ერთმანეთს შორდებოდნენ და თვითონ ამ ეშმაკურად დაგებულ მახეში ვარდებოდა, ხან უხილავ სივრცეში მიფრინავდა და მხოლოდ თავგანწირულ ყვირილს შეეძლო მისი შეჩერება და გადარჩენა; ხან კიდევ საკუთარი თავი რაღაც დიდ, მსუბუქ და ძლიერ არსებად წარმოუდგებოდა, რომელსაც უზარმაზარი ფეხები და ძლიერი ფრთები ჰქონდა; ეჩვენებოდა, რომ სირაქლემასავით გარბოდა და ყოველი მისი ნაბიჯი სარაევოს გზაზე უფრო გრძელი იყო. მის ფეხთით დგაფუნებდნენ მდინარეები და ზღვები, პატარა გუბეებს რომ დამსგავსებოდნენ. ქალაქები და სოფლები ფეხქვეშ ისე ხრაშუნობდნენ, როგორც შუშა და სილა. სირბილისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა, სუნთქვა უჭირდა. მან არ იცოდა სად უნდა შეჩერებულიყო, სადამდე მიიყვანდა ეს ბრძოლა. მაგრამ ახსოვდა, რომ უნდა გადარჩენოდა ამ ვერაგულად დაშორებულ ფიცრებს, ფეხქვეშ ელვის სისწრაფით რომ ეცლებოდნენ.

გარბოდა და უკან იტოვებდა დედამიწას, სადაც ასეთი ცუდი ცხოვრება სუფევდა. როგორც ჭუჭყიან გუბეებს, ისე ალაჯებდა იმ ქალაქებსა და სოფლებს, სადაც ადამიანები პირფერობდნენ, ატყუებდნენ ერთმანეთს სიტყვებით, ციფრებით. მერე როცა სიტყვები ამოიწურებოდა და ციფრები აირ-დაირეოდა, უცბად, თითქოს ჯადოსნური კვერთხი დაიქნიესო, თამაშსა ცვლიდნენ და თავიანთი ანგარიშისა და აზრის საწინააღმდეგოდ ახლა ზარბაზნებსა და შაშხანებს ალაპარაკებდნენ. წინ გამოჰყავდათ ჩასისხლიანებულ თვალებიანი ადამიანები, ვისთანაც არც ლაპარაკი შეიძლებოდა და არც მორიგება, ვისაც კაცი ვერაფერს გაუგებდა. ჰოდა, აი, მათი შემოჭრა იმავე ლოტიკას, ვისაც თავი გაბედულად მორბენალი ბუმბერაზი ფრინველი ეგონა, ისევ ავადმყოფ, მარტოხელა, იატაკზე მწოლიარე დედაბრად გადააქცევდა.

ეს ადამიანები კი ათასობით, მილიონობით იბადებიან, ისვრიან, ჩხვლეტენ, ახრჩობენ, შეუბრალებლად და უაზროდ ანადგურებენ ყველაფერს, რაც გზად შემოხვდებათ. ერთი მათგანი ლოტიკასკენ იხრება;

ლოტიკა ვერ ხედავს მის სახეს, მაგრამ გრძნობს, თუ როგორ ესობა მისი ხიშტის ნვერი მკერდში, ნეკნებს შუა რბილ ადგილას.

— ვაი, ვიმე! ო-ო-ოჰ! არა, არ დაანებოთ! არ დაანებოთ! — ყვირილით იღვიძებს ლოტიკა და ნაცრისფერი მსუბუქი შალის ფოჩებს გლეჯს, ზემოდან რომ აფარია.

ხეიბარი ბიჭი იქვე ჩაყუნტულა, დიდი შავი თვალებით უყურებს ლოტიკას, თვალებში კი ცნობისმოყვარეობა უფრო მეტია, ვიდრე შიში ან სიბრალული.

მეზობელი ოთახიდან მინა შემორბის, ლოტიკას აწყნარებს, სახეზე ცივ ოფლს უწმენდს და ვალერიანის წვეთებს ასმევს.

მწვანე ველზე ჩამოწოლილი ზაფხულის გრძელი დღე კი უსასრულოა. ხალხს აღარ ახსოვს, როდის გათენდა და არც იმაზე ფიქრობს, როდის დაბინდდება.

ოთახში თბილა, მაგრამ სიცხე არ იგრძნობა. თითოეული ნაბიჯი ექოს გამოსცემს.

ცალერებს ქალაქელები ნახულობდნენ ხოლმე, ზოგჯერ რომელიმე ჯარისკაცი ან ოფიცერიც შეივლიდა. საჭმელი და ხილი თავზე საყრელად ჰქონდათ. მილანი გამუდმებით ხარშავდა ყავას.

ყველაფერი სოფელში გატარებულ, ხანგრძლივ სადღესასწაულო დასვენებას დაემგვანებოდა, დროდადრო ლოტიკას თავგანიწირული კივილი და შორეული გრუხუნის ხმა რომ არა. ამ ვიწრო ხეობაში ეს ხმები ჯადოსნური, ცეცხლისმფრქვეველი რაშების კბილთა ღრჭენას ჰგავდა. იგი ადასტურებდა, რომ ქვეყანაზე მოისპო სიმშვიდე, თავსდატეხილი უბედურება უფრო ახლოა და უფრო დიდი, ვიდრე ეს ამ უსინათლო და ლაღ, მშვენიერ ზაფხულის დღეს შეიძლებოდა მოგჩვენებოდა.

ასეთი მეხი დაატეხა თავს ომმა ლოტიკას სასტუმროსაც და მის მდგმურებსაც.

ასევე დაკეტილი იყო ვაჭარ პავლე რანკოვიჩის მაღაზიაც.

მაღაზიის პატრონი რამდენიმე სხვა წარჩინებულ სერბიელთან ერთად ომის დაწყების მეორე დღესვე მძევლად წაიყვანეს.

ერთნი რკინიგზის სადგურზე იყვნენ და წესრიგის, სიმშვიდისა და ტრანსპორტის ზუსტი განრიგისთვის აგებდნენ პასუხს, მეორენი ხიდთან ახლოს, მოედნის ქვედა მხარეს პატარა ხის ბარაკში იმყოფებოდნენ, სადაც ბაზრობის დღეებში სათემო სასწორების სარგებლობისთვის ბაჟს ახდევინებდნენ. ეს მძევლები საკუთარი სიცოცხლის ფასად აგებდნენ პასუხს ხიდის დაზიანებისა და დანგრევისათვის.

სწორედ აქ, ყავახანიდან მოტანილ სკამზე იჯდა პავლე რანკოვიჩი. ხელები მუხლებზე დაეწყო, თავი ჩაექინდრა და გაუსაძლისი სამუშაოთი გატანჯულ კაცს ჰგავდა. თითქოს აქ მხოლოდ იმიტომ ჩამომჯდარიყო, ოდნავ მუხლი ჩაეხარა. საათობით გაუნძრევლად იჯდა ერთსა და იმავე მდგომარეობაში. კარებთან ცარიელ ტომრებზე წამოწოლილი ორი სათადარიგო ჯარისკაცი მორიგეობდა.

კარები ჩაკეტილი იყო და ბარაკში დახუთული ჰაერი და სიბნელე ჩამოწოლილიყო. როცა პანოსადან ან გოლეშიდან ისროდნენ და ჭურვი გადიშხუილებდა, პავლეს ბოღმა ყელში ებჯინებოლა, თან იმას აყურადებდა, სად აფეთქდებოდა. იცოდა, ხიდი დანაღმული რომ იყო. სულ მუდამ ამაზე ფიქრობდა და თავს ეკითხებოდა, შეუძლია თუ არა ასეთ ჭურვს, თუ ახლოს დაეცა, დანაღმული ხიდიც ააფეთქოსო. გუშაგის შეცვლისას პავლეს ესმოდა, თუ როგორ მითითებას აძლევდა უნტერ-ოფიცერი ჯარისკაცებს. ის ყოველთვის ერთი და იმავე სიტყვებით ამთავრებდა: „ხიდის დაზიანების პირველსავე ცდაზე ან ამის მსგავსი დანაშაულის შემჩნევისთანავე ის კაცი დაიხვრიტება“. პავლე ისე მიეჩვია ამ სიტყვებს და ისე მშვიდად ისმენდა, თითქოს მას არ შეეხებაო. უფრო მეტად ჭურვები და შრაპნელი აღელვებდა, ხანდახან ბარაკიდან ისე ახლოსა სკდებოდნენ, რომ ქვიშას ზედ აყრიდა და ლითონის ნამსხვრევებს ფიცრებზე რაკარუკი გაუდიოდა. მაგრამ ყველაზე მეტად ზლაზვნით მიმავალი დრო და აუტანელი ფიქრები აწუხებდა.

პავლე რანკოვიჩის ფიქრი ყველაფერს სწვდებოდა. ფიქრობდა საკუთარ თავზე, ოჯახსა და ავლადიდებაზე და რაც უფრო ბევრს ფიქრობდა, მით უფრო ეჩვენებოდა, ყველაფერი საშინელი სიზმარიაო. სხვანაირად ვერ აეხსნა ის უბედურება, რაც თვითონ და მის ოჯახს დაატყდა თავს უკანასკნელი დღეების განმავლობაში.

ორი სტუდენტი ვაჟიშვილი ჟანდარმებმა ომის პირველ დღესვე წაიყვანეს და შინ მხოლოდ ცოლი და ქალიშვილებიღა დარჩნენ.

ოსოინიცაში დიდი საკასრე სახელოსნო მის თვალწინ დაეწვა. მეზობელი სოფლების მოიჯარეები, ალბათ, დაიწვნენ, ან ვინ საით მოასწრო, იქით გაიქცა. მაზრაში სესხად გაცემული ფულიც დაეკარგა.

მთელ ქალაქში ყველაზე ლამაზი მაღაზია დაკეტა. ალბათ, იმასაც გაძარცვავენ ან რომელიმე ჭურვისაგან დაინვება, თვითონ კი ამ ნახევრად ჩაბნელებულ ბარაკში ზის მძევლად და საკუთარი თავით აგებს პასუხს ხიდის უსაფრთხოებაზე. და, ეს მაშინ, როცა არაფერი არ არის მასზე დამოკიდებული.

როგორც არასდროს, თავში მძაფრი და უთავბოლო აზრები უტრიალებდა, ერთიმეორეს ენაცვლებოდა და მაშინვე ქრებოდა.

რა ესაქმება ხიდთან მას, ვინც მთელი სიცოცხლის განმავლობაში თავისი საქმისა და სახლის გარდა არაფერი იცოდა? არც ხიდი დაუნაღმავს და არც ახლა უშენს ჭურვებს.

ჯერ კიდევ ცოლის შერთვამდე, შეგირდად ყოფნის დროსაც კი თავის თანატოლებივით უსაქმურად არ მჯდარა კაპიაზე და დრო სიმღერებსა და ოხუნჯობაში არ უტარებია. წარსული გაცოცხლდა, თვალწინ ჩაუარა მთელმა მისმა ცხოვრებამ, დიდი ხნის წინათ მივიწყებულმა ყველა წვრილმანმა.

გაახსენდა, თუ როგორ ჩამოვიდა თოთხმეტი წლის სანაჯაყელი მშიერი ბიჭი დაგლეჯილი ფეხსაცმლით და ხელის ბიჭად როგორ აიყვანა პეტრემ, რისთვისაც წელიწადში ტანსაცმელს, საჭმელსა და ორიოდე წყვილ ჯღან ფეხსაცმელს აძლევდა. ბავშვებს უვლიდა, სახელოსნოშიც ხელს ახმარებდა, წყალს ეზიდებოდა, ცხენებს ასუფთავებდა. კიბის ქვეშ უფანჯრო, ვიწრო და ბნელ კუთხეში ეძინა, სადაც რიგიანად ფეხის გაშლაც არ შეიძლებოდა. როგორც იქნა გაუძლო ამ ცხოვრებას.

მეთვრამეტე წელში რომ გადადგა, სახელოსნოში გადაიყვანეს და ჯამაგირი დაუნიშნეს. მის ადგილას კი სანჯაყელი გლეხის ბიჭი მიიღეს.

ჯერ კიდევ მაშინ შეიცნო მან მომჭირნეობის ღრმა აზრი, იგრძნო ფულის ყოვლისშემძლეობის მწველი, მაგრამ დამატყვევებელი სიტკბო.

მთელი ხუთი წელი ცხოვრობდა სადღაც, დუქნის უკანა პაწაწინა ოთახში. ამ ხნის მანძილზე ოთახი ერთხელაც არ გაუთბია, ისე წვებოდა დასაძინებლად, სანთელსაც არ ანთებდა.

როდესაც პავლეს ოცდასამი წელი შეუსრულდა, თვითონ მეპატრონე პეტრემ გაურიგა ჩაინიჩელი შეძლებული ვაჭრის ჭკვიანი ქალიშვილი. ახლა უკვე ორნი ზოგავდნენ ფულს.

დადგა უცხოელთა ბატონობის დღეები და ვაჭრობაც გახურდა; რანკოვიჩმა საკუთარი დუქანი გახსნა და ნელ-ნელა გამდიდრდა. მაშინ ეს იოლი საქმე არ იყო, მალეც მდიდრდებოდნენ, მაგრამ მალევე კოტრდებოდნენ. ყველაზე ძნელი შეძენილის შენარჩუნება იყო. პავლე რანკოვიჩმა ამასაც თავი გაართვა და ქონებას ქონება მიუმატა.

და აი, ომისწინა წლებიც დადგა და თან შფოთიანობა და „პოლიტიკა“ მოიყოლა.

რანკოვიჩმაც, თუმცა უკვე ახალგაზრდა აღარ იყო, ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ახალი დროება გაეგო. სხვა გზა არ ჩანდა, ან უნდა განდგომოდა, ან არადა შეჰგუებოდა. ჰოდა, მიაღწია კიდეც მიზანს, არც ზარალი უნახავს და არც სახელი შებღალვია. იგი ქალაქის თვითმმართველობის უფროსის თანაშემწე, საეკლესიო თემის თავმჯდომარე, სერბიის მომღერალთა საზოგადოება „თანხმობის“ თავმჯდომარე, სერბიული ბანკის მთავარი აქციონერი და საოლქო ბანკის ადმინისტრაციული საბჭოს წევრი გახდა. თავისი სავაჭრო გამოცდილების წყალობით არ იბნეოდა და საქმის ცოდნით სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობათა და სიძნელეთა შორის მოხერხებულად გამოძვრებოდა ხოლმე. საკუთარ ინტერესებსაც ისე იცავდა, არც ხელისუფლების წინაშე ჩაედინა დანაშაული და არც ხალხის წინაშე შერცხვენილიყო. ხალხის თვალში იგი ღირსების, მოხერხებულობისა და სიფრთხილის მიუწვდომელი იდეალი იყო. ცხოვრების ნახევარზე მეტი პავლე ასე თავაუღებლივ მუშაობდა, დიდი ძალა და გამჭრიახობა გამოამჟღავნა, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა, მხოლოდ თავისი საქმე იცოდა და თავისი გაკვალული გზით მუდამ გამარჯვებული უჩინრად მიდიოდა.

და აი, სად მიიყვანა ამ გზამ... თავზეხელაღებული ყაჩაღივით ზის ორ ჯარისკაცს შორის და ელის, როდის დააზიანებს ხიდს ჭურვი თუ სხვა რაღაც ეშმაკის მონაგონი, რისთვისაც მას ხიშტზე ააგებენ ან დახვრეტენ. თავისდა უნებურად ფიქრობს (და ეს განსაკუთრებით მტკივნეულია), რომ ამაოდ იწვალა და საერთოდაც მცდარი გზით იარა. მართალი არიან მისი ვაჟიშვილები და სხვა ახალგაზრდები, რადგან ნამდვილად ისეთი დროება დადგა, როცა არაფრის აწონ-დაწონვა და გაანგარიშება არ შეიძლება. ასეა თუ ისე, რაღაც ახალი საზომი და ანგარიში გაჩნდა: ყოველ შემთხვევაში, მისი გაანგარიშება სწორი არ აღმოჩნდა, ხოლო საზომი — მოკლე.

„დიახ, ასეა, — ამბობდა თავისთვის პავლე რანკოვიჩი, — ეკლესიაც, ხელისუფლებაცა და საკუთარი გონებაც იმას გასწავლის და გაქეზებს, რომ იმუშაო და დააგროვო. შენც იმას ემორჩილები და ფრთხილად მიაბიჯებ, ალალმართლად ცხოვრობ, სინამდვილეში კი არც ცხოვრობ, მხოლოდ მუშაობ, აგროვებ და ჯახირობ — ამაში გადის მთელი შენი ცხოვრება.

და აი, უეცრად ყველაფერი აირ-დაირია: დადგა ისეთი დრო, როცა ადამიანები გონიერებას დასცინიან, როცა ეკლესია იკეტება და დუმდება, ხელისუფლებას კი უხეში ძალადობა ცვლის. ნამუსიანი შრო-

მითა და ოფლით შეძენილ ქონებას კარგავ, ხოლო ზარმაცები და მოძალადეები მდიდრდებიან. არ არის კაცი, ვინც ანგარიშს გაუწევს შენს ნაწვავ-ნადაგს, დაგეხმარება, რჩევას მოგცემს, როგორ შეინარჩუნო შეძენილი და დაზოგილი... ნუთუ შეიძლება მართლა ასე მოხდეს? — განუწყვეტლივ ეკითხებოდა საკუთარ თავს სოვდაგარი პეტრე და რაკი პასუხს ვერ პოულობდა, ისევ საკუთარი მსჯელობის საწყის წერტილს, მთელი ქონების დაკარგვაზე ფიქრს უბრუნდებოდა.

ამაოდ ცდილობდა სხვა რამეზე ეფიქრა — მისი ფიქრები განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს დასტრიალებდა.

დრო კი აუტანლად ნელა მიზოზინებდა. ეჩვენებოდა, თითქოს ეს ხიდი, რომელზეც მრავალჯერ ისე გაუვლია, რომ ყურადღებაც არ შეუჩერებია, ახლა მთელი სიმძიმით მხრებზე დაანვა, როგორც აუხსნელი, გამოუცნობი საბედისწერო საიდუმლოება, როგორც მაჯლაჯუნა, უსაშველო სიზმარი.

აი, რატომ იჯდა პავლე რანკოვიჩი თავჩაქინდრული, წელში მოხრილი და ცხვირჩამოშვებული.

პერანგის გახამებული საყელო და სამაჯურები გაუოფლიანდა. ფესკის ქვემოდან წურწურით ჩამომდინარე ოფლს პავლე არც იწმენდდა. იატაკს ოფლის მძიმე წვეთები ეცემოდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ასეთ წვეთწვეთობით ილეოდა მისი სიცოცხლეც.

ჯარისკაცები, არცთუ ახალგაზრდა უნგრელი გლეხები, მდუმარედ ღეჭავდნენ პურსა და წიწაკამოყრილ დამარილებულ ხორცს; ნელა ჭამდნენ, დროდადრო პატარა სამართებლით ხან პურს ჩამოჭრიდნენ, ხანაც ხორცის ნაჭერს, ისე თითქოს მინდორში საუზმობენო. მერე თუნუქის მათარა მოიყუდეს და თითო ყლუპი ღვინო გადაჰკრეს.

— ჯერ არასდრო ასეთი სიცხე არა ყოფილა.

ჩაიბუტბუტა ერთ-ერთმა და ნაფაზი დაარტყა. ორივენი მდუმარედ ეწეოდნენ თამბაქოს.

მარტო პავლეს გულს როდი ეკიდებოდა ცეცხლი, მარტო მას როდი აწვალებდა ფიქრები ზაფხულის ამ დღეებში მიწის ამ ნაგლეჯზე, დრინასა და სახმელეთო საზღვარს შორის რომ მდებარეობდა, სოფელსა თუ ქალაქში, ტყეში თუ გზაზე — სახეგაოფლილი ადამიანები საკუთარსა და სხვის სიკვდილს ეძებდნენ, იმავე დროს ყველანაირად და ყველა საშუალებით მისგან გარბოდნენ და თავს იცავდნენ.

ომად წოდებული ადამიანების ეს უცნაური თამაში, სულ უფრო დიდ გასაქანს იძენდა და მთელ სულიერ და უსულო სამყაროს თავის ძლიერებას უმორჩილებდა.

ხიდის მახლობლად ამ დილით უცნაური რაზმი დაბანაკდა.

ჯარისკაცებს თეთრი ფორმა ეცვათ და თეთრი მუზარადები ეხურათ. ისეთი, ტროპიკულ ქვეყნებში რომ ატარებენ.

სკუტარიდან ჩამოსულიყო გერმანული რაზმი. ომის წინ ეს რაზმი იქ გაგზავნეს, რათა საერთაშორისო ჯარების შემადგენლობაში მშვიდოდა და წესრიგი დაემყარებინა.

ომი რომ გაჩაღდა, ამ რაზმმა ბრძანება მიიღო სკუტერი დატოვეთ და სერბიის საზღვარზე დაბანაკებული ავსტრიელთა ჯარების სარდლობის განკარგულებაში გადადითო.

ვიშეგრადში რაზმი ღამე ჩამოვიდა და ახლა ქალაქის მოედნის ახლოს, ამ მოფარებულ ადგილას, პატარა ხეობაში ისვენებდა და მორიგ განკარგულებას ელოდა. რაზმში დაახლოებით ასოცი კაცი იყო.

სიცხისაგან მოთენთილი მათი წითური, მსუქანი კაპიტანი ჟანდარმთა ვახმისტრს დანილო რეპაცს ეჩხუბებოდა. ისე ხმამაღლა, სვენებ-სვენებითა და უსირცხვილოდ იგინებოდა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის ჯარის ოფიცრებს შეუძლიათ.

კაპიტანი საყვედურობდა, რომ მას და მის ჯარისკაცებს წყურვილი სტანჯავთ, რომ ყველაზე აუცილებელიც კი არ გააჩნიათ, მაშინ, როცა ორ ნაბიჯზე ყველანაირი საქონლით სავსე დუქნები მიკეტილია, თუმცალა ბრძანებაა გაცემული, ღია უნდა იყოსო.

— აქ რისთვის დაგაყენეს, ჟანდარმები ხართ თუ თოჯინები? რაო, მე და ჩემმა ჯარისკაცებმა აქ ფეხები უნდა გავფშიკოთ თუ ყაჩაღურად შევამტვრიოთ დუქნები? დაუყოვნებლივ მონახეთ მაღაზიის მეპატრონეები და ყველაფერი გააჩინეთ, თან დასალევად კარგი სასმელი ნყალიც მოგვიზიდეთ! აბა, სწრაფად! გესმით, რას ნიშნავს სიტყვა სწრაფად?

ყოველი სიტყვის თქმაზე კაპიტანს საფეთქლებზე სისხლი აწვებოდა. თეთრი მუნდირი ეცვა, ერთიანად გადახოტრილი თავი ყაყაჩოსავით გასწითლებოდა. აბრიალებულ, ბრაზიან ჩირაღდანს მოგაგონებდათ.

ადგილზე გაშეშებული სერჟანტი რეპაცი თვალებს ჭუტავდა და ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— მესმის, ბატონო კაპიტანო! არის, შევასრულო, მესმის! არის, შევასრულო!

გახევებული სერჟანტი უცებ გამოერკვა, გააფთრებული, ზურგისაკენ შებრუნდა და ბაზრისკენ გაიქცა.

თითქოს კაპიტნის მოგიზგიზე რისხვა სერჟანტსაც გადაედო, მასაც ეს რისხვა აიძულებდა გაქცეულიყო, ვინმე ეგინებინა, შარი მოედო და ეჩხუბა.

ამ გამალებულ სირბილში პირველი, ვისაც სერჟანტი შეეჩეხა, ალი-ხოჯა გახლდათ. იგი ის-ის იყო ბაზარში მოვიდა, თავისი დუქნის მოსანახულებლად, რომ მისკენ გამოქანებული კარგად ნაცნობი, ახლა სახეშეშლილი, ვახმისტრი რეპაცი დაინახა. ალი-ხოჯა გაკვირვებული ეკითხებოდა თავის თავს, ნუთუ ეს თავგზააბნეული კაცი ნამდვილად ის წყნარი, ღირსებით აღსავსე და თავაზიანი ვახმისტრი რეპაცია, ვინც თითქმის ყოველდღე ჩემს დუქანთან ჩაივლიდა ხოლმეო.

მოქრუშული, გაძვალტყავებული რეპაცი ახლა რაღაც სხვანაირი თვალებით უცქერდა, ეს თვალები უკვე ვეღარავის სცნობდნენ და საკუთარი შიშის გარდა ვეღარაფერს ხედავდნენ.

ვახმისტრი მაშინვე აყვირდა, და თვითონაც იგივე გაიმეორა, რაც ახლა გერმანელი კაპიტნისაგან მოისმინა.

— ეშმაკსაც წაულიხართ, ყველანი ჩამოსახრჩობი ხართ! განა თქვენ არ გიბრძანეს, დუქნები ღია გქონდეთო? მე კი თქვენი გულისათვის...

და ვიდრე აღელვებული ალი-ხოჯა სიტყვას დასძრავდა, ვახმისტრმა მარჯვენა ყბაში ისე შემოჰკრა, რომ მარჯვენა ყურზე ჩამოწეული ჩალმა მარცხენა მხარეს გადაუვარდა. თვითონ კი შეშლილივით გაიქცა, რათა სხვა დუქნებიც გაეღოთ.

ხოჯამ გაისწორა ჩალმა, დუქნის კარი გააღო და იქვე ჩამოჯდა. გაკვირვებისაგან გონს ვერ მოსულიყო. მის ირგვლივ უცნაურ, თეთრ ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები შეგროვილიყვნენ, რომელთა მსგავსი ხოჯას არასოდეს ენახა.

ყველაფერი სიზმარს ჰგავდა. მაგრამ ახლა, როცა ალიყურებმაც ციდან იწყეს ცვენა, ხოჯას აღარაფერი აკვირვებდა.

მთელმა თვემ ხიდის დროგამოშვებით დაბომბვაში, მეზობელი მთებიდან საარტილერიო ბათქსა და ტანჯვა-წამებაში გაიარა. თან კიდევ უფრო უარესის მოლოდინში იყვნენ.

ორცეცხლშუა მოქცეულმა ქალაქელთა უმრავლესობამ პირველ დღეებშივე მიატოვა ქალაქი.

ევაკუაცია დაიწყო.

მოხელეთა ბოლო ჯგუფმა ხიდი ღამით გადაიარა, რადგან რკინიგზა გადაჭრილი იყო.

დრინის მარჯვენა ნაპირიდან ჯარმაც თანდათან დაიხია. მხოლოდ ყარაულები, მესანგრეთა პატარ-პატარა რაზმები და ჟანდარმერიის აქა-იქ მიმოფანტული ბადრაგებილა დარჩნენ. ბოლოს მათი ჯერიც დადგა.

გადამტერებულ ორ სამყაროს შორის კი სიკვდილმისჯილივით იდგა ჯერ ისევ მთელი და უვნებელი დრინის ხიდი.

თავი ოცდამეოთხე

ღამით ცას ღრუბლები გადაეკრა, თითქოს შემოდგომა დადგაო. მთათა მწვერვალებს ჩაბღაუჭებული ღრუბლები ქალაქის თავზე მძიმედ ჩამოწვნენ. ავსტრიელებმა ბნელი ღამით ისარგებლეს და უკანასკნელი რაზმები გადაიყვანეს, გათენებამდე მარტო ხიდის გაღმა კი არა, კარგა შორს, ლიეშტანის მთების მწვერვალების მიღმაც გადააღწიეს. სერბიელთა თვალსანიერს მიეფარნენ და მათი ქვემეხებისთვის მიუწვდომელნი გახდნენ.

ალიონზე ჟინჟღვლა დაიწყო. წვიმაში უკანასკნელი ბადრაგები ხიდის ახლომახლო დუქნებისა და სახლების შემოვლაზე დადიოდნენ, ხომ არავინ დაყოვნდა სადმეო. ყველაფერი ჩამკვდარიყო: ოფიცერთა საკრებულო, ლოტიკას სასტუმრო, დანგრეული ყაზარმაცა და ბაზრის შესასვლელთან მდგარი ორი-სამი სახლიც. მხოლოდ ალი-ხოჯას შეასწრეს თვალი თავისი დუქნის წინ. ხოჯა ის იყო სახლიდან მოსულიყო და კარებს აღებდა. ბადრაგებმა რაკი იცოდნენ, ხოჯა ახირებული კაციაო, ძალზე მკაცრად შეახსენეს, დაუყოვნებლივ დაკეტე დუქანი და მოედანს გასცილდიო. უმტკიცებდნენ, ხიდთან ყოველგვარი დაყოვნება მკაცრად აკრძალულია და სიცოცხლეს საფრთხეს უქადისო. ალი-ხოჯამ ისე ახედ-დახედა ბადრაგებს, როგორც მთვრალებს, თვითონაც რომ არ გაეგებოდათ, რას ლაპარაკობდნენ. კიდეც დააპირა ეთქვა, აქ უკვე დიდი ხანია სიცოცხლისათვის საშიში გარემო და მოჩვენებითი წესრიგიანობით ყველაფერი ჩამკვდარაო, მაგრამ უკანასკნელი დღეების მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლმა გადაიფიქრა და წყნარად უპასუხა, რაღაცების წასაღებად მოვედი დუქანში და ახლავე შინ დავბრუნდებიო.

ეტყობოდა, ბადრაგები ჩქარობდნენ. ალი-ხოჯას ერთხელ კიდევ შეახსენეს, სასწრაფოდ შინ წასულიყო, მოედანი გადაიარეს და ხიდს მიაშურეს.

ალი-ხოჯამ თვალი გააყოლა, როგორი უხმაურო ნაბიჯებით მიდიოდნენ იმ მტვერში. ახლა პირველი წვიმისაგან სქელ ხალიჩად რომ გადაქცეულიყო, როგორ შედგნენ ხიდზე და გზა განაგრძეს, ქვის მოაჯირი მათ სანახევროდ ფარავდა, მარტო მხრები, თავები და ზემოთ აღმართული მობრჭყვიალე ხიშტებიღა უჩანდათ. ბუტკოვოს კლდეების მწვერვალები ამომავალი მზის პირველი სხივებით გაბრწყინდა.

მათი ყოველგვარი ბრძანება მკაცრი და შეუვალია, არავითარი აზრი კი ამ ბრძანებებში არ არის, გაიფიქრა ხოჯამ და იმ მოსწავლესავით ჩაიცინა, რომელმაც მასწავლებელი მოატყუა. ხოჯამ იმდენზე გამოაღო დუქნის კარი, შიგნით შესაძრომად რომ ეყოფოდა, მერე ისევ მიხურა, რომ გარედან დუქანი დაკეტილსა ჰგვანებოდა. როცა სიბნელეში დარჩა, საკუჭნაოში გავიდა, სადაც მრავალჯერ დამალვია ოჯახსა და საკუთარ საზრუნავს, მომაბეზრებელ ხალხსა და სულის გამრყვნელ მათ ლაპარაკს, ხოჯამ ღრმად ამოიოხრა და ხალიჩაგადაფარებულ მომცრო სკამზე აღმოსავლურ ყაიდაზე ფეხმორთხმით დაჯდა.

დღევანდელი ძლიერი მღელვარება უცებ არ დასცხრომია, მაგრამ ხოჯა თანდათან დაწყნარდა და სულიერი წონასწორობა დაიბრუნა. „ვიწრო კუბო“ სწრაფად აავსო მისი სუნთქვის სითბომ და ხოჯამ მალე შეიგრძნო განმარტოების, სიმშვიდისა და თავდავიწყების ის სიტკბოება, რომელიც მის ვიწრო, ბნელ და მტვრიან პატარა ოთახს უეცრად აქცევდა მწვანე ბუჩქებით დაფარულ და თვალით უხილავ, ნელა მოჩუხჩუხე ნაკადულებით სავსე სამოთხის ბაღად.

წვიმიანი დილის რაღაც განსაკუთრებული სიგრილე ამ პატარა სადგომის სიბნელესა და სივიწროვეშიაც კი აღწევდა. დუქნის კედლებს მიღმა გამეფებულ უჩვეულო სიწყნარეს — მადლობა ღმერთს — არც სროლის ხმა არღვევდა, არც ხალხის ხმაური და არც ფეხის ხმა. ალი-ხოჯას ბედნიერებისა და კმაყოფილების გრძნობა დაეუფლა. აი, გაიფიქრა ხოჯამ, რამდენიმე ფიცარიც საკმაოა, რათა, ღვთის შეწევნით, როგორც ჯადოსნურ ნავში, ისე დაიცვა და გადაარჩინო მართლმორწმუნე კაცი ყოველგვარი გასაჭირისა და თავდასხმისაგან, გაუთავებელი ზრუნვისა თუ ცეცხლისმფრქვეველი ქვემეხებისაგან, რომლებსაც თანაბრად საძულველი ურწმუნოთა ორი ჯარი ერთმანეთს ესვრის. რაც ომი დაიწყო, მას მერე ასეთი სიწყნარე აღარ ყოფილა — ფიქრობდა გახარებული ხოჯა.

რა კარგია, რა საამოა ასეთი სიწყნარე. სიმშვიდე თუმცა წამიერად, მაგრამ მაინც გიბრუნებს ნამდვილი ადამიანური ცხოვრებიდან რაღაცას, იმ ცხოვრებიდან, უფრო და უფრო რომ გვშორდება, ახლა კი, ურწმუნოთა ზარბაზნების გრიალში მთლად გაქრა. სიწყნარე აუცილებელია ლოცვისათვის, უფრო მეტიც, სიწყნარე თვით ლოცვაა. უცებ ხოჯამ იგრძნო, რომ მისი სკამი მაღლა ავარდა და თვითონაც სათამაშოსავით ზემოთ აიტაცა. მისი „ტკბილი სიწყნარე“ დაირღვა და ირგვლივ ყველაფერი გრიალსა და გამაყრუებელ ხმაურში ჩაინთქა, გრუხუ-

ნმა აავსო ჰაერი, სმენა დაუხშო, ლამის დაყრუვდა. კედლის თაროებმა გაიჭრიალეს და ზედ დაწყობილი ნივთები და ხოჯა ერთმანეთს შეეხალნენ.

„ვაი“, — დაიკვნესა ხოჯამ. სინამდვილეში კი მხოლოდ მისმა გონებამ დაიკვნესა, რადგან თვითონ ხოჯას აღარც სმენა ჰქონდა და აღარც ხმა. თითქოს ამ ქვეყანაზე აღარ იყო. ირგვლივ ყველაფერი ხმაურმა გააყრუა, ყურთასმენა ნაიღო, ყველაფერი ადგილიდან დაიძრა. ხოჯასთან ერთად ირყეოდა. თითქოს მდინარის ორ ნაპირს შუა მდებარე ხიდი ქალაქთან ერთად მიწიდან აუგლეჯიათ, სივრცეში გადაუსერიათ და ახლა იქ საშინელი ღრიალით მიექანებაო; თითქოს მდინარემ თავისი კალაპოტი მიატოვა, ჰაერში აიტყორცნა და მთელი ძალით სიცარიელეში ჩანჩქერივით გადმოეშვაო.

იქნებ დადგა საშინელი განკითხვის დღე? დღე, რომელზეც წიგნებში წერია და მეცნიერები ლაპარაკობენ, როცა ეს ცრუ წუთისოფელი თვალის დახამხამებაში ნაპერწკალივით უნდა გაქრეს და დაიწვას? მაგრამ იმ დალოცვილ ღმერთს, ერთი თვალის შევლებით რომ შეუძლია მნათობი აანთოს და ჩააქროს, ასეთ გამაყრუებელი ხმაური რისთვისღა სჭირდება? არა, ეს ხმაური ღვთისგან არ არის მოვლენილი, მაგრამ ადამიანს ვინ მისცა ასეთი ძალა? რა პასუხი შეუძლია გასცეს გაოგნებულმა, მოტყუებულმა, გამანადგურებელი დარტყმით დამარცხებულმა ადამიანმა, რომელიც ყველაფრის გადალახვას ისწრაფვის? ალი-ხოჯამ არ იცის, რა ძალა დაეძგერა, საით მიფრინავს ან სად შეჩერდება, მაგრამ ერთი რამ კი კარგად ახსოვს, რომ ყოველთვის და ყველაფერში მუდამ მართალი იყო.

„ვაი“, — ისევ დაიგმინა ახლა კი ტკივილებისაგან გამწარებულმა ხოჯამ, რადგან იმავე ძალამ, რომელმაც ეს-ეს იყო ჰაერში ააგდო, ახლა უხეშად და ულმობლად ისევ უკან, ძველ ადგილზე კი არა, იატაკზე, ხის კედელსა და აყირავებულ სკამებშუა გადაისროლა. თავში ყრუ დარტყმა იგრძნო, ფეხები და წელი ეტკინა. საერთო დგანდგარში, რაღაც განსაკუთრებული ხმა გამოირჩეოდა; მერე რაღაც მძიმედ დაეცა დუქნის სახურავს და კედელს მიღმა ლითონისა და ხის საგნების გრუხუნი გაისმა. დუქანში ყველა ნივთმა ფრთები გამოისხა. ხმაურით ერთმანეთს შეასკდნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ. დარტყმას ნერილი ქვის სეტყვა მოჰყვა, სახურავსა და ქვაფენილს რომ ეხეთქებოდა, მაგრამ ალი-ხოჯამ უკვე გრძნობა დაკარგა და თავის „კუბოში“ გაუნძრევლად იწვა.

გარეთ უკვე გათენებულიყო.

ხოჯამ მიახლოებითაც აღარ იცოდა, დიდხანს იწვა თუ არა. გულწასული ალი-ხოჯა სინათლემ და ვიღაცების ხმამ გამოარკვია. ხოჯა ძლივს მოვიდა გონს. ოთახში, სადაც ადრე სრული სიბნელე იყო, ახლა ვიწრო გასასვლელიდან შუქი შემოდიოდა. ხმაურისა და გამაყრუებელი აურზაურის ნაცვლად, ახლა ირგვლივ სიწყნარე ჩამოწოლილიყო, ისეთი სიწყნარე, სულ რომ არ წააგავდა იმ სიჩუმეს, იატაკზე დანარცხებამდე რომ ტკბებოდა. თითქოს ეს სიწყნარე ბრაზიანი და იყო იმ სიწყნარისა. ამ სიჩუმის ძლიერება ხოჯამ მაშინ შეიგრძნო, როცა თავისი სახელის ძახილი შემოესმა. ვიღაცა ისეთი სუსტი ხმით ეძახდა, თითქოს უსასრულო და შორი მანძილიდან უხმობსო.

რაკი მიხვდა, ცოცხალი გადავრჩი და ისევ ჩემს „კუბოში“ ვწევარო, ხოჯა გროვად წაყრილი ნივთების ქვემოდან გამოძვრა და კენესით წამოიმართა. ახლა მკაფიოდ ესმოდა, ქუჩიდან ეძახდნენ. დაიხარა, კარის დაბალ ჭრილში გაძვრა და დუქანში გავიდა. იქ ყველაფერი გადმოყრილი და დამტვრეული ნივთებით იყო ჩახერგილი. დუქანი მზის სხივებით იყო სავსე, აფეთქებისაგან კარებიც ფართოდ გაღებულიყო.

შუაგულ მაღაზიაში ნამსხვრევების გროვასა და უწესრიგოდ მიმოფანტულ საქონელსა და ათასგვარ ნივთებში ადამიანის თავის ოდენა მძიმე ქვა ეგდო. ხოჯამ ჭერს ახედა. ზემოდან დღის სინათლე ჩამოდიოდა. ეტყობოდა, ქვას თხელი სახურავი და ხის ნივნივები გაეხვრიტა და დუქანში ჩამოვარდნილიყო. ალი-ხოჯამ ისევ შეხედა თეთრ, ფორებიან ქვას, რომელიც ორი მხრიდან გლუვი და ჩათლილი ჩანდა, მაგრამ ხორკლიანი და უსწორმასწორო მონატეხები ჰქონდა.

— ჰო, მართლა, ხიდი! — გაიფიქრა ხოჯამ, მაგრამ მისი ყურადღება ისევ ძახილმა მიიპყრო. ქუჩიდან სულ უფრო ხმამაღლა ეძახდა ვიღაც.

ხოჯა ტკივილებისაგან იმანჭებოდა, გონზე ჯერ კარგად ვერც კი მოსულიყო, რომ ხუთი-ექვსი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი თავზე წაადგა. ახალგაზრდები იყვნენ. წვერმოშვებულებს მტვერში მოსვრილი სახეები ჰქონდათ. ნაცრისფერი ფორმა ეცვათ და ჯარისკაცური ქუდები ეხურათ. ყველანი იარაღში ისხდნენ და წელზე ბრჭყვიალა ვაზნებით გატენილი ფალასკა ჰქონდათ შემორტყმული. მათ შორის ხოჯამ ზეინკალი ვლადო მარიჩი დალანდა, ოღონდ ზეინკლის კეპის ნაცვლად ბეწვის ქუდი ეხურა და მხარზე მასაც ფალასკა ჰქონდა გადაკიდებული. ერთ-ერთი ახალგაზრდა, ალბათ, მეთაური, რომელსაც წვრილი, შავი ულვაშები, სწორი სახე, მკვეთრი ნაკვთები და აღგზნებული თვალები ჰქონდა, მაშინვე ხოჯასკენ გაემართა. თოფი მონადირის მსგავსად

ჰქონდა გადაკიდებული. მარჯვენა ხელში თხილის წვრილი ჯოხი ეჭირა, ღვარძლიანად ილანძღებოდა და მაშინვე ხოჯას მივარდა.

— შენ აქა ხარ? — ბრაზიანად დაუყვირა ხოჯას, — დუქანი ღია რად დაგიტოვებია? მერე, როცა რამეს დაკარგავ, ჩემს ჯარისკაცებს დააბრალებ. მე უნდა ვუდარაჯო შენს საქონელს?

ამ კაცს სახე მშვიდი, თითქმის უსიცოცხლო ჰქონდა, მაგრამ მრისხანედ გაჰყვიროდა და ჯოხს მუქარით იქნევდა. ამ დროს მასთან მივიდა ვლადო მარიჩი და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

— კარგი, კარგი, იყოს კეთილი და პატივსაცემი კაცი, მაგრამ იცოდეს, დუქანს თუ კიდევ გააღებს და უპატრონოდ დატოვებს, ასე იოლად ველარ გადარჩება.

შეიარაღებულმა ხალხმა გზა განაგრძო.

— ესენიღა მაკლდნენ, — თავისთვის ჩაილაპარაკა ხოჯამ და მიმავალთ თვალი გააყოლა, — მოვიდნენ თუ არა მე შემეჩეხნენ! ამ ქალაქში ისე არაფერი ჩაივლის, მე რომ არ დამეტაკოს.

ასე ღრმად ჩაფიქრებული იდგა ხოჯა თავის დანგრეულ დუქანთან. თავი დამძიმებოდა და დაბეგვილი სხეული სწინკნიდა. წვრილი და მსხვილი ქვებით, კრამიტისა და ხეების ნამტვრევებით დაფარული მოედანი დილის მზის პირველ სხივებში ბრძოლის ველსა ჰგავდა. ალი-ხოჯამ მზერა ხიდზე გადაიტანა. კაპია თავის ადგილას იყო, მაგრამ იქვე მეშვიდე ბურჯი გამქრალიყო, მეექვსე და მერვე ბურჯებს შორის პირი დაეღო სიცარიელეს და ჭრილში ირიბად მოჩანდა დრინას მწვანე ტალღები. მერვე ბურჯს იქით ხიდი დაუზიანებლად გადარჩენილიყო და გაღმა ნაპირს ისევ გლუვი, სწორი და თეთრი ხიდი უერთდებოდა. ხოჯამ თვალი დაახამხამა, მაინც არ დაიჯერა და თვალი მოჭუტა. მაშინვე გაახსენდა, ხუთი-ექვსი წლის წინათ მწვანე კარავს ამოფარებულმა ჯარისკაცებმა სწორედ ამ ბურჯში რომ გააკეთეს ხვრელი. მეხსიერებაში ის რკინის სახურავიც გაცოცხლდა, ამ დანაღმულ საყრდენს რომ დაახურეს ზემოდან, გვერდით მდგომი ფელდფებელ ბრანკოვიჩის გახევებული, იდუმალი სახეც მოაგონდა, შეკრთა, ისევ გაახილა თვალი, მაგრამ მის თვალწინ ისევ ის სურათი გადაიშალა: მსხვილი თუ წვრილი ქვებით მოფენილი მოედანი, საყრდენმონგრეული ხიდი და ორ ჩამონგრეულ თაღს შორის ხახადაღებული სიცარიელე.

ასეთი რამ მხოლოდ სიზმრად შეიძლება ნახოს და განიცადოს ადამიანმა, მხოლოდ სიზმარში. ხოჯამ ზურგი აქცია ამ შემაძრწუნებელ სა-

ნახაობას, ისევ დუქანში შებრუნდა. მეშვიდე ბურჯის ნაწილები, დიდი, უშველებელი ქვა, მიმოფანტულ საქონელს შუა ეგდო.

ბაზრის მხრიდან მოწოდების ხმები, სერბიულ ენაზე გაცემული ბრძანება და ჩქარი ნაბიჯების ხმა გაისმა. ალი-ხოჯამ სასწრაფოდ მიხურა დუქნის კარი, ზედ დიდი ბოქლომი ჩამოჰკიდა და თავისი სახლისკენ მიმავალ აღმართს დაადგა.

ხოჯას ადრეც ემართებოდა ასე: სიარულისას სუნთქვა ეკვროდა და გულისცემა უჩქარდებოდა. უკვე კარგა ხანია ორმოცდამეათე წელში გადამდგარ ხოჯას ეს დამრეცი სანაპიროც უფრო ციცაბოდ და სახლიკენ მიმავალი გზაც გრძლად ეჩვენებოდა, მაგრამ არასდროს სიარული ისე არ გასჭირვებია, როგორც ახლა. დღეს ხომ რაც შეიძლება მალე უნდოდა სახლში დაბრუნება. გული უთანაბროდ უცემდა, სუნთქვა ეკვროდა. იძულებული იყო წამდაუწუმ შეჩერებულიყო.

ქვევით, მგონი, მღერიან კიდეც. იქ დანგრეული და საშინლად, მხეცურად გაგლეჯილი ხიდი დგას. ალი-ხოჯას უკან მოუხედავად შეუძლია (ქვეყანაზე არაფრის გულისათვის უკან არ მოიხედავდა) წარმოიდგინოს მთელი სურათი: ვეებერთელა, ღეროსავით ზედ საფუძველთან სწორად გადაჭრილი ხიდის ბურჯი, ათასობით მიმოფანტული ქვის ნატეხი, ჩანაქცევის მარჯვნივ და მარცხნივ უხეშად დაზიანებული თაღები. ჩამონგრეული თაღების დაფლეთილი მხრები მტკივნეულად ისწრაფიან ერთმანეთისაკენ, მათ შორის კი თხუთმეტმეტრიან უფსკრულს დაუღია ხახა.

არა, არაფრის გულისათვის უკან არ მოიხედავს, მაგრამ გორაზეც ძალიან უჭირს ასვლა, გული სულ უფრო მეტად აწუხებს და აღარც ფეხები ემორჩილება. ალი-ხოჯა შეჩერდა, რომ უფრო ღრმად ჩაესუნთქა. ხანგრძლივად, თანაბრად და რაც შეიძლება ღრმად ესუნთქა. ეს ადრე ყოველთვის შველოდა, უნდა უშველოს ახლაც. მართლაც, გულზე ცოტა შვება იგრძნო, მოეფონა, დაუწყნარდა და ძალა მიეცა. ბინასა და ლოგინზე ფიქრით გამხნევებულმა ისევ განაგრძო გზა, მაგრამ ხოჯა მაინც ძლივს მილასლასებდა. გონებიდან არ სცილდებოდა დანგრეული ხიდის სურათი, რომელიც განუწყვეტლივ გულს უღონებდა და სტანჯავდა. მარტო ზურგის შექცევა კი არა, თვალიც რომ დაეხუჭა, ხიდი მაინც თვალიდან არ სცილდებოდა.

— ახლა მივხვდი, — ფიქრობდა ხოჯა, როგორც კი ცოტა სული მოითქვა, — თუ ვინ იყვნენ და სადამდე მიგვიყვანა ამ ვაჟბატონების წესრიგმა და მზადებამ, მათმა ფუსფუსმა და საქმიანობამ.

ხოჯა ყველაფერში და ყველასთან ყოველთვის მართალია, მაგრამ ახლა არც ეს აკმაყოფილებს. სიცოცხლეში პირველად მოხდა, რომ ხოჯას საამისოდ აღარ ეცალა, თუმცა, რასაკვირველია, ხოჯა მაინც მართალი იყო. წლების მანძილზე ხედავდა, როგორ თავაუღებლივ ზრუნავდნენ ხიდზე: ასუფთავებდნენ, უვლიდნენ, საძირკველს უმაგრებდნენ, ზედ წყალსადენი გაიყვანეს, ელექტრონით გაანათეს — ყველაფერი ეს ერთ წუთში ააფეთქეს, გეგონება, წმინდა საჩუქარი, სულის საცხონებელი და ესოდენ სრულყოფილი ქმნილება კი არა, რომელიღაც უღელტეხილი ყოფილიყოს. ახლა ნათელია, რა ხალხია და რა მიზანი ამოძრავებთ. ეს ხოჯამ ყოველთვის იცოდა, ახლა ყველაზე სულელისათვისაც კი ყველაფერი ნათელია.

თანაც ყველაზე გამძლე და მკვიდრის დანგრევით დაიწყეს. ხელყოფენ ღვთის კუთვნილებას. ვინ იცის, საქმე სადამდე მივა, თუ ვეზირის ხიდი ფარდულივით დაიშალა. ეტყობა, ბოლომდე ასე გაგრძელდება.

სუნთქვა კვლავ შეეკრა. აღმართი სულ უფრო ციცაბოდ ეჩვენებოდა. ისევ შეჩერდა, რათა სული მოეთქვა. მოითქვა კიდეც, ღონე მოიკრიბა და ნაბიჯს მოუჩქარა.

მაგრამ, — ისევ განაგრძობდა ფიქრს ხოჯა, — აქ თუ ანგრევენ, დაე, სხვა ადგილას მაინც ააშენონ. ალბათ, კიდევ არსებობს მშვიდობიანი ქვეყნები და გონიერი ღვთის მორწმუნე ადამიანები, რომელთაც ღმერთი სწამთ. თუ ღმერთმა დაივიწყა დრინაზე გაშენებული უბედური ქალაქი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელ ქვეყნიერებასა და დედამიწაზე ხელი აიღო.

ვინც ანგრევს, იმათი აღსასრულიც დადგება! მაგრამ მე როგორღა გავიგებ?! ოჰ, უფრო ღრმად რომ შევძლო ჩასუნთქვა, ცოტა ჰაერიც რომ იყოს! როგორ გავიგო?! იქნებ ეს უწმინდური რჯული იმიტომ აწესრიგებს ყველაფერს, აახლებს, ყოველგვარ საქმეს ასრულებს და აგვირგვინებს, რომ შემდეგ ყველაფერი გადასანსლოს და დაანგრიოს და თავად მთელ დედამიწაზე გავრცელდეს, იქნებ ურწმუნოებმა მთელი ღვთიური სამყაროსგან, საკუთარი უაზრო მშენებლობებისა და სისხლიანი ნანგრევებისათვის ერთი მთლიანი ცარიელი მინდორი გამოიგონონ, რომელიც მათი გაუმაძღრობისა და უცნაური მადის დასაოკებელი საძოვარი იქნება. ყველაფერი შესაძლებელია.

მაგრამ ერთი, ერთი რამ კი შეუძლებელი იქნება. არ შეიძლება ყველგან და სამუდამოდ გაქრნენ დიდი, ბრძენი და ღვთისმოშიშ ადამიანები, ღვთის სიყვარულით მარადიულ ნაგებობებს რომ აგებენ, რითაც დე-

დამიწას ალამაზებენ და ადამიანის ცხოვრებას უფრო მსუბუქსა და ბედნიერს ხდიან. ასეთი ადამიანების გაქრობა ამქვეყნად ღვთის სიყვარულის ჩაფერფლასა და გაქრობას ნიშნავს, ეს კი შეუძლებელია. ხოჯას ნაბიჯები უფრო და უფრო მძიმე და ნელი ხდებოდა.

ახლა გარკვევით ესმოდა, ბაზარში მღეროდნენ. უფრო მეტი ჰაერის ჩასუნთქვა რომ შესძლებოდა, გზაც რომ სწორი იყოს, სახლამდე მისვლას მოახერხებდა, თავის ლოგინში ჩაწვებოდა, შინაურებს დაინახავდა, ან მათ ხმას გაიგონებდა. ეს იყო ახლა ხოჯას ერთადერთი სურვილი. გულსა და სუნთქვას შორის თანაბარი კავშირი დაირღვა... გულისცემა გაჩერდა, სუნთქვაც შეწყდა, როგორც ეს ხანდახან სიზმარში ხდება, მაგრამ მხსნელი გამოღვიძება არსად იყო. ხოჯამ პირი გააღო და იგრძნო, რომ თვალები ბუდიდან უცვივდებოდა. ციცაბო უფრო და უფრო იზრდებოდა და ახლა ზედ სახეზე აეფარა. თვალწინ მხოლოდ ქვიანი გზა იყო, ხოჯას მთელ არსებას წყვდიადში რომ ითრევდა.

სერზე, მეიდნისაკენ მიმავალ გზაზე, სიკვდილს ებრძოდა ალი-ხოჯა.

ბელგრადი, 1942 წ., ივლისი — 1943 წ. დეკემბერი

სარჩევი

ხიდი დრო-ჟამზე (როსტომ ჩხეიძე) 3
თავი პირველი 9
თავი მეორე 21
თავი მესამე 28
თავი მეოთხე 56
თავი მეხუთე 79
თავი მეექვსე 92
თავი მეშვიდე 107
თავი მერვე 117
თავი მეცხრე 131
თავი მეათე 145
თავი მეთერთმეტე 157
თავი მეთორმეტე 169
თავი მეცამეტე 181
თავი მეთოთხმეტე 204
თავი მეთხუთმეტე 219
თავი მეთექვსმეტე 236
თავი მეჩვიდმეტე 253
თავი მეთვრამეტე 264
თავი მეცხრამეტე 277
თავი მეოცე 306
თავი ოცდამეერთე 316
თავი ოცდამეორე 332
თავი ოცდამესამე 345
თავი ოცდამეოთხე 367